# ცისკარი

სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი 7 | 1998

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

დამფუძნებლები:
საქართველოს მწერალთა კავშირი
და ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია

# ცისკარი

7 | 1998

დაარსებულია 1852 წელს აღდგენილია 1957 წელს

მთავარი რედაქტორი:
ზაურ კალანდია

სარედაქციო საბჭო:

ბალათერ არაბული
ირაკლი ბაზაძე
ლევან მალაზონია
ელზა მეტრეველი
(მთ.რედაქტორის მოადგილე)
მიხო მოსულიშვილი
ზურაბ ნარმანია
ჯემალ ქირია
(პასუხისმგებელი მდივანი)

საკონსულტაციო საბჭო:

გივი გეგეჭკორი
ნოდარ გრიგალაშვილი
დავით თედორაძე
ზაზა თვარაძე
ემზარ კვიტაიშვილი
რევაზ მიშველაძე
დავით მჭედლური
გივი სულაკაური
მიხეილ ქვლივიძე
ჯანსუღ ღვინჯილია
შალიკო შამანაძე
ნუგზარ შატაიძე
როსტომ ჩხეიძე
ჯანო ჯანელიძე

მხატვარი:
გიორგი წერეთელი

მხატვრული რედაქტორი
დავით აბულაძე

ტექრედაქტორი:
ზიული სირაძე

გამომცემელი:
ლევან თითმერია

საქართველო, თბილისი, ხიდის ქუჩა№ 1
ტელ: 99-85-81 მთ. რედაქტორი
98-36-43 მდივანი

## შინაარსი

### გამოიღვიძე, ქნარო!

3. ფსალმუნები. გაგრძელება. ებრაულიდან თარგმნა ჯემალ აჯიაშვილმა

### პროზა და პოეზია

6. ოთარ ჩხეიძე. თეთრი დათვი... რომანი. დასასრული
49. ალუდა არაბული. ლირიკა – „ცალხაზიანი რვეულებიდან“
53. გივი ალხაზიშვილი. ამოდის თუ ჩადის მზე?! რომანი. დასაწყისი
82. ზურაბ ნარმანია. ლექსები.
85. ლაშა ბუღაძე. მოთხრობები. ბოლოსიტყვაობა მაკა ჯოხაძისა
99. ირაკლი ციგროშვილი. ლექსები
101. მარინე გიგოლაშვილი. გამორჩეული. მოთხრობა

### ნაცნობი უცნობი

105. გიორგი ბაქანიძე. გზადაგზა. გაგრძელება

### ახალი თარგმანები

114. ედგარ პო. ეიროსისა და ქარმინეს გაბაასება. ინგლისურიდან თარგმნა ზაურ კილაძემ

### წერილები

118. თამაზ ჩანტლაძე. დემნა შენგელაია
124. ეკა ფილიშვილი. ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურები
129. ეკა მიხელიძე. ეროვნული პრობლემატიკა შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში

### რაც ჟამს გადაურჩა...

133. გიორგი კალანდია. ცაიშის მონასტრის ფრესკული მხატვრობა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა





იერუსალიმი. გოდების კედელი.

# ფსალმუნები

## ფსალმუნი 102

ლოცვა გლახისა, ოდეს შეძრწუნდა
და უფალს ამცნო საკუთარი გულისტკივილი.

2. უფალო ჩემო,
   ყურად იღე ჩემი ვედრება
   და შეისმინე
   ჩემეული მოთქმა-ღაღადი.
3. ნუ გამარიდებ სუფევას შენსას,
   გაჭირვების ჟამს მომაპყარ ყური,
   ოდეს მოგიხმობ,
   მეუხეულად შემეხმიანე.
4. რადგან კვამლივით მიიწურა ჩემი ცხოვრება
   და ჩემი ძვლები გამოაშრო
   გეენის ალმა.
5. ჩამოვილიე ბალახის დარად
   და გული ჩემი
   გამოფიტა უიმედობამ
   და აღარ მალმიძს
   ჭამადის ჭამა.
6. და ჩემი ძვლები ტკივილებით ამეკრა ტანზე.
7. დავემსგავსებივარ უდაბნოს ყორანს,
   ბნელ ნანგრევებში დავფარფატებ
   ღამურასავით.
8. და, როგორც ჩიტი მილგატეხილი,
   ცივ სახურავზე
   მარტოდმარტო ვიოკებ ნაღველს.
9. და დღენიადაგ მამუნათებს ჩემი მოძულე,
   ჩემს სახელს ჰფიცავს
   მწყევარი ჩემი.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



10. ნაცარი მიჩანს არსობის პურად,
მდუღარე ცრემლით
ვიზავებ სასმელს.
11. რადგან შემრისხე
უზომო რისხვით,
ამიყვანე და
დამანარცხე ანაზდეულად.
12. მიიმურწება აჩრდილივით
ჩემი დღეები,
ჭკნობას მივყვები ბალახის დარად.
13. შენ კი, უფალო, იბატონებ მარადიულად,
რომ უკუნითი უკუნისამდე
მოიხსენიონ შენეული სახსენებელი.
14. აღზევდი კვლავ და
შეიწყალე შენი სიონი,
რადგან მობრუნდა წყალობის წუთი,
მოწეულია, უფალო, ჟამი.
15. რადგან მის ლოდებს მისტირიან
შენი მონები,
რომ სიყვარულით დაამწყალობონ
ნამუსრალი და
ნაცარი მისი.
16. რადგან წარმართებს შეაშინებს უფლის სახელი,
ქვეყნის მბრძანებლებს –
დიდება შენი.
17. რადგან უფალი აღადგენს სიონს
და თავისივე სიდიადით
გამობრწყინდება.
18. მოაყურადებს მორჩილთა ლოცვას,
არ დაამცირებს ვედრებას მათსას;
19. რომ აღინუსხოს მომავალი თაობებისთვის,
და სახვალიოდ შობილმა ხალხმა
ხოტბა-დიდება აღუვლინოს
არსთაგამრიგეს;
20. ვინც უწმინდესი საუფლოდან თვალი მოგვავლო
და ღრუბლებიდან გადმოხედა
ქვეყნიერებას;
21. რომ ყურად ეღო ტუსაღის კვნესა
და გამოეხსნა სასიკვდილოდ განწირულები;
22. სიონს სმენოდა სახელი მისი,
იერუსალიმს –
მისეული დიდებულება.

23. ვიდრე ხალხები შეიყრებოდნენ
და სამეფონი –
ზენაარის განსადიდებლად;
24. ვინც მეყსეულად ამართვა მილი,
უგზოდ წამგვარა
ცხოვრების დღენი.
25. და ვეტყვი:
„ღმერთო, –
გევედრები, ნუღარ შემრისხავ
ჩემი ცხოვრების ნახევარგზაზე, –
საუკუნოა, შემწყალეო, სუფევა შენი.
26. დასაბამიდან ქვეყანა შეჰქმენ,
ცანი განსახე მაღალთა შინა.
27. მაგრამ ისინი წარხდებიან
და შენ იქნები,
არსი ყოველი დაძველდება, როგორც სამოსი,
შემოიძარცვავ ყველას და
ყოველს
და ყველაფერი სასიკვდილოდ წარისოცება.
28. შენ იგივე ხარ
მარად და მარად
და შენი ჟამი არასოდეს აღესრულება.
29. და დამკვიდრდება ნაშიერი მონათა შენთა
და თესლი მათი
უკუნისამდე
წარიმართება შენმიერი სუფევის მადლით.

ებრაულიდან თარგმნა

ჯემალ აჯიაშვილმა

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოთარ ჩხეიძე

## თეთრი დათვი...

### რომანი

### XX

დაიბნა.

თავი რო ვერ გაართვა წიგნსა, ავტორიც აერია: სხვისა იყო, სხვისა ეგონა. ატრიალებდა. ფურცლავ-და. ჩააჩერდებოდა ადგილ-ადგილა. სიტყვები გაურბოდა. ყალჰყსა დგებოდა. თავდაყირა ტრი-ალებდა. ეღრიჯებოდა. ემანჭებოდა. ნაცნობი სახე ემანჭებოდა. ვეღარც რო ეცნო, ეცნობოდა კიდე-ვაცა. არც ის ეშვებოდა, აღარც ეს მოეშვა. ეწვალა. ეწამა. ლამის ტვინი გადაუბრუნდა, გაიხსენა მაინცა ერთი ნაცნობი პროფესორი, - ახლო ნაცნობი, - რაღაც საბუთებს რო აგროვებდა, აგროვებდა და აგროვებდა:

მწერალთა კავშირში შევდივარო. ამას გაუკ-ვირდა. იმას არა: წიგნები ჰო მაქვსო, წიგნებში მწერლებს ჰო ვახსენებო, მეტი რა უნდათო. იმათ ეგებ რო მეტიც არ უნდათ. შენ რაღად გინდა იმათი წევრობაო, - ჰკითხა ამანაცა, რო არც ეკი-თხებოდა, ჰკითხა მაინცა, - პასუხიც გულდაგულ არც მოუსმენია, გაახსენდა მაინცა, ეს მაინც გაახსენდა: ვინ იცის რაში დამჭირდესო. სხვა რო არც არა იყოს რაო, საფლავის საქმე მაინც მექნება მოგვარებული, დიდუბის პანთეონში დამკრძალავენ. შენც გირჩევ, შეხვიდე, აი ზედმეტი საანკეტო ფურცელიცა მაქვსო. არ აჰყვა. გაახსენდა. დიდუბის პანთეონიც გაახსენდა, მთაწმინდაცა, - ეგება ახლა მთაწმინდასაც უმიზნებსო. სურვილი მძლავრობს. სურვილს რა დაიჭერს. ვერ დაიჭირავს სურვილსა გზა ვიწრო ვერცა კლდოვანიო. ნუ ახირდები: ეგრე არა თქმულაო. ისიც მართალია და ესეც მართალი. მართალი მართალია, თქვი, როგორც გენებოსო.

ის ემანჭებოდა. ის დახტოდა, ის დაგორავდა დიდი თავითა და კალიის ფეხებითა, ფურცლიდან ფურცელზე დაგორავდა, ემანჭებოდა, ეჭყანებოდა, ეღრიჯებოდა, ეფშხალებოდა, ეჯუჯღუნებოდა, თვალსაც უკრავდა და ენასაც უყოფდა. ეპატიჟებოდა დიდუბის პანთეონშიცა. ამას უნდოდა ჩასულიყო წერეთლის მეტროში, ის პანთეონში ეპატიჟებოდა: აქ ჩაძვერი და იქ ამოხვალო. მერე ისევ გადაგორდებოდა სტრიქონებზედა, ანთუ გაჰყვე-ბოდა კალიის ფეხებითა. აი: ხალხიო, ისევ ხალხიო, არსად ერიო. რო არა სცხვენოდეს: ადგება და ილაპარაკებს: ხალხი და ბრბოო, ერი და სახელ-მწიფოო, - რო არა სცხვენოდეს. ეგეც შენი „პრეზე-ნტაციაო", - რო არა სცხვენოდეს. რაც უნდა იყოს ის მაინც ვერ გაიგო: ზალიკო ვინ იყო, ანთუ რა ესაქმებოდა ამასთანა. ვერ გაიგო და ნუ გაიგო, ის თვითონ ეახლა, თვითონვე გააგებინა „პრეზენ-ტაციის" დაწყებამდისა: ორი საანკეტო ფურცელი გადასცა, - ერთი შეავსე, თუ გაგიფუჭდეს, აგერა მეორეო; ორიცა რეკომენდაცია დაგჭირდება, შენვე თუ მოაგვარებ, ჰო კარგი, თუ არაო, იმასაც მე გამოგიჩარხავო. კარგადაც ვერ დაუგდო ყური. ისევ დიდუბის პანთეონი გამოუჩნდა. ისევ ის ნაცნობი პროფესორი დაჰხტოდა საფლავის ქვებზედა. დაჰხტოდა. ეჭყანებოდა. ხელს უქნევდა.

ერთხანს ეს ქალიც იქავე წამომდგარი ჰგონია, იქავე: დიდუბის პანთეონშიო. ჰგონია, თორემ არაფერი არ უგავს წამომდგარსა საფლავიდანა. არც აჩრდილს არ უგავს არაფერი. ფუმფულა ქალია, ღაჟღაჟა ქალი. ტაბლები ჩაუდგამთ ღარბაზ-შია. ჯორკოებიცა რაღა თქმა უნდა. მცირე ხანს ესეც იქცა მოდადა. ერი ილვიძებს თითქოსაო. მცირე ხანსა. მცირე ხანსა. სიღარიბის გამო შემორ-ჩენილიყო. ჯერ ვერ შემოეღწია სტანდარტებსა

---------

დასასრული. დასაწყისი „ცისკარი" №4,5,6



ცივილიზაციისა. სიღარიბის გამო. სიღარიბის გამო. იმმუშნება ფუმფულა ქალი, არა ჰყოფნის ერთი ჯორკოი. შეუდგამენ მეორესაცა. და ეწეწკება მოსაწეწკელი ჯორკოსა და ჯორკოს შორისა. ირხევა. ტოკავს. მოუხდებოდა, ლერწამტანა რო ყოფილიყო. რაც არის, არის, მაინც ჩაათავებს თავის სიტყვასა. ამასობაში მოურბენინებენ უკვე მოძველებულ ლოზუნგებსა, უძრაობის დროინდელსა, მაშინდელი ბელადის გატყაპული სახითა რაღა თქმა უნდა, გადაკეცავენ, გადმოკეცავენ, შეუფენენ ჯორკოებსა და ფუმფულებს შორისა. ეამება. მოეფინება ნეტარებაი სახესა მისსა, ფუმფულასა აგრეთვე, - ტუჩებსა მისსა, თითქოს ირიბად დაყენებულსაო: ცალი ბაგე რო აპრეხილა, ცხვირის წოპს უწევს, მეორე ნიკაპზე ჩამოვარდნილა. ცხვირიც ქართულია. ვერ მოუსწვრია, რუსულად რო დაეყენებინა. ბევრმა მოასწრო. ბევრიც წინ წავიდა, წინ უყელა დროის ქროლვასა: გადაიქლიბა ცხვირი საერთაშორისო სტანდარტების მიხედვითა. გაამაყებულიყვნენ ისინი უფრო. ეს თუ ჩამორჩა, სიამაყე მაინც ეყოფოდა. შენ სიამაყე თქვი თორემ, ამპარტავნობა თქვი, თორემ, ვერც ვინ გაგისწრებს, არც ვინმეს ჩამორჩები, სულ წინ იდგომები ერკემალივითა. ეს მაინც თავისასა ცდილობდა ყოველშემთხვევაში. ცოტა ეს ჯორკოები უშლიდა ხელსა, ცოტა ეს ტუჩებიც რაღაცას უშლიდა: როგორ უნდა ეკოცნა ქმარსა ან საყვარელსა?.. კიდევ კარგი თუ არცერთი არა ჰყავდა. კიდევ კარგიო. რაც უნდა იყოს: ტიკტიკებს. ტიკტიკებს. ადის ტუჩი და ჩამოდის ცხვირი. არა. ცხვირი არ ჩამოდის, - ტუჩი რო ადის, გგონია რო ცხვირი ჩამოდისო. ანთუ როგორც არის: ტიკტიკებს. ტიკტიკებს: „რომანიო. თავმდაბლობაა ავტორისა. ეს არის ეპოპეა, უვრცესი პანორამა ჩვენი საუკუნისა: 905-დან ჩვენს დღეებამდის რო მოსულა და შეჩერებულა. სწორად და დროულად შეჩერებულა. ავტორის გუმანი შეუმცდარია, ზომიერება ფრთხილი, ერუდიცია უტყუარი, ფერები გადასარევი, ხასიათები მომჯადოებელი. რა უნდა აღნიშნოთ, რო გადასარევი არ იყოს!..“ ავტორი შეიფერებს რაღა თქმა უნდა: ღაბაბს ჩამოუშვებს, ჰალსტუხს შეისწორებს, - პიჯაკსაცა, -ლამის ღილი რო გადაუწყდეს. შეიძლება კაცი ქებითაც გაიბეროს. აი ნიმუში. იბერება და იბერება. ტიკტიკებს ქალი. იმეორებს ანოტაციასა, რომანს რო უძღვის. ავტორს ეცნობა რაღა თქმა უნდა, ალბათ თვითონვე რო დაუწერია. მაგრამ სხვა არის, შენ თუ რასა წერ, სხვა არის ის თუ სხვა ვით გიმეორებს: ქღურტულა ხმითა, ირიბად დაყენებული ტუჩებითა, ბუტკუცუნა ლოყებითა, ბუტკუცუნათი, კრიალათი და ისეთი ნაზი კანითა, ისეთი, ისეთი, შეგეშინდებოდა: ღმერთი რო გამიწყრეს და რო ვაკოცო ზედ ტუჩებზე შემომასკდებაო. ეგება ამიტომაც იბერება ავტორი. ეგება სხვებიც იბერებიან. შიში გადამდებია. ბაადური გულმოდგინედ უსმენს: აქ მაინც გავიგო, რა რომანიაო. ბაადური უსმენს, ქალი ტიკტიკებს: „ჩვენთვის ეს დიდი ბედნიერებაა: ჩვენ გვერგო პატივი ამ დიდი მოვლენის პრეზენტაციისა. პრეზენტაცია დასავლეთის ცივილიზაციის მონაპოვარია. ჩვენთან მოვიდა ქს ცივილიზაცია. ჩვენ ეს ავიტაცეთ. რუსეთის შუადგომლობას კვლავაც მნიშვნელოვანი როლი მიენიჭება. და ორივე ერთად მოგვცემს საშვალებას, ვაღიაროთ უჭკნობი ნიჭი ჩვენი ავტორისა, ელვარე ნიჭი, მომავალ საუკუნეებს რო გადასწვდება და სამუდამოდ მიენიჭება თავისი ადგილი ყველაზე ბრწყინვალე თანავარსკვლავედში“. ღილი გადაწყდება. დაეცემა. გაგორდება. ავტორისაი რაღა თქმა უნდა. ბაადური ველარც რო უსმენს, ისედაც გამხდარა, ისეც ეგანივრება ძველი პიჯაკიცა, ვერა, ისე ვერ გაიბერება. ველარც რო უსმენს, თვალებს დაატარებს. ითქმის: უაზროდ დაატარებსო. ოღონდ ამჩნევს, რო იბერებიან სხვებიცა, იმათაც შემოაწყდებათ ღილები ჭიპზედა, - ისინი შურით იბერებიან. ამჩნევს. ვერ მიმხვდარა. ისევ საანკეტო ბარათებს მოჰხვდება თვალი, ბარათებსა, ამას რო მიაჩეჩა ზალიკომა, სხვებსაც რო ჩამოურიგა: წინ ეწყო მოტიტინე ქალსაცა. მალიმალ ასწორებდა. მალიმალ აიღებდა, გულს მიირქმევდა. დააწყობდა. ეფერებოდა. ეფერებოდა და ეფერება. აგერა ისიცა: ერთხანს კულტურის მდივნად რო ითვლებოდა საქართველოს ცეკაშია, - ჰოი თუ როგორ ეფერება იმავე ფურცლებსა!.. წიწლიკანა დასვეს, იქ როცა დასვეს, წიწლიკანაი ჭკუითა და ხნოვანებითა, ტანადობით არაო, არა, რა სათქმელია, - კაი მოსტორიკი ყმაწვილი ბრძანდებოდა, კარგად ნაკვები, ორივე მხრიდანაო, ხუმრობდნენ, „ძველი წრთობის ბოლშევიკს“ უწოდებდნენ მამამისსა, კაი დუმა დაეთრია და კარგადაცა თლიდაო. სულ თავისკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა



მიითლიდა, ეჩო იყო, ხერხი არაო, სულ თავისკენ მიითლიდა. დასვეს და შეიფერა. გამოაპანღურეს და ვეღარ შეიფერა. ახლა რადიოში შეიპარებოდა. ხან გაძვრებოდა ტელევიზიაშიცა. რა დრო გადავიტანეთო, – წუწუნებდა. ჰა,ჰა,ჰა,ჰა!... მოდი და ნუ გაგეცინებაო. ახლა აქაც გამოვიდოდა, გამოვიდოდა უსათუოდა, ისე ეფერებოდა ზალიკოს ფურცლებსა. ეფერებოდა. ეფერება. ეტყობა ცოტა მოუთმენლობაცა, ისევ რო ტიკტიკებს, ტიტინებს, ლაკლაკებს, ლიკლიკებს, ტარაუცობს ქალბატონი: „გიყურებთ თქვენ და ვრწმუნდები თუ რაოდენი წარმატება მოჰყოლია ამ წიგნის გამოსვლას. თქვენ ბრძანდებით ბრწყინვალე საზოგადოება თბილისისა, – – საუკეთესო სწავლულნი, საუკეთესო მეცნიერნი, ხელოვანნი საუკეთესონი. ადვილი არც არის ასეთი საზოგადოების თავშეყრა. თვით ესეც მოწმობს თუ რის მოხერხება შეიძლება ჩვენში, ადამიანს სათანადო უნარი თუ გააჩნია. გმადლობთ ქალბატონებო და ბატონებო!.. ეს იმისათვის, რო მობრძანდით. იმის მადლობასაც წინასწარ მოგახსენებთ, რასაც აქ წარმოსთქვამთ: სამაგალითოსა ჩვენი მომავალი თაობებისათვისა. ეს ის ქმნილებაა, თაობიდან თაობას რო გადაეცემა და ხელიხელთ საგოგმანოდ რო გადაიქცევა“. ღუღუნებს. ღუღუნებს. თვალებსა ნაბავს. გაშლის ხელებსაცა, ფრთებია თითქოსაო, აფრინდება თითქოსაო, შემოუვლის მომავალ თაობებსა თითქოსაო, ისევ აქვე დაბრძანდებაო, ეს უკვე ნამდვილადა. „ტყუილად უთქვამთ: ზარბაზნები რო ჰქუხს, მუზები დუმანო. ზოგი ნაპოლეონს მიაწერს, ზოგი სუვოროვსა... რუსეთის შუამდგომლობას ჩვენ ვაღიარებთ, მაგრამ მაინც ამ შემთხვევაში სხვაგვარად გამოდის: გადავიტანეთ ...ი მებიცა, პროვინციული ფაშიზმიცა, ხალხთა მასე...ის აზვირთებაცა, – ჰქუხდა ზარბაზნები და ამ ქუხილში მაინც შეიქმნა ეს დიდებული რომანი... არა, არა!.. ჩვენ ჰო შევთანხმდით, – ეპოპეა!.. ეპოპეა!.. გვაპატიონ მუზებმა, ეს თუ დანაშაულია, მდუმარება თუ დავუფრთხეთ, გვაპატიონ!..“ მოიდრეკს თავსა მსასოვარი. მოიწონებენ. ტაშს დაუკრავენ. შესჭიხვინებენ და ისევ დაუკრავენ ტაშსა. ბაადურს იქ გამორჩა, მერედა შენიშნა ეკრანზე ტელევიზორისა: ყველაზე მეტად ავტორი უკრავდა ტაშსა, ყველაზე მეტსაც ისა ჭიხვინებდა. კოტიტა ხელები წინ წამოეწია ობიექტივსა, გაბერილი ლოყებიც წინ წამოეყარა. მეორდებოდა და მეორდებოდა. ეს მერე ცხადია.

ოღონდ ჯერ იქაო:

იხსნება შამპანური. ბათქია. ბუთქია.

ტაბლებზე აწყვია: შამპანური, ხილი, კაკალი, – ნედლი. ნედლი. სკდება შამპანური. შუშხუნებს ჭიქები. „ჭახ!..“ გაისმის. და ისევ: „ჭახ!..“ „ჭახ!..“ ჭახ!..“ ვაჟკაცები მოიქცევენ ხელისგულებში ნედლ კაკალსა. ამტვრევენ. აჭახუნებენ. გადაუხსნიან ხელის გულსა ქალბატონებსა, გულსაც გადაუშლიან თუ ინებებენ. ერთობიან. ზოგს ეხამუშება ნედლი კაკალი. ზოგი შეიფერებს, როგორც ეგზოტიურსა. შეიფერებენ. თურმე უხდება შამპანურსაო. ნედლი კაკალი. შამპანური ყველაფერს უხდებაო, – ამას პოეტი ბრძანებს. სიტყვას ითხოვს. ფუმფულა ქალი დართავს ნებასა. შუაში გადის, პოეტი ცხადია, დარბაზის შუაში. ფოტორეპორტიორებიც გადალაგდებიან. აქამდისაცა. ახლა ფუსფუსითა მომეტებულითა. ტელევიზია სამფეხზე დგას. ტელევიზიას ცენტრი უჭირავს. მხარს შემოდგმული ვიდეოებიც გადაადგილდება. პოეტი დგას შამპანურითა. პოეტი ესალმება. პოეტი ესალმება პოეტურადა რაღა თქმა უნდა. ჯერ ხელებს გაშლის. ხელის გაშლაც ამასა ჰქვიან!.. თანაც რო მაღალი, წინათ წერწეტი, ზვიადი, ბობოქარი ახლაცა. ჭიქაც რო ბარემ თავზე ~~დაიდგას~~, დავლური დასცეს?.. არც გასაკვირია, – ტრიალებს, ბრუნავს თავისსავე თქმათა შესატყვისადა, ფეხებსაც აცურებს „ქართულისა“ შესატყვისადა, ქართულადაც ამბობს:

„მივესალმები ჩემს მეგობარს, ჩემს ძმას, ზიარებით ძმასა და მეგობარს!.. მივესალმები და ვულოცავ ბრწყინვალე გამარჯვებასა!.. და მერე როდის?!. როცა რო ჰქუხან ზარბაზნები, როგორც რო ბრძანებს ჩვენი დიდებული ქალბატონი საია. მივესალმოთ მას, მშვენებას დღევანდელი დღისა და მრავალი ასეთი დღისა, რომელთაც ის გვჩუქნის!..“ ტაში. და ისევ პოეტი: „ჩვენ არა ვდუმვართ. ჩვენ ავიტაცეთ ავტომატები, კალამი ხელიდან არ გაგვიგდია. ჰქუხდეს, ზანზარებდეს დედამიწა, ჩვენი შემოქმედებაც ქუხილის ნაყოფია, ელვა-ჭექის ნაყოფია, ქარიშხლებისა და მიწისძვრების ნაყოფია. ჩვენ იქაცა ვართ, სადაც ქუხილია ზარბაზნებისა და სანთლის ალთანაც ვათევთ ღამესა. და ვქმნით, ვქმნით: ახალ-ახალ ფოლიანტებსა. ეს ყველას არ ძალუძს. ეს შენ ძალგიძს ჩემო მეგობარო, ეს მე ძალმიძს და ამიტომაც მე შენ გესალმები. მე შენთან ერთად გამომივლია ცეცხლში „გრადებისა“. მე შენს ბეჭებზე ჩამიქვრია ცეცხლი ავარდნილი, შენ ჩემს ბეჭებზე ჩაგიქვრია. მე შენ გელაპარაკები, როგორც ტოლი ტოლს, სწორი სწორს. ჩვენ ბევრი ვერ გაგვიტოლდება, ვერც ვერავინ გაგვიტოლდება, რა ვუყოთ მერე, – აკეთოს, ვისაც რა შეუძლიან, მეტს არც მოვითხოვთ. ჩვენ შეიძლება საუკუნეც შევიდგათ ზურგზედა, სხვას ამას ვერ აიძულებ. ჩვენი დუმილიც მეტყველია. დუმილიც რეკავს. დუმხარ, – ჰგონიათ, ვდუმვარ, – ჰგონიათ, ვის არ დააბნევს ეს აგონია!.. ირგვლივ ომია, ირგვლივ ომია, ზოგს რომ ჰგონია – ცხელი ღომია, ეს მტერთა ჩვენთა მონაგონია, რომ წაგვლეკავენ, ესეც ჰგონიათ. თვითვე დაჰლუპავთ ეს აგონია! გეხვევი!.. გკოცნი!..“ ეხვევა. ჰკოცნის. ტაშია. ტუშია. დუდუკები აკლია, თორემ ტუშია. სადღაა დუდუკი?.. აზიელობა აღარა გვსურსო, გინდა თუ არა ევროპა ვართო. კეთილი ბატონო, იყავით ბატონო, მაგრამ დუდუკი ვის რას უშლიდა?. „არ გამაგონოთ დაფა-ზურნის ხმა!..“ ბრძანებდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი პროლეტარული პოეტი. პროლეტარებს რაღას უშლიდა?!. რუსებს უშლიდა: ეშხი დუდუკისა არ გაეგებოდათ რუსებსა და დუდუკსა დევნიდნენ პროლეტარიატის სახელითა. დაელო პირი ამასაცა და გაჰყვიროდა იმათ მაგივრადა: „არ გამაგონოთ დაფა-ზურნის ხმა!..“ გაჰყვიროდაო თუ ბრძანებდაო, – იმეორებდა, იმეორებდა. პოეტი იგი გარდასულა როდისაქეთია, გარდასულა რო პროლეტარული პოეზიაცა, ეს აგერაა, – რა პოეზიაა რო ვერ გაიგებ. ბაადურისათვის მაინც გაუგებარია. ის მაინც შენიშნა: ამას რო მისცა საანკეტო ბარათები, იმასაც მიაწოდა ზალიკომა. შენიშნა. გაუკვირდა. ნუთუ ესეც ახლა უნდა მიიღონ მწერალთა კავშირშიო. გაუკვირდა. არა რა თქმა უნდა, – კავშირის წევრი აკვნიდან იყო, მიეღო ყველა პრემიაცა, გალაკტიონის პრემია რო გამორჩენოდა, საიმისოდა სჭირდებოდა ის ანკეტები. ზალიკოს ანკეტები; ეს აგერაა: ეხვევა. ჰკოცნის. ზუზუნებს აპარატები. ისიც ეხვევა, ისე ეხვევა, ველარც გაიყრებიანო, გეგონება. განაღდებულია პრემიაი გალაკტიონისა. განაღდებულია. ბაადურს არ ესმის. არც გაეგება გარიგებანი ამდაგვარი. ვერც ვერასოდეს გაიგებს. არც ეფიქრება. არც ენაღვლება. ეგება რო არცა თქმულიყო?.. სიტყვამ მოიტანა. სიტყვა ქარია. ქარივე წაიღებს. ქარისა არც მოტანილი, არცა წაღებული, არაფერი არ მინდაო. თუ ქარია... მაგრამ რო არაო:მეხია, მეღგარია, ჭექა-ქუხილია, ქარიშხალია, დიდი რამ თილისმაც არის, დიდი რამ ცდუნებაც არის იგივე სიტყვაო. დიდი რამ, დიდი რამაო.

გაიყრებიან როგორც იქნება.

შემობრუნდებიან ერთს კიდევა, ოღონდ გვეყოფაო, მიჰხვდებიან. ლასხდომით მაინც ერთად დასხდებიან. პროზა. და. პოეზია. ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზეო.

პოეტური ყველაფერი იოლიაო, – გულისხმობს ბაადური, – ვნახოთ ერთი, სხვები თუ როგორღა გაიტანენ თავსაო. ფიქრად არ მოსდის, თვითონაც რო გამოიძახებენ. გამოიძახებს ფუმფულაი იგი კდემითა ისეთითა, ისეთითა... რაღა სათქმელია!.. ფუმფულაი იგი ანუ: საია. მამას თურმე სავლე რქმევია, დედას ია. სახელი აქედან შეუდგენიათ, სახელი – საია, სახელი – ერთადერთი, გამორჩეული, განსაკუთრებული, თავგამოსადები, პირველსაწყისი: „დედაენასაც“ რო მოაგონებს: აი ია – საია. ენას არ მოიჩლექ, – სისინებს, ბიბინებს. „ქალბატონი საია!..“ „ქალბატონ საიას!“ „ქალბატონ საიამ!..“ – სისინებს. ბიბინებს. შრიალებს. ღუღუნებს. სიო წყნარი. სიო ნარნარი. თუმცა, – ჰოო – მდარე არაყსაც უწოდებენ ქართლში საიასა. თბილისიც ქართლია, მაგრამ ქართლური მაინც დავიწყებია თბილისსა, დავიწყებია, ქართულსაც ივიწყებს, ითვისებს ყოვლად გარეგანსა, ანთუ თხზავს რაღაც უსახურსა, უშინაარსოსა. თუმცა ნარნარსაო, არა?.. ნარნარი იყოს. გიორგი ლეონიძეს მაინც აეხირებინა: თბილისი კახეთი გახლავთო. არაგვს აქეთ სულ კახეთია. ჯვარი და ზედაზენი კახეთი არისო. სვეტიცხოველსა თმობდა დიდი სინანულითა, ოღონდ იქავე დასძენდა ხოლმე: მერე და რაო, – მე ჰო მცხეთის სიძე ვარო. ველარ აუხირდებოდი. საიაც დაიკარგებოდა და წინწანაქარიცა, ორნახადიცა, ჩაიხუტებენ „სტალიჩნისა“ და ქუტავენ.თვალებსა. საიას დაარქმევენ ქალიშვილებსა. გაითამაშებენ ღამის ბარებშია, ჯერ რო „სტალიჩნის“ გადააყლურწებენ, მიუმარჯვებენ „პშენიჩნისაცა“. ლარსის საბაჟო გაიჭედება სპირტის ალალებითა, ამერიკულიო თუ ალახმა უწყის საღდაური აღარა, სპირტის ალალებითა ლარსაც დაიჩემებენ. ნოტებს გასცვლიან საქართველოსი და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროები. და თვით რუსთა პრეზიდენტიც აღიმაღლებს ხმასა, ენა რო პირში არ უდევს, ისე აღიმაღლებს ხმასა: ლარსის აქეთაო ფეხს ვერ გამოადგამს სპირტიო. სხვამ იკითხოს, თორემ იმას რა ენაღვლება: გადმოფრინდება, ლარსში ჩაჭყლურტავს. ლარსსაც აიკრავს ქუსლებზედაო. კრემლში მოჰბეზრებია, მყინვარზე გამართავს მერე ბარციბურცსა. საია!.. რამდენი რამ მოჰყვა ამ – საიასა, – ფუნჩულებს, ფუმფულებს, აკადემიკოსს იხმობს, ფიზიკისა, ასტრონომიისა, მათემატიკისა თუ ყველაფერ ამის აკადემიკოსსა, თხელსა, ტერეფასა, ხანდაზმულსა, დაჩაჩანაკებულს არა, არა – რა სათქმელია – შეცქვიტებულსა. ასეღაც დაიწყებს:

„ქალბატონ საიას ვუძღვნი უღრმეს მადლობას, ქალბატონ საიას, ამ მშვენიერი შეხვედრის თაოსანსა და წინამძღოლს!.. მე მან მომიწვია. თუმცა ავტორმაც რამდენჯერმე დამირეკა, მანქანაც გამომიგზავნა, მაგრამ მაინც არ მიწყენს თუ უპირველეს მადლობას მივუძღვნი ქალბატონ საიას, ჩვენი მწერლობის უპირველეს თაყვანისმცემელს, მკითხველთა უპირველეს მოციქულს წიგნიერების სამყაროში!.. არ მიწყენს, არა!.. რაც შეეხება ჩვენს ავტორს, ბევრჯერ მითქვამს და ახლაც ვიმეორებ: მე მოხიბლული ვარ მისი მშვენიერი რომანებით, მისი მგზნებარე პუბლიცისტური წერილებით. მოხიბლული ვარ საერთოდ და ახლა მთლად გონების დამკარგავი ნაწარმოების წინაშე აღმოვჩნდი. დიდი ხანია ასეთი ნაწარმოები არ წამიკითხავს. ვკითხულობდი გატაცებითა, ვკითხულობდი და ვშიშობდი, რო მალე არ გათავებულიყო. არა და თავდებოდა, თავდებოდა და უარესი შიში მიპყრობდა. იძულებული გავხდი: ცოტ-ცოტა წამეკითხა. ბოლოს იქამდისაც მივედი: უკანასკნელ გვერდს ერთი თვე მოვანდომე, სრული ერთი თვე!..

„თთუე სურწყუნისა!..“ შესძახებს პოეტი. ბოლო გვერდი გადაეშალა. მოესწრო კიდევაცა, სტრიქონები რო გადაეთვალა: „თებერვალი. ოცდარვა!..“

„ნაკიანი არ იყო ეს თებერვალი?..“ ვიღაც იკითხავს.

„ერთ დღეს დაისვენებდა...“ არ იბნევა პოეტი.

არც აკადემიკოსი არ იბნევა, სახელმწიფო

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკადემიის აკადემიკოსი, – თვითმარქვია აკადემიკოსი ჰო არ იყო?!. განაგრძობს თავისას: „ეს უკვე წიგნის გამარჯვებაა, დამეთანხმებით. მე ეს ავტორს უკვე მოვახსენე. სხვაც ბევრი, ბევრი რამ მოვახსენე. მე მინდოდა ეს საჯაროდაც გამომეთქვა. და ეს სიამოვნება მე მომანიჭა ქალბატონმა საიამ. ამიტომაცა ვარ მე მისი მადლობელი, უღრმესი მადლობელი!..“ ასედაც დაამთავრებს. ტაშსაც შემოჰკრავს, არ დამასწრონო. ლამის დაასწრებენ. ტაში ურჩევნიანთ ყველაფერსა: მოსმენასაცა, ლაპარაკსაცა, საქმეს ჰო – რა თქმა უნდა, ყველაფერს ტაში ურჩევნიანთ. მაგრამ ჯერ საქმეო, ნათქვამია. აქ საქმე მაინც ლაპარაკია:

„ბატონო დევი!..“ აცხადებს ქალი ფუმფულაი.

და შეირხევა იგი ნაცეკარი, მართლაც რო დევიო, გატიკნული ისე იმგვარადა, თუმცა ცოტა შეფერთხილიყო, კანი მოშვებოდა, მაინც შერჩენოდა გაბერილობაი ძველი. მაინც შერჩენოდა. ის ფუმფულაო, ეს გაბერილიო, – გეხამუშებოდა ჟამსა შიმშილობისა, პურის რიგებში რო ათენებდა ხალხი; გეხამუშებოდა დამენათევი ხალხის რისხვაც თუ განგეცადა, – რაც უნდა იყოს: შემორჩენილიყვნენ ასეთებიცა სხვათა თვალის დასაბრმავებლადა, ანთუ გამჩენი თუ ერთობოდა. სხვა დანარჩენნი შეთხელებულან, თუმცა არც ისე, როგორც რო ეს აკადემიკოსიო, – ცრუ არა, ნამდვილი. გვერდიგვერდ დამსხდარან. იტყვი: აი ეს დევი და აი ესეც ნაცარქექიაო. ნაცარქექია დევს არად აგდებს, ზედაც არ უყურებს, – ერთი მიესალმა და მორჩა, არ უყურებს. ახსოვს: დიდხანს რო აყურყუტებდა თავის კაბინეტის კართანა, სხვებსაც აყურყუტებდა, ამასაცა რადა თქმა უნდა. არ ეცალა. დიდი კაცი ბრძანდებოდა. მალე თუ მიიღებდა, – მოცლილი ეგონებოდათ. არ ეცალა. აყურყუტებდა. აღარ უყურებს. მაინც ის დევია, – ჰქვიან კიდევაცა, ეს – ნაცარქექიაო, თუმცა არა ჰქვიან, ტანად ეგრეა და სახელი რაღა საკითხავიაო. მაინც ის დევია, მაინც მზადაა, ცხრადაც მოიკეცოს ამის წინაშე, ახლა ცხადია, მზადაა, აპირებს, აპირებს და აპირებს, ეს ოდნავადაც არ მიჰხრის თვალთა. ის დრო ერჩივნა: მოსაცდელში რო აყურყუტებდა ამისთანებსა; რო აყურყუტებდა მამაშვილ გამსახურდიებსაცა, ერთადა ორივესა – მამაშვილსა: მამას რო ნიკაპი ჩამოვარდნოდა და ეხვეწებოდა ეგრე ნიკაპჩამოვარდნილი, ეს ერთიც აპატიეთ, ნუ გარიცხავთ მწერალთა კავშირიდანაო, აღარ იზამსო. შვილიც თავს იქნევდა: აღარ ვიზამო. ის დრო ერჩივნა: კმაროდა ხელის აქნევაი ამისი, მწერალი გაერიცხათ მწერალთა კავშირიდანა. კმაროდა. კმაროდა. ენაც რო არ დაესველებინა. ახლა: სახვეწური გახდომია: ეგება მიმიღოთო. მიიღებენ რადა თქმა უნდა. ის დრო ერჩივნა: უფრო ადვილად მიიღებდნენ. უხრიკავი გავიხადე სახრიკავადაო. ანდაზაა. არ ეცოდინება. რეიგანი სხვა არის: რეიგანს დავიწყებოდა ქართული ანდაზები, აბონი რო წუხდა თუ სძრახავდა?.. ამას არც არასოდეს არ ეცოდინებოდა. რუსულად მოზელილიყო. რუსული ჰქონდა საფანელი. რუსულად ესმოდა 801, 921-იც რუსულად ესმოდა, 24-იცა რადა თქმა უნდა და ნუმც გაგიკვირდება: 37-იც რუსულად გაეგო, – სოლჟენიცინის თვალით უცქეროდა და არა ლევან გოთუას თვალითა. რაც უნდა იყოს: 37 თუმცა არეოდა, გარდაქმნილიყო თითქოს ესეცა. მხურვალედ მიესალმა ბაადურსაცა: ორივე ხელით ჩამოართვა ხელი, გამხდარი ხელი, ტატყი ხელებითა; მხურვალედ მოიკითხა, ვითომ რო ერთხელ დაჭერით არ ემუქრებოდაო. ფეხქვეშ მიწა უნდა ეწვოდეს ამის ავტორსაო, – ბაადურის მომცრო წიგნი ეჭირა ხელში: „ფილოსოფიური მიმდინარეობანი თანამედროვე დასავლეთში“, ეჭირა და სჭექდა საორშაბათო თათბირზედა, „ვინ არის ეს ვიღაც ბაადურ რიკოთელი, ამდენიც რო არ გაეგება, – ფილოსოფია რო ერთია, ერთადერთი, მარქსისტულ-ლენინური, და ისიც მხოლოდ საბჭოთა კავშირშია?!. ვინ არის, თავი რო მოსძულებია?!.“ სჭექდა. იმუქრებოდა. და მიდიო, – ურჩევდნენ ბაადურსა, – მიდი. გაგიცნოსო. შეცდომა აღიარეო. არ მივიდა. თურმე სცნობოდა. თვითონვე გამოეშურა ამისკენა, ორი ხელი ჰო გაუწოდა, მოკითხვითაც მოიკითხა ორივე ყბითა. გაჰქრობია ჟამი მუქრობისა. დასდგომია ჟამი ფერაობისა. ეფერება. ეფერება. ყველას ეფერება. ზალიკოს ბარათებსაც ეფერება, ოღონდ მიმიღონ მწერალთა კავშირშიო, ოღონდ მაკარონი მარგუნონო. რა დრო იყო!.. ძრწოდა მწერალთა „კავშირი“: დევი მოდისო, რო გაისმოდა. და ჰო აწყდებოდა კედელ-ყურესა შოთა ძიძიგური, – ბავშვობაში დევით მაშინებდნენ, ახლაც იგივე შიში მიპყრობსო. რა დრო იყო!.. დრონი მეფობენო. დრონი?!. თუ ბრბონი?!. ჯაპნაბას ბრბონიო. მაინც არ ეშვება.

სწუხს ბადური: რატომ მოვედიო.

ზალიკოს ბარათებიც აწუხებს, თვალებიცა ქალბატონ საიასი, ანიშნებს: დევი მორჩება, მერე შენი ჯერიაო, ანიშნებს, ბარათსაც გადააწოდებს: დევის მერეო. არც დევის მერე უნდა, ნაცარქექიას მერე ჰო არა და არა. უჩინმაჩინის ქუდს ინატრებს. აქა მჯდარიყო. ვერც ვერავის ვერ შეემჩნია. არა. არა: გაიპაროს ის ურჩევნიან. არც საღ ქუდი უჩინმაჩინისა, არც საით საშუალება გაპარვისაო. ამ დევმა მაინც იბაყბაყოს და იბაყბაყოს, ილაპარაკოს და ილაპარაკოს, მაინც მონატრებულა ლაპარაკსა, ლაპარაკად იქცეს, დაჰქანცოს, დააოსოს ჯამაათი. ილაპარაკოს. ილაპარაკოს დაუსრულებლადა.

როცა იქნება ჰო მორჩება?..

მორჩება.

ბაადური ამოისუნთქებს: სხვა დაასწრებს. გაეხარდება ბაადურსა. ეგება კიდევ სხვამ დამასწროს, სხვებმა დამასწრონო. რამდენს მოსწოლია სათქმელი, ლამის არის გადმოიდვაროსო.

ის სხვა მაინც მომცრო ქალია. ადგება. ცოტათიდა ასცდება ფუმფულა ქალსა. ფუმფულა ბაადურს ებოდიშება, თვალებითა რაღა თქმა უნდა. ბაადური სულაც უარზეა. რასა ბრძანებო, უკვირს ფუმფულასა. ხოლო ის ქალი, მომცრო ქალი, ვეღარა ჰფარავს მგზნებარებასა:

„მინდა სხვებს დავასწრო, ვეღარ ვითმენ. გამიგებენ. მომიტევებენ“. ხმა ცივია, ყინულიანი, ცოტა მყივანიცა, არ შეეფერება თვალთა წვრილთა, გაფიცხებულთა, თითქოს ისრებს რო ისვრიანო. „აღტაცებას რო ვეღარა ვფარავ, ამისი ბრალია. გამიგებენ რაღა თქმა უნდა. აღფრთოვანებული ვარ, რაც აქ მოვისმინე. მე თვითონაც რო წამეკითხა, უარესი დამემართებოდა. მაგრამ ვერ მოვასწარი. იცით, გუშინ თუ რა გვიან დამთავრდა პარლამენტის სხდომა. შინ გვიან დავბრუნდი. წიგნიც ის იყო მომიტანეს. მე წიგნს ვეცი რაღა თქმა უნდა. მაგრამ სამწუხაროდ წაკითხვისათვის ძალა აღარ მეყო. თქვენ იცით თუ რა დამქანცველია პარლამენტი!.. ჩამძინებოდა და იცით თუ როგორ ჩამძინებოდა?.. წიგნზე დამეყრდნო თავი, - ეპოპეაზე, ეპოპეაზე, საუკუნის ეპოპეაზე, როგორიცა ბრძანებდა ქალბატონი საია, ბატონი აკადემიკოსი, ბატონი დევი. ბატონი დევი!.. ბატონი დევი განსაკუთრებული ფენომენია. განუდგა ის გამსახურდიას რეჟიმსა. ჩვენ თანაგვიგრძნობდა, ჩვენთან იდგა სახალხო რევოლუციის დროსა, მაგრამ რატომ არ არის ჩვენთან ერთად პარლამენტში ან რატომ არ უჭირავს რაიმე თვალსაჩინო პოსტი ხელისუფლების ორგანოებში, ეს ცოტა არ იყოს გასაკვირია. ბატონი აკადემიკოსი აქაც, როგორც ჩვეულებრივ, მშვენიერადვე ლაპარაკობდა რაღა თქმა უნდა. და მე იმისი თქმა მინდა, ანთუ ვერც გამოვთქვამ თუ რა აღტაცება მელის, ამ დიდებულ ეპოპეას რომ ჩავუჯდები!.. მოლოდინი უფრო ტკბილია. კიდევ კარგი რო დაღლილს ჩამეძინა. დაღლილი იმდენს ვერ განვიცდიდი. მოლოდინმა სიხარული გამიხანგრძლივა. ან ის რა იყო, წიგნთან ერთად რო ჩამძინებოდა ან ის რა იქნება, წიგნს რო დავამთავრებ, - ადვილად წარმოიდგენთ თუ რა ბედნიერი ვარ!..“ მარცხენა სილა წამოუშვერია. მარჯვენა შეუდგამს კვარცხლბეკადა, მოქანავე კვარცხლბეკადა: დაინახეთო, კარგად გაახილეთ თვალიო, ეს ის სილაა, აქეჩნილი თმა რო გადაუსწორა სახელმწიფოს მეთაურსაო. ისაა. ის არის. გადაუსწორა. დაუტკეპნა. ავტორს შესცქერის. მაგრამ და რაო, - არც რა აქვს დასატკეპნი, ღერიც არ აბია ავტორს თავზედა. სხვებს ჰო აქვთ, - თავზე ხელს გადაისვამს ბაადურიცა უნებლიედა. სხვანიც გადაისვამენ თავზე ხელსა. აიძულებს, ისე გამგიჟვია სახეი ი პატარა ქალსა, გამგიჟვია ისარივითა. ვერ აიძულებს ქალბატონ საიასა. საგულდაგულოდ აუფუებია თმები. ადვილად არავის დამორჩილდება. „ცალკე უნდა აღინიშნოს ენა და სტილი ნაწარმოებისა,“ განაგრძობს იგი, განაგრძობს ისე აღტაცებული, ლამის გაფრინდესო. ლამისაო. ლამისაო. და ვერ ამჩნევს რაღა თქმა უნდა თუ როგორ შეიმშუშნება ავტორი: ეს უჭირს, ძალიან უჭირს, ენა უჭირს, სტილისა არაფერი არ გაეგება. დუმდნენ ამაზე ნომენკლატურული კრიტიკოსებიცა. დუმდნენ. მოსარიდი თანამდებობა ეჭირა ყოველთვისა. დუმდნენ. და ეს რო გააფრენს თუ ლამის გაფრინდესო, ის შეიმშუშნება. ავტორი. თუმცა ესეც არაფერიო: „მე მჯერა,“ სჯერა ამ აფრენილ ქალსა, „ჩვენმა ლიტერატურამ შეიძინა უბრწყინვალესი ნაწარმოები, რითაც იამაყებს ჩვენი ეპოქა აწ და მარადის, - მჯერა და ვულოცავ ავტორსა ცხადია და პირველყოვლისა და თქვენც ყველას გილოცავთ!..“ გეხვევი, გკოცნიო, აღარ დაუტანებია. ელოდნენ. არ უთქვამს. იქავე ჩაჯდება. დევიმ მანამდე იჯერა გული. თქვა კიდევაცა. გადააბოტა კიდევაცა. გადაეხვია და ბუბნიდა ავტორსა დიდხანსა, ანთუ ენება: გულში ჩაეკრა, ჩაეკრა და ჩაეკრა, აღარ ამოეღო გულიდანა. ზალიკოს ბარათები მაინც გადაივლის თავთა ზედა: აფუებულ თავთა, დატკეპნილ თავთა, მოტვლეპილ თავთა ზედა. პატარა ქალი მადლობას უძღვნის, - ტანად პატარა, დიდი მგზნებარებითა.

ფუმფულა იმას ყურადღებას აღარ მიაპყრობს: „სიტყვა ეკუთვნის ბატონს ბაადურსა!..“ აცხადებს ფუმფულაი. „ვჩქარობ გამოვიხმო ბატონი ბაადური, თორემ აქ ისეთი აღმაფრენაა, იმდენი მსურველია გამოსვლისა, დრო აღარ გვეყოფა. ბატონი ბაადური დიდიხანია აღარ გამოჩენილა. ბატონი ბაადური ისეთ ყოფაში ჩააგდეს „მრგვალებმა“...

„რა შუაშია „მრგვალები“?!“ წამოწითლდება წოპწოპა ქალი. კარებთანა ზის. წამოწითლდება. შეირხევა.

„თქვენ ჩემზე უკეთესად იცით!..“ ფუმფულა ცდილობს თავი შეიკავოს. სიტყვითა ცდილობს, თორემ წამოენთება სახეცაო, თვალებიცაო.

„დიახაც რო ვიცით!..“ შეუვალია წოპწოპაი.

„რა იცით?!“ ჩაიცხრობს თავსა ფუმფულაი, მოიგულუპრყვილოებს თავსა.

„რაც ვიცით!..“ წოპწოპა გამოსცემს რაღაც იდუმალსა, მრისხანესა.

„არაფერიც არ იცით“, ფუმფულა მოუჭრის, „არც იცოდით და არც არასოდეს არაფერი არ გეცოდინებათ!..“ მოუჭრის. წესრიგიო, მოუწოდებს.

წაკიდებულიყვნენ. იცნობდნენ ერთმანეთსა. პატრიარქის წინაშეც წაკიდებულიყვნენ. წამოდიო, - წოპწოპა ეწეოდა პატრიარქსა: დეკემბერი რო გახლდა 91 წლისა. - ხალხი გახლეჩილა, დაპირისპირებია ერთიმეორესა, წამოდი, შეარიგე, არ დაჭამონ ერთმანეთიო. წოპწოპა ეწეოდა. გადაჰღობოდა ფუმფულაი: შენი ჭკუის დასარიგებელი არაფერი არა სჭირს პატრიარქსაო. თავისი საქმე თვითონ იცისო. გადაჰღობოდა. წაკიდებულიყვნენ. დამშვიდდით შვილნო ჩემნოო, - ღუღუნებდა პატრიარქი. ესენი აქამდე ჭამდნენ ერთმანეთსა: ჭამითა ჭამდნენ და ვერც დაეჭამათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



„წესრიგი!..“ ქირქილებს წოპწოპაი, „ქვეყანა დააქციეს და ახლა წესრიგი მონებებიათ!.. წესრიგი!.. ჰაჰაჰა... წესრიგი!..“

„დიახაც წესრიგი!..“ მკაცრობს ფუმფულაი. გადაჰკრეფია სახიდანა სათნოებაიო თუ სასოებაიო. ცოტაც და: აწივლდება. ცოტაცა, სულ ცოტაცა. „ხალხი დაიღალა!..“ ჯერ ამას იტყვის. ისევ ბაადურს მიუბრუნდება: „ბრძანეთ ბატონო!..“

არც წამიკითხავს და ვერც ვერაფერს ვიტყვიო, - ეს მოსდგომოდა ენაზე ბაადურსა, მაგრამ ეს, „ხალხი დაიღალაო“, - ისიც - რომანშიც რო „ხალხი“ ამოიკითხა და: „ხალხი“ დაბზრიალდა, „ხალხი“ დატრიალდა, დაკოწიაწდა „ხალხი“ დაავიწყდა, რაც უნდა ეთქვა, „ხალხს“ მიაგდეს და „ხალხს“ შეესია: „ხალხია“ დიდი უღელტეხილიო: აქეთ ერია და იქით ბრბოო, ანთუ აქეთ ბრბოა და იქით ერიო, რაც უნდა იყოს, ხალხია, რაც არის, უბედურების საშოც ის არის, ბედნიერების საშოც ის არისო; ხალხიდან იშობაო ერი და სახელმწიფო, ბრბო და დაპყრობაც ხალხიდან იშობაო. დაიღალო, - რა სათქმელია. ხალხი რწმენაა და რწმენა არ უნდა დაიღალოს. თუ დაიღალა, - თავდება ხალხი. მერე ბრბო იწყება. ხალხი ბრბოს აირეკლავს, გადაიყრის, რწმენა თუ ურყევია, რწმენა თუ ხალხია. რწმენა ზნეობაა, უაღრესი ზნეობაა, და ხალხი ზნეობის სიდიადეა. სარკეა იგი უზენაესისა ამა მიწიერ სამყოფელშია, სახიერებაა ათი მცნებისა. ხალხი ათი მცნებაა. მერე იწყება ერი. მცნებაი ათი, იგი ამას აღარ ითვალისწინებს. თორმეტი უნდა ყოფილიყო. სავარაუდოთ დატოვეს ორი. რაღა არ მოჰხდა ამ ოც საუკუნეში, რაღა არა!.. რა რიგად დაუპირისპირდა ხალხები ერთიმეორესა, რა რიგადა!.. წმიდა მამები ამ სიმრავლეს ვერ წარმოიდგენდნენ. ხალხები ერებად იქცა. ერები მუქარის ქვეშ მოექცა. აღიმართა ბუმბერაზი სახელმწიფოები. გაჩნდა გაუგონარი გამანადგურებელი იარაღი. თითქოს აღარც აღარაფერი აღარ იხსნის ადამიანსა. ხოლო თუ იხსნის, ისევ ზნეობა თუ იხსნის. ხალხს ზნეობა იხსნის. ერი სახელმწიფოს იხსნის. სახელმწიფო ერს იხსნის. და ალბათ წმინდა მამებს რო წამოახედათ: დაუმატებდნენ კიდევ ორ მუხლსა მცნებათა ჩვენთა: არა გასცე ერი შენი და არა ჰზოგო თავი შენი, სამშობლო რო მსხვერპლს მოითხოვდეს. დაუმატებდნენ აუცილებლადა. მცირე ბზარიც შეარყევს ერსა, მცირეი, სულ მცირეი, თუ მოქცეულა სხვათა და სხვათა რწმენათა შორისა. და უარესი მაინც ის არის, ერთმორწმუნე თუ გემეზობლება, ერთმორწმუნეი იმდაგვარი, რო არად უღირს დარღვევაი მცნებათა, ათივე მცნებათა, დარღვევაი და აღრევია, არაფრად უღირს, - სჩადის რაც უნდა, ცურავს წუმპეში და შენც შიგ გითრევს. გითრევს და გბილწავს. გითრევს და გაოხრებს. გაჩანაგებს. გატიალებს. სხვა რაღა გიხსნის თუ არა ის, რო არ გავიწყდებოდეს სამშობლოი შენი, ერი შენი არ გავიწყდებოდეს და ტყავისა შენისა საცოდავობითა არ წაიბილწო სული შენიო. - და მიდის, მიჰყვება, ჩაფლულა სიტყვებში თავისაში ბაადური. რუსთაველსაც მოიშველიებს: მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერიაო, - სხვათა და სხვათაცა, მაგალითები უამრავია, დაუგროვებია თავგანწირულ ისტორიასა, მოღალატურსაც უამრავი დაუგროვებია, ამათაც იციან, მიაშველებენ კიდევაცა, ეწინააღმდეგებიან კიდევაცა: რაღა იქნება ათი მცნებაო, ჩამატებანიც თუ დავიწყეთო. ნუ ჩავუმატებთო, - არ აუხირდება ბაადური, - ცალკე დავიდოთო, ჩვენ კიდევ დიდი განსაცდელი გველის, მცნებანიც მეტი დაგვჭირდებაო. „არც ძველი ჭირისაგან გავნთავისუფლებულვართ, ახალი ჭირიც წამოგვეწია. საერთაშორისო სტანდარტები!.. სტანდარტიზაცია!.. ვითომ უბრალო ტექნიკური ცნება არისო, ვითომაო რაღა თქმა უნდა, სინამდვილეში იგივეა რაღა თქმა უნდა: დიდ ქვეყნებს რო უნდათ შთანთქან პატარანი. იგივეა და ხალხიც იმავე განსაცდელის წინაშე წამდგარა. ხალხი. ხალხი. ხალხი. აქეთ ერი და სახელმწიფო, იქით ბრბოი და მონობაი...“

ავტორი იშმუშნება.

ზალიკოც იშმუშნება. კიდევ შერჩენია დასტაი თავისი ფურცლებისა. ეს ამიტომ თუ იშმუშნება.

ფუმფულაც იშმუშნება:

„ბატონო ბაადურ!..“ ფუმფულა შენიშნავს მოკრძალებითა, თვალთა ქუქუნითა.

მიჰხვდება ბაადური. არც აცივებს და არც აცხელებს, ჩაჯდება უმალვე. უმალვე სხვანიც წამოცვივიან. ლაპარაკობენ ჯერ ერთადა. მერე დააცდიან ერთიმეორესა. მერე ისევ ერთად ატყდებიან. მერე დააცდიან ისევა. აქებენ. ადიდებენ. ეს აქტუალობაო. ესაო-და სიუჟეტის სიმძაფრეო, ესაო-და ფორმის სიახლეო, ესაო-და ესაო; ვიღაცა ენასაც გადასწვლება, ვიღაცა სტილსაც გადასწვლება ქებითა და მოწონებითა. სახეზე ფერფური აერევა ავტორსა. აქ ჰო უჭირს: ენა უჭირს, სტილისა არაფერი არ გაეგება, - იცის, რო უჭირს, იცის და ამტკიცებს: რომანი სიუჟეტია, ენა და სტილი ზედმეტი სამკაულიაო. თვითონ იცის, იმას არ წაუკითხავს არც რომანი ამისი, არც ის „თეორიული ოპუსები“, მერე და რაო, - მიერეკება და მიერეკება. კარგადაც მიერეკება, ოღონდ ენას დაანებოს თავი, ოღონდ სტილს დაეხსნასო, - იღრინება ავტორი. ესეც ჩათავდება. ესეც არაფერიო. აღტაცებანი ყველაფერს დაჰფარავენ. უხერხულობა ჩაიფარცხება. ფეთქდება შამპანური, ფეთქდება და ფეთქდება. წკარუნობს ჭიქები. დგაფუნობს ტაში. ტლაშუნობს ტუჩები. ჰკოცნიან ავტორსა, ერთმანეთსაცა ჰკოცნიან, აფოფინებული შამპანურითა. ვინ უწყის თუ სადაური შამპანურითაო. ვინ უწყის?!. შამპანურს რო არა ჰგავს და ვერც ვერავინ გაიგებს დედამიწის ზურგზედა თუ რასა ჰგავს. შემოუტანიათ. ეზიდებიან. და მერე ეს: ღვინის ქვეყანაში, საიდანაც წაიღეს ვაზი, ღვინის

დაყენებაც საიდანაც ისწავლეს, სახელწოდებაც საიდანაც გადაიღეს. ესენი ააშენებენ ქვეყანასა?!. აღარც დოვლათიო. აღარც გემოვნებაო. ტაშით დაიღუპნენ. და. ტაშს არ ეშვებიან. ბოლო ტაში პოეტს ერგება. იმას აღარა. იმან მოათავა. პოეტები იქ სხვებიც გახლდნენ. ყველამ აიქაფა პირი. რომანისტი არ დასწრებია არცერთი, „ნოველისტიც“ - არა. ხოლო ეს პოეტი ჰო გამორჩეულიყო ექსპრომტებითა: იუბილარებს მიესალმებოდა, ყველა იუბილარსა, ყოველ იუბილეზე /„იუბილეი გახშირდა, როგორც მაისის რწყილები“/. ყოველზე, ყოველზე, გამოუტოვებლადა და ყველას უსურვებდა ნობელის პრემიასა, - არც მეტი, არც ნაკლები, ნობელის პრემიაო, - უსურვებდა და უბოძებდა გაუხუნარ ექსპრომტსა თავისასა გამოყვანილსა ლამაზი ხელითა პერგამენტზედა. ამას ხბოს ტყავზე გამოყვანილს უბოძებს, გამოყვანილსა საკუთარი ხელითა რაღა თქმა უნდა: „მე ვარ ბიჭი ხობელიო...“ რომანისტი ხობელი არ იყო. თუმცა ლექსში ეს რა გასარჩევია, რითმა თუ მოითხოვსო. ჰოდა: „მე ვარ ბიჭი ხობელიო, პრემიათა მფლობელიო, მაკლიაღა - ნობელიო, მრავალ გულთა მპყრობელიო; მომეკუთვნა მე ზეცითო, აიღეთ და მომეცითო“, ტაში და ტუში. ბათქი და ბუთქი. მტლაშა-მტლუში. ვინ ვისა ჰკოცნის აღარ გაირჩევა. ვინ ვისაო და: ყველა ავტორსაო. აპოთეოზია. მეტი რაღა ითქვას. ეს „აპოთეოზი“ მაინც კარგახანია შემოჭრილა ჩვენში. ალექსანდრე ყაზბეგსაც გამოუყენებია დრამებში.

„აპოთეოზი“...

ბაადურს საკუთარი აპოთეოზი ელოდება: ტელეფონი წკრიალებს. ქეთევანია: უშიშროების სამინისტროში გიხმობენო. ტელეფონითაც დარეკეს. უწყებაც მოიტანეს და თანამშრომლებმაც მოგაკითხესო. ბრმად ნუ ჩაუვარდები ხელში. უუშანგოდ არაფერი არ გადასწყვიტო. თავს ნუ გამოიდებ: მართალი ვარო. მაგათთვის ერთია მართალიო და მტყუანიო. ერთიაო. სულერთიაო. უმეორებს. უბეჯითებს.

## XXI

დიდ რამედაც არ ჩაუგდია ბაადურსა შიში ქეთევანისაი.

უშიშროებას ჩემთან რა უნდა ესაქმებოდესო.

პოლიციას კიდევ - ჰოო: მიზეზებს თუ ირკვევს იმ ავბედითი დემონსტრაციისაო. თუმცა რომელი აღარ იყო ავბედითიო, ანთუ რაღა გამორკვევა უნდა, ანთუ რა თავს გაიცხელებენო. აღარ მოჰხდეს, აღარ განმეორდეს, - მეტი არც არაფერი აღარა ნებავთო; ანთუ უშიშროება ასეთ საქმეში რად უნდა გარეულიყოს?.. ანთუ რა არის ისეთი, უშიშროება რო არ ერეოდეს, გარდა ეროვნული უშიშროებისა. ეს არ ეკითხება, - ერი არ ეკითხება, ბრბო ურჩევნიან, და ბრბოში ყველგან ცხვირსა ჰყოფს. ხალხი. ერი. ხალხი. ბრბო. - ამას თუ გამოედო?.. ჯერ ეს ჰო არც დაუწერია, არც თუ საჯაროდ სადმე წარმოუთქვამს?!. არ წარმოუთქვამს?!. აბა ის რა იყო, - პრეზენტაციაო თუ რაც თუ რა იყო?!. ბევრი არაფერი, ის არაფერი, იმისთვის ვერც მოიცლის უშიშროებააო თუ რაც თუ ბრძანდება. პოლიციის საქმეში ჩარეულა, ძარცვა-გლეჯაში ჩარეულა. ვინ მეტი, ვინ მეტიო. კორუფციაო. რეკეტიო. კონტრაბანდაო. ნარკობიზნესიო. სიტყვები სიტყვებადა. მოქმედება მოქმედებადა. თვითონ სჩადის და სხვებს იჭერს. არა. არც სხვები ბრძანდებიან მამა აბრამის ბატკნები. ეკუთვნით. იჭერენ. ამათაც რო ეკუთვნით?.. ამათაც დაიჭერენ, რიგით არის, ყველას უწევს თავისი რიგი. დაიჭერენ. ვინც გაასწრებს ჰო გაასწრებს, ვინც ვერა და დაიჭერენ. დაიჭერენ. დაიჭერენ. დაჭერობანაა გამალებული. გვარდიას ხელი მოუთავეს. მხედრიონი მისჩიხეს. საპოლიციო რეიდები მოედო თბილისსა, რაიონებსაც მოედო. ჩემი გეგმითაო, - ჰო ბურდღუნებდა ბატონი ზეიკიძეი, - მე გამრიყესო, - ბურდღუნებდა. გულში მადლობელიც გახლდა: რო არ დამიჭირესო. იმუქრებოდა კიდევაცა: აბა ერთი დამიჭირეთო. გარიყვით მაინც გარიყულიყო. ჯავშან-სატანკო ნაწილები მოქმედებდა დამღამობითა, - ვერტმფრენებიცა. ომიაო, გეგონებოდა, ხან აქა, ხან იქა: ერთბაშად დაესხმოდა, ერთბაშად მოგუდავდა მოულოდნელადა. მოგუდავდა მძინარეებსა. მერე ციხეებში გამოფხიზლდებოდნენ. მერე რაღა დროსა?!. მხედრიონი ნადგურდებოდა, კბილებამდის შეიარაღებული მხედრიონი. ცალცალკე საძმოებად განლაგებულიყო რაიონებში. საშიში რამ ძალა გახლდა, ერთად თუ მოიყრიდა თავსა. კიდევაც აპირებდა. ელოდეთ სამოქალაქო ომსაო, - პარლამენტს აშინებდა ჯაბა იოსელიანი. ეგება რო: არც აშინებდა, ეგება რო: რაღაცას უცდიდა, ანთუ რა იყო, - ყოველშემთხვევაში მზად გახლდა ყოველი: დაიძახებდა და აიშლებოდნენ. იმუქრებოდა და იმუქრება. თამამადაც იმუქრება. არხეინადაც იმუქრება. თანაც დასცინის პარლამენტარებსა: ციხისა თქვენ გეშინოდეთო. დასცინის. დასცინის. თორემ მე რაო: ჩემი დამჭერი კაცის შვილი აღარ მეგულება, ოღონდ თუ მაინც გამიწყრა ღმერთი, უკეთეს ადგილს მე დამითმობენ, ფანჯარასთანაო, რადიატორთანაო. ქურდული კანონითა. პარლამენტის რადიატორები ველარ გაუთბიათ, ციხეს ვიღა გაგითბობსო, - ვინმე შეჰბედავს. გამითბობენო, - ამშვიდებს ჯაბაი. თვითონა სჯერა. იმასაც ამშვიდებს. პოლიცია მძვინვარებს. ჰქრება საძმოები სათითაოდა. იცხრილება ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, იცხრილება, იცხრილება. აჭარას გარს უვლიან. ერიდებიან სამეგრელოსა, უკვე დარბეულსა, გამწარებულსა. რუსთავი უძლებს. თვითონვე იმუქრება რუსთავი. უშიშროებაშიცა სხედან რუსთაველები, რუსთავის საძმოშიცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



უძლებს. თვითონ იმუქრება. თავსაც გაუჩეხს სახელმწიფო მეთაურის რწმუნებულსა ქვემო ქართლშია, თავსაც გაუჩეხს და შუაგახლეჩასაცა ჰპირდება. ის ჰპირდება. მძლავრობით იმძლავრებს კვირაიას პოლიციაი: რუსთავსაც გაცხრილავს და უშიშროებასაცა მხედრიონელებისაგანა. ცოტა შეკრთება ჯაბა იოსელიანი, შეკრთებაო თუ უკან დაიხევს, ტაქტიკურადაო, დაუმატებენ. როგორც თუ რაო: მხედრიონი აღარა ვართო, - აცხადებს პარლამენტში, ტელევიზიითაც აცხადებს, პრესკონფერენციასაც მოიწვევს, - მაშველთა კორპუსი ვართო: სპიტაკს მივეშველეთო, ირანს მივეშველეთო, რაჭა-ლეჩხუმს მივეშველეთ მიწისძვრის დროსაო, ხანძრები ჩაგვიქვრიაო, ომითაცა ვომობდით, დაჭრილებიც ჩვენ გამოგვყავდაო, ქვრივობოლთაცა ვპატრონობთ, მშიერტიტველთა ქომაგნიც ჩვენა ვართო, რას გვერჩით, რა გინდათ ჩვენგანაო. არაფერსაო, - ისაწყლებს თავსა სახელმწიფოს მეთაური, - იარაღი ნუღარ გინდათო, ომი ჰო აღარ არის, - იარაღი თავდაცვის სამინისტროს ჩააბარეთ, თქვენ სახანძროსა და სასწრაფო დახმარების მანქანებს მოგცემთო. სხვა რაღა უნდა მაშველთა კორპუსსაო, - ისაწყლებს, ისაწყლებს თავსა სახელმწიფოს მეთაური, - მთამსვლელებსაც თუ მიეშველებით: თოკებსაც მოგცემთ, წერაყინებსაცა, წრიაპებსაცაო. - ისაწყლებს თუ დასცინის, ძნელად მიუხვდებიან. არცა ცდილობენ გავარჩიოთო, არ ენდობიან და ის არის.

თუმცა ჰო:

რაც თუ რა არის, ამასთან რა უნდა უშიშროებასა?!. ალბათ ქეთევანს ვერ გაურკვევია, თორემ და რაო, რა ესაქმება უშიშროებაში?!. არ აჰყოლია არცერთ პარტიასა, არც გამსახურდიას არ აჰყოლია, არც პუტჩისტებს არ აჰყოლია. 9 აპრილის ღამეს გადარჩა. ყველა იქ იყო, ესეც იქ გახლდა. გადარჩა. გადარჩა. ვისა სცალიან ახლა ამის გასარკვევადა, როგორ გადარჩიო. ყურს არც შეიბერტყავს ბაადური. სოხუმს მაინც გაიხსენებს: იქიდან თუ რამეს მედავებიანო. არაფერსაო. მთავარსარდლობას ემორჩილებოდა. წაიწიეო და წაიწევდა. დაიხიეო და დაიხევდა. იდექიო და იდგა, იდგა, იდგა, სისხლის წვიმებში იდგა, რახან უბრძანეს იდექიო. გაიქეციო და გამოიქცა. ზოგი ჩაიხრჩო სისხლის წვიმებში. ზოგი გაგიჟდა, რო იდგა და იდგა, ტყვია რო აწვიმდა და იდგა, შეტევა რო შეეძლო და არა, - იდექი გინდა თუ არაო, - გაგიჟდა. მას თუ იძიებენ?.. ვიღაცა ქირქილებს. ოთახში ბნელა. სანთელს აანთებს. არავინ არის. არც ელოდა. რაღაც ავიწყდება. ანთუ: არ უნდა გაიხსენოს, - უშიშროებასთან დაკავშირებით არ უნდა გაიხსენოს. ამას არ უნდა, ის ქირქილებს. სანთელი ენანება. ჩააქრობს სანთელსა, ქირქილიც გაისმის. კეთილი ბატონო: ზუგდიდთან სადღაც ზვიადს შეახვედრეს. რა მოჰხდა მერე?!. არაფერი იქ არ მომხდარა!.. ან ზვიადი რაღა დროისია?!. დამთავრდა ზვიადაი. რამდენიმე საფლავი უკვე მოატარეს. გროზნომ მიიბარა მერე დიდის პატივითა. ახლა გროზნოსაც ცეცხლი უკიდია. ინგრევა ქალაქი. საფლავები ჰაერში ადის. მიწა დუღს. ქარიშხალს მისდევენ ძვალნი გავარვარებულნი. რომელი რომელია, რომელი ვისია, - მიჰყევი, გაარჩიე. არც მისდევს არავინა: არც მომკვდარა, არც დასაფლავებულა, სიცრუეა, - სჯერათ, ზვიადელებსა, ასე სჯერათ, სწამთ ამგვარადა, - ცოცხალია. დაბრუნდება. დაიბრუნებს საქართველოსა. დაიბრუნებს და დაგვიბრუნებსო. სწამთ. სწამთ. მარადიულ სიცოცხლესაც მიანიჭებენ. მარადიული ხსნის იმედსაც და უკავშირებენ. უშიშროებაც ამას თუ ირკვევს, ბაადურმა რა უნდა უპასუხოს?!. მაინც თუ რაო - სად შეახვედრეს, ისიც არ იცის: ბრმად ატარეს და ბრმად გამოისტუმრეს. იმის მერე ჰო გაჰქრა ვითომცაო ზვიადი; მერე ჰო ვითომც საფლავს მიაგნესო; ვითომც გამოიკვლიეს კიდევაცა: პისტოლეტი მიუგდეს. თავი მოუკლავსო. ვითომცაო და ვითომცაო, ყველაფერი ვითომცაო. აღარც გამოაჩენდნენ, რო არ შეშინებულიყვნენ: მითოსში შევიდა სახელი მისი. ასე თვალდათვალ შეერწყა მითოსსა. შეშინდნენ. გამოაჩინეს. ათრიეს. ათრიეს. აჰაა იხილეთ, აჰაა და მოიგულისჭირეთ: ლეშია და მეტი არაფერიო. იმ ღამის მერე მაინც აღარ იყო. თვალდათვალ თავდებოდა ამის თვალწინა: ძვალრბილში გასჯდომოდა საწამლავი. გასჯდომოდა. რა ძალა ჰქონდა, როგორ ებრძოდა!.. აღარ იყო და იყო მაინცა. სწამდა და იყო, რწმენაღა იყო. მიმქრალი. ჩაფერფლილი. თავი მოიკლაო... თუნდაც ეგრე იყოს: ეს მაინც...

იყოს. იყოს. ასეც იქნება. ბრბო. ხალხი. ერი. სახელმწიფო. დადგინდება. თუ არა და ბრბო რაღა იქნება, მითებიც თუ არა!..

კიდევ გიკითხესო, - ისევ ქეთევანია: მე არ ვეუბნები, სადაცა ხარ. მოგაგნებენ. რაიმე იღონე. უშანგის მე დაველაპარაკო?!. ეგება სჯობდეს, გაასწრო საითმე. ნუ ენდობი შენს სიმართლესა. სხვები სჭრიან, სხვები ჰკერავენ. სიმართლე მაინც ყველაზე საცოდავი რამ არის ამქვეყნადა. გაფრთხილდი. ველარ გაუძლებ. დაგავიწყდა თუ რა გადაიტანე?!. ველარ გაუძლებ.

რამდენს ლაპარაკობს, რა შიშითა ლაპარაკობს, რუსთაველსაც რო მოიშველიებს და თავისებურად მოიშველიებს: სჯობს სიფრთხილეი ნაძრახი სიმამაცესა ქებულსაო.

გროზნო აუღიათ რუსებსაო, - ისევ ქეთევანი: დუდაევი მოსკოვის აფეთქებას აპირებს. აქ რა მოჰხდება, არავინ არ იცის. წადი საითმე. წადი. წადი. აქ ჯანსაღებსაც ველარ გაუძლიათ. შენ ერთი სულის შებერვაც გაგაქრობსო. წადი. წადიო.

მოუსმენს. დასდებს ყურმილსა. ვითომც გაუგონია, ვითომც არაო. დუდაევი ერია. ჯოჰარ. დუდაევი. „მე ინტელიგენცია არა მყავს, მე რუსები ვერ მომერევიან!..“ ერი ინტელექტია. ერი ჭკუაა. ერი

გონია უაღრესი. იცის დუდაევმა. მხოლოდ ინტელიგენციაზე აუყრია გული. მოსყიდულმა ინტელიგენციამ გაჰყიდა ზვიად გამსახურდია, გაუნათლებელმა ინტელიგენციამაო. ზვიადი ჩემი მასწავლებელიაო, – აცხადებს დუდაევი: მე ინტელიგენცია არა მყავსო, მხნეობს დუდაევი. მძვინვარებს მოსკოვი. ჩეჩნებს ერეკება მოსკოვიდანა. კავკასიელებს ერეკება მოსკოვიდანა. კავკასია თავისთვის უნდა. კავკასიელებს ერეკება მოსკოვიდანა და კავკასიიდანაც ერეკება კავკასიელებსა. დუდაევი აფეთქებს მეტროსა. კრემლსაც ავაფეთქებო, იმუქრება. ააფეთქებს. „ჩვენ არ შეგვეძლო?!" ბრბოდ ვიქეცით. დუდაევი ერია. დუდაევს არა ჰყავს ინტელიგენცია. მოსყიდული. შესყიდული. გაყიდული. დახურდავებული. წვრიმალი. მშური. ქლესა. ამპარტავანი. ცრუ. თაღლითი. ბრბო. ინტელიგენცია. გაუნათლებელი. საჭურისნი. საწამლავი. საწამლავი. დუდაევსაც მოწამლავს მოსკოვი.

უმანგის ველაპარაკეო, – ისევ ქეთევანია: უშანგიმ არაფრადაც არ ჩააგდო ჩემი შიში. მე მაინც მეშინიან. კაცებს ვაჟკაცობა გიტაცებთ. სიფრთხილე ქალაჩუნობად მიგაჩნიათ. მაგრამ ნათქვამია: სიფრთხილეს თავი არა სტკივაო. ანდაზას მაინც დაუჯერეთო. უმანგი გინახულებს. არ ვიცი რას გირჩევს. მე მაინცა მგონია: უნდა გაეცალო აქაობასაო.

უმანგის მიასწრებენ მაძებარნი. წარუდგებიან თავაზიანადა, – ბაადურსა რაღა თქმა უნდა. თავაზიანად მოიკითხავენ. წააბრძანებენ თავაზიანადა. თვით მინისტრთან მიაბრძანებენ, უშიშროების მინისტრთანა. ისიც შეჰხვდება თავაზიანადა, ითქმის: ლამის რო მოწიწებითაო:

„ძლივს მოგაგენით. ჩაკეტილხართ. ახალ წიგნს გვიწერთ?.. საჭიროა!.. საჭიროა!.. დაიბნა ხალხი. აღარავითარი ღონისძიება აღარა სჭრის. თქვენ, ჭკვიანი ადამიანები თუ არ დაგვეხმარეთ, დავიღუპებით!.." სახე ნათელია, სიწრფოებით სავსეა თითქოსაო. თვალები სუფთა, ანგელოზური. ყინწვისის ტაძარში მოხვედრილხარ თითქოსაო. რამ მოაგონა?.. ანთუ ვიღას ახსოვს, როგორი ყოფილა ყინწვისის ანგელოზი: გაცრეცილა, გაცრეცილა ის უბედურიცა, როგორც ყველაფერი, ისიც გაცრეცილა, შემორჩენილა აღტაცება ვინ უწყის როდინდელი!.. ეს თუ რაც არის: დაცინვა გამოსჭვივის სიტყვებშიაცა და ანგელოზურ გამოხედვაშიცა. ვითომ ვერ მიუხვდეს?.. ვითომ მიიღოს ისეთადა, თავს ვით მოაჩვენებს?.. არა – რა თქმა უნდა.

„რატომ მომიყვანეთ?!" იკითხავს ბაადური ასე პირდაპირა, ცოტა წყენითაცა.

და იღუშება წარბები ვითომ ანგელოზური და თვალთაც გადაუვლის ავი ნაპერწკალი. ლოყები ისევ ისე კრიალებს, ანთუ: ისევ ანგელოზური თუ არა, მოციქულთა ლოყებივით მაინცა.

„თქვენი მოვალეობა მხოლოდ პასუხებია," განმარტავს ლოყები, კრიალა ლოყები, „შეკითხვები ჩვენი ვალდებულებაა!.."

„გასაგებია..."

„გეცოდინებათ სადაც მოგიყვანეს?.."

„რატომამეთქი, მაგიტომაცა ვკითხულობ."

„თქვენსას არ იშლით?!. კეთილი, მაგრამ ნუთუ არ მოგეხსენებათ ჩვენი ინტერესების სფერო?!."

„მომეხსენება... თქვენი სატელევიზიო გამოსვლა მოვისმინე ამასწინათა. თქვენი „ინტერესების სფერო" ფართოა: ყველაფერს მოიცავს, ყოველგვარ უბედურებასა, რაც რო ჩვენში გავრცელებულა, – ბრბოში თუ ხელისუფლებაში, ბრბოის ზედაფენად რო წარმოგვიდგება. მე გამოვკეტილვარ, როგორც თქვენა ბრძანეთ, მე არაფერი არ შემეხება: არც „კორუფცია", არც „მაფია", არც „რეკეტი", არც საწვავისა თუ არც ალკოჰოლისა თუ არც ნარკოტიკების „ბიზნესი"... არაფერი ერთისიტყვითა..."

„არც ზვიად გამსახურდიას შეჰხვედრიხართ?!." ზეიმობს ანგელოზი, ყინწვისისაო რა მოსატანია, – ჯოჯოხეთის ანგელოზი ზეიმობს, ერთერთი დაცემულ ანგელოზთაგანა, რო სჯერა: ზეცად ავმაღლდებიო. ზეიმობს. თვალები თითქოს მშვიდდებია და სტყორცნის ისრებსაო, მოწამლულ ისრებსაო.

„შევხვედრივარ". უდასტურებს ბაადური. შეჰხვედრია და უდასტურებს უბრალოდა. რო არ მიაჩნია უცნაურობადა, რო არც ცოდვად არ მიაჩნია.

„არც არაფერი დაუვალებია?!."

„არაფერი!.."

„თქვენ დიდხანს ლაპარაკობდით..."

„ისა ლაპარაკობდა".

„ამოცანებს გისახავდათ!.."

„არავითარ ამოცანებს..."

„დავალებებს გიჰხსნიდათ!.."

„არავითარ დავალებებსა..."

„მაშ?!"

„მოსთქვამდა..."

„რას მოსთქვამდა?.."

„წუთისოფლის სიმუხთლესა".

„თავის სიმუხთლესა?.."

„თავის თავთან ყველა მართალია..."

„და თქვენ გგონიათ, რო მე აქ ასეთი ზოგადი საუბრისათვის გიხმეთ?!."

„არა მგონია!.."

„მაშ რა გგონიათ?!"

„გნებავთ, თავს მომახვიოთ რაღაც ისეთი, მე რო არც ვიცი, არც გამეგება..."

„ესეიგი: თქვენ აღიარებთ, რო დავალებანი მიიღეთ ექსპრეზიდენტისაგანა!.." – ზეიმობს მინისტრი. ბრწყინავს მინისტრი.

„უცნაური ლოგიკაა," არ უკვირს ბაადურსა. „არაფერს მაგის მსგავსს მე არ ვაღიარებ".

„მაგისი დროც დადგება". დარწმუნებულია მინისტრი. „ოღონდ მე მაინც გირჩევთ, ახლავე აღიაროთ: თქვენ მიიღეთ დავალება – მოაწყოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა



განსაკუთრებული ტერაქტი...“ აყოვნებს. გაჰხვრეტს თვალთა ისრებითა, ცეცხლოვანი ისრებითა. „ტერაქტი... განსაკუთრებული... სახელმწიფოს მეთაურის წინააღმდეგა!..“ ჩაისისინებს. თითქოს გარსაც შემოევლება, თავს უკან გადასწევს, ნესტარს დაუმიზნებს გულის მიმართა. გულისა. გულისა. „მოკავშირენიც დაგისახელათ. ეს სია ჩვენთანაა“. საქაღალდეს აჰხდის. დაჰხურავს. „თქვენ ისღა დაგრჩენიათ დაგვიდასტუროთ!..“

„სიცრუეი?!“ დგება ბაადური, თითქოს რაღაცამ წამოაგდოო.

„დაბრძანდით!..“ ამშვიდებს მინისტრი, დასცინის თანაცა, ისე ამშვიდებს. ხმა ლივლივებს. ადის. დადის. ხმა სცურავს. ჰყვინთავს. გასჭვალავს. და. მოეფონება. „როგორაა ნათქვამი: მოსვლა თქვენი ნება იყოო... ჩვენთან ცოტა სხვაგვარადაა: მოსვლაც ჩვენი ნება იყო, წასვლაც ჩვენი ნება გახლავთ!..“

„მომეხსენება...“ იტყვის და ცოტა შექანდება ბაადური. მტკივანი ქუსლი შეახსენებს თავსა. ხელჯოხს მიიშველიებს ხოლმე. ჩამოართვეს შემოსასვლელში. უფრთხილდებიან ძვირფას გვამსა, მინისტრისასა რაღა თქმა უნდა. დგება ისიცა - ძვირფასი გვამი: ცოტას დააცდის, ეგება აქვე მოეგოს გონსაო. დააცდის. დააყოვნებს. ნაძვები ეჩხირება თვალთა ფანჯრებიდანა, ხენიცა სხვანიცა, მომეტებულად უფრო ნაძვები. იქ ჰო წალკოტი გახლდა მეფისნაცვალისა თუ მთავარმართებლებისა. ხან თუ როგორ უწოდებდნენ, ხან თუ როგორაო. ერთობოდნენ. აბრიყვებდნენ ხალხსა, ვითომ რაიმეც შეიცვლებაო. აბრიყვებდნენ რაღა თქმა უნდა. წალკოტი მაინც არ იცვლებოდა. ბოლოს ჰო მაინც შეავიწროვეს, - მტრობდნენ ჰო წალკოტებსა კომუნისტები. შეავიწროვეს. ჩაესახლნენ. უშიშროება მერედა მობრძანდა, „ჩეკას“ ქურდმულები რო გადაბუგა დეკემბერ-იანვარმა. გადაბუგა. ამოაბრუნა. გაანიავაგა. მოსპო მოსპობითა. უშიშროება მერედა მიბრძანდა წალკოტსა თუ ნაწალკოტარში. ანთუ რაც ეთქმოდა, ის მაინც სხვა იყო: წალკოტი მთავარმართებელთა, მებაღეებიც რო უცხოეთიდან ჩამოჰყავდათ, თვით იმპერატორთა რეკომენდაციითა, აქაურებს რო არ ანდობდნენ არაფერსა. ანთუ როგორ არაო: კავკასიის შემომტკიცებას ანდობდნენ, შამილის შეპყრობას ანდობდნენ, ერთიმეორის დაბეზღებას ანდობდნენ. ბრბო. და უნდა ითქვას: უმადურნიც არ იყვნენ მთავარმართებელნი: მედლებსა ჰკიდებდნენ საკუთარი ხელითა. ბრბო. ბრბო. ის მაინც სხვა იყო: წალკოტი. მსგავსი არკადიისა. ბუნებრივი სილამაზითაცა და მშვენიერებითაცა ხელოვნურითა, ბუნებრივიც რო ხელოვნებით გამოყვანილიყო. გაფხორილი ფარშევანგებითა და ენატანია თუთიყუშებითა. ყრუ კუნჭულებითა. ღია თალარებითა. დარაბებიან ოთახებითაცა, ანთუ „ბუდუარებითა“ ბანოვანთათვისა, ანთუ რისთვისაო, არავისგან არ ესწავლებოდათ. დაკეკლუცობდნენ შვლის ნუკრებიცა. ნუღარ იკითხავთ შაშვებსა, ბულბულებსა, ბინადართა ადგილობრივთა და შემოსეულთაცა მთაწმინდიდანაცა, ოქროყანიდანაცა, ლედვთახევიდანაცა, - თაბორი?.. - თაბორიდანაცა. დაკეკლუცობდნენ მანდილოსანნიცა, კავალერნიცა რაღა თქმა უნდა, შემოსეულნი პეტერბურგიდანა, ანთუ საიდანღა აღარაო, ოღონდ თავი გამოეჩინათ სამსახურში იმპერატორისა. დაკეკლუცობდნენ. დანავარდობდნენ. ყურს მიუპყრობდნენ მოჭახჭახე შაშვებსა. ეფერებოდნენ შვლის ნუკრებსა. ერთმანეთის მეუღლეებსაც ეფერებოდნენ და... და ხან სად ჩამოეფარებოდა დარაბები, ხან სადა. მოყვარულნი ეგზოტიკისა ყრუ კუნჭულებს ეტანებოდნენ. არ მოისაკლისებდნენ არც იტალიელ მომღერლებსა, არ ჩამორჩებოდნენ პეტერბურგსა რაღა თქმა უნდა. ლაღობდნენ. ნავარდობდნენ. კრუსუნებდნენ სარწეულაზე ბედნიერებისა. ინაბებოდნენ. კრუსუნებდნენ, ნეტარებდნენ წალკოტში. წალკოტში. არკადიაში თბილისისაო. მთაწმინდის ქუჩები გარსშემოვლებოდა არკადიასა, - აკიდული ქუჩები, დაკიდული ქუჩები, შეხლართული თუ ჩახვეული თუ ჩახლართული ქუჩები. ჩახლართულიყო ხმებიცა ერთმანეთში მენახშირეთა, მემაწვნეთა, მემწვანილეთა. ჩამოირბენდნენ თაბახდაცლილი კინტოებიცა ლაღი სიმღერებითა: ნაჭერნაჭერ ღრუბელი მოდის მაღლა ციდანაო, დაბეჭდილი წერილი მომდის საყვარლიდანაო; ჩამოირბენდნენ ცეკვაცეკვითა, მჭექარედა, გამყინავი ხმითა. და შფოთავდა მეფისნაცვალი იქნებოდა თუ მთავარმართებელი იქნებოდა და იხმობდა ქალაქის პოლიცმეისტერსა და გამოაბრძანებდა ულვაშებსა: რა არის ესაო, რატომ არ აღკვეთთ ამ ველურ ხმებსაო და შემოიკრებდა თარჯიმნებსა და ვინ უწყის მერამდენედ ათარგმნინებდა და ვინ უწყის თუ მერამდენედ ირკვევდა თუ ვისი რა ხმებია, ვისი რა აგენტურა მოქმედებს, თურქებისაო თუ სპარსებისაო, საფრანგეთისაო თუ ინგლისისაო და აუწყებდა საგარეო საქმეთა კოლეგიასა პეტერბურგსაო თუ პეტროგრადშიო: გააქტიურდა მტრის აგენტურა თბილის ქალაქშიო, აღმოსავლეთისაცაო, დასავლეთისაცაო და ჩვენი მოქმედებაც გააქტიურდაო და კრუტუნებდა დარაბებჩამოშვებულ „ბუდუარებში“ გადასარევ სოპრანოსთანა თუ განსაცვიფრებელ კოლორატურასთან ერთადა და გამოიძახებდა პოლიცმაისტერსა და აბდღვნიდა ულვაშებსა და თავის მხრივ პოლიცმაისტერი ულვაშებს აბდღვნიდა ქვეშევრდომებსა, უფრო გამწარებული აბდღვნიდა. ზოგს ცალი ულვაშიღა შერჩენოდა, ზოგსაც არცერთი, ზოგს ბეწვებიღა გაფშეკოდა კატასავითა. შემორჩენილიყო ასეთი სურათები საოჯახო ალბომებშია. უფრო რუსული ოჯახებისა. იშვიათად ქართველთა ალბომებშიცა. უფრო მკაცრადაც ამოუბდღვნიათ: საულვაშეზე ორმოები მოსჩანს, - ფოსოებიო ითქმის, ორმოებსაც არა უჭირს რაო. არა ცხადია, მაინც რო ამაყად გამოჭიმულან რუსულ მუნდირებში.

ამისი მუნდირიც რუსული იქნება. ასედაც ეჩვენება ბაადურსა, თუმცა კოსტუმით გამოწყობილა, გამოუსკვნია ღაღაჲა ჰალსტუხიცა, მოუპარსია ულვაშებიცა სუფთადა, წმინდადა. რაღა თქმა უნდა!.. გამოურკვევიათ: იმ მაშინდელ რუსთა იმპერიაში ყველაზედ უმალ თბილისში დაუწყვიათ მოპარსვაი ულვაშებისა. მოპარსვა ამჯობინეს გამობდღვნასაო. გამოურკვევიათ.

ხოლო ეს მაინც:

ჰო:

სუფთადაო, წმინდადო – ისე, ისე, ქოსა გეგონებოდა. მოტყუვდებოდი. სახელმწიფოს მეთაურიო, – ახსენებდა ისე, ისე, უერთგულესი გეგონებოდა მისი. მოტყუვდებოდი. საქართველოო, სამშობლო ხევსურისაო, შესძახებდა ისე იმგვარადა, თავგანწირული გეგონებოდა სამშობლოსათვისა. მოტყუვდებოდი. ოღონდ აქ მაინც არაო, არა ტყუვდებოდნენ. არა. არაო: რუსთა უშიშროებაში გაიზარდაო, აქ რეუტმა ჩამოიყვანაო. არა ტყუვდებოდნენ. ჟორდანიასა ჰყავდა ერთი ფოსტის მინისტრიო: ჯერ მოსკოვს ლენინს უგზავნიდა საიდუმლო შეტყობინებებსა, მერედა მიჰქონდა ჟორდანიასთანაო. არა ტყუვდებოდნენ. რეუტის კაციაო. რეუტი აბღლვნიდა ულვაშებსა ძირფესვიანადა. აღარც ეზრდებოდა ულვაშები. ქოსა გეგონებოდაო. არ მოტყუვდებოდი. პარლამენტშიაც გაიძახოდა ირინა სარიშვილი: რეუტმა შემოგვიგდოო. ყველას რო სჯეროდა, ვითომ არა სჯეროდა სახელმწიფოს მეთაურსა. ვერც მიუხვდებოდი: რა სჯეროდა, რა არა სჯეროდა. მაინც უწინასწარმეტყველებდა ირინა სარიშვილი: ეს ტერაქტები შენამდისაც მოაღწევს, ალბათ მაშინღა დაიჯერებო. თავს იკატუნებდა სახელმწიფოს მეთაური მაინცა, მაინცა, იკატუნებდა და იკატუნებდა. რაც თუ ქვეყანას თავსმოჰხვევიაო: კორუფციააო თუ მაფიააო, ტერაქტებიაო თუ რეკეტებიო მაგისგანაო და ჯაბასგანაო. მაგათ მოინელეს გიორგი ჭანტურიაცაო, არა სცხრებოდა ირინა სარიშვილი. მხედრიონი მიიკურწა. ჯაბა კედელსაა მიყუდებული. იგორის ჯერი დგებოდა. იგორ!.. იგორ!.. თავს იკატუნებდა სახელმწიფოს მეთაური. პანტელეიმონსა ხიბლავდა ლაშქრობა იგორისა. წიოდა ირინა სარიშვილი, იგლიჯებოდა, იფხრიწებოდა. იწივლოსო. იფხრიწოსო. ორივეო?.. – ორივე იყოსო. ჰოი რა გაოცება გამოხატულიყო ორივეს სახეზედა, – აღუწერელი, აღუწერელი, ოღონდ ერთფეროვანი: ერთნაირი შუქჩრდილები დასჭირდებოდა ყველა მხატვარსა, ავანგარდისტი იქნებოდა თუ მიმდევარი კლასიკური ფერწერისა. ერთნაირი. ერთგვაროვანი. ახლა აღარ უკრთის ჩრდილი არავითარი, ფერი არავითარი, დინჯად ამტკიცებს: უბედურებას ველით მხოლოდ ზვიადისტებისაგანა. თქვენი დახმარების იმედი გვაქვს. ახლა ეს არის მოვალეობა ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილისაო. ფეხი უერიალებს ბაადურსა. ქუსლი ვეღარ დაუბჯენია, თითებიც ვეღარა. სკამს ეყრდნობა ორივე ხელითა. ხელჯოხი მაინც არ ჩამოერთმიათ. ჯოხს არც დაარტყამდა. არა. ეს ისეთი ვინმე ჩანს, ფეხი უნდა დაადგა და გასრისო. ფეხიც რო ჰღალატობს?!. ძლივსა დგას ფეხზედა. ძლივსა. ძლივსა. უნდა გაუძლოს. როგორაო. გადაფითრდება, თითქოს დაიცალა სისხლისაგანაო. ხელებში მაინც რაღაც შერჩენია. ხელები იმაგრებს მოწყვეტილ სხეულსა. სკამიც მაგრადაა. ახალია. საიდანღაც შემოტანილი. აქ ჰო აღარა კეთდება აღარაფერი, სკამიც აღარა. კონიაკსაც აღარ ასხამენ. კონიაკსა სთავაზობს მინისტრი. დაუტკბა. უცხოურია. კონიაკი რაღა თქმა უნდა. „ნიკალასაცა" სთავაზობს. ვითომ ფიროსმანიშვილიო. წარწერაც ქართული. მერე და რაო, – უცხოური სპირტია გალაყებული. ღერეფანი. რუსეთს რა გააძღებს სპირტითაო. აქაცა ჰყრიან. აქაც ალაყებენ. ბავარიის ლუდსაცა სთავაზობს. უარობს ბაადური, ყველაფერსა უარობს.

„ყავაზე მაინც არ იტყვით უარსა!..“ ზარს დარეკავს. ვიღაც შემოდის. „ყავა!..“ ბრძანებს მინისტრი გულთბილადა. ამაოდა ბრძანებს:

„ვიტყვი...“ მოაღევნებს ბაადური, თვითონ მოაღევნებს, ოღონდ ჰგონია, რო ხმა აღარ ეყო, ჰგონია, რო ვიღაცამ წარმოსთქვა, თვალებს მოატარებს: ვინ მომეშველაო.

„კეთილი!..“ თანხმდება მინისტრი, ბატონი იგორი. იგორი ლაშქრობს. ქარის ამოღებაც უნდა იგორსა. „კეთილი!..“ იმეორებს. „შეიძლება კიდევ შეგაწუხონ. კაცნი ვართ. ქვეყანა განსაცდელშია. სიფხიზლე გვმართებს. შეიძლებამეთქი. თქვენ ყოველ შემთხვევაში ხელწერილი დასტოვეთ: ქალაქიდან რო არ გახვალთ. ერთხანს... მცირეხანსა... ყოველშემთხვევაში...“ ვინც შემოვიდა: ანიშნებს: წადიო. აღარა სჭირდება. გადაიფიქრა. უნდა გამოეტეხა. ის იხმო. უნდა მიშველებოდა. მიჰხვდება იგორი: ახლა ეს „გამოტეხვას“ ვერ გაუძლებსო. მიჰხვდება. მიჰხვდება. მერე იყოსო. პარლამენტსაც მიეშურებოდა. იქ უნდა მჯდარიყო. ვინ უწყის ვის რა წამოეყრანტალებინა. იქ უნდა მჯდარიყო. შიშის ფეთება უნდა დამართოდათ, – ის ვინც იქნებოდა. – იქ უნდა მჯდარიყო. შიშობდნენ კიდევაცა. ზოგი არცაო. იმათთვის პასუხი უნდა გაეცა. თავაზიანი. გულში ბოღმა უნდა დაეგროვებინა. მიეშურებოდა. მე აქა ვარო. ვდგევარ სამშობლოს სადარაჯოზეო ერთგულადაო, მტკიცედაო, შეუპოვრადაო, ფხიზლადაო, თავგანწირულადაო, სისხლის უკანასკნელ წვეთამდეო. ვიღას რა ეთქმოდა?!. ჯაბასთან ერთად მოიხსენიებდნენ, – უარი უნდა განეცხადებინა; მამასთან: პანტელეიმონ გიორგაძესთან მოიხსენიებდნენ, – უარი უნდა განეცხადებინა, უარი, უარი, ურყევი უარი: ჩვენს შორის საერთო არაფერიაო, რა ვუყოთ რო მისი შვილი ვარ, ესა ყოლფილა ბედისწერა ჩემიო. აქ პარლამენტიო, იქ ტელევიზიაო, იქაც უარჰყოფდა რაღა თქმა უნდა: აქ ტრაგიკოსის აღმოკვნესითა, იქ კომიკოსის მანჭვაგრეხითა. უარჰყოფდა. უარჰყოფდა. „პირისპირი“ იხმობდა ტელე-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვიზიაში: „მამათქვენი ბატონი პანტელეიმონ გიორგაძე კვლავ კომუნიზმის იდეოლოგადა რჩება,“ - უხსნიდა ბატონი ვალერი კვარაცხელიაი, „კვლავ საბჭოთა კავშირის აღდგენას მოითხოვს, თქვენ შვილი - იგორ გიორგაძე: დემოკრატიული გარდაქმნების მოწინავე პოზიციებზე დგეხართ. რაღა რჩება თქვენს შორის საერთო?!.“ „აღარაფერი!..“ მიუგებდა იგორ გიორგაძეი, მიუგებდა უყოყმანოდა, დაუფიქრებლადა, აფერადებული სახითა და თვალებითა ანთებულითა: „ის კვლავ თეორეტიკოსადა რჩება (მარქსიზმ-ლენინიზმის „ახალი ფაზა“). მე პრაქტიკოსი გახლავართ“ „თქვენ ამას საქმით ამტკიცებთ!..“ უდასტურებდა ბატონი ვალერი. „დიახ, ვამტკიცებ!..“ ეთანხმებოდა ბატონი იგორი. „პირისპირ“. მოსწონდა ეს გადაცემაი ბატონ მინისტრსა. „პირისპირ“. დაკვეთები ახალი. ამყოლები ძველი. შაკიაშვილი. ჯაბა. ნათაძე. მუჩაიძე. ქორქოლიანი. სარიშვილი. ოოოოო... რა ცეცხლს აყრიდნენ სახელმწიფოს მეთაურსა, რა ლამაზად აყრიდნენ ცეცხლსა!.. ლამაზადა. ლამაზადა. განსაკუთრებით შაკიაშვილი. მადმუაზელ. ტუჩები. ტუჩები. ჩასაწუწნი. ტუჩები. ლოყები. მოსწონდა. მოსწონდა. ჩაკბეჩა მოუნდებოდა. რაც უნდა იყოს სილამაზე მაინც სილამაზეა. ამაღლებული ყველაფერი სილამაზეა. სიძულვილიც სილამაზეა. ვინ უარჰყოფდა სილამაზესა?!. მოსწონდა. მოსწონდა. მოხიბლულიყო. მოუნდებოდა ჩაკბეჩაი. ტელევიზიით ასე მოსჩანდა, პარლამენტში არ იყო ასე: ალქაჯსა ჰგავსო. პარლამენტში აღარ მოსწონდა, - ბატონ მინისტრსა რაღა თქმა უნდა. ეს ლოყებიო, - თვალს არიდებდა. ყურს რო ვეღარა?!. ჯაბას ებრძოდა. ჯაბა გადასდგომოდა სახელმწიფოს მეთაურსა. შაკიაშვილი ორივეს ებრძოდა: ჯაბასაცა და სახელმწიფოს მეთაურსაცა. ამხელდა. ამხელდა. ორივეს ერთად გადააფრქვევდა ცეცხლსა. მაგრამ ჰოი საკვირველებავ: იქ ჩაკბეჩა მოგინდებოდა, აქ ეგება საითმე გავექცეო.

საითაო...

ჯაბა ორატორობს. ვიღა აღარაო. ჯაბაც გაორატორდა.

ჭალი ედებოდა ენაზედა. ძლივას აასხამდა წინადადებასა: ანთუ წარმოსთქვამდა ნახევარსა, დანარჩენიც წარმოთქმულიაო ეგონა. ეგონა. გაიწაფა. პარლამენტი უცხოურადა. სალაყბო - ქართულადა. გაიწაფა. აქაცა, იქაცა. სოჭშიცა, ჟენევაშიცა. გაიწაფა. ორატორობს:

„ფუჰ!.. არძინბა, - ოჩოფეხებზე შემდგარი ფიტული!.. „ორატორობს. ორატორობს: „აქამდის ათასჯერ ჩამოვათრევდი თბილისში, რუსები რო არა ჰპატრონობდნენ“. ორატორობს. მგზნებარობს. „ ამ ჩვენს სახელმწიფოს მეთაურსაც ჰო ვერაფერს გაუგებ!.. აქეთ არის თუ იქით არის, - ვერ გაუგებ!.. ვეუბნები, ასე ნუ აკეთებ-მეთქი. მეთანხმება. უყოყმანოდ მეთანხმება. მაინც ისევე იქცევა თავისას არ იშლის. აი აჰაა: სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულებიო. რა არისმეთქი, ეს ჰო ფეოდალიზმიამეთქი. მართალიაო. მაინცა ნიშნავს რწმუნებულებსა. მართალიაო და მაინც უმართებულოდ იქცევა. ისტორიკოსებიც არ უდასტურებენ. ჰხედავთ რო წერენ: ფეოდალურ დაქსაქსულობამდის მიგვიყვანსო. ესეც მე ვარ?.. მეცნიერები არიან!..“ ისევ საბჭოური მეცნიერები. არაფერი არა სწამთ იმათი, - იმოწმებს, რახან ემოწმებიან. საბჭოური ისტორიკოსები. კომუნიზმის თეორეტიკოსებიო. საქართველოს ისტორია მხოლოდ თურმე ის რო ყოფილა: როგორ და რაგვარად შეერთებოდნენ რუსეთსა, მეტი არაფერი, მეტი არაფერი. შეერთებიან და ზიარებიან ბედნიერებასა. აი ისტორია. აი ისტორიკოსები. ფეოდალიზმი. კაპიტალიზმი. სოციალიზმი. აი ისტორია. მონათმფლობელობა რო გამოგრჩა?.. მიემატოს. მიემატოს. აქ მაინც მთავარი ფეოდალიზმია: ეს ჩვენი სახელმწიფოს მეთაურიო, თავისი დღენიო, ფეოდალიზმის გადმონაშთებსაც ებრძოდა, წვრილბურჟუაზიულ გადმონაშთებსაცა, ახლა ორივეს აღდგენა უნდა, ერთს თუ აღადგენს, მეორეს ვერაო, წვრილბურჟუაზიულს თუ აღადგენს, ფეოდალურს მაინც ვერაო. მჭევრმეტყველებდა. ორატორობდა. ასაბუთებდა. ამტკიცებდა. სარჩული სხვა ედო რაღა თქმა უნდა: გამგებლები მხედრიონისანი იყვნენ. რწმუნებულებმა სხვა დავალებანი მიიღეს: გამორეკეს გამგებლები. პოლიციას გაუხსენს გზები. ისტორიკოსები არაკუნებდნენ თავაანთსასა: ფეოდალიზმმა საქართველო დააქუცმაცა, რუსთა მმართველობამ გააერთიანაო, - არაკუნებდნენ ისევ ისევე. ისინი თავიანთებურადა, ჯაბა თავისებურადა, - ორივე მხედრიონის სასარგებლოდა. ესაა: მხედრიონი სულსა ღაფავდა. და ორატორობს, ორატორობს, ორატორობს უკვე აპილპილებული, აღარც ეხუმრება, აღარც ეთამაშება: „მეცნიერებს უნდა გაეცეს პასუხი მეცნიერული, დასაბუთებული. გამგებლები უნდა აღდგენენ თავიანთ უფლებებში. გამგებლები ხალხმა უნდა აირჩიოს!..“ აღარც ეხუმრება. აღარც ეთამაშება. მოითხოვს. ბრძანებს. დასტურს ელოდება. არსაიდამ ხმა. დუმილი სპიკერატში. დუმს მეთაურიცა. ილაპარაკოს. ილაპარაკოს. ამოიღოს ქანგი გულიდანა. ქანგი შხამია. ამოიღოს. ამოიღოს. გერმანე ფაცაცია მისდგომია მიკროფონსა. ხელს იშვერს. ჯერ ერთსა. მერე მეორესა. მერე ორივესა: ამინთეთო. ვერ აუნთებენ. ჯაბას ვერ ჩაუქრობენ. ჯაბას რეგლამენტს ვერ შეახსენებენ. არც აუხირდებიან. არც გაუგონებენ. რა დრო დადგა?!. ძირს ვინ დაუშვებდა ჯაბას სიტყვასა. ის დროც მოვიდა. გაჰქრა უეცრადა. ფააააფუ!.. გეგონოთ!.. ჯაბა ჯაბაა. ის კიდევ მოგგვრით შიშის ფეთებასა. გერმანეს რაო?.. თქვას. თქვას. აუნთებენ. ამბობს:

„მე ვაცხადებ რო: პასტუხოვი გარეწარია და ბრუნერი თაღლითი!..“

„არ შეიძლება!.. ასე არ შეიძლება!..“ შეიცხადებს სპიკერი.

„მაშ როგორ შეიძლება?..“ კითხულობს გერმანე

ფაცაციაი, „ვილაპარაკოთ, ვილაპარაკოთ, მხოლოდამხოლოდ ვილაპარაკოთ?!. კეთილი ბატონო: ჰო ვლაპარაკობთ, ვლაპარაკობთ და ვლაპარაკობთ, ლაპარაკს აღარა აქვს დასასრული?!. აქვს!.. აქვს! და დასასრულიც ეს არის ჩვენი ამდენი ლაპარაკისა: პასტუხოვი გარეწარია და ბრუნერი თაღლითი!.. ისინი ჩვენს ზურგზე ბუქნაობენ და საკუთარ კეთილდღეობას აკვარახჭინებენ. პასტუხოვი ამაღლებას ელოდება, ბრუნერი ოქროებსა ხვეტავს მოსკოვიდანა. ჩვენ გვალაპარაკებენ, ჩვენცა ვლაპარაკობთ, გადმოგვიგდია ენაი და ვლაქლაქებთ, დაგვიღია პირი და ველოდებით: ბრუნერი სოხუმს დაგვიბრუნებსო, ჩემს ფეხებს დაგვიბრუნებს!..“

„ბატონო გერმანე!!!“ ჩხავის სპიკერი, „გამოუთიშეთ!..“ ხმა აღარა ჰყოფნის. გამოუთიშავენ მაინცა. სპიკერი სულს მოითქვამს: „ნუ გავიწყდებათ, ბატონი ბრუნერი ბუტროს გალის პირადი წარმომადგენელია!..“ სულს მოითქვამსო, ოღონდ ეტყობა, თვალი რო მაინც არევია: „მეშვიდე მიკროფონი!..“ ბორის კაკუბავა მიმდგარა მეშვიდე მიკროფონთანა.

„გალი!.. გალი!..“ იფშხალება ბორისი, „თვითონ რა არის, წარმომადგენელი რა იქნება იმისი?!.“ ეურჩება სპიკერი. ხმა დაჰკარგვია. ხელებსღა იქნევს. „ჰო... ჰო..“ ისევ ბორისია რაღა თქმა უნდა, „ის არ იყო, რო ვევედრებოდით სოხუმიდანა: გვიშველე რამეო?!. ის არ იყო, მხრებს რო იჩეჩავდა: გავაკეთე ყველაფერი, რაც შემეძლოო?! ის არ იყო?!. რა გააკეთა: სოხუმი იბუგებოდა ცეცხლშია, რა გააკეთა?! ვითომ არც იცოდა: რუსები რო აღარც მალავდნენ. კოლესნიკოვი არ იყო: რუსების პარლამენტში რო განაცხადა: სამ დღეში სოხუმი დაეცემაო და დაეცა კიდევაცა. არ იცოდა?!: ელცინმა რო ყეყეჩი უწოდა კოლესნიკოვსა, - რამ გათქმევინაო, არც ეს იცოდა?!. კუკუ რო უჭირა - არც ესა?!. იცოდა!.. იცოდა!.. ყველაფერი იცოდა, მაგრამა... მაგარიც ის არის, რომა: პირი ჰქონდა ამოკერილი მოსკოვის ოქროებითა“.

„ააარა!.. ააარა!.. ასე არ შეიძლებამეთქი!..“ ხმა მოუძებნია სპიკერსა. დაჰკარგავს. იპოვნის. დაჰკარგავს. იპოვნის. უპოვნია: „ნუ გავიწყდებათ თუ რამდენი დადგენილებაა მიღებული ჩვენს სასარგებლოდა გაეროში?!. გამოუთიშეთ!..“ შეასრულებენ რაღა თქმა უნდა, აპარატებსაც აპარატები მართავენ, ოღონდ ზოგჯერ რო ვეღარცა მართავენ, პასუხი მაინც პასუხად მოისმის, - გერმანეს ჩაურთავენ:

„არ გვავიწყდება,“ ეს გერმანეა: „დადგენილებანი ჩვენს მხარესაა, აღსრულებანი ეშმაკის მხარესა. აი აქ არის ჩამარხული ძაღლის თავი. გაიგონეთ ხალხნო!.. ძაღლის თავი თუ არ იპოვნეთ, ისე საქმეს არ ეშველება!.. არ ეშველება!.. არ ეშველება!..“

„ვის ჩაურთეთ?!.“ ჩხავის სპიკერი. აჩხარუნდება აპარატი დამფრთხალი, აჩხაკუნდება, აჩხიკინდება, აბრიალდება ბორისის მიკროფონი. ისიც დროს არა ჰკარგავს:

„რა პოვნა უნდა?!.“ ბორისია რაღა თქმა უნდა: „სახელმწიფოს კურსია გამრუდებული. ეს ჩვენი მეთაურია გამრუდებული. სიტყვით დასავლეთისაკენ მივემართებით, საქმით ჩრდილოეთს ვერ გამოვხსნივართ და არც გვინდა, რო გამოვეხსნათ. სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უდევს დიდი მძღვარი. ესაა!.. ძაღლის თავიც აქ არის ჩამარხული და დიდი საპოვნელიც არ უნდა იყოს.- გაგვიხდა ეგეც სულიკო!..“

„ეს რა ამბავია?!. რა გემართებათ?!.“ ისევ აპარატს მიმართავს სპიკერი. ისევ ირევა აპარატები თუ ასე აეწყო თუ როგორ თუ რა არის, - აციალდება გერმანეს მიკროფონი.

„ვის რა ემართება მე არ ვიცი, ჩემთვის ნათელია ყველაფერი,“ გერმანეა რაღა თქმა უნდა: „მე ფილოსოფოსი კაცი ვარ,“ კიდევ ერთი ფილოსოფოსი. თუ ითქვა?.. ითქვა თუ არა, თვითონაც ირწმუნება. პოეტიცა ვარო. პოეტიცა?!.. ამასაც აღარ მოითმენს პლატონი. „მე დევნილი კაციცა ვარ და დევნილთა ბედისწერას მე ვერავინ მასწავლის. ახლა თამაშში დროა ჩართული. დროა ახლა ყველაფერი. დრო უნდა გამოგვაპარონ. დრო. დროი. და ლადგება დროი და აფხაზეთი რო პირწმინდათაც დაგვიბრუნონ რუსებმა, იქ დამბრუნებელს ვეღარ იპოვნით. ჩვენ თუ არ დავიბრუნეთ, ჩვენით თუ არ დავიბრუნეთ. დროზე თუ არ დავიბრუნეთ, ეს ასე იქნება. ასე იქნება ჩემი ფილოსოფიითა. თქვენით თუ როგორცაა, ისიც მომეხსენება...“

სპიკერი: „თქვენ გგონიათ...“

გერმანე: „მე არა მგონია, მე ვიცი!..“

სპიკერი: „მე თქვენ დაგითხოვთ დარბაზიდან...“

გერმანე: „დიდ მადლობასაც მოგახსენებთ!..“ მიემართება კარებისაკენა.

ვიცესპიკერი რუსუდანი: „არ გაუშვათ. ქვორუმს დააკლდება“.

სპიკერი: „დაბრძანდით!.. დაბრძანდით!.. მხოლოდ დაგპირდით. არ დამითხოვიხართ“.

გერმანე: „მეტი რა გისწავლიათ რუსებისაგანა: დაგპირდებიან, - არ შეგისრულებენ“. შემობრუნდება. არ დაბრძანდება. მიკროფონთანვე. აპარატი ჭკუაზე მოვა. გამოუთიშავენ. კაკუბავა წკიპურტებს ურტყამს თავის მიკროფონსა. აპარატი ჭკუაზე მოვა. პოეტებიც მოვლენ ჭკუაზედა. ეს ამათი დროა. კაკუბავა არ მოსწონს სახელმწიფოს მეთაურსა. კაკუბავა უტევს სახელმწიფოს მეთაურსა. გამრუდებული კურსით მივყევართო. პოეტებით გამოტენილა პარლამენტი, ფილოსოფოსებით ჰო და ჰოო, - პოეტებითაცა, ანთუ ითქმის რო: აქ ყველა პოეტია. აკი თქვა ოვანეს თუმანიანმა: ყველა ქართველი პოეტიაო, - თქვა. თქვა. ოვანეს თუმანიანი თუ მართალია, პლატონიც აგრეთვე თუ მართალია, საქართველოში პარლამენტი არც უნდა იყოს. აქ ყველა საოხუნჯოსა თხზავს. იღლება. ისვენებს. ანთუ უფრო: ოხუნჯობანი მოსწონს სახელმწიფოს მეთაურსაცა. გურულია. ხუმრობა

ეროვნული ბიბლიოთეკა



უყვარს. და თხზავენ. თუ ერთი თხზავს, ყველა უსწორებს. საითმე ფურცელი აფრიალდება. ავა. წავა. დაჯდება. აიშლება. შემოივლის. შემოევლება. მიჰყვება სიცილი. იგრიხება. იკვანწება. ის თავისთვისა, ორატორები თავაანთთვისა. სპიკერია, რო იქაცაა და თანაც უნდა, რო ფურცელს მისდევდეს. მოსწონთ. რაღაცას მაინც ასწორებენ. თუ რას ასწორებენ, არც ისეთი საიდუმლოა. თავიდან ასეა: „კაკუბავა გოჭებსა გამოაჭამს -როჭებსა". იტყვი: სადაო რა უნდა ჰქონოდათო. მართალიც იქნები. ოღონდ ისიც ჰო მართალია: პოეზია რო პოეზიაა, გემოვნებასაც თავისი ადგილი აქვს პოეზიაში? მართალია. მართალია და ასწორებენ გემოვნების მიხედვითაცა, ასწორებენ - „გამოაჭამს" ასწორებენო, ანთუ სცვლიან: ერთი თუ - „გამოლოკავს", მეორე „გამოტლიკავს", მესამე და დანარჩენი - „გამოწუწნის"„გამოსრუტავს", „გამოწიწკნის", „გამოჯიჯგნის", „გამოფხიკავს", „გამოკორტნის", „გამოჯგვლითავს", „გამოჯლუხნის", „გამოძენძავს", „გამოგლიჯავს"; და მერე შესვენებისას ყველა იცავს თავისასა. ალაბთ იკითხავ: გოჭები მაინც რა შუაშიაო. იმ შუაშია, რო ბორის კაკუბავა ჰო სამართალში მისცეს ქართველობისათვისა. საბჭოთა კოდექსში საამისო მუხლი არ იქნებოდა. რაღა თქმა უნდა, - ღორის ქურდობა დააბრალეს და გაასამართლეს ქურდობის მუხლებითა. ღორი და გოჭი ვიღას გაუყვია, მითუმეტს თუ რითმაში ჯდება?!. და მერე ჰო: შესვენებისას ყველა თავისას იცავსო, ისევე, გზნებითა იმავეთი, როგორც რო ტრიბუნიდან სტრატეგიული მოკავშირეობის პრობლემებსაო, ანთუ ამგვარებსა სხვათა და სხვათაო. ჰოი ეს მგზნებარება!.. - ეს ჰო არ აკლიათ, - არც ღონე აკლიათ, არც ალმაფრენაო, პოეტობას ჰო ნუღარ იტყვიო: რა სახეებიო, რა მეტაფორებიო, რითმას ჰო - რითმას რაღა დაეწუნება!.. რითმისთვის ხელი არც უხლიათ: გალაკტიონის დონეზე არისო, თანხმდებოდნენ უყოყმანოდა. გალაკტიონის რითმის ღირსება სწორედ ისაა, თავისთავად რო მოიტანს გასაოცარ აზრებსა და სახეებსა და კიდევ უფრო გასაოცარსაო. თანხმდებოდნენო თუ დაობდნენო თუ რაც თუ რა იყო, იქნევდნენ ხელებსა, თავს არაცრაცებდნენ, ეხლებოდნენ ერთიმეორესა, მიჯგუფდებოდნენ, შეხროვდებოდნენ, გაიშლებოდნენ, მერე ისევ რო შეხროვილიყვნენ. და ტკაცუნობდა ჭერი. მძიმე ნაბიჯები გასდევ-გამოსდევდა. ბურტყუნიც ეგრევე გასდევ-გამოსდევდა. ბურტყუნი პლატონისა: ოცდახუთი საუკუნეა ვერაფერი ვერ შევაგნებინე კაცობრიობასაო: რა უნდათ პოეტებსა პარლამენტშიო; ანთუ ეს რეჟისორები რიღასი ტიკიტომარანი არიანო, - თეატრი ჰო მოჰკლეს და მოჰკლეს, ხელისუფლებათა დასაკლავადაც მოუწვევიათო; ფილოსოფოსთაც როგორ მიმტყუნესო, - ან ესენი არ არიან ფილოსოფოსები, ანთუ მე არ ვიცი თუ ფილოსოფია რა არისო: აღარც ფილოსოფია უქნია ღმერთსაო; გარეკეთ ყველანი: ხელოვანნიცა და ფილოსოფოსნიცა, პარტიებიც თან მიაყოლეთ, დროზე გარეკეთ - ბრბო, ბრბო, ბრბო - თუ არ გინდათ ქვეყანა დაიღუპოსო. გასდევ-გამოსდევდა. იზნიქებოდა ჭერი. იტალღებოდა. ჩამოიწევდა: აი და აჰაა - ჩამოიქცევაო. ავარდებოდა ისევ ზევითა. იგრაგნებოდა. იკუმშებოდა. იწელებოდა. იგრიხებოდა. ეს მერეო. შესვენებისასაო. დერეფნებშიო. ხოლო მანამდე დარბაზში ისევ ჯაბა ქილიკობს, - თითქოს ცხარობს და თითქოს ქილიკობს: სულ თითქოსაა:

„მხარეების მმართველებს ჰო ნიშნავს და ნიშნავს, მხარეებსაც აწესებს თვითონვე, თითქოს კონსტიტუციაც თვითონვე იყოს!.. გაგონილა, ჰა, გაგონილა?!. კონსტიტუციის ჯერ მხოლოდ პროექტებია შემუშავებული, ჯერ პარლამენტს არცერთი არ განუხილავს, საკონსტიტუციო კომისიასაც არ განუხილავს ბოლომდისა, ხოლო ეს ვითომც კონსტიტუციააო, თავისი კარაბადინითა სჭრის და ჰკერავს. ეს უზურპაციაა. მე ბრალს ვდებ..."

ვახტანგ-ვიცესპიკერი: „პარლამენტმა მისცა უფლება სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულის დანიშვნისა აფხაზეთში..."

ჯაბა: „განსაკუთრებული ვითარების პირობებში. იქ ომი იყო!.."

ვახტანგ-ვიცესპიკერი: „არასამთავრობო შეიარაღებული ფორმირებები, პარლამენტს რო არ ემორჩილებიან, ეკონომიკური ქაოსი. კვლავაც განსაკუთრებული პირობებია".

ჯაბა. აქამდის კიდევ მოსდევდა ღიმილი. აღარ ჰყოფნის: „ნუ გავიწყდებათ: ახლა რო არასამთავრობო შეიარაღებულ ფორმირებებს უძახით, ეგენი იცავდნენ სოხუმსა!.. ჩვენ ვიცავდით!.."

ჭერი იგრაგნება. ჭერი იწელება. ლამის გადასკდესო. იმტვრევა თითქოსა და ისმის მტვრევის ხმის თანმიყოლებითა: „ოოოოოოო.. რა დაიცავით!.."

„დავიცავით!.." ეს ჯაბა ჰყვირის, ვის უყვირისო რო ვერ გაუგია: „დავიცავით!.. ვიცავდით, ვიდრე..." სრული დუმილია. ბუზის გაფრენა გაიგონებოდაო. ვიდრეო - და აღარ ითქმის: ახლა ის ჰო დიპლომატიურ სარბიელზეა!.. ბორის კაკუბავა ჰო არ არის, თვალხუჭულა დაადოს ხელი?!. „...და დავიცავთ!.." მოსჭრის ჯაბაი.

„და თანაც სამოქალაქო ომითაც იმუქრებით!.." ისევ ვახტანგიო, ვიცესპიკერიო. გააქტიურდაო, ვიეთნი იტყვიან ანუ: თამამობს, ასპარეზს ეძალება სტოვებენ ზოგნი, ანთუ ატოვებინებენ, ენაცვლებიან სხვანი და სხვანი. წყალნი დიან. დიან. დიან. „ვანგა ამბობსო. ვანგასთან შეგივლიათ ჟენევის გზაზედა. ეს აქაც უთქვამთ, ვაშლაჯვარში. აქ თქვენი სახლიკაცი ბრძანებულა". ქილიკობს ახლა ვახტანგ-ვიცესპიკერი. გაიგანებს და გაიგანებს, მთლად ასპარეზსაც შემოჰხვევს ხელსა თუ დააცადეს რაღა თქმა უნდა.

„მე არავითარი სახლიკაცი არ მეგულება ვაშლაჯვარში," უარობს ჯაბაი. აღარა ქილიკობს.

„და არც ვანგაზე გადის გზა ქენევისა. ამდენიც არ იცით!“

„თქვენ ჰო იცით,“ – ეს ლუიზაა. ანთუ აქამდის როგორ შეიკავა თავი?!. მადმუაზელ ლუიზა, – „თქვენა და თქვენმა სახელმწიფოს მეთაურმა!.. თქვენ ორივემ ერთად ჰო ჩამოგვისახლეთ რუსები ენგურზედა და ახლა ვითომც ვეღარც მორიგებულხართ!!!!!....“

„რეგისტრაცია!.. რეგისტრაცია!..“ აბობოქრდება ვახტანგ-სპიკერი: „გერმანე რა იქნა?.. კაკუბავა?!. გავიაროთ!.. გავიაროთ!..“ გაიარონ. გაიარონ. გამოსავალია, ვნებები რო უარესად არ აიშალოს. გაიარონ. ამას აქ აღარ ესაქმება: იგორსა ცხადია. იგ/რ!.. ასე კვეცავენ. გრიალებს ასე უკეთესადა. იგ/რ!.. იგ/რ!.. იგ/რ!.. შეგაძოძგინებს. ქვორუმი არ არის. ნურც შემდგარა. სულაც აიწეწოს ყველაფერი. სახელმწიფოს მეთაურიც ჰო აღარ ესწრება პარლამენტსა, – გაებუტა. იგინებითო, – ცოლსა და დედას იგინებითო. რა მინდა მე ამ ბრ... – მოიკვნიტა ტუჩი. კინაღამ წამოსცდა. მოასწრო. გაასწორა: ამ უზრდელ ხალხშიო. ვითომ სულერთი არ იყოს: ბრბოი და უზრდელი ხალხი?!. მაინც ეს უჯობდა: უზრდელი ხალხიო. აღარც რწმუნებულობას გაიხდიდა სადაოდა. ჯაბას ედავა, რამდენიც ენება. ეს ჯერ მხოლოდ ექსპერიმენტიაო. დააგდო. მორჩა. ჯაბას ედავა. მოეოხებინა გული. ექსპერიმენტზე ვინა დავობსო. ექსპერიმენტი ჯერ უნდა მოთავდესო. და ჰქმნიდა ახალ მხარეებსა და ნიშნავდა ახალ რწმუნებულებსა და გაუჩეხეს თავი ქვემოქართლის რწმუნებულსა და ნიშნს მოუგებდა ჯაბაი და არად აგდებდა სახელმწიფოს მეთაური: ეგ არაფერიო: ფეხებს ვერ მოსჭამთო. თავი იმტვრიონ მაგ შენმა აკადემიკოსებმა, არჩიონ ფეოდალიზმი და კაპიტალიზმიო. იმტვრიონ, იმტვრიეთ. ექსპერიმენტიაო. არა. აქ აღარაფერი აღარ ესაქმება. რაც უმთავრესია, – გადაწყვეტილია. წყალი არ გაუვაო. ვის თუ აჰკიდონ, – ესეც გამოირკვა: ბაადურ რიკოთელი!.. ცოტა ესაა, გაუტეხელი მოსჩანს, თანაც ასეთი უსასოა, – ხელში შემოაკვდება. ცოტა მოიკეთოს, ცოტას რო გაუძლოს, ცოტასა, ცოტასა. გაუტეხელი სხვაც შეჰხვედრია, ქვიშასავით რო დაღავებულა.. ბაადურ რიკოთელი!.. ღმერთმა გადმოუგდო თუ ეშმაკმა გადმოუგდო – სულერთია. ზვიადისტები. ზვიადიზმი. შურისძიება. ტერაქტები. შიში. შიში. უკეთებს და უკეთებს ცეცხლსა სამინისტროს კოლეგიასა, უკეთებს და შეუკეთებს, მეცხრე ბლოკს თუ არა კოლეგიას ჰო ააგიზგიზებს. მეტისმეტიც არ მოუვიდეს. ავთოც არეულა: ხაბეიშვილის მკვლელობისას ჩვენი მანქანა შეუცვნიათო. დოყლაპიები. მისდიოს. იკვლიოს. ვეღარ შეიცნობენ. ისედაცა სჯერა: ამჯერადაც გადარჩებაო. კაკულია ამბობს: გადარჩებაო. კაკულია!.. სიცილით იფხრიწება პანტელეიმონი. „ჩეკასაც“ რო მკითხავების ჭკუით ემოქმედა, მოსკოვშივე ჩაკვდებოდა ოქტომბრის რევოლუცია, თბილისამდის ვეღარ მოაღწევდაო. იფხრიწება. იჭაჭება. იღმიჭება სიცილითა. მაინც კაკულიაო. რომელი ავლაბრელი ვარდუა და რომელი ახრისელი მართაო. ვანგასაც უთქვამსო: აქ რას მოდიხართო, იქ ჰო გყავთ თქვენი: ლე... ლე... ლე... ლი... კა... კა... კა... კლუ... ო. ლელა კაკულიაო, არა? რაღა თქმა უნდა!.. ვანგა სასწაულია. სასწაულს სასწაულით უნდა მიუხვდე. ტუჩს რო ააცმაცუნებს უნდა მიუჰხვდე იმითიცაო. ორივე იოსელიანიც მიუხვდა. ავთო! ჯაბა!.. ჯაბა არა ტყდება. ჯაბას ასე უთხრა: შენივე მახეში გაებმებიო. არა ტყდება. არცა სჯერა. იცინის, იცინის პანტელეიმონივითა, ოღონდაო: პანტელეიმონი რო აშკარადა, ის ჩუმჩუმად იცინისო. ავთო არა მალავს: ახლოსაც არ მიმიკარაო. ლელასთან მიდიო, ვაშლაჯვარშიო, – დაუსწავლია ვაშლაჯვარიცა ამასობაშიო. და მივედი მეცა ლელასთანაო, ავთომა, და ლელამაცაო: ამჯერადაც გადარჩებაო... მეთაური სახელმწიფოსი რაღა თქმა უნდა. გადარჩება!.. მეტი რაღა უნდა უშიშროების სამინისტროსა: მშვიდად ელოდოს თუ როგორ გადარჩება სახელმწიფოს მეთაური. დააგონ მახეები, ჩააწყონ ყუმბარები, ჩასხან სნაიპერები, თავში ქვა იხალონ, ბუზსაც ვერ აუფრენენ. გადარჩებაო. ესენი იცინებენ. ისინი გულს შემოასკდებიან. არაო, ბრძანებს მინისტრი უშიშროებისა: გვაცდუნებენო. ჩვენი ყურადღების მოდუნება უნდათო. არ გაუვათო. არაო. არაო. თვალი ადევნეთ ზვიადისტებსა, არ მოაცილოთო. კრწანისს უვლიან, კრწანისის აღება მოუნდომებიათო. მამა უცხონდათო. მაღლა ჩიტი ვერ გადაუფრენდა კრწანისსა, ძირს ჭიანჭველა ვერ შეუძვრებოდა. კიდევ უფრო გაამაგრეთო. კიდევ უფროო. და გულს დაიმშვიდებდა უშიშროების მინისტრი. დაიმშვიდებდა და ვერც დაიმშვიდებდა: გადარჩებაო – შეთანხმებულიყვნენ ვანგაი და ლელაი. ნათელმხილველებიო. შეთანხმებულიყვნენ. ნათლადა ჰხედავდნენ. ის იქიდანა, ეს აქვეო და აქედანა: გადარჩებაო. რანაირადაო. კრწანისიო. კრწანისი უნდა გადაიხუროსო. ვერც I გიორგიო, ვერც II გიორგიო, მხოლოდ გიორგი III გადაარჩენს საქართველოსაო, ავთომა: ვანგამაცაო, ლელამაცაო. ჯაბა არას ამბობს. ჯაბა დუმს. შენს მახეშივეო. გაუვრცელეს. უარჰყოფს: ვანგა ვინაა, ლელა ვიღაო, ნათელმხილველი თუ მართლა ვინმეა, ეს მე ვარო. რა იხილა ასეთი. ასე ყინჩად რო მოუღერებია ყელი?... ის მაინც: ფილარმონიასთან გადაურჩა. ეს ერთი. შეშინდა ცოცხალი ყუმბარაი. ლაჩარი გამოდგა. ანთუ კარგად ვერ „დაამუშავეს“. პირისპირ მიაგდეს. ხელი გამოეკრა და ის იქნებოდა... შეშინდა. გაიქცა. დააგდო დამუხტული სკაფანდრი. მეც ჰო უბედურება მომეწევაო. დარბოდა ბაღში ვერისაი. ხეებს ეფარებოდაო. ლაჩარი. დოყლაპიები. რაღა ლაჩარი გამოსძებნეს!.. ხაბეიშვილის დაკრძალვასაც გადაურჩა. ესეც მეორეო. ლიფტში ჩაედოთ ასაფეთქებელი იარაღი. შორით იმართებოდა. თვალი ეჭირათ რაღა თქმა

ეროვნული ბიბლიოთეკა



უნდა. მაგრამ და რაო: ქალები მისდგომოდნენ ლიფტსა. ქალებმა გზა დაუთმეს. არაო, იუარა, როგორ ვიკადრებო, მე ჰო ძველი რაინდი ვარო, იხუმრა. ფეხით შეუყვა, ფეხით ჩამოუყვა კიბეებსა. ვერ იქნა ლიფტში ვერ შეიტყუეს. მანქანაშიც აღარ ჩაჯდება?.. ვნახოთ, ვნახოთ, იქ რიღათი გამოიდებს თავსაო. ყელი მოუღერებია ჯაბასა. ავთო ტრაბახობს. ტუჩებს იწუწნის პანტელეიმონი. მახეს ველარ გადაურჩება საქათმეში შეჩვეული მელაო, - მეანდაზეობს პანტელეიმონი. მეანდაზეობს. ტუჩებს იწუწნის. ძველი ჩეკისტია. სჭვრეტს შორით შორსა. ჯაბასაც ყელი მოუღერებია. ავთოც მშვიდადაა. იყოს. იყოს. იაროს ვაშლაჯვარში. სხვა დანარჩენი ამის ხელთაა. აწყობილია საათივითა. წიკწიკებს. წიკწიკებს. წუთი წუთსაო. წამი წამსაო და: ერთ წამში მოთავდება იგი და იმავე დღეს მორიგდება ყველაფერიცა, - დანარჩენი ყველაფერიცა. თვითონვე ჰხედავენ: ვანგაცა და ლელაცა: ჟამი დგება გიორგი III-საო. ჰხედავენ და ვერცა ჰხედავენ: თუ გადაურჩა ამჯერადაცა, როდისღა დადგეს ჟამი იგი, ჟამი ნეტარი, ჟამი ამისი, - როდისღა, როდისღაო. გიორგი III. ის გათვლა მოთავდა. დაუგროვდა ბევრი გიორგი საქართველოსა, ინგლისელებისა არ იყოს, - ინგლისელებზედაც მეტი დაუგროვდა. იწყება ახალი ათასწლეული, 9 აპრილიდან ახალი გათვლა იწყებაო: ზვიად-გიორგი I, ედუარდ-გიორგი II, და იგ/რ-გიორგი გიორგაძე III - რაღა თქმა უნდა!.. რაღა თქმა უნდა!.. გიორგი ჰო გვარშივე უზის, - აქამდისაც ამისი უპრიანი იყო. მონარქისტულმა პარტიამ თვითონვე ამოიჭამა თავი. ტრადიციონალისტები ველარც გარკვეულან: იმონარქისტონ თუ ისოციალისტონ. ვერა. ველარა. მოცილე ვიღააო, - არც არავინა და მოსკოვიც ჰო ამას აქეზებს?.. ესეც მოლანდებიათ ნათელმხილველებსა: ესეცა, ისიცა, - დაბნეულან თუ არევიათ ერთიმეორეშიო. არევიათ და აერიოთო. ყველაზედ ნათლად თვითონვე ჰხედავს: ერთ დღეში მოთავდება. ზვიადისტებს გაანადგურებს. დასაჭერებს დაიჭერს. დასახვრეტებს დაჰხვრეტს. ფიცს დასდებს დაღუპული მეთაურის კუბოსთანა: ზვიადიზმს აღმოვფხვრი ძირისძირამდისაო. აღმოვფხვრი პროვინციულ ფაშიზმსაო. კუბოს თავი დალურსმული ექნება. კუბოში ეყრება ნაფლეთები სახელმწიფოს მეთაურისა. ფიცს დასდებს ახალი მეთაური. კრემლის სამძიმარს წაიკითხავენ: დიდი პოლიტიკოსი დაჰკარგეთ ქართველებმა, მაგრამ ნუ შიშობთ, ჩვენ ისევ თქვენთანა ვართ, ჩვენ მხარს ვუჭერთ თქვენს ახალ მეთაურს, თქვენს ურყევ მეგობრობას ჩვენდამიო. ერთ დღეს მორიგდება ყველაფერი. წიკწიკ. წიკწიკ. წიკწიკ. წუთი წუთს. წამი წამს და ერთი წამიცა კმარაო. „მე ვიცი, ვისაც ამზადებენ ჩემს მაგივრადა, „ - გამოტყდება სახელმწიფოს მეთაური, „ახალი" არა, ძველი ისევა, „ახალი" გაქცევას რო მოასწრებს ვაზიანის აეროდრომიდანა, რეუტის კაცები რო გააცილებენ, „მაგრამ არ ვიტყვი, მანამ ცოცხალი ვარ!.." ერთი შეჰხედეთ და: ეს მერეც აპირებს ლაპარაკსაო. საგულისხმო მაინც ის არის: როგორ უთაკილია, არა?

## XXII

ის მაინც, ბაადური, არად ჩააგდებს იმ შეხვედრასა. არც ახსოვს თითქოსა. ელეთმელეთი მაინც შეეყრება. თვალღიაა თუ თვალმილულული წმინდა გიორგი უდგას თვალწინა, გაფოთებული, გადარეული წმინდა გიორგი. ცხენიც აგრეთვე გადარეული, შუბიცა აგრეთვე. ტორავს ცხენი ძირს განრთხმულ გველეშაპსა, შუბი ფლეთს, გლეჯს, ბდღვნის და ამაოა ეს ყველაფერი, გადარევაო თუ გლეჯვაო თუ ფლეთვაო: ნაფლეთები ტოტებად იქცევა, ტოტები ეკლებს გამოისხამს, შხამიან ეკლებსა, გარსმოევლება, შეჰკრავს, შეჰბოჭავს წმინდა გიორგისა, მოგუდავს, მოახრჩობს, გადაიშლება და ხარხარებს, ხარხარებს, აცდის ისევ მოიოხოს სულიო, აღჯდეს ისევა, ისევ დამე!ახას, ისევ გაფოთდეს, ისევ მოვახრჩო, ვიხარხარო ისევ ისევეო. აცდის და ხარხარებს, ხარხარებს და აცდის. ამას გაუძლებს, რაც უნდა იყოს, უბედურება ოღონდ ის არის: რო იგუდება, თვითონ იგუდება, რო იხრჩობა, თვითონ იხრჩობა. არავითარი წმიდა გიორგიო, თვითონაა, რო კაწრავს ეკალი, შხამი რო ჩასდის, მისი სხეულია, რო ითანგება, ეს თვითონაა, მერე თვითონვე მოითქვამს სულსა. მაგრამ მანამდე გაძლება უნდა. განმეორდება ისევ ისევე. გაძლება უნდა. მარტოა, - ასეა, ვისთანმეა და ისევე ემართება. ერთად ჩაიხვევს და ერთადა შხამავს ეკლიანი ტოტები. სხვებს რაღას ერჩის, - უნდა მოერიდოს. და მარტოა. თუ დაურეკავენ. ქეთევანი. ნინო. დამრეკავებიც მოჰხვდებიან შხამიან ეკლებში. ეწამებიან, იტანჯებიან ამასთან ერთადა. ხან მივლენ კიდევაცა, მიჰხედავენ, სადილი თუ რამ ხეირიანი მოუგვარდათ, მიუტანენ. ეწამებიან. მაშინაცა აგრეთვე და ევედრება: ნუღარ მოხვალთო, ნურც დამირეკავთო. ირიდებს სხვებსაცა. ეს შაშაშუშეშეუშიშუ აკადემიის პრეზიდენტებია. ეს უარობს. ისინი არ ეშვებიან. არ ეშვებიან და თავს იგდებენ საფრთხეშია, შემოევლებათ რო ულმობელი ტოტები და რო იგრიხებიან შხამიანი ეკლების ქვეშა. რა ჰქნას აღარ იცის: თავს უშველოს თუ ამათ უშველოს. ამავე ყოფაში ამოჰყოფს თავსა რექტორი უნივერსიტეტისა, უამრავი ფასიანი უნივერსიტეტის უამრავი რექტორი, - ყოველ უბანში რო იხსნება უნივერსიტეტი, ყოველ ქუჩაზე, ყოველ დაბაში, ყოველ სოფელში; იხსნება და დარბიან ეს რექტორებიცა, კალთებს ახევენ პროფესორებსა. დასდევენ ისინიცა, რამდენიც - შეუძლიანთ. ოთხამოღებულნი დასდევენ. მაინც არა ჰყოფნით, მაინცა სჩხრეკენ თუ ვისმე რაიმე ძალუძს, სჩხრეკენ

ჰპოვებენ, - ვისა ჰპოვებენ უფრო უკეთესსა: კარს აუტალახებენ, ტელეფონს მიამსხვრევენ და ეგეც თქვენაო: იგუდებიან ისინიცა ამასთან ერთადა რაღა თქმა უნდა; ამას რო მაინც იმედი აქვს, ერთხელ კიდევ გადავრჩებიო, ისინი უიმედოდ იგუდებიან. ეჩვევა. მერე, რახან ბევრჯერ რო გადარჩება, აღარც იხრჩობა, აღარც შხამსა ჰგრძნობს, შუბსაც არ უშვებს ხელიდანა, ცხენიც აგერაა, ისევ ავმხედრდები და ისევ გავგმირავ გველეშაპსაო: გიორგი თუ მეო, - ამასაც აერევა.

ერთი რექტორი მაინც არ მოეშვება. წავიკითხავო, თანხმდება ბაადური, ოღონდა რაც მინდა იმას წავიკითხავო. რაც გინდა, რაც გენებოს, გინდა მალაყზე გადაიარეო. პირობას რა უჭირდა?.. ახდენა არ ეწერა. სტუდენტები ნამუსიანად იხდიდნენ საფასურსა. უნამუსოდ ელოდნენ დიპლომსა: ლექციებს არ ესწრებოდნენ, გამოცდებს არაფრად აგდებდნენ. პროფესორებიო, ვერ იტყვი, უნამუსოდ იღებდნენ ხელფასსაო, - ისეთს რას იღებდნენ: გზის ფულად თუ ჰყოფნიდათ და იმდღის ლუკმადა, - ჰა და ჰაო. ბედს ეგუებოდნენ. ბაადურმა: ვერაო, უშრომელი ლუკმა ყელში არ ჩადის და უქმად სიარულიც ბედოვლათის საქმეაო. მაინც გამოადგა, ჩამოაყალიბა შესავალი ნაწილი: ბრბო, ხალხი, ერი, ენა, სახელმწიფო, ჩამოჰქნა, გამოჰკვეთა, მსმენელიღა უნდოდა, დაიდებდა ჩამწერსა და გადმოაფრქვევდა ნაფიქრ-ნაღვაწსა. მსმენელი, მსმენელი, მსმენელიღა უნდოდა. წერა ჰო გაუძნელდა. ადვილადა წერდა. გაუძნელდა. ყველაფერი გაუძნელდა. შეელეოდა ყველაფერსა, ამას ვერაო, ვერ შეელეოდა. ნუ შეელეოდა. აღარ შეეძლო. არსაით მსმენელი, აღარც უნარი წერისაო, მხოლოდ ფიქრიღა დალაგებული, დახვეწილი, დაწმენდილი, მხოლოდ ფიქრიღა, ალბათ მალევე რო აიბურდებოდა, ისევ ისევე, ისევ ისევე, აიბურდებოდა, აიდღვიბებოდა, აიზილებოდა, აზრი, წარმოსახვა, ოცნება, სინამდვილე, ზღაპარი, სიცხადე ერთმანეთში აიზილებოდა. ცხოვრებაც უარესად აიზილებოდა. ძველი ეკონომიკური კავშირებიო, ძველი კულტურული კავშირებიო, - მოხმამაღლავდებოდა, ცრუ პატრიოტიზმიო, - მოხმამაღლავდებოდა. დაცურავდნენ ჯაშუშები კრემლისა, დაცურავდნენ, დასხმარტალებდნენ, იხლაკნებოდნენ, იგრიხებოდნენ, ეგლისებოდნენ, აქეზებდნენ, ანანიებდნენ დაკარგულსა, ახალს ჰპირდებოდნენ, ახალ აღზევებასა; და აღიმართებოდნენ მეკინოენი და აღიმართებოდნენ მოთეატრენი, მსგავსნი მათნი აღიმართებოდნენ, ფიქრის გორა აღიმართებოდა: მოგვენატრენო, მჯვენატრეთო. და მოჰქროდნენ მონატრებულნი და მღეროდნენ „სულიკოსა“ ფიქრის გორაზედა და ცრემლი სდიოდათ ფიქრის გორელებსა, ცრემლი სდიოდათ და ხითხითებდნენ, ხითხითებდნენ და ეხვეოდნენ მონატრებულნი მონატრებულთა. პარლამენტი კონსტიტუციას მოითხოვდა - მალეო, - ანთუ არ მოითხოვდა - რა გვეკონსტიტუციებაო, როგორც ენება, როგორი რა ზნეც თუ მოუვლიდა: მალეო, - რა დროსიაო, - როგორც ენება, როგორც ენება. ორი ენა დაიშვებაო. აფხაზურიცაო. პარლამენტშიო. სხვებიც რო აჰხირდნენ ამ ბაბილონის გოდოლშია?!. ეს ჰო ის გოდოლია, ის ბაბილონის გოდოლი!.. ბაბილონის გოდოლად აქციეს რუსებმა და თავი ჰო მოუყარეს მერე ერთი ენითა, პუშკინისა და ლენინის ენითაო.. ასევე ნებავთ: ისევე მოუყარონ თავი, იმავე ენითა, იმავე სახელმწიფოში, ძალით თუ ვეღარა - ეშმაკობითა, გაქნილობითა, გაიძვერობითა, თაღლითობითა, ჩაძირალობითა, გახრწნილობითა, ადვილად გადის ბრბოში ყველაფერი, ადვილად ასდევს ბრბოი ყოველსა თუ ყოველივესა. და დასლიკინებენ, დასისინებენ, დაგესლაობენ, დაქლესაობენ იქედნენი სასოებითა ანგელოსისათა და აჩქროლებულა ფიქრის გორაი, აღელვებულა, ატოტებულა: მოგვენატრეთო, მალეო, მალეო, გადაგვეხვიეთო, გადაგვესკვენითო. მალეო. მალეო. ბრბო. ბრბოი. ბრბო. სულიკო. დაკარგულიყო. არაო. არაო. სამიკიტნოში შევედი, ბოთლებში მინაბულიყოო, - გადაეკეთებინათ თავის დროზე კინტოურადა, მოსდევდა, მოიმღეროდა. და მოსტიროდა ილიაცა: „ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?! მტრის არმცნობი, მოყვრის მგმობი, გარეთ მხდალი, შინ ძლიერი“. მოსდევდა, მოსტიროდა და შესძახოდა აღზევებულთა: „ვაი თქვენს ხელში ჩვენს საქართველოს!..“ როგორთუ ვაიო. აღარც მამულიო. დერეფანიო. დერეფანიო. დერეფანში ილიაცაო. „მოვდიოდი გვირაბში“, ამბობდა სახელმწიფოს მეთაური, თბილისს რო ჩამობრძანდა მოსკოვიდანა: „ბნელოდა. კარგახანს ბნელოდა. მერე შუქიც გამოჩნდა“. ამბობდა, იმეორებდა, ირწმუნებოდა: მალე თქვენთვისაც გამოჩნდებაო. ილია დერეფანში. ბნელა ილიას დერეფანში.

ბნელა ბაადურის ბინაში.

სანთლები მოუტანეს. არ ანთებს. ბნელოდეს. ბნელა თბილისში. მთლად საქართველოში ბნელა. ფულს თუ გადავუხდით, რუსეთი მოგვცემს სინათლესაო. ფულს თუ გადავუხდით, თურქეთიც მოგვცემს სინათლესაო. რაღას გადაუხდი, ორივემ გახიწნა, რაც რამ გაგვაჩნდა. ბნელა დერეფანში. საქართველოში ბნელა. ბრბო. ხალხი. ერი. ენა. სახელმწიფო. მკლავი მაინც არ ემორჩილება, არც თითები. ჩამწერიც მოუტანეს. ვერ აეწყო. მარტოა. ვიღაცანი უნდა, ვიღაცეებს უნდა ელაპარაკოს. და იგროვებს მსმენელებსა. ფიქრით იგროვებს. ეგება რო ნამდვილადაც დასახოს, დაიწყოს ლექციები. იგროვებს. იგროვებს. აგერა: ქეთევანი, ნინო. უშანგიც შემოდის. ჯდება კარებთანვე. ანიშნებს: გავიქცევი ცოტა ხანშიო, გავიქცევი და მალე მოვალო. შემოიზუზება თურმანიძეცა. საგულდაგულოდ მოიკალათებს. მთავარი ექიმი კლინიკისა. ბოდიშობს ცოტა დამაგვიანდაო. მორიგე ექიმები ფაცხაფუცხით იკავებენ ადგილსა. მეზობლები?...

ეროვნული ბიბლიოთეკა



მეზობლები ჰო ადრევე დალაგდნენ. წინ დასხდნენ. ნელნელა უკან იხევენ, ახალშემოსულთ უთმობენ ადგილსა. აგერა ის დარდიმანდებიცა. ბოლოში სხდებიან. სხვანიცა, სხვანიცა, რო არ ეცნობა. ხმა გასულა ქალაქში, მოდიან და მოდიან. სადმე დარბაზი უნდა მოსძებნოს, დიდი დარბაზი. რაღას დაიტევს პატარა ბინაი ბაადურისა, მთლად შენობის დერეფნებიც ველარ დაიტევენ. ბნელა დენეფნებში. დერეფანში ბნელა. ეს... ეს რა ციალია?.. მედეა?!. მოციალებს. მოციალებს. მოციალებს. მოვა. მართლაც მოვა. მეც დასასრულს ვუახლოვდები. მენანება. შევეჩვიე ამ ადამიანებსა. გავუგე. გამიგეს. მივენდე. მომენდვნენ. და. უნდა გამოვეთხოვო. მენანებიან. მაგრამ და რაო.: ვიდლები. აცივდა. ხელებს ვიორთქლავ და ვწერ. ვწერ და ვიორთქლავ ხელებსა. ეგება რო ამიტომაც ვიდლები. ანთუ არაო: ამბავი თავდება და დაღლაც ეს არი. თავდება. თავდება. მედეა გამოჩნდებამეთქი.

გამოჩნდება.

ასეთ შემთხვევაში მოულოდნელობის ხერხს მიმართავენ. შეიძლებოდა მეც გამომეყენებინა. მაგრამ, ჰო, მაგრამ: ცხოვრებაში არაფერია მოულოდნელი და არც ხელოვნებას არა სჭირდება მარტივი ხერხები. ცხოვრება მართალია, მართალი, ანთუ სხვაგვარად როგორ იქნება?!. ცხოვრება მართალია და სიმართლე მართებს ხელოვნებასაცა. თუ ასცდა, ხელოვნებაც აღარ იქნება. არა. აღარა. სხვა რამ ძიებანი მხოლოდ ცდუნებაა. ცდუნებას ისევ სიმართლე იხსნის. სიმართლე. სინათლე. ბნელით მოცული ხელოვნება არ არის. ცხოვრება არ არის ბნელით მოცული. ღამე არ არის ბნელი, მილანდებაა ბნელისა, დღემ რო უნდა განანათლოს. ხელოვნება დღეა. დღემ უნდა განანათლოს. მზემ უნდა გააჩახჩახოს ყოველი. მზე სიმართლეა. სიმართლე იხსნის მოლიპულ თეატრსაცა, ყველას, ყველაფერს სიმართლე იხსნის. თუმცა, ჰო თუმცა: მოლიპულა ზოგი ისე იმგვარადა, სიმართლესაც რო ველარ მოებღაუჭება. მაინც სიმართლეო. მაინც სინათლეო. მსგავსი მსგავსისა. არა უმსგავსი. მახინჯიც სიმართლეა. უმსგავსი მხოლოდ არაფერია. არარაისგან წარმოსდგება არარაიცაო. თითებს ვიორთქლავ. ფრჩხილები თითქოს წამროშასაა. მოყინულა. მოყინულა. აგერა ძირს დაცვივაო. ვიორთქლავ. ვიორთქლავ. სული ჩემივე, თბილი სული, სული ჩემივე მშველის. მედეა გამოჩნდებამეთქი.

ბაადური უცებ ვერც იცნობს.

გააღებს კარსა და დგას მდუმარედა: ვერც შიგნით იწვევს, ვერც ვერას ეკითხება. ჰგონია, ვიდაც კარს ასცდენია, მომიბოდიშებს, ზევით აჰ ყვებაო. არაო. დგას. შეჰყურებს, როგორც რო მახლობელსა, სასურველსა, სანატრელსა, შეჰყურებს დარცხვენილი, მოსვლა ასე რო დამაგვიანდაო, ოდნავ კიდევაც გაიბუსხება:

„ვერ მიცანით?!.“

გაიბუსხება და შეერხევა ბაგეი ლამაზი, ოდნავა, ოდნავა და მომხიბლავადა.

„მედეა?!.“ დაეჭვებით იკითხავს ბაადური.

„მედეა!...“ დაუდასტურებს რო სტუმარი, შიგნითაც მიიწვევს. ჩამოეცლება ბაადური. ის შედის. თვალს მიადევნებს ბაადური, თვალსა ეჭვიანსა, - მედეა?!. არა. ასეთი არ ახსოვს. ახსოვს მხოლოდ მრისხანე თვალები, ერთიორჯერ რო შეჰხვედრია პირისპირა. მერე ჰო მიაკითხავდა ბინის პატრონსა, - ქირას დაუტოვებდა თუ ფულს რამეს დაუტოვებდა სარჩოსათვისა, რამდენიც რო მოუხერხდებოდა. პირველად ჰო უარობდა ისიცა: არა სურს თქვენი არაფერიო. მერე შეთანხმდნენ: ამას რო აღარც ახსენებდა ბინისპატრონი, თავისად მიუთვლიდა, თავის მზრუნველობადა, - ადვილად შეთანხმდნენ. უფრო იშვიათადაც მიაკითხავდა თანდათანობითა, უფრო რო გაჭირდა. ქვეყანას გაუჭირდა. თავისი ქვეყნის შვილი გახლდა ბაადურიცა, შვილი პირმშო, არა ნებიერი, არა, - შვილი უმამო ოჯახისა, ბავშვობაშივე რო დასწოლოდა ოჯახის ტვირთი. რაც თუ რა იყო, ის მაინც სხვა იყო, რო შეესწრო მშობიარობის კივილსა, სხვა იყო და სხვაგვარადაც დატრიალდა წისქვილის დოლაბი ამის თავზედა. დატრიალდა. დატრიალდა. და. ტრიალებს აგერ აქამდისა. ვერ იქნა, ჯანი ვერ გაიმრთელა: არც შეესწრებოდა. აღარც აღარაფერი გააჩნდა. მხოლოდ სინანული თუ მოერეოდა, ვეღარა ვშველიო. ბინის პატრონმა თვითონ გამოსძებნა: თუ პატრონი ხარ, ახლა უნდა პატრონობაო. მაშ თუ როდისდაო. და მიეპატრონა ესეცა. ჰკიოდა ქალი, შობა ჰკიოდა, შობაი, შობა, - შეჩერება არ შეეძლო და მერე ამას მოჰყვა სხვა დანარჩენი. მოჰყვა. მოჰყვება. შემთხვევას მოეტანა. ყველაფერი რო შემთხვევას დაპბრალდება ამქვეყნადა, ყველაფერი, სიკვდილის გარდა. და თვით სიკვდილსაც გამოუძებნიან მიზეზსა, ვითომც გარდაუვალი არაფერი იყოს. სიკვდილის გვერდითაც იწვა. გადაუცურია ლეთაცა, ოღონდ ის თურმე იმდენი არაფერიო, არა, არაო, იმდენი არაფერიო როგორც რო ის გახელებაიო ბრბოისა, შობას რო დაესხნენ თავსა, გახელებაი, სიბრმავეი, გაველურებაი, ანთუ უარესი; ანთუ უარესი რაღაო, - ცხოველებიც რო ერიდებიან მშობიარობასაო. ესენი - ვითომც არაფერიო: მთები გადმოაბრუნეს, თბილისისაი, ცა ჩამოაქციეს, ერთი მანქანა ამოიდეს ქვეშა და გაგლიჯეს, გაბრდღვნეს, გაფატრეს, გალეწეს ამასთან ერთადა. კიდევ კარგი რო შობა გადარჩა. გადარჩა. გადარჩა. შობა მაინც გადარჩა. გრგვინავდა ბრბოი. გრგვინავდა. ქვეყნის დაქცევით იმუქრებოდა. არა თუ სადმე გარეუბანშიო, თუნდაც რო ძველს ნაძალადევშიო, არა, არა, რაღა თქმა უნდა, - გულში ქალაქისაი, უპირველესნი მოქალაქენიო, საპატიონიო, საჩინონიო, „ინტელექტუალური პოტენციალიო“. „ინტელექტუალური პოტენციალი, - აი ჩვენი სიმდიდრე!.. „აცხადებდა

სახელმწიფოს მეთაური, ანთუ: ტელევიზიით გამოჰქონდა ძველი ჩანაწერები ვალერი კვარაცხელიასა, ძველი, ოდეს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრადაც აღარა ბრძანდებოდა ბატონი ედუარდი და საქართველოშიც არ მოეწვიათ, - არც ისე ძველი რაღა თქმა უნდა. „ჩამოგიყვანეთ!..“ აყვედრიდნენ. თავისთვის იცინოდა ბატონი ედუარდი. „პოტენციალი“აღარა გრგვინავდა. ყელყელაობდა „ინტელექტუალური პოტენციალი“, მოსწონდათ, იმეორებდნენ იმავე კილოთი, იმავე სიმტკიცითა, დაჯერებითა იმავეთი. ჩვენ ამ სიმდიდრით გავალთ საერთაშორისო ასპარეზზედაო, საერთაშორისო სტანდარტებში ჩავებმებითო. სტანდარტები. სტანდარტები. სტანდარტები. ბრბო. ბრბოი. დაყრილი ჩინები, მედლები, ორდენები, ხარისხები, წოდებანი, პრემიები, აღმატებანი ყოველნი, ძირს დაყრილნი და ზედ შემდგარნი ველურის კიჟინითა, ღრიალითა, ღრიანცელითა, რო თქვლეფენ ცოცხლობრივა განწირთულთა, თქვლეფენ, ნთქავენ გამგელებულნი, რო აღარ ეტევათ აღარც პირში, აღარც სტომაქში, უკუამოსდით და იბრუნებენ უკანვე. ეს ცოხნა არ არის რაღა თქმა უნდა, - გამოცხადებაა ველურობისა. ჰხედავს. ჰხედავს. შერჩა ეს ასე და ასევე ჰხედავს. უნდა მოიშოროს. არ ეშვება. სურათია გაუნელებელი. ცოცხალი სურათი: სისხლიანი ნაჭრები ცვივა რო კბილებიდანა, ისევ რო აიტაცებენ ღრენითა, კბენითა ერთმანეთისა და ისევ რო უცვივათ. არ ეშვება. არა. არა. არ ეშვება. არც ეს სურათი არ ეშვება: და გაფლითეს ქალი და ამოაცალეს ნაყოფი და ყველას უნდა ჩაკბიჩოს ქორფაი და არ გასწვდება ყველასა და უნდა დაასწრონ ერთიმეორესა და დაერევიან ერთიმეორესა და იხელთებს დედაი დროსა და გაიტაცებს ნაყოფსა თავისასა და გარბის და მიარბენინებს და მისდევს საკუთარი წლები უკანა და იშლება წლებადა და გაასწრებს თუ არა და გაიყვანს თუ არა სამშვიდობოსა, ვიდრე წლებად დაირღვეოდეს. არცთუ მკაფიოა სურათი იგი, უფრო განცდაა შემზარაობისა, ესეც ამისთვისა თორემ უცხო თვალს არცთუ რაიმე დაამახსოვრდება, აბსტრაქციონალებისა თუ პოსტმოდერნელების ნახატებისა არ იყოს, თუნდაც მოდერნული კინოფილმებისა. რაც უნდა იყოს, ამას აწამებს. ოღონდ ეს, ეს:

„მედეა!..“ აღასტურებს მასპინძელიცა. აღასტურებს. მედეა!.. ოღონდ აფროდიტე. აფროდიტე. პრაქსიტელე. უფრო დახვეწილიცა. ცოტა. ცოტა. ანთუ: ასეთი იქნებოდა აფროდიტეი პრაქსიტელესი. რაც რო შემორჩა ჰო რომაული ასლია?.. ეს იგია. იგი. პრაქსიტელე. რა მოსხეპილი ტანია. რა სახე. რა თვალ-წარბი. რა კდემა. კდემა. მოკლე ქვედატანითა, მოკლე კოფთით რო არ შემოსილიყო?.. მოდა!.. ქვედატანს კოფთა ასცილებია ოდნავადა. რა შეირხევა, კანი გამოსცრის. ჭიპი მოანათებს. ჭიპია მოდა. არა. არა. ან პრაქსიტელე ანთუ სამონოზნო სამოსი. შუა უდევს დიდი ზღვარი?.. უდევს. ედოს. „რაცა ოდენ თქვან ნათელად“. ხელოვნება მაინც სიშიშვლე ყოფილა, სიშიშვლეი და სინათლეი, - თქვან ნათელად, - სიშიშვლე უზადო, უნაკლო, უბიწო, შეუბღალავი, მიმზიდველი, აღმტაცი, წარმტაცი, შორსა ვნებათაგან, შორსა და შორსა, ამაღლებული, ამამაღლებელი. კმარა ცხოვრება რო ბიწიერია, უბიწოება ხელოვნებას უნდა შეენახა. ინახავდა. ვეღარ შეინახა. გადაირივნენ სიგიჟისა და სიშტერის მკვლევარები. გადაირივნენ. სექსი გამოსძებნეს ამათ მიზეზადა. მიზეზადაც გამოსძებნეს და იგივე აქციეს საშუალებადაცა მკურნალობისა. ერთმანეთთანაც ვერ შეთანხმებულიყვნენ ფროიდი და იუნგი. ხელოვანნი შეთანხმებულიყვნენ, სექსი გამოფინეს ყველგანა, სექსი და სიბიწე გამოფინეს სიყვარულშიცა და სიძულვილშიცა, ღალატშიცა და ერთგულობაშიცა, მეგობრობაშიცა და მტრობაშიცა, ყოველ ურთიერთობაში, ყოველგვარ დამოკიდებულებაში, სიბრძნესა და სიშტერეში ჰო და ჰო, ყველაფერში, ყოველივეში: ქვას რო ფეხი წამოჰკრაო, სექსი წამოგიხტებაო. და გაიოლდა მოდერნი, პოსტმოდერნი, პოსტავანგარდიზმი, ყველაფერი გაიოლდა. სექსი. სექსი. სექსი. ოიდიპოს!.. ჰოი, ოიდიპოს!.. რა იცოდა სოფოკლემა როდის თუ როგორ გადაირეოდნენ მეცნიერნიო-მკვლევარნიო თუ ხელოვანნიო, რა იცოდა თუ როგორ უნდა სცოდნოდა?.. არა და ის ჰო მხოლოდ ბედისწერას გამოჰხატავდა, მხოლოდდამხოლოდ ბედისწერასა?.. მეტს არაფერს!.. ბედისწერა სწამდა და ბედისწერას გამოჰხატავდა. და როცა აღარ გწამს, აღარაფერი, აღარაფერი აღარა გწამს, სიმახინჯედ იქცევა ყველაფერი, მშვენიერებაც სიმახინჯედ იქცევა. ბიწი. უბიწობა. ბიწიერება. ბრბო. ეს ჭიპი რაღაა?!. მოკლე კოფთა, მოკლე ქვედატანი. თანაც სიფრიფანა, კანიც რო გამოსცრის. ბარემ გადაეყარა ეს ჩვრებიცა. რახან ასე უნდოდა. დედიშობილა გამოცხადებულიყო. ანთუ გაიძროს, გაიძროს. მხოლოდღა სილამაზე დარჩება, მხოლოდღა მშვენიერება დარჩება ამაღლებული ვნებათა ზედა. ბრბო. ხელოვნება ბრბოისა. სიმდაბლის ხელოვნება. დაცემა ზნეობისა. ეკრანი. მამათმავლები და ლესბიანელები კვარცხლბეკზედა. ბრბო. დასავლეთი. სტანდარტიზაცია. რა დროს ეს არის?!. „მედეა!..“ იმეორებს ბაადური. კიდევ იმეორებს. არა. არა. კმარა. სხვა სიტყვაც უნდა გამოსძებნოს როგორმე.

„მოვედი!..“ მიეშველება მედეაცა, თითქოს მიჰხვდა, რო ვერ გაუგია, რო მოვედიო.

„ჰო..“

„მე ვარ!..“

„ჰო...“ ეჭვის ნასახიც აღარ შერჩენია თითქოსაო, ანთუ მოლანდებაც სიცხადეა ამისთვისა, ანთუ სიცხადე მოლანდებააო, ანთუ იყოს, რაც უნდა იყოსო: „რამდენი გძებნეს!..“

„მძებნეს..“ არც გაჰკვირვებია, არცა სწყენია,

არცთუ სიამე რამ მოჰგვრია მედეასა.

„რამდენი მერე!.. მთლად საქართველო გადააბრუნეს. ანთუ რა მთლადაო!.. რაღა დაგვრჩენია?!..“

არა, ამის გასარჩევად არ მოსულა ქალი, თავს შეარხევს, თითქოს ბურანი უნდა შემოიფანტოსო:

„მე მოვედი!..“ კიდევ შეახსენებს. უფრო გამომწვევადა.

„ჰო!..“ ბაადური მაინცა: „არ დარჩათ არსად ლტოლვილთა ბანაკი, რო არ მისულიყვნენ. სიები გადასჩხრიკეს ალბათ ასჯერა და ათასჯერა...“

„სიები!.. სიების მეტი რაღა შერჩენიათ!.. და ისიც: ზოგი რო ასგანაა სიაში, ზოგი არცერთგანა...“ და ისევ შეარხევს თავსა უცებ: „რო იცოდეთ, ჩემი ჯიხური აგერა იქ იდგა, აგერ, აგერ, იმ კუთხეში!..“ ფანჯარასთან მიდის. თითს იშვერს. იშვერს. იშვერს. და რაო: შუქი გასდის თითსა თუ შუქისფერია თითი, თითები, მარაოსავით რო ჩამოშლილა. „ერთ მშვენიერ დღეს მოვედი და მანდ აღარ დამხვდა. იმუქრებოდნენ, იმუქრებოდნენ და სადღაც გადაეთრიათ. ძლივას მივაგენი“, იცინის ცივადა. „ერთხელ ისიც მოჰხდა: შიგ ვიყავი, ეგრევე აითრიეს ჯიხური, ეგრევე მატარეს ქალაქის თავზედა და ახმეტელის მეტროსთან დამაგდეს“. იცინის. იცინის. ისევე ცივადა. „ქალაქს აწესრიგებენ. რა უჭირს თბილისსა, – მზრუნველი არ აკლია. დევნილთა მზრუნველი არა სჩანს, სავაგლახოც ეს არის“. აღარ იცინის. თითქოს უნდა შეენამოს თვალებიო. არა. თვალებიც არ შეენამება. „იმუქრებიან, იქიდანაც უნდა აგყაროთო“.

„უშანგი გელოდებათ“. აიმედებს ბაადური. „ვარკეთილის მაღაზია თქვენთვის დააბევა“.

„მაგისთვის არ მოვსულვარ“. შეკრთება მედეაი.

„მაინც იცოდეთ“.

„მეცოდინება...“ დუმს. დუმს. და მერე: „ბოდიშის მოსახდელად მოვედი...“

„ბოდიშისა?!.“

„ბოდიშისა...“ ჩანთას ჩამოიხსნის მხრიდანა. აწვალებს. აწვალებს. სავარძელში ჩააგდებს. შემოუვლის. ზურგით მოექცევა. სავარძელსა რაღა თქმა უნდა. თითებს დააყრდნობს საზურგესა. დაბალია ზურგი სავარძელისა. ქალი ამაღლებულა თითქოსა. გამონათებანი ბარძაყებისა საზურგესა და ქვედაბოლოს შორისა, გამონათებანი და შეტოკებანი, გააჩნია თუ რა ითქმის ცხადია. „...იმდღეს რო არ გეწვიეთ. მოვედი კარამდისა... შემეშინდა... გავბრუნდი. შემეშანდა... თავს ვერ მოვერეოდი. ხალხი მეგულებოდა. თავს ვერ შევიკავებდი. არადა ეს მხოლოდ თქვენ უნდა იცოდეთ... თქვენ მომევლინეთ ჩემი უბედურების მაუწყებლადა. მიზეზადაც თქვენ დაგსახეთ ჩემი გაუბედურებისა. თქვენ მე შეგიძულეთ. თქვენი ლანახვა არ შემეძლო. ხსენებაც არ შემეძლო თქვენი. თქვენ არ მეშვებოდით. თქვენ თავს მახსენებდით თქვენი დაჟინებული ზრუნვითა. რა მექნა, არ ვიცოდი. მინდოდა თვალები ამომეჩიჩნა თქვენთვისა, მაგრამ თქვენს დანახვას ვერ ავიტანდი, მე ისე მძულდით, ო, როგორ მძულდით!.. ვძრახავდი ჩემს თავსა, რატომ ენა არ ამოგაგლიჯეთ, როცა რო მაუწყეთ და რაც რო მაუწყეთ. ვძრახავდი. ვწყევლიდი. ვქოლავდი. მე ამ წყურვილმა მაშინვე მომიარა, მაგრამ რატომღაც მომეჭრა მუხლი, მკლავნი ჩამომაწყდა. აშკარადა, ისე აშკარადა, შენიშნეთ თქვენცა. თქვენვე მწვდით და თქვენვე წამომაყენეთ. მე სხვაგვარად მეგონა: მეგონა მიწაში ჩამითრიეთმეთქი, – სადაც ის, მეც იქ ჩამითრიეთმეთქი. სამარეც თქვენ მეგონეთ, ჯოჯოხეთიცა, ყველაფერი, ყველაფერი, რაც რამ უბედურება მოწეულა კაცთა თავსა და რაც რამ ისედაც გამოუგონიათ და მძულდით. მძულდით. სიძულვილი თქვენით ვისწავლე. არც რამ გაანელა ეს სიძულვილი. უფრო: იზრდებოდა. იზრდებოდა. და. იზრდებოდა. იქამდე, იცით?.. მშობიარობის ტკივილებზე მეტად თქვენი სიძულვილი მაკივლებდა. ხალხს გადავკიოდი: მიხსენითმეთქი ამისგანა. მერე კი... მერე... ო, რა იყო!.. მანქანის თავზე რო ქვები არახუნდა, ძალაყინებმა რო ჩაგლიჯა კალთები და თქვენს თავზედაც რო შეიმართა... სისხლმაც რო ამოხეთქა... მე ვთქვი: მორჩა, მეშველა, გავნთავისუფლდი ამ ურჩხულისაგანმეთქი. მე ის აღარც გამეგებოდა თუ რა დღეში ვიყავი. აღარაფერი აღარ გამეგებოდა. რაღაც მძაფრი განცდა მეხვეოდა, რაღაცა მძაფრი და გამთანგველი. თუ რა დამმართვოდა თუ რას განვიცდიდი ერთმანეთს არაფრით არ უკავშირდებოდა. ახლაღა ვხედები: მაშინ ყველაფერი წაღმა-უკუღმა მეჩვენებოდა. არა. თავს არ ვიმართლებ. არცთუ გარჩევა მომინდომებია. ვყვები რაც იყო და ვყვები მხოლოდ იმისათვისა, რის თქმაც რო მინდოდა, რაც შეიძლება იმდღესაც მეთქვა, უკან რო გავბრუნდი. მხოლოდ სახალხოდ არ უნდა მეთქვა, არც რო არ ითქმის სხვათა გასაგონადა. სიძულვილი მითქვამს, ყველასთან მითქვამს, – ქალბატონ ქეთევანთანაცა. თქვენც მიჰხვდებოდით რაღა თქმა უნდა. მაგრამ არაფრად არ ჩააგდებდით. არც ჩაგიგდიათ არაფრადა. თქვენ იცოდით, რო შველა მჭირდებოდა. თქვენ იცოდით, რო დავიღუპებოდი უპატრონოდა და მომეპატრონეთ. მომეპატრონეთ და მიხსენით. პატრონი რო მყოლოდა, არც მოიხედავდით ჩემსკენა. მე თქვენ შეგეჩჩჩეთ და თქვენ არა მკარით ხელი, თუმცა ეს თქვენ ლამის სიცოცხლის ფასად დაგიჯდათ. ამას ახლაღა ვხედავ. მაშინ არა, მაშინ თქვენი არსებობაცა მზარავდა. ხსენებაცა!.. არც გახსენებდათ ჩემი ბინის პატრონი. მე მაინც ვიყრუებდი ყურსა, არცთუ თვალებში მივაჩერდებოდი, ემანდ თვალებმა არ გასცენმეთქი. ერთხელდა წამოსცდა: მშობიარობამ რო მოატანა, სასწრაფო დახმარებისათვის ფული რო არ აღმოგვაჩნდა: ისევ ბაადურიო. წამოსცდა. ტელეფონს მიეტანა. ვიკივლე: არამეთქი. ვიკივლე. ლამის რო ჭერი ავხადე სახლსა. ეგება იმიტომა: თქვენსავე უბედუ-

რებას რო გადამერჩინეთ?.. რას ვამბობ!.. მე ჰო არ მესმოდა თუ რა რატომაო?!. მე მხოლოდ ერთი რამ შთამგონებოდა: თქვენ რო მაუწყეთ უბედურებაი ჩემი, კვლავაც უბედურებას მომიტანდით, კვლავაცა, კვლავაცა, – იმჯერად ბავშვი დამეღუპებოდა. დამეღუპებოდა!.. ღმერთო!.. და განა ლამის ასედაც არ მოჰხდა?!. რა იყო?!. რად იყო?!. ღმერთო რა შეგცოდე?!. ანთუ რა ცოდვა მიუძღვით წინაპართა ჩემთა?!. არა. არა. ეს მხოლოდ ახლა თუ წამომაფიქრდა. მაშინ ჰო!.. ჰა, ჰა, ჰა... ბედისწერად თქვენ მომევლინეთ და მე თქვენა გგმობდით, თქვენა გწყევლიდით, თქვენ უარგჰყოფდით, თქვენს განადგურებას შევთხოვდი ღმერთსა. და იცით?!.. არა. საიდან?!. რო ითქვა: მოკვდაო, – შვება ვიგრძენი. მაშინღა ვიგულე თავი დახსნილადა და გადარჩენილადაც მაშინღა ვიგულე შვილი ჩემი. ამოვისუნთქე. გავნთავისუფლდი. ოღონდ თუ რამდენხანს გასტანა ამგვარმა ყოფამა, ის აღარ მახსოვს. არა. არა. დიდხანს რო არა, – ეს მაინც მახსოვს. უეცრად შემძრა რაღაც ძალამა, შემძრა. შემბოჭა, დამგლიჯა, დამფლითა, ნაკუწებად მაქცია და ამომავლო სისხლში ჩემივეში; და ამოხაპა სისხლი ჩემი ნაკუწებმა ჩემმა; და აღვსდექი კვლავაცა სისხლითა ჩემითა, ნაკუწებითა ჩემითა; და აღვსდექი სხვაი, განცდითა სხვითა და აზრითა სხვითა; აღვსდექი სხვაი და სხვა რამ ვიხილე, სხვაი, სულ სხვაი, რაც რო არც მეხილა, არც რო არსადაც არ მეგულებოდა და არც მეგონა მე თუ სადმე შემეყრებოდა, არა რა თქმა უნდა. ეს იყო სიკეთე. სიკეთე ვიხილე!.. სიკეთეი გამოცხადებული, სიკეთეი სრულის სიშიშვლითა, – უანგარობითა, სიწმინდითა. ვიხილე. და. მომიცვა თრთოლვამა განუცდელმა, დაუოკებელმა, არაამქვეყნიურმა, ნამდვილად, ნამდვილად რო არაამქვეყნიურმა. ცრემლიც თან მოჰყვა, ღვართქაფი ცრმელისა დ... და... ჰა, ჰა, ჰა... და... გამოვფხიზლდი. ახლა ასე ვიტყვი: გამოვფხიზლდი. გამოვფხიზლდი. ჰა, ჰა, ჰა... რა ენად გავიკრიფე?!. გადაწყვეტით ასე გადავწყვიტე: მივალ, ვეტყვი და გამოვბრუნდებიმეთქი: ერთ სიტყვას ვეტყვი, ერთადერთსა და გამოვბრუნდებიმეთქი. იქ ვეღარ გავბედე, კარებიდანვე გავბრუნდიმეთქი. აქ ეს დამემართა: ქადაგად დავვარდი. მაინც არ მომიხერხდა: რაც არ უნდა მეთქვა, ის გითხარით, რაც უნდა მეთქვა, ის ვერა. ვერა. არ უნდა მეთქვა, რო მძულდით. რამ მათქმევინა?!. სხვა უნდა მეთქვა. სხვა რამის თქმა მინდა. ვერა. ვერ ვამბობ. ეგებ რო გავბრუნდე ისევ უთქმელადა. ეგება თქვენც ეს გინდათ!.. ვიბნევი. არა. რაც უნდა იყოს მაინც არ წავალ ისე აქედანა, აღარა, აღარა, თუ არ გითხარით, რის სათქმელადაც მოვედი. არა. არა. ჰო უნდა გითხრათ, ბოლოსდაბოლოს ჰო უნდა იცოდეთ?!!!. მიყვარხართ!.. იცოდეთ, იცოდეთ: მიყვარხართ!.. იცოდეთ!.. ამისთვის მოვედი. ეს უნდა მეთქვა. გითხარით როგორც იქნა...“

იტყვის და ჩანთას დაეწოდება ეგრევე, საზურგიდანვე სავარძელისა. წამოეხვეტება ზედატანი. გადაიმშვილდება კანი აფროდიტესი. მარმარილო უფაქიზესი. პრაქსიტელეს მარმარილოი. უკეთესი რომაულ ასლზედა, დედანი, პრაქსიტელესი როგორიც იქნებოდა. აი მოქნევა, აი სიქათქათე!.. წამითა. წამითა. სწორდება უმალვე. ჩანთას გადაიგდებს უმალვე მხარზედა ხელის მოქნევითა ელვისებურითა. კარს მიასწორებს. ჩერდება კართანა. ჩერდება. ჩერდება. დგას. დგას. შემობრუნდება. ბაადური არც რო დაძრულა. მიაჩერდება დაყურსული თვალებითა, – ესა ცხადია. პრაქსიტელეა. მიაჩერდება. მეტი არაფერი. აღარაფერი. ანთუ რაღაო, – გადის მდუმარედა. გადის. მიდის. შეაჩეროს?.. აკი ნატრობდა: გამოჩნდესო, მიემატოს ჩემს მსმენელებსაო. ნატრობდა. შეაჩეროს. არაო. არ ივარგებს. აღმოთქვა, როგორც იქნა, აფორიაქებულმა აღმოთქვა. ისევ ისეა, არ დაშოშმინებულა. არა. არ ივარგებს. წავიდეს. ახლა წავიდეს. სადღა წავა?.. აქვე ყოფილა. სად არ ეძებდნენ. აქვე ყოფილა. აღარც დაიკარგება. ჯიხურებს სულაც ქალაქგარეთ გაჰყრიან. ისევ ვარკეთილის მაღაზია ერჩივნოს. დააბრუნებენ ვარკეთილსა. მსმენელებს ქეთევანი მოუყრის თავსა. იხმობს ამასაცა თუ მოისურვებს. თუ არა და რაო, – ბევრიც რად უნდა, – ქეთევანი და ნინოც იკმარებს. ოღონდ თავის თავს არ ელაპარაკოს. ვიღაც უსმენდეს. იჯდეს. ისხდნენ. ნუ მოისმენენ თუნდაცაო, ოღონდ არ შერჩეს მარტოდმარტოდა: მოლაპარაკეც თვითონა, მსმენელიც თვითონა, მოკამათეცა ორივე მხრითა, წამომძახებელიცა ორივესი, რო არც ერთისა სჯერა, არც მეორესი, არც არაფერი სჯერა და ვერც დააჯერებს ვერავინა ვერასოდესა. ვერასოდესა. არ ივარგებს. არა. არა. აქ რაღაც იწყება, რაღაც ისეთი, ექიმები რო უნდა ჩაერიონ, ექიმები ამ დარგისანი, რო არც განირჩევიან თავიანთი ავადმყოფებისაგანა, ანთუ ძლივას რო განირჩევიან. თითქოს რო ჰპოვეს მიზეზი მიზეზთა და თითქოს უებარი საშუალებაც რო ჰპოვეს. ფაფუ!.. მოუსვენარი დასავლეთი. მოუსვენარი მიმბაძველები. წამწყმიდა წახედულობამაო. ეჰეეე – რა სწრაფად ჩაურბენია კიბეები!.. დენი არ არის. ლიფტი ისედაც მოშლილია. ჩაურბენია. მიეჩქარება. თითქოს მირბისო. თითქოს მისდევენ და უნდა გაასწროსო. დააგდო იგი სულს რო უღრღნიდა. მოიშორა. და. მიურბის. მიურბის. ეგება ნანობს კიდევაცა: უთქმელად რად ვერ მოვერიეო. აღმოთქვა და ნანობს: რად ვერ ჩავკალი აღმოუთქმელადაო. ნანობს. არც რა აქვს ხანანებელი. არა. არც რაი. ამან ვერ მოასწრო ეთქვა, ანთუ არც ეტყოდა, ანთუ ჰო არც უთქვამს, ანთუ რაც იყო, ეს მაინც ასეა: დააგდო და ეგდება. ეგდება. ამას არც რა გაუკვირდება: არც სიძულვილი, არც სიყვარული, არც გულგრილობაი ამიერიდან მაინცა. ცხოვრება იდენს თავისი გზითა, თავისი ჩვეული კალაპოტითა, ვერც რო სიძულვილი, ვერც რო სიყვარული ვერ

ამოაგდებს საკუთარი სადინარიდანა, ძალა ვერ ამოაგდებს და რო არც არის უმძლავრესი ამათზე – სიძულვილსა და სიყვარულზე უმძლავრესი, აღმატებული. ამა ორთაგან სიძულვილი მოჭარბებულა. სიძულვილი. მაშ გასკდი გულო, რახან ენა უნდა დადუმდესო. ასე უნდა იყოს. თუ სხვაგვარადაა, – იყოს ასედაცა. ისევ გულგრილობა თუ გადაარჩენს, ისევ თავისი ფიქრი, თავისი საქმე თუ გადაარჩენს. ქეთევანი მოუყრის თავსა. აღარაფერი აღარ აფორიაქებს. გულგრილობა აიტანს ყველაფერსა, ყველაფერს გაუძლებს, ანთუ: რაც უნდა იყოს, არაფრად ჩააგდებს, – სიცოცხლეს არ ჩააგდებს არაფრადა, ცხოვრებას ჰო – სულ არაფრადა. ეს დაცხრომაა ვნებათაო – ჰა?!. ეგება ეს არის ვნებაი უმძაფრესი, ვნებაი უკიდურესი თუ უმაღლესი, საიდანაც რო მოსჩანს არარაი: ამაოებაი ამაოთა?.. ესეც მოვა. ქეთევანი მოიყვანს. თუმცა?!. ჰო?!. რაისთვის რაღას მოსჭიდებია ადამიანი?!. რადგან რო მაინც კაცნი გვქვიან, შვილნი სოფლისაო. ალბათა!.. რახან მოსულხარ, ჰო უნდა იყო?.. უნდა იყო ერისთვისა. აზრი ესაა თუ რამ აზრი აქვს წუთისოფელსა. ერია იგი სახეი ბუნებისა, ნაყოფი მისი, უშუალო ნაყოფი. სხვა ყველაფერი ნახელავია კაცთა, ნახელავია და საცდურია ყველაფერი: ცივილიზაცია, პოლიტიკა, – საცდურია, მაცდურია, მტერია ერისა ყველა და ყველაფერი, მტერია ბუნებისა, სახიერებისა. ბუნება მხოლოდ სახიერებაა, მრავალსახეობაა, თავისებურებაა თვით თავისებურებაშიცა. გვირგვინიც ესაა ბუნებისაი. რა ქმნილა გვირგვინი!.. ცივილიზაცია. სტანდარტები. პოლიტიკა. სამი ვეშაპი და გასრესილი საქართველო. მხედარი თეთრ ცხენზედა. შუბის ქვეშ განრთხმული გველეშაპი. ოცნებაი მარადიული. ოცნებაი უსასო, მკაფიოდაც რო ვეღარ გაურჩევია თვალსა ძლივსა და გახელილსა. ძლივასღა. ძლივასღა. გამქრალა: შუბოსანმა წაიღო თვალი და გამქრალა. მეღეა. გამქრალა. აღარც გამოჩნდება. აღმოთქვა ძლივას აღმოსათქმელი, აღმოთქვა და გადაიკარგება. აქამდის ვერ იპოვნეს. არ შეაჩერა. ვეღარც იპოვნიან. ჯიხური რა მისამართია? უთვალავია. უცებ ამოტენეს ქალაქი ჯიხურებითა. თვითონვე ამოტენეს. თვითონვე წყრებიან. თვითონვე დაფშხვნიან ერთ მშვენიერ დღესა, დაფშხვნიან, გადაჰყრიან და აღარც აღარავის გამოადგება ისედაც უხეირო მისამართი. შემეჩერებინა. რაღაც მეთქვა. უფრო გულდაგულ გამომეკითხაო. რაღა დროსაო. და ვინ უწყის მაინც გადარჩენილიყოს ბუნებაი თავისთავადა, ბუნებაი და ბუნების შვილნი თავისთავადნი, ბუნებისანი, ბუნებისმიერნი. ნათელნი. ხასხასანი. – ჯერ რო ცივილიზაციას არ შეუღწევია, – ფროიდსაც არა, ნავთისა და ურანის მაძიებლებსაც არა, – პოლიტიკას არა ესეიგი და რაღა თქმა უნდა. ენაც რო უბრალო აქვთ, ყოფაცა. მათი ნათქვამი რო არავის არ ესმის და არც რო იმათ არავის არ გაეგებათ არაფერი. არაფერი. სულ არაფერი. არაფერი. ვინ უწყის, ჰა?.. მერე და რაო, – კმარა რო თვალი დაჰკრას ცივილიზაციამა, ერთი თვალი დაჰკრას, ერთი, ერთი, კმარა: საუკუნეები გადაიქროლებენ რეაქტიული სიჩქარითა, – სინათლის სიჩქარითა, უმჯობესიაო, – კმარა, კმარა, იქაური ქალიშვილებიც რო გამოცქრიალდებიან კანის ფესტივალზე ჰოლივუდის ვარსკვლავებთან ერთადა, კმარა, იქაურივე მამლაყინწანიც რო გამოგვეჭიმნონ „გაეროშია“ და ამერიკული სტანდარტები დაგვილაგონ წინა ჩვენი ცხოვრების მოსაწყობადა. სტანდარტები. დემოკრატია. სტანდარტები. სტანდარტები. დემოკრატია. თუმცა ჰო: კანის ფესტივალზეო: საბეწვეებს ჰო იქაც იფარავენ, – ველურ კუნძულებზედა, ჭიპგადმოგდებულები ჰო იქაც დადიან, – ჰოდა სხვა რაო: წინ დაჰხვდებიან ცივილიზაციასა კანის ფესტივალზე, „ოქროს საწმისსაც“ მოაკითხავენ. შენ გაუძელი საუკუნეებსა აეტესიდან გუმბარიძემდისა. გაუძელი. გაუძელი. და. ისევ ისე. გასწიე ჭაპანი. გასწიე. და. გაიტანე გუთანი ბოლოს. თუ გაიტანე!.. ბრბო ვერა. ერი გაიტანს. ერი. ერი. მიწა. სად მამაპაპა მეგულვის, იმათი კუბოს ფიცარიო. მიწა. ფესვებს ოღონდ რო მიწის ზემოთ ნუ ამოცვივია, ცივილიზაციამ არ გადაბდღვნას, არ გადაჰქელოს, არ გადაგლიჯოს. გადაიქროლოს და გადმოიქროლოს, გადაიქროლოს და გადმოიქროლოს. იქროლოს რამდენიც რო ენებოს. იქროლოს. იქროლოს. შენ ღრმად გაიდგი ფესვები მიწაში. ღრმადა. ღრმადა. მყარადა. მყარადა. იმან იქროლოს. დერეფანი. ცაში დერეფანი. ქარღაქარ დერეფანი. „ღრუბლებიც მიჰქრიან ქარღაქარ“. ყველაფერი მიჰქრის. შენ იდექი ერო. შენ მყარად ერო. ქარღაქარ, ქარღაქარ, ქარღაქარ, სტანდარტები ქარღაქარ. მსმენელი უნდა. ქეთევან!..

ტელეფონი წკრიალებს. წეღანაც ჩაესმა წკრიალი. რამდენჯერმეც ჩაესმა. წაუყრუა თუ ყურადღება არ ეყო. ახლა მაშინვე აიტაცებს სასმენსა.

ქეთევანია:

„დღეს ქათმები მოიტანეს ჩვენთან ინსტიტუტში... დახმარებააო. ცოტა ნიგოზიც ვიშოვნე. საცივი გავაკეთე. მეფური სადილი გვექნება. ჰა,ჰა,ჰა... მოხვალ?..“

„აუცილებლადა!..“

აუცილებლადაც მიდის. სუფრაც გაშლილია. ერთი ბოთლი „ქინძმარაულიცა“ დგას მაგიდაზე. რა ფერმკრთალია ქეთევანი. – მოუხდება. ნინოც ფერმკრთალია. ნინო უარს ამბობს. ჭიქას გასწევს. „ბავშვები სვამენ. სადაც რას მოასწრებენ, სვამენ“. ამბობს გულგრილადა: რო არცა სძრახავს, რო არც მოსწონს. ქეთევანი ჭიქას გამოსცლის. ჯერ სადღეგრძელოს ამბობს. რამდენი ხანია ერთად აღარ გვისადილიაო. წვეულებას არა თვლის, ბაადურის დაბრუნების წვეულებასა, – ოჯახს. ოჯახს ერთად აღარ გვისადილიაო: რა პატარა ოჯახი ვართ და როგორ განცალკევებულიო. უკვირს. არც უკვირს. ოჯახის სადღეგრძელოს

ამბობს, ოჯახის ერთობის სადღეგრძელოსა. ჭიქასაც გამოსცლის ისე ერთბაშადა, მოწყურებულს რო დაემართება. ერთბაშად გამოსცლის და ერთბაშადვე აეკიდება ლოყებზედა. შეიფაკლება. შეყირმიზდება. „ეს რა ვქენი?!“ იტყვის. ხელებს აიფარებს სახეზედა. „მეც შენთანა ვარ...“ ამხნევებს ბაადური. ისიც გადაჰკრავს ერთბაშადა. მოეკიდება ღვინოი იმასაცა, უფრო ფერმკრთალსა, ნაავადარსა რაღა თქმა უნდა.

ნინოს ეცინება:

„ბავშვები ისე სვამენ, რაც უნდა იყოს, თითქოს წყალიაო...“

„რაღაა ბავშვობა, როცა აღარაფერი აღარ უკვირთ!..“ ეცოდება ბავშვები ქეთევანსა, განცვიფრება დაკარგულაო. ეცოდება. დიდებივე იბადებიან. აკვანშიაც დიდები წვანანო. ერთი ცხოვრება მოუვლიათ თითქოსა, მეორედ მოვლენიან ქვეყნიერებასაო.

„ბავშვებს ბავშვობა უნდა დაუბრუნდეთ. დიდებს დიდობა უნდა დანებდეთ...“ და აღარ განაგრძობს ბაადური, ივედრება თითქოსაო, აღარ განაგრძობს. გაიცქირება სადღაც შორსა. თითქოს კედლებიც მორღვეულა. მიყრილ-მოყრილა თითქოს მთებიცა, ზღვებიცა, ტყეები ცაში გაკიდულაო, შორსა, შორსა.

„დაუბრუნდებათ?..“ იკითხავს ქეთევანი არცთუ ეჭვითა, არცთუ იმედითა.

„უნდა...“ ვერც ბაადურს გადაუწყვეტია.

ნინო არ ერევა ამის განსჯაში. ნინო სხვას ამბობს:

„ერთი იგავი კიდევ წაგვიკითხა მასწავლებელმა: აწვია „ესენგეს“ სამიტი თეთრმა დათვმაო. ბავშვები აუხირდნენ: რატომ თუ „აწვია“, - „მიიწვია“, „მოიწვია“ უფრო სწორი არ იქნებოდაო. საბა საბააო, მოგვიჭრა მასწავლებელმა, თავისი განაგრძო: თეთრმა დათვმაო. თვითონ ქათქათა თეთრით გამოცხადდა: თეთრი ქათიბითა, ჰალსტუხითა თეთრითა, გულისპირი ჰო თეთრი და ყველაფერი თეთრიო. სხვანი ჭრელ-ჭრულად შემოსილიყვნენ. აქლემიცა, ცხენიცა, ვირიცა, ჯორიცა... მელას ყაბალახი შინდისფერი მოეხვია, კუდი ამოევლო ოქროს წყალშია. აბურდღუნდა დათვიო. ისე ჰო ვერაფერს შეატყობ დათვსაო, გახარებულია თუ გაბრაზებულიო, ბურდღუნით თუ შეატყობო. აბურდღუნდაო. ბრძანა: სარკე მოიტანეთო. ბრძანა. გადმოდგეს სარკეი ვეება, შორით შორს რო იჭვრიტებოდაო. გაბდღვნილი მგელი გამოჩნდა სარკეში. აღარც რო ბეწვი, აღარც რო ტყავი აღარ შერჩენოდა. ქარსა, ქარაშოტსა, ქარიშხალს შემოეგლიჯა. მდგარიყო ეგრე, არ გასცლოდა, მყუდრო არ ეძებნა, არ შეჰპუებოდა არცა სხვა რამ უბედურებასა, ფეხი არ მოეცვალა ადგილიდანა. ძვალზე დასულიყო. სცვივოდა ნაფლეთნი უკანასკნელნი ხორცისაი. სისხლისაგან ჰო დაწრეტილიყო.. რა დაგმართნიაო, - გასძახა დათვმან თეთრმან, - რატომ არსაით არ გაიქეცი, რატომ არავის არ შეაფარე თავიო. ანთუ გაქცევა რას მიქვიანო, - გაიკვირვა მგელმან რუხმან, - ანთუ ვინმესთან თავშეფარებაო, ეს არის სამშობლოი ჩემი, აქ დავიბადე და აქ უნდა მოვკვდეო. გაიხსენეთ რაფიელიცაო: არ გავცვლი სალსა კლდეებსა სხვა ქვეყნის სამოთხეზედაო. დათვმა რა იცის რაფიელიო. ჰხედავთო, მიმართა დათვმან სამიტსა, ეგევე მოგელით თქვენცაო, ემაგ ჭრელ-ჭრულებს თუ არ მოეშვებით, ისევ ჩემს ჭკუაზე თუ არ დადგებითო. მასწავლებელს ეგონა: პირს დააღებენ ბავშვებიო. ბავშვებმა გაიცინეს: რა იცოდა „სამიტი“ საბამაო. იცოდაო. არ დაბნეულა არც მასწავლებელი. „ინსტრუმენტიც“ იცოდა, „მოტორიც“ იცოდა. „მედიკამენტიც“ იცოდა, „მატერიაც“ იცოდა, „ვაკუუმიც“ იცოდა, „ინტერპრეტაციაც“ იცოდა, „კასტრაციაც“ იცოდა, რაღა არ იცოდა, ეს „სამიტი“ ვითომ რაღა არის, ვითომ რატომ არ ეცოდინებოდაო, ოღონდაო: არ აჰყვებოდა მეტიჩრებსა და მეტიჩრობასაო, არ გადააგდებდა ქართულსა, მანჭიობას არ მოჰყვებოდაო. არაო. არაო. მანჭიობას არ მიეცემოდაო. „სტრადაც“ იცოდაო. ავტო ჯერ არ გამოეგონებინათ, ოღონდ რო მოესწროთ: გზაშარას არ გადააგდებდა და „ავტოსტრადას“ არ დაგვიდგენდაო. არაო. არაო. არავითარ შემთხვევაშიო. ენა ღმერთი იყო საბასათვისა. უღმერთოდ სიცოცხლე არაღ უღირდაო. ბავშვებმა. ბავშვებმა აუქციეს. ბავშვები აბუზღუნდნენ. არსად გაკვეთილები არა ტარდება, ეს არ გვეშვება თეთრი დათვითაო. აბუზღუნდნენ: ნიშნი მოუგეს: ატესტაციისა გეშინიანთო. არაო. არ გაბრაზებულა მასწავლებელი. „ატესტაციაც“ მეტიჩრობააო. შემოწმებისა არავის არ ეშინიანო. მეტიჩრობაა „ტესტებიცა“, მეტიჩრობაცაა და მიქარვაცო. ქართულად ყველაფერი უკეთესადაც გამოითქმის, ისევ ცოცხალი სიტყვებით გამოითქმის, მკვდრებს მოათრევენ საიდანღაცა და ცოცხლებს გვიმარხავენო. ვითომ განათლების სამინისტროცა ვართო: დაბრმავებულან და ჩვენც თვალებს გვიხვევენო. ბავშვებმა დათმეს. ხვეწნაზე გადავიდნენ: გაგვიშვი მას!.. გაგვიშვი მას!.. ჩაიქნია ხელი მასწავლებელმა...“

„ნინო!..“ შენიშნავს ქეთევანი თითქმის ჩურჩულითა.

„მაპატიეთ!..“ გაიცინებს ნინოი, ისე იტყვის და ისე გაიცინებს, მიტევებას რო ითხოვს სიცილითაცა.

„ილაპარაკოს...“ მიეშველება ბაადური, „თითქოს სხვა იყოს. ხმა შეცვლია. ილაპარაკოს. ილაპარაკოს. ჰო უნდა შეგეჩვიოთ ხელახლადა.?..“ მაგრამ არაო: აღარაფერს აღარ იტყვის გოგონაი. ქეთევანიც აღარაფერსა. თვითონაც - არა. ეგება ლაპარაკი საჭირო არც არის. შეექცევიან.-მდუმარებენ. თვალს შეავლებენ ერთიმეორესა. დუმილი საუბრობს. თვალი საუბრობს, თვალი მეტყველი ყოველივესი, იმწუთს სიამისა, მცირედი სიამისა: ოჯახი სადილობს. სადილი აქვს და სადილობს. პატარა ოჯახი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო პატარა აღარც შეიძლება: დედა, მამა, ასული. პატარა. უიმედო. ვაჟიშვილიც რო ყოფილიყო, გაგრძელდებოდა ოჯახი, გვარი გაგრძელდებოდა. წყდებოდა რიკოთელთა გვარი ნინოსთანა, ათი შვილიც რო გაეჩინა, - წყდებოდა. ათი. ზღაპარი გეგონება. „იყო მეფე ნოშრევანი, ეძლეოდა მას შვილები. ოცი შვილი გასჩენოდა, ოცივენი სულ ვაჟები“. ოციო. ათიც ზღაპარია. არადა: ფალიაშვილები ყოფილან ათი დაძმანი აგერ ამ ჩვენს საუკუნეშივე. აი ოჯახი!.. ამაზედა დავმდგარვართ: დედა, მამა, ასული. სხვაგან ვაჟიც იქნება, ანთუ მხოლოდ ვაჟი იქნება. აქ მხოლოდ ესაა: ნინო. თავის თეფშს მოსცლის. გადაჰყლაპავს ბოლო ლუკმასა. მადლობას განაცხადებს. დგება. სკამს გაასწორებს. ღამემშვიდობისას იტყვის. და. გადის. ბურუსდება. მოიპარება ბინდი. მოიპარება. მობურუსდება სახეები. ჯერ იისფერი აეკიდება, მერე მუქდება თანდათანობითა. თვალები კრიალებს, თითქოს თანდათანობით გამოანათებსო. არა. არა. ის კატის თვალებია ბნელში რო ანათებს. თვითონ არა სჩანს, ვეება მხეცია თითქოსაო, არადა: კატაა, არადა: თაგვის საფრთხობელაა. ბნელში რას გაარჩევ?.. მაგონებს ერთ უცნაურ შემთხვევასა. აქ ის მოსატანი არ არის. ისევ ესენიო. ისევ ეს დუმილი. ისევ მობურუსებაი ესე. კრიალი თვალთა, ოდნავი კრიალი, რო მიჰქრება ისიცა თანდათანობითა, ბნელი რო მოიცავს იქაობასა. ქალაქიც რო ბნელდება. სადღაც თითქოს რაღაც ჭიატებსო. მოჩვენებაა. შურის ანთებაა. „ენერგეტიკული კრიზისი“, „მეცხრე ბლოკი“. გაგვიხდა ესეც მეცხრე სიმფონია. არა. არა. იმას აქვს დასასრული. დასაწყისიცა აქვს, დასასრულიცა, ამას აღარაფერი არ გააჩნია, არაფერი. ამაზე თქმულა: ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო. „ეს ზამთარიც გადავიტანოთ. მერე გვეშველება. ჩადგება მწყობრში... მოვიმარაგებთ მაზუთს... მოვაგვარებთ გაზის ტრანსპორტირებას...“ ჰა, ჰა, ჰა... აღარა სჯერათ. არავის არავისი აღარაფერი აღარა სჯერა. უარყოფილია ყველაფერი. ყოველივე უარყოფაა. სიცოცხლეც თუ უარყოფაა, რაღაა ყოფაი?! ყოფა რაღაა?!. ისედაც ითქმის, ი-ნი რახან გეზედმეტება. შენ ყოფა იპოვნე, სიცოცხლეც თუ უარყოფაა. ბნელდება. ბნელდება. აღარც რო სიტყვაო, თითქოს რო სუნთქვაც აღარაო. არადა: იგრძნობა: ქეთევანი გრძნობს: დგება ბაადური. დგას. დგას. ბნელში დგას. რაღატომაო. სიბნელე ჰო გაბედულებააო. არისო და: დაიძვრის ადგილიდანა. თუმცა: არცა ჩქამიო. სუნთქვაც არაო. და მაინც, მაინცა: ეხება ხელი: ჯერ ერთიო, მერე ორივეი. ეხება. ეხვევა. აიკალთავებს. აიყვანს. მოიღვეღდება ქალი. შემოეჭდობა ქალი. ბნელში. სიბნელესა. შექანდება ბნელი. ჯერ არც ისე მოღონიერებულა, ქალი რო აიტაცოს, შეათამაშოს, გაიტაცოს. აიყვანს მაინცა. აჰყვება და აიყვანს. აღარც ირხევა ქალი. შემოეჭდო და ისაა. შემსუბუქებულა. კიდევ კარგიო. მისხალიც რო მეტიო, ვინ უწყის თუ მოერეოდა. კიდევ კარგიო. ზურგით შეაღებს საწოლის კარსა. ზურგითვე მიჰხურავს. გაიჭრიალებს კარი ნინოსი. შუქი გამოკრთება სანთლისაი წამიერადა. არ დაუძინია?.. დაიძინებს. დაიძინებს.

## XXIII

მსმენელები ნუ გაფიქრებსო: ქეთევანმა: ჩვენთან მოდი, სამსახურში. უქმადა ვსხედვართ. სიამოვნებით მოგისმენთო. ესეც შეაპარა: აქ დარჩი. იქ იმდენ ყურადღებას ვერ გაქცევ. ჯერკიდევ ცოდო ხარ მარტოდმარტოო. პირველიც მოიწონა, მეორეც მოიწონა ბაადურმა, ოღონდაო: ერთხანს მაინც მარტო მირჩევნიან. შესავალი ლექციები საფუძვლიანად უნდა მოვამზადო, ეს მხოლოდ საუბრები ჰო არა, - წიგნი უნდა იყოსო. აღარ აჰხირებია ქეთევანი. ორი დღის საგზალი გამოუწყო, თითქოს რო საკვირავო გასასეირნებლად ისტუმრებდა თბილისის გარშემოო. ორი დღის მერე მოგაკითხავ თუ არ დაგიშლია, თუ არა და ეგებ რო ჩემი რჩევაც დაგიჯდეს ჭკუაშიო. აღარც ბაადური აჰხირებია: ვნახოთო. თუმცა იცოდა, რო არ გადავიდოდა თავისასა. არც გადავიდოდა. ვერც გადავიდოდა. სრული სიყრუე უნდოდა, გარინდებაი სრული. უნდოდა. უჯობდა რაღა თქმა უნდა. სურვილი კარგია თუ რო დააცდიდნენ თუ რო მიუშვებდნენ ნებასა. ვინ მიუშვებდა?.. ვის მიუშვებდნენ?.. ტელეფონი აუტყდა. გამოთიშა. კარსაც მიადგნენ. ზარი არა რეკდა. მერე და რაო, - მუშტები დაუშინეს. წიხლები დაუშინეს. რაღას იზამდა. კართან ვიღაც ახმახი იდგა. საომარი სამოსით წარმოიდგინა. გაჯაგული წვერ-ულვაშითა. ავტომატითაცა რაღა თქმა უნდა. არადა: ახლადახალი კოსტუმი ემოსა, ფეხსაცმელებიცა, ჰალსტუხი დაქლაქა, მაღაზიაშივე გამოკვანძული, ახლადახალ მაღაზიაში, უცხოურში, უცხოური წარწერებითა, - აჭრელებულიყო თბილისი რო, სამოსიცა რაღა თქმა უნდა. და იდგა ეს ახმახი, გამოცანასავით იდგა, ამოსაფხეკ ნიშნებიანადა. იდგა. იღიმებოდა: აბა თუ მიცნობო. წარმოსთქვა როგორც იქნა: ძია ბაადურო. „ძია ბაადურ!..“ „ძია ბაადურ!..“ „ძია ბაადურ!..“ ატყდება ხმები იმავდროულადა აქედანა, იქიდანა, იქიდანა, იქიდანა: რომელია?.. რომელი იმათგანი?.. რომელიც უნდა იყოსო, კარებს გაუღებს ყურთამდისა. თვითონ განს გადგება: ნაბიჯით ვიცნობ, რხევით ვიცნობო. საველე სამოსი და გაჯაგული წვერულვაში ჰო თავიდანვე ეცა თვალშია, - გაგრა?.. სოხუმი?.. თითქმის აღებული და მიტოვებული ტყვარჩელი?.. აღებული და მიტოვე-ბული სოფლები ოჩამჩირის გზებზე?.. ოჩამჩირე?.. ჭუბერი?.. უღელტეხილი?.. აქეთ!.. აქეთ!.. ჰო: ის არის.. და ის დაასწრებს:

„აი დაგიბრუნეთ!..“ და გენო ადამიას ნაჩუქარ

პისტოლეტს დაუდებს წინა, „თქვენ ალბათ გეგონათ, რომ გიმტყუნებდით.“

„არა, არა!.. მე გელოდით. მე მჯერა სიტყვისა, ვაჟკაცის სიტყვისა!..“

ვაჟკაციცა დგას. ვერას დაუწუნებ თვალადა, ტანადა. საქმითაც ჰო: დაჰპირდა. შეუსრულა. იარაღის ტარება უკვე სახიფათოა. კანონით ისჯება. სიტყვა სიტყვაა, მაინც სიტყვაა, როგორი კანონიც არ უნდა დაიწეროს. დაწერ, წაშლი. სიტყვას ვერ წაშლი. მაშინდელია: ქაღალდის ჭკუა ჯერაც რო არ გაღვივებულიყო. სიტყვა სიტყვაა. აი სიტყვის კაცი. ბაადური ხელს ართმევს, მხურვალედ ართმევს ხელსა. ის უფრო მხურვალედა. თვალებიც უელავს მხურვალედა, ომიდან გამოსულ ადამიანს რო შეეფერება, ცოცხლად გამოსულსა. სიტყვა ტკბილი აქვს, ხმის კილო საამური. სიამესაც დასტოვებს, გამოემშვიდობება რო, – სიამესა, ახალგაზრდულ მჩქეფარებასა. სევდასაც დასტოვებს, ღრმად ჩამჯდარსა, უთქმელსა, ცხადსა, იმედსაცა, ისევე უთქმელსა. აი ხალხი. ხალხი. ხალხი იქ იყო. ომში შეყრილი. გაუწაფავი ომისათვისა. გაუწაფავი. მოულოდნელი. ხალხი. უხეირო მეთაურები. ხალხი. უიარაღო ისედაცა. განიარაღებული ისედაცა და ასედაცა: ბრძანებითა. ღალატითა. ხალხი. გულითა. სულითა. ანთებული სავაჟკაცო საქმეთათვისა. იქ ღირსება არავის არ აკლდა. მტკიცება არ უნდა არავისი. საბუთები არა სჭირდება: ჰხედავს. აღბეჭდვია. ჰხედავს. ჰხედავს. სულსა გმირულსა. განწირულსა. სიცრუე. სიცრუე. ნდობა. ნდობა?!. ვისი?!. გამშაგებული არმიები. გამოპანღურებული ავღანეთიდანა. შერცხვენილი. სამხედრო დიდება რო დაიბრუნოს, საქართველოზე იყრის ჯავრსა, – პატარა ქვეყანაზე, ერთი ჩექმის ლადგმად რო ულირს. იყრის. იყრის. ვერა, ვერც იყრის, – ვერც იყრიდა თუ არა: ნდობა!.. ნდობა ვერაგისა?!. საცოდავი ხალხი. ხალხი. ბრბო. ბეწვია შუაში. ბეწვი. ბეწვი. „ჩვენი სამფლობელო ჰო უსაზღვროა, ჩვენი მიწისას ერთ გოჯსაც არ დავუთმობთ არავისა, ფრჩხილითაც არ გავატანთ, სხვისას მოვიხვეტავთ ბულდოზერებითა“. ჰპირდებოდა ჰო ელცინი ამომრჩევლებსა, – ჰპირდებოდა და აღასრულებდა: ეშიდებოდა მთებსა, ტყეებსა, მწვერვალებსა, შავი ზღვიანად ეშიდებოდა. ჰყლაპავდა ფორთოხალსა გაუფცქვნელადა: გემრიელია ასე უფროო, ურჩევდა თანამემამულეთა. „ურაააააააა!..“ გრიალებდა ცაი და ზღვაი, მთები იფრქვეოდა, შემრულიყო რო კავკასიონი, ძირფესვიანად შემრულიყო. „ურააა!..“ „ურააააა!..“ „ურააააააააა!..“ ღრიალებდა მარადის ბრბოი, აეყოლიებინა რო დასავლეთიცა, ანთუ გაესულელებინა რო დასავლეთიცა: შეჰხედეთ, შეჰხედეთ აფსუა ხალხსა, თავს როგორ აღწევს საუკუნოებრივი მონობიდანაო. ბრიყვი დასავლეთი!.. ეშმაკი დასავლეთი, როგორც რო უნდა, როცა თუ უნდა, ისე იმგვარადაც გაიბრიყვებს თავსა. ეშმაკი დასავლეთი, ეშმაკი ჩრდილოეთი, ეშმაკი აღმოსავლეთი, ეშმაკი სამხრეთი, შუამოქცეული პაწია საქართველო, პაწია და ბედოვლათი!.. ანთუ: პაწია და კოპწია, კოპწია და კოკობზიკა, – ვაი შე საცოდავო!.. ჰპირდებოდა და აღუსრულებდა. მოიხლაკნებოდა შავი ღრუბელი გველხოკერებისა. მოშლილიყო ფრონტი. ჯარი და ხალხი არეულიყო ერთიმეორეში. ვინ ვის გაასწრებდა. ანთუ რა ჯარიო, ანთუ რა ხალხიო, – ბრბოი ათქვეფილი, აზელილი, აღარც სად ტანიო, აღარც სად სახეო. თვალმა დაჰკარგა სახეთა გარჩევაი, იქ დაჰკარგა და ვერც აქ უპოვნია. ვერა. ვეღარა.

„იყო ღალატი...“ მოსთქვამს სახელმწიფოს მეთაური, „გაიცა ბრძანება: მოიხსენითო... და... და... მოიხსნა ფრონტი“. ქაჯან, წადით, წადით!.. ანგელოზია თუ ეშმაკიო: ვინა ბრძანაო: სახელმწიფოს მეთაურიო, მთავარსარდალიო, ესაო, ისაო, ვინ იყო კიდევა, სხვა ვინა ბრძანდებოდა?.. „იყო ღალატი... დრო მოვა... ითქმის...“ ელცინს უკვე უსაყვედურებდა: ეს რა გვიყავით, – მოგენდევით... ეს არის კაცობა?!. კაცობა მოჰკითხე!.. არა სჯეროდა რო მაინცა: ჩამოგდებული შვეულმფრენი რუსებისააო?. აელო კეტი, გაუჩორკნავი კეტი, გზას ძლივს მიიკვლევდა მთებსა და ტყეებში. ჩემი თვალით უნდა ვნახოო. არცა სჯეროდა. ჩვენაო, ჩვენაო, – გაიკვირვებდა ბატონი ელცინი, ჩვენ შაგას ვიკადრებთო. გრაჩოვი თუ შეცდა, არ ვაპატიებთო, არაო, არაო, არავითარ შემთხვევაშიო. აი ნახავთო. ნახავდი უარესსა. ისიც უარესად იმუქრებოდა: გრაჩოვს დღეს დავაყრი, პასტუხოვსაც თან მივაყოლებო. გულში ქირქილებდა რაღა თქმა უნდა. ქირქილებდა. ქირქილებს. ფაფუ ხალხიო. ისევ იგივე. ისევ იგიო. ფაფუ ხალხიო. თვალებს აახამხამებს. ის არა. ესაა, – ბაადური: ფაფუ ხალხიო. იმასაც ეს უნდა. ამას არა, არა, არა, – ესაა, ესაა რო აძრწუნებს. ბრბოი, ბრბოი. კორიანტელი. ბორიაყი. კაცნი თუ ნივთნი არეულნი ერთიმეორეში. არეული. ათქვეფილი. აჭრილი. გადარეული. გაგლესილი. ცალკე აღარავინა. ის ერთიც აღარა, აგერ რო დასტოვა გენო ადამიას სახსოვარი. აღარა. გავიდა, წავიდა. მაინც შემოანათა ერთი წუთითა. ცოტას მაინც დაყოვნებულიყო. ემატა. ემრავლა წარმოსახვით მაინცა. ემრავლა, ემრავლა. ქცეულიყო ბრბოი ხალხადა. ისევა. ისევა. ხალხი – ერადა. ერი – სახელმწიფოდა. როგორმე. როგორმე. ეპოვნა ტანი, სახე თვისი, დაკარგული კვლავ აღედგინა. „იყო ღალატი...“ ბრბო დგას. დგას. დგას. ირყევა. ირხევა. ბურანს შეებრტყავს.

„კონსტიტუცია!..“ ღრტვინავს პარლამენტი.

„რა დროს კონსტიტუციაა?!.“

„რა უდროესია?!. რას აკეთებს საკონსტიტუციო კომისია?!.“ შარზეა პარლამენტი. საკონსტიტუციო კომისიას ჰო სახელმწიფოს მეთაური თავმჯდომარეობს. ვერ მოიცლის. ვერც იცლის. სხდომებს ვერც ესწრება. თავს ვერ გაართმევენ უმისოდაო. ჩვენ მზადა გვაქვს ჩვენი პროექტი, სრულყოფილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



პროექტიო: ერთი ფრაქცია, მეორე ფრაქცია, მესამე ფრაქცია... მეათე... მეოცე... მიდი და ითვალე; ერთი პარტია, მეორე პარტია, მესამე პარტია... მეათე პარტია... მეასე პარტია... სათვალავს ვერ აუხვალ; არა ჩვენი სჯობსო, არა ჩვენიო, არა ჩვენიო, უცილობლობენ თავგადაკლულნი. ყველას განვიხილავთ რიგრიგობითაო, – ამას სპიკერი ჰპირდება ყველასა. იბრძვიან რიგისთვისა. ღამეს თუ ათევენ, პურის რიგებისა არ იყოს. ჭიაკოკონებს თუ შემოუსხდებიან. ისევ თუ ჭრიან ბუჩქებსა, ჩამოსჩეხავენ ხეებსა, გამოჰგლეჯენ კარფანჯრებსა დაუმთავრებელი შენობებიდანა, ისევე, ისევე თუ რომ სადმე შემორჩენილა. რაღა თქმა უნდა. ჩაუდგებიან სათავეში ვეტერანები. არა, არა ის ძველი ვეტერანები აღარა: ჩვენი პარტია უძველესია – 1988 წელს დავარსდითო. ჩვენია უძველესი – 1987 წელს დავარსდითო. ჩვენია, ჩვენი – 1978 წელს დავარსდით, ჩვენ გაღმოვყარეთ პროკლამაციები რუსთაველის თეატრში: ენას გვართმიევენო. არა, – ჩვენაო. არა, – ჩვენაო. არა, ჩვენაო. ვის დაუჯერო?!. ვის ეკითხებიან, – ყველა სათავეშია, მიმდევარი აღარაო. ფაფუ – რო არა სჯერათ ერთიმეორისაცაო. მხოლოდ ისღა დაუჯერებიათ: მთავრობის კომისია მზად არ იქნებაო. ძლივს მოსულან რო ერთ აზრზედა, ვერ უაზრიათ ისიცა სწორადა. მზადა ყოფილა. ამერიკელები დავისხითო. ჩვენი მეგობრებიო. იტალიელები. ჩვენი მეგობრებიო. ოოო, განსაკუთრებით იტალიელებიო თავი ვერ აუღიათ კონსტიტუციიდანა,. ქვეყანა აერევათ მალიმალა. კონსტიტუციასაც არემონტებენ მალიმალაო. ესენი, ესენი არიან, რაც არიან, თორემ ამერიკელები რაო: ერთი დეკლარაცია დაუდვიათ აგერ საუკუნეზე მეტია, დაუდვიათ და ასხედან, კონსტიტუციებს სხვებს უწერენო. მზადა ყოფილაო, – სპიკერსაც უკვირს. განვიხილავთო, – სპიკერი ბრძანებს. სავარძელს ირგებს უფრო მარჯვედა. ტუჩებს იწუწნის უფრო ხშირადა. იწუწნის. ილოკავს. გაბუტულა ჰო თავმჯდომარეი პარლამენტისა, მეთაური სახელმწიფოსი: უზრდელ პარლამენტში ფეხს აღარ შევადგამო?.. ჰო აღარც შეუდგამს კარგახანია!.. პარლამენტიც ისევ ის არის, ისევ ის იქნება, რო არა ცვივა ზრდილობაი ციდანა, – არა, არა, არა ცვივაო. მეთაურიც არ გასტეხს სიტყვასა. ერთხელ რო?.. ის სხვა იყო: ისიც მწვანეებმა და „თბილისმა“ ინება სიამოვნებითა. საჭირო იქნება?.. კიდევ ისიამოვნებს. და მიბრძანდება პარლამენტში სახელმწიფოს მეთაური და პარლამენტის საჭეს მიუჯდება მეთაური და ჩაიჩოჩებს სპიკერი და შერჩება გაბუშტული ტუჩები სპიკერსა და თვალებიც დარჩა ღიაო.

და დაჯდება მეთაური და დაიდებს წინა სამთავრობო კომისიის პროექტსა და ბრძანებს: დაილაგეთ თქვენც თქვენი წინაო. ყველამ ჩვენ ჩვენი ვთქვათო. ვიმსჯელოთ. ვიდავოთ. დღედაღამ ვიდავოთ. ავირჩიოთ, რასაც თქვენ ინებებთო. გაძლებას მიჰყარა. ვინც გაუძლებდა. წერეთელი თავიდანვე ჭიჭყინებს:

„21... 21-ის კონსტიტუცია!.. ჩვენ უკვე გვაქვს ჩვენი კონსტიტუცია!..“ ჭიჭყინებს. ჭიჭყინებს. ვერ აჩუმებენ.

მეთაური ამშვიდებს. თვითონ მშვიდადაა. ამშვიდებს მშვიდი:

„დიახ ის არის საფუძველი. საფუძველთა საფუძველი: 21-ის კონსტიტუცია. ჩვენი პროექტი იმას მიჰყვება. რაღა თქმა უნდა!.. რაღა თქმა უნდა!..“ ამშვიდებს. აყუჩებს. იყუჩებს ყველა. ტრიბუნასთან რუსუდანია. სპიკერის მოადგილე. ქალბატონი რუსუდანი. დამშვენებულა რუსუდანი. ისეც რა უჭირდაო. მაინც უფრო მომხიბლავად გამოიყურება. მუხლებსაცა კითხულობს მომხიბლავადა. სათითაოდა რაღა თქმა უნდა. საზეიმო დღეა. დასაწყისია დიდებული მოვლენისა: კონსტიტუცია უნდა მიიღონ. არეული ქვეყანა უნდა დაამგვანონ სახელმწიფოსა. ეჰეჰეჰეიიი, როდიმდელი სახელმწიფო უნდა აღადგინონ!.. რიღასთვის დაჰზოგავს ვაჟკაცი ძალღონესა, ანთუ რიღასთვის გაღასდებს ქალი მშვენებასა?.. თან ერთი აზრიც წამოიჭრება იმ დადანებაზე. ისაა. ისა.

ჰო:

„დიზაინიც“ ჰო ცივილიზაციამ მოიტანა?..

„დიზაინი“ ყველგან. „დიზაინი“ ყველაფერში. არც რა არსებულა უსახოი არასოდესა. მაგრამ და რაო, – „დიზაინი“ რო ქღერს უცხოდა, ააფოფინებს, აიტაცებს, ააცუნცრუკებს, აიტანს ისე, მიწაზე დგომა რო ეუხერხულება. „დიზაინი“. „დიზაინი“. „დიზაინი“. პარლამენტსაც უნდა „დიზაინიო“. დარბაზს არა, „იმელის“ დარბაზსა, რაც უნდა ყოფილიყო, ისევე დარჩებოდა. პარლამენტი ძველ ადგილას გადავიდოდა. იქ იზეიმებდა კონსტიტუციის მიღებასა, იქა, იქა, დეკემბერ-იანვარში რო გადაჰბუგეს, აღრინდელ სასახლეში დამხობილი მთავრობებისა. გადაჰბუგეს. აღადგენდნენ, მოთავდებოდა იმ დროისათვისა. იქ იზეიმებდა. ის იჯდებოდა თავის „დიზაინში“. იხატებოდა. მშვენდებოდა. გვირისტდებოდა. თვით პარლამენტსაც მოუხდებოდა თავისი, „დიზაინი“ აქაცა, იქაცა რაღა თქმა უნდა. ჯერ აქედანვე: სხდომა უნდა დამგვანებოდა სხდომასა, -დასხდებოდნენ თუ არა, დამშვენებულიყვნენ მაშინვე. მყისვე. სახე მიეღოთ ლაზათიანი, დარბაისული. ტელევიზიით გადაიცემოდა, უნდა ყოფილიყო შთამბეჭდავი, მოეხიბლა მაყურებელი სახიერად მაინცა, სიტყვები თუ არეოდათ, აზრები ვერ დაელაგებინათ. ასხიერად მაინცა. სახიერადა. ეს ჯერ საპარიკმახეროში გამოითქვა, ვაკის გამოჩენილ საპარიკმახეროში. მოთავე გამოდგა უფროსი პარიკმახერი. აჰყვნენ სხვანიცა რაღა თქმა უნდა. აჰყვნენ. აჟივჟივდნენ. გამოეხმაურა გაზეთები. რადიო. ტელევიზია. აცმუკდნენ გოგონა-ჟურნალისტები. აცმუკდნენ. აცანცარდნენ. ბუქნაზე გადავიდნენ. ბუქნი გამართეს ტელევიზიაშიცა. ჯერ ისევ გამოჩენილი პარიკმახერიო: ალაპარაკეს და ალაპარაკეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გამოაფენინეს ნიმუშებიცა. თვითონვე დაუსკუპდებოდნენ, თვითონვე იმშვენებდნენ თავსა. ნიმუშები ნიმუშებადა. ლაპარაკი ლაპარაკადა. მოიხიბლნენ, გაჰკვირდნენ, რო ლაპარაკობდა, გალობს თითქოსაო, თითქოს „დიზაინი“ ჩაედგა ხმაშიცაო. არა და ბევრი არაფერიო: რუსის ქალი ბრძანდებოდა. რუსი მეტყველებდა ქართულადა. გაჰკვირდნენ. გაოცდნენ. გაფითრდნენ ადამიანო, გაფითრდნენ კიდევაცა: რუსი მეტყველებდა ქართულადა. რუსი. რუსი. სხვათაგან არც ეს გაუკვირდებოდათ. რუსი. 200 წელიწადია ჩამრთესლებულიყვნენ საქართველოშია. მხოლოდ თბილისში 200000-ზე მეტი გაფუფუნებულიყო. 2-საც არ შეეწუხებინა თავი ქართულის სწავლითა. ამ 1-თს შეეწუხებინა. და ტიტინებდა და ტიკტიკებდა და ღუღუნებდა და ზუზუნებდა და ღუღუნებდა და ჭიკჭიკებდა და კუტკუტებდა და ჩქროლავდა: პარლამენტსაც უნდა „დიზაინიო“. აბა!.. ყველა ქალს ვიწვევთ. განსაკუთრებით: სარიშვილსა და შაკიაშვილსაო. ჩვენ იმათ ისე დავვარცხნით, რაც უნდა შეიშალნონ, რაც უნდა გამძვინვარდნენ, მშვენება მაინც არ მოაკლდებათო. ოღონდ დროზე მოგვაკითხონო. მერეც დროდადრო მოგვაკითხონო. „იარეთ ჩვენთან ქალბატონებო პარლამენტისა!..“ ოოოო... როგორ ღუღუნებდა, შეუნაცვლებდა უცებ რო ჭიკჭიკსა!.. „ჩვენთან დაღიან რუსთაველის ლამაზმანები. გიგას გოგოები ჩვენთან დაღიან. იარეთ ჩვენთან!.. იარეთ ჩვენთან!..“ რუსთველოლოგები შენიშნავენ: ლამაზმანები სხვა მნიშვნელობით გამოიყენება „ვეფხისტყაოსანშიო“. ნუ შენიშნავენ. ნუ დაავალებენ რუსთველოლოგობასაცა. ეყოფა რაც იცის: ჩვენთან იარეთ. გაგალამაზებთო. მოუწონეს. აჰყვნენ. ინანეს კიდევაცა: რატომ არ ვიცოდით ასეთი რუსი ბარემ პარლამენტში გაგვეყვანაო. ინანეს. ინანეს. ინანეს. ჩვენც თავს მოვიქებდით ჩვენი „ტოლერანტობითა“. ელცინსაც გავახარებდით, ჩერნომერდინსა თუ მიერდინსაცაო, ქირინოვსკისაცა, ზიუგანოვსაცაო, ლებედსაცაო, სელეზნოვსაცაო, ჩუბაისსაცაო, რიბკინსაცაო, ანთუ ვიღას აღარაო, – გავახარებდით, გადავრევდით სიხარულითაო. ინანეს. ინანეს. თავიც ინუგეშეს: წინ არის მომავალი არჩევნები. თავში მაგას ჩავწერთ მმართველი პარტიის სიისაო. ინანეს. და. ინუგეშეს თავი. „დიზაინს“ მაშინვე მოეჭიდნენ. დაივარცხნენ ქალნი პარლამენტისანი. და იდგა ტრიბუნასთანა ქალბატონი რუსუდანი, დავარცხნილი საგანგებოდა და გადაეშალა სამთავრობო პროექტი კონსტიტუციისა და კითხულობდა და მიჰყვებოდა მუხლიდან მუხლსა და გადაჰხედავდა პარლამენტსა დამშვენებულსა, – გოგოებსა დავარცხნილთა, დაკულულებულთა და არა ეჭვობდა, – ჩვენ ჩვენსას გავიტანთ, წინ აღარაფერი აღარ დაგვიდგებაო. აღარა ეჭვობდა, – მერეც აღარა, კამათში რო ჩაებმებოდა, რო იხვეწებოდა, ივედრებოდა, რო ბრაზობდა კიდევაცა. აღარა. თავი მაინც ისე ეჭირა, არ ამეშალოს ვარცხნილობაო. ხელს გადაივლებდა მოწიწებითა. ანიშნებდა გოგოებსაცა, – ოჰ უკაცრავად: ქალბატონებსა!.. თავი გახსოვდეთ, თავდავიწყებას ნუ მიეცემითო. შეუძახებდა კიდევაცა. არც მინიშნებაო, არც შეძახილიო, აღარა სჭრიდა აღარაფერი. აღარც ვინ ჰგავდა თავის თავსა, აღარც „დიზაინი“ „დიზაინსა“. მუხლი მუხლს მისდევდა, კარი კარს მისდევდა, მაინც ჯიუტად მიიწევდა წინა. მაინცა. მაინცა. ჯანდაბას „დიზაინი!“ ჯანდაბას საგანგებო ვარცხნილობანიო. იჯდა მეთაური ჟითომდა რო უშფოთველადა. ჰკეცავდა ფურცლებსა კმაყოფილი, კმაყოფილებასაც რო არ შეიმჩნევდა.

იწეწებოდა „დიზაინი“ დარბაზისაი, ანთუ უკეთ ითქვას, – „დიზაინი“ მსხდომარეთა: იწეწებოდა, იჩეჩებოდა, იბურდებოდა; ანთუ: რაღა მსხდომარეთაო, რო ვეღარც იხსნიდნენ, რო ვეღარც იდგნენ, რო ვერც მოესვენათ ერთ ადგილასა, აზრიც დაჰპნეოდათ და გაჰქცეოდათ, მისდევდნენ და ვერც დასწეოდნენ.

ირინა ირინასაც აღარა ჰგავდა: აღარც დავარცხნილსა ახლებურადა, ძველსაც – აღარა. ლუიზა ლუიზას აღარა ჰგავდა. ისიც ისევე. თამრიკო სულაც უარჰყოფდა კონსტიტუციასა: დროს ნუ ვკარგავთო. ჯერ ამ დამშეულსა და არეულ ქვეყანას მივხედოთ, მერე ჩავუსხდეთ კონსტიტუციასაო.

ეთანხმებოდა წერეთელი ნახევრობითა: კონსტიტუცია გვაქვს. „21...“ დროს ნუ ვკარგავთო. ვერცა ჯდებოდა წერეთელი „დიზაინში“, ისედაც ვერა და ხტოდა კიდევაცა: ახტოდა, დახტოდა.

გვაქვსო, – ეთანხმებოდა ჰო მეთაურიცა წერეთელსა, – კონსტიტუცია იმიტომაც გვინდა, დავაშოშმინოთ არეული ქვეყანა, გავაძლოთ და შევმოსოთ ხალხიო. ეთანხმებოდა. ეთანხმებოდა. არ აუხირდებოდა არც არავისა. დაღგებოდა ჟამი საამისოდაცა. დადგებოდა. ჯერ კონსტიტუციაო. და იწეწებოდა თმები. იშლებოდა სახეები. ანთუ: ირეოდა ერთმანეთშია თმები და ნაწილნი სახისანი. სად თუ თვალები გამოაჭყეტდა, სად თუ ცხვირი გამოვარდებოდა, სად თუ ტუჩები გაიელვებდა. ამოივსებოდა პირი თმებითა. ბეწვბეწვად ამოჰქონდათ, ბეწვბეწვად იშორებდნენ. მერე. და. მერე. მერე. და მერე: ყველა მუხლი რო ისევე გადიოდა, კომისიას როგორც რო წარმოედგინა, თითქმის ისევე თითქმისა. თითქმისა. სიტყვებს თუ შესცვლიდნენ, წერტილ-მძიმესაცა, ამითიც თავს გამოიდებდნენ. მაშ „დიზაინი“ რაღად იშლებოდა?.. იკითხავ?.. კეთილი: იშლებოდაო, ხუმრობად ითქმის: ლამის რო ინგრეოდა დარბაზი, აცვივდებოდნენ რო მამაკაცებიცა, გრგვინავდნენ რო, მიიწევდნენ ერთიმეორეზედა, დარბაზიც ინგრეოდა და „იმელიც“ ინგრეოდა ერთიანადა, – „იმელი“ ჰო დანგრეულიყო, შენობაც მისდევდა. თითქოს რო თანა კედლებიან-საძირკვლიანადა. ძირფესვიანადაო ერთისიტყვითა. ინგრეოდა. ინგრეოდა. ხმაური ისეთი გამოდიოდა, ზანზარი ისეთი, გუგუნი ისეთი,

ეროვნული ბიბლიოთეკა



ანთუ უარესი: – ჯერ გაუგონარი. „ააააარრრრააააა!..“ მოსკდებოდა რო ერთბაშადა ახალი მუხლის წაკითხვისთანავე. არაო და ნუუო, – აშოშმინებდა მეთაური, – ეს კომისიამ წარმოგიდგინათ, თქვენს მიერ არჩეულმა კომისიამა, თქვენ თქვენი ბრძანეთ, დავადგინოთ უკეთესიო. აშოშმინებდა. აწყნარებდა. შეჰღიმოდა მტკბარი ღიმილითა. შეჰღიმოდა. და ბრძანებდა ყველა თავისასა და შეიბმოდნენ ისე იმგვარადა, რო ზანზარებდა „იმელი“ ჰო, მთლად რუსთაველიც რო ზანზარებდა. რაღა დეკემბერ-იანვარიო, გეგონებოდა, მეორდებაო. გეგონებოდა. სძულდათ ერთმანეთი და უარჰყოფდნენ ერთიმეორესა, უარჰყოფდნენ გაშმაგებულნი. სძულდათ სახელმწიფოს მეთაური, ოღონდ ერთიმეორე უფრო სძულდათ და რო უარჰყოფდნენ ერთმანეთსა, ისევ მეთაურთან იყრიდნენ თავსა. ისევა. ისევაო: კენჭს უყრიდნენ და გადიოდა კომისიის მუხლები. გადიოდა. და – გადიოდა. და მშვიდდებოდა სახელმწიფოს მეთაური, მშვიდდებოდა და მშვიდდებოდა, აღარ იგონებდა სიმშვიდესა. აღარა. შეჰყურებდა: თითქოს მამლები ძიძგილობენო. იძიძგილონო. იძიძგილონო. ხოლო იქ იბრძვიან გაშმაგებულნი. იატაკიდან ლამის სავარძლები აღდლიძონო. აღდლიძონ. სტყორცნონ ერთიმეორესა. სტყორცნონ. ვაგლახ: დაბმულა სავარძლები იატაკზედა, გადაჰბმია ერთიმეორესა. ძალღონე არ შესწევთ ესეოდენი. ძალღონე თუ არა, სიჯიქე შესწევთ. უცილობლობს, ვითა ჯორიო. ყველა უცილობლობს თვალარეული, პირზე დუჭმოყრილი, ყველა უარჰყოფს ერთიმეორესა, ყველა ბოლოს იქვე გროვდება, სადაც რო შეჰყვირეს ერთობლივადა: „ააააარრრრრრაააааა!..“ იქვე. იქავე. და ხელს გადაავლებს რუსუდანი თმასა. არა. არა. რას გადაავლებს?.. მიმოატარებს შორიახლოსა. ჰოარ გავბუწულვარ, ჰოარ გავწეწილვარ მეცაო. არაო. არაო. მშვიდდება რუსუდანი.

„შემდეგი მუხლი!..“ ბრძანებს მეთაური, ჯერ იმას რო ბრძანებს: მიღებულიაო. წინა მუხლიო რაღა თქმა უნდა. ბრძანებს და ისაა: ჩაქუჩი არა აქვს, რო დაატყაპუნოს. ხის ჩაქუჩი. ჩაქუჩს მერე შემოიღებენ, ქვანიას დროსა. „ჩვენ თანდათან ვემსგავსებით ცივილიზირებული ქვეყნის პარლამენტსა!..“ ქვანია იტყვის. იტყვის და დასცხებს პირველ ჩაქუჩსა. ეს მერე. მერე. ჩაქუჩს თავისი გრდემლიც ექნება, – ნუ წარმოიდგენ სამჭედლოს გრდემლსა, – თავისი, შესაფერისი, ოღონდ რო დასცხებს, მერე რო დასცხებს, სავარაუდო სპიკერი რო დასცხებს, თითქოს ეს არის და კეფაში მოჰხვდება ამჟამინდელ სპიკერსაო. კეფაში. კეფაში. არც აქეთა და არც იქითაო. თითქოსაო. ეს აქ მართლაც დარეტიანდება. ვეღარ ეგუება თავის სავარძელსა. თითქოს წყალი ამოუვიდაო. თითქოს ნემსებს უყრიანო. ვეღარ ისვენებს. გადის. გამოდის. დარბაზშიც ჩაჯდება. ეთაკილება. უფრო მოუსვენრობს. უკან არ იხმობენ. ვინაო თუ არა მეთაურიო. ის ვეღარც ამჩნევს. ვერა. ვეღარა. ამჩნევს, ვინც უნდა, ვინც არა – ვეღარა. რას იზამ, თვალია. თვალი თვალია. ეზედმეტებათ მოადგილეებსაცა. დუდუნებს რუსუდანი: ახალი კარია, ახალი მუხლი, დუდუნებს საამოდა, ხმითვე რო მოხიბლოს პარლამენტარები, რო აღარ ატყდნენ, აღარ წამოცვივდნენ. დუდუნებს. ქღურტულებს. თავს არ შეარხევს. ბეწვს არ აიშლის. რაღა თქმა უნდა. რაღა თქმა უნდა. რა დამართნია ირინასა?.. ლუიზა?.. რომელი რომელია?!. ლანა?.. მანანა?! ადა?! თამრიკო?.. იზა?.. კაცთაგან აღარ გამოირჩევიან. კაცნი ჰო რაო, – ვეღარც რას შეადარებ, – მსგავსნი მიწაზე რო აღარა ბოგინობენ. წამოეგზნება ესეც რო დროდადრო. რუსუდანი. არაო. ფრთხილობს. „მოიცათ. გეხვეწებით!..“ ფრთხილობს. ახერხებს. „კიდევ წავიკითხავ. ეგებ პირველად კარგად ვერ გამოვთქვი. მომისმინეთ, მომისმინეთ!..“ და უსმენენ და ყუჩდებიან, დაღლილან რო, სულს რო ითქვამენ. „ვუყაროთ კენჭი?.. ჯერ რომელს ვუყაროთ?..“ კითხულობს მეთაური. „კომისიისასა, პარლამენტის კომისიისასა!..“ ვახტანგ II-ა. ყველას დაასწრებს. სულს ძლივს ითქვამენ. და ითქვამენ ხელახალი შეჯახებისათვისა. იყოს. მაინც პარლამენტისაა. პარლამენტი თვითონა ჰქვიანთ. წინ კიდევ არის. გაიტანენ თავაანთსასა. გაიტანენ. „ჩემ ფეხებს გაიტანთ!..“ ვახტანგ II-ა. თავისთვისა ჩიფჩიფებს. ლოყები აბრაწვია კმაყოფილებითა. ვახტანგ I რაო, – ეკითხება. ისევ სპიკერის სავარძელშია. არას მიუგებს ვახტანგ II. ჰო ვერ ამჩნევს მეთაურიცა. რუსუდანისთვის აღარც არსებობს. დარბაზშიც ვერ დარჩა. ვერავის მიეკედლა. არც ეკადრებოდა რაღა თქმა უნდა და რჩება მარტო. ყრუა სოფელი. და ბერავს ლოყებსა და ბერავს და ბერავს. ზურნაღა უნდა. დუდუკი იყოს. დაუკრავს სევდიანსა: თავო ჩემო ბედი არ გიწერიაო. ესეც არაფერიო. ერთხელ ვინ არ წაიფორხილებსო. ფილოსოფოსია. მოაწევს ჟამი ამისი ისევა. მოაწევს. მოაწევს. და მალაყს იზამს ისე იმგვარსა, კვლავ კომუნისტებში რო აღმოჩნდება. არც აქეთაო, არც იქითაო: კვლავ კომუნისტებში. ძეშეცდომილი დაუბრუნდა აკვანსა თავისასა. თითქმის ბუდეცა. კერიაცა. აკვანი იყოს, ისევ რო არწევენ, შიგ რო თოჯინა უწვენიათ.

არწევენ.

არწევენ.

ვინთუ წლით იზრდებოდა, ის დღითაო. წამოუდგებათ გოლიათი. არწევენ. არწევენ. ეს მერე. მერე. არცთუ ბევრი წყალი რო ჩაივლის. მალაყს იზამს და გორში ამოჰყოფს თავსა. გორში. დასაყრდენში უკანასკნელში კომუნიზმისა. შენ ეგრე გეგონოსო, ვიეთნი იტყვიან. რაც უნდა იყოს: მიიღებენ დიდის პატივითა. დაასკუპებენ ირმის რქაზედა. დედამიწა უჯდათ ჰო?.. გადასვამენ დედამიწასა. ამას დასვამენ. კომუნიზმი უზით ირმის რქაზედა, უზით და უზით. დედამიწა გადაჯდა, ეს მაინც არ იშლის თავისასა. ჯიუტია. დაუთმობელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუტეხელი. შეაფურთხე. თავმოყვარეობა არ გაა-ჩნია. გაუჩეხე თავი: ამოსდის და ამოსდის გველები თავიდანა. მოსკოვს აშკარა ქსელებიც უნდა. დემო-კრატია - ბრიყვი - ნებასა რთავს. ფარული თვი-თონ იცის. ნიუ-იორკიც ალუვსია ფარული ქსე-ლებითა, პარიზი, ლონდონი, პეკინი, ტოკიო, სიდნეი, ოკლენდი, რომელიღა აღარა?.. თბილისი ჰო პირვე-ელად უღირს!.. გორი?.. საცოდავი გორი. იქით კრემლიო და აქეთ ძეგლიო, შუაში კოზაკი გამოჭ-ყლეტილა. მალაყს იზამსო. მარგიანიც იზამს მალაყსა. ავთანდილ. პოეტი რუსულადაცა. ფილო-სოფოსი?.. სხვებიცა, სხვანიცა. ბრუნდებიან აკვანში კომუნიზმისა, ვინც ვერ გაუმართლებს სახელმწი-ფოს მეთაურსა, ვისაც რო პანღურს ამოჰკრავენ. ბრუნდებიან. ბრუნდებიან. გამოშუშება დაჰკლებიათ. ნანინა დაჰკლებიათ. შიბაქი ასცდენიათ. გალუმ-პულან. ერთი ჯულაანაანთიც მობრუნებულა. მოუშ-ველებია მოსკოვსა. მეხუთე კოლონა. პაპამ ჰო გადაჰხნა საქართველოი წაღმაუკუღმა, ეს შვილი-შვილი მთლად აღმოფხვრის ძირფესვიანადაო. თუ მიუშვეს. თუ დააცალეს რაღა თქმა უნდა. დააცდიან. დემოკრატია. ეს მერე. მერე. დევნილნი სხვანიც დაირაზმებიან ჩვენთან ერთადაო, - პანტელეიმონი განაცხადებს. მერე და მერე. გოგუაძეც რო იტყვის წითლებთან ყოფნა მირჩევნიან ცისფერებთან ყოფნასო. ვითომა ეხუმრობო. გურული ვარ. შემე-ფერებაო. გორი მაინც რა შუაშია?.. საცოდავი გორი. ძეგლიც დაუტოვეს. ნამუსრევსაც იქ აყრიან. ლე-ქსებსაც უთხზავენ. ჰო არც იქნება კომუნიზმი ულე-ქსებოდაო; უთხზავენ: „პანტელეიმონ გიორგაძე იჭაჭება გორის გზაზე“. მოკლეა. სხარტია. „მოდე-რნია“. ნიმუშია. საუკეთესო ნიმუში. უთუოდ შევა ანთოლოგიაში „რეაქტიული პოეზიისა“-ო. უთუ-ოდაო. უსათუოდაო. იქვე ჩაბეჭდავენ სადაც უბეჭ-დიათ: „ათას გიგას და ას ლანას მე მირჩევნიან ასლანა“. იქვე. იქავე. ურთიერთს არ დააშორებენ ესოდენ კლასიკურ ნიმუშებსაო. და თანაც: ეს ვითომ შევარდნაძეს უთქვამსო, ღაძაბულობას რო უკიჟინებენ ასლან აბაშიძესთანა. ვითომ. ვითომო. პოლიტიკოსობენ „რეაქტიულებიცა“. ყველა პოლი-ტიკოსობს. საუკუნეა პოლიტიკისა. თავდება საუკუნე. პოლიტიკას რა მოათავებს?!. ეს მერე. მერე. ცხო-ვრება არა ჩქარობს. დიის მდორედა. რო აღელდება, - მაშინაც მდორედაო. მე მეჩქარება. მე ბევრი აღარ დამრჩენია. უნდა ამოვიგო დროი დაკარგ-ული. დაკარგული დროი. დაკარგული. ვეღარც მოვასწრებ რაღა თქმა უნდა. ვცდილობ მაინცა. ცდა ბედის მონახევრეაო. მოვიშველიებ ანდაზებსა. მოვიშველიებ იმედსაცა. მაცდურსა. გაუტანელსა. გაუცურებია ყველაი ამქვეყნადა, მე ვითომ რა წითელი კვერცხი ვარ!.. თუმცა ჯერ მაინც ისევ იქა ვარ: რო იკეცება მუხლი მუხლზედა, ფურცელი ფურცელზედა. იკეცება არცთუ ადვილადა რაღა თქმა უნდა. „დიზაინი“ არეულა. შეშლილა. იტყვი: გაიხარებენ პარიკმახერებიო. მალე გაიწეწებიან, მალეც მოგვაკითხავენო. მოტყუედები. აღარ მიაკი-თხავენ. აღარა. ეგრევე მიდიან. ეგრევე სხდებიან. იწეწენ, იბრდღვნიან უარესადა. ანთუ: ეგებ რო ივარცხნიან კიდევ უფრო გულმოდგინედა, - ჰ ოლი-ვუდის მიხედვითაცა, - ოღონდ გზაშივე იწეწებიან, რო წარმოიდგენენ იქ თუ რა ელით, ვინ თუ რას იტყვის, ვის თუ როგორ შეებმებიან, - შესაძლო არის. წარმოსახვანი ჰო უფრო ძლიერია ზოგთათ-ვისა, უფრო აღმგზნები, ვიდრე სინამდვილე, ვიდრე შედეგი სინამდვილისა?.. არის და რას იზამ?!..

და მაინც:

ისევ:

მუხლი მუხლზედა, ფურცელი ფურცელზედაო.

დიდი ბრძოლითა, ფანდითა, ხერხითა, ცურვი-თა, სხმარტალითა მრავალითა. უმთავრესი მაინც ის გახლდა: სიმშვიდეი და მოსმენაი ყოველი გამო-სვლისა სახელმწიფოს მეთაურის მხრითა. მიაყუ-რადებდა, მიაჩერდებოდა თითქოს ესაა და მარ-გალიტები სცვივათ პირიდანაო. გაამეორებინებდა, უკეთ გავიგოთო, აბდაუბდაც რო ყოფილიყო, გაამეორებინებდა, აბდაუბდას უფრო გაამეორე-ბინებდა. „ალტერნატივა!..“ „ალტერნატიული!..“ წა-მოვიდოდა ნიაღვარივითა. და ფლეთდნენ და გლეჯდნენ და ჯაბა სეირობდა, არ გაყოფილიყო. სეირობდა შინაგანადაცა. გარეგნულადაცა. სეირო-ბდა, სეირობდა ლაღობდა, ცმუკავდა თითქოსა, მუსკომედიაა თუ პარლამენტიო. წინა რიგში იჯდა. შებრუნებულიყო. ეგრე აჰყურებდა აკოკოლავებულ დარბაზსა თუ სცენასაო, აკოკოლავებულსა, წამოზიდულსა, თითქოს თავზე დაემხობაო. ვაი, ვაიო, - იცინოდა, ხელებს შეუშვერდა, შევაჩერებო. ერთობოდა. ერთობოდა. გადღაბულიყო გრიმი. არეულიყო ნიღბები. გაწეწილიყო ვარცხნილობანი. თითქოს წესრიგიც ჰო შემოჰყვათ პირველადა, მაგრამ და რაო, - მალე აირივნენ, მალე დაემ-გვანენ, რასაც რო ჰგავდნენ: ალქაჯებსა. დაემგვა-ნენ. და ერთობოდა და იცინოდა და ხარხარიც აუტყდებოდა ჯაბასმეთქი, არა?.. დიახ. დიახ. ერჩივნა მჯდარიყო სპიკერატშია. იქიდან უკეთ გამოჩნდე-ბოდა. თავმჯდომარის სავარძელში მჯდარიყო ერჩივნა. მაინც ახლოს იყო. ფეხიც მისცურავდა. აიზიდებოდა წელიცა. რიხიც მოსდევდა ისე იმდაგვარი: თითქოს ეს იქ არის, ისა ზის აქაო. მაინც იქვე იყო. იქვე ბრძანდებოდა. ერჩივნა ასე რო შეხუმრებულიყო. ერჩივნა. იმ მოღუშულ სახესა, ჩაქუფრულ თვალებსა, დამძიმებულ თავსა. ერჩივნა. ერჩივნა. ანთუ ვინ უწყის თუ რა ერჩივნა. ხალისობსო, - გარეგნობა ამას გეტყოდა. ამოსცდებ-ოდა ღიღინიცა. - შორეული ღიღინი. ალბათ პირვე-ელთქმა ქართველი კაცისა. ღიღინი იგი ჩამრჩენია გულსო. ამოსცდებოდა. არც გაისმოდა: რო ბუხუნებდნენ მამაკაცები, რო წიოდნენ ქალბატონები. ნუ გაისმოდა. გადასულიყვნენ მუხლიდან მუხლზედა. გადაეწვინათ ფურცელი ფურცელზედა. მერე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღაო: სამხარეო მოწყობას რო მიადგებოდნენ?.. აქეთ ცხინვალიო, იქით სოხუმიო, რას აპირებთო, მამა გიცხონდებათ, კრემლი მოგაწყობინებთ თქვენს ნებაზედაო. პაპაც გიცხონდებათ, პაპის პაპაცაო. თქვენ ეტყვით: ქაღალდზეო. „ვის აჭმევთ?!. ვისა?!!!.“ ქაღალდზედაც არ მოგაწყობინებენო. და ელოდა და ილიმოდა და ღიღინებდა.

„ჯერ...“ იქ ზევით თუ ბოლოში, სულ ბოლოში აწივლდება ისევ თამრიკოი. ჭავჭავაძელები იქ მიკუნტულან,. გამოიშლებიან. მიკუნტავენ.

„მოიცა გოგო!..“ შეუძახებს აქედანა: ჯაბაი - რა თქმა უნდა. შეუძახებს. წყრება: როგორ ვერ მიმხვდარა, ცოტაცა, თვითონვე წაიმტვრევენ ცხვირპირსაო. აგერ სპიკერი ჰო მოუჯდა გვერდითა. მიიხედება. ამდგარა. ისევ თავის სავარძელს ისწორებს. გაისწოროს. გაისწოროს. ეგონოს. ეგონოთ. ჯერ იქ მივიდნენ. მივიდნენ მისასვლელსა. ფურცლონ და მივიდნენ. სწიონ ხელები და მივიდნენ. შემოჰკრან ტაშიცა და მივიდნენ. ტაშს ჰო მაინც ვერ შეელევიან, - უტაშონ. იტაშონ, როგორც რო ერთხელ აპოლონიო. ეს ფუნაგორიელების ანთოლოგიიდანა რაღა თქმა უნდა. აი და აჰაა!.. აი და აჰაა!.. მივლენ და ის არის. მივიდნენ და ესაა: „ახლა რას აპირებთ?!.“ გაიჯგიმება ჯაბაი, „აბა ერთი რა ქვეყანა გაქვთ და როგორ აპირებთ ამ დაგლეჯილი ქვეყნის მოწყობასა?!. თქვენ გაჩერდით!..“ შეუტევს პარლამენტსა. მეთაურს მიმართავს. პირისპირ წამდგარა. თითქოს დუელია. ესროლა. ახლა თვითონ მიუშვერია შუბლიო.

„ღიად დავტოვებთ ამ კარსა,“ ამბობს სახელმწიფოს მეთაური. მტკიცედა. ბეჯითადა. შეუვალადა. „მოვაგვარებთ ცხინვალისა და სოხუმის ამბებსა. აღვადგენთ ქვეყნის ერთიანობასა. მერე ამ კარსაც მივუბრუნდებით“.

„ღიადა სტოვებთ?!.“ ჯაბა შეიცხადებს. მეთაურს შეუძახებს. მიუბრუნდება პარლამენტსა. მერე ისევ მეთაურსა. ისევ პარლამენტსა. მიუბრუნდება. მოუბრუნდება. „კარლია ქვეყანა და კარლია კონსტიტუცია ვის გაუგონია?!. სადა თქმულა?!.“ მორჩა. მოვუთავე. მე აქ ვიდექი და აქ ველოდიო. ზეიმობს ჯაბაი. ცეკვავს ლამისა. სიცილით ჰო იცინის. გაივლის. გამოივლის. იფხორება. იჭიმება. დასცინის დარბაზსა აკოკოლავებულსა, აცმუკებულსა აქამდისა, ჩაიფუკება რო ერთბაშადა. „დიზაინი“ ჰო მოეშალა, გზნებაც მოეშალა ერთის მოქნევითა. დასცინის. ნიშნს უგებს. ოლოლო თქვენა, ოლოლო თქვენს კონსტიტუციასაო.

„ჩვენ ვიტყვით თუ არსადა თქმულა“. სახელმწიფოს მეთაური აცხადებს ისევე, ისევე ბეჯითადა, დარწმუნებითა. დარწმუნებულადა: „ჩვენ ამაზე დიდხანს ვიფიქრეთ. ვეთათბირეთ ჩვენს უცხოელ მრჩეველებსა. იმათ ეს უცნაურად არ მიაჩნიათ. მთავარია აღდგეს ქვეყნის ერთიანობა. ეს არის მთავარი. მუხლების ჩაწერა რაღა საძნელოა. აი პარლამენტი და აგერა კონსტიტუცია. ეს ჩვენი საქმეა. თქვენი საქმეა. როგორც თქვენ იტყვით!..“ პარლამენტს მიმართავს. პარლამენტს აქეზებს. და აიზიდება პარლამენტიცა. აიფხორება. აიფოფრება:

„ჩვენი საქმეა!..“ ჰკიჟინებს აფოფრილი. ამაყობს აფოფრილი. წააქეზე და კლდეზე მიუშვიო, თუნდ ზღვას მიეცი ქარიშხლიანსაო. ეს მაინც გატანილია. წამით შესაძლოა მოისვენოს კიდევაცა, მეთაურმა რაღა თქმა უნდა, - წამითა, წამითა, მოუშვას ქუთუთონი, დამძიმებული ქუთუთონი, წამითა, თორემ მეტს ვინ დააცდის. დაძაბულა. ლამის გული გახეთქვას არის, ტვინი ადუღებასა, მოთმინება ძაფზე ჰკიდია, მაგრამ არაო, არ ეტყობა ეს არაფერი, არც უნდა შეეტყოს. არა. არა. დაიფიცა არ ავჰყვებიო. იგინონ რამდენიც უნდოდეთ. წაიბილწონ ენა-პირიო. დაიფიცა. მოთოკა თავი. ზის მოთოკილი. მოთოკილი სიტყვებით მიუგებს. ცივი. ურყევი. შეუვალი. ერთი ეს კონსტიტუცია მიიღონ. გავიდნენ. გააღწიონ ბოლომდისა. სად წაუვლენ...

„ვერ მიიღებთ!..“ მოუჭრის ჯაბაი. „კარლია ქვეყანას ვერცა მართავთ კარლია კონსტიტუციითა!..“ მოუჭრის. დაიჯერებს. მშვიდდება. არხეინობს. გადის. გამოდის. ისევ დაერევიან ერთმანეთსა. აირევიან. აითქვიფებიან. წამის თანხმობაც უთანხმოებაა ამათი. სასაცილონიც არიან, სატირალნიცა, გამოსატირებელნიცა. გაერთობი თუ არას განიცდი თუ დამშვიდებულხარ, თუ გჯერა საწადელს ვერ მიაღწევენო თუ შენც ეს გინდა რაღა თქმა უნდა. მაგრამ და რაო, - მიაღწევენ ბოლოსდაბოლოსა. მიიღებენ დანარჩენ მუხლებსაცა. თავთავიანთსას რო იცავენ თავგადაკლულნი, ბოლოს მაინც ფარხმალსა ჰყრიან რუსუდანის მუხლებთანა. ჰყრიან. ჰყრიან. ხელისმოწერას მაინც ვერ მოესწრებითო, - ქირქილებს ჯაბაი. ზეიმს მაინც ვერ მოესწრებითო. ქირქილებს. ქირქილებს. და ჰქუხს წერეთელი, რაღა ცაიო და რაღა წერეთელიო, ჰქუხს, ჰქუხს, მიჰხვდება რო: ორადორი სიტყვა რო დარჩენილა „21-ის“ კონსტიტუციიდანა, ორადორი: საქართველო და კონსტიტუცია. ხავსიდა მერე: „ჩაწერეთ ოკუპაცია... ჩაწერეთ ანექსია... გაიყვანეთ რუსის ჯარი საქართველოდანა!.. გაიყვანეთ!.. გაიყვანეთ!..“ ხავის. ხავის. ვინ არის გამყვანი?!. უნდა გვიშველონ ჩვენი ჯარის მომზადებაო. მიდი და ირწმუნე. გაგონილადა: მტერი მტრის ჯარს აიარაღებდეს?!. თუ გაგონილა, ესეც დაიჯერე. ცდასაც არ აკლებენ: სტრატეგიული მოკავშირენი ვართო. შენ იყვირე, იჩხავლე, იღრიალე რამდენიც გენებოს. დიდი ხელშეკრულება გვავალდებულებსო. თუმცა არც ამტკიცებს დუმაი იმათი, ჩვენც ფეხს ვითრევთ, მაგრამ ვალდებულება მაინც ვალდებულებაა, მოქმედებაც მოქმედებაო, ჩვენ პატიოსნად ვიცავთ პირობებსა ჩვენსა, ველით, ისინიც შეასრულებენო. ელოდეთო, - იკივინე რამდენიც გენებოს. ელოდებიან. იწეწებიან. ქალები ჰო, - ქოჩრიანი მამაკაცებიცა. პრიალებს მელოტი. კრიალებს მელოტი გაწეწილ თმებშია. ამოაშუქებს თითქოსაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გეწევა: ერთი ჩაუტყაპუნო, დასვა ისე, ვეღარ ადგესო, ანთუ უბრალოდა, – რო გაერთო. რო ვერ გააღწევ გაწეწილ თმებში, – ჯუნგლებს გააღწევ, ამ აწეწილობას ვერა. დინჯად. დინჯად. დაწყებაც ძნელია, დაბოლოებაცა. ანთუ: დაბოლოება უფრო ძნელია. ფრთხილად. მშვიდად. აუღელვებლად. ყველას მიეზღვის მისაზღვეველი. მოაღწევს ჟამი. „ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი“. თუ მპყრობელიო?.. სულერთია?.. დარეკავს ჟამი. „ნაპოლეონმა გადმოავლო თვალი ფრანციას“. აღარც ფრანციის დაშოშმინება აღარა სჯეროდა აღარავისა. დაშოშმინდა. დაცხრა. დაცხრება ყველაო. შენცაო. ყველაო. ბრბოც დაცხრებაო. და მერე რაო, – ბრბოი დამცხრალიც უბედურებააო. ეს უკვე ხრწნაა. უბედურებაა. უბედურებაო. სჯობს რო ბობოქრობდეს, იყოს, რაც იქნება, ოღონდ როგორმე დააღწიოს თავი თავის თავსა, საკუთარ თავსა, – თავს გამოექცეს, იქმნას რო ხალხადა. ვერ მოხერხებულა ისე ადვილადა. ხალხი ერთ წამში იქცევა ბრბოდა, ბრბო ხალხად ვინ უწყის თუ როდის იქცევა. როდისა?.. როგორა?.. რა მანქანებითა?.. აქედან იქით ზღვარი მცირეა, ბეწვისოდენაო, იქიდან აქეთ – განუსაზღვრელიო. ესეც ერთი უცნაურობა ამ დახლართული წუთისოფლისა, ერთი მრავალთაგანი; ვერ მოერევი რო თუნდ ერთსაცა, თვალს ვეღარც გაუსწორებ დანარჩენსა. ვერა. ვეღარა. გაუსწორებ და გაუსწორე. მოგჭრის. მალალია თვალი.

„დაფიქრებაც არ უნდა...“ იტყვის უშანგი, თვალს მოჰკრავს თუ არა პისტოლეტსა. ის იქავეა, სადაც რო დასტოვეს: საწერ მაგიდაზე, თვალსაჩინოდა.

„ჰოოო...“ მიჰხვდება ბაადური. „გენო ადამიას სახსოვარია. იმ დღეებისა! საწყალი!.. ვაჟკაცურად გამოიყურებოდა, მაინც განწირულობა ეწერა სახეზედა. წადიო, მირჩევდა. შენ რაღას უცდიმეთქი. არსად მე არ წამესვლებაო. ალბათა გრძნობდა, რაც რო ეწერა... რამდენჯერ ვინანე, ძალა მაინც დამეტანებინამეთქი. ინანე რამდენიც გინდა!.. რას გააწყობ ბედისწერასთანა?!. მოთქმით ტირილიდა გერჩება ნუგეშადა: ბრალია შენი სიკვდილი, შენი სიკვდილი ბრალიაო...“

არ ასდევს უშანგი.

„მოგიგდეს?..“

„არა, რას ამბობ?!.“ ითაკილებს ბაადური. „სიტყვის კაცი ახლა ისე იშვიათია!.. მე შემხვდა სიტყვის კაცი: დაგიბრუნებო, დამპირდა და დამიბრუნა. არა. არა. ღმერთმა ნუ ჰქნას, ისე გადაგვარდეს ქვეყანაი, ერთი სიტყვის პატრონიც რო აღარ გადარჩეს. ნუ!.. ნუ!.. ღმერთმა ნუ ჰქნას!..“

„ეგ შენი აპილპილება შენთვის შეინახე“, იღიმის უშანგი: „ამას მე წავიღებ. სიფრთხილეს თავი არ ასტკივაო“. აიღებს. ჯიბეში იტენის პისტოლეტსა. „მეც დაგიბრუნებ რაღა თქმა უნდა, ოღონდ უდროუდროოდ არ დაგიბრუნებ“. კარს მიასწორებს. შემობრუნდება: „შენც უნდა წამოხვიდე!.. სხვას მოგიგდებენ. სადმე უნდა შეაფარო თავი. უსათუოდა. უსიკვდილოდა!..“

„მაგრამ... რო მიბრძანეს ქალაქიდან არ გახვიდეო?!.“ ურჩობას აპირებს ბაადური.

„სწორედ მაგიტომ უნდა გახვიდე“. იცინის უშანგი. მწარედ იცინის და აღარც უსმენს, აღარას აცდის. მოვემზადებიო. აღარ აცდის. აჩქარებს. მიჰყვას. მიაქროლებს რო თავისთანა: აღარც ეს დაუჯდება ჭკუაშია. მანქანას შეაბრუნებს, თითქოს აყალყავსო და ისე შეაბრუნებს; ისე შეაბრუნებს და ისე გავარდება ქალაქიდანა, თითქოს ფეხდაფეხ მიჰყვებიან სწრაფი რეაგირების რაზმებიო. ისე. ისე. თითქოს მისდევენ და თითქოს კიდევაც ეწევიანო, აი და აჰაა: სწვდებიან კიდევაცა ქეჩოშია, სწვდებიან და გადმოითრევენო, – ისე გავარდება. გავარდება და მიჰქრის. მიჰქრის და თან მიაქვს არემარეცაო, თითქოსაო რაღა თქმა უნდა. მთლად არემარე თუ გაზვიადებაა, – არაგვიანი მაინც თან მიაქვსო. არც უფიქრია თუ საით წასულიყო, თითქოს თვითონვე წარიტაცა მანქანამაო. როცა რო დაფიქრდა: რა გზას ვეწიოო, – უკვე ქინვალში ამოეყო თავი. „გასწი, გაფრინდი ჩემო მერანო!“ ამას დაატანს და აღმართებამდე კიდევ უფრო მიუშვებს გაზსა. მერე აღმართები თავისას მოჰგვრიდა. არც ეს მოაკლებდა ცდასა. ბაადური მინებებია: მერანი იყოს, თუნდაც თანამგზავრიო. იქროლოს. იქროლოს. მინებებია. თავისას მოუცავს. სახე იგი გამოჰყოლია: სახე ყოვლისა ტანისა. ტანი ყოველი. სახე ყოვლისა. სახეი ყოველი. მოუცავს. ხიდი. სტანდარტები. ინტეგრაცია. ღერეფანი. მიჰქრის. მიჰქრის. უჯობს შეჩერდეს. უნდა მოეჭიდოს. ანთუ რასაო, ანთუ როგორაო, – საჭე სხვის ხელთაა, უშანგის ხელთაა. „უშანგი!..“ არც ესმის. სხვა რამ გუგუნია. სხვა რამ ძრავა. მიჰქრის. მიგელავს. აწყვეტილი. არც სადგური აქვს, არც დასასრული. რაღა დაგრჩენია, – შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა!.. სურვილი დიდი. მარადიული სურვილი. აღუსრულებელი სამარადისოდა. უშანგიც აღარა ჰგავს უშანგისა. სადღაც ბენზინს ჩაამატებინებს უშანგი და თითქოს აქ არცაო: დედამიწაზე არა, სადღაც სხვაგანაო, სხვა პლანეტაზედა, ბენზინსაც არაო, სითხესაც არაო: ფილებად ჩაუდგამენ გამომშრალ საწვავსა. პლანეტაც ეგებ რო მოლანდებაა, თანამგზავრია ეგება ისიცა. უსასრულობა გამოტენილა თანამგზავრებითა. ყველა მოსწყვეტია დედამიწასა. ანთუ: დედამიწა უკვე დანთქმულა ერთბაშადა და ერთპირიანადა. ბოლოსდაბოლოს ჰო უნდა დაინთქას, რაღას უცდისო?.. არაო. არა!.. მოსჩანს ფერდობები ამწვანებული. გაახილე, გაახილე თვალი. გადაიბერტყე ბურუსი თვალთაგანა. ფერდობები ამწვანებული. ფარები ქათქათა. შავი კლდეები. ეგერ ყინულით ნაკვეთი თავი. სალამურის ხმაც გაიგონება, ძრავის გუგუნი რო მისწყდებოდეს. გაიგონება. ეს ისევ მიწაა. დედამიწაა. ლივლივებს ფერდობი, აქაფებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ცხვრის ფარები დაუდის ზედა. მიწაა. ცხოვრებაა. ყაზბეგია.

მათიაუ!..

აგერ, აგერა: მათია და დათვი რო შეიბნენ, იმასა ჰგავს, იმა ადგილსა. აქ ყველგან ის არის, ის ადგილია, დათვთან ჭიდილია ყველგანა. რაღა ტარიელი და ვეფხიო, რაღა მოყმე და ვეფხიო, რაღა მათია და დათვიო!.. მაინც ისა სჯობდა, ვეფხი სჯობდაო. იყო სილამაზე, იყო სისხარტე, იყო ვაჟკაცობა. დარჩა უხეშობა, სიმუხთლე, სიმყრალე, სიმახინჯე. დათვი. იქ სიკვდილიც არაღ გიღირდა, აქ სიცოცხლე მოგძულებია. ნინოს მასწავლებელი „თეთრს“ უმატებს: თეთრი დათივო. უმატებს და ამტკიცებს: ცენზურამ ამოშალაო. ვარიანტებში უნდა გადარჩენილიყოსო, - არ უთმობენ გათამამებული ბავშვები. ადვილად არ უთმობენ. არც მასწავლებელი უთმობს ცხადია: ვარიანტები სადღა მოვძებნოთო. მე თქვენ გეტყვით და დალაგებული ცხოვრება ჰქონდა ალექსანდრე ყაზბეგსაო. აბა თუ ვინმემ ბეჯითად იცის, სად აღამებდა და სად ათენებდა ის უბედურიო. უბედურიო. გორკიო: თუ სად დაცუცქებულა თუ სად აცუცქებულა, ყველა აღუნიშნავთ, დაფები მიუკრავთ, ყაზბეგი ვითომც არ ჩამოსულიყოს თბილისშიო. ვიღა კითხულობს ყაზბეგსაო, - იმეორებენ ბავშვები, გაუგონიათ, იმეორებენ. არც გორკისაო, - შეახსენებს, ვისაც ესეც გაუგონია. ჯანდაბას გორკიო, - ცხარობს მასწავლებელი, - ჯანდაბასა და დოზანასაო; იმისმა პატრონებმა იცენ თავშიო, ხოლო ყაზბეგს თუ კარგად არ დაისწავლით, მე აღარ შემოვალ თქვენთანაო. ბავშვები იცინიან. გაფიცვა ჰო გრძელდება მასწავლებლებისა: შტრეიკბრეხერობას დასწამებენო. ის მაინც არ იშლის თავისასა: თუ აღარც ბარათაშვილსა კითხულობენ, ორბელიანებსაც აღარა, ვაი ჩვენი ბრალიცაო. აქ არიან ისინი. ამ გზაზე ღვრიდნენ ცრემლსა ისინიცა, ყაზბეგისა არ იყოს. ღვრიდნენ. ღვრიდნენ. გზაზე დაპყრობისა. გზაზე ღალატისა. გზაზე თავგანწირვისა. აქ გათამაშდა ყველაფერი. აქ წააგო თავი ქართველმა. სისხლით მორწყულა ყოველი მტკაველი. სადაც ბარს დაჰკრავ, სისხლი ამოსჩქეფს. წყაროები სისხლისა. ნაკადულები. კიდევ რო მაინც შემორჩენილან?!. მიდიან. მოდიან. გაღმომდგარან. ირჯებიან. თითქოს ისინია. დახოცილან. და. წამომდგარანო. რა დამართნია უშანგისა: რად არ შეაჩერებს, რად არ გადავლენ, რად არ გამოელაპარაკებიან. ძველს იტყვიან. იტყვიან თუ როგორ გადარჩნენ, იგივე დღე რო დაგვთენებია, იმავე გზაზე რო ვდგევართ, გზაზე უბედურებისა. „უშანგი!..“ არ ესმის უშანგისა. „უშანგი!.. უშანგი!..“ არ ესმის, არა. გააგონებს როგორც იქნება: „მოიცა უშანგი!..“ უარობს უშანგი: „რა დროს მოცდაა?!.“ მიჰქრის. მიჰქრის. თითქოს უნდა რო დაავიწყოს ყველაფერი. გადაატაროს ბედის სამძლვარი. ისიც დაავიწყოს: თუ როგორა შლიდნენ რუსები ყაზბეგსა ყაზბეგისავე რომანებში, - რუსულ გამოცემებშიცა შლიდნენ, ქართულ გამოცემებშიცა შლიდნენ. ის ყაზბეგი მართლაც არ წაიკითხებოდა. მაგრამ არაო, - მართალი ყაზბეგიც აღარ უნდათო, გალაკტიონიც აღარაო. პროვინცია. გაიმეტებენ ილიასაცა. პროვინცია. ყვარლის მთები. პროვინცია. პროვინციული ნაციონალიზმი. პროვინციული დემოკრატიზმი. პროვინციული ლიბერალიზმი. დამოუკიდებლობა, - პროვინციალიზმი. ზნეობა, - პროვინციალიზმი. ძირს ზნეობა. ძირს პიროვნული შეზღუდულობა. ინტეგრაცია. ცივილიზაცია. ფსიქოანალიზი. სექსი. პიროვნების თავისუფლება. სრული თავისუფლება. ახ, მოსკოვი!.. „მპწ!.. მპწ!..“ კინოფესტივალები. „მოგვენატრეთ!..“ თეატრალური ფესტივალები. გასტროლები: „მპწ!..“ „მპწ!..“ მოგვენატრეთ. ფიქრის გორა. ნოსტალგია. „მპწ!..“ „მპწ!..“ აღდგეს კავშირები. დერეფანი. აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. ჯვარი. ჯვარს აცვ ეგე!. რაღა აცვ, - აცვია და ეგ არის. მიჰქრის. მიჰქრის. უნდა გაიტაცოს. უნდა იხსნას გიორგაძის ბრჭყალე-ბიდანაცა, ამ ქაოსიდანაც იხსნას. უნდა. უნდა. ვერაო. ვერ უხსნია. ზეკაცობრიული უბედურება. ქაოსი. ბრბო. ხალხი ველარ გამოირჩევა. ველარცა ერი. იღუპება ქვეყნიერება. მიჰქრის. მიჰქრის. უშანგი. მიჰქრის. მართლაც გადავა ბედის სამძღვარსაო. ვერაო. არც ეგრე ადვილი ყოფილა. შევარდებიან ხევის სოფელში. პატარა სოფელში. კედლები ჭაჭისა. შუკები ვიწრო. შუკებიც ჭაჭისა, შენობებიცა. პატარა შენობები. ჩარიგებულნი. ჩრდილში მოხუცები ჩამსხდარან. ჭაჭზე სხედან. ჭაჭს აყუდიან. ფეხები წინ წამოუშვერიათ. მანქანა ფრთხილობს. ისინი ჰო ფეხებს არ შეკეცავენ?.. მანქანა ფრთხილობს: აქეთ ამათ ფეხებს მორიდებია, იქით - თვითონვე რო არ გაიფხრიწოს. ფრთხილობს. გააღწევს. დაბალ კართანაა, ვიწრო კართანა. შიოლას ციხე დაჰყუდებია. სოფელი შეჰყუეია შიოლას ციხესა. ოდესღაც ის იყო მფარველი სოფლისაი, - აწ უქმ, - ვახუშტისა არ იყოს. მაინც მფარველი. მაინც ამაყად გადმომზირალი. ნანგრევიც ამაყი.

„იორამ!..“ იძახის უშანგი. თან კარს მიაწვება. იღება კარი. პატარა რქები ციკნისაი და ბრიალა თვალები, ველური თვალები გამოიჭრება...

„მგლის ბოკვერია?..“ იკითხავს ბაადური.

„მგლისაა...“ უშანგი დაუდასტურებს, „ტყეში იპოვნა... ერთადა ზრდის“.

ეგებებიან ერთადაცა. თითქოს კიდევაც ეკითხებიან: სამტროდ მოსულხართ თუ სამოყვროდაო. სამოყვროდაო, უშანგი ამშვიდებს. გამოჩნდება მასპინძელიცა. ბაღიდან გამოდის, პატარა ბაღიდანა, კლდეებში რო შეჭრილა, - ჭაჭში, ჭაჭში, აქ რო ჭაჭია ყველაფერი; ხოლო ის ბაღიცა, პატარა ბაღი, ვენახიცაა, ყვავილნარიცა, საბოსტნეცა, სანამყენეცა, საფუტკრეცა, ტბორიც მოჰბმია საკალმახეი. მასპინძელი იქიდან გამოდის. ხელთ ფიჭიანი ჩარჩო

ეროვნული ბიბლიოთეკა



უჭირავს. საკუჭნაოსი. სკებსა ხილავდა. თაფლი გამოსდევს. სუნიც გამოსდევს, ხელიც თაფლით დაუმშვენებია.

„სტუმარი ღვთისაა!..“ შუბლი გაჰხსნია მასპინძელსა. ციკანი უკან დაიხევს. ბოკვერიც დაიხევს უკანა.

„ეს პატიოსანი კაცი ჩამიბარებია“. კარებიდანვე მიმართავს უშანგი,“ „ორ-სამ დღეში ამოვხედავ“. მანქანას მიექცევა.

„არ ავიძრახათ?!.“ უკვირს მასპინძელსა.

„თქვენ იცით!.. მეც ჰო ამოვბრუნდები...“ უკან დაიხევს მანქანაი, ვერსად რო ვერ შემობრუნდება.

ფიჭა გაკაწრულა. წვეთავს. ბოკვერი ციკანს მისჩერებია: ალოკეო. ჯერ შენაო, სთავაზობს ციკანი. მერე ერთად დაეწოდებიან. ხალხი!.. ამოსცდება ბაადურსა. აი ხალხი!..

## XXIV

ისევ თაფლიანი ჩარჩო ამოიღო სკიდანა იორამმა. ძირს ჩარჩოი. ორი. ტილოში შეახვია. მანქანაში ჩაუდო უშანგისა. მანქანაში. იქვე მოკალათებულა ბაადურიცა. ციკანი შესცქნავის. მგლის ლეკვიცა. გადმოუყვია ხელი. ეფერება ორივესა. დამმობილებულან. აღარ ეთმობათ ერთმანეთი.

იორამი ბუზღუნებს:

„მოხვალ... წახვალ... აღარ ვილოცებით...“

„გზაგზა ვილოცები“. ხუმრობს უშანგი.

„გზაგზა რაია?!. ჭერქვეშ უნდა ილოცებოდე!..“

„ჯერ ჭერი გავიმაგროთ!..“ მოისმის ისევ ხალისიანადა. მანქანაც მისცურავს. ნელიად იძერის. მისცურავს, მისრიალებს ვიწრო შუკიდან ვიწრო შუკებშია. ჭაჭის შუკებში. შავ შუკებში. თვითონ რა ფერისაა, მანქანაიო, ძნელად როღა ითქმის. მაინც ფერია, მაინც შავში გამოირჩევა.

„გავიმაგრებთ!..“ მისძახის იორამი. რამდენჯერმე მისძახის. აედევნება მცირე ხანსაცა. ციკანიცა. ლეკვიცა. შეჩერდებიან. გასცქერიან. გაჰყურებენ. გამობრუნდებიან. მიჰყვება ბაადური. ბაადური არაფერს არა კითხულობს. უშანგი უყვება: საიმედო საფარი რო მოსძებნა, რო ვერც მიაგნებენ, რო ვერც ვერსაიდან მიუდგებიან; რო არც დიდხანს დააყოვნებს იქა. მოვლენები იცვლება. სწრაფად იცვლება. ცვივიან შემთხვევით აღმატებულნი. ბრუნდი და მართალი მალე გაირჩევა. მალე. მალე. ნუ გეშინიანო. მანამდე შენ იცი: მყუდროება გირჩევნიან და უკეთეს მყუდროს ვერც მიაგნებდი. მეც ვერაო. ჩემმა ბიჭმა მიმაგნებინა. დაეხეტება ამ კლდეღრეებში: მთამსვლელობა მთამსვლელობადაო და ისედაც კარგად უნდა ვიცოდეთ ყოველი კუნჭული ჩვენი კავკასიონისაო. მიმაგნებინა ერთისიტყვითაო. ოღონდ ახლაც თუ მივაგენი უიმისოდა, – საკითხავი აი ეს არისო. შეეჭვდება ბაადურიცა: ისე ივლიან იმ კლდეღრეებში, ვიდრე მანქანა გაიტანდა, ის სანაქებო მანქანაი უშანგისა, – ჰო მანქანითა, მერე ფეხითა, ზევითზევითა, ტყესაც რო თავს მოექცევიან. კლდეს გაუყვებიან, შიშველ კლდესა, თითქოს განგებ ჩამოთლილსაო. ბილიკიც ეგრეღვე ქიმქიმად მიუდის, გამოკვეთილი განგებისაგანო. აქ ყველაფერი განგებისაა..კაცისთვის არაო. ანთუ ვითომ რატომ არაო, – როდის იყო რო არა ბობოქრებდა ბოროტებაი, ბოროტებაი, როდისა, როდისა, – როდის იყო რო არ ეძებდა ადამიანი სამალავსაო. იკითხავდი. მიუგებდი. თუ იკითხავდი. ვერც იკითხავდი: ძლივს იკიდებდნენ ფეხსა ბილიკზედა, ვითომ ბილიკზედა რაღა თქმა უნდა. მოთავდებოდა რაც უნდა იყოს. მოთავდა კიდევაცა. გაიფართოვა და მოთავდა. მცირე რამ ბანი გამოკვეთილიყო. ტინისაი, სალისაი ისიცა ცხადია. მერე უფსკრული იხედებოდა, ანთუ უფრო სწორი იქნება: აღარცრა სჩანდა: ბურუსდებოდა, იბინდებოდა, ბნელდებოდა, ბნელი ბუყბუყებდა, სადღაც შორსაო, თითქოსაო რო მოიწევდა, ზევზევით რო ლამბოდა აღმოსვლასა. ეს თითქოსაო. ხოლო მაღლა, ბანის ასწვრივა, მღვიმე რამ სჩანდა. ჩამოშვებულიყო კაპრონის თოკები: ერთი მთლად ლიტაოი, მეორე ასხმული კიბის მაგვარადა. გადმოცვივიან იქიდან ორნი: ერთი კიბითა, მეორე თოკითა შიშველითა. გადმოცვივიან. ჩამოცვივიან სწრაფადა და მოხდენილადა, კლდეს რო შესჩვევიან, კლდე რო იმათი პოეზიაა, კლდეი, მთები, მწვერვალები რო პოეზიაა, ბეთჰოვენიცა და მოცარტიც რო იქ ეგულებათ. რაც თუ რა არის: წარმოსდგება ორი ჭაბუკი. ერთი მოახსენებს უშანგისა: რაც რო გვიბრძანე, შევასრულეთო.

„ეს ჩემი ვაჟია,“ გააცნობს უშანგი, „ეს ჩემი ძმისწული!..“ გააცნობს.

„სად ვეცნობი ჩემს ნათესავებსა!..“ ხელსა ჰხვევს ბაადური, ერთსაცა, მეორესაცა.

„სადაც გაგიჭირდება!..“ ისევ უშანგია: „ახლა აქ აბრძანდები. არ შეფიქრიანდე. მოგეშველებიან. არცრას მოგაკლებთ და ვერც ვერავინ მოგაგნებს. იყავი ვიდრე მოგბეზრდებოდეს. დამალვით ახლა ქალაქებში უფრო იმალებიან. მაძებრებიც იქავე დასუნსულებენ“.

„მე არაფერი არა მჭირს დასამალი!..“ შეიცხადებს ბაადური.

„არა... მაგრამ?!.“ დუმდება უშანგი.

„აქ მირჩევნიან...“ ბაადური თანხმდება.

მიეშველებიან. ადის. აზიდავს თოკებსა. მოსწყდება ყველასა, ყველაფერს მოსწყდება. მირჩევნიანო. ეგონა: ვიცხოვრებ ცხოვრებითა ძველი მეუდაბნოისაო. ეგონა. გაუქარწყლდა. ტელევიზორიც დაჰხვდა იქა, რადიომიმღებიცა, მობილური ტელეფონიცა. საზრდო ჰო საზრდოდაო რაღა თქმა უნდა!.. არც რო ისინი იქნებოდნენ უსაზრდოდა, ისინი, ის ძველი მეუდაბნოენი, განდგომილნი წუთისოფელსა, სიავეს განდგომილნი, განდგომილნი განსაწმენდლადა, ამაღლებისად განდგომილნი, არც

ეროვნული ბიბლიოთეკა



ისინიო, მაგრამ ეს შედეგი ცივილიზაციისა?!. საწერი მანქანაცა, დიქტაფონიცა. აკუმულატორი?!. კიდევ?!. კიდევ?!. რა ამბავია?!. მომაკითხავენ თუ არაო, პირველადვეო, უკან გავატან ყველაფერსაო. ანთუ: აგერა ეს ტელეფონი, - გზიდანვე ვიხმობ, ახლავე ვიხმობო. სცადა. და. იცინა. იცინა. შეპხტა კიდევაცა ნასიამოვნები. ჭერს უწია. ძალიან არა, - ოდნავ მაინც შეახო ქოჩორი. ჯერ ვერ ივარგა ამ მაღალ მთებში ამ იაპონურმა თუ გერმანულმა ნაკეთობამა. ვერ ივარგა. ვერც მისწვდა, ვერც ვერაფერი ვერ გააგონა. ვერ ივარგა ვერც ტელევიზორმა, რადიომიმღებმაც ვერა. საწერი მანაქანა თვითონვე უარჰყო, დიქტაფონიცა. ქაღალდიც ბლომად მოეტანათ, ფანქრებიცა. პასტაო. ეს გამოადგებოდა. ხელი მოსინჯა. გამოუკეთდა. გამოადგებოდა. სიმარტოვე და ფანქარ-ქაღალდი, მეტი არც აღარაფერი უნდოდა. განმარტოება იქაც შეეძლო. მიაგნეს. აღარ მოუხერხდებოდა. აქაც რო მოაგნონ?!. რა დაემალება ეშმაკსაო. ვიდრე მოაგნებდნენ.

ვიდრე.

პირველი თავი ჰო ზეპირად იცის, - დაფიქრებაც აღარა სჭირდება: ბრბო!.. ბრბოი პირველყოფილი ადვილად განვლო. ხელი ეღლებოდა. ამიტომ თუ შეჩერდებოდა. მერე გაურთულდა: ბრბოი აწინდელი, - გაურთულდა. ბრბოი ინტელექტუალურიო, - ადვილად ვეღარ გაართვა თავი. ბრბო ჰო მონა გახლდა ინსტინქტებისა, - ინსტინქტი და ინტელექტი უპირისპირდებოდა ერთიმეორესა, ანთუ უფრო მეტი: გამორიცხავდა ერთიმეორესა. ჭკუა. და. უჭკუობა. გონიერება. და. უგნურება. გამორიცხავდაო. თურმე არაო, არ გამორიცხავდა. განათლებაო, კულტურაო თუ ცივილიზაციაო, უძლური ბრძანდებოდა თურმე.: იფშხვნებოდა, ხურდავდებოდა, წვრიმალდებოდა, უცება, ერთ წამში იქცეოდა იმადა, რაც იყო, იყო, იყო ოდესღაცა, რითაც დაიწყო, საიდანაც აეწყო. ვითომ აეწყო. ესეც ჰო ადრევე გამოეკვეთა, - ოღონდ ესაა: ახსნა უნდოდა, ანალიზიო, როგორც რო იტყვიან, დაბეჯითებული დასკვნებიცა: არსებობს თუ არა ბოლოსდაბოლოსა ინტელექტი, გონიერებაი ერთისიტყვითა, არსებობს თუ არა თავისთავადა, ცხადადა, თავისთავადა თუ ისიც ინსტინქტია, მხოლოდდა ინსტინქტი, ერთი მხარეი ინსტინქტებისა, თუნდაც რო ცოტა თავისებური, ვითომ ცოტა რო ამაღლებული, ოღონდ რო მაინც მდაბალთაგანი, მაინც სიმდაბლე რო თავისკენ ეწევა, ეწევა, ეწევა, ანთუ ეგებ რო თვითონვე მიიწევს, რო ეშინიან რო არ მოსწყდეს ბუდესა. არა. არა. შური. შიში. სიმხდალე. სილაჩრე. აღშფოთებაი სილაჩრისა, - ბრბოი ინტელექტუალური. აღარც განათლებაო, აღარც კულტურაო, აღარც ცივილიზაციაო, არც სხვაი, არა, კიდევ თუ რამით დაიტრაბახებს ბრბოი იგი ინტელექტუალური. არაფერიო. აღარაფერიო. თუმცა მოიცა, - მაინც ჰო რჩება ეს ყველაფერი, - დაიბნევიან ადამიანები, გაგიჟდებიან, გადაირევიან, მოსწყდებიან, რაცთუ სიკეთე მოუპოვებიათ, მაგრამ ჰო რჩება იგი ყოველი, - ანადგურებენ, მაინცა რჩება, ანადგურებენ ერთმანეთსაცა, რჩებიან მაინცა: რაღაც რო რჩება, რჩებიან იგი ვიღაცანიცა, უმეტესი მაინცა რჩება: გამოფხიზლდებიან, გაფაციცდებიან, ებღაუჭებიან ერთიმეორესა, მონაპოვარსაც ებღაუჭებიან, დაეძებენ და ებღაუჭებიან ისევ ისევე, ისევ ისევე, ვიდრე ისევ გადაირეოდნენ. ვიდრე ისევაო. ინსტინქტი. ინსტინქტები. განადგურებაცა. გადარჩენაცა. უარჰყოფაცა. ქინიცა არსობისა. ინსტინქტი. ინსტინქტები. და იარე გონებაო, იარე, ილვაწე, მოიპოვე, - მოპოვებაც ჰო ინსტინქტია, მოიპოვე და მოებღაუჭე, ბრძოლაც რო იქვეა დაუნდობელი, შურიცა, ღვარძლიცა, დატაცებაცა, მოიპოვე და წაართვი, წაართვი და მოიპოვე, გაანადგურე და მოიპოვე. მოიპოვე. მოიპოვე. მოიპოვე. ძალა!.. აი ინსტინქტი!.. ძალა! გონება! ერთად, - უარესი!.. ყოფილა: უძლავრია გონიერებასაცა: რწმენა ამაღლებულა, ზნეობა ამაღლებულა, ამაღლებულა ერი, ყოფილა, ყოფილა განათლებული ერი, განათლებული ენითა თავისითა, აღზევებული ენითა თავისითა, აღზევებული, ბაბილონის გოდოლს ვიდრე დაამხობდნენ თავზედა. ვიდრე. ენა!.. შენს ქვეყანაში შენს ენას თუ არ შეიწყნარებენ, შენს სახელმწიფოს ვერც ეღირსები. შენი ქვეყანა შენ თვითონ თუ არ განანათლე, ვერ შეჰკრავ შენს ხალხსა, ვერა, ვერა, შენს ხალხს ვერ შეჰკრავ. თუმცა: ეს მერეა, შემდგომი თავებია. მანამდე ჯერკიდევ ბრბოულია გამოსარკვევი, მძვინვარებაი ბრბოულისა, მძვინვარებაი მარადიული.

აზრი უსწრებს. მაჯა ვერ მიჰყვება. ბევრი არაფერიო. შეიძლება დაოკებაი აზრისა, მაჯის შესვენებაც შეიძლება, თვალის გახალისებაცა:

ხალიჩები მოსჩანს საოცრად მოქარგული. საოცრადა. დაბლა ტყეები ჩარჩენილა. ეს უფრო ზევით გადაუფენიათ: მთათა ფერდობებია, ველობებია, მოჩითული საოცარი ოსტატობითა, მზის ხელით მოჩითული, მზისა და მიწისა, ნამისაცა რაღა თქმა უნდა და კიდევ რიღაცისა, რიღაცისაი, სახელი რო არა აქვს, არც რო მოიკითხავენ, იდუმალია და ხელოვანი სწორედ ის არის, ფერადოვნებაც იმისგანაა, სახეობაცა, თითქოს რო შესაცნობი ადვილადა, ანთუ სულაც ამოუხსნელი, მაინც რაიმეს რო უნდა მიამგვანო, რო გგონია რო მივამგვანეო, ვერ მიამგვანებ რო მაინცა, აღარც ინაღვლებ, თუ მიამგვანე მომხიბლავი ჰო აღარც იქნება, - არა, აღარა, მომხიბლავი რო ფარულია, იდუმალიო, მშვენიერება იდუმალებას შეჰხამებიაო. მაინც ხალიჩებად რო წარმოიდგენს, - ხალიჩები მიუმგვანებიათ, ხალიჩებით ჩამოუტანიათ სილამაზეი ფერდობებისა, მწვერვალთა მახლობელი ფერდობებისაი, მთიელ მქარგველებსა, მთის ხელოვანთა, ბუნებრივთა და ბუნებისმიერთა, ჩამოუტანიათ,

ბარი მოუხიბლავთ, მიბაძვით მოუხიბლავთ. და აი თვით იგი, იგი მშვენიერი, ნაირფეროვანი, ნაირსახოვანი, ამოცვენილი ერთადა, ერთბაშადა, ზაფხული რო ხანმოკლეა მთებისაი, ყველამ რო ერთად უნდა იფეთქოს, ერთადა, ერთადა, ელვადა, მჭექარედა, რო არ გადაასწროს მზემა, რო არ გადაფერდდეს, რო ველარ ამოატანს უიმისოდა, მიწას ვერ ამოხევს. ამოხევს, ამოჰგლეჯს. ამოხეთქავს. ბარში ნელა აღმოცენდება, ნაზადა, სათუთადა, სასოებითა, კდემითა, მადლობითა მზისა, მიწისა, ნამისა, კდემითაო ერთისიტყვითა. აქ რო ამოჰგლეჯს, პეპლებსაც თან ამოიტაცებსო, თითქოს და რაო, - ერთი დღისთვისაო, თვითონაცაო და პეპლებიცაო. რაც უნდა იყოს, დიდი დრო არა აქვთ, რაცა აქვთ, ჰხარობენ, მართლა აქვთ და მართლაცა ჰხარობენ, მართლა ტკბებიან, მართლა ძღებიან, ძღებიან, ძღებიან ხანმოკლე სიცოცხლითა. ესენი ტკბებიან. იქ თუ ვილაცაა: თუ ერთობა, გაერთოს. გაერთოს. ეგერ ჰეე: დეკანი, ღვიანიცა. ამობურცულან ნაქარგობიდანა. ესენი ასე ამოუქარგავთ გარსმოვლებული ნახატებითა, სულ სხვაგვარი ნახატებითა, სხვაგვარი ფერებითა, სხვადასხვაგვარი იდუმალებითა, მშვენებითა და იდუმალებითა, - თვალი მომცა და მაცქერინაო. უცქირე. უცქირე. წაკითხვაც უნდა, სილამაზე რო სრულად შეიცნო. არსია იგი სიღრმისეული საფუძველი მშვენიერებისა. წაკითხვა უნდა. იკითხე. იკითხე. მიადევნე თვალი მოუწყვეტლადა. დაგაგვიანდა?.. ვაჟამაცა: დამაგვიანდაო: მოგესალმებით ქედებო, მომაქვს სალამი გვიანიო, ჩემსამც სამარეს ამკობენ თქვენი დეკა და ღვიანიო.

მიადევნეო

და

მიადევნებდა:

მზე მიგორავდა ოღროჩოღროზე მთაგრეხილისა, მთვარეც მიგორავდა, სავსე მთვარეი. გაერთბაშდებოდა ფერადღოვნებაი მთვარის ქვეშა. გაერთბაშდებოდა აირეოდა თუ აიმღვრეოდა. შეიწვნოდა. გადაიხსნებოდა. ბოლავდა. ორთქლავდა. მიიწევდა ზევითა, ზევითა, მისწვდებოდა რო მთვარესა თითქოსა, უკუიქცევოდა ისევა მაშინვე. შემოეხვევოდა და გადაიფხრიწებოდა. დაეცემოდა მოწყვეტილი. ისევ აიწევდა, ანთუ ნელიადა, ანთუ უეცრადა, უეცრადვე რო დაცემულიყო. ჰკიოდა, ჰკიჟინებდა, დაცემით რო არცრა სტკენოდა. ჰკიჟინებდა. ჰკიჟინებდა. ლაღობდა ფერები, ხმიერობდა ფერები, იყო ფერები, იყო სიცოცხლე, სხეული - არაო. ცოცხლობდა იგი უსხეულობაი ნათელში მთვარისა, მზის ნათელშიცა რაღა თქმა უნდა, - უფრო მზისაო: ცმუკავდა, სხლტოდა ფერები სხივებზედა, ცეკვავდა სხივები ნაირფერადა, უამრავ ფერადა, უამრავ სახედა. აბა დაითვალე სხივნი მზისანი და ნაირფერობაცა ამდენივეი!.. დაითვალე. დაითვალე. აიკრიფებოდა ქედები, მოშიშვლდა თითქოსაო. მეყვავილეებმა ჩამოიარეს და ბაზარს წაიღესო, ცხოვრება მაინც რო არ მოეშვებოდა. მერე რაო თუ წაიღესო, - წაიღონ, წაიღონ, სული მოითქვან, თვალნი იამონ დამხრჩვალ ქალაქში, სხვას ჩამოსხამენ სხივნი მზისანი, უკეთესსა და უკეთესსა, სხვაგვარ მოჰხატავენ, სხვა აქვთ სათქმელი, მიწა ცოტაა, მოსაქარგი მიწა ცოტაა: ჰხატავენ, ქარგავენ, აჩუქურთმებენ, - ქალაქში ჩააქვთ არეულ-დარეული, აქ რასა ჰხატავენ, იქ არ გაეგებათ, არ გაეგებათ არეულ-დარეული. უყურე. უცქირე. თვალი ადევნე მაგას მავრო, ნუ მოაცილებ. ისევ იქ არის. ისევ ის მოსდევს. რაცა მქვიან, ცხვირზე მცხიანო. ისევ იქ არის, არა და აქ არის: რო განფენია წიგნი იდუმალისა, წაკითხვა რო უნდა.

წაკითხვა უნდა.

ვარსკვლავები ჰო სხვა საკითხავია, ვარსკვლავები, ცაი ვარსკვლავებიანი, სხვა საკითხავია და დიდი საკითხავიც გახლავს. უფრო რთულია, რაც უფრო კაშკაშებს. კაშკაშებს მიწაი და კაშკაშებს ცაი. კაშკაშებს. კაშკაშებს, - ორივე რო ქმნილა გამოცანადა ადამიანისათვისა, ხოლო ერთმანეთს ვინ უწყის თუ რა ადვილად წაიკითხავენ!.. ჰყვავის მიწაი და ჰყვავის ცაი, ერთადა ყვავილობენ. ამობეჭდილა ცაი ყვავილებადა, ყვავილნი დამსხდარან ვარსკვლავებადა. აყვავდნენ, დასხდნენ ცაზედაო. დღისით ყვავილები, ღამით ყვავილები, ანთუ: ვარსკვლავნი დღისითა, ღამითაც ვარსკვლავები. გაშუქებული სენაკი დღისით დღიურა, ღამით ყვავილებით გაშუქებული. ძილიც უკრთება, უკრთება აზრიცა: გადახსნილა ეს დიდი წიგნი, შენ უკეთესი რა უნდა დაწეროო. უკრთება. ემღვრევა. თუმცა და რაო: სხვებმა არც იციან ეს წიგნი იდუმალი, არც გადაუშლიათ, ვერც გადაშლიან, შენ მცირე რაიმ ეგება გამოჰკრიფო, ეგება გაუშუქო ბნელი ზრახვანი. იქ დიდი შუქია, შუქი მარადიული, შუქი ჩაუმცხრალი, გაუნელებელი, ვარვარებაა დაუსაბამოი, გული რამ აქცია ყინულისადა, გული კაცთა, ცრემლიც რო აღარ გაღმოვარდება, ერთი კურცხალიცა, ერთადერთიცა?!. ვაჟკაცსა გული რკინისა, აბჯარი უნდა ხისაო. რადაო. რადაო. რკინის გული რად უნდა გინდოდეს, მიწაზე რო იღოღიალო?!. რკინისაო თუ ყინულისაო. სულერთიაო. სულერთიაო. აზრი ემღვრევა, შორს ეწევა, შორსა შორსა, გაუგონარ ვარვარებაში, გაუგონარსა და თვალისათვის გაუღწეველში: თვალისათვისაცა, გონისათვისაცა. გაუღწეველში. გადაულახველში. მაინც თავისას უნდა მიჰხედოს: ერსა თავისასა, სახელმწიფოსა სახელმწიფოწართმეულსა. ჯერ ბრბოს როგორმე დააღწიოს თავი, ხალხამდე მიიტანოს. ხალხი. ხალხი. ღამე კაშკაშებს. განათებულა სენაკი. სხვა სენაკიც გამოუთლიათ. მცირე გვირაბიცა, ხვეული, გრეხილი, ჭამდის რო აღწევს. წყალი ჰო წყლადა, თვალთა მოფარებაც შეიძლება იქა, ოღონდ ჭაში არ უნდა ჩავარდე. რაც უნდა იყოს, ნელნელა ეჩვევა, ძილი ძილად

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოუბრუნდება, ზეცა კამკამებს თავისთვისა.

კამკამებს და დუმს.

ღამე ღამედაო. დღეც დუმილია, სრული დუმილი. მზე მთებზე მიგორავს აღმადაღმა, ადის და ჩადის, აიბობღება და ჩაგორდება, ხმას არ გამოსცემს არავითარსა, არც მერე, მთებს რო გამოეთხოვება. დგას. დგას. დგას და ლაპლაპებს, მოსწყდება და გადაიჩეხება. მდუმარედაო. არც რაი სტკივა, არც არაფერი არ ენაღვლებაო, არაფერი, არაფერიო, იმდენიც რო არ გაეგება თუ რას დაჰნათის, რა ცოდვისკითხვაა ამ განწირულ დედამიწაზე. არც ენაღვლება. არც გაეგება. ვერც ვერას გაიგებს ვერასოდესა.

რაღაც ზუზუნი მაინც გაისმის.

მიყუჩდება. ახმიანდება. ნაღვლიანიცაა, მხიარულიცა, ორივე ხმა გამოირჩევა, ხანთუ ცალცალკეო, ხან ერთადშერწყმული. ორივე ხმას ასდევს: ცალცალკესაცა, შერწყმულსაცა. ის თუ მიყუჩდება, ეს შეიშმუშნება. ეძებს. ეძებს. საიდან არის, - ვერ გაუგია. გარედან არაო. შიგნით არაო. ეგებთუ ტელევიზორიო. ეგებთუ რადიოო. ეგებთუ ტელეფონიო. არაო. არაო. დადუმებულა. გაქვავავებულა. სადღაც გაჭედილა, მთებში გაჭედილა ხმები ბარისა, ანთუ: აწყდება, აწყდება და უკუიბნევა. ეს სადღაც აქვეა. აი. აი. აქვეა. აქვე. აჰააა!.. თახჩაშია. თახჩაში თაფლის ჩარჩოებია, ისევ ისევე ტილოში გახვეული. ფუტკარი თუ შეჰყვა, ფუტკარი თუ ზეიმობს, დარდიც იმისივეა, დარდი სიმარტოვისა. რაც თუ რა არის: შემოჰხსნის ტილოსა, - ფუტკარია. გაინაბება. გაყუჩდება. ანთუ დაიბნევა: აქ სად მოვხვდიო. დაიბნევა თუ რაც თუ რაიო: შეფრთხიალდება, სხივებში შეცურდება, გაიელვებს. გაჰქრება. სხივები სარკმლიდან გადმოშვებულა. ვიწროა სარკმელი, ვიწროდვე, მჭიდროდვე შემოჭრილან სხივნი. იმ სხივებს გაჰკვეთს, იმ სარკმლიდან უჩინარდება. ინანებს ბაადური. დაჰკარგა ზუზუნი, ხმა დაჰკარგა, სულიერი დაჰკარგა. იყო მარტო და თურმე მარტოც არა ყოფილა. სული სულსა ჰგრძნობდა. მხნეობდა სული, სულითა მხნეობდა. მაჯაცა მხნეობდა. დაჰქროდა ფურცლებზედა, - ფანქარი დაჰქროდა რაღა თქმა უნდა., ფანქარი იწერდა ცისასა და მიწისასა, სულთა საუბარს იწერდა ფანქარი. ინანებს. ინანებს. დიდად მაინც არ შეფერხდება. ბევრად ვრცელი გახლდა სულთა საუბარი, ქაღალდზე ჯერაც ვერ დატეულიყო. რაც მერე მოჰხდა, იმანაც გაართო, გაართო და გაახალისა. მოცვივდა ფუტკარი, აუარება ფუტკარი მოცვივდა, - ჯერ თითოოროლაო, მერე აუარებელი, მოცვივდა და გაფუცქნა ორივე ჩარჩო, კედლებსაც მოედო, აქაც ჰო სიტკბო არ აცხიაო. მოედო. მოედო. მოხელა. მოჩხრიკა. გაიკრიბა ნელნელობითა, ალბათ რო ეჭვიც გაიყოლა თანა: შემოფრინდებოდნენ თითოოროლანი, გაიზუზუნებდნენ, გადაჰქრებოდნენ. რაცთუ რა იყო, ერთი მაინც აღარ მოეშვება: გაუზუზუნებს და მიყუჩდება, თავსმოევლება და ყურებში ჩასძახის. ანთუ: ზუზუნი იგი ჩარჩენია ყურს, ანთუ ის არის, იგია, აქედან ხმა ვინც რო გაიტანა: მესაიდუმლეი ამისი და გამცემი ამისი, თავისი გამცემიცა: იალაღი რო ერჩივნა დაგროვილ საუნჯესა. ზუზუნი მაინც!.. ზუზუნი იგი ჩარჩენია ყურს თუ გულს ჩარჩენია?.. გულსაო, ოღონდ: დიდინი იგი ჩარჩენია გულს.

მიწყდება იგიცა -

ზუზუნი იგი -

სრული დუმილი დაისადგურებს. ქარიც ჰო არა ჰქრის, სიოც არაო, ანთუ გარეთაც მიყუჩდა ყველაფერი, ანთუ ეს სენაკია ასე განდგომილი, გარიყული ყველაფრისგანა. რაც თუ რა არის, ეუხერხულება. შეაკრთობს დუმილი. ტელევიზორს მისწვდება, რადიომიმღებსაცა, - შიშინია, მეტი არაფერი. იყოს. იყოს. ესეც კარგია. ტყისა კენწეროնი მოსჩანან, არ ირხევიან. არც ფერდობები აღარა ბიბინებს. შიშინიც გაუწვრილებს გულსა, დუმილიცა. მერე აღმოაჩენს: მზე რო მიგორავს მთათა თხემებზედა, რაღაც ხმა ისმის, წმინდა, წმინდა, ძლივს გასარჩევი, - ხმაი თუ ხმები გამოცალკევებელი ერთმანეთისაგანა, სუფთა, ჩაკმედილი, უსათუთესი, მთრთოლავი თვითონა, შენც რო აგათრთოლებს, აღგავსებს განცდითა, სიკეთის განცდითა, სიავეს რო გადაგავიწყებს, ისე, ისე გადაგავიწყებს, ანთუ გადაგავიწყებს: სიბრალულით რო მოეკიდება იმ თავის ინტელექტუალურ ბრბოსაცა, სიბრალულითა, სიმშვიდითა, განსჯის უფრო ჩადინჯებითა, შიშინიც მიკრთება აპარატებისა, სხვა რამ ხმას მისწვდება, უცხო რამ ხმასა, სივილსა უცნაურსა. დღისითა. მზისითა. დრუბლიანში არაო... დრუბელი მატულობს. დრუბელი იმღერევა, იგრაგნება შორსა და შორსა, დაკვესავს კიდევაცა, თითქოს უხმოდაო, მორიდებითა თითქოსაო. ის იქაა, ეს აქა: მღვიმეში, სენაკში: მზისით, სარკმელი რო გადასკდება და შემოვარდება კონაი სხივთა, სვეტად ჩამოდგება ხმიერებითა თავისითა, ფერადოვნებითა თავისითა, ის სიფერადეც რო უნაზესია, უფაქიზესი, ყველა თვალი რო ვერც დაინახავს. თახჩებიც იქვეა. ერთში ჰო თაფლის ჩარჩოები ეწყო, აწ უკვე გაფუცქნილი ჩარჩოები, მეორეში სანთლები ყოფილიყო, თაფლის სანთლები, სანთლები და ლოცვანი, შემორჩენილი ძველთაგანა, თახჩისფერივე რო დასდებოდა ანუ კლდისფერი: სანთლებსაცა და ლოცვანსაცა, ქაღალდისფერი და ნაწერისფერიც ლამისაა რო შენივთებულიყო. ლამისა. ლამისა. ნაწერი მაინც გამოირჩეოდა, მხედრულით ნაწერი, უიშვიათესი მხედრულითა, ეგება რო ბატის ფრთითაცა და მელნითა ყაყაჩოსი. ყაყაჩოსი. მელნადაც რო გამოუგონიათ, სათრობელადაცა: სიკეთისადაცა, სიავისადაცა. სიკეთე დაჰკარგვია, სიავე შერჩენია. აღამაღლებდა სულსა და შლიდა სხეულსა. რაღას აღამაღლებდა, საიდანღა აღამაღლებდა?.. ყაყაჩოსა სიწითლითა ყანა დაუმშვენებიაო. აგერა ეჭვე

მოსჩანს ქედებზედაცა. ღაღადებს. ღაღადებს. აჰ-კრავს ალიცა თითქოსაო. ბურბურებს. ბურბურებს. ავარდება ჭიაკოკონადა, ჭიაკოკონებადა, წაეკიდება ფერდობებსა, ტყესაც ჩაეჭრება, აეჭრება მწვერვალებსაცა, აეჭრება და ზედმოექცევა: რიღას თოვლიო, რიღას მყინვარები მარადიულიო, – კაშკაშდება ყაყაჩოს ცეცხლითა. დაჰბუგავს. ლოცვანს გადმოიღებს. სარკმელიც ჰო იქვეა, სვეტიცა მზისაი. ის სვეტი უნდა გამოატაროს. იქ შედგება ლოცვანი. თითები თავისით გამოეცლება. შედგება ლოცვანი. დაენდობა. შუქს დაენდობა, წმინდა შუქსა. გაეგონა და აი აჰაა!.. არ უკვირს ცხადია. თვალი მიჰყვება ლამაზ ხვეულებსა:

სადა არს სოფლისა ამის სიხარული და საწუთროისა საოცრება, სადა არს ოქრო, გინა ვერცხლი, სადა არს მონათა სიმრავლე და ამბოხი, აჰა ესერა ყოველივე იქმნა ამაო, ყოველივე ესე იქმნა მტუერ, ყოველივე ესე იქმნა სიზმარ და აჩრდილ, არამედ მოვედით და ხმავყოთ უკვდავისა მიმართ მეუფისა: საუკუნეთა კეთილთა შენთა ღირსჰყუენ უფალო ჩუენგან მიცვალებულნი და განუსვენე მათ დაუსრულებელსა მას შინა ნეტარებასა შენსა.

მიჰყვება. მისდევს:

რასა ქედმაღლოით ჰოე მოკუდავნო, და ამაოდ იზრახებთ საწუთოსა ამას შინა ამაოსა. ყოველი ხორცთა შუენიერება ყუავილი არს თივისა, ხრწნილებისა მიერ დაჭნობადი, და მატლთა მიერ განსახრწნელი...

მისდევს. მისდევს:

ვითარ არს ცხოვრება ჩუენი ძმანო, ყუავილი და კუამლი, და ცუარი განთიადისა. მოვედით უკუე ვიხილოთ ცხადად საფლავსა შინა, სად არს სიკეთე ხორციელი, სად არს სიჭაბუკე, ანუ სად არიან თუალნი და ხედვა ხორციელი. ყოველივე დასჭკნა ვითარცა თივა და ყოველივე განილია.

მიჰყვება. თუნდაც რო გადაინაცვლოს:

სვეტიც აიწევს ამასობაში, სვეტი სხივთაო რაღა თქმა უნდა. ასდევს ლოცვანი. ეს დახრილიყო, აიმართება.

ჰოდა: თუნდაც რო გადაინაცვლოსო:

ჭეშმარიტად ამაო არს ყოველივე, და რამეთუ ცუდად ჰშფოთებს ყოველი ხორციელი, და იუნჯებს ნივთსა ცეცხლისასა. გულის-ხმა ვჰყოთ ყოველთა სიკუდილი, რამეთუ მიწად და ნაცრად გარდავიქცევით. და განვიცადოთ ყოველთა ცეცხლი დაუშრეტელი, და მატლი დაუძინებელი, და ცრემლით ღაღადვჰყოთ: სახიერ ექმენ მაცხოვარ, და რომელი შეივედრე, წმიდათა თანა განუსვენე.

კვლავაცა:

ჭეშმარიტად ამაო არს ყოველივე კაცობრივი.

და უკუბრუნდეს:

შუენიერებანი პირთანი დალპეს და სიჭაბუკისა ყუავილი დააჭნოს სიკვდილმან.

ისევ:

ჭეშმარიტად ამაო არს ყოველივე... ცუდადა ჰშფოთებს ყოველი ხორციელი... ამაო არს... ამაო... ამაო... ამაო ამაოთა...

იცის ეს ყოველი. აქ არაფერი არ გაუკვირდება, არაფერი: არცა თუ მოთქმანი ეკლესიასტესი, არც ჰო ეს წიგნი ლოცვანისა, რო დაჰყრდნობია სინათლის სვეტსა, არცა ხმაი რამ იდუმალი, თან რო მოჰყვება, რო კითხულობს, ყურში რო ზუზუნებს მკრთალადა, ოდნავადა, შორით შორიდან რო მოსწვდენია, როგორც რო ძაფნი სულისანიო, სულიცა ამისი რო თანაიტანოს: თუ აიტანს რაღა თქმა უნდა. არც თავის წიგნისათვის მიუნებებია თავი, ლოცვანისათვისაც – არა: ეძიებდა ხსნასა წუთისოფლისა და კითხულობდა ამაოთა ამაოებასა. ცქრიალებდა ყვავილები ფერდობებზედა, ზეცა ვარსკვლავებით მოჭექილიყო, ვარსკვლავებითა, მილიონობით წლებს რო ითვლიდნენ, გაქრობა მაინც რო არ ასცდებოდათ. არა. ცვივოდა ვარსკვლავები. ცვივოდა. ცვივოდა. ულევთოდა ცვივოდა. ეგონა გადავარჩენ, ხელი რო გავიწოდოო. ეგონა!.. კვდომა კვდომააო, თვალსაც რო იტაცებს?.. – ცვივა... ცვივა... რაც თუ რა არის, იქ თუ ვინც არის, იმან თავისი საქმე იცის, ამან თავისი უნდა განაგრძოს: ხალხი რო ბრბოდ იქცევა, როგორ გარდაიქმნას ისევ ხალხადა. ხალხი. ხალხი. ხალხი. ერი არ იქნება უხალხოდა. ენა არ იქნება უხალხოდა. სახელმწიფო უხალხოდ არ იქნება. ხალხი. ხალხი. ენა. აღათწესები. განათლება. ერი. სახელმწიფო. ბატის კალმით უფრო გამოიხატებოდა. ვეფხისტყაოსანი ჰო არ დაწერილა ისე, – არც დაიწერებოდა, მანქანებით არა, არ დაიწერებოდა. მორთულა ქუდი ფრთითა შოთა რუსთაველისა, მორთულა, მორთულა, მოირთვებოდა კომპიუტერითა?.. ფრთები უნდა პოეზიასა. ფრთები. ფრთები.. დაკოდა ლექსი მანქანამა, საცოდავი ლექსი, საბრალო ლექსი. არ ივარგებს ხალხი ულექსოდა, არც არაფერი არ ივარგებს ულექსოდა. ულექსოდ ხალხიც მანქანა იქნება. კომპიუტერი. რობოტი. პოეზია – რობოტული!.. არ იყო განა?!. რობოტი ჯერ არც გამოეგონათ, არც კომპიუტერი ეულური პოეზია უსწრებდა, ეულურმამაშვილური, საიმისო იდეები აქედან ჩაესახათ, აქედანა, ეულური პოეზიიდანა. ამობურცულან დეკანი ფერდობებზედა, ღვიანიცა, ამოჩითულან, ამოჩიტულან: თითქოს რო მართლაც ჩიტებია ყვავილნარშიო: ამოჩითულან. ამოჩიტულან.

მოქურუშდება თანდათანობითა, აღარცსად მზეიო, აღარცსად ცაიო ვარსკვლავებიანი. დაიბურება ფერდობები, ქედები, მთაგრეხილიო, მწვერვალები, ყველაფერი დაიბურება. აიგრაგნება შავი ღრუბელი, აირევა, ახმიანდება. იქუხებს. იჭექებს. მიმოირევა შავი ღრუბელი, მიმოიხევა. დახევს, დაგლიჯავს ისრები ცეცხლისა, საიდანღაც რო მოვარდება, სადღაცვე წავა, გაიჭრება გააფთრებული, მთლად დედამიწა თუ უნდა გააპოსო, გახლიჩოს, გადაჰყაროს აქეთ-იქითაო. ჭექაა ისეთი, გრუხუნია ისეთი, ელვარებაა ისეთი, ტყორცნაა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ისეთი ზეციური ცეცხლისა, ისეთი, ისეთი, გამოცხადებითაც რო არ წარმოიდგინება, იოანეს გამოცხადებითა, მეორედ მოსვლა რო აღუწერია. მეორედ მოსვლაც თუ ალბათ ეს გახლავს, - ნამდვილი, არათუ წარმოსახული, ნამდვილი, - ყოველთვის რო ბევრად უარესია, ვიდრე წარმოსახული, ვიდრე რო აღწერილი, თუნდაც რო ფრთათა კალმებითა, - უარესია, უარესი და აგერ ეს არის, მთლად დედამიწა რო შეზანზარებულა, გახლეჩვას რო ელოდება. გაიხლიჩება. გადასკდება. გადაიპობა. აქეთ დარჩება ეს სალი კლდეი მღვიმეებითა თავისითა, იქით ფერდობნი ყვავილოვანნი: თუ გადარჩება რაღა ოქმა უნდა ამ უღვთო რბევასა თუ გადაურჩება!.. - რას გადაურჩება, - სალი კლდეც რო ვეღარ განუძლებს, ვერა, ვეღარა, შავი, პირქუში სალი კლდეი, ყვავილოვანი ფერდობები რაღა სათქმელია, სილამაზე რაღა მოსაგონარია ჟამსა აღსასრულისასა, - ალბათ რო არაო, იოანესაც რო აღარ უხილავს. ჰოჰოჰოჰო რა ამბავია, აღსასრულიაო. რის გაპობაო, რის გახლეჩვაო, რის გადახერხვაო თუნდაცაო, აღსასრულიაო: ინგრევა დედამიწაი, ინგრევა, იმტვრევა, იმტვრევა ლუკმალუკმადა და ნთქავს, ნთქავს უსაზღვროებაი გაუმაძღარი, ნთქავს, ნთქავს, ვარსკვლავებს რო ნთქავს, მონდომებია დედამიწაცა, როგორც რო ნუგბარი რაიმ საკვები, ყელის ჩასაკოკლოზინებლად რო შემოუნახავს ამდენიხანია: ნთქავს, ნთქავს, ჰღეჭავს და ნთქავს: ვეება ნაფლეთებად იყრის პირშია, ვეება პირში, ვეება ტორებითა, ჰღეჭავს კბილებითა ვეებათი აგრეთვე ცხადია, - ერთის მოქნევითა, ბევრსაც რო არ დაახანებსო, გემოსაც რო ვერ ჩაატანს სათანადოდაო, ისე ნთქავს, ისე დახარბებულიო.

თუმცა მოიცა:

გადაშუქდება ფერდობები იგი ყვავილოვანნი, არცთუ ყვავილებადა, არა, რაღაც უცხო ხვეულებადა, რაღაც ბრჭყვიალა ქარაგმებადა: უნდა მოასწრო, უნდა ამოიკითხო, ანთუ გადაიღო თვალებითა, ამოხსნა მერე, მერე, თანდათანობითა, მაგრამ როგორაო, - წამოიმართება დათვი თეთრი, დაიღრიალებს შემზარავადა, დაიღრიალებს და ებღლვნება იმა სურათოვნებასა მშვენიერსა, ებღლვნება, მიმოურევს, ჰგლეჯს ტორებითა, ეშვებითა, ჰგლეჯს და დორბლავს, ჰგლეჯს და აფურთხებს. შემზარავია. უნდა აღიკვეთოს, მაგრამ როგორაო, ვინ საით მიუდგეს?.. ვინაო და: ჰა, ჰა, ჰა... თეთრი გიორგი, მთვარის გიორგი, ამხედრებული სამი დღის მთვარეზედა, ჩამოეჭრება და გაუყრის შუბსა, ელვის შუბს გაუყრის ხერხემალშია, ერთის მოქნევითა, ამომიზნებითა ერთისა, გაუყრის, გააშეშებს, გააქვავებს. დათვიც მოასწრებს და ერთს ისიც შეჰღმუვლებს, შეჰღმუვლებს ისე, ზეციურ გრგვინვას რო შეეტოლება, დაეტოტება ფერდობებსა გაუგონარი ძალოვანებითა, დაეტოტება და მოჰგლეჯს, მოჰგლეჯს და წამოეა, წამოეა და თან წამოიღებს ფერდობებსაცა, ქედებსაცა, წამოიღებს და ჩაეხეთქება უფსკრულებსა არნახული შემზარაობითა, გაუგონარი გრგვინვა-გრიალითა. ის სულ წამისაა, - გადაშუქებაი, ხმაური ესე უფრო ხანგრძლივია: გამაყრუებელი, გამთანგველი, გაუსაძლისი. აღარც რა ახსოვს სენაკის ბინადარსა: როდისღა გამოერკვევა, გონთ როდის მოიკრებს, რამდენი ხნის მერეო, ვერც გამოითვლის: რიცხვებიც აერევა, დღეებიცა, - ესეც არაფერიო, მთავარია რო: მოიკრებს გონთა.

სათქმელი მერეა,

ოღონდ მანამდე:

ეს თეთრი გიორგი, მთვარის გიორგი, წმიდა გიორგი ნუ ეგონებათ „აშოტ დიდის“ მოეკლესიო კრიტიკოსებსა, ნუ, ნუ ეგონებათ, - მოეკლესიოთამეთქი, ანთუ ვითომ ეკლესიურთა. კიდევ დავძენდი უფრო შესაფერისსა, უფრო მკაცრსა რაღა თქმა უნდა, მაგრამ მაინც შესაბრალისია, - უმეცრება ჰო შესაბრალისია, ვითომ-ცოდნა მითუარესი!.. ინტელექტუალური ბრბო... ეს მაინც როგორმე უნდა გაიგონ: თეთრი გიორგი ახალმთვარეზე. შოთზე. შოთი. შოთა. ახალმთვარეს ეწოდებაო.

ნუ აერევათ ერთისიტყვითა.

ახლა, მერეო:

მოიკრებს გონთა და: სიმშვიდეა, სრული სიმშვიდეი, მზე ისევ გაჰკვრია უღრუბლო ზეცასა, მზეი ცინცხალი, თითქოს ეს არის, ესაა შობილაო. მიმტკნარებულა ზეცაი მშობელი, მიმტკნარებულა, მოქანცულა, მიწყნარებულა გადატანილი მშობიარობის ტკივილთა მერე. მიწყნარებულა. მინაბულა. სვეტიც ჩამომდგარა, ცხოველი სვეტი სარკმელიდანა, ის დაჰფენია, ის უალერსებს, მოსულიერებულა იმისგანა. მაგრამ და რაო: სადღაა იგი ფერდობები ყვავილოვანნი, წიგნი იგი მშვენიერებისაი გადაშლილი საკითხავადა, სადღაო, სადღა, - მეწყერს წამოუღია, ჩამოუგლეჯია, ჩამოუფხრეწია, ჩაუტანია ღრმა ხევებსაო თუ სულაც უფსკრულებშიო, ბუჩქებიანადა, ტყეებიანადა, ჩაუტანია, მობღლვნილა კლდენი, მოტვლეპილა, გამოფენილა სრულის სიშიშვლითა. სიშიშვლითა. სიშიშვლითა. იქ რო ვეღარაფერი ვეღარ მოიკიდებს ფეხსა, ანთუ არაო, რა სათქმელია, - ხვლიკი და ჯოჯოო, ღრიანკალი ათასჯურისა, მატლი და მწერი, რაღა არაო, რაღა არაო, ჯიში უხსენებელთა უამრავიო, დაიწყება სულ სხვა ცხოვრება, სხვა საკითხავი გადაიშლება, სხვა მკითხველები ჩაუსხდებიან, მიეცემიან სხვა სიამესა. ამას აქ აღარ ედგომება. არა. აღარა, მაგრამ ვაითუ სულაც მოსწყვეტია მიწასა, ჰა?.. ჰაჰაჰაჰა... ბედისწერას აქ შეუმწყვდევია და მიუნებებია თავი. მოიშორა. მობეზრდა. როდემდის უნდა სდიოს. ის „ტერაქტის ორგანიზატორობაო“, ის „იარაღის მიგდებაო“, ის აჩქარებული გადაწყვეტილება თბილისიდან გამოქცევისაო, ის ისაო და ის ისაო, - რაცთუ ყოფილა, ყველაფერი საბაბი ყოფილა ბედისწერისა. ალბათა. ალბათაო.

ყოფილა. და. იყოს. უშანგი მაინც ეცდება თავისასა: შეეულმფრენს მაინც ჩამოუყენებს. ოღონდ ეს როგორ გადავა იქა?. „იყოს რაც იქნება, იყოს ნება ბედისწერისა. ჩემთვის ეს იყოს, იქ თუ სიმშვიდეა, ის ცხოვრებაც თუ მეწყერებს არ გადაჰყვა..“ წინ წყალი, უკან მეწყერიო. აქ მაინც: ის მომცრო ბაქანი ისევე მოსჩანს, ბილიკიცა მცირედა, რასაც რო თვალი გაედევნება. მეწყერი უფრო დაბლა წასულა. ტყეებისა ჰო კენწეროებიდა მოსჩანდა?.. აღარცსად კენწერონი რაღა თქმა უნდა, ბილიკი გაკიდულა შიშვლადა: კენწერონი რო გასდევდა ჯებირივითა, - შიშვლად გაკიდულა, საშიშრად გაკიდულა. იყოს. ამას თავისი საქმე აქვს. დღიურ საქმიდან თავს არც აიღებს. ღამის წიგნი ჰო ისევ ექნება: თუ იქაობაც მეწყერებმა არ წაიღეს, ანთუ ზვავებმაო, რაცთუ რა ყოფილა!.. მიწაზე მეწყერები, ცაში მეწყერები, - საცოდავი ადამიანი. სად მოჰყოლია, რისთვის განწირულა: თუ გამოცდაა, რა გამოცდაა?.. რაც არის, არის. მზე ესაა შობილა, - რა ცინცხალია, რა კდემამოსილი, თვალი მომცა და მაცქერინაო!..

მოიკრებს გონთაო.

ხმაური რამ შემოესმის. აღარ შეკრთება, თუნდაც იგივე განმეორდესო. სანთელს აანთებს, თუ შველაა, ესეც უშველის, - ძველია, ნაკურთხია, სუნსაც გამოსცემს როგორღაც ისეთს თავისებურსა, ცინცხალ მზეს რო შეეფერება. ხმა მეორდება. უხმობენ თითქოსაო. სახელი ამისი მეორდება. ხმა ქალისაა. ქალი?!. აქ საიდანაო. ამოტივტივდება, რაც გაუგონია, რაც წაუკითხავს თუ დასიზმრებიაო, ყველა ერთბაშად ამოებლანდება და ცხადია დასკვნაცა: ვიღაცა წარღვნას თუ გადაურჩა, გზა მოეჭრა, აქ ეგულება განდეგილი, შველას თუ ითხოვს. რისი მშველელია, ვისი მშველელია გამოპარული, დამალული კაცი?.. ეგება ვინმე მაძებარიცაა, აი მოაგნო და უყივის სხვებსა: აქეთ, აქეთ, ჩვენს ხელთ არისო. არა, ეს არ არის. ის სხვაგვარია ეს სხვაგვარია: ხმა შეწუხდება, ვედრებაც ამოსდევს. ვინც უნდა იყოს, ხმა უნდა გასცეს. კაცი კაცს უხმობს, ხმა უნდა გასცეს, ხოლო თუ ქალია, მითუმეტესო რაღა თქმა უნდა!.. მიაწვდენს ხმასაცა, კიბესაც ჩაუშვებს. ეშმაკი არ იქნება, რაც უნდა იყოს. არა. ეშმაკს რად უნდა ანთუ კიბეო, ანთუ მუდარაო, ანთუ ბრწყინვალება მზისაო, - ბნელს აირჩევდა ბნელის უფალი, გამოეცხადებოდა შუაღამისასა. გამოცხადებულიყო. მოსულიყო. ამდენი ღამე მარტოდ გაატარა. ხმას გასცემდა. ეტყოდა. ქვეყნის ამბები ეცოდინებოდა. მოსულიყო. მოსულიყო. ეგება მართლაც არც ისეთი საშინელია, როგორც რო გვამცნობენ შემხვედრნი იმასთანა. ვინ იცის. ვინ უწყის. ვინ რა იცის, რომ ეს გული მკვდარიაო, - ვინ იცის იმასაც რა გასჭირებია: ეგება ისიც ღმერთი ყოფილა დამარცხებული ღმერთთა ჭიდილში?.. დამარცხებულად ჰო მაინც იგულისხმება, ოღონდ დამარცხებულ ანგელოზადა?.. ეს კიდევუფრო თუ შეურაცჰყოფს. ღმერთი!.. წინარე ღმერთი. მორეული ღმერთი, უარყოფილი, ოღონდ სახელოვანი, - მორეული ძალითა, ღონითა, სახელით ვერ რო მორეული: ამიტომაც რო შერაცხულა ეშმაკადა, სახელის შესაბღალად შერაცხულა. მოსულიყო მაინცა. მოსულიყო. ჰკითხავდა ამაებსა, მერე ლაპარაკი სხვასაც მოიტანდა. რამდენ რამეს არ ამბობს ღმერთი, - ეშმაკი ჰო არაფერს დამალავდა. და ისევ: „ბაადურ!..“ უკვე წივილია. ქალია, ქალი. კიბე ჰო გადაუგდო: ამოვიდეს თუ ამომსვლელიაა თუ არა და: ეს ჩაეშვება. ეშმაკია და ეშმაკი იყოს: რომელი ღამეო, რომელი დღეო, სულერთი არ არის ეშმაკისათვისა?.. რა ლაჟვარდია, რა გამჭვირვალეა ცაი, ტელესკოპები არც უნდა თითქოსა: თვალი იჭრება შორსა და შორსა, ვარსკვლავთა ციმციმიც მოსჩანს თითქოსა იმა ლაჟვარდშია, მზეს რო შეჰხარიან, მზესა ასე მოკამკამესა, შორითა და შორსა, - გაჰკიდებია უსაზღვრობასა თითქოსაო, ანთუ ვინ უწყის მართლაცაო, წარმოსახვანი ჯერკიდევ რო უფრო ძლიერია, ვიდრე იარაღი, - ნგრევისა არის, - წვდომის იარაღი. კიბე იჭიმება. ირხევა. ირხევა. ჩერდება. ისვენებს. ირხევა. ისვენებს. ისვენებს. და აი აჰაა: ამოიტოტება ჯერ ცალი ხელი. სავსავებს. შველას ითხოვს. ჩაეჭიდება ეს აქედანა, ის იქიდანა: მეორე ხელითაც მოებღაუჭება. და აი უკვე ერთად არიან უძველეს სენაკში, უძველეს სამყოფელში განდეგილებისა, უძველესში, ვინ უწყის ეგებ იმდროინდელში, როცა ეშმაკი ღმერთი ეგონათ; ერთად არიან, ის ისე დაღლილი რო: გულს მიეყრდნობა, ლამის რო მუხლიც მოეკვეთოსო: ამას უჭირავს, ის მკლავებზე დაჰკიდებია:

„ვაიჰ...“ აღმოთქვამს. ის აღმოთქვამს: „აქ რამ მოგიყვანა?!.“

„თქვენ რამა?!.“ ამას უფრო უკვირს. უკვირს. სხვა არც არაფერიო, სიტყვასაც ჰო ვერ ამთავრებს.

„გირეკეთ. გირეკეთ. ვერ გაგაგონეთ...“ ის უხსნის: „უნდა დაბრუნდეთ.“

„დავბრუნდე?!“

„დიახ...“

„უშანგი?!.“

„იცით...“ აყოვნებს. ის აყოვნებს. სულსაც მოითქვამს თითქოსაო, ჩამოსაჯდომსაც ეძებს: აი ჯორკოი, - ჩამოჯდება. „ჩვენ დავბრუნდებით... და... ისიც შინ დაგვხვდება.“

„დააპატიმრეს?!“

„შინ დაგვხვდებამეთქი!..“ ამშვიდებს იგი - მედეაი. ის მედეაა. არ მითქვამს?.. მედეაა. ცოტა დაღლილი. ცოტა ოფლმოკიდებული, რო ამოძვრა თოლკის კიბითა. შეაშრო ოდნავა სენაკის სიგრილემ. შეაშრო. შეიშრობს სრულიადაცა. შეთრთოლდება. არც რა სჩანს, მოიხუროს, - მხოლოდ ის მკერდი, მხოლოდ ის მკლავები. წამოდგება. თმა გაშლია. წინაც ჩამოჰფენია, ზურგზედაცა. არც ისწორებს. მოდაა. შემოუტანია სერიალებსა. გასულან. დაბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



რუნებულან. მიუღიათ. წამოუღიათ. სახე ჩაფლულა. თვალები წასულა ბუწუწებს იქითა, ოღონდ თითქოს მღვიმეებშიო, იმზირება ისე შორიდანა. გამომცდელადა. გამომწვევადა. იდუმალადა. იქაობა რო მეწყერს წაუღია, ყვავილობა რო თან ჩაუტანია, იდუმალება თურმე აგერ აქ შემოუგდია. ციალებს. ციალებს. გიზიდავს თითქოსაო. გაგირბის თითქოსაო. ანთუ უნდა შეგიტყუოსო. ციმციმებს. ციალებს შორეული ვარსკვლავებივითა. აი თუ მოსწყდება, აი აჰაა, ჰა!.. ჰა..

„მე აქ გადმომმალა, თვითონ იქ ჩავარდა?!." ფითრდება ბაადური. კიბეს მიექცევა. ვერ ჩაიმართება ისე უცებ რო, იმდენს მოისაზრებს, ჯერ ქალს რო უნდა გაუთავაზოს გზაი. გზაიო თორემ ისიც რო გზაა, – რაც ამოსვლაა, ჩასვლა უარესიო. მაინც ჯერ ქალი უნდა მიაბრძანოს. გააბრძანოს. წააბრძანოს. ჩააბრძანოს. კმარა. აბრძანოს. შეაბრძანოს. დააბრძანოს. აქ არ შეეფერება. რაც თუ რა არის, ჯერ ქალიო. ჩქარობს ბაადური. ჰდელავს ბაადური. კუმშავს თითებსა. ტუჩები უთრთის. სიტყვაც არ მოსდევს. უთრთის სათქმელადა, – სიტყვა არ მოსდევს. ეგებ ესაა: რაღას უცდიო. არცთუ რასაო, – ის კიბე აშინებს. ამოსვლა სხვა იყო, რაღაც მოაფრენდა. რაცთუ რა იყო, შიში არ ახსოვდა. გადაკარგულიყო. ახლა მოაკითხა. რაღა დროსია?!.. უნდა ჩავიდეს, უნდა, უნდა, თუნდაც სული ვერ ჩაიტანოს. სული. ჰაერშივე გაფრენილი სული. ჩაეკიდება ქალი კიბესა. ჩადის. ჩადის. საბმურებით ეტყობა თუ როგორ ჩადის. ამისი დროცაა. ოღონდ მანამდე: თახჩას ეცემა. ლოცვანს გადმოიღებს. სხივებიც ჩამომდგარა, ცინცხალი სხივები ცინცხალი მზისაო. ლოცვანს თითქოს რო თვითონვე ჩამოართმევს ცინცხალი სვეტი ცინცხალი მზისაო, თითქოსაო, თვითონვე გადაფურცლავს გადაფურცვლითაცა თითქოსაო, თითქოსაო თუ მართლაცაო, თვითვე შეუდგება, თვითვე დაიყრდნობს, შენ მხოლოდ თვალი მიადევნეო: შენ მხოლო სანატრელ ხარ თესლებსა შორის ქალწულო, რამეთუ გამოგვიბრწყინდა შენგან ნათელი, მსხდომარეთა ბნელსა მას შინა, და განანათლნა სულნი ჩუენნი... მიადევნე. მიადევნე. ჩასულა. ჩასულა. და ჩაუყვება ესეცა კიბესა. იქ იორამიც დაჰხვდება. განა არაო: ისე რო გაჰკვირდა, ისე რო აჩქარდა, ამდენიც აღარ მოჰფიქრებია: ეს თუ როგორ გამომეცხადაო:

„შენ იცოდი!.."

„ცოდნით ჩემთვის არ უცოდინებიათ," მოწკურავს თვალთა იორამი: „მაგრამა... რა გამოეპარება იორამსა ამ მთებში!.."

„არც რაი!.." უდასტურებს ბაადურიცა, უკვე ციცაბოს რო მიუყვებიან: წინ იორამი, მერე მედეა, ბაადური მერე.

XXV

მართლაც შინ აღმოჩნდა უშანგი. ის იყო გამოეშვათ. დანა კბილს არ უხსნიდა. ჩათუთქულიყო. განაცრებულიყო. უცებ ცეცხლიც აეკიდებოდა. გამძვინვარდებოდა. ვინმე იტყოდა: ლომივითაო. ოღონდ დასძენდა: გალიაში დამწყვდეული ლომივითაო.

გაწამესო, – არ ეკითხება ბაადური, ამ თვალით შესცქერის.

სხვა რას უნდა ელოდე მაგათგანაო, – არც ამბობს, არც შესცქერის უშანგი, ისე მიუგებს თუ თვითონაც ეკითხება სულერთია, ესმის ბაადურსა, ესმის და ტუჩს იკვნეტს: ჩემი გულისთვისაო. ანთუ მე რაღადაო. შეთქმულებას რო აბრალებდნენ, ეს ჰო ეუწყა?.. თავდასხმაც მომხდარიყო, – ტერაქტი ესეიგი. ამას მიაწერდნენ თურმე. კონსტიტუცია მიეღოთ დიდი დავიდარაბის მერე. გაეტეხათ კონსტიტუციის მოწინააღმდეგენი. მიეღოთ. გახარებულიყო მეთაური სახელმწიფოსი: ახლა ისღა რო დაგვრჩა, ხელი რო უნდა მოვაწეროთ, აქ ნუ მოვაწერთ, ამ დასაქცევ „იმელშიო", ბარმე სასახლეში მოვაწეროთ, ჰო აღვადგინეთ საპარლამენტო ნაწილი მაინცა, – ბარემ იქა, ბარემ იქ ავხსნათ ჭერიო, ჩვენი მომავალი იქ დაველოცოთო. გახარებულა. აჰყოლიან: ახალ დარბაზებში, ახალმოსახლეობაო. აჰყოლიან. აფოფინებულან. ამას ელოდნენ თურმე შეთქმულნიცა. ესენი დაძრულან. ისინი დაჭიმულან, – აბა ვინ წინაო და ვინ უკანაო. წინ სახელმწიფოს მეთაურიო. მანქანა ეზოში ელოდებოდა. ჩაჯდომა მოასწრო. იფეთქა უკანა მანქანამაო. ისიც იფეთქებდა. ოღონდ პირველმა ისე იფეთქა, შესძრა ეზოი „იმელისაი", „იმელი" შესძრა ერთიანადა. აენთო, აბურბურდა ჰაერი, ფანჯრებს დაუშინა სეტყვამა ცეცხლისა. დაუშინა. დაუშინა. გარეთ არც რა სჩანდა, შიგნით შეატანა შიშმა. არ დაბნეულა სახელმწიფოს მეთაური, მხლებელნი მისნი არ ლაბნეულან. მანქანა მიატოვეს. გაცვივდნენ წინა. გაცვივდნენ. ჩაიყლაპნენ. ვეღარ მიედევნებინათ თვალი ვეღარც რო მტერთა, ვეღარც მოკეთეთა. რა იქნენო, – კვირაია კითხულობდა, გაკვირვებული კვირაიაი. მხრებს იჩეჩავდა იოსელიანი, – ჯაბა არა, ავთო იოსელიანი, მხრებს იჩეჩავდა, თითებს ათამაშებდა თვალთა წინა, მარჩიელობსო, გეგონებოდა. ეს მერე, მერე რაღა თქმა უნდა, მეხანძრეებმა რო ცეცხლი ჩააქრეს, ჩონჩხს რო შეჰყურებდნენ მეთაურის მანქანისასა. ჩონჩხსა. მანქანისა. კაცისა არაო. წუთით შეყოვნებულიყო დილაკებს მიმჯდარი, შორით სამართავ დილაკებსა. წუთითა. წუთითა. ანთუ რა შორით სამართავთაო!.. ეზოს დაჰყურებდა „იმელის" ფანჯრიდანა. ოღონდ ესაა: გაეყრუებინა რო პირველივე აფეთქებასა, ცეცხლის სეტყვასაც რო აერია თვალი, შეყოვნებულიყო. წუთითა. წუთითა. წუთი რა იყო იმ ჯოჯოხეთში, ვის

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოაგონდებოდა წუთი იგი საოცარი, ვისა, ვისა, რა სათქმელია, - გაოცებულიყვნენ, როგორ გადარჩაო, განცვიფრებულიყვნენ მტერნიცა და მოკეთენიცა, ერთნაირად განცვიფრებულიყვნენ, რუსთაველი არაო: თუ ღმერთმა არ გასწირა, ამაოა ცდაი ყოველიო.

აქ ჰო ასეო, მოსკოვში უფრო განცვიფრებულიყვნენ.

შეწუხებულიყვნენ კიდევაცა: გეგმები იშლებოდა: თუ მთლად არაო, - ყოვნდებოდა მაინცა.

„იმელი“ - კრემლი შეკრულიყვნენ ძაფებითა, აშკარა ძაფები დაწყვეტილიყო, უხილავით შეკრულიყვნენ.

რაც თუ რა იყო: იმჟამად მაინც ეს აქაური უშიშროება თავისთან მიეწვია იმ იქაურ უშიშროებასა. ალიბიც გახლდა, ერთადაც გადაჰკრავდნენ. წვრილ ჭიქებში, ყელყელა ჭიქებში ჩაეჩხრიალებინათ ჭაჭაი, ჩაეჩხრიალებინათ, გაჰყურებდნენ თუ როგორ იფშხვნებოდა ჯაჭვი, გაჰყურებდნენ და ზარს ელოდნენ, არც დააყოვნა, გადაჰკრეს და ეცნენ ყურმილსა, ეცნენ და დაალეს პირი, - აქეთ ჭაჭაო, იქით ისაო თუ რაც ეუწყათ: გადარჩაო, - დაალეს პირი. იმ დია პირითვე დაურეკია იგორ-მინისტრსა თბილისში: ახლავე მოვფრინავ. ბაადურ რიკოთელი დამახვედრეთ ჩემს კაბინეტშიო. ბაადური ვერაო რადა თქმა უნდა, უშანგი მაინც დაუხვედრებიათ. უშანგი არ ამბობს თუ როგორ შეჰხვდა, რა მოჰხდა... არ ამბობს. მხოლოდ ესაა: ტუჩებს იკვნეტს: ვაჰ, როგორ გამასწრო!.. ახ, როგორღა ჩავიგდო ხელშიო. გაასწრო. გაუსწრია. უშანგისთვის რაო, - გამომძიებლებისათვის მიეგდოთ, გაუსწრია სახელმწიფოს მეთაურისათვისაცა, გაუსწრია, გაჰპარულა. წადი და ეძებე ახლა იმ დევერხანა, იმ უპატრონო რუსეთშია. გაჰპარულა. რეუტს გაუჰპარებია. რეუტმა შეაჩეჩა შევარდნაძესაო, რეუტი პატრონობდა, რეუტსავე გადაურჩენია. მერე თვით ისიც წაათრიეს მოსკოვსა: ერთი კაცის აფეთქება ვერ მოუხერხებია, ჯარის სარდლობა როგორ ვანდეთო, ანთუ: როგორღა ვანდოთო. მიმხვდარან. ეს მერე. მერე. ბაადური კიდევაც ჩამოუსწრებს: რეუტს ჩამოუსწრებს, გიორგაძეს ვერა, - უცებ გარკვეულა, უცებ გაშუქებულა ბნელი. ოღონდ მანამდე, ვიდრე იელვებდა, ბნელში მაინც ცდა არ დაუკლია ტერაქტებში გაწაფულ მინისტრსა, არა, არა, ცდა არ დაუკლია, უშანგი რო არაფერს ამბობს, სხვები ჰო ამბობენ: ათი კაციც სხვა დაუპატიმრებია, ბაადურის ძებნა უთხოვია ინტერპოლისათვისა. აღუთქვიათ. ლაფაცურებულან. რუსეთის პოლიცია მომეტებულადა. სამხილიც რო ჩააუგდია ხელში!.. რვეულის ფურცელი წერტილებითა და მრუდე ხაზებითა. ბავშვის ნაჩხაპნი, აშკარად ბავშვისა, საგულდაგულოდ რო ამტკიცებდა მინისტრი იგი: ეს კრწანისის რეზიდენცია არისო, წერტილები ჩასაფრების ადგილებია, ხაზები თავდასხმის მიმართულებაო. ამტკდარა გაზეთები, ტელევიზია ამტკდარა: უშიშროება მტკიცე ხელშია, შეუვალია ჩვენი ნორჩი სახელმწიფოო, ორსამ დღეს ამტკდარა და ორსამ დღეში დაეჭვებულან, ერთი უხერხული ანდაზისა არ იყოს: სად კრწანისის რეზიდენცია და სად ტერაქტის გარემოო, დაეჭვებულან და გეშიც აუღიათ: სადაც თუ მოხდა, მონაწილენიც რო იქაურნი ყოფილან და სულისჩამდგმელიც არცთუ შორეული, ანთუ - თვით უშიშროებაი უმთავრესი, ანთუ - ფარი და ხმალი ამა ნორჩი სახელმწიფოსი. ნორჩი!.. ერთხანს უძლიერესი, ახლა ნორჩი, გატეხილი ბროტი მეზობლის წყალობითა და მისივე ღვიძლიშვილების მეოხებითა. გეშიც აუღიათ, ხელთჩავარდნიათ მტკიცებაცა. თუმცა და რაო, - გაუსწრიაო, არა?.. გადაუმალიათო, არა?.. დიახაც, დიახაცა!.. ეს ერთი მარცხი არაფერიო, კიდევ დაგვჭირდება და ისევ ეს ივარგებს, გამოცდილია, გაწაფულია, მრავალნაცადიო. არაფერია, არაფერიო.

არაფერიაო, - არად ჩაუგდია სახელმწიფოს მეთაურსაცა: თუ კეთილს ინებებენ და დაგვიბრუნებენ დამნაშავესა, ჰო კარგიო და თუ არაო, არაო და ნუუო, ამის გულისათვის ურთიერთობას ჰო არ გავიფუჭებთ ჩვენს სტრატეგიულ მოკავშირესთანაო. არაო. არაო. დიპლომატიური ლოგიკაა, უბრალო შეკითხვით რო დაირღვეოდა: სხვა რა ძალა შეგწევთ მოთმინების გარდაო. ვინ იყო შემკითხველი, ანთუ გამკითხველი ვინ იყო, - რუსეთი ანგრევდა საქართველოსა, სხვა მეტი მტერი არცა ჰყავდა საქართველოსა, გაერო ევედრებოდა რუსეთსა: მტრებთან მოარიგე საქართველოო. ვიღა იყო გამკითხველი?!.

მოარიგეო

და

არიგებდა:

ჯერს სხვა დეპეშა მოუმზადებიათ ელცინისათვისა. ამგვარი: ჩემო ძვირფასო ქართველო ხალხოო, თქვენთან ერთად დავტირი ჩემს უგულითადეს მეგობარსაო, ამბროსოვიჩსაო, ჩემს ურთგულეს თანამებრძოლსა აგვისტოს დღეებში, ცხარე დღეებში მოსკოვის თეთრ სახლთანაო. ისევ აგვისტო გახლდა...

მოულოდნელად შეუცვლიათ:

გადარჩენას გილოცავთ ჩემო უგულითადესო მეგობარო, ჩემო ძვირფასო ამბროსოვიჩო, ჩემო ურთგულესო თანამებრძოლო აგვისტოს ცხარე დღეებში მოსკოვის თეთრ სახლთანა. გჯეროდეთ ჩემი: ჩვენ ერთად განვაგრძობთ ბრძოლას საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგა. ისევ აგვისტო გახლდა...

მოულოდნელადაო, ოღონდაო: არც გაჰკვირვებია, არც წყენა შესტყობია, სიხარულიც ჰო არა და არაო, ჩაუბურტყუნია, - ბედი სწყალობსო, ბურტყუნითვე დაუმატებია, - დამალაპარაკეთო. ვერ შეუერთებიათ ისე უმალვე: სვანეთს წაბრძანებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაო, მოუხსენებიათ. არ გაჰკვირვებია არც ესა, არა, არა, ანთუ ამჟვეყნად რაღა უნდა იყოს კიდევ ისეთი, რო უფრო გააკვირვოს იმა დევერხანა ქვეყნის პატრონი, ბატონ-პატრონი, ბავშვობაში ღილიც რო ვერ მიეკერებინათ შარვლის სალტაზედა ხელით რო ეჭირა შარვალი და ისე თამაშობდა ფეხბურთსაო, - კალათბურთსაცაო, ვიეთნი დასძენენ. რაიო. რაღაო. რაც თუ რაიო: დამალაპარაკეთო. დაალაპარაკეს:

მოსკოვი. კრემლი. ელცინი: გილოცავთ გადარჩენას. მანდ ეგრილება. თეთნულდი... მხარა... თბილისის სიცხეების მერე.

მესტია. საგამგებლო. შევარდნაძე: გმადლობთ!.. ჩვენში ყველგან ცხელა. სიცხეს ვერსად ვერ შევაფარებთ თავსა.

მოსკოვი. კრემლი. ელცინი: არაააა... მე მახსოვს ჩემი დაბადების დღე კრწანისში. დიდებული დღე იყო. ჩვენ ხელი მოვაწერეთ დიდ ხელშეკრულებას და მერე გაგვახსენდა თუ რა დღე იყო!.. რა სუფრა გაიშალა პაპაპაპაპაპაააააა!.. ოცდაცამეტნაირი კერძი მოგვართვეს. სულ ბოლო: მწყრები ჩახოხბილი ალუბლის წვენში!.. ან ჯერ მწყერი სად იყო ან ალუბალი?!. არსადა!.. არსადა!.. ჩვენ ჩახოხბილი გვედგა მაგიდაზედა!.. მწყერი ალუბლის წვენში!.. გესმით?!. რა ქვეყანაა!.. რომელი ჭკუათმყოფელი გამოეთხოვება ასეთ ქვეყანასა, რომელი?!!!!!..... კსენია ხოპერია - აი მზარეული!.. ახალგაზრდა რო იყოს, კრემლში მოვიწვევდი. ჰო გამომიგზავნიდით?.

მესტია. საგამგებლო. შევარდნაძე: ქალბატონი ქსენია ხოფერიაც არ დაგვიწყებიათ?!. აი მეხსიერება!.. ნაპოლეონიო, კეისარიო, ვინც უნდა იყოს, რაღა სახსენებელია!..

მოსკოვი. კრემლი. ელცინი: რა დამავიწყებს?!. შეიძლება რო დამავიწყდეს ყველა პეტრე, ყველა ალექსანდრე, ნიკოლოზი ყველა ლენინ-სტალინებიანადა, კსენია ხოპერია არა!.. არა!.. არა!..

მესტია. საგამგებლო. შევარდნაძე: დიდი ხელშეკრულება მაინც დაივიწყა თქვენმა პარლამენტმა, რატიფიკაცია არ მომხდარა...

მოსკოვი. კრემლი. ელცინი: ჩემი პარლამენტი... პარლამენტი!.. პარლამენტი თხლეა ჩემიცა და თქვენიცა. თხლე!.. მაგათ რა ყურს უგდებ!.. შენ თქვი: ხოპერია... ფერია... ჩახოხბილი... თითებს ჩაიკვნეტ!..

მესტია. საგამგებლო. შევარდნაძე: კიდევ გვეწვევით!..

მოსკოვი. კრემლი. ელცინი. აააააუუუციიიილეეეებლაააააადაააა...

ვითომ რო წასულიყოს, ვითომ რო ისევე არ გაჩაჩხულიყოს ვისლის ყურედან კურილიის კუნძულებამდისა, არ გაფაციცებულიყოს ვითომ რო ისევე, ვითომ ენგურშიც არ აპურჭყებდეს ისევ ისევე, არ ამღვრეულიყოს ვითომ ენგური, არ ალუფხულიყოს, არ ამოტლაპულიყოს. ვითომა. ვითომა. რა წმინდა იყო, რა ანკარა, რა გემრიელი წყალი ენგურისა!.. ლეო ქიაჩელი ირწმუნებოდა: თუ გინდა რო წყლის გემო გაიგო, ენგურის წყალი უნდა დალიოო, მსოფლიოდა ჰლირს ენგურის წყალიო, მსოფლიოდაო. „შენ არ დაგილევია ინგირის წყალი?.“ არ ეშვებოდა დემნა შენგელაიასა, „არა, ჰო, არა?..“ დემნა რო ტრაბახობდა: მე თბილისში ვარ გაზრდილ-დაბადებულიო, ცერად გაჰხედავდა თვალმოწურული ლეოი და ახტუნებდა ცხენსა. დემნა ფიცხობდა. დემნა იბნეოდა. ვეღარა პოულობდა საპასუხო სვლასა, ფიგურებს აურევდა ჭადრაკის დაფაზედა, წამოვარდებოდა მუშტმოღერებული, წამოვარდებოდა და ჩაჩხანებდა: „ინგირის წყალი!.. ინგირის წყალი!.. გააწყალა ამანაც გული!..“ მაშინ კიდევ დაილეოდა ენგურის წყალი, ახლა რაღაო, - ჩაპურჭყებულიო, ალაფხულიო, ამოტლაპულიო. რაო. რაღაო.

უშანგი თუ დუმს, სხვანი ჰო ამბობენო.

ქეთევანი დუდუნებს თავისასა:

„მე ვერ წამოვედი...“ დუდუნებს. ბოდიშობს, „შეუძლოდ ვიყავი...“

„შეუძლოდა?!.“ შეწუხდება ბაადური.

„ცოტა...“თვალები გაურბის ქეთევანსა, „კიდევ კარგი მედეა გამოჩნდა, თორემ აქამდის იქ იყურყუტებდი.“

„რა უჭირდა?!.“ ბაადური გაუიოლებს. ისევ იკითხავს: „ახლა ჰო კარგად?!.“

„კარგად, კარგადა!“ აჩქარდება ქეთევანი, ამოიძახებს იმაგვარ ხმაზედა, ყურები რო უნდა ცქვიტოს ადამიანმა, ამოიძახებს და ცერებზეც აიწევს, ცერებზეც აიწევს და ტუჩებსაც ყურთან მიუტანს, ყურთან მიუტანს და ნიავივით თითქოსაო, ჩაუჩურჩულებს: „რო იცოდე... ჰო... ჰოჰო... ბავშვი... ჰო... ჰოჰო... ბავშვს ველოდები...“

„ჰაააა?!..“ აღმოჰხდება ბაადურსა, აღმოჰხდება და შვება დაუვლის თავით ფეხამდისა, რაღაც საოცარი, განუცდელი რამ შვებაი, დაუვლის, დაუვლის, თითქოს რო გულიდან ლოდი მოსწყდებაო, ლოდი ვეებაი, გაუსაძლისიო; აღმოჰხდება და ესეც ამოსდევს: „ბიჭი?!.“ ამოსდევს და იმედიც მოჰყვება: „გვარი გადაგვირჩეს ეგება!..“

გვარი!.. უგვაროდ ერიც რო არ იქნება რაღა თქმა უნდა, - უნდა გადარჩეს, უნდა გადარჩეს. ამასაც დაწერა უნდა. გვარი, ნერგი კეთილი. დაწერა უნდა. მე რაღაო, - ამასაც თუ მოვათავებდი, არც მეგონა. რამდენჯერ შევფიქრიანდი: აი აჰაა და აქ შეწყდებამეთქი. მაინც მივატანე ბოლომდისა. ეჭვიც ამაო ყოფილა, უეჭველობაცა, ყველაფერი რო ამაო ყოფილა. მაინცა სჯობიან: შენ შენსას ეცადო, სხვას რას გააწყობ ამაოებასთანა!..

1996 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ალუდა არაბული



## ლირიკა –
## „ცალხაზიანი რვეულებიდან“

### დაულაგებელი ფიქრები

გამეხარდება ხსენება შენი,
როს ტკივილებში გული ვალალებს: –
მე იმ ძველ გრძნობებს ვერ დავეხსენი,
ვერ გავექეცი მე შენს დალალებს.

ახლა ცხოვრება გახდა საკანი
და გულს ტყვეობა გაატიალებს...
და ერთი ვინმე ტუსაღთაგანი
დაეწაფება შხამთა ფიალებს.

დაიტანს ტყეებს ნამქერი თოვლის
და ფანტელების თეთრი ზმანება, –
მე კი უშენოდ გახელა თვალის
და გაღვიძება დამენანება.

მე მივატოვე იმედი ბევრი
და გაზაფხულის ლურჯი ამალა, –
როდესაც ბედმა ვარდების ტევრი
და ყვავილები დამისამარა.

მივალ, მიმყვება დამღლელი სევდა, –
უცხო, უცნობი ბედი პოეტის: –
უდაბურება დაბინდულ დღეთა
და მწუხარების უდაბნოეთი...

ისე უბრალოდ ეშვება ფიფქი,
ამაღამ მოვკვდე, ხომ შეიძლება...
სად გაფრინდება მერე ეს ფიქრი,
ამ ქვეყანაზე რა შეიცვლება...?

ხომ შეიძლება გათავდეს უცებ
გულში სიცოცხლის ყველა საგანი,
წაერთვას ფერი ზამბახის ფურცელს, –
შუა გადატყდეს იატაგანი...

ისე ლამაზად მოკვდა თევდორე, –
რომ, შეიძლება, შეგშურდეს მისი,
რადგან ამ დღეთა თანამედროვე
შენ არ ხარ იმგვარ სიკვდილის ღირსი...

ეს ფანტელებიც არ გიხარია,
არც დამარხული გულში განძები, –
მზე ცხრება უკვე დიდი ხანია
და იბინდება სული ძაძებით.

წამება იყო სიცოცხლე შენთვის,
ცხოვრება – ბურდო და ბალაგანი...
და ჯვარზეცმული თვალები ღმერთის, –
უახლოესი გულთან საგანი...

მაინც ლამაზად ეშვება ფიფქი
და თუ სხვა რამე არ შეიცვლება, –
ხომ შეიძლება გათავდეს ფიქრი;
ამაღამ მოვკვდე, ხომ შეიძლება!..

1961

### წარწერა დღიურზე – გ. შ. – ს

აქ შენთვის ლურჯი იებით თოვეს
ეს ცა, ეს ფერი და ლაჟვარდები, –
სიყვარულს შენი თვალები მთხოვენ,
ამ სიყვარულზე არ დაგზარდები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



და როცა წლები, შემძვრელი გულის,
ჩაიქროლებენ ქართა ზვირთებით:
ეს ვნება, ეს ცა და სიყვარული -
ჩვენ ყველა ერთად ავქვითინდებით.

ახლა ამ ბოდვებს ვერვინ გაიგებს,
ვერც ამ დღეების იებით თოვას...
ახალგაზრდობა წავა, წაიღებს
ყველა სიხარულს და ყველა გლოვას.

მე წავიკითხე შენი დღიური,-
გული - ძვირფასი ვნახე საგანი...
და სიყვარულის უვერტიურა
გრძნობა - მუსიკა პირველთაგანი.

ეს იყო გუშინ, - დღეს კი ჩალამე
მღერის ქარი და წვიმის ხმაური
და ჩემთვის არის ეგ სილამაზე
გამქრალი განძი და სამკაული.

მიდის ჟამი და სველი ჩალები,
გულში დარდების შხამი გროვდება...
და ვტირი, როცა შენი თვალები
და სიყვარული მომაგონდება.
1962

## მე მოკლული ვარ

მინდა დავინთო სანთლად თითები,
როს ხმამტკივანი კვნესის არფები; -
შეშლილი ქართა გაბედითებით,
გადათოვლილი ფოთლის ქაფებით...

თავდავიწყების რეკავს საათი,
დღეს ამ ღრეობის მე ვარ თამადა,
და ვით მაცდური ლექსი საადის -
შენს თვალებს მზერა გაუთამამდა.

ისევ იღვიძებს გულში წვალებით
გრძნობა ღამეთა ნაბურუსალი...
მე მოკლული ვარ შენი თვალებით, -
ვით აჩეხილი ხმლებით ჰუსარი.

ამ დღეებს, ამ წლებს რა აქვთ მიზეზი,
მინდა, ვიცოდე დაუფარავად, -
მაგრამ სურვილი უფაქიზესი
უმიზნოდ კვდება, როგორც ფარვანა.

და დაუნდობლად მიჯამლავს განცდებს
ფიქრები შავი, როგორც ყორანი, -
ყველა სიამე რომ უნდა გაცვდეს,
ოდესმე გულთან ნაამბორალი...
1963

## მეტამორფოზები

ზღვა, აისები და თეთრი პორტი,
მზემ ლაჟვარდები დაამაჭარა...
უცებ გამოჩნდა აეროპორტი
და ბურუსებში იდგა აჭარა.

შორით დაქანდა ცა ალმაცერად,
როგორც ფოთლებზე წვიმის წვეთები, -
მე ვნახე შენი თვალ...ის ცქერა,
უგონო ვნებით დანაფეთები.

და ტანზე უცხო განგების ძალით
ქაფმოდებული გეცვა ზვირთები, -
არ ვიცი, უფრო დამწველი ალით
სადმე, ოდესმე თუ მოირთვები...

მე დამავიწყდა ყველა ქალები, -
/მზემ აისები დაამაჭარა.../
ლამაზი იყო შენი თვალები, -
და ბურუსებში ჩანდა აჭარა.
1963

## პასუხი - სიდონია მ-ს

მე ახლა მინდა, რომ დაგიწერო
ლექსი პასუხად შენი ბარათის
და ჩემი გრძნობა საბედისწერო
შენთან სახსოვრად დარჩეს მარადის.

ეს სტრიქონები გაუმართავი
და სევდით სავსე სიტყვა: - ნახვამდის!..
ჩემთვის სიშორით არის მართალი, -
თუმცა ნუგეშად მე ვინახავდი...

მე ამ გაზაფხულს, - შენთან, ძვირფასთან, -
ვერ დავესწრები როგორც სერობას...
მეტი რა გითხრა, - ბედი მიფანტავს
გულში განცდების ალმაცერობას...

და რომ იცოდე: - მობინდისფერო
დღეების გლოვა გავინაწილე.
და ახლა ლექსი რომ დაგიწერო
სამარადისოდ თავი გავწირე...

რადგან არ ვიცი და ვერ გავიგე,
რისთვის ვარ, სად ვარ, რისი მდომელი?
ან ჯებირები რისთვის ავიგე,
სიზმრის და ცხადის შუამდგომელი...

მაინც ძვირფასი შენი ბარათი
მიქარვებს ნაღველს უამინდობის
და მსურს, უთქმელი დარჩეს მარადის
საბედისწერო სიტყვა: - მშვიდობით!..

1964

## ძველი ბოჰემა, ძველი დარდები

მე ძველ ტკივილებს ვერ გადავურჩი,
ამქვეყნად მეტიც არა შემრჩა-რა...
იყო ბოჰემა და ეთიმ გურჯი,
იყო ლექსი და იყო ბეჩარა.

და მიყვარს ძველი თბილისის ეშხი,
საზი, ქამანჩა და მუხამბაზი,
მთვარე ტივებზე და ქალის თმებში,
ცეცხლის ხანძარი გულის ყაფაზე...

და თუ ამქვეყნად დავალ ცოცხალი
გულზე მაყრია შენი თმის ქაფი,
მაწვიმს ცეცხლი და მედება ალი, -
ძველი თბილისის მე ვარ მიზრაფი.

ბურუსებს ბინდი გადავაცალე,
დღენი უნებურ დარდს მიყუჩებენ, -
მერე დუქანში სული გავცვალე
ღვინის თასზე და ქალის ტუჩებზე.

ვარ უთვისტომო ყარაჩოღელი
და სიყვარულის ლოთი აშუღი...
თუ უბედობამ დამადო ხელი
და თუ თვალებში გამიქრა შუქი,

ვეღარ ვუძღვენი სატრფოს ყაბაჩა,
ვერ ვუთხარ გრძნობა გულში ნადები...
დამაწყეთ გულზე: საზი, ქამანჩა,
ქალის თმები და შავი ვარდები.

ძველი თბილისის ვარ საზანდარი
და სიყვარული უმისამართო, -
მე გადამიარს ყველა ავდარი,
ყველა ჟამი და თოვლი დამათოვს...

სადღაა ძველი ლექსის ხაზინა, -
ძველი ტკივილის დავტირი ლანდებს: -
იყო ბეჩარა, იყო ჰაზირა,
გული თბილისის ბოჰემას ანდეს.

ახლა არ ვიცი, რა გზებს მივმართო,
სად ვნახო ჩემი ძველი ამქარი, -
დავალ უჩინო და უზინათო,
მხვდება ათასი ნაქულბაქარი.

ძველი ბოჰემა, ძველი დარდები
და შენი კოცნა მტკივა, მარია.
შევალ დუქანში, გავტიალდები, -
თუ ყველაფერი ქვეყნად მკვდარია...

ეს თითო თასიც იყოს ალალი,
შევსვათ დარდების მოსაოხებლად,
ჩავკლათ ჯავრი და გულის ვარამი,
მზე გავიფინოთ მოლზე ნოხებად.

ძველი დოსტების ვახსენოთ სული,
სანამ სიცოცხლე გლოვამ მოგვპარა,
შევსვათ იმ ვნების და სიყვარულის
და მათი სულის შესანდობარად...

ძველი დარდები დარეკავს გულში,
დარდების მეტიც არა შემრჩა-რა...
იყო ბოჰემა და ეთიმ გურჯი,
იყო ლექსი და იყო ბეჩარა.

ახლა იმ დღეთა ლანდებს დავტირი,
მე, უთვისტომო ლექსის მსახური
და ვარ დაჭრილი, როგორც ნადირი,
დამსხვრეულ ლოქზე გამოსახული.

1964

ეროვნული ბიბლიოთეკა


## სერენადა

შენს ფანჯარაზე, ვიცი, მელიან
ჩამოშვებული მძიმედ ფარდები.
და ჩემთვის ღამე ისე ბნელია,
როგორც ყაჩაღის გულისნადები.

ვიცი, განგებას ჩემგან მიყავხარ,
ვიცი, დავრჩები უშენოდ მარტო.
ვიცი, მიყვარხარ, ვიცი, მიყვარხარ,
მაგრამ არ ვიცი, მიყვარხარ რატომ.

და ახლა მე შენს ფანჯრებთან მდგარი
თავი ობოლი ბალღი მგონია, -
შემომხვევია წვიმა და ქარი,
ქვეყნად სხვა ბედი მე არ მქონია.

არ ვიცი, რისთვის ეშვება ღამე,
რისთვის იბურავს მიდამო ნისლებს...
არც მინდა, - მეტი ვიცოდე რამე,
ისე მიყვარხარ, მიყვარხარ ისე.

შენი მონა ვარ, შენი ვასალი, -
შესანდობელად ვამბობ ოსანას...
მინდა, შენს მკერდზე ფარვანასავით
თავი მოვიკლა შენმა მგოსანმა.

ამქვეყნად მართლა თუ არის ბედი,
ძვირფასო, ამ ბედს საით მიყავხარ?..
ვიცი, - რა უნდა ვიცოდე მეტი, -
მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ მიყვარხარ!..

ამ ბნელ ღამეში მე ვიარები:
ტრფობით მთვრალი და წვიმით სოველი,
ვარ შენი მზერით ნაიარები
და სხვა წყალობის არც ვარ მთხოველი.

და ღამეული სერენადებით, -
აუმღვრეველი, როგორც ალილო,
მინდა, გიმღერო გულისნადები,
ჩემთვის ოცნების თეთრო ყვავილო.

და გათენდება ეს დილა ვისთვის,
არ ვიცი, - ამას რად უნდა ფიცი, -
არ ვიცი, რისთვის, არ ვიცი, რისთვის,
მაგრამ მიყვარხარ, მიყვარხარ, ვიცი.

და მაგ სიტურფის ხოტბით მმოსავი
ვარ სიკვდილამდე შენი-ვასალი, -
და მსურს, დამწვარი შენი მგოსანი
შენს ფეხთქვეშ მოვკვდე ფარვანასავით.

ამქვეყნად მართლა თუ არის ბედი,
არ ვიცი, მაგრამ ასე მგონია,
ეგ ბედი მხოლოდ არ იყო ჩემთვის,
ამქვეყნად ბედი მე არ მქონია.

1966

## მთავარი

მიწა და მიწის ჯავარი, -
მივალ, მივიმღერ მგზავრი: -
საქართველოა მთავარი,
ერთიანი და მძლავრი!..

სერებს ციხე და გოდოლი
მისდევს წყება და ჯარი, -
მივალ, შრიალებს ფოთოლი,
გულში ბრუნდება ჯავრი...

ცაა, ტყეა და მდელოა, -
და იდუმალი ზარი...
მთავარი საქართველოა, -
ერთიანი და მძლავრი!..

1968



ეროვნული ბიბლიოთეკა



# გივი ალხაზიშვილი

## ამოდის თუ ჩადის მზე?!

**რომანი**

იგი მოულოდნელად შემოიჭრა ჩემს ცხოვრებაში. ერთფეროვანი ყოფა უეცრად გამომიცოცხლა, საფიქრალიც ბევრი გამიჩინა. არც კი უკითხავს მსურდა თუ არა ჩემი სიმშვიდის ჩარჩოდან გადმომებიჯებინა და გადაუჭრელ პრობლემათა მორევში ამომეყო თავი. პირველად სამსახურში გამომეცხადა, ჩვენი ძველი ნაცნობობა გამახსენა და მაგიდაზე მომცრო საქაღალდე დამიდო, თან დამპირდა, წავიკითხავდი თუ არა, ვინმეს ხელით ისევ გამომიგზავნიდა ახალ ხელნაწერებს. მისი სახელი სიმონი — თითქოს ღიმილისმომგვრელად ჟღერდა ჩემთვის, მაგრამ ცნობილი მუსიკოსი იყო და სახელიც გაღიმების საბაბს ჰკარგავდა. სიმონს რომ ვუყურებდი, ასე მეგონა, სარკეში საკუთარ ორეულს ვათვალიერებდი, მაგრამ იგი მაინც განსხვავდებოდა ჩემგან — ზედმეტად ეგზალტირებული და ენერგიული მიხრა-მოხრით, ნერვულად ანთებული თვალებით, ეს განსხვავებაც დროებითი თუ პირობითი იყო, რადგანაც ხანგამოშვებით მეც ზუსტად ასეთი ენერგიული და ეგზალტირებული ვჩანდი სხვათა თვალში, მზერაც ზედმეტი აგზნებულობისგან მილაპლაპებდა. მე არ შემიძლია დაბეჯითებით განვაცხადო, რომ საკუთარ ორეულს შევხვდი, მაგრამ რაღაც ამის მაგვარი რამ ხდებოდა. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ ჩვენ დროდადრო ვხვდებოდით ერთმანეთს ხან ჩემს სამსახურში, ხანაც მასთან, სახლში და, როცა მის სახლში გრძელ მაგიდასთან ვიჯექი ოდნავ ნაღვლიანი და ყავას შევექცეოდი, თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ ამ სახლში ვცხოვრობდი უხსოვარი დროიდან და ის საგნები და ნივთები, ჩვენთან ერთად რომ დუმდნენ, იმ ნაცნობ დუმილს აგრძელებდნენ, რომელსაც შევეზარდე დიდი ხანია და რომლის გარეშე ჩემი სიმყუდროვე საერთოდ კარგავდა აზრს. მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნო, რომ იქ მაინც სიმონი იყო მასპინძელი და ჩემი გაშინაურება არაფერს ნიშნავდა. თქმა იმისა, რომ სიმონი მუსიკით იყო გატაცებული, არ იქნებოდა მართალი, რადგან იგი, როგორც მოგახსენეთ, ცნობილი მევიოლინე იყო, მაგრამ ბოლო წლებში თვითონ ასე გამიმხილა: რაღაც ოპუსების წერას მიჰყო ხელი და სურდა, მე, როგორც ლიტერატორს, თვალი შემევლო ამ ტექსტისათვის და ჩემი მოსაზრება გამემხილა, მაგრამ როგორც მოგვიანებით გაირკვა, სიმონს ნაკლებად აინტერესებდა ჩემი პროფესიული აზრი, იგი ცდილობდა, ჩემთან დისკუსია გაება ჩვენს მსგავსებასა და განსხვავებაზე და, როგორც თვითონ მიმანიშნა, სურდა, ჩემში გაეღვიძებინა მთვლემარე ვნება, რათა დამეწუნებინა ჩემი რაციონალური ყოფა და შემეცვალა მდორე ცხოვრების წესი. მოკლედ, როგორც აღმოვაჩინე, მევიოლინე სიმონი ცდილობდა ის პირობითი სხვაობაც წაეშალა, ჩვენს შორის რომ არსებობდა და მე მთლიანად მის ჭკუაზე გადავწყობილიყავი. ჩემთვის, თავიდან, იმდენად არასერიოზულად ჟღერდა სიმონის შეგონებანი, რომ სიამოვნებით ავყევი ამ თამაშს.

ერთი თვის შემდეგ, როცა სიმონის შეგონებებით ერთი საქაღალდე შეივსო, რატომღაც გამიჩნდა სურვილი მათი გამოქვეყნებისა, ამავდროულად, არც კი მიფიქრია საავტორო უფლებებს თუ ვარღვევდი და ავტორის დაუკითხავად, მისი ნებართვის გარეშე თუ შეიძლებოდა ამ ტექსტების დაბეჭდვა. ეს ეჭვი რომ არ გამიჩნდა, ესეც ბუნებრივია, რადგან სიმონის ნაწერი ზოგჯერ ჩემი მეგონა, ისე ჰგავდა ჩემი აზროვნების სტილს, მანერას, მაგრამ მაინც ჩემი არ იყო. ამიტომ, ალბათ, ჯობდა ამ ტექსტის გამოქვეყნებაზე მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა



წერილობითი თანხმობა მიმეღო, მაგრამ მე ქურდულად მოვიქეცი: სიმონის ხელნაწერები მემანქანეს გადავეცი გადასაბეჭდად და, როცა ხელნაწერი ჩემს მაგიდაზე იდო გაწკრიალებულ-გალამაზებული, კიდევ ერთხელ გადავიკითხე და წერტილ-მძიმე, ზოგიერთი სტილისტური შეცდომა ჩავასწორე, აღარ ვყოყმანობდი, რომ აუცილებლად გამოვაქვეყნებდი. მაგრამ, როგორც კი კომპიუტერზე ავაწყობდი სიმონის ოპუსებს, ამასობაში ახალ-ახალი ჩანაწერები ჩნდებოდა და მე ერთ მშვენიერ დღეს მომეჩვენა, რომ ეს წიგნი არასოდეს დასრულდებოდა. ამიტომ შევთავაზე ერთ-ერთ ჟურნალს ნომრიდან ნომერში გაგრძელებებით გამოექვეყნებინა, ხოლო მოგვიანებით ცალკე წიგნად გამოვცემდი.

უნდა გამოგიტყდეთ, რომ პირველი ჩანაწერი ნამდვილად მე მეკუთვნის, ხოლო შემდეგ იწყება სიმონის ოპუსები, რომელთაც ზოგჯერ ერთვის ჩემი კომენტარები. ასე რომ, ეს წიგნი ჩემი და სიმონის თანაავტორობით შეიქმნა — იგი არაა მხოლოდ სიმონის ან მხოლოდ ჩემი, იგი საერთო საკუთრებაა. გთხოვთ, ამ ნიუანსს მიაპყროთ ყურადღება, რადგან მომავალში ამ საკითხს რაღაც მნიშვნელობა მიენიჭება.

ახლა მივყვეთ ტექსტის თანმიმდევრობას.

* * *

შეუძლებელია ფიქრიც კი... აქ იმდენი ხალხი შემოდის, თან თავისი პრობლემებით, რომ რაიმე საქმის წამოწყება მართლაც შეუძლებელია.

გარეთ კი მშვენიერი შემოდგომის ამინდია ან შემოდგომის მშვენიერი ამინდია. აქ, შიგნით, ოთახში (კაბინეტში) ჩინოვნიკური ატმოსფეროა. უმრავლესობა, ვინც აქ შემოდის, უკმაყოფილოა ან შეწუხებული. ჰგონიათ, რომ თავის პრობლემებს აქ გადაწყვეტენ. თითქმის ყველა ცდილობს ამკიდოს თავისი სატკივარი. ისინი ვერც კი ხვდებიან, ისე მიცარიელებენ სულს, მართმევენ იმ ენერგიას, რომლის წყალობითაც სულდგმულობს ადამიანი. ეს გაუცნობიერებელი „ვამპირიზმი" გავრცელებული დაავადებაა. ახლა ვფიქრობ, თავდაცვის საშუალებები გამოვნახო თავის გადასარჩენად. პრობლემა რომ აღმოვაჩინე — ეს უკვე რაღაცას ნიშნავს. ისევ საკუთარ თავში უნდა ჩავბრუნდე — საკუთარი თავი სულაც არ ნიშნავს ჩემთვის სხეულით შემოგარსულ ორგანიზმს, საკუთარი თავი ის შინასამყაროა, სადაც ფიქრის და აზროვნების, უფრო კი სულიერი გრადაციის, გარკვეული მეტამორფოზის საშუალება მეძლევა. გამუდმებით „შიგნით" ყოფნა, საკუთარ თავში გარინდება, განცალკევება, ჩაყვინთვა, ალბათ, შეუძლებელია, ამიტომ რეალურ, ყოველდღიურ ზედაპირზე ამოყურყუმალება თუნ-დაც იმიტომაა აუცილებელი, რომ საერთოდ არ მოვწყდე სიცოცხლის გარეგნულ — ვიზუალურ მდგომარეობას და საკუთარი არსებობა აღვბეჭდო სხვათა თვალში, სხვათა სინამდვილეში, რომელიც მხოლოდ თავიანთ მიწიერ განზომილებაში არსებული სინამდვილის შესაფერისი გაახნიათ.

* * *

ამ ფუსფუსს რომ მოვწყდები, გამუდმებით ვგრძნობ, რომ ფუსფუსის სივრცე პირობითია და ჩვენივე სურვილებითაა შემოზღუდული, ერთმანეთში ალუფხული ბგერებით, ცალკეული სიტყვებით და ფრაზებით, ყველაფრით, რასაც ხმა გააჩნია, მოძრაობა შეუძლია და, ამავე დროს, იმ უძრავი საგნების მდუმარებითაცაა გაჟღენთილი, ჩვენთან ერთად რომ თანაცხოვრობენ; მაგრამ ამ ყველაფრის მიღმა, ამ ყველაფრის იქით, მარად არსებობს რაღაც, ჩვენს ყოფას რომ ვერ ამჩნევს, ის თითქოს ნიადაგ განზემდგომი უსასრულო განფენილებაა, საიდანაც დროდადრო ჩვენს თვალებში ან სიტყვებში — ზოგადად სულში, ჩამოაღწევს ხოლმე იდუმალი ნათება, გარეთ, სადღაც მყოფი უსასრულობიდან, — ნიშნად იმისა, რომ საიდუმლო კავშირი არ დაირღვეს, რათა დროდადრო გაგვიჩინოს ეჭვი ჩვენი, მხოლოდ მიწიერი არსებობის მიმართ, დაბადოს ორჭოფული განცდა იმ ყოველდღიური სინამდვილის გამო, რომელშიც ვცხოვრობთ, თანდათან რომ იწყებს გაორებას, მერე კი გაუცხოებას. ეს ჩვენი ხვედრია, უკიდურესობათა კედლებს უნდა ვენარცხებოდეთ, რათა შევძლოთ შევიქმნათ წინსვლის ილუზია, სიცოცხლის გაგრძელებისკენ რომ გვიბიძგებს და შევიგრძნოთ ჩვენი განცდების თუ ფიქრების, თუნდაც უბრალო მოვლენათა წვდომის აუცილებლობა. წვდომა აუცილებელი მოთხოვნილებაა; წვდომა არ არის მეექვსე გრძნობა, წვდომა არ არის მხოლოდ გონის მახასიათებელი — წვდომა ხუთივე გრძნობის და გონის მთლიანობაა და ამ მთლიანობას ქმნის სული, რადგან მხოლოდ სული უკავშირდება მიღმიერს, ამოუხსნელს, ზენაარსს.

მე ისე შევდივარ საგანში, მცენარისა თუ ადამიანის ბნელით მოცულ სიღრმეში, რომ თვითონ ვერ გამიგია. ეს უნარი ხელს მიშლის, ადვილად ვიცხოვრო და ეს ჩემთვის ერთდროულად — ტრაგედიაცაა და ბედნიერებაც. ასე რომ, უკიდურესობათა კედლებს უნებლიეთ კი არ ვენარცხები, ეს ჩემი ხვედრია და ამგვარი ხვედრი — ჩემში ამოქმედებს სიტყვებს, საცეცებივით რომ მიძვრებიან ქვეცნობიერში და ისე ამოსწოვენ იქიდან „ბნელ ინფორმაციებს", როგორც მცენარე თავისი ფესვებით შეისრუტავს წიაღის სინოტივეს. წვდომა ჭვრეტა არაა, მაგრამ წვდომა თავის თავში ჭვრეტის ელემენტსაც მოიცავს. ის მუდამ მზადყოფნაშია და ჩემი აზროვნების, არსებობის მხოლოდ სტილს კი არა, სასიცოცხლო წყაროს წარმოადგენს.

ეროვნული

* * *

გამიჩნდა სურვილი, გავაგრძელო ეს დაკვირვება. წვდომის აქტი არასოდეს რაიმეს ამოწურვას არ ნიშნავს. იგი დაუსრულებელი და პერიოდულად განახლებადი აქტია, განახლებადი იმიტომ, რომ ყოველი წარმატებული წვდომის შემდეგ მუდამ ჩნდება რაღაც შეუცნობელი, კვლავჩასაწვდომი. ეს წრებრუნვა მუდამ გრძელდება. "შეიცან თავი შენი" — ბრძანა უფალმა. მე დიდ სამყაროში არსებული, რაღაც დამოუკიდებელი სამყარო ვარ. მინდა შევიცნო თავი ჩემი. ამ თვითშეცნობის პროცესში სამყარო სწავლობს თავის თავს და ცდილობს წვდომის შემწეობით სხვაგან გაღწევას; სხვაგან გაღწევის ცდა კი საკუთარი თავის გამოცდაა, სულიერად გამდიდრების მორიგი სურვილია და მისი დაოკება სიკვდილს მოასწავებს, სულიერ სიკვდილს და არა სხეულებრივს.

* * *

გაილია სექტემბერი, ალაგ-ალაგ აჭრელდნენ ხეები, აგრილდა კიდეც, დილა-საღამოს ცივა. ვარსკვლავები უფრო გამოკვეთილად ჩანან ცაზე — სიმკვეთრე — ერთდროულად აახლოებს და აშორებს კიდეც ეგრეთ წოდებულ ღამეულ ციურ სხეულებს. სიახლოვე და სიშორე აუხსნელად თანაარსებობენ არამხოლოდ ხილულ სამყაროში. ისიც კი, ვინც აქვეა — ხელის გაწვდენაზე ან უფრო ახლოს, ამავე დროს შორსაა, იმდენად შორს, რომ მისი ფიზიკური სიახლოვე კარგავს ყოველგვარ მნიშვნელობას. სიშორისა და სიახლოვის ურთიერთშემცველობა დროდადრო ვლინდება ჩვენს ყოველდღიურ ურთიერთობებში. შორს, ახლოს, შორს, ახლოს, შორს, ახლოს — მუდმივად თანამონაცვლე მდგომარეობებია სულისათვის — და მხოლოდ სულისმიერი აღქმის შემდეგ ან მასთან ერთად, მყისიერად თვალისთვისაც. მსგავსი პირობითობა ჩემი აქ, ამ ოთახში ყოფნისა და ამავე ოთახში სხვათა თანამეზობლობისა, ფიზიკურად მოახლოებისა დროდადრო მერყეობს სივრცეში — იმისდა მიხედვით, შენ სად ხარ ნამდვილად, სად არის შენი მეორე მე, ანუ „ალტერ ეგო" — გამოუვლენელი და უფრო უჩინარი, სადღაც სიღრმეში მყოფი, განვითარებისათვის რომ მარადიულ მზაობას იჩენს. განვითარებისათვის მზაობა კი ნიშნავს მუდმივ ცვალებადობას და პირობითი დისტანციების რღვევას, ახალ-ახალი წახნაგისა და პრიზმის აღმოჩენას, სულის თვალის ამოუწურაობას. რაც ირგვლივ ხდება, შენ არ გეხება ან, თუ გეხება, მხოლოდ ირიბად. რაც უფრო ღრმავდება შენი სულიერი ცხოვრება, მით უფრო მძაფრდება შენი გაუცხოება — ყოველივესა და ყველაფერთან, რაც ირგვლივაა; რაც ყოველდღიურობაში იბადება, იქვე კვდება, რადგან მხოლოდ მატერიალურ ცვლილებებზეა დამოკიდებული.

არ მინდა ბანალური მაგალითების გახსენება. მოკლედ, ჩემი თხრობა იმით დავიწყე, რომ ღამღამობით, შემოდგომის სიგრილეში, ვარსკვლავები უფრო კაშკაშებენ და იქმნება იმის ილუზია, თითქოს ისინი უფრო მოგვიახლოვდნენ, რადგან უკეთ ჩანან, მაგრამ ამავე მიზეზით, თუ კარგად დავაკვირდებით — მათი სიშორეც უფრო საგრძნობია. ამგვარი ორჭოფული დამოკიდებულება, იქნებ, ინდივიდის შინაგანი ბუნების ბრალია, ვიდრე იმ დისტანციისა, რაც ცასა და ვარსკვლავებს შორის არსებობს, ან იქნებ იმ მუდმივი მოძრაობისა და უწყვეტი ცვალებადობისა, რასაც კოსმოსი თავის თავში მოიცავს, როგორც სტაბილურად ჰარმონიული, მაგრამ მუდამ განვითარების პროცესში მყოფი უსასრულობა, რომლის შეცნობაც ჰიპოთეტურად თუ შეიძლება — მხოლოდ მიკროსამყაროზე დაკვირვებით, საკუთარ სულში ჩახედვის მეშვეობით, მაგრამ ეს დაკვირვებაც დაუსაბამობისკენ მიდის და იქიდან ამოსვლა ყოველდღიურ ცხოვრებაში, არსებულ რეალობაში გათქვეფა აუცილებელია, თუნდაც იმისათვის, რომ საბოლოოდ არ მოწყდეს კაცი დაკანონებულ ორბიტას.

* * *

ასე რომ, ჩვენ ერთმანეთს ვაძლებინებთ. თვითონ ვაშენებთ იმ სინამდვილეს, რომელშიც ვცხოვრობთ და რომლის არსებობაც უტყუარ ჭეშმარიტებად გვეჩვენება. ილუზიების სამყაროში ჩაძირულნი, თვითონვე ვემორჩილებით საკუთარ წარმოსახვებს და ამ დროს რითაც ვხელმძღვანელობთ, ალბათ, თვითგადარჩენის ინსტინქტია, რადგან გამუდმებულ ყვინთვას ამოუხსნელ დაუსაბამობაში ვერავინ შეძლებს. არის ერთი ტრადიციული გზა, მრავალ გზათა შორის, ნაცადი და, ალბათ, უტყუარი — სიცოცხლე — ღვთითბოძებული ისე გალიოს კაცმა, რომ არ დაავიწყდეს მბოძებელი ამ სიცოცხლისა და ღვთის ნებას დაჰყვეს. ყოველი ძიება, სადაც ღვთის მეგზურობა გამორიცხულია ან უარყოფილი, მძიმე შედეგებით მთავრდება. ამგვარი ძიება საკუთარ უმწეობათა გამჟღავნებას აჩქარებს და უღვთოდ დარჩენილი ადამიანი — უფრო ხშირად ბოროტებას ემორჩილება და ბოროტების მსხვერპლი ხდება.

ჩვენი ლიტერატურული ძიებანი შესასწავლია ამ თვალსაზრისითაც.

* * *

უჩვეულო არაფერი მომხდარა. გზა სახლიდან სამსახურამდე კვლავ სასიამოვნო იყო. ვიჯექი ჩემთვის, ცხადია, ფანჯარასთან და ვათვალიერებდი ბუნებას, რომელსაც მოვწყდი, სამწუხაროდ. ალაგ-ალაგ იფნები შეყვითლებულა, ჩალაც მზეს იკრებს, ბოსტნებიდან გამომზირალი ზაფრანის ყვავილებიც მზისფერია, ოღონდ უფრო მუქი და ავადმყოფური, თითქოს თვალებსაც მტკენს დიდხანს თუ ვუცქირე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისიც ახლოდან — მიკროავტობუსიდან კი ისინი მზის დიდრონი წვეთებივით ჩანან — ბოსტნის მწვანე ფონზე.

ასე რომ, ვიჯექი ჩემთვის და ვფიქრობდი ყველაფერზე — ე. ი. არაფერზე. არაფერი რომ თავისთავად ყველაფერს ნიშნავს, ეს უკვე აღარ მიკვირს. რა არის ყველაფერი — თუ არა ის, რასაც არათუ მთლიანად, ნაწილობრივადაც კი ვერ ვწვდები და იგი ისევე უცნობია და მოუხელთებელი, როგორც არაფერი. ყველაფერი და არაფერი — ეს ორი სიტყვა ქონების საზომად თუ გამოდგება, რაღაც კონკრეტულის მიახლოებითი ოდენობის თუ მოცულობის აღსანიშნად, თან ეს მოცულობა თუ ოდენობა ვიზუალურად უნდა გავითვალისწინოთ. ყველაფერში ისე იგულისხმება არაფერი, როგორც არაფერში ყველაფერი. სიბნელეში ყველაფერია ჩაფლული, მაგრამ სიბნელეში არაფერი მოჩანს ისევე, როგორც სინათლეში — ყველაფერი მოჩანს, მაგრამ, რაც არ მოჩანს, იმაზე მეტია, რაც მოჩანს და ეს პირობითი ყველაფერი — ყოველთვის შეიცავს თავის თავში არაფერს, მეტადრე მაშინ, როცა ჩვენთვის ყველაფერი იმდენად ნათელია, რომ აშკარად ვხედავთ ყველაფრის დაუსაბამობას, ე. ი. ყველაფრის თანდათანობით გადასვლას „არარაში“ თუ არაფერში. ეს თემები პოეზიისთვის მეტად საინტერესოა და ისინი სულაც არ არიან მხოლოდ ფილოსოფიისთვის საინტერესონი. უფრო სწორად, რაც პოეზიასა და ფილოსოფიას გააჩნია საერთო, სწორედ ეს მარადიული თემებია. ხოლო პრობლემათა ამოხსნა თუ ამოხსნის მცდელობა, რა თქმა უნდა, სხვადასხვაგვარად ხდება — ამ ორ, ერთმანეთისგან გამიჯნულ დარგში. პოეზია თავის ამოცანას ურთულესი სიმარტივით, ანუ უზენაესი მხატვრული სიზუსტით ახერხებს. ფილოსოფოსები კი, როგორც წესი, განსჯის, ლოგიკის მეთოდს იყენებენ და ორივე შემთხვევაში — მათი მცდელობანი იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც საინტერესონი არიან თვითონ, პიროვნულად, ამ ცდათა ავტორები. პოეზიას ხელთ აქვს უამრავი მხატვრული საშუალება: ფერები, ინტონაციები, ბგერწერა, სემანტიკა, ევფონიზმი, თვითირონია, ნიუანსთა ამოუწურავი შესაძლებლობანი. ის, ვინც მხატვრულ მთლიანობას ქმნის, ვერ გამორიცხავს იდუმალი თანამონაწილის თანაარსებობას საკუთარ სულში და ეს იდუმალი თანამონაწილე რაღაც მისტიკა კი არა, სრულიად რეალური „რამეა“, რომელსაც პირობითად სულის განსაკუთრებულ მდგომარეობას ვუწოდებთ. ასეთ ვითარებაში, შემოქმედებით პროცესში, ყველაფრის პატრონი სული შემოქმედებითი აქტის დასრულების შემდეგ, წარმატებული შედეგის მიუხედავად — ადვილად აღმოაჩენს, რომ მის მიერ ყველაფრის პატრონობის შეგრძნება არაა ილუზია, რომ იგი ნამდვილია, მაგრამ, ვიმეორებ, შემოქმედებითი აქტის დასრულების შემდეგ იქცევა არარაც — არაფერი, რომელიც ცალკე კი არ არსებობს, ყველაფერში განფენილა და ყველაფრის დასრულებას და დასაწყისს ნიშნავს ერთდროულად.

ყოველთვის ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ მთელის უმცირესი ნაწილაკის შეცნობას ვახერხებ, მაგრამ უმცირესი ნაწილაკის შეცნობაც კი (მიუხედავად იმისა, რომ ნაწილს მთელის თვისებები გააჩნია), არცთუ იშვიათად, ჯიუტად მიმეორებს, რომ ის რაღაც, საითაც მივიწევ გამუდმებით, არასოდეს, არასოდეს გაიხსნება, მუდამ ჩაკეტილი იქნება, მაგრამ წინსვლის (ეს წინსვლა აშკარად პირობითია) ჟინი ისევ იქით მეძახის — იქით, სადაც ყველაფერი და არაფერი ჰკვეთს თუ მოიცავს ერთმანეთს. ასეთი დამღლელი ფიქრი და ძიება, როცა სული სიტყვებში მიძვრება და სადღაც გაღწევას ლამობს — თანდათან მიდის არარასაკენ, ჩაუწვდომლობის პესიმიზმისკენ, ოდესღაც აღმოჩენილი ამაოებისაკენ. როგორც ჩანს, ღრმა და ფანატიკური რწმენა გამორიცხავს მსგავს სულიერ მეტამორფოზებს, ბიოლოგიურ ხურვებებს, ერთი სიტყვით — იმ თვითგვემას, ტანჯვას, რომელიც პოეტის უპირველეს, თანდაყოლილ თვისებებს წარმოადგენს. რელიგიური შეგრძნებები დიდი პოეზიისთვის ამოუწურავ სამყაროებს შლის და ბუნებრივი რელიგიურობა პოეტური ტექსტის სუნთქვის სათავე უნდა იყოს, მაგრამ არცთუ იშვიათად პოეტი — „ყოველივესა“ და „არარას“ მუდმივი მონაცვლეობით იწყებს თამაშს, თამაშს, როგორც ერთადერთ გამოსავალს იმ ბნელი სივრციდან, რომელშიც თავი ნებით დაიტუსაღა — და ახლა ნებითვე გამოდის თამაშის უკიდეგანო თავისუფლებაში — და თამაშით აგებს ახალ სამყაროს, როგორც ერთადერთ თავმისადრეკს, რეალურზე უფრო რეალურ სავანეს, სადაც ღიმილის სიღრმეში თუ ირეკლება დროდადრო ის „წარსული, მომავალშიც რომ გველოდება“, დასვენების ჟამს კი თამაში ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი საქმეა და თვითონ დასვენებაც — ამ თამაშების გამო, სხვაგვარ აზრობრივ და ემოციურ დატვირთვას იძენს, — სინამდვილეში კი კარგავს დასვენებისთვის დამახასიათებელ უფუნქციო დროის, მოსაწყენი დროის, ამაო დროის თვისებას, შეგრძნებას და იგი თამაშის შემწეობით იძენს სისავსეს, ახალ სიმრთელეს — დროსთან შერწყმის ბედნიერებას.

### ავტორისაგან

სიმონი ჯიუტად აგრძელებდა ყოველივეს ჩაწერას, რაც მის ყურადღებას განსაკუთრებით მიიპყრობდა და რისი ფურცელზე გადატანაც რაღაც სიამოვნებას ჰგვრიდა. თვითონ ვერ ხვდებოდა, მისი „წერითი შრომა“ როგორ გადაიზრდებოდა იმგვარ თამაშში, თამაშს რომ არასოდეს უწოდებდა და საერთოდ — სიტყვა „თამაში“ მისთვის დამამცირებლად ჟღერდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ საქმიანობის რაობის აღსანიშნავად, რითაც თვითონ იყო გართული; მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, როცა შეუდგა ჩვეულ საქმეს — თამაშის ელემენტმა, გართობისათვის დამახასიათებელმა სიამის მომგვრელმა განცდამ, წინანდელზე მეტად მიიპყრო მისი ყურადღება და გაოგნდა. მისი ფსევდოფილოსოფიური ძიებანი, საერთოდ, საეჭვო ტექსტად მოეჩვენა, იმდაგვარ ტექსტად — რეალურ ცხოვრებას რომ არის მოწყვეტილი, და ზედმეტად აბსტრაჰირებულ სივრცეებს რომ მიესწრაფვის. იმის შიშმა, რომ ვერასდიდებით გააღწევდა იქით, ირეალურში, და რომ ვერასოდეს იხილავდა სხვა სიცოცხლეს, მიღმიერს, ყოველდღიური ფუსფუსის მაღლა რომ არსებობს და შიგ, თავისთან არავის უშვებს, სიმონი მწარედ დაანაღვლიანა და გულგატეხილი მოჰყვა ბოლთისცემას იმ პატარა ოთახში, სადაც ჩანაწერები წამოიწყო და სადაც, ჯერჯერობით, მისთვის სულ ერთი არ იყო, რომელი საგანი ან ნივთი რანაირად იდგა, როგორ გამოიყურებოდა, ქოთნის ყვავილებს მორწყვა სჭირდებოდა თუ არა, დაჭმუჭნილი ქაღალდებით სავსე იყო თუ არა ნაგვის კალათა. თვალი მოძველებულ დივანსაც შეავლო და დივანთან დაკავშირებით თვალწინ რა სცენებიც წამოუტივტივდა, იმის აღწერას მე არ შევუდგები, მაგრამ წარმოსახვის განსაკუთრებული უნარი არ აკლიდა სიმონს, თვალი სხვა რამეზე გადაეტანა, თუნდაც ახალაყვავილებულ ქოთნის ყვავილზე, რადგან ყურში დროდადრო ჩაესმოდა ის ბგერები, ძირითადად, ხმოვნები, უფრო სწორად რომ ვთქვათ, შორისდებულები — ამ ოთახის ჰაერში რომ იშლებოდნენ ყვავილებივით და ჰაერს ისე ერწყმოდნენ, რომ კვალსაც კი არ ტოვებდნენ. ახლა კი თავისთვის გულგრილად გაშოტილმა დივანმა ისევ გააღვიძა ის ხმები, ჰაერში რომ თითქოს უჩუმრად არსებობდნენ და კვლავ განმეორდა ყოველივე — მკვნესავი შორისდებულების თანხლებით. სიმონი მიხვდა, რომ იგი მიჯაჭვულია ამ ოთახთან, ჰაერში ჩამარხულ ხმებთან, იმ სახეებთან თუ ცალკეულ სიტყვებთან — კედლებმა, მაგიდებმა და კარადებმა რომ შეიწოვეს, რომ მათ შეუძლიათ არსად გაუშვან სიმონი, ან თუ გაუშვებენ — იგივე ოთახი წაჰყვება მის მეხსიერებას და იმ ოთახიდან თავის დაღწევას მთელ სიცოცხლეს მოანდომებს. პირველი, ვისი ხმაც დივანიდან ამოცურდა, ერთი მოლიტერატორო ქალი იყო — მოკლედთმაშეჭრილი, მორცხვადმოღიმარი და მუდამ დაკომპლექსებული. მას სძულდა საკუთარი სიმორცხვე, რადგან ზედმეტი სიმორცხვის გამო არ შეეძლო ყოფილიყო უფრო თავისუფალი, როგორც თვითონ ფიქრობდა, უფრო ბედნიერი. გამოუცდელი გოგოსავით იქცეოდა და თავი ისე ეჭირა, თითქოს რაღაც საძაგლობას სჩადიოდა, მაგრამ ზღვარს რომ გადასცდებოდა, ყველაფერი ავიწყდებოდა და თავბრუდამხვევ მორევს ემსგავსებოდა, რომელიც ყველაფრის თავის თავში ჩათრევას თუ ჩაბრუნებას ცდილობს და ამ მორევის ძაბრი ლამის გადასანსვლით ქაუქრებოდა სიმონს. ერთხელ ამ ქალბატონის უკონტროლო და ხმამაღალი ამოღმუვლებისგან ბათქაშიც კი მოსწყდა დაბზარულ ჭერს და იატაკზე მტვრად იქცა.

სიმონმა ზიზღით აარიდა თვალი დივანს და ისევ ქოთნის ყვავილებს გახედა, თავისთვის რომ ჰყვაოდნენ და მის დაჟინებულ მზერას ვერ ემალებოდნენ, თუმცა სურდათ ამ მსუსხავ მზერას სადმე გაქცეოდნენ. სიმონმა ისიც აღმოაჩინა, რომ ადვილად შეეძლო შეეღწია საგანში ან სულაც ადამიანში და იქიდან სხვა თვალით გამოეხედა. საამისოდ ოდნავი ძალისხმევა იყო საჭირო და სიმონი ხვდებოდა, რომ გარდასახვის თუ სხვა რამეში გადასვლის მცდელობაც თამაშისნაირსახეობა იყო და სხვა არაფერი, და თანდათან სიტყვა თამაში, — მის ქმედებაში, უპირველესად, ცნობიერებაში, ლამის ყოვლისშემძლე მოვლენად იქცა და გულგატეხილობამაც თითქოს თანდათან გაუარა.

მისი იმდღევანდელი ჩანაწერი ასეთი შინაარსის იყო:

* * *

ყოველი ქალი სხვა სამყაროა, სხვა სიღრმეა, ყოველ ქალშია ჩაბუდებული თავისებური შეუცნობლობა, შეცნობისთანავე რომ კარგავს მნიშვნელობას, ჰკარგავს, მაგრამ დროებით, რადგან შეცნობა მუდამ ნაწილობრივია ან იმდენად მოჩვენებითია, რომ შეუცნობელი უფრო მეტი რჩება, შეცნობილი კი მყისვე იქცევა არარად. ჩვენ შეგვიძლია შევიცნოთ დაუსრულებელი მთლიანობის ნაწილი, რომელიც მთელის თვისებებს კი ამჟღავნებს, მაგრამ უფრო შორს არ გვიშვებს ან იქნებ უფრო შორს არც არის არაფერი.

* * *

თუ სიტყვები კარგავენ ძალას, ანუ ზემოქმედების უნარს, ეს იმას ნიშნავს, რომ მე ვკარგავ იმ ძალას, რითაც სიტყვები განაგრძობენ არსებობას და მეც მაარსებებენ. ე. ი. სიტყვები რჩებიან უჩემოდ, მე ვრჩები იმ ძალის გარეშე, რისი მეშვეობითაც სიტყვებს შეუძლიათ ჩემი გახდნენ. რა არის ის ძალა, „ეგოს" ნაირსახეობას და სიტყვებს რომ საერთო მაგნიტურ ველში ჩართავს და გამუდმებით „ამუშავებს" — თუ არა სული — გამამთლიანებელი იმ ფარული ენერგიისა, უჩინარი ფესვებით რომაა დაკავშირებული უხილავ თუ ხილულ სამყაროსთან, ყოველივესთან, საიდანაც კი შეიძლება რამენაირი ინფორმაციის მიღება ან თუნდაც იმ ბიძგის წარმოქმნა, განსაკუთრებული მიზიდულობის ძალით რომ აასკუპებს ლითონის პატარა ნაწილაკს და მაგნიტზე მიაკრავს. ეს შედარება იმისთვის დამჭირდა, რომ უფრო თვალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჩინო ყოფილიყო თვითონ ჩემთვის, რასაც ასე ბუნდოვნად განვიცდი და რისი ახსნაც დღემდე ვერ მოვახერხე.

მედიუმი ის სამყაროა, სადაც ყველაფერია ჩალექილი და ჩალაგებული, ის „მარაგია", რომელსაც არსებითი მნიშვნელობა არც კი გააჩნია არაშემოქმედისთვის და ამ შთაბეჭდილებებით, გამოცდილებით, შეგრძნებებით, დაბადებამდელი თუ ამსიცოცხლისდროინდელი იმპულსებით შეკრული წრედი მუდამ ამოუწურავია, თითქოს პასიურ მდგომარეობაშია და არც კი ამჟღავნებს იმ მაგიურ ურთიერთკავშირს, უძლავრესი ენერგიით რომ ამუშავდება პირველი, მცირე ბიძგის შემდეგაც კი და მხატვრული ლოგიკის წყალობით ფურცელზე ლაგდება ამოუწურავ და ათასგვარ ფორმებად — და იგი უმეტესწილად, თავისი შესაძლებლობებით, ზეგავლენის ძალით, გამომსახველობითი შესაძლებლობების მრავალფეროვნებით და ზოგჯერ განცდათა აალებადი თვისებებით — უფრო ზეპიროვნულია, ვიდრე მხოლოდ პიროვნული, რადგან მედიუმში ჩართული ძალები მართავს პიროვნებას და არა პიროვნება მედიუმს. შემოქმედი ცდილობს გამოიხმოს საკუთარ თავში, მოიწვიოს ეს ძალები, რომლის „ინსტრუმენტადაც" უნდა იქცეს თვითონ.

*შენი თვალების შუქზედა*
*დავკერავ ნაჭრელასაო...*

ეს ხალხური ორსტრიქონედი თავისი პირველყოფილი სიმარტივით — სიბნელიდან შუქის გამომდინებელი სიტყვებითაა აგებული. ყველაზე უმარტივეს სირთულეში შემოდის მედიუმი, რადგან მედიუმს არ უყვარს ბნელი სირთულე, იგი სიბნელიდან, ანუ ამოუხსნელი სირთულიდან გამოსჭვივის, როგორც სხივი ან როგორც ანარეკლი, რათა თავისი შესაძლებლობა გამოავლინოს.

* * *

გამოუვლენელი, იგივე უთქმელი, დაუწერელი, დაფარული — მუდამ თავისთავად არსებობს და პიროვნება — ანუ ეგოთა ნაკრები — ჟიუტად ეძებს იმ ჭუჭრუტანებს, საიდანაც მედიუმის სხივები გამოსჭვივის დროდადრო.

როცა ამ თამაშს მივატოვებ — ან, უფრო სწორად, როცა ზედაპირზე ამოვყვინთავ ყოფითი პრობლემების მეშვეობით, დრო უფრო იწელება და ზოგჯერ თითქოს სიცოცხლეც კარგავს აზრს, მერე უკვე დროის გაყვანას ვუნდები, მაგრამ, როგორც მერე აღმოჩნდება — მე, მთელი ჩემი შეგრძნებების ურთულესი სისტემით, თურმე ამ უაზრო მოცალეობის ჟამს იმ მრავალფეროვნების შემგროვებლად „ვმუშაობ" გაუცნობიერებლად, მომავალში რომ მიმორჩილებს და თავის ნებაზე მათამაშებს, მაგრამ ამგვარი მორჩილება და მის ხელში სათამაშოდ ქცევა ნებაყოფლობითი და მეტად სასურველი აქტია, რადგან იწყება იმ სინამდვილესთან მიახლოება, ყოველდღიურ ფუსფუსზე მაღლა რომ დგას და ნამდვილ სიცოცხლეს რომ ვუწოდებ.

* * *

ალბათ, ყოველთვის, ჩემს ცხოვრებაში უცხოთა შემოჭრისას, როცა მათ თავიანთი პრიმიტიული სატკივარი მოაქვთ ან, უბრალოდ, ცდილობენ ჩემთან ერთად დროის მოკვლას, მიჩნდება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ისინი სრულიად უცხონი არიან და მათი სიახლოვე იმდენად პირობითია, რომ აქვემყოფნი მაინც შორს რჩებიან ჩემგან და სული ვერ გრძნობს მათთან რაიმე თანამონაწილეობას. ჩვენ სამუდამოდ უცნობებად ვრჩებით, სამწუხაროდ, და ჩვენი ურთიერთობებიც იმ წარმავალ ინტერესებს ეფუძნება, რომელთა რეალური არსებობა საერთოდ საეჭვოა ჩემთვის, მათთვის კი სწორედ ეს წარმავალი ინტერესები წარმოადგენს უმთავრეს საყრდენს, რომელზეც ნებაყოფლობით დააშენეს საკუთარი არსებობა და ასე და ამგვარად, აირჩიეს ცხოვრების წესი, ჩემთვის რომ უცხოა და გაუგებარი.

ასე დაიწყო ჩემი გაუცხოება მათ მიმართ, რომლებთანაც ყოველდღე მიწევს თანაარსებობა და არა თანასიცოცხლე.

* * *

ეს კაცი ისე მოულოდნელად გარდაიცვალა, რომ სიკვდილზე არც უფიქრია. თუმცა, ვინ იცის, ვინ დაამტკიცებს ან დაბეჯითებით ვინ იტყვის, რომ სიკვდილზე არ უფიქრია. არავინ ელოდა ამ ჯანმრთელი კაცის გარდაცვალებას და ამ მოულოდნელობის მწარე ეფექტმა აფიქრებინა ყველას, რომ იგი სიკვდილს აინუნშიც არ აგდებდა, სარკასტულადაც ხუმრობდა სიკვდილზე — კომპოზიტორთა კავშირის წევრთა რიცხვს სიკვდილი შეამცირებსო, სრული სერიოზულობით განაცხადა. გამოხდა ხანი და ეს საღსალამათი კაცი პირველი გამოესალმა სიცოცხლეს.

ასეთი ხუმრობა „ვაშინერს" ....... იგი თავის ხუმრობას შეეწირა. ყოველ ნათქვამ სიტყვას და ფიქრსაც თავისი უკუქმედება გააჩნია. უკუქმედებაა ყველაზე საშიში რამ, მაგრამ ამაზე ადამიანები ნაკლებს ფიქრობენ ან საერთოდ არ ფიქრობენ, რადგანაც წარმოდგენა არ გააჩნიათ, რა უბედურება შეიძლება გამოიხმონ და დაატეხონ საკუთარ თავს. სიკვდილი ცუდი რეფორმატორია. ხშირად კი სიკვდილს თვითონ აჩქარებენ ადამიანები, თვითონ მიისწრაფვიან სიკვდილისაკენ გაუცნობიერებლად — უარყოფითი ენერგიებით თვითონვე აღივსებიან და თვითონვე ეწირე-

ბიან ამ უარყოფით ენერგიას, რომელიც გამუდმებით შლის უფაქიზეს ველს და სასიცოცხლო ძალების შესაკრებელად აღარ გამოდგება.

უცნაური რამ დამემართა — ეს საღ-სალამათი და ჯანმრთელი კაცი რომ გარდაიცვალა, უფრო სწორად, მისი გარდაცვალების ამბავი რომ შევიტყვე — პირველი, რაც შევიგრძენი, ამ ამბის დაუჯერებლობა იყო; როცა ეს სამწუხარო ცნობა სხვებმაც დაადასტურეს — გამაოგნა უნაპირო თავისუფლების შეგრძნებამ — რაც თავისთავად უნებლიე სიხარულსაც ბადებდა. სხვისი მწუხარებით გამოწვეულმა სიხარულმა ძლიერ შემაშფოთა. შემაშფოთა იმიტომაც, რომ მივხვდი, თუ ლოცვით, მონანიებით არ მოვიცილებდი ამ მეტად უპასუხისმგებლო და თანაც არაადამიანურ, მაგრამ საოცრად უნებლიე სიხარულის ზეგავლენას, ჩემი საქმე ცუდად წავიდოდა და თავადაც ვიქნებოდი ისეთივე, როგორიც ის ცხონებული იყო. სინამდვილეში საქმე არცთუ ისე მარტივად იყო. ჩემი უფროსი — აწგარდაცვლილი და ცხონებული არსება, მეტად დესპოტი და უარყოფითი ენერგიებით აღსავსე კაცი იყო. მისი დესპოტური საქციელის გამო არაერთხელ შევწუხებულვარ, არაერთხელ დავუმცირებივარ კიდეც. მე, ცხადია, მუდამ დაძაბული ურთიერთობა მქონდა მასთან და ყოველთვის ვგრძნობდი რაღაც იძულებას, შებოჭვას, ანგარიშის გაწევის აუცილებლობას — რაც თავისთავად ჩემს ქვეცნობიერში ილექებოდა და გროვდებოდა ისე, რომ მე წარმოდგენაც არ მქონდა მისი სიკვდილით გამოწვეული ჩემი წუთიერი სილაღე თუ სიხარულის მაგვარი ამჩატება სწორედ ქვეცნობიერიდან გათავისუფლებული უარყოფითი ენერგიის ბრალი რომ იყო, რომელსაც მე უკვე ვეღარ ვაკონტროლებდი და ფეხებს ლამის ჰაერში ვაბიჯებდი, თითქოს მიწის მიზიდულობის ძალას ადრინდელი სიმძიმით აღარ ვემორჩილებოდი. ათი დღის მანძილზე ვებრძოდი საკუთარ თავს, რათა ადამიანის სიკვდილი ადამიანის სიკვდილად აღმექვა, რომ ამით საკუთარი თავისთვის ზიანი არ მიმეყენებინა, არ დამრღვეოდა ის სულიერი წონასწორობა, რომლის გარეშეც სულიერი ენერგია იშრიტება და ადამიანის არსებობა საშიშ ფაზაში შედის. ხშირად ვლოცულობდი მისი სულის საოხად, ისე ხშირად, ვიდრე, ბოლოს და ბოლოს, გულწრფელად არ შემებრალა იგი ყველაფრის გამო, თუნდაც იმის გამო, რომ ძალიან ბევრი მისი კოლეგა ასეთივე სიხარულით იყო შეპყრობილი და ეს კიდევ მიმძაფრებდა სინანულს, ლოცვით რომ მოვიპოვე. თან იმასაც ვფიქრობდი, რომ თუ ამ კაცის უცაბედი სიკვდილის გამო გამოწვეულ სიხარულს თუ გათავისუფლების შეგრძნებას ვერ დავძლევდი, საერთოდ აზრს კარგავდა ჩემი მომავალი ლიტერატურული მცდელობანი და საერთოდ დავკარგავდი იმ მთავარს — საიდანაც ჯერ კიდევ შეიძლებოდა მიმეღო სასიცოცხლო იმპულსები — არ შემეწყვიტა ის გამუდმებული კავშირი პირველწყაროსთან, რისი მეშვეობითაც სული უწყვეტლივ ვითარდება — და რომ მისი ყურადღება აუცილებელია და რომ ერთადერთი მასწავლებელიც ის არის, ვინც ისეთ ცოდნას ასხივებს, რომელსაც ადამიანები იშვიათად წვდებიან, რომ ასეთი მასწავლებელი საუნივერსიტეტო აუდიტორიებსა და სასკოლო კაბინეტებში ლექციებს კი არ კითხულობს, არამედ გველოდება ჩვენ, რათა უფრო ღრმად ჩავწვდეთ იმას, რაც ყოველ ნაბიჯზე და ჩვენს თვალწინაა და, რაც მთავარია, ჩვენშია და ელოდება თვითშეცნობას, რათა ყოველი აღმოჩენის მერე — უფრო და უფრო ღრმად მოგვეჩვენოს ან სულაც ამოუწურავად ჩავთვალოთ ის, რისი შეცნობაც მოვიწადინეთ. ამისათვის კი ღირს სიცოცხლე, რომელიც, რა თქმა უნდა, თანდათან, ფიზიკური სიკვდილით მთავრდება, მაგრამ ამ უმკაცრეს აზრს ხომ უნდა მიეჩვიოს კაცი. სიცოცხლე ხომ იმისთვისაც ეძლევა ადამიანს, რომ სიკვდილის რაობაც შეიგრძნოს და დასძლიოს ის შიში, რომელიც სულს არ ემუქრება.

ჩემი ნათქვამი შეიძლება აბსურდად მოეჩვენოს ბევრ თქვენთაგანს, მაგრამ ამის შეცნობის გარეშე, შეცნობისკენ მარადი სწრაფვის გარეშე — სიცოცხლეს სიცოცხლე არა ჰქვია. იგი, ვინც არ შეიცნობს, არ შეიმეცნებს, წლების მანძილზე თავის თავში აგროვებს უარყოფით ან დადებით, მაგრამ გამოუყენებელ მუხტებს, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, თვითგანადგურების უხილავ ჭურვს ემსგავსება და საათის მექანიზმსაც თვითონ აჭერს ხელს მავანი, რომელიმე გაუცნობიერებელი ქმედების, საქციელის ან განწყობის მეშვეობით.

* * *

ამ ჩანაწერებს მხოლოდ ერთი აზრი აქვს: მივყვე ფიქრის დინებას, ჩაუწერლადაც რომ მოდის და იკარგება. რადგან ვიწერ, იმის ილუზიასაც ვიქმნი, რომ მომავალში ვიღაც წაიკითხავს, იქნებ არც წაიკითხოს, მაგრამ მთავარი ეს არ არის. მთავარი ის გახლავთ, რომ მე შევეჩვიე ფიქრისა და წერის სინქრონიზაციას, აზროვნების წერილობით გამოხატვის აუცილებლობას — ანუ ერთგვარ თამაშს, რომელსაც ისევ შეუძლია შემითრიოს ღრმა წყვდიადში ან თაკარა მზეზე გამომიყვანოს, სრულიად უკომპლექსოდ, გარეთ, სხვათა სახილველად და საჩხრეკად გამოფინოს ჩემი ნააზრევი, ხან შემაკრთოს ამა თუ იმ პასაჟის სიზუსტემ, ხანაც ხასიათი გამიფუჭოს საკუთარმა უმწეობამ. დიახ, ეს თამაშია და თამაშში ისე გადის დრო, რომ ვერც კი ვამჩნევ, გადის თუ არა საერთოდ, და სწორედ მაშინ ისე ვერწყმი დროს, რომ ვერც კი ვგრძნობ ჩემი თავის შექცევისა და დროის თანხვედრას, თუმცა თანხვედრა იმას არ გამოხატავს, რისი თქმაც მინდოდა, სწორი იქნებოდა მეთქვა: მე და დრო ერთად გავდივართ ან იქნებ საერთოდ არც გავდივართ, რადგან ერთ მთლიანს წარმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვადგენთ და თუ დროდადრო ისევ მე ამოვყვინთავ არსად მიმავალი დროიდან, მხოლოდ იმიტომ, რომ გარეთ მიტყუებს — სადღაც მიმავალი სულ სხვა დრო-ჟამი — წარმავალი: სურვილებისა და ყოფითი პრობლემების სამყარო, ზედაპირული ფუსფუსი, გარედან მოსული ადამიანები, სულ ერთია ახლობელნი არიან ისინი თუ არა. მაგრამ სულ სხვაა, როცა ჩემსა და ჩემი დროის მთლიანობაში ამოყვინთავს ვინმე, ისიც იმავე მთლიანობის ნაწილი, ნაწილი კი არა, დაუსაბამო მთელში შერწყმული სული.

ჩემთვის მერამდენედ აღმოვაჩინე, რომ დაუსაბამო სამყარო — დაუსაბამო მთელია და ყოველი ცვლილება, რაც ამ უსასრულო მთლიანობაში ხდება, მარადიულ ურთიერთკავშირშია და რომ სულით ნათესავის პოვნაა მთავარი, სხვა ყველაფერი უაზრო თანაცხოვრებაა, თუ ამ თანაცხოვრებისას ათასში ერთხელ თვალი თვალს რომ შეხვდება, იმ სხივის ნამცეცს მაინც არ წააწყდება, რომლის სათავეც — სადღაც უცხო ასტრალია — ან ის ასტრალური სივრცეა, ჩვენი ურთიერთკავშირი რომ განაპირობა.

არა, მისტიკაში გადაჭრას სრულებით არ ვცდილობ, ეს ასეა და კაცი ვერ დამაჯერებს, რომ არსებობენ ადამიანები, რომელთა ცხოვრების წესი უფრო ბიოლოგიურია ან უფრო ფიზიოლოგიურია და არსებობენ ადამიანები, რომელთა არსებობაც, უმეტესწილად, განპირობებულია სულიერებით და სულიერების პრიმატით.

*ჟამი მივია, მოვია —*
*მუცოს — თორღვაის კარ ზედა.*

აი, ჟამი, რომელიც მუცოს თორღვაის კართან მიმოდის — თავის ჭირ-ვარამით და ომებით, სიყვარულით და სიძულვილით, საერთოდ, ყველაფრით, რაც ცხოვრებას სჩვევია თავისი ზედაპირულობით და წარმავლობით. ეს მუცო კი დგას, თორღვაის კარიც მკვიდრი და უცვლელია. ამ „კარის" იქით ჟამი მიდის და მოდის, ყოველგვარი წყვეტილობის გარეშე, მუდამ მიდის და მოდის — ხოლო მუცო და „თორღვაის კარი", თვითონ თორღვაიც სხვა დროსთან არიან შერწყმულნი, არსად მიმავალ დროსთან, რადგან ისინი ჯერ კიდევ არ დაშლილან და დაქუცმაცებულან, არ დანაწევრებულან, არ აჰყოლიან ამაოებათა ამაოებას და იქით იყურებიან, იმგვარი ფოკუსით უმზერენ სამყაროს, რომელიც, მართალია, მთლიანად არასოდეს მოიხილვება, მაგრამ იგი მუდამ დაუქუცმაცებელია და ერთიანი დაუსაბამო მთლიანობაა, უთვალავწახნაგოვანი და უთვალავსივრცოვანი უსასრულო კრისტალია, „უთვალავი ფერით" რომ სჭვივის და ყოველი სხივი, წახნაგის მარადიული ცვალებადობა და ურთიერთკავშირი — განსჯისათვის, წვდომისთვის, ჭვრეტისთვის აქეზებს ადამიანს და ისიც ნებით იძირება მასში და მხოლოდ ამ ჩაყვინთვის მეშვეობით აღწევს თავს დროს, მუდამ რომ მიდი-მოდის ყოველდღიურობისთვის დამახასიათებელი სიზანტით და ერთფეროვნებით.

ერთფეროვნება მაშინ წამოჰყოფს თავს, როცა კოსმიური მთლიანობისთვის დახურულია შენი სული და ერთი წვეთი ენერგიაც კი ვერ აღწევს შენამდე. ხოლო თუ შეერწყმი უსასრულო მთლიანობას, შენ ამ დროს თითქოს ცალკე რჩები, ეგრეთ წოდებული სახელმწიფოსა და ცხოვრების გარეშე, იმ პრიმიტიული მიზნების გარეშე, ბეჯითად რომ გაქუცმაცებენ დღითიდღე, როგორც წერაქვებმომარჯვებული ქვისმთლელები აქუცმაცებენ ვეება კლდეს.

მე არ მინდა, ამ ქვისმთლელებს ხელში ჩავუვარდე და ყოველდღიურად რაღაც ნაწილაკები ჩამოამტვრიონ ჩემს მთლიანობას, რომელიც აღიარებს მხოლოდ დაუსაბამო მთლიანობის მორჩილებას, რადგან ამგვარი მორჩილება ბადებს ჰარმონიული არსებობის შესაძლებლობას. გაუცხოებული და ნერვებდაწყვეტილი კაცობრიობა, ბოლოს და ბოლოს, აქეთკენ წავა, თუ არ წავა, დაიღუპება საკუთარი ავყიობისა და ეგოცენტრიზმის, ღმერთმებრძოლობითა და განდიდების მანიით ან სიმდიდრის მოხვეჭის ავადმყოფობით.

რას ვქადაგებ?! სწორი იქნებოდა მეკითხა: ვინ მაქადაგებს?!

აი, მთები — თრიალეთის ქედი. ალაგ-ალაგ ტყით დაფარული ფერდობები. გეოლოგებმა დაახლოებით იციან ამ ქედის წარმოშობის ხანა — ათასწლეული, მაგრამ მე ვიცი, რომ დროდადრო დაჟინებით შევყურებ ამ მთებს, რომლის ასაკი არ ვიცი. იმ ტყეებიდან დროდადრო კენტი სინათლე გამოკრთის. ვინ ცხოვრობს იქ? ვინ არის ის კაცი, ვინც იქ განმარტოებულა ან დაყუდებულა?!

იქნებ არც არავინ ცხოვრობს, არც არავინ დაყუდებულა და, საერთოდ, იქნებ მეჩვენება კიდეც, რომ იქ სინათლე ჭიატებს, მაგრამ ვიცი, რომ იმ ქედს ჩემი მეგობარი პოეტიც უყურებს:

*შორს ქედი მოჩანს თრიალეთისა,*
*ისევ ქანაობს იქ ქრიზანთემა,*
*სულ ცოტა ხანი და ამ სახლებში*
*აციმციმდება შუქი სანთლებად.*

ე. ი. ჩვენ დროდადრო გავხედავთ ხოლმე ამ ქედს — აწმყოში. წარსულშიც უამრავ თაობას შეუხედავს ამ ქედისათვის, ალბათ, მომავალშიც — სხვებიც შეხედავენ ამ ქედს — თრიალეთისას. უამრავთა მზერა შეაცივდა ამ ქედს — ეს პეიზაჟი კი ლამის უცვლელი დარჩა. მე შემიძლია დავიწყო საუბარი იმაზე თუ რამდენად გულგრილია ბუნება ჩვენს მიმართ, რომ იგი არ განიცდის ჩვენს ტკივილებს და არ იზიარებს ჩვენს სიხარულს, რადგან იგი არის თავისთვის, ჩვენს გარეშე, და მას შეუძლია მარად იყოს ჩვენს გარეშე.

ჩვენ განა შეგვიძლია სიცოცხლე იმ ადამიანების გარეშე, რომლებიც დროდადრო, ათასწლეულების მანძილზე ხედავდნენ თრიალეთის ქედს?! იმ აზრს შეგუებულნი, რომ ამ ქედს მომავალში სხვები შეავლებენ თვალს და ეს მილიონობით მზერა — საუკუნეებგამოვლილი, ზოგჯერ, ღამღამობით, მთლიანდება, შეკოწიწდება და ტყის სიღრმიდან გამოკრთის კენტად მოჭიატე შუქი.

ის შუქია ჩემი მგზავი.

### ავტორისაგან

სიმონის ჩანაწერების კითხვა, ცოტა არ იყოს, გამიჭირდა, მაგრამ მაინც ვერ შევეშვი, რადგან მაინტერესებდა ამ მარტოკაცის ბედი, რომელიც იქ, ორკესტრში, სადაც იგი მსახურობდა, სულაც არ ითვლებოდა გულჩათხრობილ და მარტოსულ კაცად, პირიქით, დროდადრო ზედმეტად ეგზალტირებულიც ჩანდა და თავისი პარტიის მოახლოებისას, რაც მას სხვებთან ერთად უნდა შეესრულებინა და, როცა არავითარი შანსიც არ რჩებოდა იმისა, რომ მისი ვიოლინოს ხმა — ორკესტრის სიმწყობრიდან გამორჩეული ყოფილიყო, სწორედ მაშინ სიმონი მთელი სხეულით ირწეოდა ვიოლინოსა თუ ვიოლინოს ბგერებთან ერთად და მისი ტანის რწევა მეტად აღიზიანებდა დირიჟორს და სიმშვიდისკენ მოუწოდებდა. სიმონის მცდელობა, მის სულსა და სხეულს ბგერებთან ერთად ემოძრავა თუ ეთამაშა, მუდამ კრახით მთავრდებოდა და ერთადერთს, რასაც გულმშვიდად ასრულებდა, მხოლოდ პიჩიკატო იყო, რადგან პიჩიკატოსათვის დამახასიათებელი წყვეტილი ბგერები (სიმონი ამას დანაყულ ბგერებს უწოდებდა) ვერც კი ასწრებდნენ მისი სისხლის აჩქროლებას და იგი პიჩიკატოს რატომღაც მხოლოდ ტექნიკურ საშუალებად თვლიდა, მაგრამ, როცა მელოდია მრავალხმიან ჰარმონიულ დინებას ერწყმოდა, სიმონი თავს ვერ იჭერდა და სხეულიდან ამოსვლას ლამობდა. მე ზოგჯერ ვესწრებოდი სიმფონიური ორკესტრის რეპეტიციებს, სიმონის ხათრით მიშვებდნენ დარბაზში და გასუსული თვალყურს ვადევნებდი მისი სხეულის რწევას, რითაც იგი ერთბაშად გამოირჩეოდა სხვათაგან. დარბაზის სიღრმიდან არ შემეძლო დამენახა მისი თვალები, მაგრამ წარმოდგენა კი შემეძლო იმ საშიშ ბრწყინვალებისა — მის მზერას რომ სინათლეს მატებდა და ძალაუნებურად შეჰყავდა თავის სამყაროში ყველა, ვინც მას ასეთ დროს თვალს მოჰკრავდა და უჩვეულო კაცის შთაბეჭდილებას კი ნამდვილად ტოვებდა. ვიდრე მისი ჩანაწერები ხელში ჩამივარდებოდა, მაშინ, როცა წარმოდგენაც კი არ მქონდა, რომ სიმონი ჩუმ-ჩუმად, თავისთვის წერდა, მორიგი შეხვედრისას, როცა მას შინ ვესტუმრე, ძალდაუტანებელი საუბრისას გამიმხილა, რომ აგერ უკვე ოცი წელია, რაც სიტყვებით თამაშობს, რომ მხოლოდ ვიოლინოზე დაკვრა მის სულს არ აკმაყოფილებს და დროდადრო ჩანაწერებს „აკეთებს" — ამ ჩანაწერებს უწოდებდა იგი სიტყვებით თამაშს. სიმონი პირველ სართულზე ცხოვრობდა, პირველი სართული საკმაოდ მაღალი იყო და შიდა კიბით ნახევარსარდაფში რომ ჩადიოდა — იქაურობას თავის ბუნაგს, მიკროსამყაროს, ზოგჯერ მსოფლიოსაც უწოდებდა. სარდაფში, რომლის ერთადერთი ფანჯარა მიწის პირას იყო გამოჭრილი, ერთი მაგიდა და ერთი ტახტი იდგა, სამიოდე ძველი სკამი, კუთხეში ჩასვენებული ვიოლინო და მაგიდაზე გაშლილი ნოტები და, როგორც მერე აღმოჩნდა — საიდუმლო ჩანაწერებით სავსე საქაღალდე, რომელსაც სიმონი, ჩემი ყოველი სტუმრობისას, ხელს სტაცებდა და სადღაც გააქრობდა, თურმე იქ ინახებოდა.

* * *

ყველაფერს დროითი დისტანცია სჭირდება. ეს ჩემმა ჩანაწერებმა მაფიქრებინეს. ვერც ერთი სიტყვის ჩაწერა ვეღარ მოვახერხე, თითქოს დავცარიელდი, ხოლო სიცარიელიდან ძალით ამოქაჩულ სიტყვებს არც არავითარი აზრი არა აქვთ და არც მეხსიერება ძალით რაიმეს მოგონება. დღეს ისევ ჩავძვერი ჩემს ბუნაგში — (სარდაფში), სადაც ხელს არავინ მიშლის. ადრეული ჩანაწერების ერთი ნაწილის ჩანიშვნა საკონცერტო დარბაზის ნახევრად ბნელ კუთხეში რომელიღაც სკამზე მიყუჟულმა ძლივს მოვახერხე. მერე მივხვდი, რომ წერით თამაშს გარკვეული სიმშვიდე და შესაბამისი გარემო ესაჭიროებოდა. საამისოდ კი ჩემი ბუნაგი მისწრება იყო. თავი პითაგორას მოწაფედ წარმოვიდგინე და მაგიდასთან გავისუსე. აქ, ბუნაგის კუთხეში, სადაც კედლები ერთმანეთს ხვდებიან, ჩემი ძველი მეგობარი ობობა ცხოვრობს. ისიც გასუსული ხის თავის ქსელში და რაღაცას ელოდება. ჩვენი მოლოდინი რაღაცით თითქოს ჰგავს კიდეც ერთმანეთს. მე ობობას ვუყურებ და ვეძებ სიტყვას, რითაც ჩემი ამბავი უნდა დავიწყო, ისიც უძრავად გაბარჯღულა და თითქოს ჩემგან მოელის რაღაც იმპულსს, ქსოვას რომ შეუდგეს. ასე ვზივართ გარინდულნი ორი მქსოველი, ვიდრე ერთმანეთი საერთოდ არ მიგვავიწყდება და ჩვენ-ჩვენ საქმეში არ ჩავიძირებით.

* * *

სწორედ ის დროა, ზუსტად ის განწყობილებაა, ყოველ წელს რომ მეორდება, თითქმის ერთი და იგივე დროს — ოქტომბერში, ჩახჩახა მზეში, როცა სიგრილით აღსავსე კამკამა ჰაერში იშლება რაღაც უხილავი, ოქროშეპარული ლაჟვარდისფერი ქსოვილი, ცალკე რომ არ ჩანს, ჰაერს რომ შეზრდია და მხოლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნიავის ოდნავ წამოქროლებაზე იგრძნობა მისი უხილავი ძაფები, სახეს რომ ეხება, ქუთუთოებს რომ ელამუნება — ისე კი, მთელ სივრცეში განფენილა მზით და შემოდგომით ნაქსოვი, მოგვირისტებული, აჭრელებული ფოთლების სურნელით გაჯერებული ქსოვილი და იგი ამოუხსნელი, ტკბილ-მწარე განცდის სათავედ ქცეულა, იმ ტკბილ-მწარე განცდისა, სულში რომ აღწევს გამჭვირვალე სინათლედ, ამოუხსნელი ძალით რომ ამთლიანებს დაკარგული დროის მიერ ხსოვნაში აღბეჭდილ წარუშლელ ნაკვალევს, როცა აღარ იცის კაცმა, სად დაემალოს გარედან, უსასრულოაიდან სულში ჩამოღწეულ თუ ჩაწვეთებულ განცდას, თვალებს რომ სინათლისფრად ანაღვლიანებს და აღრმავებს კიდეც, რადგან იქ, სიღრმეში ისევე ნათელი და ბუნდოვანია ყოველივე — როგორც სადღაც მზით განათებულ ცაში — ნათელი, მაგრამ ამავე დროს ბუნდოვანი, შეუცნობელი — ეს უფრო ზუსტი სიტყვაა, შეუცნობლობაა სწორედ ის სათავე, საიდანაც იშვა კაცობრიობა თავისი ჭირ-ვარამით და მოჩვენებითი ბედნიერებით, სიცოცხლის გაგრძელების წყურვილით და ამავე სიცოცხლის უარყოფის მცდელობით.

სწორედ ის დროა, ზუსტად ის დრო — და ამიტომაც დიდებულად მოჩანს მყინვარი, ისე შთამბეჭდავად მოჩანს, რომ მისი თოვლიანი კალთებიდან არეკლილი მზის ბრწყინვა თითქოს ჩემამდე აღწევს — იმის დასტურად, რომ მშვენიერებაზე საუბარი ამაოა, სიტყვებით ვერ აღწერ, ვერ შესწვდები და რომ იგი არსებობს ჩვენს დასამცირებლად, ჩვენი უმწეობის აღმოსაჩენად და, ამავე დროს, ჩვენს ასამაღლებლად, გასაკეთილშობილებლად. სად არის ის სიმაღლე, საითკენაც მივიწევ, მე ხომ უარი ვუთხარი უმწეოთა გზას, მუდამ ჩიხით რომ მთავრდება?! შეიძლება სულაც არა ჰქვია იმ მიზანს სიმაღლე; და ის მიზანიც — თვითმიზანი კი არაა, უფრო სრულყოფისკენ სწრაფვაა. სრულყოფისკენ სწრაფვა კი თანდათანობით ცხოვრებაზე უარის თქმას გულისხმობს. მენანება ამ უმშვენიერესი დღეების იმ სატუსაღოში გატარება, სამსახური რომ ჰქვია, იგი ხომ სრულყოფის ნაცვლად დღითიდღე ხელს უწყობს ჩემს დეფორმირებას, რადგან ცრუმოვალეობებს მორჩილებაში ვყავვარ და ცრუმოვალეობათა მორჩილება — ლამის ღვთისგმობასავით ჟღერს ჩემთვის.

* * *

ვერ დავეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ პეიზაჟი მხოლოდ პეიზაჟია, თუნდაც მომხიბლავი, მაგრამ ჩვენს მიმართ გულგრილი. თქვენ გჯერათ ასე, მე კი ვგრძნობ ამ მშვენიერ პეიზაჟებში დავანებულ უკვდავ სულს სიცოცხლისას და ვაი იმას, ვისაც ამის შეგრძნება არ შეუძლია, ვისაც მარადიული ენერგიის აღება არ შეუძლია ამ თითქოსდა სტატიკურ, და ჩვენს მიმართ გულგრილი სამყაროდან. იქ, სადაც ადამიანის სული ერწყმის ბუნების სუნთქვას — იქ, მუდამ რაღაც ფეთქავს ვარსკვლავისმაგვარი ან იმ ასტრალის ნათების მსგავსი, დაუსაბამო სივრცეს რომ გამოაღწია შენს სულთან შესახვედრად. ეს არ არის უბრალო იმპულსური კავშირი და ის ინფორმაცია, რაც ამ უჩვეულო, სხვისთვის უცხო კავშირშია ჩამალული — თანდათან მჟღავნდება სიტყვებში — და ეს სიტყვები ჩვეულებრივ ყოფით ამბებზე გადაჩვეულნი არიან საუბარს, ისინი სიღრმეს ბოლომდე გრძნობენ და ვისთვისაც უცხოა მსგავსი სულიერი მიბმა არა მხოლოდ პანთეისტურ სამყაროსთან, არამედ ამ პანთეისტური სამყაროს შემოქმედთან, ისინი ვერ გრძნობენ — ამგვარ სივრცეებგამოვლილი სიტყვების აალებად ხასიათს და მარად ცვალებად სიღრმეს...

სწორედ ის დროა, ოქტომბრის მზიანი დღეა და მოჩანს მყინვარი. ამ კრიალა, ოქროთი შეფერილ ლაჟვარდში იბადება რაღაც დიადი, ჯერ ჩემი ცნობიერებისათვის მიუწვდომელი, მაგრამ ერთი შეხედვით, ჯერჯერობით მაინც — იმ სასწაულთა შემკრები, რომლის ნამცეცები კვლავ ჩარჩენილან ჩვენს სიტყვებში.

* * *

ალბათ, არ ღირდა იმის ფურცელზე გადატანა, რაც ახლა უნდა გიამბოთ, რომ არა ერთი გარემოება: კერძოდ, ყურის, გნებავთ, თვალის მიჩვევა ყოველგვარ გაუგებრობაზე და მერე დუმილი, ვითომც არაფერი მომხდარაო — დაუშვებლად მიმაჩნია. ყოველ ბეჭდურ აზრს თუ აზრისმაგვარ გამონათქვამს ნამდვილად ვერ გავუკეთებ კომენტარს, მაგრამ როცა ლიტერატურის პრეტენზიით იწერება და მერე იბეჭდება რაიმე და რასაც ცუდი მაგალითის მიცემა შეუძლია დამწყები მწერლებისათვის, დუმილი არ ღირს, და მეც მზად ვარ, ჩემო მეგობარო, გაგაცნო ერთი პოეტის პატარა ლექსი, რომლის სათაურია „ამაოება ამაოთა"... ალბათ, უნდა ეწეროს

„ამაოება ამაოებათა"... ახლა ეს ლექსი ჩავიკითხოთ:

*ო, რა ცინიზმით და სიტლანქით ითელება*
*კაცობრიობის უკვდავება,*
*როცა საფლავზე ამოწვერილ სიმწვანეში*
*დაღოღავს მღილი,*
*ხოლო მიწის ქვეშ განისვენებს*
*თავად მოცარტი.*

სიმართლე გითხრათ, ამ ეგრეთ წოდებულ ლექსს ვერაფერი გავუგე, ყველაზე მეტად ის მღილი შემეცოდა, ავტორს რომ დაცინვის ობიექტად უქცევია. იმანაც შემაეჭვა, რომ მოცარტი სწორედ იმ მიწის

ქვეშ განისვენებს, სადაც ეს საწყალი მღილი დაღოღავს თავისთვის, უწყინრად და, ღრმად მწამს, არაფერს უშავებს და ვერც დაუშავებს მოცარტის გენიალურ სახელს, თუნდაც მისი ნეშტი სწორედ იქ განისვენებდეს. დავიწყოთ იქიდან, რომ მოცარტის ფენომენი, მოცარტის სიცოცხლე მის ნოტებში, საკონცერტო დარბაზებში, საოპერო თეატრებში გრძელდება და მოცარტი არის ყველგან, სადაც მისი მოსმენა შეიძლება და არა იქ, სადაც მისი ნეშტი განისვენებს. მოცარტის ნეშტი რომ საფლავში განისვენებს, ახალი ამბავი არ არის, არც ის არის უცხო, რომ საფლავის სიმწვანეში მღილები და მოაგურისფრო ხოჭოებიც დაქრიან. სად არის იქ „ამაოთა ამაოება?!" ეკლეზიასტე ცხოვრებისეულ, ამქვეყნიურ ამაოებაში გვარწმუნებს და არსად წამოსცდება სიტყვა სულით უკვდავების ამაოებაზე. ასე რომ, მოცარტის ნეშტს, ჩემთვის, როგორც მკითხველისათვის, ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სქელტანიან სანოტო რვეულს, რომელსაც გარკვევით აწერია, ვთქვათ: „ჯადოსნური ფლეიტა" ან სხვა რამ, გნებავთ, ცნობილი „რეკვიემი". სხეულებრივი ბედნიერების, ამქვეყნიური ტკბობის, მოხვეჭისა და ვერცხლის დაგროვების, თანამდებობრივი დაწინაურების, მეფეთა მიწიერი ყოვლისშემძლეობის წარმავალობას გვასწავლის ეკლეზიასტე და არა სულის უკვდავების ამაოებას, არა შემოქმედებითი გენიის ამაოებას. მოცარტმა ცეცხლი პრომეთესავით მოჰპარა ღმერთებს იმის დამადასტურებლად, რომ ცინიზმით და სიტლანქით არ ითელება „კაცობრიობის უკვდავება" — და თუ თავ-თავიანთ საფლავებში განისვენებენ რუსთაველი და შექსპირი, ბეთჰოვენი და მოცარტი, მიქელანჯელო და დანტე — ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მათი სხეულებრივი სიკვდილის გამო და მათ საფლავებზე აცოცებული მღილების თუ აგურისფერი, სწრაფმავალი ხოჭოების გამო — „კაცობრიობის უკვდავება" „ითელება" „ცინიზმითა და სიტლანქით".

ისიც საგულისხმოა, რომ მოცარტისნაირი გენიოსები იქ, კონკრეტულ საფლავებში კი არ განისვენებენ, მათი სულებით აღსავსე სივრცეები დაგვცქერიან და დროდადრო ჯადოსნური ფლეიტის კამკამა ხმას გაგვაგონებენ.

აი, მე ვიღებ ძველ გრამფირფიტას, ფრთხილად გადავწმენდ მტვერს, მოვათავსებ კრძალვით იქ, სადაც უნდა მოვათავსო — კიდევ ერთხელ ამოვიკითხავ წარწერას: მოცარტი — (ანუ მარადი ბავშვი) „ჯადოსნური ფლეიტა", ვაჭერ ღილაკს თითს და იწყება ის მართლაც ჯადოსნური სამყარო, რომლის დასაფლავებაც, მიწაში ჩაწვენა ნამდვილად არ მოხერხდება, მითუმეტეს, ხოჭოები და მღილები იქ ვერ შეცოცდებიან. იწყება ის, რაც ამქვეყნიურ ამაოებას გასცდა, რაც ამსოფლიურ ამაოებას აღემატება.

* * *

ფსევდო-ავანგარდი: ესენი ცდილობენ როგორმე გააკვირვონ საზოგადოება, უკიდურეს შემთხვევაში, შოკში ჩააგდონ, გააოგნონ, როგორმე დაუმტკიცონ ადამიანის არსებობის არარაობა, ყველაზე ბინძური და ბნელი ინსტინქტები ამოატივტივონ. ეს მათ ხელს აძლევთ — ასე უფრო იოლდება ყოველგვარი ამაღლებულის იგნორირება, აბუჩად აგდება, უარყოფა, დაკნინება. სულიერება ანაქრონიზმად ჩაითვალა. ადამიანი თითქოს მხოლოდ ორგანიზმია, რომელსაც გააჩნია ცხოველური ინსტინქტები, ბიოლოგიური მოთხოვნილებები, მაგრამ არ გააჩნია არც სამშობლო და არც ღმერთი. ეს ის ხალხია, რომელთაც მობეზრდათ დაშტამპული, ფსევდოსულიერების, ფსევდოპატრიოტიზმის — საერთოდ, ფსევდოლიტერატურის დახავსებული ესთეტიკა. ვიცი, რომ სწორედ ამ გულისამრევ, გაფუყულ და არაფრისმთქმელ, მონოტონურ აზროვნებას დაუპირისპირდნენ, მაგრამ სანაცვლოდ რა შემოგვთავაზეს — უხამსობის დაკანონება, მსოფლიო ლიტერატურული გამოცდილების იგნორირება. ერთმანეთს დაეჯახა ორი ურთიერთგამომრიცხავი პოზიცია — შეხედულება, ფსევდოესთეტიკა. ეს ბუნებრივი პროცესია — შვეული, რომელიც ჯერ კიდევ ქანაობს ამ ორ უკიდურესობას შორის და, საერთოდ, უკიდურესობათა შორის მოძებნის იმ მდგომარეობას, გამორჩეულ წუთს, როცა სრულიად გასწორდება და მაშინ ბევრისთვის გახდება ნათელი, რატომ იყო საჭირო უკიდურესობანი ლიტერატურულ თუ ფილოსოფიურ აზროვნებაში. უკიდურესობათა შორის არსებული დისტანცია — ის სივრცეა, სადაც მოძრაობას იწყებს შვეული და იგი მანამ ირწევა, ვიდრე არ მოძებნის ოქროს კვეთის მდგომარეობას.

და მაინც ყოველგვარი აკრძალვები და ძალადობა — თუნდაც ყველაზე უფრო რადიკალურ და უნიჭო ლიტერატურულ ექსპერიმენტებზე — დაუშვებელია. წარმატებული ლიტერატურული ექსპერიმენტი კლასიკად იქცევა, წარუმატებელი კი იმ მაკულატურას მიემატება, რომლის შეგროვებას და გადამუშავებას მეორადი ნედლეულის მწარმოებლები განახორციელებენ.

მაგრამ არსებობს ერთი საშიშროება: ყოველგვარი ზნეობრივის, ეთიკურის ხელაღებით უარყოფა და მის ნაცვლად ნებისმიერი სიშიშვლის, საჩვენებელი დაწყვილების თუ საჯარო ონანიზმის დამკვიდრების მცდელობა, ორგაზმის თუ ერექციის რაობაზე გაუთავებელი და უსაგნო ბჟუტური ამ ავტორთა ავადმყოფურ ცნობიერებაზე მიუთითებს, მაგრამ არის საშიში ტენდენციაც — როცა მათი „ნააზრევი" გარკვეული პროპაგანდის, მიბაძვის საშუალებად იქცევა — იმ გამოუცდელი მკითხველისათვის, რომელმაც არაფერი იცის კულტურის სულიერების შესახებ და ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა



ყოველგვარი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებული არსებები, თითქოს თავისუფლებას რომ ქადაგებენ, გვევლინებიან იმ ანარქისტებად, რომელნიც იმას აკეთებენ და იქ აკეთებენ, რაც და როდის მოეპრიანებათ. ამ შავთეთრი რეალობის ბოლო ერთია — ჩიხი, საიდანაც გამოსვლა მხოლოდ უკუსვლით შეიძლება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ჩიხსა თუ შეგნებულად დაარსებულ ჩიხებში, თანდათან მომრავლდება საროსკიპოები და ცისფერთა კლუბები, „ლესბოსელების" თავშესაფრები და ა. შ. ასეთი „ჩიხები" კარგა ხანია არსებობს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და მსგავსი საზოგადოებები წარმატებით აშენებენ ახალ სოდომსა და გომორს. ვისაც ძალიან სურს ასეთი ქალაქების აშენება, დაე, აშენოს, მხოლოდ თავისთვის, ჩვენს გარეშე და თავისი ნააზრევის მომხმარებელიც იქვე იპოვნოს.

მხოლოდ კომუნისტები არ იყვნენ ათეისტები და ღვთისმგმობელნი, კომუნისტები, რომელნიც ორშაბათობით, შეგნებულად და მხოლოდ ორშაბათობით, კრძალავდნენ პარტიულ ბოსებს. ამით ისინი მუდამ ხაზს უსვამდნენ თავიანთ ანტიქრისტიანულ ზრახვებს და მათი ქმედებები ანტირელიგიური პროპაგანდის ნაწილი იყო.

ღვთისმგმობელთა რიცხვი ჩვენშიც იზრდება, მასობრივი კულტურის ნარჩენებით გამოკვებილ ადამიანებში. ისინი არ კმაყოფილდებიან მხოლოდ იმით, რომ რაღაც გაიგეს იქ, სხვაგან, ახლა გადაუწყვეტიათ თავი მოიწონონ რაღაცის ცოდნით და პროპაგანდა გაუწიონ ფსევდონოვაციას (უხამსობას და ძალადობას) და თავიანთ რიგებში შეიტყუონ ის ახალგაზრდობა, რომელსაც ყოველგვარი დასავლური ეტალონი ჰგონია, სინამდვილეში კი ჩვენ ვხედავთ, როგორ მრავლდებიან ბრმა მიმბაძველები. ეს პროცესი მანამ გაგრძელდება, სანამ უმრავლესობისათვის საჩინო არ გახდება ამ მიბაძვის მხოლოდ და მხოლოდ კარიკატურული არსი.

ამ კარიკატურული ნიღბის იქით იმალება ტრაგედია იმ ადამიანებისა, რომლებმაც ღმერთი, ე.ი. ყველაფერი დაკარგეს. ამის შემდეგ — მორალისაგან გათავისუფლებულ ადამიანს შეუძლია, რაც უნდა ის გაუკეთოს საკუთარ სხეულს და მერე საკუთარი სხეულებრივი განცდები „ლექსებად" აქციოს, როგორც დასტური საკუთარი უმწეობისა.

* * *

უცნაური სევდა მეუფლება, როცა შემოდგომის ფოთლებს წვავენ. ამ დროს ყოველთვის მახსენდება ჰერმან ჰესეს ერთი პაწაწინა ჩანახატი — მახსენდება იმ ჩანახატის თუ ესსეს ხანშიშესული პერსონაჟი — შემოდგომის ნაღვლიან, მაგრამ ულამაზეს სამყაროს რომ ერთვის, გულწრფელად ცდილობს დაამტკიცოს, რომ სიბერესაც გააჩნია თავისი ხიბლი და მშვენიერება, როგორც ამ შემოდგომის ბაღს, სადაც მოხუც ცოლ-ქმარს გულდასმით შეუგროვებიათ ჩამოცვენილი ფოთლები და მხრჩოლავი კოცონი დაუნთიათ. ზუსტად ასეთივე ჰესესეულ სურათს წავაწყდი ამ დილით და ის თბილი სევდა ისევ განმეორდა სულში, რაც ჰერმან ჰესეს ჩანახატის კითხვისას განვიცადე. ჰესე თავის ჩანაწერში ჩვეულებრივ ამბავს მოგვითხრობს — ისეთ ამბავს, წაკითხვამდეც რომ ბევრჯერ მინახავს საკუთარი თვალით, მაგრამ მას მერე, რაც მისმა ოპუსმა მიიპყრო ჩემი ყურადღება — შემოდგომის ფოთლების შემგროვებლებს და ხმელი ფოთლებისგან კოცონის გამჩაღებლებს მხოლოდ ჰესეს პერსონაჟებად აღვიქვამ. ფოთლების ხვეტის, კოცონის გაჩაღების, ბაღის მშვენიერების აღწერა მხოლოდ იმიტომ დასჭირდა მწერალს, რომ თავი ენუგეშებინა, ჩვენც გავემხნევებინეთ (თუნდაც ნაწილობრივ), რომ ყოველ ასაკს — სიბერესაც კი, თავისი ხიბლი აქვს და რომ ეს ხიბლი, უპირველეს ყოვლისა, ბუნებასთან შერწყმით, თუნდაც ხმელი ფოთლების შეგროვებითა და დაწვითაც მჟღავნდება. რაღა ბევრი გავაგრძელო და, ამ დილით მიკროავტობუსის ფანჯრიდან მოვკარი თვალი — დიღმის პარკებში მხრჩოლავ კოცონებს და ხელცოცხიან მოხუცებს — რატომღაც ფოთლებს დასაწვავად მუდამ მოხუცები აგროვებენ, ისინი, ფაქტიურად, ხვეტენ ჩამოცვენილ ფოთლებს, — სინამდვილეში კი საკუთარ ტკბილ-მწარე განცდას აგროვებენ ერთ ან რამდენიმე ადგილას, მერე კი ცეცხლს უკიდებენ, ნახევრად ხმელი ფოთლები კი მთელი დღის მანძილზე ხრჩოლავენ — ცისკენ მიიწევენ ჯერ მუქ ბოლქვებად — მერე უფრო ფერმკრთალდებიან და ხის კენწეროებს აცდენილნი უკვე აღარ გამოირჩევიან მოწმენდილი ცისგან, მხოლოდ ალაგ-ალაგ, ტოტებს შორის, სადაც მზის სხივები აღწევენ — კვამლიც ლურჯ სვეტებად მოჩანს და ხეზე შერჩენილ ფოთლებს მათ ხვალინდელ ბედზე მიანიშნებს.

მეხსიერების თვალი რომ გადავავლო ჩემს წარსულს, უცნაურია, მაგრამ თითქმის არც ერთი ყოფითი ამბავი არ მახსოვს წვრილად — ან საერთოდ არ მახსოვს — არ ვიცი, რისი ბრალია, სუსტი მეხსიერების თუ იმ ყოფითი ამბების უმნიშვნელობისა და, რაც უფრო გასაკვირია, ჩემში ღრმად არის ჩაბეჭდილი უმძაფრესი შეგრძნებები შორეული ბავშვობიდან დღემდე და არა კონკრეტული ამბები.

მახსოვს ფერადი ყინულები, დილით, საბავშვო ბაღის ფანჯრის რაფაზე რომ გვაჩვენა მასწავლებელმა. ეს ქალი მეტად უცნაური ვინმე გამოდგა, ჩვეულებრივი ფერადი საღებავები წყალში გახსნა და სხვადასხვა ფორმის ჭურჭელში ჩაასხა — მერე ეს ჭიქები, ჯამები, პაწაწინა ქოთნები — ფერად-ფერადი სითხით სავსე, — ფანჯრის რაფაზე დატოვა. მეორე დილით — ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა,

როცა ფერადი ყინულები გვაჩვენა. რა სასწაულს გვიმზადებდა ზამთრის ის ღამე, არავინ იცოდა იმ მასწავლებელის გარდა, რომელმაც შეძლო და სამუდამოდ დამამახსოვრა თავი. სიმართლე გითხრათ, მისი არც სახე მახსოვს და არც ვინაობა, მახსოვს მხოლოდ ფერადი ყინულები და ზამთრის ის მშვენიერი დილა, როცა გაყინული ფერების ბრწყინვა თვალებს გასცდა და სადღაც უფრო ღრმად ჩაილექა ჩემში. მოგვიანებით მივხვდი: ჩემი გონება ისე იყო მოწყობილი, რომ ყოველდღიურ ერთფეროვან, უმნიშვნელო ამბებს გვერდს უვლიდა და მხოლოდ იმას ისაკუთრებდა, რაც სულში აღიბეჭდებოდა. სულის მეხსიერება უფრო სანდოა და ყოველდღიურობაზე ამაღლებული, ის ყოველდღიურობიდან გამორჩეულ, მკვეთრად განსხვავებულ მოვლენებს იმახსოვრებს. ეს მაშინ, და მერეც, — ათეულმა წელმა რომ ჭირი მოგვჭამა, და დღესაც, როცა შეგრძნებათა და შთაბეჭდილებათა მთელი კალეიდოსკოპია ჩემში დაგროვილი — ისევ გულწრფელად ვნატრობ — ვინმე ბრძენ ტიბეტელ, ჩინელ ან ინდუს მასწავლებელს, ზოგჯერ დერვიშსაც კი, ვისაც შეუძლია მაზიაროს იმ საიდუმლოებებს, რომელიც მატერიალისტური ჩხირკედელაობით არასოდეს მიიღწევა და რომელსაც მარტოდმარტო დავეძებ, თუმცა მგონია, რომ არცთუ ისე მარტო, რადგან ჩაბრუნებული მზერა და თვითდაკვირვების უნარი მუდამ ახალ-ახალ სიღრმეებს მაჩვენებენ. ადვილად ვიმახსოვრებ ურთულეს მუსიკალურ ნაწარმოებებს, შემიძლია წავიღიღინო ან სტვენით შევასრულო — ბახი, მოცარტი, ბეთჰოვენი, მენდელსონი. შემიძლია თვალის ერთი შევლებით დავიმახსოვრო, თითქმის შევისრუტო გენიალურ მხატვართა ქმნილებანი და ჩემში სამუდამოდ ცოცხლობენ მათი ხილვით გამოწვეული შეგრძნებები — ვიდრე გრძელი და მოსაწყენი ამბები, სადაც ადამიანი ზუსტად იგივე საქმეებს აკეთებს, რასაც ყოველდღიურ ცხოვრებაში. ის, რაც ყოველდღიურ რუტინას არ აღემატება და სულის კუთვნილება არაა, ჩვეულებრივი მოსაბეზრებელი ცხოვრებაა, სულს რომ ახშობს, ნამდვილ სიცოცხლეს რომ გვწყვეტს და ამაოების გამოუვალ ლაბირინთში გვკარგავს უნუგეშოდ. ჩემთვის საბავშვო ბაღში, თიხის ქოთანში აღმოცენებული ხორბლის სიმწვანის ხილვა უფრო შთამბეჭდავი იყო, ვიდრე — მთელი სამოქალაქო ომი თავისი სისასტიკით და საშინელებებით. ამიტომაც მახსოვს ნაწყვეტ-ნაწყვეტ ის სიშლეგეები, დაღვრილი სისხლის გუბეები, ჩაქოლილი ადამიანები, დახვრეტილი მომიტინგეები — ანუ ის ხალხი — თავსმოხვეულ იდეებს რომ შესწირეს სიცოცხლე, რადგანაც ისინი იმ იდეების მორჩილნი გახდნენ, რომელთაც ღვთაებრივთან არავითარი კავშირი არ გააჩნდათ და ყველა საკუთარი კანონების ძალმომრეობით დამკვიდრებას ცდილობდა. ამ დროს ჩემს ბუნაგში — გაშლილი ნოტები — და ნიკაპთან მობჯენილი ვიოლინო, ფრთხილად შემართული ხემი — სიმებს რომ უახლოვდება — იმ სამყაროში გაღწევის ერთადერთი საშუალება იყო, რომელიც ჩვენს ზევით ან იქნებ ჩვენში არსებობდა და რომელიც ყველამ ერთად დაივიწყა. ჩემი სამუსიკო ვარჯიშის შემდეგ, ჩვეულებრივ, სიტყვებით თამაშს ვიწყებდი, — რაც შეიძლება ბევრს ვკითხულობდი, პოეზიას, საინტერესო პიროვნებათა ეპისტოლეებს, სახარებას, ამ ბოლო დროს აღმოსავლურ რელიგიებსაც ვეცნობოდი და მიკვირდა იმ ხალხისა, ყოველივე ამის გარეშე რომ არსებობდნენ, დღეები რომ დომინოს თამაშში ან ლოთობაში გაჰყავდათ ან ტელევიზორებთან რომ იძინებდნენ, ზოლიან პიჟამებში გამოწყობილნი.

ისეთ მასწავლებელს, მე რომ ვნატრობდი, ვგრძნობდი, ვერასოდეს მივაგნებდი და ამიტომაც მისი ძებნა საკუთარ სულში დავიწყე. ყოველდღიური სულიერი ვარჯიშები ახალ-ახალი წარმატებებით სრულდებოდა და მე იმედი მქონდა, ოდესმე საწადელს მივაღწევდი.

* * *

მე ისევ ჩავძვერი ჩემს მიწისქვეშეთში, როგორც ძველი პითაგორელი ან როგორც თვითონ პითაგორა, იმ სხვაობით, რომ პითაგორამ უძველესი გადმოცემების თუ ლეგენდების მიხედვით უდიდესი განათლება მიიღო ეგვიპტეში, ბაბილონში, ინდოეთში და ქურუმებთან განსწავლული ფილოსოფოსი ოცდაათზე მეტი წლის შემდეგ დაუბრუნდა იმ ქალაქს, სადაც თავისი სიცოცხლის მნიშვნელოვანი ნაწილი მიწისქვეშ გაატარა, მხოლოდ თავისი მსოფლმხედველობის განვითარებაზე ფიქრობდა და აღმერთებდა რიცხვებს; უარყოფდა, არ შეექცეოდა პარკოსანი მცენარეულობის მარცვლეულს და, როგორც ლეგენდა გვიამბობს, ახლოსაც არ ჩაუვლიდა პარკოსანთა ნათესებს (ლობიოს, მუხუდოს, ცერცვის ნათესებს), რადგანაც მიაჩნდა, რომ პარკოსანთა მარცვლებში ქარისა თუ ქარიშხლის ავი ძალა იყო ჩაბუდებული და მათი არათუ საკვებად გამოყენება, შეხებაც კი საშიში იყო. ჰერაკლიტე — იმ მდინარის აღმომჩენი, რომელშიც მეორედ ვერასოდეს შეხვალ — ან, უფრო სწორად, აღმომჩენი იმისა, რომ ერთი და იგივე წყალში ორჯერ ვერ შეხვალ, ქირქილებდა პითაგორას განსწავლაზე, თუმცა მის განსწავლას არ უარყოფდა; მაგრამ აღნიშნავდა, დიდმა ცოდნამ მაინც ვერაფერი ასწავლაო. ვინ იცის, ვინ იყო მართალი — პითაგორა თუ ჰერაკლიტე?! ე, ყოველ შემთხვევაში, ამის გარკვევა არ მინდა, ის კი მომწონს, პითაგორელები რომ ისე ძილს არ მისცემდნენ თავს, თუ სამჯერ მაინც ძილის წინ ღრმად არ გააანალიზებდნენ, რა გააკეთეს და რა დარჩათ გასაკეთებელი დღის მანძილზე, რა მოასწრეს და რა უნდა მოესწროთ მომავალ დღეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა



როცა ზღვის პირას მზის ამოსვლას შეეგებებოდნენ.

დღეს ბევრი ვერაფერი მოვასწარი. მივხვდი იმას, რომ ჩემი ჩანაწერები ორად უნდა გაიყოს, უმრავლესობა დღისით, მიწის ზევით, ჩვეულებრივ სამსახურის ოთახში იწერება, ხოლო უფრო მცირე ნაწილი ღამით, ჩემს ბუნაგში — ჩემი მეზობელი ობობას თანდასწრებით, როცა ისიც გამალებით შრომობს და ისიც ისეთივე რუდუნებით შოულობს ძაფს თავის თავში, როგორც მე სიტყვებს ჩემს გონებაში, გულში, სისხლში, სულში — მოკლედ, სიმართლე რომ გითხრათ, თვითონ არ ვიცი, სად, რადგანაც სიტყვები ცდილობენ რაღაც იდუმალი, ინტუიტიური ინფორმაცია ამოსწოვონ არა მხოლოდ სხეულიდან, არამედ იმ სივრციდან, რომელსაც ჩემდა გასაკვირად მე ვფლობ და ჩემდა გასაკვირად გარკვეულ კავშირებსაც ვგრძნობ იმ სამყაროსთან, სიტყვის მეშვეობით რომ ვუკავშირდები და, თუ წარმოვიდგენთ ვიზუალურად, შორიდან, ალბათ, იმ ობობას ვგავარ, თავის ქსელებს რომ აბამს კედელსა და კედელს შორის და გადასაადგილებელ მანძილს, სანადირო სივრცეს დღითიდღე იგრძელებს.

* * *

შეიძლება იქ აღარავინ იყოს, ალბათ, ვერ მივუსწრებ, აქამდე ხომ ყველაფერი დასრულდებოდა, დაიშლებოდნენ, თითო-თითოდ, ჯგუფ-ჯგუფად, წყვილ-წყვილად შეუერთდებოდნენ ქალაქის ხმაურიან ქუჩას — და მოკლე ხანში განიწოვდა კიდეც ქალაქის სტომაქი — ვოლტორნებს, კლარნეტებს, ორკესტრის კამერტონს — ჰობოის, პიკოლოს და ინგლისურ საყვირს, არფას და, რაც მთავარია, დირიჟორს, რომლის თავშიც ყველა საკრავის დიაპაზონი და ტემბრია შეგროვილი, გამთლიანებული. ყველა თავისი გზით წავიდოდა, აწმყოში ჩაიძირებოდნენ, ჩვეულებრივ ყოფაში გაითქვიფებოდნენ. რეპეტიციის შემდეგ, ღვთაებრივი მუსიკის, მეტაფიზიკური სიმწყობრის შემოქმედნი — ჩვეულებრივ ადამიანებად გადაიქცეოდნენ, ისეთ ანეკდოტებს მოუყვებოდნენ ერთმანეთს, ისე გაჭორავდნენ ვინმეს ან ფულზე წუწუნს ისე მოჰყვებოდნენ, რომ უცხო კაცს გაუკვირდებოდა — ერთად შეკრებილნი, მცირე პაუზის შემდეგ, დირიჟორის ხელის კარნახით, როგორ გარდაიქმნებოდნენ ეს ჩვეულებრივი ადამიანები იმ კოსმიური მუსიკის შემსრულებლებად, რომლის არსებობა ახლა თითქოს აღარც ახსოვდათ. დროებით, გარეგნულად მაინც ასე ჩანდა, უმუსიკოდ, უიმსამყაროდ დარჩენილნი, უფრო ჩვეულებრივნი და საცოდავებიც კი ჩანდნენ, ვიდრე სხვა მოქალაქეები: მეწვრილმანეები თუ მეწაღეები, მეთუნეები თუ მასწავლებლები, კიბესთან ჩამომსხდარი მათხოვრები თუ მაწანწალა ბავშვები — ზედახორას რომ გადადიან ხალხით სავსე ქუჩებში.

არა, იმ მუსიკას ან ესენი არ ქმნიან, ანდა, როცა ქმნიან, ისინი სხვები არიან. მათი ასეთი სწრაფი მეტამორფოზა სიმონს ყოველთვის აფიქრებდა და ვერ აღმოეჩინა ის მიზეზი, როგორ შეეძლოთ მის კოლეგებს ასე სწრაფად შეესრულებინათ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობა და მერე ბრბოში ისე გარეულიყვნენ, რომ კაციშვილს ვერ გამოერჩია ისინი იმ ქაოსიდან, სადაც ამქვეყნიური ცოდვა-მადლი, ავაზაკობა თუ კეთილშობილება ერთმანეთში იმდენად იყო ალუფხული, რომ მუსიკისათვის ერთი ბეწო სივრცე არ რჩებოდა; სერიოზულ მუსიკას გულისხმობდა სიმონი, თორემ ქალაქში ყოველ ნაბიჯზე გაჰყვიროდნენ ხმაჩახლეჩილი იდიოტები ნაირ-ნაირ კუპლეტებს, უგემოვნო დუეტებს, — „დამწვრის“ რეპერტუარიდან.

ასე რომ, სიმონმა რეპეტიცია გააცდინა — გული არ დასწყვეტია, რომ გააცდინა, შემოდგომის ამინდმა შეიყოლია და ნელა მიაბიჯებდა ცენტრალურ ქუჩაზე, ყურს უგდებდა გამვლელთა წყვეტილ საუბარს — მანქანების ხმებს და იქით მიიწევდა, სადაც გადასასვლელთან ქუჩის მუსიკოსი საქსაფონზე გერშვინის ცნობილ მელოდიას ასრულებდა არცთუ ცუდად. სიმონს სხეულში სასიამოვნო ჟრუანტელმა დაუარა, ერთიორად ამაღლდა და მყისვე მიხვდა, რომ ეს სიმაღლე მასში შემოღწეული გერშვინის სიმაღლე იყო და თუ ამ წუთში ამ შავ ყოფას რაღაცით აღემატებოდა — ისევ და ისევ მუსიკის წყალობით. სიმონი ცოტა ხანს შედგა — ახლოდან გერშვინი მაინც სხვაგვარად მოესმა, მისი ყურისთვის უცებ გახდა ცნობილი ყველა საშემსრულებლო ხარვეზი, რაც ქუჩის ახალგაზრდა მუსიკოსის შესრულებას თან ახლდა. ერთი კი იფიქრა, საქსაფონზე დამკვრელისათვის მიეთითებინა, სად ჯობდა ლეგატო უფრო შეუმჩნეველი ყოფილიყო — სად გაემძაფრებინა მახვილი, რომ „დეტაშეებიც“ დასახვეწი ჰქონდა და რომ ზედმეტი „ტრელები“ აზიური მუსიკის საკუთრება იყო, მას, ახალგაზრდა მესაქსაფონეს — ამ სომხურ-თათრული მინარევებისაგან უნდა ეხსნა გერშვინი, მაგრამ სიმონმა გადაიფიქრა „სისრულეში მოეყვანა“ თავისი განზრახვა — ხურდა ფული მოკრძალებულად ჩაუგდო ქუდში და დაშორდა იმ წერტილს, საიდანაც გერშვინი ესმოდა, დაშორდა იმ მანძილზე, საიდანაც უკვე ხარვეზები აღარ აღიქმებოდა და ცდილობდა, დაებრუნებინა ის სიმაღლე, ათიოდე წუთის წინ რომ იგრძნო, მაგრამ ამაოდ. გაცდენილი რეპეტიცია აღარ აფიქრებდა და იმ უბნისკენ აიღო გეზი, სადაც მანქანები თითქმის არ დადიან და სადაც ერთ-ერთი სახლის მეორე სართულის ღია ფანჯარასთან ოდესღაც ბახის მუსიკამ მიიყვანა. მართალია, ფანჯრები დახურული დახვდა, მაგრამ მაინც სიამოვნებდა იმ პატარა ბაღის თვალის შევლება, გეორგინები თავის ყვავილობას უკვე ასრულებდნენ და სახლის კედლებზე აცოცებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა



სუროში ჟამი-ჟამ შაშვის ყვითელი ნისკარტი გამოკრთებოდა, მაგრამ სიმონს ღრმად სწამდა, რომ ამ სახლის კედლებში ახლაც სუნთქავდა ბახი და ლურჯი, გამჭვირვალე ჰაერი თითქოს ელოდა პირველ აკორდს, რომელიც ჭუნებლიეთ გამოაღებდა ფანჯარას და გარეთ — ამ მზიან ამინდში — იდუმალი ოთახიდან გამოაღწევდა — ის დაუსაბამო სამყარო, ქალაქს რომ თავის სუნთქვაში მოაქცევდა და მოწუსხავდა.

* * *

აღარც არავინ რეკავს, არც არავინ მოდის. ლოგიკურია. ყველა თვითონ, თანდათან ჩამოვიცილე. ზედმეტ სიახლოვეს ვერ ვიტან. მალე მწყინდება, რაღაცას ვიმიზეზებ და ვტოვებ მოსაუბრეს, მაგრამ გამუდმებული მარტოობაც აუტანელია ისევე, როგორც გამუდმებული სიახლოვე თუნდაც უსაყვარლეს ადამიანთან. რა არის ეს, თუ არა სიშლეგე, საკუთარ მოუსვენრობასთან ბრძოლა?! მაგრამ, სიმართლე გითხრათ, მე ამას უკვე შევეჩვიე. კარგა ხანია, ერთმანეთისაგან ვმიჯნავ საზოგადოებრივსა და სხვაგვარ, საკუთარ, თავის თავში ცხოვრებას. მე რომ არ გავმიჯნო, ისინი მაინც უარყოფენ, უფრო სწორად რომ ვთქვა — გამორიცხავენ ერთმანეთს. მათი შეხების წერტილი არაერთხელ მომისინჯია. ვთქვათ, ნალოლიავები და სისხლის კარნახით აღმოცენებული რაიმე ნააზრევი საზოგადოებაში გამიხმოვანებია — სხვების გასაგონად ხმამაღლა მითქვამს და პასუხად ირონიული ღიმილი ან გაკვირვებული, გაუგებარი დუმილი მიმიღია. ეს იქნებ იმის მიზეზიცაა, რომ საზოგადოებრივ გარემოცვაში ჩემი ხმის ტემბრი კარგავს იმ სწორ ტონალობას, რომელიც სიტყვებს დამაჯერებლობას მატებს და თვითონ სიტყვების შინაარსიც, სულის სიღრმეში რომ გაჩნდა თავის დროზე, უმწეოდ ჟღერს ზედაპირულად ბედნიერ საზოგადოებაში, სადაც მუდამ ყალბი პათოსია გაბატონებული და ყალბი პათოსის ფონზე სულისმიერი სიტყვები ისე უმწეოდ გაისმის, რომ მას ყურსაც არავინ უგდებს. სიყალბეზე დიდი მოთხოვნილებაა — ეს არ არის მხოლოდ ამ დროის ნიშანი. დასაბამიდან ასე იყო და მე არ მიკვირს, რომ სულისმიერი სიტყვები უნდა მალო, უკიდურეს შემთხვევაში, ჩაწერო, თუნდაც იმის საკომპენსაციოდ, რომ ამ ყრუ ქვეყანაში გულგახსნილად ვერავის ესაუბრები და წერისას საკუთარ თავთან გაბაასება მაინც უხდება ადამიანს. სულის სიღრმიდან იმგვარი განცდები ამომყავს, რომელთა იქ ჩატოვება, ალბათ, უარეს შედეგს გამოიღებდა და საკუთარ თავსაც კი გავუუცხოვდებოდი თანდათან. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ჩემს ნაწერს ვინმე ოდესმე წაიკითხავს და ოდესმე მიაღწევს იმ ინდივიდამდე, სულის ნათესავად რომ ვთვლი და რომლის არსებობაშიც ეჭვი არ მეპარება.

ყოველი წვეულებიდან განადგურებული, გამოფიტული და დაცარიელებული ვბრუნდები. ამის მიზეზი ხალხმრავლობაა და ის ყალბი ურთიერთობები, ნორმად რომ იქცა ჩვენს საზოგადოებაში და დათრგუნვის მიზეზიც და თავიდათავი ესაა. ასეთი ხალხმრავალი შეხვედრებიდან შინდაბრუნებული დაქანცული ვწვები გულაღმა და გულში ვლოცულობ, რათა ლოცვის მეშვეობით მოვახერხო ჩემს ინდივიდუალურ ცხოვრებაში შეღწევა და ისევ გამეხსნას ის სივრცე, საიდანაც ზებუნებრივი ენერგია შეუმჩნევლად ჩაედინება ჩემში, და ამგვარი გარინდვა გრძელდება მანამ, ვიდრე ხელახლა არ ვიგრძნობ სისავსეს და სულში არ გაფაჩუნდება ის შეგრძნება, ახალი სიცოცხლისკენ რომ მიბიძგებს, რათა კვლავ არარად მომაჩვენოს ის ყოფა, გარეთ რომაა, ჩემს გარეშე რომ იხარშება საკუთარ ცოდვამადლში და აუცილებელ სიყალბეში. ზეიმზე შეგროვილი ხალხის თვალები ნახევრად უაზროდ, მაგრამ შეფარული დაკვირვებით აღჭურვილნი დასეირნობენ სახეებზე, ჩაცმულობაზე, ავეჯზე, გაშლილ სუფრაზე და თვალები იწოვენ ყოველგვარ ინფორმაციას, სავარაუდოს თუ ნამდვილს, ზებუნებრივს თუ უზნეოს, უფრო, ცხადია, ერთმანეთს უძვრებიან სულში და ეს მოარული ვამპირები ურცხვად ართმევენ ერთმანეთს ენერგიას და ხორხოცობენ, იპრანჭებიან, ანეკდოტებს ჰყვებიან, ვითომ ერთობიან კიდეც ამ თვალთმაქცური სპექტაკლის მონაწილენი.

დიდი დრო მჭირდება, რომ ამ სტრესულ მდგომარეობას თავი დავაღწიო. ასეთ დროს ბაღში გასეირნება მისწრებაა, თუ, რა თქმა უნდა, ვინმე არ გადამეყარა და პოლიტიკაზე საუბარი არ წამოიწყო. ჩემს პატარა ბაღში გეორგინის ბოლო ყვავილი ჰყვავის, მეტი კოკორი არც აქვს და რომც ჰქონდეს, ოქტომბერში, ალბათ, ყვავილობას ველარ მოასწრებს. ახლა გავალ გარეთ, თუმცა მეცოდება, მაინც მოვჭრი იმ ყვავილს, რადგან ქარისგან მოტეხილია ისედაც და ბალახებში აგდია, მაგრამ ისეთი თავდავიწყებით ჰყვავის, ისეთი თავდავიწყებით ჰყვავის, რომ, ალბათ, გრძნობს, რომ საბოლოოდ. ჰოდა, გეორგინის იმ ყვავილს მოვჭრი, ჩავდებ ლარნაკში, დავუწყებ ყურებას და ვიცი მერე და მერე — იმ ფსევდობალაგანიდან გამოღწეულს გეორგინის ყვავილი მომანატრებს უბრალო სამხმოვანებას ან ფლაჟოლეტს — ყოველგვარი ხორხოცის და პირმოთნეობის უარმყოფელს.

* * *

სამოქალაქო ომმა ისე ჩაიარა, სახლიდან თითქმის არ გამოვსულვარ — არა იმიტომ, რომ მეშინოდა, არა, საშინლად მძულდა ყოველივე, რაც გარეთ ხდებოდა — ეს გაბრიყვებული ადამიანები როგორ დასდევდნენ ერთმანეთს მოსაკლავად, როგორ იცხრილებოდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



თბილისის ღამე ავტომატების ჯერით, რა სახით გამოდიოდნენ ტელევიზიით სახეწაშლილი, თვალებ-ამღვრეული, დამნაშავის ჰაბიტუსის მქონე ქალაქის კომენდანტები, როგორ ჩაჯდნენ თოფ-იარაღში და რა გაჯგიმული დაალაჯებდნენ ქუჩებში ჩემი მეზობლები — ადრე რომ დომინოს თამაშსა და ლოთობაში კლავდნენ დღეებს და კაიბიჭობით მოჰქონდათ თავი. ეს საცოდავი არსებები უეცრად ისეთ საშიშ და დაუნდობელ ძალად იქცნენ პურის რიგებში გამოჩე-ნისთანავე, პურს რომ ურიგოდ იღებდნენ, გახსოვთ, ალბათ, მაშინ პური ჭირდა, მათი წესრიგის დაცვა სხვისი რიგის და უფლების მისაკუთრებაში გამო-იხატებოდა. ერთ იარაღიანს, არ ვიცი, რომელი პარ-ტიის თუ სამხედრო დაჯგუფების წარმომადგენელი იყო, გულწრფელად მოვუწოდე წესრიგი დაეცვა და ურიგოდ პურის აღებას ნუ იკადრებდა. პროტესტის გრძნობა მოულოდნელად გამიჩნდა — და თავი ვეღარ შევიკავე, ჩემი გულისწყრომა გამომეხატა. ფორმიანი კაცი მომიბრუნდა — ისე, რომ არც შემპასუხებია, ტანად ორი ჩემხელა იყო და ჩემი მაღაზიიდან გარეთ გათრევა არც გასჭირვებია, ხეზე მიმანარცხა, ცალი ხელით იარაღი შუბლზე მომადო და მეორეთი გამეტებით დამიწყო ცემა, არ ვიცი საიდან, მაგრამ ამასობაში სხვა შეიარაღებულებიც გამოჩნდნენ, ფეხქვეშ გამიგდეს და წიხლებით გადამიარეს. თვალი რომ გავახილე, მხოლოდ ვარსკვლავებს ვხედავდი, ცის ვარსკვლავებს კი არა, იმას, ტკივილი რომ აჩენს თვალებში. ტუჩებზე შემხმარი სისხლის გემოს ვგრძნობდი. იმ სისხლის გემოს და ტკივილისგან თვალებში ამოყრილ ვარსკვლავებს ერთი ავტორი ჰყავდა — ძალადობა, დაუსჯელი და ნებადართული ძალადობა, რომელიც მაშინ მართავდა მთელს ქალაქს და ამის შემხედვარე ხალხი ერთმანეთთან ჩურჩულს თუ ბედავდა მხოლოდ. ხალხი ბრბოდ იქცა — დაშინებულ და უაზრო ბრბოდ. ღამეებიც უმიზეზო სროლით იწყებოდა და დილამდეც კანტი-კუნტი სროლა, ავტომატების ან ტყვიამფრქვევის ჯერი მხოლოდ და მხოლოდ ერთ მიზანს ემსახუ-რებოდა, რაც შეიძლება სწრაფად დაეშინებინათ ხალხი, რაც შეიძლება სწრაფად გადაქცეულიყო ხალხი ბრბოდ. ხალხის ბრბოდ გადაქცევა არ გამო-დგა რთული საქმე — ახალი უკანონო კანონების დაკანონება წარმატებით გრძელდებოდა და ყოველ თანამდებობაზე, სადაც ფულის შოვნა შეიძლებოდა, იარაღიან ხალხს თავისი კაცები მიჰყავდათ და ამ ქაოსში ყოველგვარი პოლიტიკისაგან შორს მდგომი ინტელიგენცია და რიგითი, ჩვეულებრივი ადამიანები ისრისებოდნენ უმოწყალოდ, სწორედ ის ადამიანები, ერის სინდისს რომ წარმოადგენდნენ და რომლებიც თავიანთი პოლიტიკური პასიურობის გამო მკაცრად ისჯებოდნენ. სამართალს ვერსად იპოვიდი და გარეთ გამოსვლა ან სამსახურში წასვლა უაზრობა იყო. სასურსათო მაღაზიის გამგის მეშვეობით, რომელსაც კარგად ვიცნობდი და რატომღაც ჯერ კიდევ მცემდა პატივს — ერთი ტომარა ფქვილი, ათიოდე კილო შაქარი და რაღაც კონსერვები ვიშოვე და ჩემს ბუნაგში ჩავიკეტე ჭრილობებისა და ნაგვემი სხე-ულის მოსაშუშებლად. წინათ თუ ინდიფერენტულად ვიყავი განწყობილი ყოველგვარი პოლიტიკის მიმართ — ახლა თანდათან იზრდებოდა ჩემში პროტესტის გრძნობა და მე მთელი შესაძლებლობებით ვცდილობდი ჩემშივე ჩამეკლა ეს გრძნობა, რადგან ვიცოდი, რომ აზრი არ ჰქონდა არავითარ გაბრძო-ლებას. ერთადერთი, რისი მოხერხებაც შევძელი, ისევ საკუთარ თავში შევიკეტე და შევეცადე ყურადღება არ მიმექცია იმისათვის, რაც გარეთ ხდებოდა, მაგრამ ამის გაკეთება ლამის სიცოცხლის ფასად დამიჯდა, თანდათან ავითვალწუნე საკუთარი თავი და ლამის ლაჩრად შევრაცხე. უმწეობის გრძნობა უფრო და უფრო მტანჯავდა, მაგრამ ისიც ვიცოდი, თუ არ გავერიდებოდი ამ გაბოროტებულ კაციჭამიებს, ვერ მოვესწრებოდი იმ დღეს, როცა ამათი სისხლიანი თარეში უცილობლად დასრულდებოდა — ამ დღის მოლოდინი კი ღირდა.

ყოველ იდეოლოგიას თავისი პროპაგანდისტები ჰყავს, თუ ამ პროპაგანდაში სარფის შოვნა შეიძლება, მითუმეტეს. მეტად ადვილი იყო მეც მიმემართა სამხედრო საბჭოსთვის, მეშოვნა იარაღი და სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩავმდგარიყავი. მაგრამ ვისთვის უნდა მესროლა, ვინ უნდა მომეკლა — ბარიკადის ორივე მხარეს ქართველები იყვნენ, მაგრამ შეუიარაღებელი თვალითაც კი ჩანდა გონიერი კაცისთვის, რომ ორივე მხარე სხვა ქვეყნიდან იმართებოდა და გამარჯვებაც იმას დარჩებოდა, ვისაც გაამარჯვებინებდა სხვა ქვეყანა, ანუ რუსეთი, ავტორი ამ ბაკხანალიისა. ადვილად მოტყუვდნენ მამულიშვ-ილები და ათიათასობით დაბრმავებული ადამიანი აიყოლიეს. მიუღებელი იყო ორივე გზა, ორივე მხარე და ასე ვიქეცი თავად ორივე მხარისაგან უარყოფილ და დაწუნებულ ადამიანად. ჩემი საქმე კლასიკური მუსიკის უკეთ შესრულება იყო, ასე მეგონა ყოველთვის და ასე ვთვლი ახლაც. მე შემეძლო ბეთჰოვენის „ზაზუნა“ დამეკრა ადამიანთა ჯგუფისა-თვის და არ გამერჩია ერთმანეთისაგან, ცნობილი მელოდია ვის ყურებამდე აღწევს ან იმ ყურების პატრონი რომელი პარტიის წევრია, რა იდეოლოგია მიაჩნია სწორად და რა არა.

ორივე მხარის დედაც.... ისე გულიანად შევიგინე, რომ დირიჟორმა გაკვირვებისაგან პირი დააღო. ჩემგან გინება არავის გაუგია და იმიტომაც გაუკვი-რდა. დირიჟორმა კულისებში გამიხმო და, როგორც ორკესტრის წამყვან მუსიკოსს, ორგანიზაციული სიახლეები ყურში ჩამჩურჩულა: დღეიდან მთავარი დირიჟორი მე აღარ ვიქნები — აი, ის იქნება მთავარი დირიჟორი — უბანში რომ „ოღრაშას“ ეძახიან, მისი ნამდვილი სახელი იქნებ შენ მაინც გახსოვდეს — ახლა

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოიყვანენ, 2 საათზე — ჯაბას ბიჭები, მათი დანიშნულია და არ ვიცი, როგორ მივმართო — „ოღრაშას“ ხომ არ დავუძახებ!

— მაგან ხომ პარტიტურის კითხვაც არ იცის, მაგ მართლაც ოღრაშმა, თან მოთავებული ნარკომანია, როგორ შეიძლება მაგის მთავარი დირიჟორობა. ამ ხალხის ვერაფერი გამიგია. ისინი მედლოლეს ლამის მთავარ პროპაგანდისტად „ნიშნავენ“, ესენი მერყევი სმენის მქონე, ლამის უსმენო და უტვინო ნარკომანს მთავარ დირიჟორად. ორივე მხარის დედაც... მე მაგის დირიჟორობით არ დავუკრავ, ან რა უნდა იდირიჟოროს, კაცმა ნოტების კითხვა ძლივს ისწავლა, არც ერთ ინსტრუმენტს ხეირიანად არ იცნობს. ერთი მაგის დედაც... თქვენ რა, თქვენ სად მიდიხართ, თანახმა ხართ მთავარ დირიჟორობაზე უარი თქვათ?! მთავარმა დირიჟორმა მწარედ გაიღიმა და ისიც მაუწყა, რომ იგი დღეიდან რიგითი დირიჟორი იქნებოდა, ხოლო მე პირველი ვიოლინოს ადგილი კიტოვანის კაცისთვის უნდა დამეთმო. მას თურმე ქალაქის დაცვისას თავი გამოუჩენია და მისი დაწინაურება ზევით გადაუწყვეტიათ. გაოგნებისაგან გავშეშდი. ხმა არ ამომიღია, ჩავბრუნდი ორკესტრის „იამაში“ — ჩემი ნოტები ავალაგე, ვიოლინო ფრთხილად ჩავდე თავის ყუთში და შინისაკენ გავუყევი. გზაში რამდენიმე ადგილას გამჩხრიკეს, რა გიდევს ყუთშიო, გამახსენვინეს, ვიოლინოს დანახვაზე სიცილი დამაყარეს, ეი, შე ჩემის კომპოზიტორო, არ გაცივდე ან თითი არ გაგეჩხაპნოს, თორემ დავიღუპებითო.

* * *

ვრწმუნდები, რომ მართლა არსებობენ შველივით გოგოები. გოგოები-შვლები — ასე უფრო სწორი იქნება. ისეთი ლამაზები, ისეთი მშვენიერები არიან, რომ ჩვეულებრივი მდედრობითი სქესის მოდგმას ვერ მიაკუთვნებ. მათში ისეა გამოკვეთილი რაღაც არაამქვეყნიური წარმოშობის ნიშანი, რომ მათი აქ, ჩვენს გარემოცვაში ყოფნა თუ უეცარი გამოჩენა ჩემზე გამაოგნებლად მოქმედებს. ესენი, მე მგონი, დედის მუცლიდან არ იბადებიან და, თუ იბადებიან, აშკარაა იმ კეთილი და ყოვლისშემძლე თვალის თანამონაწილეობა „ამ შემოქმედებაში“, რომლის გარეშეც ჩვეულებრივ ადამიანებად დარჩებოდნენ.

*მინდორთა მამშვენებელო,*
*ვარდო გაშლილო ველადა,*
*სად მოიცალა იმ ღმერთმა,*
*შენი თვალ-წარბის წერადა?*
*ვინ მისცა საწერ-კალამი,*
*დაგხატა ათას ფერადა?*

ასეთ გოგოზე — არამიწიერი ნიშნით რომ არის აღბეჭდილი, ვერც კი გაიფიქრებ: „შენთანამც ყოფნით გამძღო, შენთანამც წოლა-ძილითა“. „გოგოები-შვლები“ — ამ ჩვენს რეალურ ყოფაში ზღაპრის პერსონაჟებივით გამოჩნდებიან ზოგჯერ, რათა უნებლიეთ შეგვახსენონ ჩვენი დამიწებული ცხოვრების, ყოველდღიურ საზრუნავში ჩაფლული ყოფის არარაობა. მშვენიერებას ნაზიარები კაცი იწყებს ფიქრს იმ ძალაზე, ყველაფერს და ყოველივეს რომ აღემატება, ღმერთზე, რომელმაც მოიცალა „შენი თვალ-წარბის წერადა“. და კიდევ ასეთი მოულოდნელი და პარადოქსული კითხვაც უჩნდება ამ ლექსის მთქმელს:

*ვინ მისცა საწერ-კალამი,*
*დაგხატა ათას ფერადა?*

ჰიპერბოლა თავის თავში — მკრეხელურ პარადოქსს შეიცავს — (ღმერთს ვინ უნდა „მისცეს საწერ-კალამი“?) — ყოველივე ეს ლექსის მთქმელს იმისთვის სჭირდება, რომ — „მინდორთა მამშვენებელი ვარდის“ არაამქვეყნიური, ღვთაებრივი თუ ზეღვთაებრივი წარმოშობა ირწმუნოს და სხვაც დააჯეროს. სხვაგვარად, ღვთის ჩარევის გარეშე, მსგავსი მშვენიერების შექმნა წარმოუდგენლად მიაჩნია.

ამ ლექსის მთქმელის გულუბრყვილობა გასაგებია ჩემთვის, რადგან მეც, ამ ლექსის წაკითხვამდეც, ბავშვობაში და მერეც, როცა ჩემმა პრაქტიკამ „ქალის საკითხში“ აპოგეას მიაღწია, დამოუკიდებლად ასევე ვფიქრობდი და კარგა ხანს მშვენიერ სქესს ორ ნაწილად ვყოფდი. მჯეროდა, რომ ერთნი მხოლოდ მიწიერი სიყვარულისთვის, პოპულაციისთვის იბადებოდნენ, ხოლო მეორენი, უფრო მცირენი და იშვიათნი, ღვთის ხელდასხმულნი იყვნენ. პოეზიის განსაკუთრებული სიყვარულიც ასეთი ქალის ბუნებაში უფროა განფენილი, ვიდრე ცხოვრებისეულ ჭუჭყში თავჩარგული არსებისათვის. არავის ვამცირებ, მაგრამ სხვაობა მუდამ საგრძნობია, ეს სხვაობა ყოველთვის არსებობდა და მუდამ იარსებებს.

ისინი აღვიძებენ პოეტურ თუ მუსიკალურ იმპულსებს ჩემში და ამ ლამაზი ბიძგების გარეშე მათი თვალებიდან გამომზირალი პოეზია სიტყვებად ვერ გარდაიქმნება. სკეპტიკოსი ოპონენტი შეეცდება მიმითითოს ქვეცნობიერზე, ლიბიდოსა და სუბლიმაციაზე, მაგრამ მე მაინც ვამჯობინებ, ღვთაებრივ სილამაზეს მეცნიერული ახსნა არ მოვუძებნო, რადგან არცთუ იშვიათად ფსევდომეცნიერული კვლევა — ყოვლისმცოდნეობის პრეტენზიით რომ მოქმედებს — ნაგვის გორად აქცევს ნებისმიერ მშვენიერს და ამას ახალი ესთეტიკის მოთხოვნით გაამართლებს.

ვგრძნობ, რომ ჩემი დამოკიდებულება მშვენიერების მიმართ კი არ წაირომანტიკულებს, უბრალოდ, რომანტიკულია, ამიტომაც მთვლიან ძველმოდურ და ჩამორჩენილ ადამიანად ის ქალები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელთა გალმერთება მოვახერხე და რომელთაც მერე თვითონვე დავემორჩილე. ახლა აშკარად ვხვდები ჩემს დაშვებულ შეცდომებს და ამ დარგში ჩემი „საქმიანობა“ უფრო პრაქტიკული და გამოყენებითი ხელოვნებისთვის დამახასიათებელი ნიშნებით შეივსო. თუმცა გულისგულში მაინც ორ ნაწილად ვყოფ მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს და უფრო ხშირად ვრწმუნდები, რომ ის მეორე — „ზეციური ნაწილი“, მანამ არის მშვენიერი, ვიდრე მას ხელით არ შეეხები და ვიდრე არ... ამიტომაც, ჩემი დამოკიდებულება ქალებთან მუდამ ცვალებადია. მე თავს გადამხდა ხუთწლიანი სიყვარულის ამბავი, რომლის დასრულებაც ტრაგიკულად განვიცადე და მას შემდეგ, რაც X-ს დავშორდი, ხშირად ვიხსენებ ჩვენს ერთად გატარებულ ეპიზოდებს — შესაბამისი განწყობილების თანხლებით და თან ვცდილობ, ცივი გონებით გავაანალიზო ყოველივე, რაც მოხდა, მაგრამ მშრალ ანალიზს მაინც ვერ ვახერხებ. ცალკე მაქვს ჩაწერილი იმ მწარე დღეების ამსახველი დღიურები. დროდადრო გადმოვიღებ ხოლმე სქელტანიან რვეულს, თვალს გადავკრავ ცალკეულ აბზაცებს, სირცხვილის, უხერხულობის გრძნობა იმ დღიურების კითხვისას რომ მეუფლება, მაიძულებს, დავხურო რვეული, რათა არ გაცოცხლდეს ყოველივე ის, რაც ღრმადაა ჩემში ჩამარხული და საითკენაც ხანდახან თუ გავაპარებ თვალს, ისიც მაშინ, როცა რომელიმე მელოდია, ლექსის რომელიღაც სტრიქონი ან მისგან ნაჩუქარი ჰერბარიუმი უნებლიეთ ეხება სულს და მაშინდელ მდგომარეობაში მაბრუნებს. ის კი ვერ გამიგია, რად უნდა მეუხერხულებოდეს საკუთარი, ლამის აღსარებითი ხასიათის ოპუსების კითხვა მაშინ, როცა ჩემს გარდა არავინ იჭყიტება იმ რვეულში, არც არავის ესმის თვალით გადარბენილი სიტყვების აზრი. ვინ არის იგი, უხილავი თანამონაწილე ჩემი არსებობისა — ვისი კრძალვა და რიდიც მაიძულებს, გადავდო რვეული და როგორმე თავი დავაღწიო უხერხულობის, სირცხვილის გრძნობას. ახლა რომ ვუკვირდები მაშინდელ „დღიურებს“, ალბათ, იმიტომ მრცხვენია, რომ მე იქ სრულიად ვაშიშვლებ საკუთარ განცდებს და ისე უმწეოდ გამოვიყურები, ისე უმწეოდ, რომ საკუთარი სიშიშვლისა მრცხვენია, ან კიდევ იმიტომ მერიდება იმ სტრიქონების ხელახლა წაკითხვა, რომ საკუთარი სენტიმენტალიზმი მაღიზიანებს და თან მეშინია იმის ამოტივტივება, რაც უკვე იყო. საკვირველია, მაგრამ ის X-ი ხომ ხუთი წლის მანძილზე ჩემი ცოლი იყო, მართალია, ხელმოუწერელი და ჯვარდაუწერელი, მაგრამ მაინც ცოლი და ის ხუთი წელი ისე გავიდა, რომ არც კი შემიმჩნევია დროის გასვლა. მე, როგორც ახლა, მაშინაც უცოლო ვიყავი და ვერა და ვერ გადამეწყვიტა დაქორწინება. გაზაფხულობით ჩემი სახლის წინ ეზოში ერთად ვრგავდით ყვავილებს, მას საიდანღაც მოჰქონდა ტიტების, ნარცისების, გეორგინების, სხვა მცენარეების ბოლქვები, ნაირ-ნაირი მრავალწლიანი ყვავილების თესლები და ჩვენ ერთად ვბარავდით, ერთად ვთოხნიდით, ერთად ვრგავდით, ერთად ვთესავდით, ერთად ვრწყავდით, მოკლედ, ერთად ვაშენებდით იმ ბაღს, რომელიც მერე, როცა X-ს გავშორდი, ჯოჯოხეთად გადამექცა. ის კი წავიდა, მაგრამ ჩემს პატარა ბაღში ჩარგული ბოლქვები მომრავლდნენ, თავისით ჩათესილი ყვავილებიც მოედო მთელ ეზოს და ადრე გაზაფხულზე ამოწვერილ ტიტებს, ნარცისებს და გეორგინებს თითქმის შემოდგომის ბოლომდე რიგრიგობით მოსდევდნენ ის მცენარეები, რომლებიც მორიგეობით ამოიწვერებოდნენ მიწიდან, შლიდნენ ნაირფერ ყვავილებს, სწორედ ისეთი ფერის ყვავილებს — რომელთა ფოთოლთა ჰერბარიუმებს აკეთებდა X-ი და სხვადასხვა წიგნში მიტოვებდა სახსოვრად. ახლა რომ ვფიქრობ, ვხვდები, წასასვლელად ემზადებოდა და ამ სახით რჩებოდა ჩემთან, სამუდამოდ მამახსოვრებდა თავს. წლიდან წლამდე ძალაუნებურად ამ ყვავილებს გადავყურებდი და წარსულში ვბრუნდებოდი, საითკენაც უკვე გახედვაც არ მინდოდა, რადგან ყვავილებმა, X-მა რომ დამირგო ეზოში, ლამის აწმყო წამართვეს და მე თანდათან დავემსგავსე წარსულის პერსონაჟს, რომლის მომავალიც და აწმყოც — მხოლოდ წარსულის დაუსრულებელი გახსენებაა და სხვა არაფერი. გეორგინის ან ტიტის ბოლქვებს ბაზარში მეყვავილეებთან თვალს რომ მოვკრავდი, ასე მეგონა, იმ ბოლქვებში თვლემდა ის ხუთი წელი თავისი გრძელი ღამეებით და მზიანი დღეებით და რომ მათ მიწაში ჩარგვის შემდეგ — გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს შეეძლოთ გამოემზეურებინათ ყველა ის სათუთი საიდუმლო, ჩემში რომ სადღაც არსებობდა და ისე ვმალავდი, თითქოს არც მახსოვდა იყო თუ არა.

ახლა, ჯერჯერობით, ვერ ვბედავ იმ ძველი დღიურების გამოქვეყნებას, მაგრამ თუ ერთხელაც გადავწყვიტე მათი გამჟღავნება, ჩემო მეგობარო, ძალიან გთხოვ, არ დამცინო ზედმეტი სენტიმენტალიზმის გამო. მაგრამ, ვიდრე ამ გადაწყვეტილებას მივიღებდე, ისიც უნდა გაცნობო, რომ X-მა ზამთარიც არ დამიტოვა თავისუფალი. არ ვიცი, რა ნიშნით აირჩია, მაგრამ თომას მანის მეცხრე ტომში, სეზანის ალბომში, გალაკტიონის რჩეულსა და იმ რვეულში, სადაც ბოლოს ჩემი სიყვარულის რეკვიემული განწყობილებები ჩავიწერე, ბოლო გვერდზე წავაწყდი ჩამხმარ ველის ზამბახებს და გაბრტყელებულ ყვითელ ყვავილებს, მზის ლაქებივით რომ აჩნდა ფურცელს.

დილემის წინაშე ვიდექი, ან უნდა ამომეძირკვა ყვავილები ბაღიდან, ყველა წიგნიდან და რვეულიდან ამომეყარა გამხმარი ყვავილები, ან უნდა შევგუებოდი მათ არსებობას და შევჩვეოდი გულგრილობას, სადღაც მეხსიერებაში ჩამემარხა ყოველივე და ახალი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცხოვრება დამეწყო.

X-ი იყო პირველი გოგო, რომელშიც დროდადრო ღვთაებრივ ნიშანს ვხედავდი, დროდადრო კი ვნებით აღსავსე ქალს, რომლის ყოველი მოახლოებაც გარდაუვლად საწოლით მთავრდებოდა. ასე ვცდილობდი საკუთარი გაორებული ბუნების წყალობით, ისიც ორ არსებად წარმომედგინა და ამას, როგორც მაშინ მეჩვენებოდა, წარმატებით ვართმევდი თავს. მას შეეძლო დაუსრულებლივ მჯდარიყო ჭილოფის სკამზე, ლაღი, მწვანე თვალები გაეშტერებინა ერთი წერტილისათვის და დიდხანს ესმინა ჩემი ვიოლინოსთვის, რომელიც ისეთ მთრთოლვარე ბგერებს გამოსცემდა, რომ მე თვითონვე ვგრძნობდი: ეს ბგერებიც და თრთოლვა, ჰაერის რხევა, ფანჯრიდან შემოღწეული ყვავილების სურნელი და შორეული გუგულის გუ-გუ ერწყმოდა ჩემს სულს და სულში განფენილი სხვაგვარი ძალით აღსავსე, უშორესი სიღრმიდან ახლად გაღვიძებული, უცნობი და ძველისძველი განცდების ამომზიდველი წუთი უკან უბრუნდებოდა იმ სამყაროს, რომლის წიაღშიც იშვა ყოველივე და რომლის გაგონებაც შეეძლო ჭილოფზე წამოსკუპებულ მწვანეთვალება გოგონა-შველს, მოსმენილი მელოდიის წყალობით თანდათან რომ კარგავდა ხორციელ სილამაზეს და მხოლოდ სინანული უღრმავდებოდა თვალებში. ალბათ, ჯობდა, ვაჟკაცობა მყოფნოდა და ხელი არასოდეს მეხლო მისთვის, არაერთხელ ვინანე ჩემთვის გულში, მაგრამ უკვე გვიანი იყო და ჩვენი თანაცხოვრება, დროთა განმავლობაში რომ კარგავდა აზრს, ალბათ, მხოლოდ იმიტომ, რომ მე დაქორწინება ვერ გადამეწყვიტა შემოქმედებითი თავისუფლების დაკარგვის შიშით, X-ი კი, მწვანეთვალება შველივით გოგო, ჩემი რომანტიკული შეფერილობის მიუხედავად, ქალი იყო და დედობა სურდა. ეს ბანალური სურვილი მაშინ მეტად უაზროდ მეჩვენებოდა, მაღიზიანებდა კიდეც და დროდადრო მბეზრდებოდა მასთან ყოფნა იმ მიზეზით, რომ იგი არ გამოდგა ჩემი ოცნების ქალიშვილი — ანუ ის გოგონა-შველი, რომელშიც ზეციური ნიშანი ჭარბობს, რომ იგი უფრო პრაქტიკული და ყოფითი საკითხებით აღსავსე ჩანდა, ვიდრე მეგონა და გულში განშორების თემაზეც გავიფიქრებდი ხოლმე დროდადრო. მე არ ვიცი, რას ფიქრობდა იგი, როცა ნაღვლიან მწვანე თვალებს შემომანათებდა, მაგრამ ცხადი იყო, რომ შინაგანად არც მას აკმაყოფილებდა ბუნდოვანებაში გადაზრდილი წლები და სიყვარულზე მეტად მგონი ოჯახზე ოცნებობდა. ერთხელ მითხრა კიდეც: მე წავალ, ალბათ, მალე წავალო! შენ არსადაც არ წახვალ, შენ სულ ჩემთან იქნები, ვუპასუხებდი, მოვეხვეოდი და მანამდე საიმისოდ განწყობილიც რომ არ ვყოფილიყავი — ოდნავ ზედმეტი მოფერებაც კი ხმოვნების ჭუჭრუტანებისკენ მიძვრებოდა თანდათან, ხმოვნები ჩვენი უხილავი ფრთებივით შრიალებდნენ ნახევრად დაბინდულ ჰაერში და ბუხარში ჩარჩენილი ნაღვერდლების ნათება — თავისთვის, ჩვენს გარეშე ეთამაშებოდა ოთახის კედლებს.

ბოლო დროს ორივე ვგრძნობდით ჩვენი თანაცხოვრების უპერსპექტივობას, მაგრამ ერთმანეთს არ ვუმხელდით. უთქმელადაც ნათელი იყო ყველაფერი. სადღაც გულში სასიამოვნოდაც კი მიღიტინებდა მოსალოდნელი მარტოობის თავისუფლება. ამიტომაც, როცა მეტყოდა — მე, ალბათ, სამუდამოდ წავალო, სიტყვას ბანზე ავუგდებდი და გულში კი თითქოს მეც მინდოდა, რომ ერთხელ და სამუდამოდ წასულიყო. ხმამაღლა კი ამის თქმას ვერ ვბედავდი. როგორც ჩანს, გაუცნობიერებლად ვანადგურებდი სიყვარულს, ყველა დისტანციას და პაუზას ვარღვევდი, მოქოქილ მანქანას დავემგვანე, სულ საწოლისკენ ვექაჩებოდი, ისიც წინააღმდეგობას არ მიწევდა და ყოველივე ეს გაგრძელდა მანამ, ვიდრე ერთმანეთი საბოლოოდ არ მოვიბეზრეთ, ვიდრე ბოლომდე არ ამოვხაპეთ თუ რამ სიყვარული გაგვაჩნდა, ჩვენი თვალებიც ამომშრალ ჭებს დაემსგავსნენ, საიდანაც მხოლოდ განურჩევლობა და ნაძალადევი, ნასწავლი ღიმილი თუ იხედებოდა დროდადრო. ფინიში ახლოვდებოდა, როცა ერთხელ X-მა ჩვეულებრივი ხმით, ჩვეულებრივი სახით, თითქოსდა სხვათაშორის, შემომჩივლა, სადმე ხომ არ წავსულიყავით — კინოში, თეატრში, ქალაქგარეთ — სადმე, ოღონდ სხვაგან — ან ცოტა ხნით ერთმანეთს აღარ შევხვდეთ, იქნებ მერე...

ერთხელაც ფილარმონიის ბილეთები მომიტანა, ერთი ბალტიისპირელი მომღერლის კონცერტზე წავედით. ადრე წამომცდა, რომ ეს მომღერალი მომწონს, ისე, ტყუილად ვთქვი, რომ მომწონს, ამან კიდევ ბილეთები მომიცუნცულა და ერთად წავედით კონცერტზე. ჩემთვის, კლასიკური მუსიკის ოსტატისათვის, მეტად ძნელი აღმოჩნდა კონცერტის ბოლომდე მოსმენა, რატომ აღმოჩნდა ძნელი, ამას ბევრი მიზეზი აქვს, რაც იქ, სცენაზე ხდებოდა — ყველაფერი, აბსოლუტურად ყველაფერი, იყო სხეულებრივი და მხოლოდ სხეულისმიერი, ოღონდ არამც და არამც სულიერი. გაურკვეველი ხმაური, შიშველი ქალების ხუნტრუცი — ეშმაკების თავშეყრას ჰგავდა და მე გაოგნებული და თვალდაჭყეტილი შევყურებდი მაყურებელს და არა სცენას.

მეორე მოქმედებიდან წამოვედით, ჩემთან აღარ წამომყვა, შინ გავაცილე და სახლში მარტო დავბრუნდი. ძნელი მისახვედრი არაა, რამ გამახსენა ეს ისტორია ან რატომ გიამბობ ახლა, როცა მას მერე იმდენივე წელი გავიდა — რამდენი წელიც მე და X-ი ერთად ვიყავით. ეს, ალბათ, ისევ იმ ჰერბარიუმის ფოთლების ბრალია, მოცარტის ფირფიტაში რომ აღმოვაჩინე წეღან, რის გამოც შვლისმაგვარ თუ ნუკრისთვალება გოგოებზე დავიწყე საუბარი და იმის გარკვევას ვცდილობდი, რით განსხვავდებიან ერთმა-

ნეთისაგან ჰაეროვანი, ცისიერი, შველივით ლამაზი და ჩვეულებრივი ქალები?! ხომ არ გგონიათ რაიმე გავარკვიე?! ვერაფერი, გარდა საკუთარი გზააბნეულობისა და შეცდომებისა, რის გამოც სამართლიანად ვისჯები, რადგანაც ცას გუბეში ვეძებ და არა სულში.

* * *

ორკესტრში კარგა ხანს არ მივლია ან რა აზრი ჰქონდა ჩემს სიარულს, როცა აღარც რეპეტიციები იმართებოდა გაყინულ დარბაზში და ქალაქში სიარულიც საშიში იყო, განსაკუთრებით, ღამღამობით. ვცხოვრობდი ჩემს ბუნაგში და დროდადრო ვუსმენდი ქალაქის კომენდანტების გამოსვლებს, რომლებსაც ორ კვირაში ერთხელ მაინც ცვლიდნენ და ამ კომენდანტთა ინტელექტიც თანდათან „უმჯობესდებოდა".

ვფიქრობდი: მე მინდა მუსიკა, ლიტერატურა, საერთოდ, ხელოვნება, ამათ რაღა უნდათ?! — ძალაუფლება — ჰოდა, მე მქონდეს ჩემი მუსიკა, ამათ კიდევ თავისი ძალაუფლება, თავისი გავლენის სფეროები, თავისი მაყუთი, თავისი იარაღი, მე კი დამანებონ ჩემთვის ყოფნა, მე არაფერში ჩავერევი. რომ არ ჩავერიე, იმიტომ მომხვდა ორივე მხრიდან — სახელმწიფო ხელისუფლების გადამტრიალებელნიც და გადატრიალებულნიც ხან ერთ, ხან მეორე ყბაში მცემდნენ, რომელი პოლიტიკოსი მე ვიყავი, მე მინდოდა ვიოლინო და მუსიკა. მაგრამ ჩემი ახირებული ვიოლინო და მუსიკა ვიღას დასჭირდებოდა, თუ ეს ქვეყანა დაინგრეოდა და ძმათა მკვლელი ომი არ დასრულდებოდა?!

ვჭამეთ, მაგრად ვჭამეთ, თითქმის ყველა პოლიტიკური ძალა მოსკოვიდან იმართებოდა, ვისზეც ისინი გააკეთებდნენ „სტავკას", ის გაიმარჯვებდა. ასეც მოხდა, ზუსტად ასე მოხდა. დაშინებულმა ხალხმა წელი ვეღარ წამოითრია და თანდათან დაიწყო ეგრეთ წოდებული სტაბილიზაცია. ბანდები დაიჭირეს, ხალხი გაალატაკეს, ქვეყანა დაარბიეს და მერე დაიწყო სტაბილიზაცია, დემოკრატიის შენება, ლარის გამაგრება და ტერიტორიებდაკარგულ ქვეყანაში რაღაცამ დაიწყო ფეთქვა.

რეპეტიციებიც განახლდა, ყოფილი მთავარი დირიჟორიც დააბრუნეს, ისევ პირველი ვიოლინოს პარტია შემომთავაზეს და მთელი ეს კოშმარი, რამდენიმე წელს რომ გრძელდებოდა, და როცა X-თან ერთად ლამის ყველაფერი დავკარგე, არ დამიკარგავს მხოლოდ მუსიკის რწმენა, ვიოლინოს სიყვარული, რომელსაც ისე შევეზარდე, რომ თითის ოდნავ შეხებაზეც — სუნთქვითაც ვგრძნობდით ერთმანეთს — ვიოლინოს სიმები ჩემს ვენებს ერთვოდა და ხემის შეხებისას სიმები გამოსცემდნენ ისეთ ბგერებს, ერთდროულად რომ ეკუთვნოდა ჩემს ვენებსაც და ვიოლინოს სიმებსაც, და მათი მთლიანობა სულით შეკავშირებული ისე თრთოდა, მერე აღარც კი მახსოვდა, როგორ ვუკრავდი. ვემგვანებოდი მცენარეს, თვალწინ რომ იზრდება, იკვირტება, იფოთლება, ყვავილობს და მერე დუმდება, რადგან ნაყოფი, ეს მცენარე რომ გამოისხამდა — დასამწიფებლად, დასრულებული სახით მისაღებად, უსასრულო დუმილს თხოულობდა და სწორედ მაშინ, როცა დარბაზის დუმილი უზომოდ საჭირო იყო, როცა ბგერათა სიმწყობრეს მეტაფიზიკური სივრციდან ამოჰყავდა ჰარმონია — დროდადრო გაისმოდა ფიჭური ტელეფონების წკრიალი და თვითკმაყოფილ და ძალაუფლებით აღჭურვილ სახეებზე მიმაგრებული ტუჩები იწყებდნენ ცმაცუნს, ზუზუნს, ბზუილს, ჩურჩულს ჩამალულ ყურმილებთან.

მე მინდოდა მუსიკა და ვიოლინო — ამათ ძალაუფლება და მაყუთით ნეტარება — ყველამ თავისი მიიღო, მაგრამ ამათ კონცერტებიც თუ უნდოდათ, არ ვიცოდი. მსგავს კარიკატურულ ვითარებაში — მე და ვიოლინო ვშორდებოდით ერთმანეთს და ეს სულერთი იყო დარბაზისთვის, თუმცა დირიჟორის თვალებში ჩაბუდებული სიბრაზე — ნაპერწკლებს ყრიდა ნახევრად სიბნელეში, მაგრამ ეს საქმეს არ შველოდა. ბილეთები ნაყიდი იყო და ჩვენ ბოლომდე უნდა შეგვესრულებინა ყველაფერი, რისი შესრულებაც გვევალებოდა. მერე და მერე აღმოვაჩინე, რომ ფიჭური ტელეფონების წკრიალი — მგონი პარტიტურაშიც ეწერა და მისი შესრულება მხოლოდ ახლაღა მოხერხდა, როცა ჩვენში ცნობილმა საქმოსნებმა და მოხელეებმა ღრმად შეისწავლეს ძველი პარტიტურები და შესაბამისი „საკრავიც" მოიპოვეს საამისოდ. არტურო ტოსკანინის, ფონ კარაიანის მიერ დაშვებულ შეცდომებს თითქოს ჩვენი დირიჟორი ასწორებდა ამჟამად — დარბაზის ზოგიერთი აქტიური წევრის დახმარებით, რათა აღდგენილიყო შესრულებული მუსიკალური ნაწარმოების პირველსახე, სადაც დაფდაფებსა და სამკუთხედებს ფიჭური ტელეფონების წკრიალი ცვლიდა იმის დასტურად, რომ ჩვენ უკვე ცივილიზებული და დემოკრატიული ქვეყანა ვიყავით და ამ ქვეყნის საუკეთესო ნაწილი სწორედ სახელოვან დარბაზში იმყოფებოდა.

* * *

შესვენებაზე მუსიკოსებიც კი პოლიტიკაზე საუბრობდნენ დროდადრო, მოკლედ, მაგრამ მაინც იტყოდნენ ძვირს ხან ვისას და ხან ვისას, მაგრამ ზოგიერთს, მაგალითად, ფლეიტაზე დამკვრელს, მევიოლონჩელეს და მეტრომბონეს ისევე, როგორც მე — უკვე გვჯეროდა, რომ ამ ტანჯვის გზის გავლის გარეშე ვერაფერს მივაღწევდით და რომ ჩვენი საქმე ისევ მუსიკა იყო და მანამ უნდა დაგვეკრა, ვიდრე

ეროვნული ბიბლიოთეკა


თითებიდან სისხლი არ გამოგვივიდოდა, ამ მინიმალურ ხელფასზე ვმჯდარიყავით და იმედი გვქონოდა უკეთესი ხვალინდელი დღის, ანუ იმ დროის, როცა რუსეთი, ნებსით თუ უნებლიეთ, თავს დაგვანებებდა და მიხვდებოდა, რომ თავის ტყავში ჩატეული ბევრად უკეთესი და მდიდარი ქვეყანა გახდებოდა, ვიდრე ამჟამად იყო — ჩვეული აგრესიით აღჭურვილი, ტრადიციული მსოფლიო მეურვეობის სურვილით ტვინგახურებული, ყოფილი კოლონიების ჩაძირვაზე რომ ზრუნავდა გამუდმებით და ყველა ეთნოკონფლიქტის ავტორი თავისივე იარაღით ახერხებდა ამ ქვეყნებში სათავისო ბალანსის შექმნას. მთელი ხალხის რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩვენში უკვე ბევრი ხვდებოდა ჩვენი დღევანდელი მდგომარეობის ტრაგიზმს და იმასაც, რომ ამ ტრაგედიის თანაავტორები და ხელშემწყობნი თვითონვე ვიყავით რუსეთთან ერთად. ისე, რა გამოცანა ქვეყანაა ეს რუსეთი, ჩამჩურჩულა ვიოლონჩელომ.

მთელ რუსულ კლასიკას — მსოფლიოში ბადალი არ ჰყავს და თუკი ვინმე რაიმეს წერას განიზრახავს მხატვრულ პროზასა თუ პოეზიაში, მათი წაკითხვისა და შესწავლის გარეშე გაუჭირდება. მართალია, ბერდიაევი, სწორედ ამ რუსულ კლასიკას — პუშკინის გამოკლებით, დეკადენტურს და არარენესანსულს უწოდებს, თუმცა მასაც, რა თქმა უნდა, არ ავიწყდება მშობლიური ლიტერატურის სიდიადე, მაგრამ გულწრფელად აწუხებს ის სულიერი კრიზისი, რაც ერთდროულად ღვთის მორჩილებასა და დაუოკებელ აგრესიაში გამოიხატება. ყველაზე დიდებული, განსწავლული, გენიალური რუსიც კი შოვინიზმის იდეით და თვითმპყრობელური კომპლექსებითაა დაავადებული და ამის საარგუმენტოდ არაერთი მაგალითის გახსენება შეიძლება — მხოლოდ ორ მაგალითს გავიხსენებ: ფიოდორ დოსტოევსკის ცნობილი ოპუსები და რუსი მღვდელმთავრის — ეგზარხოსის ლამის სატანური საქციელი საქართველოში, რომელმაც დიმიტრი ყიფიანი შეიწირა. მესიანიზმის იდეა თანდათან დაღუპავს ამ ქვეყანას და ერთა საპყრობილე, რომლის ერთ-ერთ საკანშიც — ჩეჩნეთში, სისხლისღვრისა და ჩეჩენთა სამაგალითო ერთიანობის მიზეზით, დე ფაქტო დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, ნამდვილად დაინგრევა. ამ პრეცედენტის შავი ჭირივით ეშინია რუსეთს, მზად არის ერთიანად მოსრას ეს დაუმორჩილებელი, ერთი მუჭა ხალხი, მაგრამ ამას ხომ ჩუმად ვერ გააკეთებს და დემოკრატიობანას თამაშობს მსოფლიოს თვალში. ჩვენშიც, ეს უბედურები, ვითომ რომ შუამავლობენ ჩვენსა და აფხაზებს შორის, სინამდვილეში შავი ზღვისპირეთის შეტყაპუნებაზე ოცნებობენ, თუკი საქართველო დასავლეთის გზას დაადგება, — ხოლო თუ საქართველო რუსეთის ვასალობას აღიარებს, ყველაფერს უკან დაგიბრუნებენ — ოსეთსაც, აფხაზეთსაც, ოღონდ გაძლიერებული სახელმწიფო სტატუსებით, რათა საკუთარი ქოფაკები ჰყავდეთ შენს ტერიტორიაზე და, როცა დასჭირდებათ, მაშინ ააყეფონ ეს ბრიყვები. ჩვენც ბევრი რამე ვჭამეთ, ვჭამეთ კი არა, მივირთვით. ახლაც ვერ ვხვდებით, რომ ერთმანეთის ჯიჯგნას უნდა მოვეშვათ. უნდა ვუკრათ, ვიდრე შეგვიძლია, თუნდაც თითების დასისხლიანებამდე და ვითმინოთ სიმბოლური ხელფასები.

ვიოლონჩელოს პოლიტინფორმაცია უმრავლესობამ ყურიდან ყურში გაატარა — ეს პოლიტიზებული მუსიკოსი ჭკვიანი და განსწავლული კაცი იყო, იგი საკუთარ ჯამზე შორს იყურებოდა ყოველთვის, თუმცა ეკონომიურად მასაც ჩვენსავით უჭირდა და დროდარო თავისუფალ პრესაში რომ კორუფციაზე წერილებს კითხულობდა და მამხილებელ, ჟურნალისტების მიერ შეფერადებულ თუ ნამდვილ ციფრებს ამოიკითხავდა, გაგულისებას ვერ მალავდა და მთელი ხმით ამოიძახებდა: რატომ არ იჭერენ, რატომ არ იჭერენ ამ ჩათლახებს?! ფლეიტა ირონიულად გადახედავდა ვიოლონჩელოს და დამცინავი ხმით ეკითხებოდა: — ეგ ხალხი რომ დაიჭირონ — ვინღა მოვა ჩვენს კონცერტებზე, ვინღა შეიძენს ბილეთებს: აქეთ ჩვენ ვზივართ, ნამდვილი ორკესტრი, იქით, დარბაზში ფიჭური ტელეფონების ორკესტრია. ისინი იხდიან და ჩვენ ვუკრავთ, ზოგჯერ, როგორც შენიშნეთ, ერთად ვუკრავთ, ოღონდ იმათ ნოტების კითხვა არ სჭირდებათ, მთავარია, ტელეფონზე და კალკულატორზე დაკვრა იცოდე და კიდევ ხალხის თვალში ნაცრის შეყრა გეხერხებოდეს. ყველა ნაცარქექიას ახლა საქმიან კაცად მოაქვს თავი. საქმიანი კაცის შთაბეჭდილება რომ დატოვო, ესეც საქმეა, ესეც პროფესიაა, ყველას არ ემარჯვება.

ანტრაქტი დასრულდა, დარბაზი თანდათან ჩაწყნარდა, ჭაღი თანდათან ჩაიბჟუტა, დირიჟორიც გამოჩნდა, ხელი აღმართა და ჩვენ-ჩვენს სანოტო ფურცლებს, ანუ ჩვენს პარტიებს დავუბრუნდით, ორკესტრის სიღრმეში გაისმა ჰობოის ლა, ორკესტრის სიმწყობრე მოისინჯა და დაიწყო, დაიწყო ის, რამაც ისევ სხვაგან წაგვიყვანა, სხვაგან, ჩვენზე მაღლა რომ იდგა, პოლიტიკას, ამაო ფუსფუსს, ჩვენს ბჟუტურს ბევრად აღემატებოდა და მერამდენედ გავიზარდეთ, მერამდენედ ვიგრძენით, ფრთები თანდათან რომ ამოგვდიოდა და დავიწყეთ მორიგი ფრენა, რათა კონცერტის დამთავრების შემდეგ კვლავ ძირს დავშვებულიყავით, ძირს და ძალიან დაბლა — საორკესტრო ორმოში, სადაც ვოლტორნა დიდი ჩანთიდან ძველისძველ თერმოსს დააძრობდა, ფინჯანში ცხელ ჩაის ჩაასხამდა და თხელ ქაღალდში გახვეულ ბუტერბროდს ამოაცოცებდა, აქეთ-იქით მიმოიხედავდა და თავისთვის იწყებდა ღოღნას. ენაკვიმატი ფლეიტა ვოლტორნას იგივე შეკითხვას გაუმეორებდა — ჩაი ისევ უშაქროა?!

ვოლტორნა ყოველთვის ბრაზდებოდა — რა შენი საქმეა, იქნებ მე უშაქრო მიყვარს?! გამიწყალა გული!

ეროვნული ბიბლიოთეკა



თანდათან ვუბრუნდებოდით ქალაქს, ვტოვებდით საორკესტრო ორმოს და გავდიოდით ნახევრად ჩაწყვდიადებულ ქუჩებში და ყველაზე მთავარი მიზანი ის იყო, რომ რომელიმე ჩვენი მსმენელის მანქანა არ დაგვჯახებოდა და მშვიდობიანად მიგვეღწია მეტროს სადგურამდე.

* * *

იმ ღამით საშინელმა კოშმარმა გამაღვიძა. თითქოს ისევ მომაკითხეს კონსერვატორიაში, ჩამიყვანეს დეკანატში, სადაც საბჭოთა მაიორი დამხვდა და კატეგორიულად განმიცხადა, რომ მე თავიდან უნდა მოვიხადო სამწლიანი სამხედრო ვალდებულება, რომ სამშობლოს ასე სჭირდება. ბევრი ვიყვირე, ვიჭყივლე, ვევედრე კიდეც: მე ხომ უკვე დიდი ხნის წინ მოვიხადე ჩემი ვალი, სამი წელი ხომ ვიმსახურე რუსის ჯარში, მეორედ ნუ წამიყვანთ, მე აღარ მეკუთვნის გაწვევა-მეთქი. საკუთარმა ღმუილმა და წივილ-კივილმა გამაღვიძა, ძლივს მოვძებნე ასანთი, ავანთე ლამპა, ერთიანად სიმწრის ოფლში ვცურავდი, გული ამოვარდნაზე მქონდა და სიგარეტის მოწევა გადავიფიქრე, მივხვდი, რომ ვერ შევძლებდი. თანდათან გამოვერკვიე, შედარებით დავმშვიდდი და პირველი რაც იყო, ეს იყო უსაზღვრო სიხარულის შეგრძნება, რომ არავითარ რუსის ჯარში აღარ წამიყვანდნენ; თან მეორედ. რუსის ჯარი, კარგა ხანია, სხვა ქვეყნის ჯარი იყო და ჩემთან არაფერი ესაქმებოდა — ამ აღმოჩენამ ისე გამახარა, ისე გამახარა, რომ გული ამიჩუყდა და ავტირდი. კარგა ხანს ვიმშრალებდი ცრემლებს ცხვირსახოცით, მერე თანდათან ჩავწყნარდი და აღარ დამეძინა. ის ყაზარმა დამიდგა თვალწინ, სადაც სამი წელი გავატარე და რამაც ყველაზე მეტად გამაკვირვა — თითქოს მონატრებაც კი ვიგრძენი იქაურობისა, სადაც ყველაზე მეტად კოშმარული წლები გავლიე, სადაც პაპიროსის ქაღალდში გახვეულ ჩაის ვეწეოდი ჩუმ-ჩუმად, ფილტვები რომ დამზიანებოდა, პურის ცომში ჩაზელილ კარბიდის ნამცეცს ვყლაპავდი — კუჭი რომ გამხვრეტოდა, იანვარ-თებერვალში კასპიის ზღვაში შევდიოდი საცურაოდ, ფილტვების ანთება ან საერთოდ რაიმე ავადმყოფობა რომ მეშოვნა, მაგრამ ამაოდ — კაჟივით ჯანმრთელი ვიყავი და ვერ დავსნეულდი, რუსის ჯარიდან თავი ვერ დავიხსენი.

ბოლოს თავის მოკვლა განვიზრახე და პოსტზე, სადაც ავტომატმომარჯვებული ბოლთას ვცემდი — შუბლზე ავტომატის ცივი ლულა მივიბჯინე და თითით სასხლეტს ვეპარებოდი, მაშინ იმან გადამარჩინა, რომ ავტომატი „პრედახრანიტელზე" დამრჩა, მერე კი, მოგვიანებით, ისეთმა შემზარავმა შიშმა შემიპყრო, რომ თვითმკვლელობაზე აღარც მიფიქრია. ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი და იმ დაუსაბამო მშვენიერებიდან ვიგრძენი, თითქოს, ვიღაც მიმზერდა, ვიღაც, რომელიც არსად და ყველგან იყო, ჩემშიც და ჩემს გარეთაც ფეთქავდა. შემეშინდა, შემრცხვა კიდეც ჩემი განზრახვის, იმ წუთიერი უმწეობის, რომელმაც კინაღამ საბედისწერო ნაბიჯი გადამადგმევინა. ამ შემთხვევის მერე უფრო შევეცადე თავის გადარჩენას და იმ უაზრო კანონების დამორჩილებას, რომლის გარეშე ნამდვილად ვერ გავძლებდი. მერე ჭკუა ვისწავლე და გარნიზონის ბიბლიოთეკიდან გამომქონდა წიგნები და დღეგამოშვებით — სადარაჯოზე — პროჟექტორის სიახლოვეს, ღამის სიწყნარეში, ფარაჯაში გახვეული, ვკითხულობდი მსოფლიო კლასიკას. ყველა მთავარი წიგნი თითქმის იქ წავიკითხე, მაგრამ, როცა ქარი ამოვარდებოდა და ჰაერში უდაბნოს ქვიშას დაატრიალებდა — კითხვა კი არა, თვალის გახელა იყო შეუძლებელი, მაშინ აირწინაღს წამოვიცვამდი სახეზე და ასე ვკითხულობდი, თან მძიმედ ვსუნთქავდი.

ერთ ღამეს, იანვარში, ეს ჩემი უკანასკნელი მცდელობა იყო, ქარიშხლიან ღამეს, ყაზარმიდან გავიპარე, კასპიის ზღვამდე ნახევარი კილომეტრი იყო და სწრაფად გავირბინე. საცვლებისამარა ვიყავი და ეგრევე შევვარდი ზღვაში, კარგა ხანს ვიარე, მაგრამ წყალი თავთხელი იყო, მუხლამდე ძლივს მწვდებოდა, მერე სიცივისაგან აძაგძაგებული (ჰაერი უფრო ცივი იყო), წყალში ჩავწექი და კარგა ხანს ვიყავი ასე, ფილტვების ანთება, როგორც მინიმუმი, გარანტირებული მქონდა და შინაგანად მიხაროდა კიდეც წინასწარ იმ თავისუფლების გამო, რომელსაც ჩემი გარდაუვალი ავადმყოფობა მაახლოებდა. როცა მთლად ავძაგძაგდი და გავლურჯდი, როცა მეტი მართლაც აღარ შემეძლო, ძლივს ამოვიტანე გაბლიკებული სხეული წყლიდან და ყაზარმისკენ გავლასლასდი, სიცივემ ისე შემაწუხა, რომ ფეხს ავუჩქარე, მერე რაც ძალი და ღონე მქონდა მოვკურცხლე და ყაზარმაში შევიპარე. მორიგე ჯარისკაცმა ვერ შემნიშნა, იგი თავისთვის თვლემდა და არც გაუგია ჩემი მისვლა. ჩავწექი ჩემს საწოლში, ჩავთბი და ძილიც მალე მომერია. სიზმარი მშვენიერი ვნახე, თითქოს ავად გავხდი, ჩემი ჯარში სამსახური აღარ შეიძლებოდა „გამაკომისიავეს" — ე. ი. ჩამომწერეს ჯანმრთელობის გამო და სახლის გზას გამიყენეს. ტკბილი სიზმარი ზემდეგის ღრიალმა დაარღვია: „Подъем". ყველა წამოცვივდა, გამალებით იცვამენ, შარვლებს ისწორებენ, ჩექმებს ირგებენ, მე კი ვწევარ არხეინად, არ ვდგები. ცოტა ხანში ზემდეგი მომადგა და მეკითხება: „Ты чего не подымаешься?!" — „болен", — ვპასუხობ: — „У меня температура". ცოტა ხნის შემდეგ ზემდეგმა სანიტარული ნაწილიდან ექიმი მოიყვანა. ექიმმა თერმომეტრი დაბერტყა და გამომიწოდა, მეც თერმომეტრი იღლიაში ამოვიდე და თვალები მივლულე, ვგრძნობ, რომ ვიწვი, ავად ვარ, ვფიქრობ — ალბათ, მალე ჰოსპიტალში გადამიყვანენ, მერე კი, მერე იქნებ

სახლშიც გამიშვან. რამდენიმე წუთში ექიმმა თერმომეტრი გამომართვა — დახედა და ზემდეგს გასძახა: „У него нет температуры". — „Как нет?!" — სასოწარკვეთილმა ვკითხე და ექიმს თერმომეტრი გამოვგლიჯე. თერმომეტრი 36,5-ს უჩვენებდა. ეს ამბავი კაპიტნის ყურამდე მივიდა, მწკრივის წინ გამომიძახეს და სამი დღით ჰაუპტვახტში გამამწესეს. შემხსნეს ქამარი, ჯიბეში მხოლოდ კომკავშირის ბილეთი ჩამიტოვეს, ფურცლის და კალმის შეტანის უფლება არ მომცეს, სიგარეტის მოწევა სასტიკად ამიკრძალეს, ჯიბეში ნახევარი კოლოფი „პამირი" მქონდა და ისიც დამატოვებინეს და თავი კარცერში მიკრეს. დღისით ვიწრო ფიცრის სკამზე ვიჯექი, კედლებს შორის რომ იყო გაჭედილი, ღამის ათ საათზე — სამი ფიცრისგან შეჭედილ ეგრეთ წოდებულ „ვერტუშკებს" გვირიგებდნენ, რომელიც საწოლის მაგივრობას სწევდა და რომლისგანაც გვერდები დანგრეული მქონდა. თუ ვინმე ღვთისნიერი ყარაული გამოდგებოდა, ადრე თვითონაც ნაჯდომი — ერთი ღერი სიგარეტით მიმასპინძლდებოდა — სათვალთვალო ჭუჭრუტანიდან შემოაცურებდა ანთებულ სიგარეტს და სწრაფად გასცილდებოდა ჩემს კარცერს, უფროსებს რომ არ შეენიშნათ. ეს იყო ერთადერთი ბედნიერება. ვაბოლებდი ჩემთვის და ვფიქრობდი, როგორმე აქედან მაინც დამეღწია თავი.

ჰაუპტვახტის უფროსი გვარად რახმანინოვი იყო, ცივსისხლიანი კაპიტანი არაფრით ჰგავდა თავის მოგვარეს. ვზივარ ჩემთვის, ვაბოლებ, კვამლი, ცხადია, დერეფანში გადის. ამ დროს რახმანინოვმა ჩამოიარა, რას ხედავს, პატიმარი ეწევა, სწრაფად მოდის ჩემს კარცერთან, აღებს კარს და მეკითხება: „Кто дал курево?" ვპასუხობ: „В своем кармане нашел". ისევ მეკითხება: „Кто прикурил?" ვპასუხობ: „Спички тоже в кармане нашлись". — „Ах в кармане?" რა უნდა მეთქვა? ბადრაგს ხომ არ ჩავუშვებდი. მერე სულელივით მეღიმება და მინდა რაღაც ვუთხრა კაპიტან რახმანინოვს ისეთი, რომ გული მოვულბო: „Товарищ капитан Рахманинов! Вы ведь в самом деле Рахманинов?" — „Ну, и что?!" — კბილები დამიღრჭიალა კაპიტანმა. „Вы знаете, я скрипач по профессии, неоконченное высшее образование. С третьего курса забрали в армию. Я на гражданке часто играл Рахманинова". — „Кого играл?" — „Рахманинова". — „Я очень люблю Рахманинова". — „Ну, и что?" — ისევ დამიღრინა რახმანინოვმა და სახე უფრო გაუქვავდა. დავიღუპე და ეგ არის, ამ კაცს ერთი ნერვიც ვერ შევუტოკე. „Кто дал курево интеллигентик? Если скажешь, ничего не прибавлю. Не скажешь, двойной получишь!" — „Никто не давал. Курево у меня был в кармане". რახმანინოვმა სარკასტულად გაიცინა, ათივე თითი ცხვირთან მომიტანა და მშვიდი, ზიზღნარევი ხმით მამცნო: „Десять суток прибавлю, интеллигентик. За нарушение внутренного порядка, за невыполнение устава, за неправду и за то, что скрипач несчастный!"

კარი მომიხურა და მძიმე ნაბიჯის ხმა ვიდრე ჩაილია დერეფნის ბოლოს, ძლივს გავაცნობიერე, რომ დამატებით ათი დღე უნდა ვმჯდარიყავი ამ ჯურღმულში. დიდი ფიქრი და მოხერხებულობა არ დამჭირვებია. სამოქმედო გზა სწრაფად ავირჩიე. ამ იდიოტ სალდაფონს როგორ ვერ უნდა ვაჯობო. ხედავ, როგორ ეჯავრება ინტელიგენცია?! ეს იდიოტები ინტელიგენციას მუქთამჭამელებად თვლიან, არაფრის მაქნისი და ზედმეტი ხალხი ჰგონიათ. ოხ, შენი! კარცერში ბოლთის ცემა არ გამოდიოდა სივიწროვის გამო და ძელსკამზე ჩამოვჯექი. ჩემი ნება რომ ყოფილიყო, რას დავუნგრევდი თავ-ყბას ამ ჩათლახს?! თანდათან ჩავწყნარდი და ისევ გამოსავლის ძებნა დავიწყე. დიდი ფიქრი არ დამჭირვებია — საღამოს ტუალეტში რომ გაგვიყვანეს ბადრაგის თანხლებით — ტუალეტში საპნის მოზრდილი ნაჭერი მოვიპარე და შვლიპინით გადავუშვი მუცელში. ძლივს შევიკავე თავი, რომ გული არ ამრეოდა. ახლა კი მოვუხაზავ იმ იდიოტ რახმანინოვს, ვფიქრობდი ჩემთვის და კარცერში დაბრუნებული ვწრიალებდი.

შუაღამით კარზე ბრახუნი ავტეხე — თითქმის ყოველ ხუთ წუთში ტუალეტში გასვლას ვთხოულობდი, მუცლის აუტანელ ტკივილს ვუჩიოდი და მთელი ჰაუპტვახტის ეგრეთ წოდებული ოფიცრები ხელში შევიკალი თავის ბადრაგთან ერთად. დილით ჰოსპიტალში გადამიყვანეს იმის შესამოწმებლად, მართლა მქონდა თუ არა დიზენტერია. ჰოსპიტალი სამოთხეს ჰგავდა ჰაუპტვახტთან შედარებით, გაკრიალებული კედლები, მოპრიალებული იატაკი, თეთრხალათიანი, ეშმაკურად მოღიმარი რუსის დაფითქინებული ქალები და რაღაცნაირი სიმშვიდე — ჰოსპიტლური სიმშვიდე, წამლების და საპნის სუნით გაჯერებული. ექიმს პოდპოლკოვნიკის ჩინი ჰქონდა და სახეზეც რაიმე სისასტიკე არ ეხატა, მისმა კავკასიურმა ჰაბიტუსმა იმედიანად განმაწყო. მივხვდი, რომ გამოცდილ ექიმს ვერ გავაცურებდი და ქართულად გამოლაპარაკება ვცადე. თბილისელი სომეხი გამოდგა, ქართულს ამტვრევდა, გავბედე და გულწრფელად მოვუყევი ყველაფერი, თან კაცურად შევეხვეწე, გადავერჩინე რახმანინოვის კლანჭებისაგან. პოდპოლკოვნიკმა მძიმედ გადააქნია თავი და უხმოდ დაიწყო რაღაც დოკუმენტის შევსება. ცოტა ხანში ბადრაგის ოფიცერმა შემოალაჯა და პოდპოლკოვნიკს რაღაც ჰკითხა. სამხედრო ექიმმა აუცილებლად ჩათვალა ჩემი ჰოსპიტალში დატოვება შემდეგი გამოკვლევისთვის — თან ისიც დაამატა — დიზენტერიაზე მეპარება ეჭვი და თქვენთან ამის ნამყოფ კარცერს და ტუალეტსაც სასწრაფო დეზინფექცია ესაჭიროებაო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ზადრაგი რომ უკან, უჩემოდ, კუდამოძუებული გაბრუნდა, პოდპოლკოვნიკმა თვალი ჩამიკრა და მითხრა: ახლა ათი დღე დაისვენე ჰოსპიტალში — მერე ნაწილში დაბრუნდი და ჭკვიანად იყავი. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რომელიღაც პალატაში მომათავსეს, მანამდე აბანოში მიკრეს თავი, ქათქათა საცვლები მიზოძეს და ჩემს საწოლზე მიმითითეს. ასე დავიხსენი თავი მევიოლინემ რახმანინოვის ტყვეობისაგან. ეშმაკობით მაინც ვაჯობე იმ იდიოტს. ისე, კაცმა რომ თქვას, ამხელა მოგვარე რომ გყავს — კომპოზიტორ რახმანინოვს ვგულისხმობ, და შენთვის არაფერს ნიშნავს — მართლა რობოტი უნდა იყო. ეს თბილისელი სომეხი კი — სამხედრო ექიმი, ჯიგარი კაცი გამოდგა — გამსინჯა თუ არა, ეგრევე ქართულად მკითხა: საპონი ჭამოს, ბიჭო?! მეც არ დამიმალავს, როგორც უკვე გითხარით, ან რას დავმალავდი — მთელი ლაბორატორია ამოწმებდა ე. წ. კალას.

ცოტა რომ მოვისვენე და აზრზე მოვედი — თეთრი პურით და კარაქით რომ გავთამამდი, ჟურნალ-გაზეთების კითხვითაც რომ თავს ვიქცევდი — დროდადრო ბუნებრივი სურვილებიც თავს უნებლიეთ მახსენებდა და ახალგაზრდა ექთნებსა და სანიტრებს არცთუ უშედეგოდ ვეკურკურებოდი. ჩემი აქტიური არშიყობა პოდპოლკოვნიკმაც შენიშნა და ჰოსპიტლიდან დროზე ადრე გამწერა ნაწილში.

ამ მოგონებებით დამთავრდა იმღამინდელი კოშმარი, როცა მეგონა, რომ იმ ჯოჯოხეთში ისევ თავიდან მივყავდი. ძილი ვეღარ შევიბრუნე და დილამდე რომელიღაც ფირფიტას ვუსმენდი.

### ავტორისაგან

როგორც სიმონის მეზობლისგან შევიტყვე, ვისი ხელითაც მიგზავნიდა თავის ჩანაწერებს თითქმის კვირაში სამჯერ, იგი თურმე მხოლოდ რეპეტიციებსა და კონცერტებზე დადიოდა ქალაქში, დანარჩენ დროს კი სახლის ზემო სართულზე კი არა, სარდაფში ატარებდა, სადაც თითქმის მუდმივად ენთო ლამპა და ქაღალდებში ჩაფლული გამუდმებით რაღაცას წერდა. მეზობლის გოგომ ბოლო ჩანაწერები რომ მომიტანა, დავინტერესდი და ვკითხე სიმონის ჯანმრთელობის ამბავი:

— კარგად არის, არა უშავს, — მიპასუხა ახალგაზრდა, მომხიბვლელმა გოგონამ, — ცოტა უცნაური კაცია, ისე კარგად არის — ხან ვიოლინოს უკრავს, ხან რაღაცას წერს, ცოლის შერთვაზე არც კი ფიქრობს. ამხელა სახლი გამოკეტილი აქვს და სარდაფშია ჩასახლებული. ასე ამბობს7 აქ თავს უკეთ ვგრძნობო.

— არაფერს გეუბნებათ?

— რა უნდა მითხრას? — შეიშმუშნა გოგონა, — მანდ რამე წერია ჩემზე?!

— არა, არაფერი, ისე თუ გესაუბრება, მარტო ამ ქაღალდებს გადმოგცემს და მეტი არაფერი?!

— კი, ზოგჯერ ორ სიტყვას ამოღერღავს. დღეს რატომღაც მითხრა: შენ შველივით გოგო კი არა, გოგონა-შველი ხარო, კიდევ ის მითხრა, რომ იგი პითაგორელთა სკოლის ტრადიციებს აგრძელებს და რაღაც-რაღაცები ეკრძალება, მაგრამ მე ვერაფერი გავიგე. ზედა სართულზე მხოლოდ მაშინ ამოდის, როცა მოსწავლეები მოაკითხავენ. სულ სამი მოსწავლე ჰყავს, კონსერვატორიის სტუდენტები. ასე ამბობს: ეს სტუდენტები რომ არ მყავდეს და ორ გროშს არ მიხდიდნენ, შიმშილით სული ამომძვრებოდაო.

— სხვა არაფერი იცი სიმონზე ახალი?!

— კი, მაგრამ სალაპარაკოდ არ ღირს, თუ საჭირო იქნება, თვითონ შეგატყობინებთ. გუშინ მშვენიერი ჰერბარიუმი მაჩუქა და რაღაც-რაღაცებიც მაგრძნობინა. არ ვიცი, შეიძლება არც უნდა ვამბობდე თქვენთან, მაგრამ ისეთ პატივს გცემთ, ისე უყვარხართ, ძმად მიაჩნიხართ და მეც მიტომ გავთამამდი. ისე, სერიოზული არაფერი მომხდარა, ისევ განმარტოებით ცხოვრობს და დროდადრო მესაუბრება. მე მომწონს სიმონის საუბარი, ძალიან საყვარელი და საინტერესო კაცია, მაგრამ მეტად უცნაური.

— ჯარის ამბებს შენთანაც იხსენებს?

— ზოგჯერ, ათასში ერთხელ, მაგრამ მე არ მაინტერესებს. ისიც ხვდება, რომ არ მაინტერესებს და თითქმის არ მიყვება.

— X-ის არსებობაზე გითხრა რამე?

— X-ის? — ეგ თქვენ საიდან იცით? X-ი ხომ მე მქვია, ასე დამარქვა, ისიც მითხრა, რომ ყოველ სახელს თავის კარმა აქვს, კარმა, ხომ იცით, რას ნიშნავს?

— დიახ, ცხადია!

— და X-ი იმიტომ შემარქვა, რომ კარმა შემეცვალოს, გადავსხვაფერდე.

— ჩემთან ისევ ჩანაწერები გამოგატანა?!

— არ ვიცი, ამ საქაღალდეშია ყველაფერი, რაც გამომატანა. — ახალმა X-მა საქაღალდე გამომიწოდა, ღიმილით დამემშვიდობა და წავიდა.

აქამდე სიმონის ცხოვრებაში ერთადერთი X-ი არსებობდა, ახლა, როგორც ჩანს, გამოჩნდა მეორე, მაგრამ ეგ ცოლის მომყვანი მაინც არაა. ახლა ამან დაიწყო ჰერბარიუმების გასაჩუქრება? ახლა სიმონს უნდა ამ ახალი X-ის ცხოვრებაში შეჭრა თუ უკვე არ შეიჭრა. და თავის სიცოცხლის X-ში გაგრძელებას ცდილობს?! რა ამბავია ამდენი იქსები? იგრეკი მაინც დაერქმია. X-ი მეორე რომ გავიდა, ოთახში ფრანგული სუნამოს მძაფრი სუნი დატოვა. მართლა შველივით გოგოა. რა ბედი აქვს ამ კაცს, როგორ გოგოებს უყვარდებათ. მაგრამ ჩემთვის ცხადზე ცხადია, რომ სიმონი ვერც ამ გოგონა-შველში — როგორც თვითონ უწოდებს, იპოვის იმას, რასაც დაეძებს, რადგან იგი დაეძებს იმას, რაც ადამიანს, თუნდაც მშვენიერ ადამიანს, აღემატება და რაც მხოლოდ თეორიულად

ეროვნული ბიბლიოთეკა



არსებობს, ან თუ არსებობს, მხოლოდ მოკლე დროით და სამუდამოდ გახსომებს თავს. მუდმივი თანაცხოვრება ამის საშუალებას არ იძლევა. რეალური ხახუნი ცეცხლს კი აჩენს — ოღონდ არა ზეციურს. ამხელა კაცი ვერ მიმხვდარა, რომ შეუთავსებელს ვერ შეათავსებს, პლატონურისა და ბაკხური სიყვარულის თანაარსებობა, ალბათ, შეუძლებელია, ალბათ-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ მეც ბევრჯერ ვიღრძე ტვინი ამ პრობლემაზე ფიქრით.

სიმონის ახალი საქაღალდე დევს ჩემს მაგიდაზე და ვგრძნობ, რომ ერთი სული მაქვს, გავხსნა იგი და შევუდგე მისი ახალი აღმოჩენების კითხვას. იმასაც მივხვდი, რომ ამ კაცის არაორდინალურობაში, მწარე ცხოვრებამ, თუმცა არცთუ ისე მწარე ცხოვრებამ, რადგან ბევრსაც ეშმაკობდა, თანდათან ჩამითრია და მისი ლიტერატურული მონაცემებიც თანდათან ვირწმუნე. მუსიკოსის თვალით დახატული სამყარო და ამ სამყაროს მთლიანობის იდეა უძველესია და მომხიბლავი. სიმონის გამუდმებული განზე დგომა ყოფითი პრობლემებისაგან ცოტა მაღიზიანებს კიდეც, რადგან თვითონ არ ვთაკილობ ათასი შავი საქმე გავაკეთო, თუმცა უხალისოდ, მაგრამ მაინც ვაკეთებ, და ეს არცაა გასაკვირი: მე იძულებული ვარ შვილებისთვის ვიზრუნო — სიმონი კი უცოლო კაცია, ყველა ოჯახური მოვალეობისგან თავისუფალი და ვერც გაამტყუნებ.

* * *

ჩემი კოშმარული სიზმრით, ალბათ, გადაგღალეთ, მაგრამ ვინმესთვის რომ არ მომეთხრო, ალბათ, შევიშლებოდი. ჩემი ცნობიერება, როგორც ვხვდები, საბჭოური საშინელების მსხვერპლია და მე დღესაც ვარსებობ, როგორც მსხვერპლი, რადგან მაშინდელმა მუდმივმა დაპირისპირებამ ისე გადამღალა, რომ ნერვები მთლად მწყობრში არა მაქვს. თუმცა თქვენ ეს არ გესწავლებათ, უარესი დღეები გაქვთ გავლილი. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ის ფარული თუ გამოჩენილი დისიდენტები, კომუნისტებს რომ ებრძოდნენ, იშვიათი გამონაკლისის გარდა (ჰაველი), პოლიტიკაში ვერ გამოდგებიან, რომ ვერ გამოდგებიან, ამის მაგალითებიც არსებობს. დარღვეული ფსიქიკის მქონე ადამიანი სახელმწიფოს ვერ მართავს, მით უმეტეს, იმ სახელმწიფოს, რომელიც მომავალში უნდა გახდეს სახელმწიფო და მთელ ამ ურთულეს პროცესებს — რკინის ნერვები, თვალთმაქცობის ნიჭი, ადამიანთა ადვილად გაწირვისა და პიროვნებათა დროზე გამოგონების უნარი ესაჭიროება. გარდა ამისა, მარადიული ცვალებადობა ვითარების შესაბამისად პოლიტიკოსის უპირველესი ნიჭი უნდა იყოს და მას უნდა შეეძლოს ნებისმიერი ჭუჭრუტანიდან გამოძრომა. სიმართლის თქმა მწერლის საქმეა და არა პოლიტიკოსის. სიმართლე ხალხს სჭირდება და არა პოლიტიკოსს, რადგანაც „ხალხო სიმართლე, საყოველთაო სიმართლე, სახელმწიფოს მართვაში არ გამოდგება. სახელმწიფოს მართავს ის სიმართლე, რომელიც დიპლომატიურად წარმოთქმული წინადადების ქვეტექსტში სულ ცოტა სამნაირად მაინც იკითხება, ნაჯახივით სიმართლე ბრბოს უნდა და ამ ნაჯახივით სიმართლის მქადაგებლებმაც იციან, ამას იმიტომ სჩადიან, რომ ოდესმე არჩევნებში გაიმარჯვონ და ძალაუფლება ხელში ჩაიგდონ.

მწერლის სიმართლე სხვა სიმართლეა — იგი მუდამ პოლიტიკასა და პოლიტიკოსებზე მაღლა უნდა იდგეს. ნამდვილი მწერლობა ყოველთვის ინარჩუნებს ასეთ ზეგავლენას. მისი რიდი მიტომ შემორჩათ დღემდე ჭკვიან პოლიტიკოსებს.

რაღა ბევრი გავაგრძელო და მე უარი ვთქვი ყოველგვარ პოლიტიკაზე და საქმეს ვაკეთებ, ვიდრე მაშინ, როცა პოლიტიკაზე ვყბედობ, მაგრამ რადგან ეს ქვეყანა ისე არაა მოწყობილი და საერთოდ, არც ერთი ქვეყანა ისე არაა მოწყობილი, რომ სრულად გამოეთიშო საზოგადოებას და ტოროსავით იცხოვრო ქოხში, უოლდენის ტყეში, განდეგილივით განმარტოვდე ან პითაგორელივით (ნაწილობრივ ჩემს თავს ვგულისხმობ) ჩაძვრე მიწურში და დღის სინათლეზე არ გამოხვიდე, ცხადია, ამიტომ, პოლიტიკა მეც მეხება თავის საცეცებით, სხვებზე ნაკლებად, მაგრამ მაინც მეხება.

თქვენ მოგეხსენებათ ჩემი კარჩაკეტილი ცხოვრების ამბავი. შენობით არ მოგმართავთ და მეცხრამეტე საუკუნის სტილს განგებ ვინარჩუნებ, სიმართლე გითხრათ, ყველაზე მეტად საკუთარი სიმყუდროვის დარღვევის მეშინია. როგორც ადრე გიამბობდით, რამდენიმე წელი მოვუნდი X-ის გამოგლოვებას. არ ვიქნები მართალი, თუკი არ გაგიმხელთ, რომ მთლიანად არც ახლა ამომიგდია გულიდან, მაგრამ ეს პრობლემა ისე ძლიერ აღარ მაწუხებს, სადღაც გულის კუნჭულშია ჩამარხული და არის თავისთვის. მაგრამ ერთ მძიმე პრობლემას მაინც წავაწყდი. ჩემს მარტოობაში თანდათან შემოაღწია ერთმა გოგონამ, რომელიც მეხუთეკურსელია უნივერსიტეტში და ისე ჩუმად დაიკავა თავისი ადგილი, როგორც გარდაუვალმა აუცილებელმა პაუზამ და მე ვგრძნობ, რომ თანდათან მიჩნდება სურვილი ამ პაუზის გახანგრძლივებისა — წარმოიდგინეთ პაუზა, რომელსაც ფერმატის ნიშანი ამშვენებს. ამ პაუზის სარკმლიდან სიცოცხლის ისეთი ნაკადი შემოდის ჩემში, რომ მიჭირს თავის შეკავება, არც ტოლსტოის ერთი მოთხრობის პერსონაჟივით არ მინდა თითი მოვიჭრა და ტკივილით დავიოკო თავი. თვითონ მოდის, თავის ფეხით მოდის, მთხოვს მისმინოს, მესაუბროს, ოთახი დამილაგოს, თან ამასაც დიდი მწვანე თვალები აქვს, მაცდურად სულ არ იყურება, უფრო გოგონა-შველია, შესახედავად უფრო ცისაა, ვიდრე მიწის, მაგრამ მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენერგეტიკული ველი — ისე მძლავრია, რომ შემომხედავს თუ არა — სისხლს მიჩქროლებს და ასე მეჩვენება, რომ ჩემი უარყოფილი ცხოვრება — საკუთარი თავის უარყოფა უფრო იყო, ვიდრე ახალი სიცოცხლის დაწყება, რადგან აქ, ჩემს ახლოს, სიცოცხლეში, თითქმის ყველაფერია, თითქმის, რაც კი მე მიყვარს და მომესურვება, გარდა ერთისა, რომლის ჩაკვლასაც შევალიე წლები. ეს გოგონა არის X №2, ალბათ, გიკვირთ, სახელი რომ არ გამოვუძებნე ან თავისი ნამდვილი სახელით რომ არ მოვიხსენიე. ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ყველა ქალი, რაც უნდა პრიმიტიული იყოს იგი, ბოლომდე ამოუცნობი რჩება, ჩვენ მხოლოდ ვიქმნით ილუზიას, რომ მთლიანად შევიცანით, მაგრამ არა, ტყუილია. გაგიკვირდებათ, მაგრამ X-№1-ის წინაშე დამნაშავედაც კი ვიგრძენი თავი, რომ ხუთწლიანი ერთგულების მერე ვიღაც მომეწონა და ფიქრში რაღაც დავაპირე. დანაშაულის გრძნობა ,იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ X №2-ს ორი დღე კარს არ ვუღებდი და თან ვცდილობდი ქალბატონ X №1-ს ტელეფონით დავკავშირებოდი. ისე მომენატრა მისი ხმის გაგონება, ისე, რომ არც მის ქმარს მოვერიდე — (ქმარმა ჩემს შესახებ ყველაფერი იცოდა), სინდისზეც ხელი ავიღე და შინ დავურეკე. კიდევ კარგი, არავინ მიპასუხა. ერთი მაგის მონატრებაც... ვიგინებოდი გულში და რატომღაც მეორე სართულზე დავალაჯებდი — სასტუმრო ოთახში, სადაც ტელეფონი მიდგას და სადაც კარგა ხანია არ ავსულვარ.

X №2-ს სახლში დავურეკე. მალე მოვალო, ხმაზე ეტყობოდა, გაუხარდა. ვიდრე იგი მოვიდოდა — ისევ სასტუმრო ოთახში დავაბიჯებდი, ვღელავდი და მოუსვენრად ვწრიალებდი.

ჩემი მტერი საკუთარ ქმედებათა, ფიქრთა გამუდმებული თვითანალიზია. ასე ხომ შეიძლება შეიშალოს ადამიანი. ხომ არ შეიძლება სულ ჩართული იყოს მაკონტროლებელი თვალი, ჩუმად რომ გიჭვრიტინოს და თავისუფლად განძრევის საშუალებას არ გაძლევდეს ან, საერთოდ, გრძნობის ჩაკვლა რატომაა აუცილებელი? პითაგორელთა ლეგენდებიდანაც კი ცნობილია, რომ ხშირად არ უნდა მიმართო ამ საქმეს, თორემ სამუდამოდ ჩაიკალიო, არავის უსწავლებია. ცოლის შერთვაც არც ერთ რელიგიას არ აუკრძალავს არავისთვის, მეტადრე ჩვეულებრივი მოქალაქისთვის. ან რომელი პითაგორელი მე ვარ, ან ტიბეტელი ლამა, ქრისტიანი ბერი ან დერვიში?!

ყველაფერი ტვინში ამელუფხა — რელიგიები, ფილოსოფიები — ათასი სისულელეები. ბოლო სიტყვებმა დამაფრთხო, რადგან ღრმად მწამს, რომ სიტყვებს უკუქმედების მისტიკური ძალა გააჩნიათ და დავდუმდი. „მამაო ჩვენო" ისე წავიჩურჩულე, ყოველი სიტყვა სწორედ რომ სულისმიერი იყო და დავმშვიდდი. აღარაფერზე ვფიქრობდი, ვიჯექი სავარძელში გაუნძრევლად და საკუთარ სიღრმეში ვიძირებოდი. არა, X №2-ს სახელი უნდა შევუცვალო; პაუზა — გენიალური სახელია, პაუზაც ხომ ამოუცნობი დუმილია, მაგრამ მისი ხანდახან გამეორება თუ შესრულება აუცილებელია, მისი ჩაკვლა არ შეიძლება, მისი ჩაკვლა თანდათანობითი თვითმკვლელობაა; მეტი არაფერი.

ცოტა ხანში პაუზაც მოვიდა, პაუზა ანუ X №2, მისი ნამდვილი სახელი არ მინდა გავიმეორო, რადგან მწამს, რომ ეს მხოლოდ ხელს შეუშლის ჩვენს ბუნებრივ თანაარსებობას. რაც უნდა დავუახლოვდეთ ერთიმეორეს, ბოლომდე მაინც უცხოები დავრჩებით და ერთმანეთსაც სწორედ იმიტომ დავეძებთ და ვპოულობთ კიდეც, რომ ეს მტანჯველი უცხოობა, უფრო სწორად რომ ვთქვა: ერთმანეთის ამოუცნობლობა ან ნაწილობრივი შეცნობა, რომელიც უფრო მეტ კითხვებს ბადებს — ისევ უცვლელად დარჩეს, როგორც რჩება იგი ნებისმიერი სიახლოვის შემდეგ. დაფარულთან მიახლოების ცდა ყოველთვის შეიცავს თავის თავში თამაშის ელემენტს, თამაში კი აღსავსეა მოულოდნელობით, იმ ველის მიმზიდველობით თუ მიზიდულობით, თანდათანობით სიახლოვეს რომ ახასიათებს.

პაუზა რატომღაც ჩურჩულით მომესალმა, მეც ფეხზე წამოვუდექი და სკამი შევთავაზე. ჩვენს შორის დარღვეული იყო რაღაც ზღვარი, რომლის გადალახვა თავიდან ყოველთვის ჭირს, მაგრამ დღეს, ამ წუთში, იგი ისე მიმზიდველი და ჰეროვანი მომეჩვენა, რომ ჩვეული გამბედაობა, მე რომ გამაჩნდა ასეთ საქმეებში, გამიქრა და ზოგადსაკაცობრიო თემებზე სასაუბროდ განვეწყვე. თითქმის ნახევარი საათი ვილაპარაკე იმაზე, რომ ზედაპირულ ცხოვრებაში (არ ვიცი, პაუზას ესმოდა თუ არა, რას ვგულისხმობდი ზედაპირულ ცხოვრებაში), მთავარია მიზნის არჩევა, გადაწყვეტილების მიღება და ქმედება. იგი დიდხანს მისმენდა გულდასმით, თუმცა მისი გაკვირვებული თვალები მაგრძნობინებდნენ იმას, რომ მე ჩემივე ლაპარაკით, ზედმეტი ყბედობით უარვყოფდი „ქმედების" თეორიას და განვაგრძობდი იმის თეორიულ მტკიცებას, რისი პრაქტიკული განხორციელებაც იყო საჭირო. მერე ერთხანს დუმილი ჩამოვარდა — სამარისებური დუმილი, მე წიგნის თაროებს შევყურებდი უაზროდ, მერე თანდათან ვიგრძენი — როგორ შევაღწიე ჩემთვისვე უცნობი რაღაც ძალით თუ შინაგანი თვალის საშუალებით რომელიღაც წიგნის რომელიღაც გვერდზე — სადაც ეწერა, რომ მოხუც მხატვარს ბავშვები ქვებით დასდევდნენ ქუჩაში, როგორც მაწანწალას და უპატრონოს და მხატვარზე მეტად შემეცოდნენ ის ბავშვები, რომლებიც, ცხადია, დღეს ცოცხლები აღარ არიან, მაგრამ მათი შთამომავლობა უეჭველად იტანჯება, ალბათ, — ბავშვი-წინაპრების ამგვარი საქციელის გამო. ის გენიალური მხატვარი, ფერების შემგროვებელი, მშვენიერების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაძიებელი — შემთხვევით არ იქცა დაცინვის, დამცირების და შეურაცხყოფის ობიექტად. უცნაურია, მაგრამ ბავშვებშიც კი გაუცნობიერებლად ჩაბუდებულია ზიზღი და აგრესია — ამაღლებულისა და გამორჩეულის მიმართ, შეუცნობლის და რაღაცით სხვებზე აღმატებული მშვენიერების მიმართ. ტყუილად კი არ ესხმიან თავს მანიაკებად ჩამოყალიბებული ტიპები რემბრანდტის „დანაეს" ან ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდას", — ტყუილად კი არ ამტვრევენ ტოტებს ახალდარგულ ხეებს ნახევრად დაბურულ გარეუბნებში და თავგამოდებით ჩხაპნიან უძველეს ფრესკებს საკუთარი სახელის უკვდავსაყოფად.

დიახ, არსებობს უამრავი ფსიქოლოგიური თუ სოციალ-პოლიტიკური მიზეზი — აგრესიისა და ზიზღის გამომწვევი პოეზიის, მუსიკის, ფერწერის, საერთოდ, ბუნების მიმართ, რაც ადამიანების ულმერთობაში გამოიხატება და თვითონვე ხდებიან თავიანთი აგრესიის მსხვერპლნი თანდათან, წლების განმავლობაში, ნაბიჯ-ნაბიჯ — მაგრამ მათი ცვლა არ იგვიანებს და ისინი თავიდან მოდიან, ევლინებიან ამ ქვეყანას იმ ოჯახებიდან, რომელთა უმრავლესობაც განწირულია მემკვიდრეობითი აგრესიისა და თვითგანადგურებისათვის, პოპულაციისა და ნგრევისთვის, გაუნათლებლობისა და დროის კვლისთვის. დაუკვირდით ამ საბრალო ადამიანებს, ულვთოდ დარჩენილ არსებებს — მთელი სიცოცხლე რომ გაჰყავთ ლოთობასა და დომინოს თამაშში, ამ დაკარგულ ტიპებს, რომელთა წინაპრებიც სხვას არას აკეთებდნენ იმის მეტს, რომ აბუჩად აეგდოთ დონ-კიხოტი, მოეკლათ ილია და გარსია ლორკა, დაენგრიათ საკუთარი ეკლესია-მონასტრები, ახლა ფრესკებს მისდგომიან და ჩხაპნიან, ახლა ტყეებს მისდგომიან და კაფავენ, საკუთარ ქვეყანას მისდგომიან და პირწმინდად თურქეთში გააქვთ. ამ პუბლიცისტურმა ნაკადმა, ჩემმა მონოლოგმა, თაროზე გამორჩეულად შემოდებულ წიგნებს რომ გამოება და გაგრძელდა რეზინივით — პაუზა მეტად გააკვირვა და მკითხა:

— რაზე ფიქრობდით, ბატონო სიმონ?! — მე ვიგრძენი, რომ „ბატონო", ამ წინადადებაში პირობითად ჟღერდა და ისე მომინდა, ისე მომენატრა გულში ჩამეკრა ეს X-ის მაგვარი გოგო, რომ აღარ მოვერიდე არაფერს, უპირველეს ყოვლისა — საკუთარ მეორე მეს, მუდამ კრიტიკული თვალით რომ მიყურებდა, მივუახლოვდი პაუზას — ჯერ თავზე ხელი გადავუსვი, მერე შუბლზე ვაკოცე და პაუზასთან ყოფნა ისე გამიხანგრძლივდა, რომ ვერც კი შევნიშნე, როგორ გადამავიწყდა ყველაფერი, რაც ხელს მიშლიდა, რაც ჩემს გონებაში არსებობდა და მამუხრუჭებდა. ის საღამო ზღაპარს უფრო ჰგავდა, ვიდრე რეალობას, მე დროდადრო მერეოდა ერთმანეთში ვიოლინო და პაუზა — თეთრი — მწვანეთვალებიანი გოგო, რომელიც ვიოლინოს მაგვარ ბგერებს გამოსცემდა დროდადრო და გაწვდილი გრძელი თითებით თითქოს რაღაცას ეძებდა ჰაერში, ალბათ იმ თრთოლვის სათავეს, რომლის მოხელთებაც დღემდე ვერავინ შეძლო და რის გამოც მეორდებოდა ყოველი ცდუნება ბუნებრივად და უსიტყვო თანხმობით.

ნუ. გაგიკვირდებათ ჩემი ქარაფშუტული საქციელი, მაგრამ რაც მოხდა, უკვე იმის დასაწყისი იყო, რისიც ყოველთვის მეშინოდა. X-თან განშორების მერე თავს ვარიდებდი რაიმე სერიოზული ურთიერთობა წამომეწყო რომელიმე ქალთან და ისევ იმედი გამცრუებოდა საკუთარი ახირებული შეგრძნებების თუ ხასიათის გამო.

ის მაინც მოხდა, რისიც მეშინოდა. სიყვარული ჩემთვის უსაზღვრო თავისუფლებას და ბედნიერებას ნიშნავს, მაგრამ წინასწარვე დავიწყე ფიქრი იმ ყოფით ერთფეროვნებასა და მოსაბეზრებელ წვრილმანზე, რითაც სასიყვარულო თავისუფლება თანდათან ხაფანგს ემსგავსება და მე, სიმონი, თანახმა ვარ ყველაფერი დავკარგო, ოღონდ ამ ხაფანგში არ გავება. მაგრამ ერთი რამ კი ცხადი იყო ჩემთვის — ვერ შევველეოდი პაუზას — ვიდრე ბოლომდე არ მოვიბეზრებდი. ამ სიყვარულის დასასრული თითქოს წინასწარვე იყო ცნობილი ჩემთვის, მაგრამ ჩემდა გასაკვირად, ჩემივე ფეხით მივდიოდი იქითკენ, საიდანაც ძნელი იქნებოდა თავის დაღწევა.

მარტო რომ დავრჩი, ჩუმი სიხარული ვიგრძენი. მარტოობა ჩემი ბუნებრივი მდგომარეობაა. ვიოლინოზე წავიმეცადინე და ისევ ჩემს ჩანაწერებს დავუბრუნდი. თანდათან ვგრძნობდი, რომ თუმცა უმუსიკოდ არ შემეძლო არსებობა, მაგრამ მხოლოდ მუსიკა საკმარისი არ იყო ჩემთვის და ახლა უკვე სიტყვებში შეღწევას, სიტყვებად გადაქცევას ვცდილობდი — არა, ისეთ ჩვეულებრივ სიტყვებად კი არა, ყოველდღე რომ გაისმის რადიოსა და ტელევიზორში, ქუჩაში, მეტროში, კრებებზე, მიტინგებზე — არა და არა. ეს სხვა სიტყვებია, სულ სხვა სიტყვები, სულიდან რომ ამოჰყავთ რაღაც ნივთიერი, ამოჰყავთ და რეალობად აქცევენ, ახალ სინამდვილეს ქმნიან, რომელიც სუნთქავს, ფეთქავს, ახალშობილი ბავშვივით ლოლიავს და მოვლას საჭიროებს, და მე სიგიჟემდე მიყვარს მათი ფუსფუსი, მათი ურთიერთკავშირით შექმნილი ბიოველის უხილავი და მთრთოლვარე ქსოვილი და ცხოვრება, ყოველდღიური ყოფა ჩემთვის თანდათან კარგავს აზრს.

მე არ ვიცი, წინა ცხოვრებაში ვინ ვიყავი ან ვინ ვიქნები მომავალ ცხოვრებაში. გამოგიტყდებით, რომ სულთა გადასახლებისა მწამს და ამაზე ხმამაღლა საუბარს ვერიდები. ტოლსტოის ხომ სწამდა, რომ წინარე ცხოვრებაში იგი სოკრატე იყო, ხოლო შემდგომში იგი ჯარისკაცად მოევლინებოდა რუსეთს XX საუკუნის მიწურულს და ჩინელების შემოტევისაგან დაიცავდა რუსეთს. აღმოსავლეთის ტომთა, კერძოდ, მონგოლოიდების ექსპანსიასა და მსოფლიოზე შურისძიების საშიშროებას გრძნობდა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვლადიმერ სოლოვიოვი თავის „პანმონგოლიზმში“, — რომელიც შენ თარგმნე, როგორც მახსოვს და ბლოკიც მიტომ იყენებს ეპიგრაფად სოლოვიოვის „პანმონგოლიზმიდან“ ორსტრიქონედს თავის „სკვითებში“. ბორხესი არ ამტკიცებს, მაგრამ ლამის ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ ომარ ხაიამის ინგლისურ ენაზე მთარგმნელი ედვარდ ფიცჯერალდი წინარე ცხოვრებაში, ალბათ, ომარ ხაიამი იყო, თორემ ასე ნამდვილად ვერ ჩაწვდებოდა და ვერ თარგმნიდა დიდი სპარსელის რობაიებსო... რაც უფრო ღრმად შედის ადამიანი დიდი წიგნების სამყაროში, იქიდან დროდადრო ამოყვინთავს და უბრუნდება ცხოვრებისეულ ზედაპირს, უფრო მგრძნობიარე ხდება მისი სული და ეს იმით გამოიხატება, რომ ასეთი ადამიანი თითქოს გამჭოლად ხედავს ყველას, ცხოვრებისეული ფუსფუსით დაკავებული ადამიანები მისთვის იმდენად გამჭვირვალეა, იმდენად გამჭვირვალე, რომ მას არ უჭირს ამოიცნოს მათი პრიმიტიული სწრაფვანი — ორიოდ წინადადებაში გამომჟღავნებული სურვილები და მსოფლაღქმა — თუ კი გააჩნია საერთოდ. ალბათ, ამიტომ ამბობდა პოლ ვალერი: ხმის ტემბრით შემიძლია ადამიანი ვიცნოო. ისინი ვერც კი გრძნობენ, როგორ ამხელენ საკუთარ თავს გამომეტყველებით, ჟესტიკულაციით, ორიოდე სიტყვით, უბრალო მოძრაობითაც კი. მე ზოგჯერ ნათლად ვხედავ, რა ხდება ამ ყრუ კედლის იქით. საგნებსაც კი ვამჩნევ და მათი სიჩუმეც თითქოს მოყონავს კარგად შებათქაშებული ბეტონის ფილიდან, უპატრონოდ მიტოვებულ ბგერებს, ჰაერში რომ გაბნეულან და ჩემში გროვდებიან უნებლიეთ, რათა სიტყვა შეკრან, სიტყვა, მერე რომ სხვას გამოიხმობს და ამ გზით შემოდის ჩემში მთელი კოსმოსი თავისი უხილავი თუ ხილული თრთოლვით, ამოუხსნელი თუ ალღოთი მიკვლეული შეგრძნებებით — და ეს ყველაფერი ჩემში გროვდება, გროვდება, გროვდება და მე ვივსები იმ უდიდესი და დაუსაბამო ენერგიით, რომლისგანაც უეჭველად უნდა გავთავისუფლდე. — მე მიყვარს თავისუფლება, მეტადრე მაშინ, როცა უმართავი და ამოუწურავი ენერგიისგან ვთავისუფლდები, როცა ვიწერ ჩემს განცდებს, როცა ვიოლინოს ვუკრავ და მაშინაც, როცა ვიოლინო და პაუზა ერთმანეთში მერევა. მაგრამ განა უკვალოდ იკარგება რომელიმე განთავისუფლება, იგი თავს მახსენებს დროდადრო, გადამეზრდება ჩვევაში და ყალიბდება ჩემში ცხოვრების წესი, თავის ნებაზე რომ დამატარებს. თანდათან მავსებს და მცლის, აღმავსებს და მაცარიელებს, როგორც ჭურჭელს და ამას ჰქვია სიცოცხლე, ცხოვრებისაგან რომ მკაფიოდ განსხვავდება. მაგრამ განა შეიძლება გამუდმებით ასე გაგრძელდეს ან როდემდე გაგრძელდება?! ან შეიძლება იმაზე ფიქრი, რაც სამუდამოდ დაფარულია და არასოდეს გამომჟღავნდება?!

ახლა ვზივარ ჩემს სარდაფში, კარგად ვამჩნევ, რომ უფრო ვრცელი ქსელი მოვქსოვე, ვიდრე იმ ობობამ — ჩემთან ერთად რომ თანაცხოვრობს და ისიც ჩემსავით განაგრძობს თავის საქმეს.

ფლაჟოლეტი ყოველთვის X-ს მახსენებს, არ ვიცი, რატომ, მაგრამ ბგერათა ამ შეხამებას X-ის სურნელი მოაქვს ჩემამდე. დავივიწყე, მაგრამ მაინც ვერ დავივიწყე. უარვყავი, მაგრამ მაინც ვერ უარვყავი. მოგონებების რაღაც ძაფებით მაინც მიბმული ვარ წარსულზე, მარადიულ მდევარზე, რომელსაც მინდა მოვწყდე და ვერ ვახერხებ. ახლაც ჩუმად ამოვაცურე ძველი დღიურები. გადავიკითხე, ისევ შემრცხვა საკუთარი თავის, მაგრამ მაინც გადავწყვიტე ამომეწერა ზოგიერთი ნაწყვეტი და თქვენთვის გამეცნო. იქნებ თქვენ მაინც მირჩიოთ რამე. მე ხომ კარგად მესმის, რომ პაუზაში ვეძებ X-ს, ე. ი. ვცდილობ ერთი და იგივე წყალში ორჯერ შევიდე, ვცდილობ, ვაჯობო კანონზომიერებას, ვცდილობ, არ დავუჯერო ამ კანონზომიერებას ან უბრალოდ X-ი დავტოვო იქ, სადღაც გულის კუნჭულში, შევეგუო იმას, რომ ხანდახან თავს შემახსენებს ფლაჟოლეტის გაგონებისას — ან პიჩიკატოს მოკვეცილი თანხმიერებისას, შევეგუო, რომ მერე ისევ მიმავიწყდება, ამასობაში პაუზა გაახანგრძლივებს უიქსობას, მერე ისევ უნდა გავიდე აივანზე, გადავხედო ბაღს, სადაც ყოველ ნაბიჯზე ჰყავის X-ის დარგული ყვავილები, როგორც იმ ბრწყინვალე წუთების ხილული გამოვლენა, ადრე რომ იყო, იყო — და აღარ დაბრუნდება. ისინი ახლა უკვე თავისით ითესებიან მიწაში, თვითონვე მრავლდებიან, ამოდიან და გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე თავს მახსენებენ.

მახსოვს თქვენი ბარათი — X №2-ს, ანუ პაუზას რომ გამოატანეთ, თქვენ ასე მწერდით: „მრავალ სურვილს შორის, ჩემო სიმონ, ერთი უმთავრესი უნდა აირჩიო, წარსული შენში იცხოვრებს მუდამ და არსად არ წავა, საბოლოოდ და უკვალოდ არ გაქრება. თუ ცხოვრების გაგრძელებას აპირებთ, და მე გირჩევთ, რომ ასე გადაწყვიტოთ, წარსულში აღარ უნდა იცხოვროთ საკუთარი წარმოსახვებით, რითაც მეტად დაჯილდოებული ხართ, არ უნდა გამოიხმოთ და არ უნდა განაახლოთ ძველი ტკივილი, წარსულს თუ დაემორჩილეთ, დაიღუპებით, თქვენს საშემსრულებლო ხელოვნებაშიც ხელი შეგეშლებათ და ნამდვილ სიყვარულსაც ვერასოდეს მიაგნებთ, მით უმეტეს, თუ თქვენ მოინდომებთ ადამიანური სიყვარულის ორ, მიწიერ და ზეციურ კატეგორიებად დაყოფას. თქვენ ხომ აღიარებთ სამყაროს მთლიანობას და განუყოფლობას, ხომ გწამთ, რომ უმიზეზოდ არც ერთი ბგერა არ იბადება და უკვალოდ წვეთიც არ ქრება ამ სამყაროში, რომ ყველაფერი და ყოველივე, მათ შორის ჩვენც, ამ მარადიული წრებრუნვის ნამცეცები ვართ და ჩვენი მეტამორფოზა დაუსრულებელი პროცესია. სულიერ და სხეულებრივ დაყოფას ერთხანს უნდა შეეშვათ, რათა თავი იგრძნოთ სავსე, მთლიან არსე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბად, რომელიც, მართალია, უფრო სულიერი წვდომისაკენაა მიდრეკილი, ვიდრე ფიზიკური ქმედებისკენ, მაგრამ ისიც უნდა აღიაროთ, რომ არ შეგიძლიათ საკუთარ თავში ჩაკლათ, როგორც თქვენ უწოდებთ — ბაკხური გრძნობები, რაინდული განცდების სურვილი და, რადგან არ შეგიძლიათ, თავს ნუ იტანჯავთ, ნუ გგონიათ, რომ თვითგვემით, პითაგორელთა სკოლაზე აქამდე ძლივსმოღწეული ლეგენდის ერთგულებით, რაიმეს მიაღწევთ, გარდა თვითგანადგურებისა.

ასე რომ, არჩევანი უნდა გააკეთოთ. X-ი უკვე გათხოვილი ქალია, ჰყავს შვილი და ქმარი. X-ი თავიდან ფეხებამდე ყვითელ ჟურნალისტიკაშია გადაშვებული. შენგანვე ვიცი, რომ იგი გათხოვდა იმიტომ, რომ გათხოვილიყო და პირველივე ვარიანტი ხელიდან არ გაუშვა. თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ X-ს დღესაც უყვარდე, ამის საბაბს ისიც მაძლევს, რომ ხანდახან ჩემთან რეკავს და შენს ამბებს მეკითხება. იქნებ ამას არც უნდა გიმხელდე, მაგრამ გიმხელ იმიტომ, რომ ვიცი, მიტოვებულად თვლი თავს. სინამდვილეში შენ არავის მიუტოვებიხარ. შენ დატოვე იგი ბუნდოვანებაში, უპერსპექტივო მომავალს უაზროდ მიუგდე გოგო, რომელიც შენზე უმცროსი იყო ოცდასამი წლით და რომელსაც გათხოვების ბუნებრივი სურვილი გააჩნდა. ისიც ადგა და იმას გაჰყვა, ვინც წაიყვანა. შენ კი გსურდა, მთელი ცხოვრება შენთვის ელოლიავებინა, შენი მუსიკის და ოპუსების ერთგული ყოფილიყო, რომელიც თავისთავად, ჩემთვის, და არა მხოლოდ ჩემთვის, მნიშვნელოვან სულიერ ღირებულებას წარმოადგენს, მაგრამ ვერავის დაავალდებულებ, თავი შესწიროს შენს ხელოვნებას, მაშინაც კი პაგანინიზე მეტიც რომ იყო. შენ X-ი მხოლოდ მაშინ გინდოდა, როცა გაგახსენდებოდა, თუ არ გჭირდებოდა, მისი არსებობაც აღარ გახსოვდა და შენი თვითშეწირვა მხოლოდ მუსიკის სფეროში იჩენდა თავს, X-ი კი გარეგნული ბიძგი იყო, აუცილებელი სივრცე, მუდამ რომ შენს სიახლოვეს უნდა ყოფილიყო მორჩილად, მდუმარედ და შენი ახირებები ეთმინა. ასე რომ, იგი შენგან კი არ წავიდა, შენ იგი აიძულე წასულიყო, რათა თავისი თავი ეპოვნა. შენ არც კი იცი, პირველი შვილი X-ს მკვდარი გაუჩნდა. ამ უბედურებას საკუთარ ცოდვებს აბრალებდა, იტანჯებოდა. მე რამდენჯერმე დამირეკა და მითხრა: სიყვარული რომ უარვყავი, იმიტომ დავისაჯე!

შენც ისჯები ახლა, ისჯები იმით, რომ საკუთარ თავს იტანჯავ და გამოსავალი ვერ გიპოვნია. გამოსავალი კი ერთადერთი არსებობს, უამრავ სურვილს შორის — აირჩიო მთავარი და ერთადერთი — და გააგრძელო ცხოვრება. შენ იმას ვერ აღმოაჩენ, რაც მარადის დაფარულია. თუმცა შენი ცდები საერთოდ წვდომის, დაფარულში ჩაღწევის თვალსაზრისით, ჩემთვის მეტად გამაოგნებელია და ვთვლი, რომ ეს თამაში თუ ცხოვრების ამგვარი წესი მეტად სახიფათოა და მეშინია მთელი სამუსიკო ენერგია შენმა მედიტაციურმა ცდებმა არ შეიწირონ ან იქით არ განავითარონ, როცა ყოფაზე, საერთოდ ცხოვრებაზე ამბობენ უარს და საკუთარ სულში გარინდებას ამჯობინებენ. ეს მეტად რთული გზაა და თუ ასე გადაწყვიტე, ყველაფერი უნდა დათმო — ვიოლინოც, სამსახურიც, ჩანაფიქრებიც, პაუზაც, X-ის ხსოვნაც და ყველაფერ ამაზე მაღლა უნდა დადგე, მანამ კი, ვიდრე წარსული გტანჯავს, ხოლო აწმყოს — ამ მშვენიერ პაუზას — (გამოგიტყდები და ამ სახელზე მეცინება), ორჭოფულად, როგორც დამხმარე საშუალებას, ისე უყურებ, არაფერი გამოგივა. ასე რომ, არჩევანი შენ უნდა გააკეთო, არა ყველაფერსა და არაფერს შორის, არამედ მრავალი სურვილიდან ერთი უნდა ამოირჩიო, ერთი და უმთავრესი — მუსიკა უპირველეს ყოვლისა და ამავე დროს ცოლიც შეირთო, მოეშვა გამოგონილ პრობლემას, რომ ოჯახი ხელს შეგიშლის თავისუფალ შემოქმედებაში. მე მგონი, თვითონაც კარგად გახსოვს რამდენი შვილი ჰყავდა ბახს, გენიალური ნაწარმოებების შექმნაში მისთვის შვილებს ხელი არ შეუშლიათ. შენ, უბრალოდ თავის შეწუხების გეშინია. საკუთარი ეგოს მორჩილი ხარ და გინდა, რომ შენ ეგოს მორჩილებდეს X-იც და პაუზაც. აი, სად იმალება შენი შეცდომა. სიტყვიერად კი აღიარებ სამყაროს მთლიანობას, განუყოფელს, დაუსაბამო კრისტალს, მარადცვალებადს და ჰარმონიულს, მაგრამ სინამდვილეში საკუთარ თავს აქუცმაცებ. როცა ეგოს ემორჩილები და, პრაქტიკულად, მთლიანად წყდები იმ უსასრულო მთელს, რომლის ნაწილიც შენ ხარ და, თვითგვემაში ჩაფლულს, დროდადრო თუ გახსენდება ის ბედნიერება, რომელსაც განიჭებს ბუნებრივი აღრევა ვიოლინოსა და პაუზას შორის, როცა ვიოლინოს ბგერებს არა მხოლოდ სიმები, შენი ვნებები, უფრო სწორად, შენი სული გამოსცემს. მე მიკვირს, რატომ ამბობ უარს ოჯახის შექმნაზე, რატომ არ ამზადებ დამოუკიდებელ პროგრამას სოლოკონცერტისათვის ან რატომ არ გადადიხარ კვარტეტში, სადაც დიდი ხანია გიხმობენ. ასე რომ, გააკეთე არჩევანი, მრავალი სურვილიდან აირჩიე ერთი, უმთავრესი, ასე უფრო დაუბრუნდები იმ მთლიანობას, სამართლიანად რომ აღიარებ სიტყვიერად, მაგრამ საქმით კი უარყოფ.

რამდენი წლით უმცროსია პაუზა შენზე?! თუმცა ამას მნიშვნელობა არა აქვს. ამასაც თუ დაკარგავ, მერე ვერაფერს იპოვნი, გარდა მარტოსული სიბერისა. ჩვენ ხომ ტოლები ვართ".

(დასასრული იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ზურაბ ნარმანია



## ფიროსმანს

კაცი კაცთაგან მიტოვებულს ჰგავდი შენობას,
შენი ხილვები მოსვენებას არც მე მაძლევენ -
ამახინჯებენ საშინელებას
და სინამდვილეს ალამაზებენ.

* * *

...შეხსენ ბაღის კაბაზე
ყვავილების ღილები,
როგორ მოგიდარბაზე,
ნახე, ძვალ-ხორც-რბილები.
ნახე სიმაღლეები,
სად ქამთასვლის კბილებით
გვაშინებენ დღეები
სიზმრით შეღებილები.

## ტერენტი გრანელს

არ გასვენებდა ღვთის წყალობა, ვით
ნაქურდალი,
ვარსკვლავებიდან უხილავი გჭამდა ობობა.
სიკვდილი იყო შენი მკურნალი,
სიცოცხლე - შენი ავადმყოფობა.

## სამი ლექსი ციკლიდან „წარმართი“

### 1. საიქიოდან...

ერთხელ მეც მოვყევ მაგ ქვეყნად
სიზმარს მზისა და მთვარისა;
ვიხილე წუთისოფელი -
გარს ალყა ერთყა ქარისა.
ხორცის პერანგში გავსინჯე
გემო ცრემლების მწარისა, -
ბნელი ჭამს თვალსაწიერს და
არც უმზეობა არისა.
არ ვიცი, ვინ შემაგონა
ცაში ფიქრების ტარება,
აწ ვხედავ - ცოდვილ მიწაზე
ვისი ვასრულე ბრძანება!..
დღისით ვხნავდი და ვთესავდი
ზეცის მიერთა ნებისად.
ღამით ვარსკვლავებს ვუსმენდი,
ვით იმედს გათენებისა.
სიკვდილს ვუძრახდი სიმკაცრეს
სიცოცხლის დამკარგავისა,
მისგან ვერ გიხსნის მანძილი,
ვერცა რამ რვალი ფარისა.
თუმც აჩნდა ნაფეხურები
ანარეკლს ცის და ბარისა,
ბევრი ვეძებე საშველი -
არის და არც არარისა.
დამდგენელი და მომშლელი,
ტყვე თავისივე თავისა,
დიდი მამაა კეთილის,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიდი დედაა ავისა...
ქვეყნად ვერავის ვხედავდი
ცოდვა-ბრალისგან განბანილს,
არადა, არ ისწავლება
სიკვდილ-სიცოცხლის ანბანი...
ჰოდა, მივადექ აღსასრულს,
ბნელში უსანთლოდ რებული,
რა მექნა? - ვერც რა ვქენი რა,
წავედი ატირებული.

## 2. დღე - თეთრი ყანჩა

გადადიოდა თვალწარმტაცი
დღე - თეთრი ყანჩა -
და ზღვის გადაღმა გადაჰქონდა
სინათლის ხიდი.
გაუფერულდა ქალაქების
დიბა და ფარჩა,
სული ნივთიერ სამოსელს იხდის...
შუაღამისას კვლავ დაუძვრა
ვნება ტყვეობას
და სიყვარულის გასაღებით
გაჭრა ღიობი...
და გამოუშვა ცის ბაღიდან
ბნელი ხეობა: სპექტაკლი,
სცენა და მსახიობი.

## 3. * * *

ეს დღეც მიწაზე დარჩა,
ცას კვლავ ოცნება ჰქვია,
გამოსავალიც არ ჩანს,
გასროლილია ტყვია...

ისევ მესტუმრა ეჭვი,
ისევ შეირყა რწმენა,
ისევ ეშლება შეშლილ
კაცს ღვთის საქები ენა.

## პატარებს

ჯერაც დღეები სიმაღლეში გემატებიან,
რა ღვთაებრივად უბრალოა სიტყვის მარაგი,-
ჯერაც სიცოცხლეს სიხარულის თეთრი ფრთები
აქვს, -
არ სძულებია თქვენს პატარა გულებს არავინ.

ახლა რომ ყველას დასანახად გეფერებიან,
ერთი შეხედვით, საიმედოდ დიდი ხელებით, -
კაცნი რომ ომის უსამართლო შხამით
თვრებიან,
გემუქრებიან ხშირად მტრობის საშინელებით.

ჯერ მალუმს თქვენი გახარება ზღაპრებს,
კარუსელს,
ჯერ ხელ-ფეხს ამტვრევთ სათამაშო ეშმაკს,
რქებიანს,
მაგრამ თქვენც მალე ატირდებით იმ
სიყვარულზე,
რომ დატოვეს და კაცნი ველარ უბრუნდებიან.

## თუ არ წამომყვა ცირა

...ახლა კი ჩაიძირა
ჩემი ცხოვრების ნავი,
თუ არ წამომყვა ცირა,
უნდა მოვიკლა თავი.

დიდხანს ვიარე მწირად,
ბევრი ვაბრუნე წყალი...
ვერ მოვიყვანე ცირა,
ვერც თავი მოვიკალი.

## ნამდვილი ერთიც არ ვართ

წამი სავსეა წამებით,
ღრღნიან ეჭვები იმედს.
თვალებით თვალს ვემალებით,
არაფრის კოშკში ვგიებთ...

ჩვენ რომ სიკეთის ძალაში
გავსინჯოთ გულის ქარვა,
ბევრნი ვართ, მაგრამ ქალაქში
ნამდვილი ერთიც არ ვართ.

## „მაგრამ მე რა ვქნა..."

აკრიფეს ფრთები სივრცეებმა, ცას რომ ესია,
ჩვენკენ მოფრინავს უკუნეთი – შავი თოლია,
იწვის ვარსკვლავთა საგიჟეთი, არ ჩანს მესია;
ვინც უღრმესია, დარდიც მეტი გამოჰყოლია...

მოხიბლული ვარ სინამდვილით და, რასაც ვხედავ,
ამ ერთი ციდა სოფლისათვის ისე დიდია...
კვნესის ქმნილება, შვილს მისტირის დედათა დედა –
მიწა, რომელიც არარსებულ ბეწვზე ჰკიდია.

მიჭრიალებენ უდაბნოში უსაზღვროების
სამყაროებით დატვირთული ღამის ურმები;
„მაგრამ მე რა ვქნა", გატეხილმა მგზავრმა დროების,
თუ ვიცი, მალე დასასრულით განვიკურნები.

## დუმილი მოკლედ იტყოდა

დუმილი მოკლედ იტყოდა,
რაც ვრცლად წიგნებში წერია,
წყურვილი ძებნას ითხოვს და
პოულობ – არაფერია.

ვხედავ, სათქმელს ვერ გასწვდება
სიტყვა და მაინც ვუნდები...
მიდიხარ, თუმცა თავდებად
არვინ დგას, რომ დაბრუნდები.

და მაინც: ბოლო ყოველის
ვისაც სიკვდილი ჰგონია –
სიკეთისაა მგმობელი,
სული არც გაუგონია.

...ცუდად ფიქრს თუ არ ვეჩვევით,
კარგად ახდება სიზმარი
და გადაგვარჩენს ჩვენ-ჩვენი
ნაჯაფი-ნათილისმარი...

## * * *

ავთო ჯაფარიძეს

წყალი იყო, მაგრამ ალი
მოსდებია გულებს ქებით...
ეს მე ვარ თუ ჩამავალი
მზე სამყაროს ვესიზმრები.

ცხრათა ცათა გვაკრავს ლობე,
განწირული არ ვართ ვინძლო,
საოცრების ნაწყალობევ
გულში უნდა გავიღვიძოთ...

ეს გული კი გულს აღარ ჰგავს, –
ჩარჩენილა ძილში, ვისაც
სიყვარული დაუკარგავს,
ვით თილისმა თავის ხსნისა.

## მე მჯერა...

ამაოდ, ამაოდ მახსენებ ჩავაო
მზე – ჩემი სიცოცხლის წყარო და მესახე,
წყალთან რას გახდები, დაშნავ და დანაო, –
მე მჯერა „ზღაპარი" სამოთხის შესახებ.

არ ვწუხვარ, არ ვდრტვინავ, არ ვეძებ ამაოს,
რაც არ მაქვს, იმისგან ვერ განვიძარცვები,
არა მსურს, არა გთხოვ ამაოს, მამაო:
არ შეხსნა ჩემს ხილვებს სინათლის ძაძები.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ლაშა ბუღაძე



## გამცემი

ყველამ საჭიროდ ჩათვალა, რომ მისულიყო მღვდელმთავრის თუ ეპისკოპოსის თუ მთავარი მოძღვრის სახლთან. და ამ სახლთან მისულებს, ყველას, დიდსაც და პატარასაც აი, ეს უცნაური, ერთი შეხედვით, უსიამოვნო და მართლაც, ბოლოს და ბოლოს, ძალიან უსიამოვნო რაღაც ეთქვა. და ეს - რაღაც, ისეთი უსიამოვნო იყო, რომ მღვდელმთავარმა თუ ეპისკოპოსმა თუ ყველას მოძღვარმა დაივიწყა თავისი მღვდელმთავრობა, ეპისკოპოსობა თუ ყველას მოძღვრობა და უპასუხა მათ, გარეთ, - კიბესთან მდგომ მრევლს:

- უი... ამას რას მეუბნებით?!.

და მრევლმაც, კიდევ ერთხელ, უფრო დაწვრილებით მოყვა ის, ერთხელ, ანუ პირველად მონაყოლი.

- ის ტაძარი თუ ეკლესია, რომელიც შარშან ავაშენეთ, ახალი და უცნაურია! - ამბობდა მრევლი, დიდებიც და პატარებიც, - უცნაურია ასევე ბერიც, რომელიც იქ მცხოვრები ბერების წინამძღოლია. და უცნაურობა მისი გადადის უზრდელობაში, რადგან მას ყოველი ჩვენთაგანის, დიდის და პატარას ლოცვები ესმის. ესმის, იწერს და მერე, ალბათ, ღამღამობით ხის და რკინის ღობეებზე აკრავს. და ლოცვები არაფრით... აი, არაფრით არ და ვერც უნდა ესმოდეს მას, რადგან ჩვენ არც ხმამაღლა და არც ჩურჩულით არ ვლოცულობთ. ჩვენი ლოცვა მხოლოდ გულიდან ისმის! და ოჰ, და უჰ, რომ ჩვენ, ტაძარში შესულებსა და სალოცავად განწყობილებს, სანთლის დანთების შემდეგ შიში გვეუფლება, ვაიმე, იმ უცნაურმა და უზრდელმა ბერმა ჩვენი ლოცვები არ გაიგოს!.. რადგან ჩვენ, საწყლებსა და ბეჩავებს ერთადერთი საიდუმლოღა დაგვრჩა და ეს საიდუმლოც ჩვენი საიდუმლოებით მოცული ტექსტებია, რომელთაც თქვენ და ჩვენ, არც მეტი, არც ნაკლები, - ლოცვებს ვეძახით! ის კი, ის უცნაური და უზრდელი ისმენს და კედლებზე აკრავს, და დღეს გავიგეთ, რომ თურმე გაზეთებშიც აქვეყნებს განცხადებებისა და ნეკროლოგების ქვეშ, აი, ასეთი სათაურით: „ჩვენი მრევლის უახლესი ლოცვები“.

და ჩვენ გვიკვირს და გვწყინს, რატომ უნდა ხდებოდეს ასე ამ ჩვენს მიერ აგებულ ტაძარში?!.. რატომ გვიგდებთ მასხრად მაშინ, როდესაც ჩვენ არა ვართ სიცილისათვის განწყობილები?!. ეს ხომ უტიფრობა, უზრდელობა და ათი ათასი უზრდელობა და ოცი ათასი უტიფრობაა! აბა, თვითონ ნახეთ: შედის ქალი, არც ისე მოხუცი და თურმე მაინც ახალგაზრდა. შედის ტაძარში, განწყობილი და მონდომებული, თავდახრილი, სხეულის ნელი მოძრაობით უახლოვდება შანდალს და უფრო თავდახრილი, უფრო მონდომებული და განწყობილი ანთებს სანთელს, და ჩუმდება და ცდილობს, რომ ცრემლმა აუწვას თვალები და სხვათა შორის ახერხებს კიდეც, - თვალები ცრემლით ევსება, ხელიც შუბლთან მიაქვს და იწყებს. ტუჩებს ამოძრავებს, თავს ხრის და წევს, იქით იხედება და აქეთ იხედება, სუნთქავს და არ სუნთქავს, თვალებს აცეცებს და მერე აშტერებს, და ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ მან, ხო, ამ საწყალმა მონდომებულმა და, ალბათ, არც ისე ცოდვილმა ქალმა, - თქვას, გაიფიქროს, წაილუღლუღოს, ჩაიფიქროს, თხოვოს ღმერთს, ხო... ღმერთს თხოვოს! დიახ, ღმერთს, ბოლოს და ბოლოს, ღმერთს... მართლა და მართლა, აი, ღმერთს თხოვოს ის რაღაც, რაც ძალიან უნდა, - ეს

დღეები, ეს თვეები, იქნებ ეს წლებიც! და შემდეგ მაინც, როგორც უნდა იყოს, - დაიმედებული და, ალბათ, იმედი გვაქვს, რაზეა ლაპარაკი! - უფრო განწყობილი და მონდომებული ეცლება შანდალს და მიიწევს კარისკენ და ფიქრობს და გონებით ეძებს, ჯიბეში ჩარჩენილ იმ /აუფ!/ საწყალი მათხოვრებისთვის მისაცემ, ზედმეტ /არა! როგორ თუ ზედმეტ?!/ ხურდა ფულს. და როდესაც პოულობს, კიდევ ერთხელ ტრიალდება, ხედავს, გვერდითა კედლიდან თუ კელიიდან თუ სვეტიდან როგორ გამოდის დაბალი, თეთრწვერა კაცი, კაცი კი არა, - ბერი! და ეს პატარა, თეთრწვერა ბერი-კაცი თუ კაცი-ბერი ხითხითებს აი, ასე: ხი-ხი-ხიპ, და ამ ჩვენნაირ არც ისე უცოდველ და მაინც უცოდველ ქალს, ქალს კი არა, - ბოლოს და ბოლოს, ადამიანს უახლოვდება. და ეუბნება მას ეს ბერი: „შვილო, ნუ უთვლი ღმერთს ამდენ სახელს, ამდენი ნათესავისა და მეგობრის ამბებს, ნუ იგონებ ამდენ გამოსავალს, ამდენ კეთილ დასასრულსა და წარმატებას. იცოდე, შენ - არათუ ერთი, ოცი ღმერთიც კი ვერ მოგისმენს“. და იყვირებს ეს ჩვენნაირი ქალიც, ვაი და უიო, რა იცით, საიდან იცით, მე ჩემს - ჩვენნაირ ღმერთთან, რაზე ვსაუბრობდიო. და ბერმაც უთხრა მას: „ - აჰა მოისმინე შენს მიერ თქმული და ჩემს მიერ მოსმენილი შენი, - არც ისე ცოდვილი და და მაინც ათი ათასჯერ ცოდვილი ქალის, აქ მოფიქრებული, ჩათქმული, აწყობილ-შეწყობილი ლოცვები“. და ბერმა /უიმე!/ ლოცვის ტექსტი /აუფ! ამ ქალის ლოცვის ტექსტი!/ თქვა: „ - ღმერთო, გთხოვ და ძალიან გთხოვ, დიდხანს მიცოცხლე ის და ეს, ესენი და ისინი /სახელებს თვლის/ დაეხმარე და მიხედე იმათ და ამათ, ამას და იმას, იმის ამას და ამის იმეებს. და გთხოვ და აი, ძალიან გთხოვ, ისე გააკეთე, რომ ამისმა ამან ხვალ, ანუ ოცში, ის ოთხი ცალი მომიტანოს და არაფერი წაიღოს, შემდეგ კი, მე ვიცი, რასაც ვიზამ. დღეს რომ სახლში მოვა, არ გაუკვირდეს, პირდაპირ მაგიდაზე დადოს და ბავშვსაც არაფერი უთხრას, იქნებ რამე, თუნდაც უმნიშვნელო აჩუქოს და მეც ვითომ ვერაფერი გავიგო! წავიდე იმათთან და, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი ვთქვა, ამოვთქვა, დავფქვა. უ, ღმერთო მაპატიე, მაგრამ ის რაღაც ყოველდღე მინდა, მაგრამ თან არ მინდა. ვაი, რომ ველოდები იმას და გთხოვ, რომ მოვიდეს, იმიტომ, რომ მასთან ერთად უფრო კეთილი და მონდომებული ვხდები. და შენც, ნუ რა მოხდა, - მაპატიე და ამ ამეებში დამეხმარე!“

და, როდესაც ბერი გაჩუმდა და ამ ჩვენნაირ ქალს ღიმილით შეხედა, ქალმა, ამ ჩვენნაირმა, დაიყვირა და ვაიმეო, - ხელები მაღლა ასწია. და კარისკენ მორბოდა იგი და ყვიროდა, ვაი, ვაი! მიშველეთ, ხალხო, ჩვენი ლოცვები ამ ვიღაც უცნაურ და ისეთ ბერს ესმისო! და გარბოდა იგი და ტიროდა, ეშინოდა და ფიქრობდა, რომ აქ აღარასოდეს, ხო... აღარასოდეს, არაფრის დიდებით, რომ მომკლა /ვაიმე!/, აღარ დავბრუნდებიო! ბერი კი ხითხითებდა, ხი-ხი-ხი, და გაკვირვებულ ახალგაზრდა, მართლა ახალგაზრდა ბიჭს თუ კაცს თუ, ბოლოს და ბოლოს, ადამიანს უახლოვდებოდა. „ - უი, ნუთუ ჩემი ლოცვებიც გაიგეთ?“ - ჰკითხა მას შეშინებულმა ადამიანმა. „ - ხი-ხი! რა თქმა უნდა“. - პასუხობს თუ უპასუხებს მას ბერი და ახალგაზრდა ადამიანის თუ კაცის ლოცვის ტექსტს იტყვის:

„აი შენი ლოცვის ტექსტი: ღმერთო, მომეცი ძალა, რომ ჩემი ცხოვრების მანძილზე უამრავი კაცისა და ქალის გაცნობა მოვახერხო; და ისე გააკეთე, რომ ამ ქალებსა და კაცებს უჩემოდ სუნთქვაც კი არ შეეძლოთ; და ასევე გთხოვ, რომ საიდანღაც, არ ვიცი საიდან, - გამიჩნდეს ან ვიშოვო აი, ის იმდენი ფული, რამდენიც მე შარშან გთხოვე და ამასთანავე ვიყო, ვიყო ცოტათი მაინც შენნაირი და სულიერი, რაღა თქმა უნდა! ხო, მერე კი, მერე კი არა, - ახლა, აი, დღეს ძალიან მინდა, რომ მივიდე მასთან და ისიც მოვიდეს ჩემთან და ეს დღეც ყოველთვის გავიხსენოთ ხოლმე“. - ბერი გაჩუმდა და დაელოდა იმ საწყალის, უწჲო მთხოვნელის, ალბათ, ძალიან ხმამაღალ რეაქციას, მაგრამ ასე არ მოხდა. იმ კაცს თუ ბიჭს, როგორც იტყვიან, ენა მუცელში ჩაუვარდა და /ხი-ხი-ხი!/ გაიქცა და სირბილის თუ სრბოლის დროს ფიქრობდა, ვაიმე, ეს ხომ წარმოუდგენელიაო, როგორ უნდა გაეგო მას ჩემი, ცუდად მოფიქრებული და არეულდარეული ლოცვებიო. და, როდესაც იგი ამ ტაძრის, რაღაც ძალიან დიდ, ანუ უშველებელ რკინის კარს მიუახლოვდა, მან, თურმე ახალგაზრდა მეცნიერმა და ბიჭმა, ასე გაიფიქრა: „იქნებ სანთელია მისი გადამცემი?.. ჩვენ სანთელს ვანთებთ, მივჩერებივართ მას, ვუყურებთ როგორ იწვება და ვლოცულობთ, თავი კი დახრილი გვაქვს და სანთელიც /აჰა! მივხვდი!/ ჩვენს ლოცვებს უხილავი, ალბათ თვალისმომჭრელი ტალღებით იჭერს და ბერს გა-

დასცემს, რომელსაც ექვსი ხმის გამა-უ-ძლიერესებელი უდგას კელიაში და, რომლის ხმაც რადიოს ხმის ფეთქვას მოგვაგონებს... ხო, ზუსტად ასე: ბერი და კიდევ მისნაირი რამდენიმე პატარა ბერი, ხმის გამა-უ-ძლიერესებელს გარშემო უსხდებიან, ხითხითებენ და სანთლის საშუალებით, იმ უხილავი და ვაიმეური ტალღების საშუალებით იჭერენ ჩვენს ლოცვებს, აი ასე: ...ფხც... ღმერთო, მომეცი ძალა, რომ ჩემი თავი... ფხ-ფხ-ც-ც..და აი, ისე ჰქენი, რომ მეც და ჩემმა ახლობლებმაც უუუ-დ--დ... ხო! ხო! მე, რა თქმა უნდა, შენი დახმარებით... ფცხ-ც-ც-ფხ... ვუუ-ვუუ-ც-ც... და აშ. და ა. შ. ბერები კი გვისმენენ და ხითხითებენ და დაგვცინიან და, ვაიმე, ალბათ. კიდევ რეებს აღარ აკეთებენ?!. და მეც ახლა კარისკენ რომ მივრბივარ, ვფიქრობ და ყველაფერში ეჭვი მეპარება; „თუ ბერები ტალღებით იჭერენ ჩვენს ლოცვებს, მაშინ რაღა მიუვა ღმერთს?!. ე. ი. მას არც არაფერი გაუგია და ეს ჩემი ლაპარაკები, გეგმები, აქვე, რაღაც თამამად და ხანდახან მართლაც კარგად მოფიქრებული, არა სადღაც ზემოთ, არამედ ხმის გამა-უ-ძლიერესებელში ისმის! და მაშინ ვაიმე და უიმე, რომ მე დროზე შევეშვი სანთლების თუ რადიოგადამცემების ყიდვას და კიდევ კარგი, რომ მე ასე ენერგიულად, მშვენივრად, გონივრულად შემეპარა ეჭვი და გადავრჩი, გადავრჩი, გადავრჩი!“ და ეს კაცი თუ ბიჭი თუ მეცნიერი, როგორც იქნა, მიუახლოვდა რკინის კარს და გარეთ, ქუჩაში, იქ - ქარში და თოვლში გავარდა. ბერი კი ჩვენთანაც მოვიდა და მეც, იმასაც, დიდსაც და პატარასაც, ჩვენ-ჩვენი ლოცვის ტექსტები გვითხრა: „- ო, ღმერთო, ისე ჰქენი, რომ სიმაღლეში მოვიმატო და ცოტათი გავსუქდე!“ - გეუბნებოდა იგი შენ. „ღმერთო, დაგვეხმარე, რომ... რომ კი არა, არც არაფერი... უბრალოდ, დაგვეხმარე და ადვილად მიიღე გადაწყვეტილებები!“ - ეუბნებოდა ბერი იმას. „ღმერთო, ნუთუ არ შეიძლება, რომ უფრო ხშირ-ხშირად მოგვშივდეს ხოლმე, უფრო ხშირად დავიბანოთ და უფრო ხშირად ვიცინოთ ხოლმე, ჰა?“ - ამბობდა იგი მის ტექსტს. - „ისე გააკეთე, ღმერთო, რომ ხალხი სულელად არ მთვლიდეს, პატივს მცემდეს და მეზობლებიც თითქმის ყოველდღე მესალმებოდნენ!“ - ეუბნებოდა იგი დიდებსა და პატარებს, ანუ ჩვენ, მერე კი კედლის თუ სვეტის უკან, პატარა კელიაში იმალებოდა თუ იმალება, ამ ყველაფერს იწერს, მერე ღამღამობით ქუჩაში გამოდის და კედლებზე აკრავს, დილით კი, როდესაც ჩვენ ვიღვიძებთ და ერთმანეთის საშინელ, უზრდელურ, ბინძურ ლოცვებს ვკითხულობთ, გვეზიზღება ყველა, მამაც და დედაც, შვილიც და ცოლიც, ქმარიც და ნათესავიც, და გვრცხვენია ჩვენ ერთმანეთის და გვძულს ჩვენ ის ბერი, რომელიც მამას შვილის მტრად აქცევს და რომელიც ცხოვრებას აი, ასე ხითხითით, თეთრი წვერით, დიდი თვალებითა და პატარა ტანით გვიწამლავს. და გთხოვთ შენ, არა ღმერთო, არამედ ჩვენო მღვდელმთავარო და ყველას მოძღვარო, რომ სწრაფად, ძალიან სწრაფად გადაკეტო, დალუქო, გადარაზო ტაძრის კარი, რადგან იქ, ჩვენი - შენი და ჩემი გამცემი ცხოვრობს!

## გალათეოსი - ქვის ქალი

მინოსმა ცამეტი ქალაქი დააარსა. მერე კი, სიბერეში, მეთოთხმეტე, - სულ პატარა. ეათნეი, ანუ ცივი ერქვა ამ მეთოთხმეტე, სულ პატარა ქალაქს.

ეათნეის ოთხჯერ გადაერქვა სახელი, დღეს კი ეს ქალაქი საერთოდ აღარც არსებობს. დარჩა, ანუ შემორჩა მხოლოდ თეთრი ლოდი ირომელიც დამწვარი, შავი მიწისკენ იყურება, და ლოდსაც ის პირველი სახელი, - ეათნეი, ანუ - ცივი ჰქვია. მნახველები მას ასე ეძახიან. ამ შავი მიწის ადგილზე კი, ქალაქ ეათნეიში, მინოსის სიკვდილის შემდეგ ოსტატებისა და შეგირდების მეტი არავინ ცხოვრობდა. ეათნეი, ანუ ცივი, სასწავლებლებით იყო სავსე. ოსტატები და შეგირდები და მათი ცოლები, ქალაქის შემაღლებულ, ანუ, როგორც ამ ადგილს მეცნიერებმა დაარქვეს, ცივ ბორცვზე ცხოვრობდნენ. ცივი ბორცვი კი დღევანდელი ლოდის საპირისპირო მხარეს მდებარეობდა. ახლა ეს ადგილი შავი მიწით არის დაფარული.

სიტყვა - ეათნეი, ანუ ცივი, მინოსმა მოიგონა, რადგან აქ მიწა ქალაქის გაშენებამდე ცივი და გაყინული ქვებით იყო მოფენილი. და ოსტატებიც და შეგირდებიც სწორედ რომ ქვის თლას სწავლობდნენ აქ. წლის ბოლოს ეათნეიში გრძნეულები, წინასწარმეტყველები და პატმოსელი მეთვალთვალეები ჩამოდიოდნენ ხოლმე. ჩამოდიოდნენ და ხელით ეფერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ებოდნენ ქვებს, კოცნიდნენ, იძინებდნენ მათზე, მერე კი შეგირდებს ათლევინებდნენ. და სამი თვე ეათნეიში, ანუ ცივში, ცხოვრობდნენ ხოლმე. ეს სამი თვე - ქვის თლისაა, უთქვამს ადრე ერთ-ერთ გრძნეულს.

ღონიერი შეგირდები დილის ოთხი საათიდან იწყებდნენ მუშაობას. და მუშაობდნენ ისინი ღამის ათ საათამდე. მერე კი ძილის წინ, გრძნეულებისა და წინასწარმეტყველების კარვებთან მიდიოდნენ და ამას ისმენდნენ ხოლმე, - ყოველდღე:

- ოსტატებო და შეგირდებო და თქვენ! დაამუშავეთ ეს ქვა და იყოს ეათნეის ქვა - ადამიანი, ან როგორც ადამიანი. და შექმენით ისინი, როგორც სუნთქვა, და სუნთქვა ისმოდეს ღვთაების, - ამ ქვებში! და გაცოცხლდეს იგი და - დაემორჩილოს, - ააგეთ!

მეორე თვეს, ოთხჯერ სახელშეცვლილ ქალაქში, ცხრა წლის აპელევსი და ცხრა წლის მისი მეგობარი ჩამოსულან. და, როცა კი ეს ორი ბიჭი თუ შეგირდთა შეგირდი /როგორც ახალჩამოსულებს ეძახდნენ ხოლმე!/ გრძნეულებსა და ოსტატებს უნახავთ, აღტაცებულან და უთქვამთ, ესენი იქნებიან - ისინიო. და სწავლობდა ეს ორი, შეგირდთა შეგირდი ისე, როგორც ყველა. ხელით ეხებოდნენ, თლიდნენ, ამრგვალებდნენ, ასუფთავებდნენ, სახეებს ახატავდნენ, ათრევდნენ ზურგით, მერე კი სულსაც უბერავდნენ ხოლმე. და აი, ასე - მთელი ცხოვრება - ოთხჯერ სახელშეცვლილ ეათნეის ქვებში.

ერთხელ, როდესაც ცხრა წლის აპელევსი ოცდაცხრის გახდა და თავისი საქმის სიყვარული ისწავლა, მან უთხრა თავის, ადრე ცხრა წლის, ახლა კი ოცდაცხრა წლის მეგობარს:

- მე დავტოვებ, ხვალ ღამით გავიპარები ეათნეიდან... ხო, ძალიან მომბეზრდა გრძნეულებისა და... იმათი სმენა... წავალ და მე თვითონ ვასწავლი ამ ქვებს სუნთქვას. შენ კი, თუ გინდა, დარჩი და, თუ გინდა, - ნურც წამოხვალ!

და ოცდაცხრა წლის აპელევსმა ეათნეიში დატოვა მეგობარი, რომელიც უკვე ოსტატი იყო.

ამ მეგობრის ოთხმოცდაათჯერ ცნობილი ამბავი, თუ როგორ გააცოცხლა და თუ როგორ შეიყვარა ქანდაკება-ქალი, ორასჯერ დამახინჯებულად ცნობილია. და ასევე ხუთასჯერ შეცვლილია ამ ქვის ქალის სახელიც. არა გალათეა, არამედ - გალათეოსი ერქვა მას. და თანაც, სულ ტყუილა მოსწონდა და უკვირდა ეს ამბავი მომავალ მნახველს, რომელიც ოთხჯერ სახელშეცვლილი ქალაქის ადგილზე წამოჭიმული ლოდის წინ იდგა. საკვირველი ამაში არაფერი იყო, ანუ ამაში საკვირველს არაფერს ხედავდნენ!

აი, რას გვეუბნება ქვათა მკვლევარი ო. ცმესკალი, ცმესკალს შავი ქურთუკი აცვია, ჭაღარაა, შარვლის ტოტები ნიწამდე ჩაუდის, მარჯვენა ხელით ქესტიკულირებს ხოლმე./

ო. ცმესკალი. ხო, ქვათა და ქანდაკებათა გაცოცხლება მაშინ დიდ საკვირველებას ნამდვილად არ წარმოადგენდა. ოთხჯერ სახელშეცვლილი ქალაქიც ხომ სწორედ ამიტომ იყო დაარსებული! წლის ბოლოს გრძნეულები და პატმოსელი მეთვალთვალეები ეათნეიში ქვის მთლელებს და მოქანდაკეებს სწორედ რომ ქანდაკებების გაცოცხლებას ასწავლიდნენ ხოლმე. გააცოცხლეთ ქვები! - ამბობდნენ გრძნეულები და სხვებიც, - გააცოცხლეთ და ამსახურეთ ისინი, - აქაც და იქაც! და აი, ბევრი ვარჯიშისა და ფხიზელი ძილის შემდეგ ოსტატები და შეგირდები და, ასევე, შეგირდთა შეგირდები, სულს ბერავდნენ ამ ქანდაკებებს და მერე, გრძნეულების მოთხოვნით, ხალხთანაც აგზავნიდნენ ხოლმე და მოდიოდნენ ხალხთან ეს - ეათნეიში გაცოცხლებული ქვები. მოდიოდნენ, როგორც მოციქულები! და... /ახველებს!/ მოპქონდათ და მოპქონდათ! ზოგს - სიბერე, ზოგს სიკვდილი, ზოგს გაფრთხილება, ზოგს სიმკაცრე, ზოგს სევდა, ზოგსაც მოწოდება ეათნეის გრძნეულებისა!.. და მოსიარულე ქანდაკება არავის აკვირვებდა მაშინ, აი, შიშით კი - ყველას ეშინოდა, რადგან ისინი გაფრთხილებისა და შეხსენების, მხილებისა და თითით ჩვენების მოციქულები იყვნენ. ხო, მათ ასეც ეძახდნენ: „ეათნეის მოციქულები“.

ქვის გაცოცხლების და ალაპარაკების ხელოვნება კი მას შემდეგ მიეცა დავიწყებას, რაც შავმა მიწამ ოთხჯერ სახელშეცვლილი ეათნეი ჩაყლაპა. ასე, რომ... /ახველებს/ საკვირველი ამაში, ანუ მოსიარული ქანდაკებებში, ვიმეორებ, - არაფერი იყო /ო. ცმესკალი შარვლის ტოტებს მარჯვენა ხელით იფერთხავს და გადის./.

...

აპელევსის მეგობარი, რომლის სახელიც ექვსჯერ სხვადასხვანაირია, ეათნეიში ცხოვრობდა. აი, მისი რამდენიმე სახელიც: ეოლოსი, არტარიოსი, კანიდე, ფაოკაანი, პიგმალიოსი /.. და არა პიგმალიონი, - სახელი, რომელიც ლოდის მნახველმა ხუთასჯერ დამახინ-

ჯებულად გამოიგონა!/, დამანტი და პეროსფი-ნე. ხო, ამ მოქანდაკეს ზუსტად შვიდი სახელი ერქვა, მაგრამ ჩვენ მას მხოლოდ - კანიდეთი მოვიხსენიებთ. მაშ ასე:

## ქვის მთლელი კანიდე და გალათეოსი

ერთხელ, საღამო ხანს, კანიდე ტრიალ მინდორში გავიდა. მინდორი ქვებითა და ქვის ადამიანებით იყო სავსე. ღამღამობით ისინი ლაპლაპებდნენ, მთვარის ქვეშ.

კანიდე გრძნეულის კარვიდან გამოვიდა, ზურგზე მოიკიდა ერთ-ერთი ქვის სხეული და ცივ ბორცვზე აიტანა. და ეს ქვის სხეული მამაკაცის იყო. კანიდემ დადგა იგი და მეტი არაფერი ჰქნა. ორივე თვალდახუჭული იყო, კანიდეც და ქვის სხეულიც.

შუაღამისას ბორცვზე სამი გრძნეული ამოვიდა, მათ უთხრეს კანიდეს:

-... როდესაც ჩაისუნთქავს, ღვთაება უნდა შევიდეს მასში. როდესაც ამოისუნთქავს, ღვთაება უნდა გამოდიოდეს მისგან.

კანიდემ თქვა:

- ჩაისუნთქე და - შემოვლენ! ამოისუნთქე და - გავლენ! ოცჯერ!

- ხედავ, თვალს ახელს, კანიდე!

- ხო, ვხედავ.

- უთხარი!

კანიდე ეუბნება მას:

- ეათნეიდან გახვალ თუ არა, პატარა ქოხს დაინახავ. მიხვალ ამ ქოხთან და კარზე დააკაკუნებ. თუ არ გაგიღეს, მაინც შეხვალ და აი, ამას მისცემ იქ მყოფთ!

კანიდემ ქვის სხეულს დახვეული ტილო მისცა და უთხრა:

- ამას ხის მაგიდაზე დაუდებ და თუ არა აქვთ ხის მაგიდა, მაშინ - ხელებში მისცემ. ფრთხილად იარე, არ დაიმსხვრეს... ტილო არ გაგეხსნას! ეგ - სიბერეა!

და წავიდა იგი. გრძნეულმა კი თქვა:

- დღეს ოთხი მოციქული გავუშვით ეათნეიდან. და მარტო ორს გავატანეთ, - სიბერე.

კანიდემ მინდორში გაიყვანა ისინი და აჩვენა მის მიერ გამოთლილი სხვა ქვის სხეულები. ქალის და კაცის და ღვთაებების.

- მთელი ქალაქია... ქვის ქალაქი!

ჩაილაპარაკა მეორე გრძნეულმა.

- ეს რაღაა?

გაჩერდა ერთ-ერთ სხეულთან მესამე გრძნეული. და კანიდეც გაჩერდა ამ სხეულთან. 'და ის, - ორიც. და თქვა კანიდემ:

- ეს ქალია... ჩემთვის გავაკეთე... ალბათ, არ დაგვჭირდება. გავტეხავ.

- არა, იყოს! - ამბობს გრძნეული, - ოღონდ დაარქვი მას გალათეოსი, რაც უბედურების მომტანს ნიშნავს. ოჯახებში გავატანთ მას, - უბედურებას!

- იყოს!

- ხო, იყოს!

და დაარქვა მას კანიდემ, - გალათეოსი და მერე, ქვის სხეულის თვალიერებისას, მიხვდა, რომ გალათეოსს ლამაზი სხეული ჰქონდა. მან ასეც თქვა:

- ო, გალათეოს, ლამაზი სხეული გამიკეთებია შენთვის! - და გაიცინა.

აი, რა მოხდა ერთი დღის შემდეგ:

- კანიდე! - უძახიან ქვის მთლელს გრძნეულები, - მე მგონი უკვე მოვიდა გალათეოსის დრო. აბა, მოიტანე... გამოვცადოთ!

კანიდემ ზურგზე მოიგდო ქვის სხეული და ცივ ბორცვზე აიტანა. გზაში კი ეუბნებოდა მას:

- გალათეოს, ცოტაც... და გაგაცოცხლებ!

გრძნეულებმა აქედანაც შეხედეს გალათეოსს და იქიდანაც. მერე კი ანიშნეს მოქანდაკეს და ქვის სხეულიც გააცოცხლეს. და გაცოცხლდა ის ჩვეულებრივად, ისე, როგორც ყველა ცოცხლდებოდა ხოლმე. და გაცოცხლებულს, სუნთქვის დროს, ეგონა, რომ ღვთაება შედიოდა მასში, მერე კი გამოდიოდა. ხო, ასე ეგონა გალათეოსს. - აი, ეს გამომართვი, გალათეოს! - თქვა კანიდემ და ქანდაკებას თივაში გახვეული რაღაც მძიმე ნივთი მიაწოდა, - ამ თივაში მუცლისა და ფილტვების ტკივილი გავახვიე... კარგად გეჭიროს, თორემ გაგისხლტება და მიწაზე დაგექცევა, მერე კი, ვაი შენს თავს!

ქვის გალათეოსმა ხმა ამოიღო:

- მე ვლაპარაკობ...

- ეს იმიტომ, რომ შენ, ალბათ, ორი ღვთაება შეისუნთქე ერთის მაგივრად. - თქვა გრძნეულმა. მერე კი ეს თქვა:

- დღეს შენ პირველად მიაკითხავ ადამიანებს და, თუ კარგად მიაკითხავ, შეიძლება, - პირველიც კი გახდე!

და ამბობს კანიდე:

- ეათნეის რომ გასცდები, ქვის სახლს დაინახავ. დააკაკუნებ კარზე და, თუ არ გაგიღეს, მაინც შეხვალ. იქ ქვრივი და იმ ქვრივის ნათე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



სავი ცხოვრობენ. მაგ მუცლის ტკივილსა და ფილტვების ტკივილს სწორედ მათ მისცემ!

– წადი!

– ... და ტკივილი მიუტანე მათ!

მოუსმინა გალათეოსმა გრძნეულებსა და კანიდეს, აიღო თივაში გახვეული ტკივილები და ნელ-ნელა, მძიმე ნაბიჯებით გაუყვა გზას. და თეთრი იყო ის სახეზეც და ტანზეც. კანიდე კი უყურებდა მას და ფიქრობდა: „ხო, ლამაზია ეს ქვის ქალი-“ო!

გალათეოსი იმ სახლთან ორი საათის შემდ-ეგ მივიდა, თორმეტის თხუთმეტ წუთზე. დააკა-კუნა კარზე, მაგრამ არავინ გაუღო, ძალიან გაუკვირდა. მერე კი გაახსენდა გრძნეულების ნათქვამი და კარი ქვის ხელით შეამტვრია. აი, მუცლისა და ფილტვების ტკივილები კი, ამ დროს, იღლიაში ჰქონდა ამოჩრილი. და, როცა შევიდა ამ სახლში, დაინახა, რომ ქვრივი და ამ ქვრივის ნათესავი შიშისგან კედლებს ეხლე-ბიან. და თქვა ქვის ქალმა:

– აი, მუცლისა და ფილტვების ტკივილი გა-მომატანეს თქვენთან! აიღეთ!

და მიაწოდა მათ ეს ნივთები და უყურა ამ ქვრივისა და ქვრივის ნათესავის ტანჯვას.

„ნუთუ ამ ჩემს მიერ მოტანილი ტკივილები-საგან იტანჯებიან?!“ – უკვირდა გალათეოსს. მერე კი, როდესაც ყველაფერი ნახა და სანახავი აღარაფერი იყო, გამოვიდა ამ სახ-ლიდან და დაბრუნდა თავის ქალაქ ეათნეიში.

– ყოჩაღ! – შეაქეს იგი გრძნეულებმა, – ხვალ გარყვნილებასა და სურდოს გაგატანთ ადამიანებთან!

და კანიდემაც უთხრა მას:

– ეათნეის ჭიშკართან ცხოვრობენ ისინი. სამი ქალი და ორი კაცი. დიდი სახლი აქვთ, გარყვნილებასა და სურდოს ფანჯრიდან შეუგ-დებ!

მერე კი უთხრა:

– ხო, ლამაზი ხარ. ძალიან ლამაზი!

მეორე დღეს, ანუ, როგორც გრძნეულებმა თქვეს, – ხვალ გალათეოსი ეათნეის ჭიშკართან მივიდა. შეამტვრია დიდი სახლის ფანჯარა და ეს, მის მიერვე მოტანილი გარყვნილებაცა და სურდოც იმ სამ ქალს და ორ კაცს ესრო-ლა. კაციც, სანამ გაირყვნებოდა, ამას ყვი-როდა:

– თავს ვუშველოთ!.. მოციქული მოვიდა ეათნეიდან!

მაგრამ უკვე გვიანი იყო, – ქალებს ცხვი-რები დაუწითლდათ!

და უყურა ამ ყველაფერს გალათეოსმა და, როცა მიხვდა, რომ სანახავი აღარაფერი იყო, დაბრუნდა თავის ქალაქ ეათნეიში და აი, ეს უთხრა კანიდეს:

– კანიდე, მე ვხედავ: ეათნეიდან ცუდის მეტს არაფერს მატანთ. ხალხი კვდება და ფუჭდება ჩემი მისვლის შემდეგ. ეს ყოფილა ცუდი და მე დავინახე, რომ ეს ყოფილა ცუდი, რადგან ორი ღვთაება შეესისუნთქე ერთის მაგივრად. შენ გამაცოცხლე და შენ მასწავლე სუნთქვა და მეც შენვე გთხოვ: ხვალ და ზეგ და იმის მერე გამატანე ეათნეიდან მარტო – კარგი.

მაგრამ ყური არ დაუგდო გალათეოსს კა-ნიდემ, მეორე დღეს, ჭასთან რომ სახლი დგას, იქ გააგზავნა და ლპობაც გაატანა, თეთრ ნაჭე-რში გახვეული. მაგრამ გალათეოსმა გზაში გახსნა თეთრი ნაჭერი და ლპობაც მასში გახ-ვეული, ჭაში ჩააგდო. შემდეგ კი შეიხედა იმ სახლში და ადამიანებს მოუყვა ის, რაც ჰქნა. და ადამიანებმაც, იმ სახლში მცხოვრებმა ად-ამიანებმა, გალათეოსის თავი ყვავილებისგან დაწნული გვირგვინით შეამკეს. და ამის მერე აღარავის ეშინოდა მისი.

მაგრამ თავის სიკეთესთან ერთად გალა-თეოსი სულელიც იყო, – იგი უკან, ეათნეიში დაბრუნდა. და აი, განრისხდნენ და ოთხი ათა-სჯერ გაბრაზდნენ გრძნეულები გალათეოსზე, რადგან იმ ჭას ენა მოეტანა მათთვის, ამ ასეთ-მა და ისეთმა ქვის ქალმა თეთრ ნაჭერში გა-ხვეული – ლპობა არა ვიღაცის სახლში, არა-მედ ჩემთან ჩამოაგდო და შემოაგდოო. და გრძნეულებმაც ჰკითხეს გალათეოსს, ოღონდ, – ათი ათასჯერ ხმამაღლა:

– რატომ ჰქენი – ეს?

– იმიტომ, რომ მომეწონა კარგი, და არ მომეწონა ცუდი! – უპასუხა მათ გალათეოსმა. და ამ პასუხით უფრო გაბრაზებულმა გრძნე-ულებმა ათჯერ და ოცჯერ დაავალეს თავიანთ შეგირდებს, რომ გალათეოსი – ქვის ქალი, ცივი ბორცვის ქვეშ, დამტვრეულებთან და და-ჩეხილებთან ერთად დაემწყვდიათ.

და წაიღეს გალათეოსი და იქ დაამწყვდიეს. და აქ იყვნენ სხვებიც, შეგირდების და შეგირდ-თა შეგირდების სხვა, – დამწყვდეული ცოლები. და შეეშინდათ დამწყვდეულებს:

– ქვის ქალო, რა მოგაქვს ჩვენთან?..

– არაფერი, ნუ გეშინიათ...

და მოუყვა მათ, რაც გადახდა. და მოყო-ლის დროს დაინახა, რომ იქით, ბნელ კუთხ-ეში, უშველებელი თიხის ჭურჭელი იდგა და სახურავიც თორმეტი ბოქლომით ჰქონდა გა-დაკეტილი.

– რა არის ამ ჭურჭელში? – ხმადაბლა, ძალიან ხმადაბლა იკითხა გალათეოსმა.

– ყველაფერი! – უპასუხეს მას დამწყვდეულებმა, – ქვის ხალხი და გრძნეულები ამ თიხის ჭურჭლიდან იღებენ ყველაფერს, იღებენ და მერე ადამიანებთან მიაქვთ...ყარს, ყარს ყველაფერი, რაც კი ამ ჭურჭელშია შენახული!.. და, თუ თავს მოხდი, წაილეკება ეათნეიც და ათასი ეათნეისნაირი!

– გრძნეულები ჭურჭელს ნელ-ნელა ცლიან, არა?..

შეეშინდა გალათეოსს და მეტი არაფერი თქვა. იმ ქალებმა კი, აი ეს თქვეს:

– ...როდესაც ოსტატებს თავისი გათლილი ქვები არ უჯერებენ, ისინი ტეხავენ ხოლმე მათ! ალბათ, შენც დაგამტვრევს ოსტატი კანიდე... თავს მოგაძრობს, ხელებს... ფეხებს დაგატეხავს... უნდა დაგეჯერებინა მისთვის!.. ახლა, – ინანებ!

და არ დაიჯერა ეს გალათეოსმა. მან თქვა:

– არ გამტეხავს. მე ვუყვარვარ კანიდეს.

და მეოთხე დღის საღამოს საპყრობილეში კანიდე შემოიპარა და შემოიპარა ის, – ჩირაღდნით ხელში. ზურგზე მოიგდო გალათეოსი და ოთხ წუთში უკან მოიტოვა ცივი ბორცვის ქვეშ მდებარე, ბნელი საპყრობილე.

კანიდემ სახელოსნოში მოიტანა ქვის ქალი. თავის საწოლზე დადო და ეს უთხრა:

– არ გეგონოს, რომ შეყვარებული ვარ შენზე... დღეს ღამე შეგიცნობ, მივეღები შენს მკერდს, – ქვისას, თეთრ ყელს და კისერს... ხვალ კი, ანუ დღეს დილით, გარიჟრაჟზე, უკან, – საპყრობილეში დაგაბრუნებ, თუ არადა, ჩაქუჩს გკრავ... დავლეწავ შენს სხეულს... შენს ფეხებსა და თავს... და გავაკეთებ მათგან ბევრს, – ქალებსა და კაცებს, ქვის ქალებსა და კაცებს! და ივლიან ისინი, და – ატარებენ!.. აი, ფიქრს კი არ ვასწავლი მათ!..

და ტანსაცმელი გაიძრო კანიდემ, გაშიშვლდა და გალათეოსს მოეხვია, და ნახა, რომ ადამიანივით ხურდა – ქვის ქალი.

– ო, რა ცივი ხარ, ოსტატო კანიდე, – ჩურჩულებდა გალათეოსი, ქვის ქალი, – შენი ტანი ქვასავით ცივია... შენი ბაგეები კი, როგორც ყინულია... მე ვკანკალებ, მე ვიყინები შენს ქვეშ!.. ო, კანიდე, უბედურო ჩემო ოსტატო, გამსრისავს ეს შენი ქვასავით მძიმე მუცელი... ლოდივით მაწვები და მსრისავ...

და გრძნობს ქვასავით გაციებული ოსტატი, რომ გალათეოსი უკვე ცეცხლივით ცხელია. რომ ხურს იგი!

და ამბობს კანიდე:

– გრცხვენოდეს, გალათეოს, მე ვარ ქვასავით, შენ კი, – იწვი!

და იცინის, და აქვე /ალბათ, თავისით თუ მოვიდა!/ ოსტატის ჩაქუჩიც ჩნდება. გალათეოსი, ანუ ქვის ქალი, გახურებული ხელით ეპოტინება ჩაქუჩს, და იღებს და მაღლა, ოსტატის თავთან წევს, და ურტყამს გაღიმებულ სახეზე. კანიდე კი თითქოს კბილებისგანაა გამოთლილიო, იბზარება და შუაზე იმსხვრევა. ცხვირი – დატეხილი, – მიწაზე ვარდება, – შუბლი ნაწილ-ნაწილ იფანტება ოთახში, ნიკაპი კი შუაზე ტყდება და კედლისკენ მიფრინავს.

და გამორბის, და უკან იტოვებს დამსხვრეულ კანიდეს ქვის ქალი – გალათეოსი. და ხედავს, რომ დერეფნები, გამოქვაბულები, ოთახები – ქვის ხალხითაა სავსე, ქალები და კაცები! და მიდის მათთან გალათეოსი და ამსხვრევს, ამსხვრევს ქვისგან გამოთლილ ხელებს, ფეხებს მუხლებს, კისერს, თავებს, თმებს, ტერფებს, მკერდს, მუცლებს, მტევნებს – ცივებსა და გაქვავებულებს!

და მერე გამორბის გარეთ, მინდორში, და ხედავს, რომ სავსეა აქაურობა – ქვის ხალხით, ქალებითა და კაცებით და რომ მთელი ქალაქი, – ოთხჯერ სახელშეცვლილი, ქვის ადამიანებით არის გაჭედილი.

– ეათნეი, ეათნეი! – ამბობს გალათეოსი, – ერთი კაცი, ერთი ადამიანი მაინც რომ ცხოვრობდეს აქ, მაშინ ცოცხალს დაგტოვებდი...

და იპარება იგი საპყრობილეში, იმ ბნელში და ცივში, უახლოვდება თიხის ჭურჭელს და ბოქლომებს, – თორმეტ ბოქლომს ტეხავს! ტეხავს და მძიმე ხუფსაც ხდის და ამოდიან იქიდან შურისგებისა და ცეცხლის და სხვების ღვთაებები, და ამოდიან და ამბობენ:

– ვინ ხარ შენ, რომ გვიშვებ აქედან?..

– მე ვარ ქვა, რომელიც ალაპარაკდა!

– მაშინ წადი და ნუ მოიხედავ უკან, და რაც მოხდეს ეათნეიში, – მოხდეს!

და ფრინდებიან ცეცხლის, და წყლის, და სხვათა ღვთაებანი და ტრიალებენ, და პქრიან ეათნეის თავზე. გალათეოსი კი უკან მოუხედავად მორბის, ცდება ქალაქის ჭიშკარს, ცდება ჭას და ცდება ყველაფერს, რაც კი არის მის გარშემო... მაგრამ ესმის ხმა, ხმა ოსტატის, – კანიდეს ტირილის ხმა!

და ადგილზე შეშდება გალათეოსი, – ქვის ქალი, შეშდება და უკან იხედება. და ხედავს: ეათნეის, ოთხჯერ სახელშეცვლილს, ცეცხლი და წყალი და შავი მიწა ფარავს, ფარავს და

ეროვნული ბიბლიოთეკა



მარხავს ყველაფერს.

„ნუ მოიხედავ უკან!“ - უყურებს და მარილის სვეტად იქცევა გალათეოსი, - ქვის ქალი. და მარილის სვეტია ის ახლაც, თუმცა ხუთასჯერ დამახინჯებული მნახველები მას - ლოდს ეძახიან.

## ყვითელი

...არც ცოლი! მე შვილებიც კი არა მყავს, რომ მათ ჩემი ქონება დავუტოვო. მე მარტო ვარ. ამ სახლში მარტო, სრულიად მარტო ვცხოვრობ. ეს სავარძელი მე მეკუთვნის, ამ ფანჯრიდან მხოლოდ მე ვიყურები, ამ მაგიდაზე კი მარტო მე ვჭრი ხოლმე პურს. დილით გამოხურულ კარს საღამოს მევე ვაღებ, ვაღებ და ჩემს პატარა, არც ისე პატარა საწოლზე ვწვები, და ვწვები და ვიძინებ. ღამე კი, როდესაც სიზმარი ოფლით გაწურულს მაღვიძებს, არავინ არის ჩემს გვერდით, რომ მითხრას, - დაწყნარდი, ეს ხომ მხოლოდ სიზმარი იყო. და მეც ვიძინებ, სიზმარი კი გრძელდება.

ჩემი ძმა, რომელიც ოთხშაბათობით მოდის ხოლმე, ძალიან სერიოზული და დაფიქრებული ადამიანია. მან ჩემი, ე. წ. ქონების სიაც კი შეადგინა. აი, ეს სიაც: „რვა თეთრი პერანგი, ოთხი სკამი, საწოლი, მაგიდა, სამი შარვალი, - სხვადასხვა ფერის, ორი ქურთუკი, შანდალი, თიხის ჭურჭელი და რამდენიმე ოქროს მონეტა, რომელზედაც კეისარია გამოსახული. ასევე, იარაღიც. მეტი არაფერი“.

ეს სია ჩემმა ძმამ გულის ჯიბეში შეინახა, შემდეგ კი მითხრა:

- აი, ამით შეგარცხვენ ხოლმე!

ერთხელ ჩემი მეზობელი ძალიან გაღიზიანდა, აი მერე კი რაღაც უცნაური, კრიახის მაგვარი ხმით აყვირდა:

- გამაგებინე, ვინ ხარ, ბოლოს და ბოლოს, რომ მიდიხარ და მოდიხარ, ვინ ხარ, ჰა?..

და მე კიბეზე ჩამოვჯექი, შემდეგ კი მეზობელს ვრცელი პასუხი გავეცი თუ ვინცა ვარ.

„ჰეი, შენ, მეზობელო! მე ერთი ჩვეულებრივი მამაკაცი ვარ, რომელსაც ბავშვობაში მსახურება, კარგი... კეთილი, მორჩილი მსახურება შეასწავლეს.

მამაჩემი მსახური იყო, ბაბუაჩემი მსახური იყო და მეც მსახური ვარ! მე ასე მეუბნებიან ხოლმე: წადი იქ და მოიტანე! მოდი აქ და წაიღე! და მეც ყველაფერს ვასრულებ, რადგან ასრულებდა ჩემი მამაც და ბაბუაც, რომელიც ორმოც მსახურთან ერთად არის დასაფლავებული. და მე ვიცი, რომ ასეთ საფლავს მეც გამითხრიან! შენ კი, მეზობელო, ნუ მეკითხები, ვინ ვარ მე! ნუ მეკითხები, დამავალე და მეც მაშინ მოგისმენ“.

იმ დღის შემდეგ ეს მეზობელი თვალითაც არ მინახავს და ყურითაც კი არ მსმენია მის შესახებ არაფერი.

გამყიდველს ვკითხე ჩემს მეზობელზე, ხომ არ გინახავს-მეთქი, მაგრამ მან სხვა პასუხი გამცა, ძირს ჩამოყრილ საქონელს უკან, დახლზე ალაგებდა, - რა დროს შენი მეზობელია? ვიღაც შემოგვივარდა, დახლიდან საჭმელი გადმოგვიყარა, მტრედები გაათავისუფლა და სულ იმას გაჰყვიროდა, მამაჩემის სახლში ბინძურ ვაჭრებს არაფერი ესაქმებათო. გიჟი იყო, ნამდვილი გიჟი!.. ისე კი არ ჰგავდა გიჟს...

და მეც, სახლში დაბრუნებულმა და საწოლზე წამოწოლილმა, გავიფიქრე, ნეტავი, მანახა ის გიჟი, რომელიც გიჟებს არა ჰგავს. აი, მეორე დღის საღამოს კი ჩემმა მოძღვარმა და მთავარმა იმ გამყიდველის სიტყვები გაიმეორა:

- ხო, გიჟია, მაგრამ ერთი შეხედვით გიჟს არა ჰგავს!

შემდეგ კი დაამატა:

- ხვალ-ზეგ შევიპყრობთ და მოსამართლეს გადავცემთ.

...მაგრამ გავიდა ხვალინდელი და ზეგინდელი დღეც, მე კი სიცხისაგან გაბრუებული მზესთან, ხო, მზესთან ვცდილობდი ლაპარაკს:

- დამასვენე, დამასვენე! ცოტა ხნით მაინც!

და მე მეგონა, რომ მზე ღამითაც არ ტოვებდა ჩემს სარკმელს! აი, აქ, შუბლთან, საფეთქელთან, ყურთან იდგა და მწვავდა.

ხუთშაბათს კი ჩვენ, მსახურებს, მოძღვარმა და ბატონმა გვითხრა, რომ დღეს, ანუ ხუთშაბათს მას, გიჟს, რომელიც გიჟებს არა ჰგავს, მოკლედ, დღეს საღამოს მას შევიპყრობდით, და შევიპყრობდით არა საღამოს, არამედ ღამე, როდესაც მთვარე გაგვინათებდა ვიწრო ბილიკებს და მან ასე თქვა:

- დღეს, ხუთშაბათს ჩვენ ის გიჟი უნდა შევიპყროთ, რომელიც ერთი შეხედვით გიჟს სრულებითაც არა ჰგავს, და შევიპყრობთ მას ღამე, როდესაც მთვარე გაგვინათებს ვიწრო ბილიკებს.

შემდეგ კი გვიბრძანა:

- აიღეთ ხმლები და კეტები, ჯოხები და შუბები, რათა მას შეეშინდეს ჩვენთან ბრძოლისა!

და ჩვენ, მსახურები, ვფიქრობდით, ნუთუ ასე საშიშია ეს გიჟი, რომ მის წინააღმდეგ ხმლებითა და კეტებით, ჯოხებითა და შუბებით გამოვედივართ?!. და ჩვენ გვეშინოდა, გვწყინდა, რომ ოცი ხელი არა გვაქვს, რომ ოცივეთი ვიქნიოთ ხმლები და კეტები, ჯოხები და შუბები! ხო, ძალიან გვეშინოდა და ძალიან გვწყინდა!

და საღამოს ჩვენ, ოცდაათ მსახურს წინ რამდენიმე მოძღვარი და ბატონი მიგვიძღოდა და, ასევე, ის პატარაც, ბავშვს რომ ჰგავდა. ხო, მოძღვარმა და ბატონმაც სწორედ მას ჰკითხა:

- როგორ უნდა ვიცნოთ იგი?

და მანაც უპასუხა:

- ვისაც მე ვაკოცებ, ის შეიპყარით.

ჩვენ კი გაგვიკვირდა, ნუთუ შუბით არ შეუძლია, რომ მიგვანიშნოს მასზე? და ჩვენ, და მეც მაგრად ჩავეჭიდე ჩემს იარაღს თუ იარაღებს. და მე ვამბობდი:

- ოცდაათ მსახურს ვერ მოერევა ერთი საწყალი გიჟი! - და ამ სიტყვებს თურმე ბევრი იმეორებდა მაშინ. აი, ჩვენს ბატონს კი პირველს არ შეეშინდა:

- წადი და აკოცე... ჩვენ მზადა ვართ!

და ის, პატარაც, მივიდა იმ რამდენიმე კაცთან, თითქოს რაღაც თქვაო, შემდეგ კი ერთ-ერთი ამოირჩია და სწრაფად, უშნო ღიმილით აკოცა. და ჩვენც, ოცდაათ მსახურს, ბატონების და მოძღვრების ხმა ჩაგვესმა:

- აი, ის არის... ის!

და ჩვენ მივვარდით მასთან, შუბები, ხმლები, ჯოხები სახესთან მივუტანეთ და დავდექით, დავდნქით, როგორც ჭკვიანი მონადირის ძაღლები. მან კი თქვა:

- შუბებითა და ჯოხებით მოხვედით ჩემს შესაპყრობად ისე, თითქოს ვინმე ყაჩაღი ან ბოროტმოქმედი ვიყო.

მე კი მხარზე დავადე მას კეტი და მოვიხარე, მოვიხარე კი არა, დავსუსტდი! თითქოს თავი მზემ ამიწვაო... და აი, სისხლი დავინახე თუ არა, შემეშინდა და ავტირდი, ტკივილმა ამატირა! ხო, ხო! ამ სამი, ორი, ერთი წამის წინ, მისმა მსახურმა თუ მოსწავლემ, თუ მოწაფემ რაღაც ბასრით, პატარა ხმლით ჩამომათალა ყური და მეც ვიყვირე და ძირს დავეცი, რადგან ტკივილის ბავშვობიდანვე ძალიან მეშინოდა, ჩემი ბატონიც კი დააფრთხო ამ ჩემმა სისხლში გათხვრილმა ყურმა! აი, ის კი, გიჟი, რომელიც გიჟს არ ჰგავდა, დაიხარა ჩემს თავთან და ხელი უყურო, ცარიელ, სისხლით ათქვეფილ ხორცზე მომადო, და მე მეგონა, როქარმა, პატარა სიომ დაუბერა აქ, ჩვენს, ოცდაათი მსახურის ფეხებთან. და დავინახე, როგორ მიჰყავდათ იგი, ხელშეკრული, მე კი ვგრძნობდი, მესმოდა, ვხედავდი, რომ ტკივილი იმ ჩემი სისხლივით შეიწოვა მიწამ, და რომ ყური მთელი, მის მიერ გამთელებული იყო!

2.

დღეს მე გავექეცი ჩემს მოძღვარსა და ბატონს, გავექეცი მეზობელს და ძმას, ორმოც მეგობარსა და ოცდაათ მსახურს. გავყიდე სახლი, ორი თეთრი პერანგი, ოთხი სკამი, საწოლი, მაგიდა, ორი შარვალი, ერთი ქურთუკი, შანდალი და რამდენიმე თიხის ჭურჭელი. დავიტოვე: ორი თეთრი პერანგი, ერთი შარვალი, ერთი ქურთუკი და ოქროს მონეტები, რომლებზედაც კეისარია გამოსახული. ამ ოქროს მონეტებით სალებავები, ფუნჯები და ტილოები შევიძინე, ვიარე და მოვძებნე ტრიალი მინდორი, მზით დაფარული და განათებული! დავდექი შუაში და ამ ჩემი გამთელებული ყურით დავიწყე ჩიტების, წყლის, მზის ამოსვლის, სიზმრების, ხმის, ფიქრების, სალებავების, ფუნჯის სმენა. და მე ვიცოდი, რომ ახლა თავისუფალი ვარ, ამ ჩემი გამრთელებული ყურით.

ღამე პირდაპირ ბალახებში ვიძინებდი, შემდეგ კი გავიგონებდი თუ არა მზის ამოსვლას, ფეხზე ვდგებოდი და ვხატავდი ამ ყველაფერს, რაც ჩემს გარშემო იყო. ვხატავდი და მესმოდა მათი.

ერთხელ, როდესაც შიმშილმა ძალიან შემაწუხა, უცნაურმა ხმამ გამომაღვიძა:

- წამოდექი, დამარხე ეს ტილო, ფუნჯები და სალებავები. დამარხე და დაბრუნდი იმ შენს ბატონთან!.

მე თვალები გავახილე და მივხვდი, აქ არავინ იყო. ხმა კი მესმოდა. აი, აქ, ჩემს ყურთან. ყურთან, რომელიც არც არასოდეს მოუჭრიათ და არც არასოდეს გაუმთელებიათ! და მე მივხვდი, რომ ეს ყური, ეს მარჯვენა ყური, იმ მსახურისა იყო, რომელიც შუბებით, კეტებით, ხმლებითა და ჯოხებით შეიარაღებული მიდიოდა ადამიანის შესაპყრობად და მე ვთხოვე ჩემს გამთელებულ ყურს:

- გთხოვ, გადაფარე ამ ძველი მარჯვენა ყურის ხმა, გადაფარე ისე, რომ ჩურჩულიც კი არ მესმოდეს მისი!

და გამთელებულმა ყურმაც ასე მიპასუხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ნუ გეშინია, ჩემს ხმას უსმინე!

მე ვხატავდი, ვხედავდი და მესმოდა ყვითლის, წითლის, ლურჯის, მწვანე ფერის ხმა. ვხატავდი და წყურვილისაგან დაჩირქებულ ტუჩებს ვამოძრავებდი, ის კი, ის უბედური, ძველი, შეიარაღებული მსახურის ყური ხმამაღლა, თითქმის ღრიალით ამბობდა:

– დაყარე საღებავები, ღრმად, მიწაში ჩაფალი ფუნჯები და ტილო! დაუბრუნდი შენს ბატონსა და მოძღვარს, ძმასა და მეზობელს! შენ ძლიერი ხარ, ღონიერი, სწრაფი ხარ!...

... მაგრამ მე არ მესმოდა მისი.

3.

დღეს მზეს ვეფიცხები და ვხატავ... აი, ამ ყველაფერს! და ვხედავ: შუა მინდორში, ბალახებს შორის, მზის სხივებით აწითლებული და გათანგული ჩემი ძმა მოდის. და მე მიკვირს, თან მიხარია. ძველი, მარჯვენა ყური კი მეუბნება:

– აი, ძმა მოვიდა შენთან, რათა სახლში, შენს მოძღვართან და ბატონთან დაგაბრუნოს. მოუსმინე მას და გაჰყევი!

მარცხენა, გამთელებული ყური კი მეუბნება, და მეც მიხარია, როდესაც მის ხმას ვიგებ:

– ნუ მოუსმენ შენს ძმას, მეზობელს და იმ ძველ, შეიარაღებულ მოძღვარს! აქ, მზის ქვეშ არის შენი ადგილი!

და მე ვეხვევი ჩემს ძმას:

– თეო, თეო, აქ საიდან გაჩნდი?

ის კი ოფლს იწმენდს შუბლთან და შავ, უშნო ქურთუკს იფერთხავს. შემდეგ კი ამბობს:

– სად აღარ ვიყავი, სად აღარ გეძებე... შენს ასეთ გაქრობას, გაქრობას კი არა, – გაპარვას არავინ მოელოდა... იმ საღამოს შემდეგ, იმ წყეული ღამის შემდეგ შენ თითქოს დაბრმავდი და დაყრუვდიო! სამსახური მიატოვე, სახლი, ძმა, მოძღვარი და ბატონი... და გაიქეცი ისე, თითქოს მისდევდი, მიჰყვებოდი ვიღაცას... და თან სად! ამ მინდორში, გახურებულ მიწაზე... ამ მწველი, რაღაცნაირი მზის ქვეშ! და ხატავ... ჭრელ ბალახებს, ლობეებს და ხეებს, ჩიტებს და ღრუბლებს და ეს ნახატები ისეთი ჭრელია, რომ მე მას ვერ ვუყურებ.

...მუცელი და თავი მტკივდება.

## დუმილი

...შენი სახე და სხეული მაინც შეიცოდე, შიმშილისაგან წყლულები გაგიჩნდა, თვალები კი სისხლით აგევსო..., ო, ეს საწყალი, მარჯვენა ყური კი გაგიყავისფრდა და მატლებიანი ვაშლივით დაგილპა, საცაა გახმება კიდეც!

და ეს რომ თქვა, მე გავიცინე. მართლაც, ამ ძველი, დამპალი ყურიდან უკვე ხრინწიანი, ბებრის ხმა მესმოდა!

– რა გაცინებს? – გაუკვირდა თეოს, – შენ მტვრად გაქცევს მზე!

და თქვა მან:

– ნუ გიხარია, რომ ცალი ყური მთელი და ახალი გაქვს, ისიც დალპება... და რატომღაც ეს დაამატა:

– აი, ის კი... გიჟი, რომელიც მართლა გიჟი ყოფილა, შენი გაქცევიდან მეორე დღესვე გაასამართლეს, და ჩვენ ვთქვით, უზრდელი და ცოდვილია ეგ კაცი, უცნაური და ამაყია, და ამიტომაც უნდა მოკვდეს იგი!

– და მერე?

– მერე... არაფერი, მოკლეს!

და ეს რომ მოვისმინე, მე დიდი, ფერადი, ჩანჩქერივით ძლიერი და საშიში ცა დავხატე.

– ერთი კვირის წინ ჩვენს შორის დადიოდა იგი. – ჩავილაპარაკე მე. თეოს კი გაუკვირდა:

– ერთი კვირის წინ კი არა, – ოთხი წლის წინ! ოთხი წელი გავიდა იმ შენი გაქცევა-გაყოლა-გაპარვა-გასულელების დღიდან! გიჟო, გიჟო და ავადმყოფო, ამ მზემ, ამ ცხელმა მიწამ... დროის შეგრძნებაც კი დაგაკარგვინა!.. წამომყევი სახლში, დაუბრუნდი შენს მოძღვარსა და მოძღვრებს, მაძღრად იცხოვრე და იმსახურე... დაუბრუნდი შენს ხალხს, შენს დროს!

და მან ბევრი, ძალიან ბევრი ილაპარაკა. იყვირა და ყელი აიწვა. გაწითლდა და შუბლზე ძარღვები დაებერა. და როდესაც მისი სახე მწვანეთი და მოწითალო ფერით შეივსო, იგი, – თეო, ჩემი ჭკვიანი ძმა, საბოლოოდ, უვადოდ, ხმამაღლა გაბრაზდა!

– ვინა ხარ შენ?.. არაფერი! – იყვირა მან, – შენ, რომელიც ახლა არ მისმენ... შენ, რომელიც მე გაქციე ადამიანად! არაფერო! არაფერო! ყურმოჭრილო მონავ! ყურმოჭრილო მსახურო... მონავ!

და აი, მან ჰაერი შეისუნთქა!

– ...ახლა შეგარცხვენ! ძალიან... საშინლად შეგარცხვენ! ნახე, ნახე ვინ იყავი, რა გებადა!

თეომ გულის ჯიბიდან პატარა, ოთხად გაკეცილი ფურცელი ამოიღო და ხმამაღლა, ნერვიულად, თითქოს ყეფდაო, ისე წაიკითხა:

– აი, შენი ქონება! აი, შენი სირცხვილი! აი,

ეროვნული ბიბლიოთეკა


ახალი შერცხვენა, თანამედროვე შერცხვენა! აი, რა გებადა... და აი, რა დაკარგე!... რვა თეთრი პერანგი, ოთხი სკამი, საწოლი... ჰავ-ჰავ-ჰავ! მაგიდა, სამი შარვალი, სხვა და სხვა ფერის... ყავ-ყავ-ყავ... ორი ქურთუკი, შანდალი, თიხის ჭურჭელი, ოქროს მონეტები... ჰავ! და იარაღი, ჟანგიანი! და მეტი არაფერი!" და რატომ არ გრცხვენია?!.. შეგრცხვეს... გთხოვ, გეხვეწები, გიბრძანებ, გთავაზობ... უბრალოდ გეუბნები! შეგრცხვეს!..

და თეომ იტირა, შემდეგ კი წავიდა.

4.

აი, ის ძველი ყური კი არ ჩუმდებოდა. ეტყობა, ფიქრობდა, სანამ ბოლომდე არ დავლპი, რამე მაინც უნდა მოვახერხოო.

- რატომ არ გრცხვენია შენი ძმის? - მეუბნებოდა იგი, - აი, ახლავე, ახლავე უნდა შეგრცხვეს მეზობლების, მოძღვრებისა და საკუთარი თავის!

და თეოს სიტყვები გაიმეორა:

- გთხოვ... გეხვეწები, გიბრძანებ, გთავაზობ... უბრალოდ გეუბნები... შეგრცხვეს!

...ოთხი დღე, დღისით და ღამით ამას ამბობდა:

- გთხოვ... გეხვეწები, გიბრძანებ, გთავაზობ... უბრალოდ გეუბნები... შეგრცხვეს!

...და მე ძალიან დამღალა მისმა ხმამ. ახალი, მის მიერ, იმ უდანაშაულოს მიერ გამთელებული ყური კი მამშვიდებდა:

- ნუ გეშინია, მე... ის, ეს... იგი, მან, ისინი, ჩვენ, მევე, შენ... აქ, ფრთებს გადაგაფარებ და დაგიცავ!

მომაკვდავი ხმა კი, რომელიც დამპალი ყურის დახვეული ნიჟარიდან გამოდიოდა, ბრაზობდა და ყვიროდა, და ეს ხმა იყო... ყვავის, ვირთხის, ღამურასი...

- ბუმ-ბუმ-ბუმ! ბუმ-ბუმ-ბუმ! დამარხე ეს საღებავები, დამარხე ეს ფუნჯები-ბი-ბი-ბი! ბუმ-ბუმ-ბუმ! ბამ-ბამ-ბამ! ტილოები ფეხით დატკეპნე!

დატკეპნე ტილოები ფეხები-ბი-ბი-ბით! ბუმ-ბუმ-ბუმ!

...და ამტკივდა თავი, და შეწუხდა ჩემი გამთელებული, ახალი სმენაც! ფუნჯი მიწაზე დავდე, ჯიბიდან იარაღი ამოვიღე და მზეს შევუშვირე. მზემ გაათბო იარაღი, აი, ძველი, მარჯვენა ყურში მჯდომი, ბევრი ბატონის მსახური კი მიხვდა და შეეშინდა, და შეეშინდა ისე, რომ აყროლდა იგი.

...და მეც იარაღი აქ, მარჯვენა ყურზე...

-ნუ! - იყვირა მან.

. . .

მე, როგორც ყოველთვის, შუა მინდორში ვიდექი და ვხატავდი. ხო, ვხატავდი ამ ყველაფერს! და უეცრად მე ჩემი ძმა დავინახე, გრძელ ბალახებს შორის მომავალი, ოღონდ არა მარტო, არამედ ვიღაც ქალთან ერთად. და ეს ქალი შიშველი იყო. მისი თეძოები აქ, ამ ბალახებს შორის, მზის სინათლეზე ლაპლაპებდა. და ეს იყო სასაცილო. ხო, იყო სასაცილო!

თეო. აი, მოგიყვანე ქალი, რომლის სხეულიც ლაპლაპებს. აი, მოგიყვანე ქალი, რომლის გულისთვისაც...

და თეოს თორმეტი წუთი უნდა ელაპარაკა, მაგრამ მე მას ვუთხარი:

მე. თეო, დამტოვე აქ, ამ სინათლეში... მომეცი უფლება, რომ ამ ჩემს გამთელებულ ყურს ვუსმინო... და თუ ვერ ჩუმდები, მაშინ მოიკვეთე ეგ ენა, რომელიც შენი არ არის და რომელიც გაცდუნებს!

და მე მას გაზეთში გახვეული, ჩემს მიერ მოკვეთილი, ამბებითა და ლეგენდებით გატენილი დამპალი, ძველი მსახურის ყური მივაწოდე.

- აი, ეს ყური მაცდუნებდა გუშინ და გუშინწინ, დღეს კი მე მოვიჭერი იგი!

და იმ შიშველ, ლაპლაპა ქალს გული წაუვიდა და უშნო, ნაცრისფერი გახდა. ჩემს ძმას კი პირიდან ის ხმა, ის საწყალი, ბებერი ხმა აღმოხდა. მან ქალი, რომელიც თითქმის ყოველდღე ლაპლაპებდა, ზურგზე მოიგდო და წავიდა. და წავიდა ბოლოჯერ!

მე კი ვხატავდი და ამ ჩემი ერთი, გამთელებული ყურით ბევრი, ძალიან ბევრი, თითქმის ყველაფერი მესმოდა.

და მე ვამბობ:

- აჰა, მესმის შენი ხმა! და ამ ჩემი ბალახით, სახლებით, ღობეებით, მინდვრით, ხელებით, მიწით, მზით, თავით, ყურით, ტყით, მთებით, ღრუბლებით, ფერებით, ხმით, ამბორით... მოვდივარ შენკენ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შვილები - მამათა ბუმერანგი

ჩემს სამუშაო მაგიდაზე ფაქიზად გადაბეჭდილი მოთხრობები აწყვია. ანდამატივით მიზიდავენ ისინი; ვინ იცის, მერამდენედ წავიკითხე. და ეს დღეს, როცა კლასიკურ ლიტერატურასაც კი ველარ უდებს ადამიანი გულს. უნდა გამოვტყდე, პირადად მე, რახანია, წმინდა მამათა ნააზრევით ვითქვამ სულს, მათი გამუდმებული კითხვა მაძლებინებს და მიიოლებს სიცოცხლეს.

ლაშა ბუღაძე - სრულიად ახალგაზრდა კაცი, თითქმის ბავშვი. მისი სამყარო კი უცნაურად ძველი, არქაული... მაინც ასეთი ნაცნობი, ახლობელი... მოულოდნელი, ვირტუოზული სისადავით, უფრო ზუსტად, ბიბლიური მომჭირნეობით, სიტყვაძუნწობით. ერთი ფრაზა ზოგჯერ გრძნობის, განცდისა და აქტივობის მთელ ნიაღვარს აკავებს ისე, როგორც პაწია დიალოგი მოთხრობიდან „ყვითელი“:

„ - და მერე?

- მერე... არაფერი, მოკლეს!

და ეს რომ მოვისმინე, მე დიდი, ფერადი, ჩანჩქერივით ძლიერი და საშიში ცა დავხატე“.

საშიშად ხატავს ეს უცნაური ჭაბუკი, თავისი ასაკისათვის უჩვეულოდ ბევრი რამ იცის. მისი ინტელექტი ინტუიციაა და ინტუიცია - ინტელექტი; ორივე პროპორციულად, ჰარმონიულად თანაარსებობს, მონაცვლეობს და ისევე რეალურად ირწევა მის მხატვრულ სამყაროში, როგორც ნოეს კიდობანი აბობოქრებულ ზღვაში /„ყუთი“/.

მითოლოგიური სამყაროს არქაულ შრეებთან, ფილოსოფიური სკოლების ძიებებთან ლიტერატურის, საერთოდ, ხელოვნების მხატვრულ-ესთეტიკურ გამოცდილებასთან ერთად, ჭაბუკის ტალანტი დროულად ეზიარება ბიბლიის ჰორიზონტს, მის მარადიულ დროსა და სივრცეს. ამიტომ ბუნებრივად, თანდათანობით როგორც ღრუბელი, ისე იწოვს სახარებისეულ სიბრძნეს. აშკარაა, რომ ეს მისი მამის, ბრწყინვალე მხატვრისა და პიროვნების გია ბუღაძის დამსახურებაცაა. ისიც აშკარაა, რომ ლაშას თაობა თვით ცხოვრებამ გამოაწრთო და მოულოდნელად დააბრძენა.

ლაშას მოთხრობებიც ცხოვრებაა, სასტიკი, გულცივი, ულმობელი, ღალატებითა და გაცემებით სავსე, ქვის ქალებითა და ქვის კაცებით გახევებული, ჯადოქრებითა და გრძნეულებით შთაგონებული, ამოძრავებული („გალათეოსი - ქვის ქალი“). ამ ველურ სისასტიკეს ღირსეულად უმკლავდება ჭაბუკი ოსტატი. მისი გამოწვევა უშიშარ ტორეროს მაგონებს, ქამიდან ქამზე სასიკვდილო თავდასხმებს რომ უწყობს საკუთარ თავს არამხოლოდ ბნელიდან გამოვარდნილი, გაცოფებული ხარებით, არამედ აღგზნებული მოგუგუნე სტადიონების წარმართული ვნებითა და ყიჟინით. ჭაბუკის ელეგანტური ჰაბიტუსი და მისი ჯვარის სემანტიკური ქღერადობა მართლაც რომ იხდენს სიკვდილ-სიცოცხლის ლორკასეულ სიმბოლიკას. რაღაცით ფრანც კაფკასაც ჰგავს, ოღონდ ავსტრიელი კოლეგისაგან განსხვავებით თავის გადაფითრებულ „პროცესებში“ ყოველთვის სიკეთეს, იმედს, მზეს და სიყვარულს ამარჯვებინებს.

და ეს ხდება უაღრესად სადად, მეთოდურად, მიზეზშედეგობრივი ლოღიკითა და ზუსტად დასმული დიაგნოზის შემდგომი წინსვლით. ეს მით უფრო გასახარია, რომ ქართულ პროზაში კარგა ხანს გაგრძელდა დიაგნოზის დასმის პროცესი. მომდევნო ეტაპისათვის, ხსნის გზების დასახვისა და მოპოვებისათვის თითქოს დაიშრიტა ენერგია, დაიქანცა გონება, დაიბინდა შთაგონება და დაცხრა ტემპერამენტი, ლვარძლი და ცოფი მიეძალა მუზას. სკეფსისის ეკლებმა დაიწყეს ჩხვლეტა, რომ თითქოსდა მწერლობა აღარ ვითარდება, წინ ვერ მიიწევს, ერთ ადგილს ტკეპნის, რაც შესაქმნელი იყო, უკვე შეიქმნა წინა თაობათა მიერ, გაჩნდა ვაკუუმი და ა. შ.

თვით უკიდურესი სასოწარკვეთის ჟამსაც კი არ მიფიქრია ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ რა ხანია მიგელ დე უნამუნოს შეგრძნებებით ვცხოვრობ:

„ჩვენი ინტელექტუალური თუ მორალური ცხოვრების წიაღში არ არის ცოცხალი ნაკადი, ეს უფრო ხავსმოდებულ გუბესა ჰგავს, ვიდრე მჩქეფარე წყაროს, შიგ რომ ქვა ჩააგდო, ოდნავ თუ შეარხევს მის ზედაპირზე ლემნას, ანდა ფსკერიდან თუ წამოშლის ლამს და წყალს აამღვრევს. ასე რომ, ძილისმომგვრელი ატმოსფეროს მიღმა გადაჭიმულია სულიერი უდაბნო, შემზარავი უნაყოფობა. არსად იგრძნობა სიგრილე და სიცოცხლის სხვა ნიშანწყალი... არ არის ახალგაზრდობა...“ /ესპანეთის თანამედროვე მარაზმისათვის“/.

რა საშიში და უმოწყალოა ამ დასკვნის ბოლო სიტყვები. თუმცა ქვეშეცნეულად ყოველთვის დავატარებდი იმედს (ან იქნებ ცოდნას) - ყველაზე ნათელი, ქათქათა ყვავილები მოულოდნელად სწორედ ჭაობიდან ამოსკდებიან... და აი, ამოსკდნენ კიდეც. რამდენიმე სახელი და გვარი დამამახსოვრდა, ბოლო წლებში ჟურნალმა „ცისკარმა“ რომ დაბეჭდა, ახლა კი ლაშა ბუღაძის სახით ძლიერი და ნანატრი ჰიბრიდი შემრჩა ხელში. აი ისეთი, უფალი რომ ბრძანებს - იყავით გონებით ბრძენნი და სულით ჩვილნიო. ამ სიტყვების სიღრმეს (როცა ვერ ჩახვდებიან) უბრალოდ სენტენციას დაარქმევენ სახარების იოლად წამკითხავნი. სენტენცია ხშირად მთქნარებას იწვევს, ამიტომაა, რომ დღევანდელი საქართველოს ე. წ. ნაკითხი, „ელიტარული“ ნაწილი მთქნარებით კვდება (სჯობს, რომ სალათას ძილით ეძინოს, ხელს ნაკლებად შეუშლიდა ფხიზლებს).

მწერალი ჭაბუკი მკურნალივით დგას ჩვენს წინაშე, მისი მალამო სიფხიზლეა, როგორც რობაქიძე იტყოდა, „მზიური“ მსოფლმხედველობაა. თუმცა წერის მანერა, სტილისტიკა მკაცრია, უემოციოც კი, ერთი შეხედვით, არაარტისტული, რომანტიკას მოკლებული, ე. წ. „ლირიკული გადახვევების“ გარეშე. კი არ ვკითხულობ, თით-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქოს ვეძებ მის მოთხრობებში ცრემლს: „უფრო თავდახრილი, უფრო მონდომებული და განწყობილი ანთებს სანთელს და ჩუმდება და ცდილობს, რომ ცრემლმა აუწვას თვალები...“ („გამცემი“).

სად არის ცრემლი, ანუ მარილი, რომელსაც ცრემლი ინახავს, სადღაც ჩვენი არსების ფსკერზეა ჩაძირული, როგორც ოკეანეში, იქაც ეჭვიანი, უნდობელი, წყლის წიაღის ფლორა-ფაუნას, ზვიგენ ლიფსიტებს გარიდებული, მტკივან თირკმელასავით რომელიღაც ნიჟარაში შემძვრალი, შეყუჟული სულს ითქვამს, მაგრდება, მკვრივდება, ტკივილის მოლურჯო-მოვარდისფრო ციაგით იმოსება... რომ ერთბაშად და მოულოდნელად აწრიალებულმა, შეტევა დაგმართოს, აგაფორიაქოს... იქნებ როგორმე თვალი მოჰკრა სტრიქონთა პარალელზე, აბზაცის შესახვევში... მაგრამ ისე მეყსეულად გაკრთება ხოლმე ტანჯვის ცრემლი - მარგალიტის ბურუსისფერი ციმციმი, თვალს ვერ შეასწრებ, მზერით ვერ დაიჭერ, სხვა რაღაცით უნდა მოახერხო, საცეცებით, ზემგრძნობელობით მოიხელთო მისი წამიერი გაკრთომა ჩვენი არსების ბნელ წალკოტში.

მოთხრობა „ყვითელში“ ყველაზე მძაფრად ჩანს, როგორ ილეწის და ათავისუფლებს ჭაბუკი წალკოტს სიბნელისაგან... როგორი ჯიუტი ენერგიით მიიწევს წინ, სამოთხისაკენ... ჩვენ ყველას ერთად გვახსოვს, დაგვინახავს, მზის სპექტრში გავლილი ფერი როგორ იშლებოდა თრთოლვით, როგორ იფანტებოდა ატმოსფეროში ჯანსაღი სიყვითლით, მზიური სიმწვანით, ნარინჯისფერი გახელებით. იმპრესიონისტების ტროპიკული გაცხარება ვერჰარნთან ერთად ჩვენს აღტაცებას იწვევდა.

ლაშა ბუღაძის თაობა აღტაცებას აღარ გამოხატავს. მაგრამ გულუბრყვილობაა იმაზე ფიქრი, რომ მათი სახით სამყაროს ბავშვობა ეკარგება. ვინ, თუ არა შენიღბულმა, შებურულმა, შევიწროებულმა, გაცემულმა და განწირულმა თაობამ, იცის ნამდვილი თავისუფლების ფასი. ვინ, თუ არა იგი, იბრძვის მთელი არსებით თავისუფლების მოსაპოვებლად...

ლაშა ბუღაძემ, სულით ჩვილმა და გონებით ბრძენმა ჭაბუკმა იცის, რომ *ბავშვობაში ცა ცისფერია, მზე მზისფერია და ადამიანსაც ადამიანის ფერი ადევს. ეს მერე იწყება შეფერადება, როცა ხდება გალატაკება და გადახუნება... ამ თვალსაზრისით, ფერწერა გადავიწყებული სამოთხის, გადავიწყებული ბავშვობის დაბრუნების ცდაა დედამიწაზე.* ლაშა ბუღაძე მშვიდად იბრძვის ამ სამოთხის, სიშიშვლის, უცოდველობის დასაბრუნებლად: „აქ, მზის ქვეშაა შენი ადგილი...“

მზე ღვთის ხელია ჩვენს კეფაზე დადებული, მაგრამ ყველა ვერ უძლებს სიმართლის სიმხურვალეს. ამიტომ გაურბიან ადამიანები მზეს, სინათლეს, ამიტომ ძვრებიან ნაჭუჭებში, თხრიან ბუნაგებს, და ეძებენ სიბნელეს, იმალებიან. და, რაც მთავარია, თუნდაც უქონელ-უპოვარს, მცხუნვარე გვალვისაგან ტუჩებ და კანდახეთქილს, მშიერ-მწყურვალსაც კი არასოდეს გაპატიებენ მზეში დგომას... რადგან სიბნელეს ყველაზე მეტად სინათლისა შურს, რადგან ყველაზე დიდი ბრძოლა სწორედ მზეში, ნათელში დგომის უფლების მოსაპოვებლადაა გადასატანი...

„ყვითელი“ ესაა ორი განზომილების, ორი სამყაროს - მიწისა და ცის მასშტაბებში უძღები შვილის ხეტიალი. აქაა მიწის მიზიდულობიდან გაქცევა და ზეცისაკენ სწრაფვა, იმიტომ კი არა, რომ ცაში დარჩე და მზეში გადნე, არამედ იმიტომ, რომ ზეციური დაუახლოვო მიწას, რათა აქ, ქვემოთ გაიოლდეს სიცოცხლე მეზობლებში, მეგობრებში, ნაცნობებში, უცნობებში, საერთოდ, ადამიანებში... რათა მარადიული ხეტიალით ნატანჯი და უკან მობრუნებული ისევე კარგად იყო, როგორც „მსახურიდან“ შემოქმედად ქცეული მხატვარი მოთხრობის დასასრულს: „აჰა, მესმის შენი ხმა და ამ ჩემი ბალახით, სახლებით, ღობეებით, მინდვრით, ხედებით, მიწით, თავით, ყურით, ტყით, მთებით, ღრუბლებით, ფერებით, ხმით, ამბორით... მოვდივარ შენკენ!“/მინდიას აღტაცება მახსენდება ამ სტრიქონების წამკითხავს, მოდის სევდა - რისმა დამკარგავმა რა მიიღო რის ფასად.../

როგორც ლაშას უყვარს ვან-გოგის ტანჯვით მოპოვებული ყვითელი, მისი სახით ისე მიყვარს ნიჭიერი, მგრძნობიარე მისი თაობა. ჩვენი სევდიანი შვილები, ჩვენივე ცოდვებისა და შეცდომების თანამონაწილეებად რომ იქცნენ და ბუმერანგივით რომ გვიბრუნდებიან უკან...

ისეთი განცდა მაქვს, თითოეულ მათგანში დანიის ახალგაზრდა პრინცი თვლემს, თითოეული მათგანი სადღაც კარგა ხნით იკარგება, სადღაც ბჟუტავს, ხელის გულზე თავის ქალა უდევს და ყოფნა-არყოფნაზე ფიქრობს, ხმამაღლა, გამომწვევად აცხადებს, რომ ცოდვაში ჩაძირული „დანია საპყრობილეა“... მხოლოდ ღვთის რწმენა აძლებინებს ადამიანს სამშობლოში, რომელიც საპყრობილედ იქცა.

„თვის მეჩვიდმეტე დღეს მამა ექვსასი წლისა გახდა. ის იყო დაღლილი და სახეზე ხელს იფარებდა...“ /„ყუთი“/.

ეს მოთხრობა ასე იწყება და, საერთოდაც, ისეა დაწერილი, დავიჯერე, რომ იგი ნოესთან დაიბადა და გაიზარდა და ნოეს შვილია. ამ მოთხრობაში ცოდვა კონკრეტულადაა ნაჩვენები, ცოდვის სტიქია აქ სიცილისა და ტირილის მონაცვლეობით ირწევა. „ჩვენ გავიმარჯვებთ“, - ამბობს მამა და ამ სიტყვების ინტონაცია ძალაუნებურად გვახსენებს პეტრეს ერთგულებიდან გამომდინარე ბავშვურ დაქადნებას, მე არ გიღალატებო, გულაძგერებული რომ ჰპირდება იესოს...

როგორი ძლიერი, მართალი და უმწეოა ერთდროულად ეს დაქადნება, უმწეო, რადგან ყოველგვარი სიყვარული ღვთის რწმენის გარეშე დასაღუპადაა განწირული.

აკი ამსხვრევენ და კლავენ ამ რწმენას წამდაუწუმ „უბედური ცნობიერების“ (ჰეგელი) მქონე ადამიანები. და ჩვენ ვხედავთ, როგორ მოძრაობს, გადადის ცოდვით დარწეულ ტალღებზე ადამიანურ ვნებათა ქარიშხალი. გადამრჩენელი ყუთი როგორ ტყდება ჯერ შიგნიდან (როგორც შიგნიდან გატეხილი ციხე) და მერე გარედან. დაბნეული, აღშფოთებული მამა ველარ უმკლავდება სიცილის, ტირილის, ბახუსისა და სისხლის სტიქიონებს, რომელთა აღრევა და მონაცვლეობა ცოდვის ახალ-ახალ ხანძრებს წარმოშობს. სოდომ-გომორივით გატეხილი ყუთიც თანდათან იძირება საკუთარი ცოდვის სითხეში... ამიტომ ყვირიან სასოწარკვეთილი მისი

ბინადრები და გარეთ დარჩენილებს შეელას, გადარჩენას სთხოვენ. გარეთ დარჩენილებიც ქვებს უშენენ და თხოვნას უსრულებენ...

„და საღამოს გატყდა ყუთი...“ ეს სიტყვები მასშტაბური ჟღერადობის აკორდივით გაისმის მოთხრობის ფინალში, რომლის გუგუნიც სხვას არაფერს გვეუბნება, თუ არა ძველთაძველ, ადამისდროინდელ ჭეშმარიტებას, რომ ადამიანებს სიმშვიდეში ყოფნა არ შეუძლიათ, ადამიანებს ღვთის კანონებით ცხოვრება არ უნდათ, რომ მათი „უბედური ცნობიერება“ მოცემულ შემთხვევაშიც გაცემას, უნდობლობასა და სისასტიკით გახარებას გვამცნობს...

„და გატყდა ყუთი“, რაც იმას ნიშნავს, რომ თავი დააღწიეს მართალი ადამიანის გვერდით ყოფნას, გაცურეს აბობოქრებული ზღვა (გაცურეს კი?) და გადარჩნენ, მაგრამ ღირს კი ასეთი გადარჩენა? ან არის ეს გადარჩენა?! აი, რა საყოველთაო საფიქრალს აღძრავს ეს შესანიშნავი მოთხრობა. როგორ შემპარავად და რეალურად მოაქვს სინანული იმის გამო, თუ რა შემზარავად, უაზროდ იხარჯება სიცოცხლისათვის, ამ უდიდესი წყალობისათვის ბოძებული დრო...

დრო და სივრცე უაღრესად პირობითი ცნებებია, ჩვენი უმწეობის ორიენტად ქცეული ნიჩბები უფრო „ჭეშმარიტების“ საძიებლად გადაშლილ ზღვაში, თორემ რეალურად სიკეთე-ბოროტებას დრო და სივრცე არ გააჩნია, შექმნის დღიდან იგი სამყაროშია ტალღებად განფენილი და ჩვენ, ჩვენი ბუნების, ზნეობის, მორალის, აღზრდის, ინტუიციის, გენეტიკური განწყობისა თუ ისტორიული მეხსიერების შესაბამისად ხელგაშლილნი, მთელი არსებით ვეგებებით მის მარადიულ შემოტევებს, ჟამიდან ჟამზე ჩვენს წასალეკად დაძრულ მის ვეებერთელა ზვირთებს.

რა ბედნიერებაა, რომ ამ შემთხვევაში ტალანტი რწმენას არ გამორიცხავს, პირიქით, ემსახურება მას. ბიბლიური შეგონებისა არ იყოს, ღრმად ვარ დარწმუნებული, - რაც უფრო მეტი მიეცა ადამიანს, მით უფრო მეტი მოეთხოვება. ამიტომ თქვენთან ერთად ვლოცავ ლაშა ბუღაძის შემოსვლას ლიტერატურაში და მჯერა, რომ სწორედ რწმენა გააძლიერებს და გაამრავლებს მის ტალანტს, სწორედ ღვთის სიტყვის გაგების სურვილი აპოვნინებს მომავალში სიყვარულსა და ნეტარ სიმშვიდეს ჭრილობებით დასერილ დედამიწაზე, წუთისოფელში, რომელიც ასე „მოსწრაფებით ირღვევა“ და რომელიც „სიცრუესა ზედა ძევს“.

მაკა ჯოხაძე



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ირაკლი ციგროშვილი



## თურმე...

ვჩქარობდი, დამაგვიანდა,
თურმე ამაოდ ვჩქარობდი...
ნისლის ნაწურო ცრემლებო,
ჩემ თვალწინ მოღვარღვარობდით.
სწყდებოდა ფრიალოებსა
ჩემი საკუთვნო ქვა-ლოდი.
ქვაზე დავჯექი, გელოდე,
ნუგეში ერქვა ამ ლოდინს.
გზისპირზე დილის ფრთოსანო,
ხან სდუმდი, ხანაც გალობდი.
მე მივხვდი, თუმცა გვიანდა -
სადა და როგორ მწყალობდი...
კიდევ ბევრია სავალი
იმ დასიზმრებულ წყარომდი.

* * *

ამქვეყანაზე მან სამოთხის ხეხილი ზარდა,
რომლის ნაყოფი გზად წაიღო
და ქვაზეც დადო...
ბოლოს დამაშვრალს მიეგებნენ სულეთის
კართან...
ო, რა წმინდა ხარ
და რა მძიმე - ღვთიურო მადლო!

* * *

დრო ბრუნავს თავის 'პირვანდელ საცრით,
დრო აყურადებს ქვეყნის კიდეგანს...
ქამია ოდენ უძლები, მკაცრი,
არც როს იკმარებს,
არც როს მშვიდდება.
ოხრავს მდინარე ლოდების მკერდზე,
რიჟრაჟის ცაზე მთვარე ნალევი
მიიწვერება. ერთმანეთს ვეძებთ,
დღისა და ღამის გვრჯის ნაკვალევი...

## სადღეისოდ

ჯოჯოხეთს იქნებ ანათებს, მაგრამ
ვერ გაანათა ქრთამმა სამოთხე.
ჭაობს, რომელიც გითრევს და გზაფრავს,
რომელი დროის ძალა ამოხვრეპს!..
ან მზე უშველის, ამომავალი,
ნისლებში ჩანთქმულ მწუხრის ხეობებს?
იუდას წყევლი...
როცა მავანნი
იუდას ფერხთით პირმოთნეობენ...
ბევრმა სიჩუმე არჩია ისევ
და გადახურა ჩალით ქვეყანა.
ხმის ამომღებო,
უფალი გისმენს,
შენი ხმა დუმილს არ გაეკარა.

* * *

დილის კალთაში, ყრმობის სამყოფელს
გშვენის ცის ნამი მძივად ასხმული...
ისე მოგნახე,
არ დავაყოვნე
და თბილად მხვდები სთველ-გაზაფხულით.
შრიალებს კვრივის მუხა ბებერი,
საამო სანახს თვალი შევავლე...
შენი ტკბილ-მწარის მიწყივ მძებნელი,
შენი დღე-ღამის მიწყივ მევალე -
გეახლე მცირე სადიდებელით,
მოგონებების ცეცხლო მთვლემარევ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა



* * *

დიდთოვლობაა მომდგარი კარზე,
ამინდი არა,
არა მშვიდდება.
მთების ზვავებიც დაიძვრის ხვალ-ზეგ
და ქარში ზამთრის ტყე აგმინდება...

გადასასვლელი შეუკრავთ ნისლებს,
მნათის ნათელიც ნისლში ჩამცხრალა.
სხვა თოვლი მათოვს,
სხვა ხმაურს ვისმენ,
სხვა ხმაზე მღერის ჩიტი ნაცარა.

სხვა საფიქრალით მოსულა დილა,
ავდარი ლამობს,
უფრო დამღალოს.
უკეალავ თოვლში მე მერგო წილად,
ცდაში და ფიქრში ვათენ-ვაღამო...

* * *

ფუტკარივით იღვწი და კეთილშობილ
მწერის
ბედზე ფიქრობ ნიადაგ შენ - ბალახის
მტვერი...

ფუტკარივით შენატრი არეს ნათლით
მოსილს,
გეცრემლება სანთლისებრ რწმენის
ანგელოსი.

გისმენს ვინმე?..
თუმცაღა დაღლილ გულისძგერით,
ჭალა-ჭალა და მთა-მთა ფუტკარივით
მღერი...

## ბედისწერა

ალექსი ნავროზაშვილს

ავი სიზმარი, ვითარცა დემონი
დაუმცხრალი...
მისნობს და ხე-ქვას ჰფარია თმაგაწეწილი
დალი.
არ შეიცნობა უფსკრულის ზრახვები
იდუმალი.
არ მოგასვენებს სურვილი
თუ ერთხელ შეგიფერა...
განა არ შვენის ფრიალოს შენფერეების
მზერა,
მაგრამ რა იცი, რას ფიქრობს,
გულში რა უძევს ვერანს.
მიმწუხრზე ხედავ, როგორ შლის
ნამქერი ბილიკს შენსას,
როგორ ფეხდაფეხ მოგყვება იანვრის ქარის
კვნესა.
იღბალმა რაიც გაკუთვნა - საით წაუხვალ?
- ვერსად...
ცდუნება ბედისწერული უღვთო არევსა
მწყემსავს.
რა შეედრება სრბოლაში
წერა-მწერელის მწევარს,
არავინ იცის, რა გზაზე - სად, როდის
დაგეწევა...

* * *

სადა მარხია ძაღლის თავი. საითკენ მიდის
მისი გზა, გვითხარ, მეუფეო, რატომ დაფარე?..
კუპრივით ჩარჩა ნაპრალებში მიმწუხრის
ბინდი,
გულისშემძვრელი.
ვინ გაკრულა ცხენის ფაფარზე,
ვინ ეშურება,
ვინ თვალთვალებს კიდითი-კიდით,
ამ უსამართლო სამართალს რომ ახდის
საფარველს!

## ექსპრომტი

ბ.ა-ს

მამა-პაპათა კერაზე, ჰაი-ჰაი, რომ ივარგე!
დაადუღაბე მართალი სიტყვით ეგ ციხე-
სიმაგრე.
მამულს თავისი...
მტერს კიდევ - მისაგებელი მიაგე.
დრო არი იმისთანაი, მთებს ბური ისე
მოედო,
რომ უნდა ახლდე ღვთის დროშას -
უკეთესს რასა ვპოვებთო.
ხახმატის ჯვარის რჩეულო - ძმაო და სულით
პოეტო!

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მარინე გიგოლაშვილი

## გამორჩეული

ხათუნა ძალიან ლამაზი გოგონა იყო. თბილისში ბევრი კარგი გოგო დადის, მით უფრო, გაზაფხულზე, როცა ლაბადებს გაიხდიან და ნაირფეროვან, თხელ კაბებში მოირხევიან მსუბუქი, აუჩქარებელი ნაბიჯებით. უცხოეთიდან ჩამოსული ჩვენი ბიჭები ყოველთვის იმას ამბობენ, რომ დიდი ქალაქების ქუჩებში ვერ იხილავთო ლამაზ ქალს.

მართალიც არის. ისინი მხოლოდ ტოპ-მოდელებად ან სარეკლამო რგოლებში, ანდა ტელე და ეკრანებიდან თუ მოევლინებიან ჩვეულებრივ მოკვდავებს, თორემ ქუჩაში მათი ნახვა წარმოუდგენელია, ბიზნესს აკეთებენ თავიანთი გარეგნობით და ფუჭად ხომ არ გაფლანგავენ ამ საგანძურს? ჩვენში, საბედნიეროდ, ჯერ არ შემოუღწევია ამ მოდას და ადამიანს შეუძლია თავისუფლად დატკბეს ლამაზმანების ცქერით ქუჩებსა თუ ხეივნებში.

ჰოდა, პირველად რომ დავინახე ხათუნა, გაოგნებული დავრჩი. ასეთი სილამაზე ცხოვრებაში არასოდეს მენახა. ყვითელი, ოდნავ ჩახსნილი, ნაქსოვი კაბა ეცვა, ლამაზი ოვალური გულისპირით. ხშირი წამწამებით შემოჯარული დიდი შავი თვალებით, ოქროსფერი, შუბლზე გადაწეული თმით, ლამაზი, სისხლსავსე ბაგეებით და მარგალიტივით მიჯრილი კბილებით, მართლაც საოცრება იყო. როგორ მოგწონს-მეთქი აქაურობა, ვკითხე შეხვედრისას.

– ერთი სული მაქვს, თბილისში როდის დავბრუნდები, – მიპასუხა.

აქ კიდევ უფრო გავოცდი, ვინაიდან ჩვენ, ჩვეულებრივ, განებივრებული ვიყავით ჩვენი ტყითა და საოცარი, პაწაწინა სამეცნიერო ქალაქის მომხიბვლელობით, სტუმრების აღფრთოვანებული ემოციებით და ცოტა ნირი წამიხდა. ჩავთვალე, რომ ერთი ლამაზი და ქარაფშუტა გოგონა იდგა ჩემს წინ, რომლისთვისაც ბუნების სიმშვენიერე და მთის რომანტიკა არაფერს ნიშნავდა, და მისდამი ინტერესი გამინელდა. თუმცა შემდგომ, მიგვიანებით, ხათუნასაც ისე შეუყვარდა ჩვენი მთა, როგორც ყველა ჩვენგანს; მაგრამ ეს შემდგომ, მანამ კი მასთან დაახლოების სურვილი სულაც არ გამჩენია; თუმცა მისი დანახვა ყოველთვის მიხაროდა, ისე, უბრალოდ, მსიამოვნებდა, მასზე რომ შევაჩერებდი მზერას.

ის ერთი თვე, ხათუნას რომ ჰქონდა დირექციის მიერ მისჯილი მთაზე გასატარებლად, რათა სამეცნიერო ქალაქის ცხოვრებას გასცნობოდა, გაილია და წავიდა ხათუნა თბილისში, ქალაქის ლაბორატორიაში. ჩვენს ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა ინგლისური ენის სპეციალისტად. მთაზე კი გრძელდებოდა მუშაობა, კოსმოსური სხივების სადგური ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა.

სულ გადამავიწყდა ხათუნას არსებობა, სანამ მთაზე არ ჩამოვიდა ამბავი, ხათუნა და საბა დაქორწინდნენო.

* * *

საბა და როსტომი ერთდროულად მოვიდნენ სამუშაოდ. ჩვენთვის, ექსპერიმენტატორებისათვის, ინსტიტუტის თანამშრომლად ორი ახალგაზრდა, ნიჭიერი თეორეტიკოსის გამოჩენა დიდი მოვლენა იყო. ისინი ერთ სამუშაო კაბინეტში ისხდნენ, სულ ერთად დადიოდნენ და, როგორც შემდგომ გავიგეთ, პირველი კურსიდანვე მეგობრობდნენ.

სრულიად საწინააღმდეგო გარეგნობისანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყვნენ ახალმოსულები. როსტომი თხელი, მაღალი, თაფლისფერთვალება, ბაცი ყავისფერი თმით; საბა კი საშუალოზე ოდნავ მაღალი, ფართო მხარბეჭიანი, ოდნავ ტანსრული, ფაფუკი ულვაშებით – თითქოს აგებდა როსტომის არისტოკრატული გარეგნობის ფონზე, მაგრამ საკმარისი იყო გაეღიმა, ცისფერ თვალებში ისეთი შუქი ჩაუდგებოდა, გეგონებოდა, ცა გაიხსნაო.

როსტომი ცოლიანი იყო. მისი მეუღლე ნინო – მისივე თანაკლასელი და თანაკურსელი, უნივერსიტეტში იყო სამუშაოდ განაწილებული. ნინოს ჩვენ ხშირად ვერ ვხედავდით, პატარა გოგონა ჰყავდა და ოჯახის საქმეებით იყო დატვირთული.

სამაგიეროდ როსტომი არ იკლებდა არაფერს. გიტარით ხელში, გაშლილ სუფრაზე, ყველა თავყრილობის სული და გული იყო. საბა ერთხელ იტყოდა და პირდაპირ მიზანში მოახვედრებდა, როსტომი კი გაუთავებლად ენაკვიმატობდა, არ ბეზრდებოდა ოინბაზობა. კარგადაც მღეროდა, გიტარაზეც კარგად უკრავდა.

* * *

ხათუნას სამუშაო ადგილად ბიბლიოთეკა ჰქონდა მიჩენილი. აქ ყოველთვის ხელთ ჰქონდა ინგლისური ენის ლექსიკონები და სხვა საჭირო ლიტერატურა. საბამ მოუხშირა ბიბლიოთეკაში სიარულს, ხათუნას კი გული სიხარულით ევსებოდა, ეს რა ბედნიერება მეწიაო, ფიქრობდა. საბას ერთი გაღიმება ქვეყანას ერჩივნა.

დედამისი შეუჩნდა, არ გიხდება ოქროსფერი თმა, გადაიღებე ბუნებრივ ფერადო. ხათუნამაც დაუჯერა და, როდესაც შავთმიანი ხათუნა ინსტიტუტში მოვიდა, საბა სამი დღე ბიბლიოთეკაში არ შესულა. გულგახეთქილი ხათუნა ფიქრობდა, დავკარგეო კაცი. მაგრამ მერე ყველაფერი ძველებურად აღსდგა. საბა კვლავ დადიოდა ბიბლიოთეკაში, რაღაც საერთო საქმეებიც გამოუჩნდათ.

ზაფხულში ხათუნა მეგობრებთან ერთად ზღვაზე წავიდა დასასვენებლად. თვალებს არ უჯერებდა, როდესაც ერთ მართლაცდა მშვენიერ დღეს საბამ ჩააკითხა ზღვაზე. ის ზაფხული უბედნიერესი დრო იყო ხათუნას ცხოვრებაში. შემოდგომაზე დაქორწინდნენ.

ერთი წლის თავზე ვაჟიშვილი შეეძინათ. პატარა გიორგი მამამისის ხატი და საფიცარი იყო.

– რატომა გაქვთ ქალებს ამხელა უპირატესობა, რატომ ჩემი სხეულის ნაწილიც არ არის გიო?! – ვითომ ბრაზობდა საბა.

ახალგაზრდა ოჯახი საბას დედასთან ცხოვრობდა დიდუბეში. ცამეტი წლის იყო საბა, მამა რომ გარდაეცვალა და დედამ და უფროსმა დებმა გაზარდეს. რა თქმა უნდა, ბევრი გაჭირვება გადაიტანეს ერთად. საბა ყვებოდა, რომ ერთხელ, თბილისის ცივ ზამთარში, დედამისი წავიდა სადღაც და სახლში უპალტოოდ დაბრუნდა; სამაგიეროდ საბას თბილი კუბოკრული პალტო მოუტანა. თვითონ მთელი ზამთარი შალმოხვეული დადიოდა.

– მე ახლა ვხვდები დედაჩემის თავგანწირვას, მაშინ კი ვერც შევამჩნიე, რადგან ჩემთვის მთავარი წიგნი იყო; წიგნები მქონოდა, სხვა არაფერი მინდოდა.

ხათუნას მშობლებმა ახალგაზრდებს ბახტრიონზე სამოთახიანი ბინა უყიდეს, საბას მაინცდამაინც არ ეხატებოდა გულზე ახალ ბინაში გადასვლა. მათ ურთიერთობაში ბზარი გაჩნდა, თუმცა ხათუნა ვერ ხვდებოდა, რა იყო ამის მიზეზი. ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, თითქოს ისევ უყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ გრძნობდა, რომ ხდებოდა რაღაც, რისი თავიდან აცილებაც უკვე შეუძლებელი იყო.

ამ დროს ყველასათვის სრულიად მოულოდნელად როსტომმა დაწერა განცხადება სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ, ასპირანტურასაც თავი დაანება; შემდეგ გავიგეთ, რომ ცოლ-შვილიც მიატოვა და სხვა ქალთან წავიდა.

საბამ ეს ამბავი გულთან ძალიან ახლოს მიიტანა. მას ეცოდებოდა ნინო, ყველანაირად ამშვიდებდა, ცდილობდა მისთვის როგორღაც გაეადვილებინა მიტოვებული ქალის შეურაცხმყოფელი ხვედრი და ტკივილი. ხათუნა ეჭვიანობდა, ამაზე საბა ბრაზდებოდა და უსიამოვნებას უსიამოვნება ემატებოდა. საბას დედამ და დებმაც ხათუნას აუბეს მხარი. ეს კიდევ უფრო ძაბავდა სიტუაციას.

მართლაც, ერთხელ, ცოლ-ქმარს შორის მორიგი შეკამათების შემდეგ, საბამ თითქმის უბრძანა ხათუნას, გიოსთან ერთად გადასულიყო ახალ ბინაში.

- სანამ უნდა ვიყოთ ასე? შენ ახალგაზრდა ქალი ხარ, კიდევ ეწევი შენს ბედს.

ხათუნასთვის ეს სიტყვები მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით იყო. მეორე დღესვე შეკრა ბარგი და დაურეკა მამას და ძმას, რომ მიხმარებოდნენ გადასვლაში. ეს უკვე ნამდვილი განხეთქილება იყო მათ ურთიერთობაში.

* * *

ოთხი წლის გიოს ღამით სიცხემ ძალზე აუწია, ხათუნამ ყველაფერი იღონა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ბავშვი მამის სახელს აბოდებდა. ხათუნამ ტელეფონით ძლივს იპოვა საბა, ნინოსთან იპოვა. მოვიდა თუ არა მამა, გავარვარებული ხელით ჩაებღაუჭა გიო და მაშინვე დაუწია სიცხემ. ხათუნას ეგონა, ეს მაინც მოაბრუნებსო საბას, მაგრამ როგორც კი მიეძინა ბავშვს, მან უკან მოუხედავად დატოვა ბინა.

* * *

ჩვენ არაფერი ვიცოდით ამის შესახებ; მხოლოდ მოგვიანებით, რამდენიმე წლის შემდეგ გავიგეთ. ხოლო, რაც ადრევე შევამჩნიეთ, ის იყო, რომ ხათუნა ძალზე შეიცვალა. თუ წინათ უკარება და ამპარტავანი ჩანდა, ამ ოჯახურმა ტრაგედიამ ის გულისხმიერ ადამიანად აქცია. მის თვალებში უსაზღვრო სევდამ დაიბუდა და სხვის წუხილსაც მაშინვე გაითავისებდა ხოლმე.

ერთ საღამოს, როცა ხათუნამ ყველაფერი მიამბო, სახტად დავრჩი, იმდენად მოულოდნელი იყო საბას ისეთ კაცად წარმოდგენა, რომელიც ოჯახს დაანგრევდა, პატარა ბიჭს უმამოდ დატოვებდა თავისი უახლოესი მეგობრის ცოლის გამო. რაც მოვისმინე, თითქოს სულ სხვას შეეხებოდა. რომ არ გცნობოდა საბა, მაშინ იტყოდი, ეს ცუდი ადამიანია, ის კარგიო, მიაკრავდი იარლიყებს და თავსაც არ აიტკივებდი ბევრი ფიქრით. მაგრამ მე ხომ ვიცნობდი. ის არაჩვეულებრივი პიროვნება იყო, არაორდინალური, ნიჭით უხვად დაჯილდოებული, ყველანაირად გამორჩეული.

ხათუნას მეზობელი და უახლოესი მეგობარი, რომელიც საბას არ იცნობდა, ბრაზობდა:

- როგორ შეიძლება ამ კაცის გამართლება?!

ჩვენ კი ენა არ გვიბრუნდებოდა, რაიმე ცუდი გვეთქვა მასზე. თუმცა ბევრი რამ არ გვესმოდა.

სიმართლე მხოლოდ საბას დაკრძალვის დღეს გავიგე, როცა თავზარდაცემულები ორმოცდაოთხი წლის კაცს უკანასკნელ გზაზე მივაცილებდით. გულმა ველარ გაუძლო ამდენ შინაგან ბრძოლას. ერთი მხრივ ხათუნა და გიო, მეორე მხრივ ნინო და თამუნა, - ნინოსა და როსტომის ქალიშვილი, რომლებთანაც თავს ბედნიერად გძნობდა. საბას დებმა და დედამ ნინო არ მიიღეს, თვალდასანახად ეჯავრებოდათ, ყოველგვარ სიბოროტესა და უკეთურობას აბრალებდნენ მას; ხათუნასა და გიოზე ამოსდიოდათ მზე და მთვარე. მით უმეტეს, რომ რაც იზრდებოდა, სულ მამას ემსგავსებოდა გიო: მასავით ჭკვიანი და ნიჭიერი იყო.

ბევრს მუშაობდა საბა. მისი სამეცნიერო მიღწევები ძალზე თვალსაჩინო იყო. ბევრსაც ეწეოდა, ზოგჯერ სვამდა კიდეც ძმაკაცებთან ერთად. და მოულოდნელად... თუმცა არც ისე მოულოდნელად: ინგლისში გამგზავრების წინ, ლაბორატორიის მეორე სართულზე რომ ამოვიდა, გული ისე აუფართხალდა, შეჩერდა და თქვა:

- თავი ისევ ახალგაზრდა მგონია, მე კი თურმე დავბერდი...

საბა ოქსფორდში გარდაიცვალა ინფარქტით. ინგლისის ერთ-ერთ საუკეთესო კლინიკაში ყველაფერი მზად იყო საოპერაციოდ, მაგრამ მეორე შეტევამ, რომელიც პირველზე უფრო სასტიკი აღმოჩნდა, ექიმებს არავითარი შანსი არ დაუტოვა.

დაკრძალვისას ჩემს წინ მიმავალი მანდილოსნების საუბრიდან ორ სიტყვას მოვკარი უნებურად ყური: - სტუდენტობიდან უყვარდაო... შეიძლება ეს ნათქვამი საბას არც შეეხებოდა, შეიძლება მათ არც უთქვამთ სწორედ ეს სიტყვები, მაგრამ უცებ გონება გამინათდა, ისე ცხადად წარმოვიდგინე, როგორ დაიწყო ყოველივე და რა შედეგი მოჰყვა ამას.

* * *

საბა, უმამოდ, გაჭირვებაში გაზრდილი ბიჭი, უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე მოხვდა. ჯერ კიდევ მისაღები გამოცდების დროს გაიცნო ნინო და როსტომი, რომლებიც თანაკლასელები იყვნენ და ერთად ემზადებოდნენ გამოცდებისათვის. შემდეგ ისინი განუყრელი მეგობრები გახდნენ, ყველგან ერთად იყვნენ: ლექციებზე, უნივერსიტეტის ბაღში თუ ნინოს სახლში, სადაც ყოველთვის უკრავდა ხმადაბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალი მუსიკა, მაგიდაზე იდო ხილით და ნამცხვრებით სავსე ლანგარი და ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ ნინოს ხელი არ შეშლოდა არც მეცადინეობაში, არც მეგობრების მიღება-გასტუმრებაში. ნინო ლამაზ გოგონად სულაც არ ჩაითვლებოდა. სანამ დაილაპარაკებდა, ყურადღებას არც კი მიაქცევდა კაცი. მაგრამ საკმარისი იყო, ხმა ამოეღო, რომ თვალსა და ხელს შუა სასწაულებრივად გარდაიქმნებოდა

კაბინეტში, სადაც კედლები მთლიანად წიგნების თაროებით იყო დაფარული და კუთხეში თეთრი როიალი იდგა, მეგობრები პოულობდნენ ნებისმიერ წიგნს, რაც მათ დასჭირდებოდათ. რბილი ავეჯი და იატაკზე დაგებული ფარდაგები სიმყუდროვეს და მუშაობისათვის სასიამოვნო გარემოს ქმნიდა.

მთელი სამყარო ნინოს გარშემო ტრიალებდა. ის ზღაპრულ ფერიასავით მოევლინა საბას ერთფეროვან ცხოვრებას, სადაც მხოლოდ წიგნებთან ურთიერთობა იყო მთავარი. აქ კი წიგნებიც იყო, მუსიკაც, ამაღლებული საუბრები ხელოვნებასა და მეცნიერებაზე, და ნინო, უზომოდ შეყვარებული გოგონა, რომელსაც ჯერ კიდევ სკოლის მერხიდან უყვარდა როსტომი.

ქალიშვილის ყოველი გამოხედვა, მოძრაობა თუ გუნება-განწყობილების ცვლილება საბას გულის სიმების რეზონანსულ გამოხმაურებას იწვევდა. ერთი ორჯერ კინაღამ შემოელახა როსტომი, სხვა ქალს რომ დაუწყო ღლაბუცი. ამ დროს ნინოს ჩრდილგადაკრულ, გაყინულ მზერას რომ შეასწრო თვალი, კინაღამ გაგიჟდა საბა. მხოლოდ მაშინ ჩათვალა თავი ბედნიერად, როცა ისინი დააქორწინა და პატარძლის სიხარულით გაცისკროვნებულ სახეს რომ უყურებდა, მეცხრე ცაზე იყო თვითონაც. საბამ არ იცოდა მაშინ, რომ თურმე თავდავიწყებით უყვარდა ნინო. ეს სიყვარული იყო, ნამდვილი სიყვარული, თუმცა ვერ ხვდებოდა, ან შეიძლება, არც უნდოდა მიმხვდარიყო, ვინაიდან მის სათაყვანებელ არსებას სხვა უყვარდა, საბას საუკეთესო მეგობარი.

უკვე ხუთი წელია, რაც საბა გარდაიცვალა, მაგრამ საკმარისია ჩვენი ინსტიტუტის ორი თანამშრომელი მაინც მიუჯდეს სადმე სუფრას, რომ აუცილებლად მოიხსენიებენ საბას სახელს და რაიმე ძველ ამბავსაც გაიხსენებენ მისი ცხოვრებიდან. ერთხელ შედარებით უცხო ხალხიც იყო სუფრაზე და ერთმა შეზარხოშებულმა ფიზიკოსმა ერთი ამბავი დააწია:

- რა გახდა ეს თქვენი საბა, რას გადაგვაყოლეთ, სხვა არავინ მომკვდარა ამქვეყნად?!

ვინც საბას კარგად არ იცნობდა, ვერასოდეს გაიგებს ამას.



# გიორგი ბაქანიძე

## გზადაგზა

(მასალები, სახელდახელო ჩანაწერები)



10. 4. 80

დაგვცინიან ეს ოჯახქორები. დღეს კალენდრის ფურცელი მოვხიე და უკანა გვერდზე წერია: „სასარგებლო რჩევა დიასახლისებს. ძროხის ბეჭი ცხლად. ძროხის ან ხბოს ბეჭი ჩადევით შესაფერისი ზომის ქვაბში, დაასხით მარილწყალი, შედგით ძლიერ ცეცხლზე და მოხარშეთ. ბეჭი ზედმეტად არ უნდა მოიხარშოს“ და ა. შ. ეს რამდენიმე წელიწადია, ძროხის და ხბოს ბეჭი რაიკომის მდივნებისა და რაიაღმასკომის თავმჯდომარეების ქვედა ინსტიტუტებს თვალით არ უნახავთ. ცინიზმია, მაშ რა არის!

დღეს გარეთ, ეზოში დაიყვავილეს უკვე ჭერმებმა. ფოთლით შეჩირთულან უკვე. უფრო პატარა ხეები ან ქვემოთა ტოტები მეტი ინტენსიურობით შეფოთლილა, ზევით და ზევით - შედარებით ნაკლებად. ტყემალი აყვავებულიცაა და მწვანედ შეფოთლილიც. ვაზის თალარს ზემოდან დაეფრქვია მომწვანო-მოყვითალო ლორთქები. კაკლის ხესაც დააჩნდა მწვანე - მოყავისფრო ბეწვები. ჩვენს ფანჯრებზე რაღაც ხვიარა არის გადმობარდნილი /სახელი ვნახო უნდა ბოტანიკურში/ - უკვე მოუღონიერდა საყვავილე და საფოთლე კვირტები, უკვე ეტყობა - რომელი ფოთოლია და რომელი ყვავილის მტევანი. მალე აყვავდება.

კალენდრის სადღეისო მონაცემები: მზე - ამოდის 6.30-ზე, ჩადის 19,35-ზე, დღის ხანგრძლივობა 13. 05. მთვარე - უკანასკნელი მეოთხედი 8 აპრილს. ამოდის 2. 48-ზე, ჩადის 12. 51-ზე. გაზაფხულია. ამ დილით კარგა ბარაქიანად წამოუშინა წვიმამ. 12 საათი იქნება, მაგრამ სამსახურში ჯერაც არ წავსულვარ. ნუცას სკოლა იქნება დღეს გახსნილი, მაინც ვერაფერს გავაკეთებ. 300 მანეთი მინდა უსიკვდილოდ. იმ დედაკაცმა უმაღლესი სასამართლოს აღმასრულებელი გამომიგზავნა სამსახურში და - სამ დღეში უნდა გამოგზავნოო ფული. მე სულელი - ვილაცვილაცეებს ვატანდი, - ხომ ვიცოდი მაგათი როკაპობა, ფოსტით უნდა გამეგზავნა და შემენახა ქვითრები. ახლა ვის ვეღრიჯო, ვის გამოვართვა ეს ფული. გუშინ ფიქრით ავწონ-დავწონე ჩვენი სამსახურის ყველა ფულიანი ხალხი - უშანგი რიჟინაშვილი, ჯაბა ასათიანი, ჯემალ აჯიაშვილი და სხვ. ზოგი - ტყუილია, იტყვის - არა მაქვსო და ტყუილად შევირცხვენ და დავიმდაბლებ თავს, ზოგი - ბანკში მაქვს გაყინული, ვერ გამოვიტან ვადაზე ადრეო. ვფიქრობდი გუშინ: რა ხელოვნებაა, რა ნიჭია ეს ფული-

- - - - -

გაგრძელება. დასაწყისი „ცისკარი“ № 2 - 8, 10-12 97წ, №1- 6 98 წ.

ანობის, ფულის დაგროვების ნიჭი. ჭეშმარიტად საჭირო ნიჭია. მე კი ყველაფერში უნიჭო გამოვდექი... „კალმასობის“ ერთი ადგილი მახსენდება - ეკონომიის, ზღვაოსნობის, ვაჭრობის სარგებელს რომ უხსნიან მთავარ გურიელს და გაიცინებს გურიელი: ეს არ არის ჩვენი ბუნებაო. არადა, სჭირდება ქართველ კაცსაც ეს ეკონომია, დაგროვება. მატერიალური წელი.

2. 4. 80

თეიმურაზ ბაგრატიონის ლექსიკონს ვკითხულობ - „წიგნნი ლექსიკონნი“. ხომ ფილოლოგიური, მეცნიერული წიგნია, მაგრამ ხელისგულივით ჩანს ავტორი თავისი პოზიციებით, ცხოვრებისეული დეტალებით, სიმპათია-ანტიპათიით. ქართველია - ყველაფერში ეტყობა. ანტისომხური პოზიციები აქვს, ვერ მალავს ალაგ-ალაგ. „აბანო, თუმცა სომხები ხმარობენ /აპანუ/, მაგრამ საკუთარი ქართული სახელია... ეს გულისხმაჰყავ, რომ არც ერთი სხვის ენისა არ არის. ეს გამოცდილებით ვიცი და დამტკიცებით. სახელები კი, ზოგნი სხვისა ენისა არიან უფრო ცოტა, ზმნები კი სულ საკუთარი ქართული არის. ანტონი კათალიკოსის ღრამმატიკაში (და რადგან აბანონი ბუნებითნი ჩვენს შორის იპოებიან და არა სომხით, შეუძლებელ არის სახელის დებაც ქართულად არა ჰქონდეს)“. „აგარაკი. ამ ლექსსა თუმცა სომეხნი ხმარობენ, მაგრამ ბერძნული არის და ჩვენც ვხმარობთ და სომხებიცა“. ურჩევნია, სომხური არ იყოს და, ჯანდაბას, იყოს ბერძნული, სპარსული, არაბული, ყველგან იგრძნობა ეს ტენდენცია. „ამბავი. ქართული არის. ამბავი სომხურათ /ლურ/ არის. სწორე სომხური ამბავი /ჰამჰაუ/ ეს ჩვენგანა აქვთ სომხებს მიღებული“. ცოტაც და, თეიმურაზი ცხარობს, რატომ შემოგვაქვს ესა თუ ის სიტყვა სომხურიდან, როცა ქართული შესატყვისები ბევრი გვაქვსო: „ამპარტავან ანუ ამბარტავანი ეს სწორედ სომხური არის და ქართულს ენაში ვხმარობთ. ქართულად მზვაობარი არის, ზვავი და ყიფი და ზესთამჩენი. იხილე ქართულად რაოდენი სახელები აქვს ამპარტავანსა. თუ სომხური იქნება, ჩვენ საკმაოდ გვაქვს საკუთარნი ჩვენნი“. „ასაკი... /ჰასაკ/ თუ სომხური არის, საკუთარი ქართული ზრო. ზროდამ ზრდაც გამოდის. სომხური საკუთარი სახელი ასაკისა არს /არჰუნქ/ და კვალად /თიქ/...“ „ბაჟი. სომხურად თუმცა ეძახიან /ბაჟ ანთუ პაჟ/, მაგრამ ბაჟ სპარსული არის და არა სომხური“. „ბოზი. სომხურად /ბუზ, პუზ/. ბოზი სპარსული არის და თათრული. ქართულად სახელიდება ბოზი არაწმინდად და მეძავად და სხვადასხვა მრავალ სახელებად განიყოფება ცოდვების აღრიცხვის სტოებში და აღსარების წიგნში. არამცთუ ერთი, მრავალი სახელი აქვს საკუთარი ქართული. ნ. როსკიპი, უსირცხვილი“. „ბოროტი. ქართული არის და სომხურში იქნება იყოს მიღებული... მრავალგვარად ითქმის ბოროტი ქართულის ენით“. ამას ყველგან ხაზგასმით ამბობს - ქართული ენის სიმდიდრეს, სინონიმთა სიმრავლეს და ერთგვარი მეპატრონის სიამაყეც ეტყობა ამის გამო. „გემო სწორედ ქართული არის. სომხური /ჯამ/ არ არის გემო. სხვა სახელიცა აქვს ქართულად გემოსა“. „დარდი... ეს ლექსი სპარსულიდამ არის შობილი, სომხური არ არის... მწუხარება, ურვა, დრტჳნვა, ქართული არის და სხვა სახელებიცა აქვს ქართულად“. ზოგჯერ ხდება, როცა სიტყვა სომხურიდანაა შემოსული და თეიმურაზსაც მეტი რა გზა აქვს, აგდებით ამბობს, იყოს, მერე რა დიდი ამბავიო. მაგ. „მაწონი. მაწუნ სომხური არის, ქართულად მაწონი წველა არის... რომელნიმე მაწონს ქართულს სახელად იტყვიან და ქართულსაცა გავს და თუ უნდა სომხური იყოს, ამისთვის არა ვზრუნავ“. ამას იმ გუნებით ამბობს, აი, მკვახე იყო ის ყურძენიო, თორემ ზრუნავს და დიდადაც ზრუნავს, ყველგან ეტყობა ქართული ენის ეჭვიანი სიყვარული, უამისოდ არ დაჯდებოდა და ამოდენა შრომას არ გასწევდა. აი, როგორ ეკამათება ვიღაც უჩინარ ოპონენტს სულ ერთი გვერდის მერე: „არც გაილი არის ქართულად მგელი. არც სომხური ენა ჩვენს ენაზედ ძველი არის, არც ჩვენი ენა სომხურიდამ შემდგარი, არც მიგროვილ-მოგროვილი...“ ყოველივე ეს რომ ვნახე, გამოწვლილვით ვკითხულობ მთელ წიგნს და, ერთი რომ ძვირფას, საჩემო სიტყვებს ვინიშნავ, მეორე - ავტორის ბიოგრაფიულ ცნო-

ბებზე და მისი ქარაქტეროლოგიური ნიშნების ამოცნობაზე მაქვს გულისყური. აი, როცა ქართულ ფულზე, თეთრზე წერს: „პაპის ჩემის სრულიად საქართველოს მეფისა მეფე თეიმურაზ მეორის დროსა და პაპის ჩემის ირაკლი მეორის დროსა და მამის ჩემის მეფის გიორგი მეათცამეტის დროსა მათს მეფობაში კეთდებოდა და იჭრებოდა ტფილისსა შინა სამეუფოსა ქალაქსა მათსა სამარადისო სამუშაოდ და სავაჭროდ თეთრი. /ესე იგი საფასე ანუ ფული/... ეს ოთხი გვარი ფული იჭრებოდა ტფილისში... ასეთს თეთრსა სჭრიდნენ ჩვენშია, რომ ყოველს ევროპიისა და აზიის ვერცხლზედ ჩვენი ვერცხლი უფრო წმიდა იყო. საქართველოს თითონ კარგი მადნები აქვსთ და მეფეებისა და მათისა დროს ძალიან კარგათ მუშარბდა, დიდათ სარგებლიერად". ახლა ჩვენ ხომ ვიცით, რა „სრულიად საქართველოს" მეფენი იყვნენ თეიმურაზის პაპანი ანდა რა მეფე - მამამისი, ანდა რა „სამარადისოს სამუშაოდ" იჭრებოდა მაშინდელი ქართული ფული, მაგრამ ამ ლექსიკონზე მომუშავე მეცნიერი უკვე შორსაა სამშობლოდან, როგორც მაშინდელნი იტყოდნენ - „მოშორვებულია", და როგორღაც იგრძნობა ეს კაეშნიანი დისტანცია... იქაც იგრძნობა, როცა რაიმე მცენარეზე, ცხოველსა თუ თევზზე წერს, ანალოგიას აკეთებს იქაურ, რუსულ შესაბამის ერთეულებთან და მუდამ ქართულს ამჯობინებს ხოლმე... „კალმახი ეს უპირველესი თევზი არის წვრილიცა და მსხვილიცა. დაწინწკლული არს ესე წითლისა და შავისა ხალებითა. რუსეთშიაც არის ეს თევზი, მაგრამ საქართველოში უფრო გემოიერი. რუსულად ფარელი ეწოდება". „დურაჯი მფრინველი ესე ცხელსა და მინდორსა ალაგს მკვიდრობს. აქ, რუსეთში რომ ჩაფრიკი /!/ არის, ამას გავს; მტკვრის პირებზე, ალაზნის მდინარის პირებზე საქართველოში, განჯასა და ყარაბაღში მრავალი არის, სხვაგან კი არსად... ტრედისაგან უდიდესი არის. აქ რუსეთის ქვეყანაში... დიახ უპირველესი და გემოიერი საჭმელი არის. საქართველოში, ტფილისს ქვემორე, მტკერის მდინარის კლდეებზედ, ალაზნის მდინარის კიდეებზედ, განჯას და ყარაბაღში მრავალი არის, სხვაგან არსად არ არის. საქართველოს ქვეყანაში ამას ნადირობენ და ზამთარში ტფილისში მოიტანენ გასასყიდს". „გარიელი ცხელს ადგილებში იცის, იხვისაგან უდიდესი მფრინველი არის. ფერად-ნარგიზის ფერი ყვითელი... საქართველოში მრავალი არის. აქ, რუსეთში, რამდენსამე წლის წინათ მინახავს, ცარსკი სელოს ჰყვანდათ, სახელმწიფო ბაღში. ბაღში რომ დიდი ტბა არის იმ ტბაში მარადის ცურვიდნენ და ტბის ხაპირებზე ცხოვრობდნენ. ამას რუსნი ტურეცკი გუსს უწოდებენ. ესევე მფრინველნი კანცლერს რუმანცოვს ნიკოლაი პეტროიჩს თავის დაჩაში, პეტრეღოფის გზაზედ რომ დაჩა აქვნდა, იქ ბევრი ჰყვანდა ამ მფრინველისა". „გლონი ანუ გნოლი, მფრინველნი, კაკაბის ფერნი, სანადირონი... გლონი დიახ მრავალი არის საქართველოშია". „ზღაპრული ხილი, ბაღისაც არის და ტყეში მრავალი. რუსეთში სულ არ არის". „თუთუბო ხეები არის, რომელიც დაისხამს მტევანსავითა გრგვალს რასმე მაგრებს და არა მწიფეს დაჰკრეფენ და დანაყავენ, შეიქმნება მსხვილი პარაშოკი! /!/ წითელი, ...სპარსეთშიც არის, მაგრამ არა ესრეთ კარგი, როგორათაც საქართველოშია..." „თხილი რუსეთშიც ბევრია, რუსნი კალონი არეხს ეძახიან, მრავალია საქართველოშია..." „კაპოეტი დიახ გემრიელი თევზი არის. აქ, რუსეთში არ იცის, საქართველოში მრავალი არის..." „კომში ხილი, ვაშლის ოდენი... თათრულად და სპარსულად აივა ჰქვიან, რუსეთშიც აივას ეძახიან... საქართველოში მრავალია ყველგან და ტფილისში უმჯობესი". ზოგჯერ ავიწყდება, რომ რუსეთშია და „ჩვენშიო" ამბობს: „კრიკინა - ტკბილი და გემოიერი, ჩვენში დიახ ბევრია". ამ ჩანაწერებში კარგად ჩანს ავტორი, მისი გამოცდილება, თვითმხილველის უშუალობა... ყველგან, ყველაფერში ჩანს. აგერ, მეპურე: „პურის მცხობელი არის, მაგრამ ჩვენ არაბულის სახელს ვეძახით - ხაბაზი. ჩვენ არაოდეს არ დავკარგავთ, რასაც სხვის ენისასა ვხმარობთ სახელებს". ამის დაწერა მას შეუძლია, რომელსაც ეამაყება თავისი კულტურა, თავისი ენის სიმდიდრე სწამს. აგერ, რას ამბობს საქართველოში ჩამოთესლებულ უცხოელებზე, თათრებზე: „ელი. ელს უწოდებენ საქართველოს ერნი /ესე იგი მცხოვრებნი/ ვინც ზაფხულით და ზამთრით

ეროვნული ბიბლიოთეკა



ადგილს იცვალებენ... ელი ჩვენებურად მას მცხოვრებთ ეწოდება, რომელიც დღესაც საქართველოს და მცხოვრებთ მისთა ყმათა ჰყავსთ. თათარნი არიან, მახმადიანნი. ოცი ათას სახლამდის იქმნებიან იგინი საქართველოს შინაგანს მამულში მკვიდრნი და ადრიდგანვე მარადის ყმანი საქართველოსანი". ე. ი. მაშინ ოცი ათასი კომლი ყოფილან, დღეს კი, ალბათ, ათი და ოცი იმდენნი გახდნენ და აღარც „ყმანი" არიან მთელი აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი საქართველოსი, არამედ ზედ თბილისზე მომდგარან, ხელში ჩაიგდეს სოფლად - მიწა, ქალაქად - ბაზარი... საერთოდაც, მთელს ამ ახლო აღმოსავლეთში მაგარი წიოკობა შეუდგათ მაჰმადის მიმდევართ. ისლამი მსოფლიოს მომავალიაო, ჰომეინიმ ბრძანა. არადა, თურმე ტიბეტის იოგებს უწინასწარმეტყველებიათ კარგა ხანია: ნახევარ-მთვარე თანდათან ძირს დაიწევს, დაკნინდებაო, ვეღარ გაიმართებაო წელში. რასაკვირველია, 10-15 საუკუნის წინანდელ დოგმებს აფრიალებს ხალხი...

გიგლა სარიშვილი მივატოვე ამ სააღდგომოდ და ამ ბრწყინვალე კვირაში. ვეღარ მივედი, ვერ ვნახე. „ავად არს ლაჭაურაო..." ხმა მომდის, ისევ სვამს ლამის ყოველდღიურად, ისევ ისე უპატრონოდაა მიგდებული. რა გული უძლებთ მისიანებს, კაცის ასე ძაღლივით გადაგდება როგორ იქნება. მიეჩვივნენ... მით უარესი.

იქითა შაბათს, ხვალისსწორს, ლენინური შაბათობა გაჩაღდება მთელს საბჭოეთში და აქაც - თბილისში. გუშინ უშანგი რიჟინაშვილი ხმამაღლა ლაპარაკობდა დერეფანში: ალექსანდროვის ბაღში უნდა გავიდეთ დილით მთელი სამსახურიო. კოლეგიაში გავდიოდით ხოლმე, ასუფთავებდნენ იქაურობას, წელს კი უარი უთქვამს რაიკომს, გარეთ გამოდითო. მწერლები, მწერალთა კავშირი სულ მანდ იქნებაო. რასაკვირველია, უნდათ ამ აგიტატორებს, ამ მეგაზეთეებს: გადაუღებენ ფოტოსურათს თოხ და ბარმომარჯვებულ მწერალს და გაჭიმავენ გაზეთში - ხომ ხედავთ, შემოქმედებითი ინტელიგენცია რა ერთგულია ლენინის იდეებისა, ლენინის საქმისაო. მე, რა თქმა უნდა, აღარ გავალ. განა როყიოდ ვიტყვი უარს ანდა საერთოდ რა სალაპარაკო მაქვს მაგათთან - ავდგები და აღარ გავალ. თუ მომკითხეს, ავად ვიყავიმეთქი... დედა უტირა...

12. 4. 80

გუშინ ჩინეთის რუსულ სახელწოდებაზე დავფიქრდი უცებ /КИТАЙ/ და ლად ბედისწერული შინაარსი აღმოვაჩინე. სარუსეთო: КИТАЙ-КИТ ვეშაპი. ვეშაპ - ნუთუ ამაზე არასოდეს დაფიქრებულა რუსი კაცი! ეს სიტყვა ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად ვეშაპის, საერთოდ - რაღაც დიდის, უშველებლის ასოციაციებს უნდა იწვევდეს რუსის ფსიქიკაში, მით უმეტეს - ამოდენა ჩინეთი, თითქმის მთელი მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარია და უფრო და უფრო იზრდება. ყვითელი ფერი აქვს მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე - ყვითელი ვეშაპი... სადღაც აქეთ, კასპიისპირა მთებში იწყება მისი საზღვარი და მიდის ათასობით კილომეტრზე, მდ. ამურის აუზში, ჩრდილო კორეამდე, რომელიც იგივე საბჭოეთია; იაპონიის ზღვამდე თუ ცუსიმას სრუტემდე, სადაც ერთ დროს იაპონელებმა რუსეთის ფლოტი ჩაძირეს. მსოფლიო ცხოვრებაში თანდათან უფრო მეტ წილს იღებს ჩინეთი - პოლიტიკა, ეკონომიკა, მაფიაც კი ჩინური, ელება და ელება დედამიწას... ჩილემდე გაიდგა კავშირ-ფესვები, სამხრეთ აფრიკამდე, ამერიკის შეერთებულ შტატებამდე... აზია მისია, მალე მისი იქნება... მოვა დრო და მთელს ციმბირსაც ხელში მოიგდებს ვეშაპი... დაუფიქრდეს უნდა რუსეთი ამას. შემთხვევითი არ არის ეს სახელდება - თვით რუსთაგან შექმნილი სახელდება - Китай... ...ჩინეთის ერთ-ერთი ხელმძღვანელის - ხუა გო ფენის შარშანდელი ვიზიტებიც ვერ იწვევდა კარგ სარუსეთო ასოციაციებს. ამ სახელში არის ისეთი რამ, ცოტა უნდა დააფიქროს რუსი კაცი, მით უმეტეს - რუსი ქალი. თანაც რუსეთიც ხომ მდედრობითი სქესის სიტყვაა... ასე. ამეებს არ დავწერდი, მაგრამ ერს არ უნდა ჰქონდეს სხვის კისერზე ჯდომის ხუშური, სხვის დამჩაგვრელს ერთ დროსაც მოჰკითხავს ღმერთი. არასოდეს არც ერთ იმპერიას არ გაუხარია, ყველას მიეგო მისაგებელი - ამას ხომ არ უნდა ბევრი ლოგიკა, ისტორიაა ამის თავდები. აღარ დარჩა მსოფლიოში დღეს

იმპერია, მორჩა კოლონიალიზმის ეპოქა, აშშ-ს უჭირავს თითქმის ნახევარი მსოფლიო, მაგრამ პოლიტიკურად კი არა, ეკონომიკურად. გარდა ამისა, თავისი ეკონომიკური და სამხედრო ძლიერებით, საერთაშორისო ავტორიტეტით მთელი დასავლეთის მეთაურად გამოდის. ეს არ არის იმპერიალიზმი, ასეთი იმპერიალიზმი ნეტავი ჩვენ გვაღირსა - ჩვენს ქვეყანას. რუსეთი კი კლასიკური იმპერიაა, უკანასკნელი ბასტიონი იმპერიალიზმისა, და ჩინეთსაც ამგვარი ტენდენციები აქვს. რუსეთის დაქვეითების შემდეგ იგი აპირებს მისი ადგილის დაკავებას. საშიშია ჩინეთი, რადგანაც იმასაც ეს დამპალი იდეოლოგია აქვს, ეს ავბედითი მარქსიზმი, კიდევ მეტი - ნაციონალიზმით შეზავებული ნაირსახეობა მარქსიზმისა. ჩვენამდე, საქართველომდე, ალბათ, ვერ მოვა, თუ იმ დროისათვის საქართველო გვექნა და მანამდე არ მოგვინელა ახლო აღმოსავლეთის ამ ახლანდელმა კრიზისმა. აგერ, ეზოში, ახლა, ისმის ქართული ლაპარაკი. აქაც უამრავი უცხო თესლია - სომეხი, რუსი, ებრაელი, ქურთი, მაგრამ ეზოს ბავშვების საერთო ჟრიამულში მაინც დომინანტობს ქართული. სომხური და ქურთული ძალზე იშვიათად ისმის, რადგან მათი „საგარეო" ენა რუსულია და ხშირად - ქართულიც. მესმის, ქურთი დედაკაცი რა კარგი, უაქცენტო ქართულით უყვის თავის ბავშვებს, რომელთაც სახელიც ქართული /თინა, მაია/ ჰქვიათ. ეტყობა, მაინც ძალოვანია ჩვენი კულტურა და ენა, რაკი ასე ეტოქება და ეჯიბრება რუსულს. ჩვენს ზემოთ აჭარელი ცოლ-ქმარი ცხოვრობს, ახალგაზრდები არიან, მაგრამ უკვე სამი ვაჟი ჰყავთ. თუ ისლამმა და შარიათმა რაღაც კარგი, თუნდაც მისხალი კარგი მოგვცა, ესაა, რომ ინტენსიურად მრავლდებიან აჭარლები, ეს ჩვენი ღვიძლი ქართველები, ქართული ცივილიზაციის იმ ბედნიერი ეპოქის ერთ-ერთი შემოქმედნი... მეგრელები მრავლდებიან და, უფრორე - აჭარლები. ფრიად სასიხარულო ფაქტია. ესენი არიან ის ძველი კოლხიდელნი - თეთრფეროვანი, ცისფერთვალება ხალხი. შავმა აღმოსავლეთმა ჩვენც თავისი ფერი დაგვადო, გაიხედავ ხშირად და ქართული გვარის მქონე კაცს თურქულ-სპარსული თავის ქალა, დაწვები და ყბები აქვს ან სომხური შუბლი და თვალები... ხასიათშიც ბევრი რამ ატყვია არაქართული. ამიტომ ძალიან სასიხარულოა, , როცა ისეთი კუთხეების ხალხი მრავლდება, რომლებსაც შედარ[illegible]ით ნაკლებ შეეხო აზიის გავლენა - ჩვე[illegible] თუშფშავ-ხევსურები, რაჭველ-ლეჩხუმელნი, სვანები, მეგრელები, იმერლები, გურულები... აჭარლებმაც, თუმც საუკუნეები გაატარეს თურქთა უღელში, მაინც შეინარჩუნეს ეთნოგრაფიულ-რასობრივი თავისებურებანი. მესხები არიან, იგივე გურულები - ყოველმხრივ. არ ერეოდნენ თურქებში. მუდამ ჰქონდათ რასობრივი ღირსება, იმის შეგრძნება, რომ თურქებზე მაღლა დგანან ბევრი თვალსაზრისით... ეს ღირსების გრძნობა ახლაც აქვთ თურქეთის ტერიტორიაზე დღეს მოსახლე ლაზებს, იმერხევის ქართველებს - მაინც ინარჩუნებენ თავიანთ ეთნიკურ იერსახეს, თუმცა თურქს ახლაც არ აუღია ხელი ძველ პოლიტიკაზე... სპობს მის საზღვრებში მოქცეულ, ძველი ქართულ[illegible] კულტურის ფასდაუდებ ძეგლებს; მათ საზღვრებშია დღეს ჩვენი საამაყო და სატირალი ოშკი, ხახული... აღმოსავლეთ საქართველოსაც რას ვერჩი, ჩვენს სათაყვანო ქართლ-კახეთს - ხომ არც ერთი კუთხე მიყვარს კახეთზე მეტად... რკინას მოხარშავს კახეთი, სათავისოდ გადააგვარებს და გაქნის თავის ქართულ წიაღში... უამრავი სომეხი, თათარი, მონღოლი, რუსი შეერია კახელებს, მაგრამ ყველა მოიდნო კახეთმა, თავისი ქართული სპეციფიკა კი მაინც არ დაკარგა. აწ თუ არაფერი მოგვივა, წარსული მორჩა, თანდათან მოვინელებთ წარსულის სიმწარეს... საინგილო დავკარგეთ, ახლა დანარჩენი ჩვენი მიწები არ დავკარგოთ, დღეს აზერბაიჯანელთაგან დასახლებული და გასაკუთრებული. აქეთაც, ქართლშიაც მოვინელოთ ოსთა აღზევება; ვინც უკვე აღარსად წავა, მალე გავაქართველოთ და შევიერთ-შევირიოთ, რაკი მეტი გზა არ არის. დაგვღუპეს ორჯონიკიძემ და მისმა დამქაშებმა: რა საჭიროდ იყო ამ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა ისედაც ხომ ჰქონდათ ჩრდილოეთ ოსეთი - მათი ნამდვილი სამშობლო. ნაწილი ოსებისა იქით გადავიდოდა, აქ დარჩენილი ნაწილი კი უკვე დაკარგავდა თავის ოსობას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეერეოდა ქართველებს და ერთი ასი-ასორმოცდაათი წლის შემდეგ სულ გაქრებოდა ქართველობის ზღვაში. ბევრჯერ გვქონია ჩვენი მრავალტანჯული ისტორიის მანძილზე ასეთი სიტუაციები და ყოველთვის ქართულ სისხლს, ქართულ კულტურას, ქართულ ენას გაჰქონდა ღელო. მასობრივი შერევისაგან ღმერთმა დაგვიფაროს, საერთოდაც, რა სახარბიელო ეს არის, მაგრამ დღესდღეობით მეტი რა გზაა. სამშობლო რომ თავისუფალი გვქონდეს და ჩვენი თავი ჩვენ გვეყუდნოდეს, შედარებით უმტკივნეულოდ მოგვარდებოდა ყველაფერი. ხიზანიც უჭკუო როდია - მიხვდებოდა, რომ მიწას პატრონი ჰყავს, ვერ იპარპაშებს და ქონს ვერ მოიკიდებს სხვის მიწაზე, ჰოდა, თანდათან, თითო-თითოდ გაბრუნდებოდა თავის სამკვიდრებელში ანდა სხვა რომელიმე ხალხის უპატრონო მიწას მონახავდა და იქ დასცემდა კარავს. მიწაა მთავარი - მიწა რომ ჩვენი იყოს... ადგებოდა თათარი, უზარმაზარი ტერიტორია აქვს თავის აზერბაიჯანში, ისევ იქ გადაბარგდებოდა, რაკი აქ განივრად ვერ გაშლიდა მხრებს, აღარ ექნებოდა ცხვარძროხის საჯირგალოდ იალაღები, წვრილმანი ვაჭრობის ასპარეზი, თბილისისა და სხვა ქალაქთა უკონკურენციო ბაზრები. წავიდოდა. მით უმეტეს - ახალგაზრდობა ისედაც ცენტრებისაკენ მიიწევს, ზოგი უმაღლეს სასწავლებელში, ზოგი ბედის საძიებლად... ოსები მშვენიერი ხალხია, ძირ-ძველი, თავისებური კულტურის მქონე. თუკი თავისი დამოუკიდებელი ქვეყანა გაუჩნდებოდათ ამ ვეება პლანეტაზე, თავისი პოლიტიკური ერთეული, თუნდაც ეროვნული თვითშეგნება და პატრიოტული ღირსება წაიყვანდა თავისი ქვეყნის საპატრონოდ, განსამტკიცებლად, მით უმეტეს - აქ არ ექნებოდა ფიანდაზები დაგებული. ზოგი კი, ვინც უკვე ქართველობს და ქართულად ლაპარაკობს - დარჩებოდა და აღარც ჩვენ ჩავუდგებოდით კრიჭაში. ახლა კი ძლივს გამოვტაცეთ ხელიდან ჩვენი სასიქადულო მაჩაბლის სასახლე და მიწაწყალი, ისიც სამუზეუმოდ. წლების განმავლობაში ეტევებოდა ცხინვალს თბილისი და ძლივს. არადა, ჯერ კიდევ დანიელ ჭონქაძემ შეუდგინა /მგონი/ აქ მოსახლე ოსებს ქართული სახელმძღვანელო და ქართულს სწავლობდნენ ოსი ბავშვები. და ეს ცარიზმის პირობებში. ბოლშევიკები რომ არ მოსულიყვნენ და თუნდაც ის ძველი რეჟიმი გაგრძელებულიყო ერთხანს, ეროვნული ცნობიერების მაშინდელი გამოფხიზლება-აღმავლობის ვითარებაში მაინც არ გვექნებოდა დღეს ესოდენ ცუდი სიტუაცია. რუსმა ოსური სკოლები გახსნა საქართველოს მიწაზე, სამხრეთ საქართველოშიაც აზერბაიჯანელი მასწავლებლები ჩამოუყარა მაჰმადიან ქართველებს, რომლებმაც უკვე დედაქართული კულტურისკენ იქციეს პირი... აფხაზეთშიაც - ასევე. არადა, დგას თბილისში ორჯონიკიძის ვეება ქანდაკება - ჩექმებიანი მტარვალი, იუდა ახალი... მის ნადგომზე მერე ცეცხლი უნდა დავანთოთ, შანთით ამოვწვათ იქაურობა და სხვა რამე შევქმნათ... შემოვხაზოთ ის ადგილი, როგორც ბასტილიის ნადგომი აქვთ ფრანგებს... თუმცა არა, ესეც ძეგლი იქნებოდა, ოღონდ სხვაგვარი ძეგლი, არა, რაღაცნაირად უნდა გავაქროთ მისი სახსენებელი... რამე უნდა დავდგათ, დიდი და ძლიერი, რომ გადაფაროს ის ბოროტი აურა... მაშინ, ცხრაას ოცდაერთში, პატრონი რომ გვყოლოდა და რუსებს კრიჭაში ჩავდგომოდით ცოტათი, ასე ცხვარივით არ მივყოლოდით, არ უნდა შეგვექმნა აფხაზეთისა და ოსეთის ავტონომიური ერთეულები. აჭარაზე არაფერს ვამბობ, აჭარა საქართველოა, ქართულად მოლაპარაკე ჩვენი ძმებია, მათი ავტონომია ტუფტა ქაღალდია, თუმცა კოზირი ჰგონია რუსეთს თავისი. აპრუწუწუნ, ვერ მოგართვით...

თუ ღმერთმა ქნა, ჩემი ირაკლე უნდა მოვნათლო ამ 16-ში, წმ. ირინეს დღეა ძველი სტილით და საგანგებოდ შევურჩიე. ახლა მეტი არ უნდა გადავდო, ურჯულოა მოუნათლავი ადამიანი, აქამდე არც უნდა მიმეყვანა ბავშვი. ეკას მგონი უკვე მონათლავდა ან აწ მონათლავს დედამისი - კახეთი უფრო ქრისტიანია, ვიდრე ჩვენი - დასავლეთი საქართველო. გურიაში მაინც სულ მოსპეს ეკლესია-მონასტრები. ჩემს მეზობელ სოფ. კონჭკათში ერთი უბანია, ხალხი დღესაც „მონასტერს" ეძახის. მონასტერი იყოო, ხნიერ ხალხს ახსოვს კიდეც მონაზვნები, თუმცა ახლა სადღაა ის ხნიერი ხალხი, ჩემს ბიჭობაში იყვნენ, ახლა თითო-ოროლაა დარჩე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნილი. ჩემს თვალწინ წავიდნენ ვასილ ბაქანიძე, მისი ცოლი - პელაკი ბაქანიძე, იორდანე დოლიძე, ლევარსი ცერცვაძე, ლადიმე ცერცვაძე, ლადიმე დოლიძე, პორფილე ჭანტურია, ისაკი დოლიძე, პავლე დოლიძე /ძველი პარტიული იყო, ბევრი ჩვენსოფლელი ამოიშავა და ბაბუაჩემიც გადაასახლა - შეუნდოს ღმერთმა ცოდვები!/, ეკატერინე ცერცვაძე, შალვა ხომერიკი, კირილე ხომერიკი, არტემ დონაძე, აკაკი კვაჭანტირაძე, აცანდრე დოლიძე, სარა ცერცვაძე, ვანო ხურციძე, ლადიკო ხურციძე, პორფილე დოლიძე, ბაბუცი ბაჯელიძე, ეფროსინე ცერცვაძე, კოტე კვაჭანტირაძე, გოგია დონაძე, ნოე ბაჯელიძე, ტოლინე ჩხობაძე, კოწია ურუშაძე, ნიკო ქარცივაძე, შოთა ხურციძე და სხვ. ახლა, ხომ უბრალო სახელები და გვარებია ყველა, არადა, თითოეული უამრავ რამეს უკავშირდება ჩემს ხსოვნაში, ყოველივე ეს ჩემი ბიჭობაა, სიჭაბუკეა, ჩემი სოფელია, ყველასგან რაღაც მახსოვს - სიტყვა, სალამი, კარგი... აგერ თეოფილე ბაქანიძე მომაგონდა და ის გამახსენდა, ბაღში რომ ჩამიყვანა და საადრეო ატამი გამითალა სამყენი დანით... ჩარხი ედგა სახლის ლაფაროში, სალესი, მახსოვს - სახელურზე ხელჩაკიდებული ვაბრუნებდი... ძაღლი ჰყავდა მთელი იმ კუთხის რისხვა... „თეოფილე ბაქანიძის ძაღლი..." კონჭკათში, პაემანზე რომ დავიწყე სიარული /ჩექმებით მივტოპავდი ბინდბუნდში საგაზაფხულოდ ატალახებულ ორღობეებს და ყვავილების კონას ვმალავდი უბეში/, აქეთობას მომავალს, შუა დამით გამომენთო ის ძაღლი და ღობეში ამოზრდილ ტუნგოს ხეზე ავვარდი... ვიჯექი მთელი საათები, განთიადამდე, სანამ არ დაიყმუყუნა მოწყენილმა და საბოლოოდ გამცილდა... ლევარსი ცერცვაძესაც მაგარი ძაღლი ჰყავდა, მგლისფერი, ისიც ძალიან საშიში და იმ არემარეს ბატონ-პატრონი... იქაურობას კრძალვით ვუვლიდით „ბოგილაში" სათევზაოდ თუ საბანაოდ მიმავალნი... არსენა ბაჯელიც გამახსენდა, მისი ძმა - გოგიაც... არსენას წისქვილი ჰქონდა მდინარე ბოგილაზე /რაღა მდინარე, ახლა ძლივს მოღანღალებს კალაპოტში, მაშინ კი მისისიპი გვეგონა/, აეროდრომიდან მოტანილი ალიუმინის ნაჭრებით გადახურული... იქვე ტბა, „არსენას" ტბას რომ ვეძახდით და, მგონი, ახლაც ეძახიან... ზევით კი მთა, გოგორეთის მთა, ჩვენ იმასაც „არსენას" მთას ვეძახდით... ირაოები /ასე ეძახიან ჩვენში/ რომ წამოვიდოდა, იქ გავდიოდით თოფებით; საღამოს პირზე გადმომფრინევალნი იმ მთაზე ათევდნენ ღამეს ანდა წვიმა ჩამოყრიდა საღამოდ. იმ ბოგილაში გაიარა ბავშვობამ, იქ ვთევზაობდით ანკესითა თუ ხელაობით, იქ ვისწავლეთ ცურვა... ფეხშიშველები მივდიოდით სირბილ-სირბილით მთელს კილომეტრს... გოგია ბაჯელიძეს „აბდალს" უძახდა სოფელი... უცოლშვილო ბერიკაცი იყო, შეუყვარდებოდა ხოლმე დროდადრო /ან, იქნებ, ხმას უგდებდნენ სალაღობოდ/ სოფლის ყველაზე ლამაზი ქერივი და ჩაუჯინდებოდნენ - როდის უნდა მოიყვანოო... რა ვიცი, მე ბევრი ჭკვიანური რამ გამიგონია მისგან. დარბაისლური სტუმრობა იცოდა, ბავშვებს მოიკითხავდა, იჯდა „ფეჩთან" და ელაპარაკებოდა ბებიაჩემს - ბაჯელიძე იყო ბებიაჩემიც: „ბაჯელიძის ქალოო..." მშვენივრად, დაწყობილად ლაპარაკობდა... კოლმეურნეობის უფროსობა არ უყვარდა და, მგონი, არც იყო კოლწევრი... მგონი, აღარც საკარმიდამო ჰქონდა. პირდაპირ აუმღვრევლად აგინებდა კომუნისტებს და, რაკი ლენჩად თვლიდნენ, არც უშავებდნენ რამეს. თანაც უკვე მოფახფახებული ბერიკაცი იყო. შეიძლება იგონებდა ჭკუანაკლულობას, განგებ „იაბდლებდა" თავს - ახლა ასე მგონია. პორფილე ჭანტურია ხარაზად იყო თემში, ჩემი ფეხსაცმელებიც, ალბათ, ბევრჯერ გაუბლანდია. „პლენში" იყო ნამყოფი, მერე - საბჭოურ „პლენში" და იქიდან თუ ჩამოიტანა ხელობა. მერე ჩვენი და „დოლიძეების" მიწებს შუა ჩამომავალ ღელეში ჩაიჩეხა ფლატიდან სიმთვრალეში და გარდაიცვალა. მისი სიკვდილის შემდგომ ისაკი დოლიძემ გაწმინდა ის ფლატე და ტევრი, გამოაჩინა, სამახსოვრო ნაძვი დარგო იმ ნავს ადგილას და ხიდიც გასდო ღელეზე, პატარა ბოგირი. ახლა აღარც იგია ცოცხალი, ნერგებს რგავდა აპრილის თვეში, სწორედ ამ დღეებში, მგონი 15-20 აპრილს შორის, და წაიქცა მუშაობისას, მგონი გულმა უმტყუნა. იქვე ნახეს, ხელში ბარი ეჭირა და ნერგიც წაქცეულიყო ორმოში... იორდანე დოლიძე ჩვენი ეზოს მონა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



პირედ, კოლმეურნეობის „ნალიებში“ ყარაულად იყო, ის და ლევრასი ცერცვაძე; ომიანობისას და კარგა ხნის შემდეგაც დილაუთენია მუგუზალი მომქონდა მათგან, თუკი ჩვენს ბუხარში ჩაინავლებოდა საღამიოდ შენახული ცეცხლი... ჰყვებოდნენ ათას ამბავს, განსაკუთრებით ქართველ-თათრების ომის პერიპეტიებს, ბათუმი რომ „წაიღეს“ ცხრაას ცხრამეტში თუ ცხრაას ოცში და ჩოლოქზე მოვიდნენ... კოლმეურნეობის შექმნის ამბებსაც ჰყვებოდნენ და ძველ „კაი ცხოვრებას“ იგონებდნენ... ცუდსაც ამბობდნენ წარსულისას - უგზოობას, ტალახს, უსწავლელობას, მაგრამ მატერიალურად კარგად ვიყავითო... სიმინდის ახალ მოსავალს რომ ავიღებდით /„სიმინდს რომ მოვტეხდით“/, ძველი იმდენი გვქონდა დაუხარჯავი, ღორებს ვუყრიდითო „სანთელივით“ სიმინდსო. იმ ნალიების ტერიტორიაზე პატარა ნაკვეთი ჰქონდათ და თამბაქო მოჰყავდათ საზიაროდ - პირს ვერ დააკარებდი იმათ თუთუნს, მაგარი იყო ძალიან. ლადიმე ცერცვაძემ მომაწევინა ერთხელ თავისი მოყვანილი თუთუნი, სამზადში კვამლზე გამომშრალი, და კინაღამ დავიხრჩვე. მიმზერდა, იღიმოდა შეყვითლებულ ჭაღარა ულვაშებში და არას ამბობდა. ბრინჯიც მოჰყავდათ თხინვალში, ღელის კიდეებზე თესავდნენ... ახლაც ვიცი ის ადგილები, საცა ბრინჯი ეთესათ. ღომიც მოჰყავდა თეოფილე ბაქანიძეს, ჩვენს გადაღმა ღელისპირებში... იქ ძველი, დაკოჟრილი თუთის ხეები იდგა, მახსოვს, და მუდამ წყალი ჰქონდა ბალახს შემდგარი - თიხნარი ნიადაგი იყო, ლენჭყო. მერე ორი ბარის პირზე გათხარეს იქაურობა, თხილები ამოძირკვეს ზემოთა ფერდობზე, იმ გატიალებულში ციტრუსების სანერგე მოაწყეს /ტრიფოლიატი დათესეს და ამონაყარს მყნიდნენ ხოლმე/, მერე ის სანერგეც მოშალეს და ახლა პარტახია ის ადგილი. თხილები კი კარგად ხარობდა, მობურული იყო მთელი ფერდობი და გაუვალ ტევრს ქმნიდა. რაღა არ ხარობდა იქ: ზღმარტლი, პანტა ვაშლი თუ მსხალი, ერთ-ორგან ხმელაზე გასული იზაბელა... ერთი /„დემირა“/ ვაშლი იდგა, ძველი, კაი ხნის და, მგონი, ახლაცაა, უკვე ისიც გაბერწებული. მოისპო ის მშვენიერი ადგილი. და რამდენი ასეთი ადგ-ილი მოისპო და მოითხარა - ის მიწები, საკარმიდამო ნაკვეთებს რომ ჩამოაჭრეს /„ჰექტრობა“ რომ გაუქმდა/, მოშენებული, ხეხილიანი მიწები... გატიალდა ის მიწები. და თუკი დარჩა კიდევ ჩვენი სოფლების სილამაზე და სიმდიდრე, ისევ საკარმიდამო ნაკვეთებმა შემოინახეს, ისინი ქმნიან ჩვენი წამებული სოფლების მარადქართულ კოლორიტს; ესეც რომ მოეშალა კოლექტივს, ტიალი მიწებიღა გვექნებოდა დღეს, ყველგან ჩაი და ჩაი, აქა-იქ კიდევ - „ქალაქური“ ბარაკები და შიგ შეყრილი გლეხობა, უკვე გლეხობა კი არა - პროლეტარიატი, საბოლოოდ გაფუქებული ხალხი, დღეს რომ ბლომად ცხოვრობენ ქალაქებსა თუ დაბებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოების მოყამულ ტერიტორიებზე. ბარაკში, საერთო საცხოვრებელში შესული კაცი უკვე ნაკლებადაა ქართველი, კაცს ფეხქვეშ მიწა რომ გამოეცლება, წასულია იმისი საქმე. აი, მაგალითად, რუსები: თავიანთ მიწაზე, თავ-თავიანთ სოფლებში, თავიანთ ტრადიციულ ატმოსფეროში, მაინც ხალხსა ჰგავს ხალხი, მაგრამ ძირები რომ მოეკვეთათ და მოეფინენ საბჭოთა იმპერიის ამოდენა ტერიტორიას, სულ დაკარგეს ადამიანის ყოველი სიკეთე და სიკარგე, კაცური და ქალური სახე, ზნეობა. ჩემი სოფლის ახლომახლო რამდენიმე იყო ასეთი „მუშური“ ბუნაგი: შრომის ჩაის ფაბრიკის, გურიანთის ჩაის ფაბრიკის და ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ბარაკები. მუშა ქალი /მით უმეტეს რუსი და თანაც - იმ დროისა/ თავის თავში შეიცავს ბოზობის პოტენციას, ცუდ შინაარსს... სწორედ თავიანთი სამკვიდრებლებიდან აყრილი და საბჭოთა ცხოვრებისათვის ბუნებრივი ამა თუ იმ სოციალური გრიგალით წამორეკილი ეს უპატრონო ხალხი იყო ჩვენს სოფლებში ანტიქართული და ანტიზნეობრივი ნიუანსებისა და ტენდენციების შემომტან-დამამკვიდრებელი. მიდიოდა სექსმოწოლილი შოფერი თუ ცოლის ფეხმძიმობისაგან ხორცშეწუხებული გურული გლეხი „ფაფრიკაზე“ ანდა „სავხოზში“ და გადაეყრებოდა ვინმე რუს ან სხვა უცხო თესლის კახპას. შემოჰქონდა ოჯახში არყის სუნი, ღორის ქონსა და ხახვში შემწვარი კარტოფილისა და ბორშჩის ოხშივარი, რუსული გინების მადლი, სქესობრივი თანა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცხოვრების უკუღმართი ვარიაციები და ანტიოჯახური „პოზები“, ხშირად კი უფრო კარგი - მამალი ტრიპერი და სიფილისი. წახვიდოდი „ფაფრიკაზე“, წაიღებდი ნახევარლიტრიანს, ათ მანეთს - გასამრჯელოს და მორჩა. მოიწოფებოდა ბიჭი, ჯარში წასაყვანი გახდებოდა, და - წაიყვანდა ვინმე უფროსი, ნათლობამიღებული ჭაბუკი „ბოზებში“, „ნაშებში“. დაიწყეს ქართველმა ქალებმაც, ოჯახის დედებმაც ვენდისპანსერში სიარული... აქ ისე არ გამომივიდეს, თითქოს პატრიარქალურ რამეებს მივტიროდე /აი, ჰომეინიმ ჩადრში რომ ჩამალა დღეს სპარსელი ქალები და „იმნაირები“ დახვრიტა/, არ მესმოდეს „სქესობრივი რევოლუციის“ ავ-კარგი, ყველაფერი ის, რაც დრომ მოიტანა და, რუსები არც რომ ყოფილიყვნენ, დღეს მაინც გვექნებოდა მეტ-ნაკლები მასშტაბით, მაგრამ იმ ჩემს ყმაწვილბიჭობას რომ ვიგონებ და მაშინდელ სიწმინდეს სოფლისას, უფრო მკვეთრად ჩნდება იმ ფონზე რუსული „კულტურის“ მადლი... თანაც, ლაითურში მაშინ პატიმარ ქალთა ბანაკი იყო, გათავისუფლებული პატიმრების ნაწილი კი იქვე რჩებოდა სამუშაოდ, არსად არ მიდიოდა. მარტო რუსები კი არ იყვნენ, სომხებიც ერივნენ, ქართველებიც... ჩინელიც კი მახსოვს და, რა ჯურის არა, მთელი საბჭოეთის „ასორტი“... ამნაირი ხალხი იყო უმრავლესობა - ყველა გამოჯეჯგილი, ცხოვრებანახული, ფულზე დაგეშებული... მაშინ მიხვდა ქართველი დედაკაცი, რომ, რაღაც საქონელი ჰქონდა სხეულზე, საცვლელი ღირებულება, რაშიაც სამღაურს მიიღებდა, რითაც ფულს გააკეთებდა, კარგ კაბასა და ნიფხავს ჩაიცვამდა, მეტ პურსა და ძეხვს შეჭამდა. რაღა თქმა უნდა, თვით ხალხია საწყალი და საცოდავი, ამ დღემდე მიყვანილი ხალხი. რუსმა ქალმა ხომ აგერ ახლა გაიძრო ჩექმა და „ტელოგრეიკა“, აგერ ახლა გადააგდო ხელიდან „კირკა და ლაპატკა“, აგერ ახლა ჩაიცვა ფრანგული ტრიკო და აგერ ახლა გაიგო კარგი საპნის ფასი. სოფელში კი თანდათან შემოდიოდა ეს ახალი, საბჭოთა ყაიდის ცხოვრება, ეს კომუნისტური ზნეობა... ყველაფერი მახსოვს, ყველა ეტაპი. ჯარიდანაც ბევრი რამ ჩამოჰქონდათ „ჯარმოვლილებს“. ოღონდ ომიდან არ დაბრუნებულა ზნეობრივად გადაგვარებული გლეხობა - ეს ხაზგასასმელი ფაქტია. ომმა დააკონსერვა აქაური ზნეობა, რაც წაიღეს - იგივ ჩამოიტანეს, პირიქით - უფრო მეტად გამოტანჯულ-გაფაქიზებული. იმიტომ, რომ ჯოჯოხეთი იყო ომი, ცოდვის კალო, დიდი განსაწმენდელი და იქიდან ცოცხალ-საღად ჩამობრუნებულს წმინდა სული ჩამოჰყვა. ახლანდელ შინიდანგაუსვლელ ბიჭებს კი, სოფლელებს, პირდაპირ ეხსნებათ მადლიანი რუსეთი - იქ იღებენ პირველ სქესობრივ ნათლობას, იქ ტოვებენ თავიანთ პირველ შვილებს /რასაკვირველია, თითოოროლა ქართველი/, იქ ეჩვევიან არაყს, რუსულ გინებას და ზოგი კიდეც რჩება იქ, ვინმე გულის მურაზთან, თვითონაც ეკარგება საქართველოს და მისი შვილებიც ხომ - რაღა თქმა უნდა. მომენატრა ჩემი სოფელი. აი, მოადგა გაზაფხული თბილისს და გამიტია სოფლისკენ გულმა. იქ უკვე დაიყვავილეს ტყემლებმა და ატმებმა, ვაშლები და მსხლები ყვავიან ახლა, გადამწვანებულია ყველაფერი, მზეა ძალოვანი. ჩაის კრეჭა დამთავრდებოდა. სუნს აუშვებდა მიწა. საკარმიდამოებში უკვე მოჩალეს ციცქნა საყანურები, გადაბარეს, დაანთეს ფოთლების შვავი - როგორი სუნი დგება ხოლმე მთელს შემოგარენში ნაზამთრალი ფოთ-



# ედგარ პო

## ეიროსისა და ქარმინეს გაბაასება

*ცეცხლს მოგიტან*
*ევრიპიდე - „ანდრომაქე“*

ეიროსი. ეიროსს რად მეძახი?

ქარმიონე. ყოველთვის ასე დაგიძახებ დღეიდან. შენც ასევე უნდა დაივიწყო ჩემი მიწიერი სახელი, ქარმიონე ვარ ახლა.

ეიროსი. მართლაცდა, სიზმარში არა ვარ!

ქარმიონე.სიზმრებს ვეღარ ვნახავთ; თუმცა ამ იდუმალებათა შესახებ მერე. მიხარია, რომ ცოცხალს ჰგავხარ და გონების ნატამალი გეტყობა. თვალთაგან წაგვრილი გაქვს ჩრდილოვანი ლიბრი. გული გაიმაგრე და ნურც ნურაფრის გეშინია. წარიხოცებიან დღეები შენი გაქვავების და ხვალე თავად გაზიარებ შენი ახალი არსებობის უსაზღვრო სიხარულსა და საოცრებას.

ეიროსი. სწორედ ასეა, სულაც არა ვგრძნობ გაქვავებას, სულაც-მეთქი. სადღა არის ჩემი გაუსაძლისი ავადობა, შემზარავი წყვდიადი, აღარც ის შლეგური, ყოვლისმომცველი, შემაძრწუნებელი ხმაური მესმის, მსგავსი „მრავალი წყლის ზათქის“*. და მაინც, გრძნობები აბურდული მაქვს, ქარმიონე, ცხოველმყოფელია აღქმა ს ი ა ხ ლ ი ს ა.

ქარმიონე. სულ რამდენიმე დღე იქნება ასე, თუმცა კი მესმის შენი და თანაგიგრძნობ. ათი წელიწადია გასული, რაც გავიარე, რასაც შენ ახლა განიცდი, კარგად მახსოვს ყველაფერი. კი იტანჯები, მაგრამ მთელი ეს შენი გვემა-წამება ედემს გქონდა უკვე.

ეიროსი. ედემს?

ქარმიონე. ედემს.

ეიროსი. ჰოი, უფალო! შემიბრალე, ქარმიონე! გაცამტვერებული ვარ ამ დიდებულების წინაშე, არშეცნობილი ცნობილი გახდა - ბრწყინვალე და გარკვეულ აწმყოს შეერია განჭვრეტილი მომავალი.

ქარმიონე. ამ ფიქრებს ნუ შეჭიდებიხარ. ხვალ ვილაპარაკოთ ამის შესახებ. მღელვარებამ დაგრია ხელი და შვებას მოგგვრის სულ უბრალო მოგონებები, ირგვლივ ნუ იყურები, ნურც წინ, მხოლოდ უკან მიმართე მზერა. ერთი სული მაქვს, გავიგო ყოველი წვრილმანი იმ ღირსსახსენებელი ამბის, რომელმაც ჩვენს შორის გადმოგისროლა. ყველაფერი მიამბე. მოდი, მარტივ საგნებზე ვისაუბროთ, მოვიშველიოთ ძველი ჩვეულებრივი ენა იმ ქვეყნიერებისა, რომელიც ასე შემზარავად დაიღუპა.

ეიროსი. ჰაი, რა შემზარავად, რა შემზარავად! მართლაც, ეს სიზმარი არ არის.

ქარმიონე. სიზმარი არ არის, აღარც იქნება. დიდხანს მგლოვობდნენ, ჩემო ეიროს?

ეიროსი. მგლოვობდნენო ქარმიონე? სულ ბოლო ჟამამდე შენი ოჯახი მისცემოდა ღვთისმოსავ სევდა-ვაებას, ყოველივე იქ მოეცვა უკიდეგანო კაეშნის ღრუბელს.

ქარმიონე. მოდი მიამბე იმ ბოლო ჟამის შესახებ. ოღონდ გახსოვდეს, მე ვიცი მხოლოდ სულ მცირეოდენი იმ კატასტროფისა. იმ დროს, როდესაც დავაგდე კაცობრიობის სამანები, სამარის მეშვეობით მოვაღწიე ღამეს, როგორც მე მახსოვს, სრულიად მოულოდნელი იყო თქვენს თავს მოვლენილი სტიქიონის ბობოქრობა. მართლაცდა, ბევრი არა ვიცოდი რა იმ დღეთა სპეკულატიური ფილოსოფიის შესახებ.

-----

*გამოცხადება იოანე ღვთისმეტყველისა, 14,2



ეიროსი. ჩვენ თავს მოვლენილი სტიქიონის ბობოქრობა, როგორც შენ თქვი, სრულიად მოულოდნელი იყო, თუმცა მსგავსი უბედურებანი დიდხანს ყოფილა ასტრონომთა მსჯელობის საგანი. თავადაც იცი, ჩემო მეგობარო, სანამ დაგვეტოვებდი, საღვთო წერილში ბევრს წინასწარმეტყველებდნენ, ცეცხლი დაწვავსო ყველას და ყველაფერს. ხალხი კითხულობდა ამას და ფიქრობდა, მხოლოდ დედამიწის ბოლო უნდა ყოფილიყო ასეთი. მაგრამ, რასაც უშუალოდ უნდა მოეხდინა ეს ამბავი, არ იცოდნენ სწორედ მას შემდეგ, რაც ასტრონომებმა უარყვეს, კომეტებისგან მოვარდნილი ცეცხლი ვერ იზამსო ამას. კარგად იყო ცნობილი ამ სხეულების სიმკვრივის ზომიერება. დაკვირვებით აღმოაჩინეს იუპიტერის თანამგზავრებს შორის მომავალნი სრულიად ვერ ცვლიდნენ ამ მეორეხარისხოვანი სხეულების ორბიტას ან მასას. ჩვენ ისიც გვეგონა, რომ ზეცაში მოხეტიალე ეს სხეულები აირისმაგვარი ნივთიერებათა გროვანია და არც ძალუძთ, დააზიანონ ჩვენი მკვრივი ბურთი თუნდაც შეხლის დროს. ხსენებული შეხლა სულაც არ იქნებოდა მომაკვდინებელი, რადგანაც გამოწვლილვით ვიცოდით ამ კომეტათა ელემენტების შემადგენლობა. იმათ შორის რაღაც დამანგრეველი ცეცხლოვანი ძალის არსებობა სრულიად წარმოუდგენელი იყო მრავალ წელიწადს. მაგრამ უკანასკნელი დღეების საკვირველმა და შლეგურმა ფანტაზიებმა უცნაურად მოიცვა მთელი კაცობრიობა, თუმცა მხოლოდ უმეცრებმა. ბევრნი ესენი არ ყოფილან, ნამდვილად დაიჯერეს ეს ამბავი. სწორედ ამ დროს თქვეს ასტრონომებმა, ახალი კომეტა გამოჩნდაო. ამ ამბავს, როგორც მე ვიცი, ხალხი შფოთიანობითა და უნდობლობით შეხვდა.

დაუყოვნებლივ განსაზღვრეს ამ უცხო სხეულის ელემენტები და ყველა დამკვირვებელმა მაშინვე თქვა, რომ მისი სავალი პერიგელია დედამიწასთან ძალიან ახლოს მოდიოდა. ვიღაც ორმა თუ სამმა ასტრონომმა მტკიცედ განაცხადა შეხლა გარდაუვალიაო. კარგად ვერ გამოვხატავ, თუ როგორ შესძრა ხალხი ამ ცნობამ. სულ რამდენიმე დღეს ვერა და ვერ იჯერებდნენ ამას, იმათ ჭკუა-გონებაზე იმდენად იყო მიმძლავრებული ყოველდღიური ცხოვრების წვრილმანი, ვერაფერს მიმხვდარიყვნენ, მაგრამ სიცოცხლის ძირისძირის დამანგრეველი ფაქტის ჭეშმარიტება საცხადო ხდება თუნდაც მთლად ბრიყვთათვისაც. დაბოლოს, ყოველმა დაინახა, ასტრონომები არ ცრუობდნენ, და კიდევაც მოელოდნენ კომეტის მოახლოებას. ჯერ ვერ ამჩნევდნენ იმის სიჩქარეს. სულაც არ ჩანდა რაღაც არაჩვეულებრივი ეს სხეული. მუქწითელი იყო, პატარა კუდითურთ. შვიდ თუ რვა დღეს არც შეუმჩნევიათ თვალსაჩინო ზრდა იმისი დიამეტრისა, თუმცა კი ეტყობოდა ნაწილობრივი ფერისცვალება. ხალხს უკვე ამ დროს მიეტოვებინა, ყოველდღიური საზრუნავი და სულ უფრო და უფრო მისცემოდა ფილოსოფოსთა წამოწყებულ განსჯას ამ კომეტის ბუნების შესახებ: ყოვლად უგუნურესთაგანსაც გაღვიძებოდა გონებრივი უნარი და ფიქრებს მოეცვა. მეცნიერებს ახლა თავიანთი ინტელექტი თავიანთი სული მიმართული ჰქონდათ არა იმისთვის, რომ შიში გაეცამტვერებინათ ან თავიანთი საყვარელი თეორია დაემტკიცებინათ, მართალი შეხედულების სრულყოფილი ცოდნის დასამკვიდრებლად იყო მიმართული მათი ყოველი ღონე. ჭეშმარიტება წარმოჩენილიყო მთელი თავისი სიწმინდითა და ბრწყინვალებით და ბრძენნი ქედმოდრეკილნი შეხვდნენ იმის გამოჩენას.

ჩვენი დედამიწის ან იმის მცხოვრებთა მატერიალური დანაკლისი უსათუო იქნებაო შეხლის შედეგად, ამ აზრს სულ უფრო და უფრო მცირეოდნავღა იზიარებდნენ ბრძენნი

და ამ ბრძენთ უკვე საცხადო ზეგავლენა მოეპოვებინათ ბრბოს გონებასა და წარმოდგენაზე. უკვე დაესაბუთებინათ, იმ კომეტის ბირთვის სიმკვრივე გაცილებით ნაკლები იყო მეტად გაიშვიათებული ჩვენი რომელიმე აირის სიმკვრივეზედაც კი. სწორედ ამის მსგავს ციურ სტუმარს გამოევლო იუპიტერის თანამგზავრებს შორის და არც მოუტანია რაიმე ზიანი. ამ ცნობამ დიდად შეუწყო ხელი საყოველთაო შიშისზარის შემცირებას. თავზარდაცემულმა ღვთისმეტყველებმა კი გულმხურვალედ დაიწყეს ხალხის წინაშე ბიბლიური წინასწარმეტყველების წარმოჩენა. აქამომდე უცნობი პირდაპირობითა და შეუნიღბავად. ცეცხლი გაანადგურებსო დედამიწას, ყველგან და დაჟინებით ამტკიცებდნენ ისინი; და ის, კომეტები რომ ცეცხლოვანნი არ არიან (როგორც ეს უკვე ყოველმა იცოდა), სინამდვილე იყო და მეტწილად სწორედ ამან დაამცრო ეს შესაზარელი წინასწარმეტყველება. ხომ ვიცით, რა ყოვლისმომცველია ხალხში ცრურწმენათა და უმეცრებათა გავრცელება ჟამიანობისა და ომიანობის დროს, მაგრამ ახლა ისე არ მომხდარა. თითქოსდა რაღაც უეცარი სასოწარკვეთილების ძალისხმევით გონებამ ტახტიდან ჩამოაგდო სიშლეგე. სულ მთლად უღონო ჭკუაც კი გაულეველ ცნობისმოყვარეობაში ეძიებდა და პოულობდა ძალმოსილებას.

გამოწვლილვით ცდილობდნენ ამ კითხვაზე პასუხის გაცემას, რა მცირეოდენი ბოროტების მოტანა შეეძლო ზემოთ ხსენებულ შეხლას. მეცნიერები ამბობდნენ, მოსალოდნელია უმნიშვნელო გეოლოგიური შეშფოთება, კლიმატის შეცვლა და ამის შედეგად მიმძლავრება მცენარეულ საფარზე, შეიძლება მაგნიტური და ელექტრული ზეგავლენაც გაიზარდოსო. ზოგნი კი ასე ვარაუდობდნენ, არც არაფერი მოხდებაო სულაც. ბჭობდნენ, დაობდნენ და ამ დროს კი ის საგანი თანდათანობით უახლოვდებოდათ, ცხადლივ დიდდებოდა იმისი დიამეტრი, სულ უფრო მატულობდა იმისი ნათება. მისი მოახლოებისდა კვალად საკაცობრიო ხდებოდა შფოთიანობა.

ასე იყო ეს ამბავი, როდესაც კომეტა მოდიდდა, დაბოლოს, აქამომდე არნახული ზომის გახდა. წარიხოცა ხალხის იმედი, იქნება სცდებოდნენო ასტრონომები, მიხვდნენ, უბედურება მოწეულიყო იმათ თავს. ქიმერათა ნაშობევი აღარ ჩანდა იმათი შიშისზარი. უკვე უმამაცესთაგანთაც დოლაბივით უბრუნავდათ გული. სულ რამდენიმე დღეც და, ეს გრძნობაც ჩაიწნა სხვა, კიდევ უფრო გაუსაძლის განცდათა წიაღში. ჩვეულებრივი ფიქრით ვეღარ ვფიქრობდით ამ უცხო სხეულზე. წარხოცილიყო მისი ისტორიული ნიშნები. გრძნობათა შემზარავი სიახლე გვტანჯავდა. ჩვენ თვალწინ აღარ იყო ციური სხეული, ბოროტი სული ჩაბუდებულიყო ჩვენს გულში, იმის აჩრდილებს მოეცვა ჩვენი ცნობა და გონება. მეყსეულად გამოჩნდა თვალსაწიერიდან თვალსაწიერამდე აბობოქრებული ცეცხლოვანი ენები.

კიდევ ერთი დღეც და, შვებით მოითქვა სული ხალხმა, ცხადი იყო, უკვე მოგვწდომოდა ზეგავლენა კომეტისა და მაინც ცოცხალნი ვიყავით. სხეულის მოქნილობასაც და გონების სიცხოველესაც ვგრძნობდით. ჩვენთვის ასეთი გულშემზარავი ობიექტის გაიშვიათებულ გარსში კარგად ჩანდა სხვა ციური სხეულები. მცენარეულობა უკვე საგრძნობლად შეცვლილიყო, სწორედ ასეც წინასწარმეტყველებდნენ ბრძენნი და რაღაც იმედის ნატამალი ვიგრძენით. პირველად ვხედავდით, ძლიერ ხავსრიელად შეფოთლილიყო ყოველი ხე და ბუჩქი.

კიდევ ერთი დღეც... ბოროტება ჯერ კიდევ არ მოგვწვდომოდა საბოლოოდ. ცხადი შეიქნა, ჩვენამდე პირველად ბირთვი მოაღწევდა. შლეგური ცვლილება დაეტყო ყოველ ადამიანიშვილს, პირველი ტკივილი გახდა ცხადი ნიშანი საყოველთაო ტირილის და შიშიანობის. მკერდისა და ფილტვების შემაძრწუნებელი შებოჭილობა, კანის გაუსაძლისი სიმშრალე იყო შედეგი იმისი პირველი შემოტევისა. ვეღარ უარვყოფდით, სრულიად მიმძლავრებულიყო ჩვენი ატმოსფერო; იყო დავა და კამათი, რამდენად შეცვლილიყო ატმოსფერო, როგორი იყო მისი შემადგენლობა, რამდენად მომაკვდინებელი იყო ეს ცვლილებები. გამოკვლევათა შედეგმა ყოველს ტან-იოგში ელექტროდენივით დაუარა და სულით ხორცამდე შესძრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დიდი ხნის წინ კი იყო ცნობილი, ჩვენი გარშემობურვილი ჰაერი შეიცავს ჟანგბადსა და აზოტს, ჩვენი ატმოსფეროს ყოველ ას წილზე მოდის ოცდაერთი წილი ჟანგბადი და სამოცდაცხრამეტი წილი აზოტი. ჟანგბადი ხელს უწყობს წვას და სითბოს გამტარებელია, სრულიად აუცილებელია სიცოცხლისათვის, უძირითადესი ნაწილია ბუნების ქმედითუნარიანობისა და ძალმოსილების. აზოტი კი, პირიქით, ვერც სიცოცხლის წყარო იყო და ვერც ცეცხლის, სწორედ ჟანგბადის მომატებას უნდა ჰქონოდა ის შედეგი, რასაც უკვე ვხედავდით, ცხოველმყოფელობა ყოველივე სულით ცხებულისა. თავზარი დაგვცა ამ აზრის განვრცობა-განვითარებამ. რა უნდა მოჰყოლოდა აზოტის საყოველთაო გამოდევნას? დაუყოვნებლივი, ყოვლისმომცველი, ყოვლისმომნელებელი ცეცხლის მძვინვარება; სრულად, გამოწვლილვით და ზუსტად უნდა აღსრულებულიყო საღვთო წერილის ცეცხლოვანი და შემაძრწუნებელი გამოცხადებანი და წინასწარმეტყველებანი.

რაღა საჭიროა, ქარმიონე, აღწერა კაცობრიობის მთელი სიშლეგისა? კომეტის გაიშვიათებული სხეული, ადრე იმედის მომგვრელი რომ იყო, შემზარავი სასოწარკვეთილების წყარო გახდა. ცხადლივ დავინახეთ იმის აირისმაგვარ აღუქმელობაში ბედისწერის ხელი. კიდევ გავიდა ერთი დღე და, წარგვტაცა უკანასკნელი ჩრდილი იმედის. ყოველ წამს იცვლებოდა ჰაერი და სული გვეხუთებოდა. მეწამულისფერი სისხლი უკვე გლეჯდა შევიწროებულ ძარღვებს. შემზარავმა ბოდვამ მოიცვა ყოველი და დამუქრებული ზეცისკენ აეწვდინათ უგრძნობელი ხელები, აკანკალებულიყვნენ და გაჰკიოდნენ, გაჰყვიროდნენ, მაგრამ უკვე მოგვწვდომოდა დამანგრეველი ბირთვი და აქაც კი, ედემს, ამას რომ ვამბობ, ვთრთი. ნება მიბოძე, მოკლედ გითხრა, სწორედ ასეთი მოკლე იყო ნგრევა და აღსასრული. წამითღა მძვინვარებდა საშინელი სინათლე, რომელსაც ყოველი საგანი უნდა შეეხანხლა. მაშინ კი, – ნება მიბოძე ქარმიონე, მუხლი მოვიყარო უფლის სასრულისუქონელი ბრწყინვალების წინაშე! – მაშინ კი გაისმა გრგვინვა-გრიალი, ხმა მჭექარე, თითქოსდა იმისი პირიდან ამოსული, მთელმა ეთერმა იფეთქა, იხუვლა ცეცხლმა, იბრდღვიალა ენით უთქმელმა ნათებამ, ყოველივე გადაბუგა იმ ძალამ, რომლის სახელიც წმინდა ცოდნის მაღალი ზეცის ანგელოზებშიც კი არ არის ცნობილი. მორჩა, გათავდა.

ინგლისურიდან თარგმნა

*ზაურ კილაძემ*



ეროვნული ბიბლიოთეკა



# თამაზ ჩანტლაძე

## დემნა შენგელაია

„ქართული სიტყვის უბერებელი ჯადოქარი“
გ. ასათიანი, „სამი საღამო დემნა შენგელაიასთან“.

„კრიახით ფრთათა ტკაცუნით ავარდა წერილიანში მამალი ხოხობი, ქინძლალივით აინთო ცაში“. ასევე აენთო ერთ დროს ამ სიტყვების ავტორი ქართულ ლიტერატურულ ზეცაში და მერე უქრობ ვარსკვლავად შერჩა იქ. დემნა შენგელაია მაშინ ძალზე ახალგაზრდა იყო, მაგრამ ნაადრევმა დიდებამ მისი ხასიათი ვერ შეცვალა, დარჩა იგი თავმდაბალ კაცად, რომლისთვისაც უცხო იყო ყოველგვარი ამბიციები და „ვარსკვლავური“ ჭირვეულობანი.

„ჭირის დღესავით მეჯავრება ყველაფერი პრეტენზიული, ვერასოდეს ვეგუებოდი... პრანჭიაობა მხოლოდ კაცუნების თვისებაა. სამწუხაროდ, ნიჭიერ მწერალთა შორისაცაა კაცუნები, როგორ შეიძლება ნამდვილი მწერალი პატივმოყვარეობამ დააბრმავოს?“ (გ. ასათიანი „სამი საღამო დემნა შენგელაიასთან“).

დემნა შენგელაიასათვის ასეთი რამ მართლაც გასაკვირი უნდა ყოფილიყო. მისი პიროვნება ხომ მისივე ტალანტის ფარდი იყო. იგი ღირსი იყო იმ ნიჭისა, რომელიც ღმერთმა მიჰმადლა და რომლის წყალობითაც სავსებით „უბრძოლველად“ მოიპოვა ადგილი ლიტერატურულ მზისქვეშეთში. მას თითქოს დიდი ხანია ელოდნენ და თითქოს ადგილიც კი ჰქონდათ მისთვის გამზადებული. არ ვიცი, რამდენი ხანი დაჰყო შეგირდად, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ოსტატი საკმაოდ ახალგაზრდა გახდა – 28 წლისას უკვე დაწერილი ჰქონდა „სანავარდო“: „1919 წელს გამოვაქვეყნე რამდენიმე სიმბოლისტური მოთხრობა. 1924 წელს ჟურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა „სანავარდო“. ცნობილი მწერალი გავხდი! „ცისფერყანწელებს“ განსაკუთრებით მოეწონდი. ერთი მათგანი ხშირად ამბობდა ჩემს მოთხრობებზე: „ხილვაა აქ!“ „რა იხილა ბატონო?“ განგებ აღიზიანებდა ტიციანი“ (ის ერთი მათგანი გრიგოლ რობაქიძე იყო).

დემნა შენგელაია ქართულ ლიტერატურაში მოვიდა არა მხოლოდ თავისი ხილვებით, არამედ თავისი თემატიკით, თავისი მსოფლგანცდით და თავისი განსაკუთრებული დამოკიდებულებით სიტყვისადმი – სიტყვის უზომო გატაცებით: „საერთოდ, უნდა გამოგიტყდე, ენის გრძნობა თან მაქვს დაყოლილი. თუმცა ენის შესწავლას შრომაც მოვანდომე, დიდი შრომა... ზაფხულობით იმერეთში, საჭილაოში დავდიოდი, მარანში, ამხანაგებს დავყვებოდი კავთისხევში, მეტეხში, ჭადიჯვარში... ენა უმთავრესად ხალხში ვისწავლე, სოფელში. რაღაცნაირი ყნოსვა მაქვს ენის, ნამდვილად მაქვს, და ახლა ერთი საიდუმლო უნდა გაგანდო: ძალიან მიშლის ენის ცოდნა. სიტყვის ფენომენი ზოგჯერ მიტაცებს, თითქოს თავისი მორევისკენ მიმაქანებს და სხვას მათქმევინებს. ეს კი არ ვარგა. გახსოვს, რას ამბობს ანატოლი ფრანსი: „ერიდეთ ლამაზ ფრაზებს. ისინი უნანავებენ ჩვენს სმენას და ბოლოს გვაძინებენ“ („სამი საღამო“).

პოლ ვალერი კი ენის არასრულყოფილებას ჩიოდა, მის უზუსტობას; ასეთი ყოფილა ეს დალოცვილი, ხან მდიდარი და უხვი, ხან კი არათუ არასრულყოფილი და უზუსტო, არამედ უსუსურიც კი. დემნა შენგელაია მთელი სიცოცხლე ებრძოდა და ელოლიავებოდა სიტყვას, იგი მისი მეტრუეც იყო და მეტოქეც, მასთან ჭიდილში გაიწაფა მისი კალამი. სიტყვა იყო მისი სტიქია, ფარი და მახვილი. ქართულ პროზაში მან მოიტანა სიტყვის განსაკუთრებული მღელვარება, ფრაზის დაუოკებელი დინამიზმი და პროზისათვის სავსებით უჩვეულო, პოეზიით გაჟღენთილი ხილვები და სახეები. დემნა შენგელაია ყოველ ნაწარმოებში ბოლომდე იხარჯებოდა უშურველად, დაუზოგავად, უკანმოუხედავად. ის არავის ინდობდა, არც თავს და არც მკითხველს. მას არ შეეძლო, ისე უბრალოდ, სხვათაშორის ამბის მოყოლა. ბალზაკის თქმისა არ იყოს, მხატვარი ფუნჯით ხელში უნდა მსჯელობდესო. და ისიც სულ ხატავდა, გაჩვენებდა, განგაცდევინებდა. ასეთი იყო მისი დარწმუნების ფორმა. ამიტომაცაა მისი წაკითხვა მუდამ საინტერესო, მუდამ მოითხოვს მკითხველისაგან დაძაბულ ყურადღებას – ვერც შენ წაიკითხავ მის ნაწარმოებს სხვათა შორის. არა აქვს მნიშვნელობა, სად გადაშლი, თავი იცი თუ არა, წაკითხული მაშინვე გიპყრობს, სიუჟეტი რაღაცნაირად უკანა პლანზე გადადის, წინ მოდის ის, რასაც ხედავ, გესმის, განიცდი; მოქმედების განვითარებით გაპირობებული ინტერესი რაღაც მეორეხარისხოვანი ხდება, იმდენად ძლიერია ნაწარმოების იმწუთიერი ზემოქმედების ძალა. მისი პირველი რომანი „სანავარდო“ ისეა დაწერილი თითქოს ბოლო ყოფილიყო, თითქოს მეტის დაწერას აღარ აპირებსო, უნდა ამ ერთში ჩაატიოსო მთელი ნაგრძნობნაფიქრალი. პირდაპირ წარმოუდგენელია, სად პოულობდა იმდენ ფერსა და ნიუანსს იმ უსასოო მოლოდინის, კვდომისა და გარდაუვალი დაღუპვის სურათებისა და განწყობილების შესაქმნელად, რომელიც მთელ ნაწარმოებს მსჭვალავს. მან რაღაცნაირად მოახერხა შეექმნა გვალვისა და ჭაობის პოეზია, ერთიანი, მთლიანი მეტაფორა, მეტაფორა, რომელიც რომანის განვითარების მთელ გზაზე განუწყვეტლივ ვიბრირებს და რომლის მოდულაციებსა და ვარიაციებშიც იხატება ადამიანთა სახეები, გრძნობები და ურთიერთობები. ეს, ასე ვთქვათ, პოეტური რეკვიემია დრომოჭმულზე, რღვევადზე, ლპობადზე და განსაკუთრებით იმ საბრალო ადამიანებზე, ვინც დაუნდობელი ნგრევისა და დაშლის მსხვერპლი შეიქმნა. თხრობის ოდნავ ნერვიული, სისხლავსე სტილი თავიდანვე გიპყრობს და გიტაცებს, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, რომელიღაც ადგილიდან უკმაყოფილების, აცრუების გრძნობა გეუფლება, თითქოს თხრობა რამდენადმე გაუბრალოვდა, სქემატური გახდა (მხედველობაში მაქვს სტუმრიანობის

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეპიზოდები). არის ნადირობა, ქეიფი, დროსტარება, ერთმანეთის გაქილიკება, უხამსი ხუმრობები, ზმების ტყორცნა, არშიყი. თითქოს ყველაფერია, მაგრამ რაღაც ნაკლულობის გრძნობა მაინც გაწუხებს. და აი ერთი აზნაური თვალის სასეიროდ სიმინდის ნალიას ცეცხლს წაუკიდებს. და ანთია მაშხალასავით უკუნ ღამეში დოვლათით სავსე სათავსო... უცებ ხვდები, რომ ღამეც ნამდვილია, ნალიაც, ხანძარიც... მაგრამ ადამიანები? ისინი არ არიან, ისინი არც უნდა იყვნენ თურმე, მათ არ იციან, თორემ ისინი აღარ არსებობენ. ისინი არსაიდან არიან მოსულნი, უსახურნი, უმომავლონი. ისინი იცინიან, ხუმრობენ, ლაზღანდარობენ, მაგრამ ეს მხოლოდ ხმებია... ხმები. შემდეგ სხდებიან ცხენებზე არარსებულნი, არსაიდან მოსულნი და კვლავ არსაითში იკარგებიან... და ეს ყველაფერი გაკეთებულია კინემატოგრაფიული თვალსაჩინოებითა და სისწრაფით. ამიტომაც მზერის კუთხე იცვლება და მოჩვენებითი სქემატურობა სულ სხვა განზომილებას იძენს – შემაძრწუნებელს! სურათი უფრო მძაფრდება, როდესაც დედისერთა შვილს მონატრებული ცოლ-ქმარი მარტო რჩება წვიმებისა და უაზრო მოლოდინის ამარა, მოკლებული იმ ეფემერულ საზოგადოებასაც კი. მარტო, სრულიად მარტო... განწირულია ჭილაძეების გოროზი მოდგმა, გვარი, რომელიც ჯერ კიდევ დიდი თამარის მემატიანის მიერ იხსენიებოდა და მერე დიდხანს ქუხდა საუკუნეებში. მასთან ერთად იღუპება ეს შუა საუკუნეებიდან ამოგლეჯილი მიწის ნაფლეთი, თავისი ჯოჯოებით, უჩა ღართამებით, მოყიყინე ბაყაყებით, ეკლესიაზე ზარების რისხებით, უქმურით დალორწკილი ჭაობებით, ბილწი და უზრდელად კუდაწეული ჭინკებით. გაბერწდა სანავარდო და უნდა დაიღუპოს. მიწას გაუშრა ძუძუები და დაიბზარა, ქვეწარმავლების სანავარდო უნდა გახდეს... მაგრამ ამ განწირულ საუფლოში მაინც ბჟუტავს სიცოცხლე, ყვიციანი, მშიერი, შიშველი, მაგრამ მაინც სიცოცხლე, მბჟუტავი, მაგრამ მაინც მებრძოლი. მებრძოლი წარმავალთან, უკუქცეულ ტალღასავით რომ ცდილობს სიღრმეში ჩაგითრიოს. სოფელი აშლილი, შეშინებული, მაგრამ უკვე გადაწყვეტილებამიღებული – შორს სანავარდოდან, სატურიაში, სადაც ცეცხლოვანმა ქაჯმა ბინას მიაგნო, – იწყება ახალი ცხოვრება. უკეთესი იქნება ის?

„მიუხედავად „ცისფერყანწელების" სურვილისა და ბუნებრივი მოლოდინისა, მათ ჯგუფს არ მივმხრობივარ..." („სამი საღამო") და ალბათ ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან მისი მთლიანობის მაძიებელი პოეტური ბუნება ვერ შეეგუებოდა ერთ რომელიმე მხატვრული სკოლით დასაზღვრულ შემოქმედებით სივრცეში არსებობას, „სანავარდოს" შემდეგ მან იქნებ მხოლოდ ფერი იცვალა ოდნავ. ოთხი წელი მიდიოდა იგი „სანავარდოდან" „ბათა ქექიასაკენ" და ამ გზაზე შეიქმნა „ციმბირიცა" და „თბილისიც", ჯავშნიანი მატარებელიც" (იგივე „კაც") და „ლაფშაც", „ვიქტორია", „მორდუ" და ბევრი სხვა. მათში ერთმანეთშია გადახლართული ეთნიკურ-მითიური და ეთნიკურ-ყოფითი თემები და სახეები, მოულოდნელი განზოგადებებითა და მიმოქცევებით. კაცისა და ფაშატის ნახევრად მისტიკურ, პარადოქსულ ურთიერთობას ენაცვლება „გველვით გაკაპასებული" გველების სისინი და მათი ბატონის კოჩა ივარდავას არანაკლებ მისტიკური ხილვები, თბილისის დაუვიწყარი სურათები, მისი ფერისცვალება თუ გმასაცდენილი მატარებელივით დალეწილი პატარა ქალის ცხოვრება თუ... რომელი ერთი მოვთვალო, ყველაფრის გახსენება შორს წაგვიყვანდა.

„1931 წელს დავბეჭდე „ბათა ქექია" და თითქოს სული მოვითქვი." ასე მოკრძალებულად აღნიშნავს ავტორი ამ მნიშვნელოვან მოვლენას.

რომანი პირველ პირშია დაწერილი. ასე დაწერილი ნაწარმოები უფრო უშუალოა, უფრო ადვილად მყარდება კონტაქტი ნაწარმოებსა და მკითხველს შორის, მეტია ნდობა და თანაგრძნობა მისი მხრიდან. მაგრამ ხიფათიც თან სდევს ამ სტილს. მე არ ვგულისხმობ გარკვეულ ტექნიკურ სიძნელეებს, როდესაც მოვლენები კიდევ ერთი კაცის თვალით შეიძლება იქნას დანახული და სხვათა აზრები მხოლოდ მისი თვალსაზრისის პრიზმაში გარდატეხილი მოდის ჩვენამდე, როდესაც უბრალოდ ვერ იტყვი, მავანმა და მავანმა ესა და ეს გაიფიქრაო. საქმე ის გახლავთ, რომ ასე დაწერილ ნაწარმოებში მკითხველი მწერალსა და მის „გმირს" ძალაუნებურად ერთმანეთთან აიგივებს და ამიტომ დიდი სიფრთხილეა საჭირო, თავი რომ არ გასცე, ანუ არ გამოეყო შენს „გმირს", არ ამოვარდე როლიდან. „ბათა ქექიაში" ეს ხიფათი მთლიანად აცილებულია თავიდან. ბათა ქექია არა მხოლოდ კარგად დახატული ეთნოტიპია (ამ შემთხვევაში მეგრელი), რაც თავისთავად მასალის შესანიშნავი ცოდნითა და ოსტატობითაა გაკეთებული ყოველგვარი იაფფასიანი კუთხურობის გარეშე: დიალექტის უხვად გამოყენება იქნება ეს თუ გლეხის საყოველთაოდ გავრცელებული ტიპის (არსებობს ასეთიც) სიტყვიერ-ხასიათობრივი მაკიაჟი, არამედ იგი უნივერსალური ქართული სახეცაა. უფრო ზუსტად, გმირის ხასიათსა და საქციელში წინა პლანზე წამოწეულია ის სიღრმისეული, ის ნამდვილად ეროვნული, ყველა კუთხისთვის ერთნაირად მნიშვნელოვანი და ორგანული, რაც ყველას აერთიანებს, გლეხს თუ ბერს, მუშას თუ ინტელიგენტს, წესიერს თუ თაღლითს, და რასაც სახელი არა აქვს, მოუხელთებელია და რაც ყოველ ერს სხვისგან განასხვავებს. აქ თვალნათლივ ჩანს ხატვის მომენტი, მხატვრული სიტყვის ძალა, უბრალოდ ვერ იტყვი, ვერ განმარტავ. სამაგიეროდ, აჩვენებ და აგრძნობინებ იმ უსახელოს, რაც უნდა განიცადო, რაც სულის სიღრმეებიდან გამოიხმობს იმ მარადიულს, რაშიც ადამიანი მიწიერ უკვდავებას ჰპოვებს – ეს არის მისი შერწყმა საკუთარ ერთან. რომელიმე ერის ხატის წარმოსადგენად სწავლობენ მის კულტურას, ისტორიას, ჩვევებს, სიმღერებსა თუ ცეკვებს და სხვა. მეცნიერებას ეს შეუძლია. მაგრამ როგორც კი საქმე მიდგება იმ შემოქმედის ჩვენებაზე, გნებავთ ადამიანის, გნებავთ ერისა, რომელმაც ყოველივე ეს შექმნა, ყოველგვარი ანალიზი უმწეო ხდება. ასეთი რამ მხოლოდ მწერალს შეუძლია და ისიც არა ყოველ მწერალს. ეს იშვიათი ნიჭია და ბედნიერება და არა მხოლოდ მწერლისათვის. დემნა შენგელაია ასეთი ბედნიერი ნიჭით აღმოჩნდა დაჯილდოებული, მას წილად ხვდა შეექმნა ასეთი სახე.

რომანი დაწერილია ხალხური ეპოსის სილაღითა და ხელგაშლილობით, სავსეა სიცოცხლისა და ადამიანის სიყვარულით, სიხალისით, ჰუმორით, „კარნავალური მხიარულებით" – როგორც აღნიშნავს ბ-ნი ამირან გომართელი „ცისკარში" გამოქვეყნებულ წერილში. რასაკვირველია, ასეთი მომენტებიც არის, მაგრამ ნაწარმოებში სიცილს, მხიარულებას უფრო ღრმა და მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია, ვიდრე სიტყვა „კარნავალური" გულისხმობს.

„უნდა ვაღიარო, და ამ აზრს ბევრი იზიარებს, რომ ქართველებში წარმოუდგენელი სწრაფვა არის სიცოცხლის სიხარულის მიმართ, ამ სიტყვის ყველაზე ღრმა მნიშვნელობით. ჩვენ მხიარულებას, ქართულ სიმხიარულეს საფუძველი არა აქვს, მე ვიტყოდი კანონიერიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაა. ეს მხიარელუბა არის ყველაფრის მიმართ და ყველაფრის საწინააღმდეგოდ. მაშინ, როცა ქართველს ყველანაირი საფუძველი აქვს იყოს უბედური, ქართველი ბედს არ ეპუება და ბედისწერასთან ჭიდილში იგი მხიარულია. ის იცინის, მღერის, სვამს. ჩვენში სუფრა არის ერთობის რიტუალი, არსებობის, სიხარულის წყარო. ეს ფაქტია“ (1989 წელს საფრანგეთის რადიოთი გადაცემულ მ. მამარდაშვილის საუბრიდან ანი ეპელბუანთან). ასე ჩამოაყალიბა ფილოსოფოსმა ის, რაც მწერლის კალამმა თვალსაჩინო და ხილვადი ქმნა. ქართველის ფილოსოფოსისეული დახასიათება ზოგად ხაზებში შეიძლება სხვა ერებსაც მოერგოს, მაგრამ ამ დახასიათების შენგელაიასეული მხატვრული რეალიზაცია მხოლოდ ქართველს აფიქსირებს, მხოლოდ ქართველს ჭვრეტს. ამაშია კაზმული სიტყვის უპირატესობა.

„სანავარდომ“ დაღალა თავისი ავტორი ხილვებითა და ზმანებებით, იგი გრძნობდა, რომ უფრო მყარი ნიადაგი სჭირდებოდა, როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით. ალბათ ამის გამო მოხდა, რომ ახალი რომანის გმირის „პირველი კანდიდატი“ ნაცარქექია აღმოჩნდა. მაგრამ მან ვერ გაამართლა, თუმცა მაინც შემორჩა რომანს ბათას გვარში „ქექია“ და ბიძგი მისცა იმ აზრს, რომ გმირი გლეხი უნდა ყოფილიყო, ჩვეულებრივი გლეხი, მიწის მუშაკი, ნაჯაფი და ნაწვალები. ხალხოსნების ხალხში წინაუკმო სირბილმა და მოთქმამ, სოციალისტების მიერ წინა პლანზე სოციალური პრობლემის წამოწევამ და გლეხობის მხოლოდ იმ ბეკეკად წარმოდგენამ, რომელსაც ზოგი კრეჭს და ზოგი სამწვადედ აქნის, მთლად მიჩქმალა გლეხობის როლი და მნიშვნელობა ერის თვითმყოფადობის, მისი, როგორც ასეთის, არსებობის და გადარჩენის საქმეში. სოციალურ პრობლემათა ყოველდღიურ ორომტრიალში ყველას დაავიწყდა, რომ პოეტებს, მომღერლებს, კირითხუროებს, მეცნიერებს და სხვათა და სხვათა ეს უდრტვინველი, ძლიერი, ინერტული მასა შობს, რომ ის არის ერის სულიერი და გენეტიკური სალარო, რომ მის წიაღშია დაუნჯებული მშობლიური ენის ფესვები და საიდუმლო, რომ ის ფესვივით არის მიწას ჩაფრენილი და ისე ღონივრად, რომ ვერავითარი ძალა ვერ მოსპობს, გაანადგურებს. რომ ხანდახან მოერიო კიდეც, გადათელო, გადასხეპო, მძლე ფესვების წყალობით კვლავ ამოიყრის და გაიხარებს, და რომ მისი სახე იმ კეთილშობილი შრომით არის გაპატიოსნებული და გაბრწყინებული, რომელსაც დიდი შემოქმედება ჰქვია. მწერალმა იგრძნო მძაფრი კავშირი მასთან და ასე შეიქმნა „ბათა ქექია“. „სოფლური ლიტერატურაა“-ო, ამბობენ მე-19 საუკუნის მწერლობაზე, სოფლური იქნებოდა, აბა რა, საქართველო მაშინ სოფელი იყო“. („სამი საღამო“) და მაშინაც ოციანი წლების ბოლოს, როდესაც „ბათა ქექია“ დაიწერა.

სიცოცხლის დაუოკებელი სიყვარული იყო ის გრძნობა, რომელიც ასე ერთნაირად ავსებდა მწერალსაც და მის გმირსაც. აქ, ამ ცოდო-მადლიან მიწაზე იყო მათთვის სამოთხეცა და ჯოჯოხეთიც, სიხარულიცა და მწუხარებაც და ისინიც დაუფიქრებლად ლებულობენ ერთსაც და მეორესაც, როგორც სიცოცხლის განუყოფელ ნაწილებს. „მე ახლაც მიტაცებს სიცოცხლე, მათრობს, ხალისით მავსებს; მიკვირს ზოგიერთი მწერლის, ისე წერენ, არც კი უხარიათ. მე ჩემი მკითხველისთვის სიცოცხლის სიყვარული მინდოდა გამეღვიძებინა. თუ სიცოცხლე არ გიხარია, ვერაფერ მნიშვნელოვანს ვერ შექმნი“ აღსარებასავით ეუბნება „სამ საღამოში...“ 75 წლის მწერალი ახალგაზრდა გურამ ასათიანს.

1996 წელს დემნა შენგელაიას დაბადებიდან 100 წელი შესრულდა. სავარაუდო იყო, რომ ის მისი წელი იქნებოდა, დედაქალაქის ლიტერატურული ცხოვრება მაინც მისი ნიშნით წარიმართებოდა, იქნებოდა ეს მისი ნაწარმოებების მხატვრული კითხვა რადიოსა და ტელევიზიაში თუ ჟურნალ-გაზეთები აჭრელდებოდა მისდამი მიძღვნილი სტატიებით... ანუ მოხდებოდა ყველაფერი ის, რაც ასეთ დროს ასეთი რანგის შემოქმედის ხსოვნას ეკადრება. ჩვენ კი ისე მოვიქეცით, თითქოს ასეთი საიუბილეო თარიღები ყოველ წელს გვქონდეს ან ასეთი მწერლები თავსაყრელად გვყოლოდეს... მოვიქეცით - ზერელედ, დაუდევარ დარდიმანდულად, თავადიშვილურად, როგორც დემნა შენგელაია იტყოდა, მისი ხსოვნისა და ჩვენივე თავის უპატივცემულოდ. თავის დროზე კ. გამსახურდია წერდა: „დემნა შენგელაია ჯეროვნად ვერაა შეფასებული ჩვენ მწერლობაში“. ვშიშობ, რომ ახლაც ასეა. აი, ერთი უსიამოვნო დეტალიც. სახლს, რომელშიც დემნა შენგელაია ცხოვრობდა, არ აქვს მემორიალური დაფა. რასაკვირველია, მარმარილოს პატარა ნატეხი მის მწერლურ ღირსებას ვერც ვერაფერს წაუმატებს და ვერც ვერას დააკლებს, მაგრამ ამაში ჩანს ჩვენი დაუდევრობა და უმადურობა. ერთმა ჭკვიანმა კაცმა მითხრა, თუ პოპულარობა და დაფასება უნდა კაცს, ამაზე თვითონ უნდა იზრუნოსო. ვაითუ ეს ნათქვამი სამწუხარო ჭეშმარიტება აღმოჩნდეს. ამ აზრით, დემნა შენგელაიამ ვერ იზრუნა, უფრო არ იზრუნა, და კიდევ უფრო - ამის საშინელი წინააღმდეგი იყო. ეს წერილი ამით დავიწყე და ამიტომ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ. სამაგიეროდ, მან სხვა რამეზე იზრუნა - დაგვიტოვა შესანიშნავი ნაწარმოებები და მომავალი თაობების წინაშე ჩვენი ვალია, თაროზე კი არ შემოვდოთ ისინი, არამედ მათ პოპულარიზაციაზე ვიფიქროთ და ვიზრუნოთ. გარდაცვლილთა იუბილეები ცოცხლებს უფრო გვჭირდება, თორემ იმათ თავისი გასაკეთებელი გააკეთეს და კარგადაც გააკეთეს. ახლა ჩვენზეა დამოკიდებული, როგორ მოვისმართ.

მიუხედავად ყველაფრისა, ალბათ მაინც იყო მნიშვნელოვანი პუბლიკაციები ამ თემაზე. ყოველ შემთხვევაში, ჩემზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჟურნალ „ცისკრის“ 1996 წლის 9-10 ნომრებში დასტამბულმა ბ-ნ ამირან გომართელის წერილმა „პეტერბურგის“ ალუზია „სანავარდოში“; ჩემთვის ყველაზე სასიამოვნო ამ წერილის ტონი იყო - ზომიერი, კეთილგანწყობილი, მე ვიტყოდი, ინტელიგენტური. ასეთ ტონალობაში დაწერილი წერილები ჩვენს პრესაში არც ისე ხშირია და, თუ კადნიერებაში არ ჩამომერთმევა, მინდა, ბ-ნ ამირანს, როგორც მკითხველმა ამისათვის მადლობა ვუთხრა.

ბ-ნი ა. გომართელი თავის წერილში აღნიშნავს: „სანავარდო“ რომ გამოქვეყნდა, დემნა შენგელაია 28 წლისა იყო. ამ ასაკში ასეთი სერიოზული განაცხადი არც ერთ მის თანამედროვე მწერალს არ გაუკეთებია. „სანავარდო“ წინ უსწრებდა „დიონისოს ღიმილს“, „ჯაყოს ხიზნებს“, „გველის პერანგს“,... ცხადია, რომ სწორედ ისინი ქმნიან ქართული მოდერნისტული პროზის ერთიან პანორამას... შეიძლება ითქვას, დემნა შენგელაიამ დაასწრო კოლეგებს და შეძლო უახლესი ლიტერატურული ატმოსფეროს ფიქსირება, აქტუალური იდეების გაშლა“. და კიდევ: მათში იყო მძიმე წინათგრძნობა და ხაზგასმული მიბრუნება მითოსისაკენ (ეს უკვე აღარ ეხება „ჯაყოს ხიზნებს“). რასაკვირველია, მითო-მოტივის შემოტანა ქართულ ლიტერატურაში ახალი არ იყო. როგორც ცნობილია, მათზე ადრე ვაჟამ ფშავ-ხევსურეთის მზიური მითოსით გაანათა 14 საუკუნოვანი ქრისტიანული ქართული ლიტერატურა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თუ ვაჟა ქრისტიანობასთან წილნაყარი მითოსამყაროს შვილი იყო და მისი მხატვრული აზროვნების სტილი ბავშვობიდანვე მოიგეზა, დემნა შენგელაიამ მხოლოდ თავისი შემოქმედებითი გზის დასაწყისში შეაღო ამ საოცარი სამყაროს კარი და მით მოხიბლული, მოჯადოებული უფლისწულივით ბოლომდე მისი ტყვე დარჩა. მაგრამ ახლა ამაზე არ არის ლაპარაკი, მითოსისაკენ ხაზგასმით მიბრუნება არ იყო გამოწვეული მხოლოდ მხატვრულ ესთეტიკური მოთხოვნილებით - მითოსში მოეძიათ თვალისმომჭრელი სახეები და სიმბოლოები, არამედ ეს იყო მძაფრი თავდაცვითი რეაქცია შექმნილ ისტორიულ ვითარებაზე. ეს იყო გულუბრყვილო რწმენა, საუკუნეებში ჩაკარგული მითოფესვების მოძიებით შეენარჩუნებინათ (თუ აეღორძინებინათ) ეროვნული თვითმყოფადობა, თავი დაეცვათ ერთმორწმუნე ქვეყნის ტროპიკულ-პოლიტიკური ძალმომრეობისაგან და კვლავგაცნობილი, უმითოსო (როგორც გრ. რობაქიძე იტყოდა) ევროპული ცივილიზაციის მავნე გავლენისაგან.

ფლობერს ერთხელ ასეთი რამ ჩაუწიერია დღიურში: „ღმერთები რომ აღარ იყვნენ და ქრისტე კი ჯერ არ ჩანდა, დადგა ერთი მომენტი, როცა მხოლოდ ადამიანი იყო". საქართველოში უარესი მოხდა, ქრისტე წაგვართვეს, ღმერთები ვერ დავიბრუნეთ, ხოლო ადამიანის ნაცვლად წითელი ეშმაკი აღზევდა. ის იმ ეშმაკთა შთამომავალი იყო, რომლებსაც დოსტოევსკის დროს („Бесы") ფერი ჯერ კიდევ არ ჰქონიათ. მათი ფერი ალბათ არც „სანავარდოს" გმირს ბონდოს უნდა სცოდნოდა, მაგრამ დემნა შენგელაიამ ხომ იცოდა. იცოდა და არ დამალა, არ შეშინდა. მე რაღაც არ მახსოვს, რომ თუნდაც იმ დროს ვინმეს ასე დაუფარავად ემხილებინა ისინი. მართალია, მათ ეშმაკებს კი არა, ჭინკებს უწოდებს, მაგრამ მათი არსი არ იცვლება:

„- შენ არ გეშინია მამა?

- რისი შვილო?

- ახალი ჭინკების, მამაჩემო, ახალი ჭინკების, გუშინ რომ იყვნენ ჩემთან. ისინი ახალი ჭინკები არიან, წითელი ჭინკები და დედამიწას მთვრალ დედაკაცივით დაატრიალებენ".

ისინი მოვიდნენ და აამტუტეს ქვეყანა. 1924 წელს სისხლში ჩაახშეს ვადაზე ადრე გამხელილი აჯანყების მცდელობა. დაზგის ტყვიამფრქვევებით ჩახოცეს ასობით ადამიანი საქონლის გადასაყვან ვაგონებში„ ეჭვმიტანილებიც და შემთხვევით მოხვედრილებიც - ზოგი ტყვიამ მოკლა, ზოგიც კი სისხლში ჩაიხრჩო!..

ეს „სანავარდოში" ვერ აისახებოდა, რადგან ის იმ დროისათვის უკვე დაწერილი იყო. დადარაჯებული მოლოდინითაა გაჟღენთილი იმავე წელს დაბეჭდილი მოთხრობაც „ჯავშნიანი მატარებელი" (შემდეგში „კაც"). მისი ატმოსფერო შეგუბებულია და დამთრგუნველი, მაგრამ მწერლის მახვილი თვალი და ირონიული გონება აქაც პოულობს საკბილოს „კოოპერატივებში იყიდება კეცები, ბაწრები, სიმინდი, ფარგა, ტეჟეს ოდეკალონი და ლენინის თხზულებანი". იმ დროს ვერც ის და ვერც სხვა ვერც კი წარმოიდგენდა თვითნებობის იმ მასშტაბებს, რომლის მოწმეებიც ისინი გახდებოდნენ და იმას, რომ ამაზე ბევრად უფრო უვნებელი გამოთქმა შეიძლება სიცოცხლის ფასად დაჯდომოდათ.

დემნა შენგელაიამ 1931 წელს, როდესაც მის ბრწყინვალე მომავალში ეჭვი აღარავის ეპარებოდა, მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო: „აი ამ დროს გადავწყვიტე თავი დამენებებინა მწერლობისათვის. რატომ? იმიტომ, რომ რწმენა მაკლდა. ჩემი თავის რწმენა". გაუგებარი ნაბიჯია და კიდევ უფრო გაუგებარი განცხადება. რაში შეიძლებოდა ყოფილიყო საქმე?.

დემნა შენგელაია ძლიერ ემოციური შემოქმედი იყო. უდავოა, პიროვნებაც ისეთივე იქნებოდა. ამიტომ სავსებით დასაჯერებელია, რომ იმ დიდი შემოქმედებითი ამოფრქვევის შემდეგ, რომელიც სულ რაღაც შვიდ წელიწადში მოახდინა, მას რაღაც დაღლილობა, სიცარიელე და გულაცრუებაც კი ეგრძნო. ამას ზედ დაერთო 20-იანი წლების კატაკლიზმების შთაბეჭდილებები, ერთმანეთზე მძიმე და შემზარავი: კომუნისტების შემოსვლა, დიდი ხნის ნანატრი დამოუკიდებლობის დაკარგვა. აჯანყების ჩახშობა, კოლექტივიზაცია-განკულაკება; და ბოლოს, როდესაც „წითელი ჭინკები" თავისიანებს დაერივნენ, ცხადი გახდა, ამას რაც მოჰყვებოდა. როგორც შედეგი ქართულ მწერლობაში ადგილს იკავებს სტალინის კულტი, სახოტბო პოეზია ქების საგნად უღირს იდეებსა და პიროვნებებს ირჩევს. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ატმოსფერო ძალიან მძიმდება. დემნა შენგელაია დაიღალა იმდენად, რომ კომპრომისის თავიც კი აღარ აქვს. ის ტოვებს სამწერლო ასპარეზს.

37-მა წელმა ყველაფერი მოსპო, ყოველგვარ იმედს ხაზი გადაუსვა. მოგვიანებით დემნა შენგელაია ვიწრო წრეში იტყვის: „გვსაყვედურობენ რატომ არ წერდითო, რა გულით უნდა გვეწერა, როცა არ ვიცოდით, მეორე დილით საკუთარ საწოლში გავიღვიძებდით თუ ციხის საკანში". მიუხედავად ამისა, მაინც მოახერხა 1939 წელს რომან „ცისკრის" (შემდეგში „ირმის ნახტომი") გამოქვეყნება. ეს არის გამომშვიდობება ძველ თბილისთან. ხელოსნების, ყეენობების, სანახაობების, საყველიერო კრივების და თინბაზების ქალაქთან. ჩვეული ოსტატობითაა ნაჩვენები, მუშტების ბრაგაბრუგში, თვალთმაქცობაში და სიცლი-ხარხარში როგორ მზადდება ტრაგედია - იშლება ჩვეული ნორმები, ირღვევა ამქრის ინსტიტუტი, ქალაქის ეშხი და სილამაზე. შეუფარავად და დიდი გულისტკივილით აღწერს მწერალი, როგორ ხდება შტამპის, სტანდარტის, უგემოვნობის გაფეტიშება და როგორ კნინდება ოსტატის მაღალი ხელოვნება, როგორ იდევნება ბაზრიდან ჭეშმარიტი ხელოსნის ნამუშევარი, ნამუშევარი გათვალისწინებული კონკრეტული ადამიანისათვის და არა ვინმესთვის, ვინც შემთხვევით იყიდის მას. იქნებ ეს ალეგორია იყო კომუნისტების ეპოქაში იდეურობის მომძლავრებისა და ჭეშმარიტი შემოქმედების დათრგუნვა-დამცრობაზე. ვინ იცის...

ორმოცდაათიანი წლების ბოლოს ის წერს „განძს". ეს დიდოსტატის ხელიდან გამოსული ნაწარმოებია - სადა, დაწნეხილი, აზრითა და გრძნობით სავსე. ავტორს არც გადაუჭარბებია და არც არაფერი დაუკლია. ფიგურალურად რომ ვთქვათ, მასში იმდენი სიტყვაა ნახმარი, რამდენიც საჭიროა.

„განძში"ერთი ასეთი ადგილია: „აი გულმოღელილმა და ფეხშიშველა მესვეურმა მიწას თოხი ღონივრად დაჰკრა და ერთი ისე დააგუგუნა, თითქოს მიწის ღმერთს, მოსავლისა და ხვავის გამგებელს ქვესკნელში ჩასძახისო

- ოო-ოდოია, ო!

გლეხებმაც ხმა აქეთ-იქიდან დააწიეს:

- ოო- ოდოია, ო!

და ბაჯაჯღანა, ბელტისფეხიანი ოდოია მიწის ქვეშ ზანტად იშმუშნება. თავკატუშასა და პოსლიკას თვალები მელაკუდურად უღიმის და წამოშლილ სიმინდს ქვემოდან აწვება, მასთან ერთად მობობღავს.

- ოო-ოდოია, ო! - მესვეური ისევ გუგუნებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა



– იი, ო, ჰო, იი, ო, ჰო!

... უშნო ბაჯბაჯა ოდოია კი ნათოხნარში ბუქნავდა, მალაყს გადადიოდა და მზის თაკარა სხივებს თავზე ბზესავით იყრიდა“.

დემნა შენგელაია ოდოიასავით ტრიალებდა ქართული სიტყვის ყანაში, დიდრონ ბელტებად აბრუნებდა ქართული ენის პოხიერ ნიადაგს და მოწეულ მოსავალს ყველას უზიარებდა, ვისაც კი მიღება შეეძლო.

დემნა შენგელაიას ფრაზა ლონიერია, მოქნეული და თუ ზოგჯერ სტატისტიკურობის ელფერი დაჰკრავს, იქვე იგრძნობა, რომ ეს წონასწორობა არამდგრადია, მოჩვენებითია და დიდხანს ვერ გაუძლებს შინაგანი მძლავრი რიტმის დაწოლას, შინაფორმა ბატონობს გარეზე, უხილავი – ხილულზე და ეს მის ნაწერებს განსაკუთრებულ ენერგიას ანიჭებს.

მე ახლაც მესმის „სანავარდოს“ გაუთავებელი წვიმების შრიალი, რიონის დატბორილ ნაპირებზე ჭაობით დალორწილ ღამეში გავარდნილი შეცხადების კივილი ან კიდევ ოსტატობით დახატული გველვა. ჯერ ზოგადი სურათია მოცემული და მერე კი, კინოს ენით რომ ვთქვათ, უცებ „მსხვილი პლანით“ მოდის:

„ღობის სარზე წამოგებული მზისგან გახურებული გამხმარი ცხენის თავი თეთრად ლაპლაპებდა“. და როცა გგონია, რომ სურათი დასრულდა და განწყობილების გაძლიერება შეუძლებელია, უცებ შემოვარდება სრულიად მოულოდნელი სახე, ასოცირებული ცხენის თავის ქალასთან „...და შიგ (გამხმარ ცხენის თავის ქალაში – თ.ჩ.) მომწყვდეული გველვა ჭიხვინებს ვაყასავით“.

ან კიდევ ქვეტექსტით დამძიმებული საოცრად ლაკონური დიალოგი მამა-შვილს შორის:

„-მაპატიე მამა!..

– რა შვილო?

– მე რომ ასე ვარ!

– ღმერთი გაპატიებს!..“

ნეტავ რა დააშავა ბონდოიე ზნეიანმა, რა ბრალი ადევს. იქნებ ის, რომ ცოდვილ წინაპართა ნაშიერია, ან ის, რომ უდროოდ იშვა სანავარდოს ბერწ მიწაზე და ვერ იპოვა ადგილი ამ უკიდეგანო დუნიაზე. მისი დაღლილი სისხლი ვერ შეეგუა ვერც პეტერბურგის ცივ ღამეებს და ვერც ევროპული აზროვნების ცივ განსჯას. ის სამშობლოში დაბრუნდა გასათბობად და ძალის აღსადგენად ზღაპრული ანთეოსივით, მაგრამ მშობლიურ მიწასთან შეხებამ ვერ უშველა, ის ხომ ღმერთის შვილი არ იყო. მისი სისხლი დაიღალა საუკუნეების განმავლობაში და მისი ვნება სკაპცის ქალს ეყო მხოლოდ. ბონდოიეს დღეები დათვლილია და მის ადგილს „ჯურღმულებიდან, ციხეებიდან შორეული ციმბირიდან, ქარხნებიდან, სოფლებიდან და ტყეებიდან მოვარდნილი ხალხი“ დაიკავებს. ისინი სიცოცხლეს დაეწაფებიან მოწყურებულნი და სულ არაფრად დაგიდევენ, საყელოზე ღილი საერთოდ თუ არ ექნებათ (ბონდო კი... „მან ვერ მისცა კნიაჟნას საკმაო ვნება და ქალმა სთქვა: – თავადო ბონდო, თქვენ ღილი გაკლიათ საყელოზე!..“).

დემნა შენგელაია. სიცოცხლის მომღერალი იყო, უყვარდა ყველაფერი, რასაც მადლიანი მიწა შობდა, რაც მის ზურგზე ხარობდა და იფურჩქნებოდა. მისი პირველი სიყვარული თბილისი იყო, „პოეტები რომ დედა-თბილისს ეძახოდნენ“. საყვარელ ქალაქზე დაწერა მან მოთხრობების ციკლი, სავსე ქართული მცხუნვარებით, აღმოსავლური ბაზარივით ჭრელი და ჰინდური სანელებელივით სურნელოვანი. ნურავის ეგონება, ეს სიტყვით თამაში იყოს ან თავშესაქცევი. ამ მოთხრობებში ყოველი სიტყვა და წინადადება შინაგანი კავშირით არის შედუღაბებული და მკაცრად კონსტრუირებულ ჩარჩოში ზის, მე ვიტყოდი, მათემატიკური სიმკაცრით გააზრებულ ჩარჩოში და მისი სიტყვის სილაღე და ფერადოვნება ისევე მალავს და თან ასაჩინოებს ამ ჩარჩოს, როგორც უხილავ ძაფებზე აცოცებული სვია ან ფითრი თავის ხარაჩოს. ისეთი უსიუჟეტო და უგმირო ნაწარმოებიც კი, როგორიც „ტფილისია“, ერთ სუნთქვაშია მოქცეული და გამთლიანებული. მისი ნაწილები მთელს ამჟღავნებს, ერთმანეთს ერწყმის და მთელში ითქმება. აღწერა, რაც უნდა ნიჭიერად იყოს შესრულებული, მხატვრობამდე ვერ ამაღლდება, თუ მას სული არ შთაბერე და ის რაღაც უსახელო და გამოუთქმელი არ ჩაატანე თან, რაც ნაწერს მხატვრულ ნაწარმოებად აქცევს (იქნებ ეს უსახელო ისაა, გარსია ლორკა „დუენდეს“ რომ უწოდებდა). „ტფილისი“ ასეთი ამაღლების ნათელი სურათია. ისე კაცი ძლივს ეტყვის „ტფილისს“ მოთხრობას. ეს ნაწარმოები ლექსია ამ სიტყვის მაღალი გაგებით. ბევრ პოეტს შეშურდებოდა ასეთი სტრიქონები.

„ტფილისის სიყვარულით ახურდა ოქროსქურქიანი სპარსული სამეფო ვეფხი, გადმოევლო თრიალეთის მთებს და სიკვდილი და სიყვარული იგემა ერთბაშად. შამხანის ტყვიით განგმირული ჩამოატარეს ის ქართლელმა გლეხებმა სათივე ურმით და ურემი მოდიოდა ისე, თითქოს ციდან ჩამოღებული ოქროს ჯავარიანი მზე მოჰქონდა“.

ეს ნაწყვეტი იმდენად სრულყოფილია, რომ დამოუკიდებელ მინიატურად შეიძლება იქნას მოაზრებული. პირველ წინადადებაში დახატულია ვეფხი სიმბოლო, თავისი მეფურობის ატრიბუტითურთ – „ოქროსქურქიანი“. შემდეგ მოულოდნელი რეალისტური შტრიხი – შამხანის ტყვიით განგმირვა და ბოლოს მთლად პროზაული: „სათივე ურმით ჩამოატარეს ის ქართლელმა გლეხებმა“. მერე კვლავ ზეაღსვლა: „და ურემი მოდიოდა ისე, თითქოს ციდან ჩამოღებული ოქროს ჯავარიანი მზე მოჰქონდა“ – „ურემი ამაყობს“ ტვირთით, რადგან ის ტვირთი განსაკუთრებულია (მზე ხომ მეფეთა ატრიბუტია). მიუხედავად იმისა, რომ თავი (დიდების მწვერვალი) და ბოლო (სიკვდილი) სხვადასხვა სიბრტყეში დევს, წრე მაინც შეიკრა და კომპოზიციაც გასრულდა: მეფური ისევ მეფურს დაუბრუნდა. მე, რასაკვირველია, არ მინდა ვამტკიცო, რომ ყველაფერი ჩემი აღწერილი სქემით ხდებოდა. ჩემთვის სავსებით ცხადია, რომ ეს ნაწყვეტი შინაგანი და არა ფორმალური ლოგიკის კანონებით იქმნებოდა, იმ ლოგიკისა, რომელსაც ჰეგელმა ღვთაებრივი უწოდა, რადგანაც მოუხილავია გზანი ყოველი შემოქმედისა.

დემნა შენგელაიას პროზაიკოსის თვალი და პოეტის ტემპერამენტი ჰქონდა. აქედან უნარი შეუთანხმებელთა შეთანხმებისა, აბსტრაქტულის და კონკრეტულის შერწყმისა. მას შეეძლო იმდენად დასრულებული სურათი შეექმნა, რომ მკითხველს მხოლოდ ის დაენახა და, პირიქით, დახატული მხოლოდ ბიძგი ყოფილიყო შემდეგის დასანახად.

ვისაც ძველ თბილისში აგვისტო ქალაქად გაუტარებია, მისთვის საცნაური იქნება ასეთი სტრიქონები: „ოო, ტფილისში ღამე არის უჯებირო, ღრმა და ღურღციანი, და მე, ავტორს ამ სტრიქონებისას, ხშირად მიპყრობს შიში, არ გავიგუდო ამ ბალიშივით ცხელ და ვნებიან ღამეებში“.

თბილისის სიყვარული ღრმა მოხუცებულობამდე გაჰყვა. ერთხელ საუბრისას წამოცდა: გული მწყდება, თბილისზე და ქართლზე ისე ვერ დავწერე, როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა



მინდოდა, ვალში ვარ მათ წინაშეო. ეტყობა თბილისური მოთხრობები და „ირმის ნახტომი“ ამ თემის მხოლოდ მოსინჯვად მიაჩნდა.

უყვარდა და ძალიან კარგად იცოდა მხატვრობა („მეხუთე კლასში რომ ვიყავი, მოსკოვში მიპირებდნენ გაგზავნას ხატვის სასწავლებლად, მამაჩემს არ უნდოდა ჩემი მხატვრობა...“) („სამი საღამო“). შეეძლო საათობით ესაუბრა ფიროსმანზე, კაკაბაძეზე. ამიტომ სულ არ არის გასაკვირი, მისი ნაწერი ასე ფერწერული და თვალისმომჭრელი რომაა. ალბათ ამიტომაც მოჰკიდა ხელი ორმოცდაათიან წლებში ფიროსმანზე რომანის წერას, თითქოს ერთად უნდოდა ვალა გადაეხადა მხატვრისა და თბილისისათვის. თუ არ ვცდები, „მნათობის“ რედაქციაში მიუტანია კიდეც, მაგრამ შემდეგ უკან წაუღია. არავინ იცის, რატომ.

დემნა შენგელაიამ ბრწყინვალედ იცოდა ქართული ლიტერატურა - ძველიც და ახალიც. და განა მხოლოდ ქართული? რუსული და ევროპული ლიტერატურა პროფესიონალი მკვლევარის დონეზე ჰქონდა ნაჩხრეკი. ამიტომაც ხშირად მიმართავდნენ მას თხოვნით, რაიმე საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით სტატია დაეწერა. ტოლსტოი იქნებოდა ეს თუ სტენდალი, ჩეხოვი ან მერიმე და სხვა. ხანდახან არ მსიამოვნებდა ასეთი სტატიის დაწერა - „არ მიყვარს ეს მწერალი, მერე რა რომ დიდია“, მაგრამ მაინც წერდა, იმიტომ რომ „ძალიან სთხოვეს“ და სხვა დამწერი არავინ იყო. ბევრი ასე დაწერილი სტატია შევიდა მის წიგნში „ჩემი ცხოვრების თანამგზავრები“.

მშობლიური ლიტერატურის ცოდნა მწერლისაგან რა გასაკვირია, მაგრამ ცოდნაც არის და ცოდნაც. დემნა შენგელაია გაჟღენთილი იყო ქართული ლიტერატურით. მთელი თხუთმეტსაუკუნოვანი მონაპოვარი გათავისებული ჰქონდა და ამიტომაც ძველი მწერლობის რემინისცენციები მის მოთხრობებსა და რომანებში მოულოდნელ სახეს ღებულობდა. მას შეეძლო ამა თუ იმ მწერლის ნააზრევი სულ სხვა კუთხით დაენახა და შეცვლილ რაკურსში სულ სხვა, შესაძლოა საპირისპირო ჟღერადობაც კი მიეცა. ამ მხრივ ნიშანდობლივია „ბათა ქექიაში“ გამოყენებული სულხან-საბას არაკი „მეფე და ავსიტყვა“. დიალოგი მეფესა და ავსიტყვას შორის თითქმის სიტყვასიტყვითაა მოტანილი, როგორც დიალოგი ბათასა და საბალიას შორის. მხოლოდ ბოლო წინადადება მოულოდნელად ცვლის არაკის ფსიქოლოგიურ საფანელს: „იცი რა გითხრა ბათურია? მომშორდი, ბიჭო, ჩამომშორდი. რაა შეკაცო, სხვა ვერავინ ნახე, რომ შენი ამბავი კითხო? სხვა ვინმე ნახე ბათურია, სხვა, დანარჩენს ის გეტყვის“. როგორც მოგეხსენებათ, არაკში მეფე ცდილობს, რაც შეიძლება ნაკლები ჰკითხოს ბოროტ კარისკაცს, ის კი ყოველ ღონეს ხმარობს, რაც შეიძლება მეტი უსიამოვნო ამბავი შეატყობინოს, ტყუილი თუ მართალი. „ბათა ქექიაში“ კი, როგორც ბოლოს ირკვევა, საქმე პირიქითაა, ბათას სურს, რაც შეიძლება მეტი შეიტყოს, საბალია კი ცდილობს, რაც შეიძლება ნაკლები უთხრას და ამას რომ ვერ ახერხებს, ემუდარება, დანარჩენი სხვას ჰკითხეო. ასე განსხვავებულად ჟღერს თითქმის ერთი და იგივე დიალოგი. ორი სხვადასხვა კალმით გამოყვანილი. პირველის წაკითხვას ექსპოზიცია განსაზღვრავს: „მეფეს ვინმე ჰყვა კაცი ერთი ავსიტყვა...“, მეორისას კი დიალოგის ფინალი.

მერე კი იმ „სულძაღლი ხუცესის“ ნათქვამი ყველაფერი სიმართლე აღმოჩნდა და, ბათა გონს რომ მოეგო, საკუთარ გადამწვარ ნასახლარზე იჯდა და ნაცარტუტას შავი ცრემლით დასტიროდა. ტიროდა ბათა ქექია, რადგან გული ჰქონდა, სიყვარული იცოდა, ტირილის დროს ტირილი შეეძლო და სიცილის დროს სიცილი. ის ხომ ერთი იმ მრავალრიცხოვან უკვდავ ფესვთაგანი იყო, რომელზედაც ერი ხარობს. ის ოდოიას მიერ ამობრუნებული ერთი ბელტი იყო, იმ ბელტივით სიცოცხლით გაუმაძღარი და სიცოცხლის მქმნელი, შიგ მოხვედრილი მარცვალი ხელუკულმა ნასროლიც კი წალმა რომ ამოდიოდა. ბათა ქექია იმ ნაცარქექიას შთამომავალი იყო, ცოლთან რომ ვერაფერი გააწყო და ცხრათავიან დევებს კი სულ კუდით ქვა ასროლინა.

ვაჟას შემდეგ არც ერთ მწერალს ისე უხვად არ გამოუყენებია მითოლოგია, როგორც ეს დემნა შენგელაიამ გააკეთა. თითქმის ყველა მის ნაწარმოებში იგრძნობა ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების „წყალქვეშა დინება“, განსაკუთრებით კი მითოლოგიური ასპექტისა. ზემოთ მოტანილი ციტატა „ოქროსქურქიანი ვეფხვის“ შესახებ ხომ მითოლოგიურად გააზრებული პასაჟია. მის ნაწარმოებებში უხვადაა მიმობნეული მითოლოგიური სიმბოლიკა, იგი მისგან დიდად არის დავალებული და არაფერია იმაში გასაკვირი, რომ ქართული მითოლოგიის საკითხებს რამდენიმე წერილი უძღვნა, ღრმად გააზრებული და სავსე ცხოველი ჰიპოთეზებითა და მიგნებებით.

„დროა ქართულ ფოლკლორს ვიწყებდეთ არა საგმირო ეპოსით, არამედ მითოლოგიით. დროა ამ თვალსაზრისით იქნას შესწავლილი არა მხოლოდ „ამირანიანი“, არამედ „ეთერიანი“ და სხვა ქართული ზღაპრები, რომლებიც ამ მხრივ დიდ მასალას იძლევიან თავის სიუჟეტებით, მითოლოგიური მოტივებით და საგულისხმო პარალელებით“. წერდა ის თავის შესანიშნავ ესეში „ამირანის გარშემო“. იმავე წერილში იძლეოდა მაგალითს, თუ როგორ უნდა მიდგომოდნენ ამ რთულ საკითხს. ამ ესეში აჩვენა მან, რომ ამირანი მითი იყო და არა საგმირო ეპოსი, რომ ამირანი ვეგეტატიური ღვთაებაა და არა გმირი. ეს მართლაც საოცარი მიგნებაა და იგი ჩვენთვის ნაწილობრივ საცნაურს ხდის შორეულ წინაპართა მსოფლგანცდას და წარმართულ ღვთაებათა პანთეონში უჩენს ადგილს „მიჯაჭვულ ამირანს“. რად ღირს თუნდაც იმ ფაქტის მიკვლევა, რომ „ასფურცელა“ ამირანული ციკლის ნაწილია, ან ის, თუ რატომ გახდა ირმის ნაკვალევი „დანაჭლიკი ეშმაკისი“, და რომ ქართველისთვის სამყარო სამი სკნელისაგან შედგებოდა, ხოლო წყალთა მფლობელი ვეშაპები ოდესღაც კეთილი დემონები ყოფილან. ჟამთა ნალექით დაკირულ ქმნილებებში ასეთ რამეებს რომ მიაგნო, თავად უნდა შეგძლოს მითოლოგიურად აზროვნება. ეს კი ნიშნავს, რომ სამყაროს პირველყოფილი უშუალობით უკავშირდებოდე და განიცდიდე.

ასეთი უშუალო დარჩა ის ბოლომდე.

მისთვის სიცოცხლე ღვინოსავით იყო ჩაღვრილი მისსავე სხეულში, თვითონ კი იმ ღვინოს იყო დაწაფებული და აკი ბოლო წვეთამდე შესვა იგი. სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მისი აზრი არ განელებულა, მისი სურვილი არ გაცვეთილა.

ზაფხულობით, როცა თბილის-ქალაქს აგვისტოს ხვატში ალმური ასდის და ქართლის მზით გადატრუსულ ველებს თივის სურნელება ათრობს, ანდა როცა კოლხეთის ნაციებარ მსუყე მიწაზე მაღლარ ვენახებსა და შიგ ჩაკიდულ გიდელებს შორის აგუნა ჩაუქრობს, აქაიქ ეშმაკურად გამოიჭყიტება ხოლმე თვალჩხია ოდოია და ჩაიქირქილებს: მე ჩემი შევსვი, ალავერდი თქვენთანა ვარო!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ეკა ფილიშვილი

# ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურები

ნიკო ლორთქიფანიძე სამწერლო ასპარეზზე გამოჩნდა 1902 წლიდან. ცხრაასიანი წლების ლიტერატურულ სამყაროში თანდათან ფეხს იკიდებს „ევროპული კულტურის ახალ მიღწევებს ზიარებული, ფართო მასშტაბის სააზროვნო ამოცანებს შეჭიდებული თაობა, რომელმაც მხატვრული სიტყვის ტოტალური განახლება დაისახა მიზნად" (ს. ცაიშვილი)

ლეო ქიაჩელი აღნიშნავდა, რომ მეოცე საუკუნის ქართული მხატვრული პროზის ყამირზე პირველი კვალი ნიკო ლორთქიფანიძის მიერაა გავლებული. ამ დროისათვის ხელოვნებაში თავი იჩინა თვისობრივად ახალმა ტენდენციებმა.

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსათვის იმთავითვე იქნა აღმოჩენილი საგნისა და განწყობილების იმგვარად წარმოჩენის შესაძლებლობა, რომელსაც გვერდს უვლიდა თხრობის რეალისტური მანერა - ეს კი უკვე იმპრესიონიზმის ჩანასახია. სწორედ იმპრესიონიზმში იკრიბება და თავს იყრის ამ საუკუნის მოწინავე მიმართულებანი.

იმპრესიონიზმისა და მისი წარმომადგენლების უდიდესი დამსახურებაა არა მარტო რეალობის (საგნისა და მოვლენის) ახლებური დანახვა, არამედ მისი ახალი, ფრიად ორიგინალური შეფასებაც. მეცხრამეტე საუკუნეში ალაპარაკდნენ „პატარა ადამიანები", ისინი, ვინც საუკუნეების განმავლობაში იმყოფებოდნენ სიმუნჯის ზღვართან და ახლა უკვე დაუწყიათ საკუთარი ადამიანური ღირსების დაცვა. „თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობის იდეა, როგორც თავისთავად, აღმოჩნდა უფრო მეტი, ვიდრე მხოლოდ დემაგოგიური ფრაზა. მან ფესვები გაიდგა ადამიანის აზროვნებაში, შეეთვისა ცნობიერებას როგორც ზნეობრივი და მხატვრული იდეალი" (Иностранная литература. 1989г.№1 Москва, стр. 199).

ნიკო ლორთქიფანიძის მწერლური გემოვნებისა და ესთეტიკური მრწამსის ჩამოყალიბებაში არცთუ უმნიშვნელო იყო ავსტრიაში, ლეობენის სამთო აკადემიაში სწავლის პერიოდი (1902-07წ.წ.) ამ პერიოდის ავსტროგერმანულ (ისევე როგორც მთლიანად ევროპულ) ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ესთეტიკური სიახლეები მკვიდრად იკიდებენ ფეხს. „ვენის მოდერნისტთა შორის თავიდანვე თვალსაჩინო ადგილი დაიკავეს კრიტიკოსმა და რომანისტმა ჰერმან ბარმა, რომელიც ბევრს წერდა მოდერნისტულ ხელოვნებაზე, პოეტმა და ესთეტიკოსმა ჰუგო ფონ ჰოფმანსტალმა, დახვეწილმა ესეისტმა და მცირე ფორმის ჟანრის ოსტატმა ვენის მომხიბვლელობის აღმწერმა პეტერ ალტენბერგმა და ახალგაზრდა ექიმმა ა. შნიცლერმა" (А. Шнейцел "Жена мудреца", вст. статья Р. Самарина). გერმანიაში სერიოზულად მკვიდრდება ახალი ლიტერატურული მიმართულება ექსპრესიონიზმი, რომელიც უკვე ჩამოყალიბებულ მხატვრულ მიმდინარეობა - იმპრესიონიზმთან ერთად საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს ახალგაზრდა ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებითი ინდივიდუალობის, მისი მხატვრული კრედოს ჩამოყალიბებაზე. კონსტანტინე გამსახურდია აღნიშნავს, რომ „ნიკო ლორთქიფანიძემ ხარკი მიუზღო იმპრესიონიზმს", ხოლო ლეო ქიაჩელი მართებულად ამბობს: მწერალი „არ შეიძლებოდა დარჩენილიყო გარეშე იმ დიდი ლიტერატურულ-ესთეტიკური მოძრაობისა, მით უმეტეს, რომ იგი შეესწრო მას ევროპაში ყოფნის დროს და მისი პირველი ნაბიჯები სალიტერატურო ასპა. კზე დაემთხვა ამ ახალი ლიტერატურული გემოვნების განმტკიცებას" (ი. ქარელიშვილი), მართლაც, ნ. ლორთქიფანიძის, ისევე როგორც ბევრი მისი თანამედროვე ხელოვანის წერის მანერა მკვეთრად განსხვავდება კლასიკური პროზის მიერ დაკანონებული მხატვრული ფორმებისაგან.

იმპრესიონისტს აინტერესებს ცხოვრების მფეთქავი რიტმის იმპულსური შეგრძნება. ისინი აფიქსირებენ მნიშვნელოვან წუთიერ შთაბეჭდილებას ან ფრაგმენტის დინამიურობას. იმპრესიონისტისათვის საინტერესოა დროის მარადიული მდინარებიდან გამორჩეულად დამმუხტველი წუთის შერჩევა, რომელიც თითქოსდა შემთხვევითია. „იმპრესიონიზმისათვის ძალზე ტიპიურია არა მარტო საგნის დამკვირვებლისაგან განცალკევება, არამედ მისი განზოგადება. იმპრესიონისტული ხედვა გულისხმობს საგნის, როგორც დახშული მთლიანობის უარყოფას. იმპრესიონიზმმა შემოიტანა სიჩქარის, ცვალებადობის შეგრძნება, რაც აფართოებს „მხატვრულ რეალობას" და აქედან გამომდინარე თვით ხელოვნების საგანსაც" (გუროვა). იმპრესიონისტისათვის ძირითადია ინდივიდუალიზმი, საგნის, მოვლენის პირდაპირი ხედვა. დიდი და მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოვლენებიდან მოქმედება მიემართება ადამიანის ყოფიერებაში, გადატანილია მის პირად შეგრძნებათა აღქმის ფონზე. სწორედ აქ იკვეთება ლიტერატურული იმპრესიონიზმის დამახასიათებელი ნიშან-თვისება - ინტერესი ადამიანის ყოფის ინტიმური, ფარულად მიყურადებული და დანახული დეტალებისადმი, სიტუაციის ნიუანსებისა და მდგომარეობის მოულოდნელი ცვალებადობის, უეცარი გამწვავების არეში

მოხვედრა და მისი სააშკარაოზე გამოტანა, უნარი „ადამიანის სულის ბილიკების“ (ვოლტერი) თვალთვალისა. „იმპრესიონიზმში ორგანულად შერწყმულია ორი ტენდენცია: პირველი, ესაა მიდრეკილება სინამდვილის ზუსტი ანალიზისადმი, საგნების პირდაპირი, უშუალო ხედვისადმი, რომელიც არ ტოვებს არაფერს შეუმჩნეველს და ხედავს ყველაფერს ისეთი გამჭრიახობითა და სიფხიზლით, რომელსაც თითქმის ვერ აღიქვამს ადამიანური აღქმა. მეორე კი, ესაა ყველაფრის შთანმთქმელი ერთიანობის გრძნობა ცხოვრებისეული ნაკადის, სინამდვილის პოეტური სუნთქვის“ (ვ. პროკოფიევი).

როგორც აღვნიშნეთ, ნიკო ლორთქიფანიძე ავსტრიაში სწავლის პერიოდში ეცნობა გამოჩენილ ავსტრიელ იმპრესიონისტებს, ლიტერატურული საზოგადოების „ახალგაზრდა ვენა“ მოღვაწეებს - ალტენბერგს, ჰოფმანსტალს, შნიცლერსა და მათ თეორეტიკოსს ჰერმან ბარს. გამოჩენილი მკვლევარი ლ. ანდრეევი წიგნში „იმპრესიონიზმი“ აღნიშნავს, რომ სწორედ გერმანულ-ავსტრიული იმპრესიონიზმის განმასხვავებული ნიშანი იყო „80-იანი წლების ამორფული ნატურალიზმიდან 90-იანი წლების „არანაკლებ ამორფულ“ ექსპრესიონიზმამდე მობრუნება“. სწორედ ამიტომ ნიკო ლორთქიფანიძის ადრინდელ მინიატურებში შეიმჩნევა როგორც საგნებისა და მოვლენების იმპრესიონისტული ხედვა, ასევე ადამიანის სულიერი მდგომარეობის გადმოცემის ექსპრესიონისტული ნიუანსები. როგორც აღვნიშნეთ, ლიტერატურული იმპრესიონიზმი მცირე ფორმების - მინიატურების, ფრაგმენტების, ნაკვეთების, ესკიზებისა და მცირე ეპისტოლარული ჟანრის ხელოვნებას წარმოადგენს. მნიშვნელოვანი ძვრაა პროზის კომპოზიციურ ორგანიზებაში სიუჟეტის დაშლა, დანაწევრება: „ამ კომპოზიციური ფერისცვალების შესაბამისად ობიექტური რეალობის ამსახველი მრავალპლანიანი სიუჟეტი ფსიქოლოგიური ხასიათის კოლიზიების გადმოცემამ შეცვალა. ნაწარმოების ცენტრშია არა თხრობა ემპირიულ სამყაროში მომხდარი ამბის შესახებ, არამედ სუბიექტური განცდების, უშუალო შთაბეჭდილებების აღწერა“ (ნ. ღამბაშიძე). მართლაც, გმირის თავგადასავალი და მის ცხოვრებაში მომხდარი ამბები აღარ ახასიათებს სიუჟეტს. შეგრძნებები, განწყობილებანი, გრძნობებისა და სულიერი მდგომარეობის სწრაფი და ხშირი ცვალებადობა გამხდარა იმპრესიონისტი მწერლის ყურადღების საგანი.

მრავალმხრივ საინტერესოა ნიკო ლორთქიფანიძის მიერ 1906 წელს დაწერილი პირველი მინიატურა „ხმა სამარიდან“. ამ მინიატურაში მოქმედება ღამე ხდება. მწერალი მისთვის დამახასიათებელი სიტყვის მომჭირნეობით გვიხატავს სასაფლაოს ღამეულ სურათს:

„ცა. ვარსკვლავები. ნაჭერ-ნაჭერი ღრუბელი. თეთრი. ნაზი.

ზღვა. ტორტმანი.

მთების შავი საიდუმლო.

სასაფლაო. რკინის მოაჯირი. ძეგლი. სკამი. მყუდროება. სიგრილე“.

მართლაც მისტიკური სიწყნარე წარმოუდგება მკითხველს თვალწინ. ღამე ის დროა, როცა რეალურისა და არარეალურის საზღვრები წაშლილია და ადამიანის სულიერ სამყაროში ღრმა სევდა ისადგურებს. სასაფლაო წარმოდგება ადამიანის იმედის სამარხად და არც ისაა შემთხვევითი, რომ მწერალმა თავისი ლირიკული გმირი - ახალგაზრდა ქალი აქ მოიყვანა:

„ზის ქალი. მოწყენილი სახე. მუხლებზე წიგნი. კითხვა მიუტოვებია. ფიქრს გაუტაცნია. ერუსშია თითქმის“.

ასეთი შტრიხებით გვაცნობს ავტორი ქალს. ჩვენ არ ვიცით, რა მოხდა ქალსა და მის სატრფოს შორის, მხოლოდ ვგებულობთ, რომ ვაჟის „უგალობდა გული სათაყვანო ძეგლს“, ახლა კი „ქალის მიერ დასევდიანებული“ სამარიდან ეხმიანება მას. პირველივე მინიატურაში გაიჟღერა მარტოსულობის, განუხორციელებელი სიყვარულის იდეამ, რაც შემდგომში იდევ უფრო თვალსაჩინო ხდება. გმირების წარსულში ექსკურსის მაგივრად მწერალმა ამ ორი ადამიანის ურთიერთობის ერთ კონკრეტულ და დრამატულ მომენტს მიაპყრო მზერა და სინათლეზე გამოიტანა.

მინიატურაში „გედი“ ახალგაზრდა ქალ-ვაჟი შეპხარის ერთიმეორეს და მათი უმანკო ტრფობა-ალერსის მნახველი მკითხველი თითქოს არც უნდა ფიქრობდეს იმას, რომ ბედის სიმუხთლე მათ დააშორებს. მინიატურაში ორი პარალელური სურათია. ერთშია უკვე ასაკოვანი მონადირე თავისი განუყრელი თანამგზავრით - ძაღლით. მან ტყვიისათვის ვერ გაიმეტა „ბამბასავით თეთრი, კისერმოღერილი გედი“, მეორე სურათში კი სათნო ახალგაზრდა ქალწული, რომლის „ღვთიური სათნოება ხორციელ სილამაზეს და ბავშვურ მხიარულებას განსაცვიფრებლად შეერთებოდა“, სიყვარულს ეფიცება თავის ახალგაზრდა მიჯნურს. მათ იმედი აქვთ ბედნიერი მომავლისა. მაგრამ ამაოდ - თეთრი გედივით გაფრინდა, გაქრა სიყვარულიც და როგორც ვაჟი ამბობს: „მას აქეთ რაკი არცერთ ჩვენგანს ბედნიერება აღარ უგრძვნია. დავდივართ ქვეყნად როგორც აჩრდილნი და ვიტანჯებით გულსაკლავად“. ჩვენ არ ვიცით თუ რა მოხდა შემდეგ, რამ ათქმევინა ასაკოვან კაცს წუთისოფლის სამდურავი. ნახატის შინაგან განწყობილებაში შეზავებულია ჩუმი ნაღველი; ადამიანი დაეძებს თავის მეორე ნახევარს, დაკარგულ სიყვარულს, იმედს, რომელიც „წყლის ვარდივით“, გაუჩინარდა და დაეხეტება დაუოკებელი ლტოლვით სავსე გული. ამ ერთმა დრამატულმა მომენტმა წარმოაჩინა მთელი ტრაგიზმი ადამიანის ცხოვრებისა - „ადამიანებს არა აქვთ ის ბედნიერება, რომ უკმაყოფილონი იყვნენ, მათ არ ეთქმით ამ სოფლის სამდურავი, ვინაიდან წუთისოფელი მხოლოდ უბედურების, განუხორციელებელი ოცნებების, დამჭკნარი სიყვარულის და დაკარგული იმედების ერთი გრძელი ჯაჭვია“ ([illegible] ბეჟანიშვილი).

„გედი“ ტიპიურად იმპრესიონისტული სურათია, რომელმაც მკითხველს თვალნათლივ დაანახა განუხორციელებელი სიყვარულის სურათი. „მთვარიან ღამის ჩრდილში“ ასევე იმპრესიონისტი ხელოვანისათვის დამახასიათებელი ხელწერით არის შექმნილი. მწერალმა კვლავ ღამე აირჩია მოქმედების წარმოსაჩენად. მან მართლაც წარმოადგინა და არა აღწერა „მთვარიან ღამის ჩრდილში“ ჩაფიქრებული დრამა. ახალგაზრდა ქალ-ვაჟი ნამალევად, მშობლებისა და ახლობლებისაგან ჩუმად მხოლოდ ღამით ემუსაიფებიან ერთმანეთს. დედ-მამა კი, რომელმაც „მტერს თვალი დაუყენა და მოყვარეს გული გაუხარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჯახის ბედნიერებით“, წინ ეღობება მათ სიყვარულს. ვაჟი, ეტყობა, ღარიბი ოჯახის შვილია, მამას კი მდიდარი სასიძო ჰყოლია არჩეული; მთვარიან ღამეში თავისდაუნებურად ბევრი ინტერესი და პრინციპი შეეჯახა ერთიმეორეს და მწერალი მკითხველს საშუალებას აძლევს იფიქროს შედეგზე, თვითონ კი შედარებით გვიან 1912 წელს დაწერილ ნოველაში „მარად და მარად“ აძლევს განვრცობას ზემოთ აღწერილ სურათს: ქალს რა თქმა უნდა, შეძლებულ ოჯახში მოახვედრებენ, ვაჟი სხვის მოჯამაგირეობაში გადაიკარგება, გალოთდება და უაზროდ ჩხუბში შემოაკვდება თავის თანამეინახეს. ასეთი ფინალით სავსებით შესაძლოა დაგვირგვინდეს „მთვარიანი ღამის ჩრდილში“ ჩაფიქრებული და სორცშესხმული დრამა.

ცალმხრივი, განუხორციელებელი, ტკივილამდე მისული სიყვარულის აღსარებაა მოცემული ორ უმცირეს მინიატურაში: „რა გენაღვლება, მე რომ მიყვარდე“ (1908) და „შენზე ცუდს მაინც ვერაფერს ვიტყვი“ (1909). ესენი უსიუჟეტო ლირიკული მინიატურებია, რომელთა „ლიტერატურული გმირის ფუნქციებს აქ პერსონაჟის როლში გამოსული შიშველი გრძნობები წარმართავენ“ (ე. აბრამიშვილი). ჩვენ წარმოდგენა არა გვაქვს გმირის თაყვანისცემის ობიექტზე და, ამდენად არ შეგვიძლია მასზე ვიმსჯელოთ კონკრეტულად. ამ ლირიკულ აღსარებაში პირველად ნ. ლორთქიფანიძის შემოქმედებაში ჩნდება ექსპრესიონისტული შტრიხები – უსიუჟეტო, მონოლოგიური სახის ნაწარმოების არქიტექტონიკაში აქტიურად იჭრება ავტორისეული „მე“, მზის სინათლეზე ჩნდება ის, რაც მატერიალური კოშმარის მიერ გათელილი ადამიანის სულში დახეტიალობდა.

სამყარო მწერლისათვის მძაფრი გრძნობებით, განცდებით და გარდამავალი ცვლილებებითაა სავსე. მართლაც, ლირიკული გმირი სატრფოს წინათ „გულში ისვამდა“ და უმღეროდა თავის გულში. ახლა კი „წავიდა დრო; ნისლმა და სუსხმა ძირი ამოუგდო ვარდისა ბუჩქებს; გამხმარ, დაცვივნულ ყვავილებს დაუკარგა სურნელება; ვარსკვლავი ჩაქრა; მიყუჩდა ბულბული; ყველაფერი მიჩუმდა“. გაცივდა სიყვარული, ჩაქრა გრძნობები, სახეზეა ემოციების ცვალებადობა, რაც იმპრესიონისტი მწერლისთვისაა დამახასიათებელი. ამ მინიატურაში კიდევ ერთხელ ვლინდება ნ. ლორთქიფანიძის იმპრესიონისტული მსოფლმხედველობა; „შეუძლებელია ცხოვრება ასახო ობიექტურად, ეპიკურად, გარეგანი აუცილებლობის გარეშე. ყველაფერი მოძრაობაში უნდა იყოს მოყვანილი, ყველაფერი უნდა ტოკავდეს, ირხეოდეს. თვით ფორმა ნაწარმოებისა ისევე რხევადი და ფაქიზი უნდა იყოს, როგორც ამ ნაწარმოების პერსონაჟთა გრძნობები და პიროვნება არის ნერვიული, მოუსვენარი“ (გ. კანკავა). სატრფოზე აუგის თქმის შემდეგ კი ესაუბრება: „ისევ სანთლად შენ წინ დავდნები!“ ამ აღსარების მთქმელი ლირიკული გმირი თავის „უცნაური სიყვარულის“ ახსნას „ხელუხლებელ, კლდოვან ნაპირზე მარტოდმარტო“ მჯდარი წარმოთქვამს. მას მხოლოდ ორი რამ ასულდგმულებს: „მაღალი ზღვის ნაპირი... თვალუწვდენელი ჰორიზონტი და შენზე ოცნება!“ (მინიატურა „უცნაური სიყვარული/.

მინიატურის „მრცხვენია“ ლირიკული გმირი „ქამსა საძრახსა და სახელის გატეხის“ ეპოქაში ცხოვრობს. მას გულმოკლულს სამშობლოს მდგომარეობით „სირცხვილი სწვავს“, ამავე სირცხვილს „დაუუძლურებია“ იგი და ცდილობს „ჭეშმარიტების ელჩს“ დაემალოს. აქ უკვე პატრიოტული მოტივებიც გაისმის. ლირიკული გმირი, იგივე ავტორი ეძებს თავის იდეალს თანამედროვეობაში; მასში უნდა იყოს განივთებული რწმენა, ღირსებისა და სიკეთის ცნება, იგი უნდა იყოს ბრძენი და, ამავდროულად, ცბიერიც. ასეთი სიმრთელის არსებას კი ლირიკული გმირი მხოლოდ დაბადებაში პოულობს: „სხივფენილი ჰანიბალი, გარიბალდი ზიზღით, დაცინვით გადმოჰხედავენ სამშობლო მხარეს“. სწორედ ასეთი ადამიანია ახლობელი მწერლის სულ კრი განწყობილებისათვის;

„მრცხვენიასთან“ თემატურად ახლოსაა მწერლის სხვა მინიატურა „ციხე ჩამოინგრა“. მინიატურას ლეგენდის სახე აქვს, იგი ერთი გვერდის მოცულობისაა და ერთი ოჯახის რამდენიმე თაობის ისტორიას წარმოგვიდგენს. ოჯახის მოკლული უფროსის აჩრდილი არ ასვენებს შთამომავლობას, იგი შურისძიებას ითხოვს შელახული პატიოსნებისათვის. ისევე როგორც გარიბალდი და ჰანიბალი, ისიც ზიზღითა და დაცინვით გადმოჰყურებს თავისი ოჯახის ნაშიერების საკმაოდ სიმბოლურია ის, რომ მეოთხე თაობას აღარ ესმის წინაპრისა, რადგან უკვე მივიწყებული და გადაგდებულია ძველი ზნეობრივი პრინციპები, დაირღვა ჰარმონიული წყობა სულიერ ა და მატერიალურს შორის.

ამ ორი მინიატურის დედააზრი შესაძლოა ვეძიოთ პატარა მინიატურის „რათ მინდა პატივისცემა“ ანალიზისას (სამივე დაწერილია 1909 წელს). მასში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ერთი ფრაზა: „ბედნიერია, ვინც სასარგებლოსა და სასიამოვნ ა შორის ზღვარის დადებას მოახერხებს“. შეიძლება ითქვას, რომ ავტორი ეძებს სულიერად და ჰარმონიულად დასრულებულ ადამიანს, მაგრამ ამაოდ. ადამიანის ამოცანაა მიაღწიოს ხასიათთა ნაკრების ღვთიურ ჰარმონიას: „სასარგებლოს – პატივისცემა, დახმარება, სასიამოვნოს – სიყვარული, პატივისცემა“.

მწერლის შემოქმედების კვლევისას განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მეტად საინტერესო ნაწარმოები „უიალქნოდ“, რომელიც არის „დღიურების ფორმით წარმოდგენილი მცირე ფორმის ნაწარმოებთა ჟანრობრივი ნაირსახეობა – ექსპრომტი, თარგმანი, მონოლოგი, – რომელიც ცნობიერების ნაკადის მონაკვეთს წარმოადგენს, – უსათაურო ეტიუდები და ესკიზები – სავსებით გაცნობიერებულია მწერლის აზროვნებაში“(ნ.ღამბაშიძე). ამ ნაწარმოებში თავად მწერალმა პირველად აღიარა თავისი ესთეტიკური მრწამსი და ფაქტების იმპრესიონისტული გამოსახვისაკენ მიდრეკილება: „განა მწერალს, როგორც ყოველს ადამიანს, ცოტა ჰყავს ნაცნობი, რომელიც მზის დაბნელებასავით ერთხელ უნახავს, რომელზედაც გაუგონია ორიოდე სიტყვა და უბრალო შეხვედრაც მეხსიერებიდან ვერ ამოუფხვრია?“ ნათელია მწერლის სტილი – შემთხვევით დანახული თუ ყურმოკრული ფაქტის, ხელოვანის სუბიექტური შთაბეჭდილების გამოყოფა ობიექტური სამყაროსგან და მათი გადატანა ქაღალდზე. მწერალი თავად აცხადებს დიდი ეპიკური ტილოების დანაწევრებისა და სიუჟეტის დაშლისაკენ მიდრეკილებას; „მე სხვადასხვა სურათს მოგაწვდენ ცხოვრებიდან. მათი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ერთმანეთთან შეკავშირება შენთვის მომინდვია..." მისი მიზანია „მიაღწიოს მკითხველის აქტივიზაციის ისეთ ხარისხს (თუნდაც მისი „დაუმთავრებლობით" გაღიზიანების გზით), რომელიც მას თითქოსდა ხდის სურათის გამოაშკარავების თანამონაწილედ, თანაავტორად (ე. მატუსოვსკაია). „მწერალმა მარმარილო, ტილო, საერთო აზრი, ჩარჩო, ორი-სამი ხაზი დაამზადოს; დამთავრება, დაბოლოვება ნაწარმოებისა და მკითხველის გემოვნებასა და სურვილს მიანდოს..." აი, აქ პირველად გაცხადდა მწერლის მინიატურული პროზის ნათესაობა იმპრესიონიზმთან, თუმცა ამ ნაწარმოებში გვხვდება ექსპრესიონისტული მოტივებიც.

„უიალქნოდ" ვინმე „შესანიშნავი პიროვნების" ლაზარე კვიხაშვილის დღიურთა ნაკრებია. თავად ციკლის სახელწოდება მწერლის სხვა ნაწარმოების „ცხოვრების მეფე" ფინალშია ახსნილი: „მხოლოდ ტალღათა შორის მებრძოლ ხომალდს აქვს მიმზიდველობა, ნავსაყუდელში კი ულამაზო სახლია". ცხადია, რომ ნაწარმოების გმირს მოჭრილი ან დაკარგული აქვს იალქანი, ხოლო გემი უიალქნოდ ღია ზღვაში ვერ გაცურავს, ქარიშხლის ამოვარდნისას კი უეჭველად დაიღუპება. ამიტომ, რათა ცოცხალი გადარჩეს, იგი უძრავად უნდა მიება ერთ რომელიმე ნაპირს. უიალქნო, ნაპირზე გარიყული ხომალდი კი დროთა განმავლობაში ლპება და აღიგვება პირისაგან მიწისა.უიალქნო გემის ანალოგიაა ლაზარე კვიხაშვილის პიროვნება, თავიდან „ამაყი, მოხდენილი, გუბერნატორის განსაკუთრებულ მინდობილობათა მოხელე, ერთი საყვარელი წევრი ქუთაისის მოქეიფე ახალგაზრდობისა", ბოლოს კი ბავშვების საქირდავად დაგდებული „დაბერებული, დაჩაჩანაკებული" არარაობა.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ნიკო ლორთქიფანიძეს საკმაოდ ბევრი ანათესავებს ავსტრიელი იმპრესიონისტების კლუბის „ახალგაზრდა ვენის" წევრებთან. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ იმ დროისათვის საკმაოდ ცნობილი არტურ შნიცლერი. იგი 1901 წელს აქვეყნებს მოთხრობას „ლეიტენანტი ჰუსტლი", რომელსაც მკითხველი სკანდალურად შეხვდრია. შნიცლერმა გამოსახვის ობიექტად აიღო ჰაბსბურგთა არმიის ლეიტენანტის ჰუსტლის პიროვნება (სავსებით შესაძლებელია პარალელის გავლება ლაზარე კვიხაშვილთან), საბურველი ჩამოახია ავსტრიულ არმიას და მასზე დაშენებულ ჰაბსბურგთა იმპერიას. შნიცლერი როგორც მწერალი „ცდილობს ღრმად შეიჭრას გმირთა პიროვნებაში, ეძიოს მიზეზები, რამაც ისინი ასეთად აქცია. იგი სწავლობს მათ ფსიქოლოგიას ჩამალულს ცნობიერების სიღრმეში" (დ. ზატონსკი). ერთ-ერთი მოქმედი პირის სახით ნ. ლორთქიფანიძეც ეცნობა ლაზარეს უკანასკნელ მეგობარს - როსკიპ ქალს და იგებს, რომ კვიხაშვილი „უკანასკნელ დღემდე, თვით საპყარი და გაჭირვებული, უბედურთა მფარველობას ჩემობდა". სწორედ რომ „ჩემობდა", ესაა ლაზარეს პიროვნების პირველი გასაღები. მას ეპისტოლარული ჩანაწერები დაუტოვებია და მხოლოდ ეს იძლევა საშუალებას, ჩავწვდეთ მის სულიერ სამყაროს. თითქოს ესაა მისი შინაგანი მონოლოგი (ისევე როგორც შნიცლერის გმირისა), მისი გმირის „ცნობიერების ნაკადი" - „საკუთარი თავის შემეცნების აქტი (ფრიც მარტინი) ან საკუთარი სულიერი ცხოვრების ანატომიზირება (ჰუგო ფონ ჰოფმანსტალი)" (ნ. კაკაბაძე). კვიხაშვილში საკმაოდ პატივმოყვარე და ამპარტავანი სული ყოფილა ჩასახლებული. იგი გაემიჯნა სამყაროს, იგივე „ჭკუადამჯდარ" საზოგადოებას თავისი „შინაგანი ბაღით". იგი გამოეყო საგნებს, ადამიანებს, მოვლენებს, ყველაფერს, რაც მის ცხვირწინ ხდება, ხდებოდა და ალბათ მოხდება.

ლაზარეს შინაგანი მონოლოგი მის მიერვე გაკეთებული საკუთარი თავის მხილებაა (ისევე როგორც შნიცლერის ლეიტენანტ ჰუსტლისა). შნიცლერის გმირი არარაობასთან ერთად „პაწია, განუვითარებელი გონების პატრონიცაა" (დ. ზატონსკი). ამას ლაზარეზე ვერ ვიტყვით. იგი თავად ცდილობს საკუთარი არარაობის მიზეზის გარკვევას და თავადვე დასვა კითხვა „რატომ?" კაცი, რომელმაც გიმნაზიაც ვერ დაასრულა, გაიტაცა მსოფლიოს მარადიულმა პრობლემებმა. მას სურდა ეწერა „გონების დაკარგვამდის, თვალების დაბრუცებამდის", ხოლო წერილების მასალა კი ყოფილა „კანტის კატეგორიული იმპერატივი, ჩინეთ-იაპონიის შეტაკება, ნანსენის მოგზაურობა, ადდა ნეგრის პოეზია". თვითონ შნიცლერის წინაშე დაისვა შეკითხვა: „ნუთუ მას არ აღელვებდა დიადი, მარადიული პრობლემები?" კითხვის პასუხი ავსტრიელ მწერალს მხოლოდ სიბერეში გაუჩნდა: „სამშობლო იყო მხოლოდ არენა, მხოლოდ კულისები პირადი ბედისწერისა" (დ. ზატონსკი).

ლაზარე შეეცდება თავად აგვიხსნას ყველაფერი: „ცხოვრება მთა არის ტყე-კლდოვან-ყინულიანი. მხოლოთ მწვერვალზე ჩნდება მზე და ჩრდილი; რა გულით ვეპოტინებოდი ყოველ ბილიკს, რამდენი ქაცვნარევი შამბი გავიარე! რამდენი ტყავი გადა-სძვრა მუხლებს, მაგრამ თავქვე ვვარდებოდი უფსკრულში". რაც უფრო ცდილობს ადამიანი, მიუახლოვდეს მზეს - უმაღლეს ჭეშმარიტებას და ყოფიერების სიბრძნეს, იმდენად სცილდება მას და ვარდება უფსკრულში. ლაზარეს მაგალითი ცხადყოფს, რომ ადამიანი „რომელიც ქმნის მხოლოდ ბუნების მიბაძვით, და საკუთრივ საგნებმა უკვე შეწყვიტეს ადამიანის საკუთრებად ყოფნა, ნივთიერმა სამყარომ თავის მხრივ დაიმონა: გარე სამყაროსა და ადამიანის პიროვნულ „მე"-ს შორის განმანათლებლურ საუკუნეში არსებული ჰარმონია, განპირობებული ამავე სამყაროს აღქმითა და შემოქმედებით, დარღვეულ იქნა ადამიანის საზიანოდ" (ფ. გიუბნერი). სწორედ ამ ჰარმონიისა და წონასწორობის დარღვევის შედეგია ლაზარეს ცხოვრება და მისი სულიერი ტკივილები: „რაღას ვუყუროთ, თვალის დამტკბობიც არაფერია, ვამჩნევ არავისთვის ვარ საჭირო და არავის სურს ჩემი გულში მიკვრა, შეყვარება". იგი სასოწარკვეთით წამოიძახებს ბოლოს: „დამეკარგა იმედები", „შემიცოდეთ მაინც", „უნაყოფო ოცნება ხომ შესაცოდია". ჰოფმანსტალი აღნიშნავს: „დღეს ძალზე მოდურია ორი რამის წარმოჩენა: ცხოვრების ანალიზი და ყოფიერებიდან გაქცევა". ლაზარეს სახით მწერალი ხედავს „ჩვენს გონებრივს და ზნეობრივ სიღატაკეს, ყოველივე ადამიანურ უფლებას გათელილს", მაშინ ერთდროულად ემიზლება და კიდეც ეცოდება ადამიანი. ამიტომაც ცდილობს ჰოფმანსტალისეული ყოფიერებიდან გაქცევას და ლოთობასა და თავდავიწყებას მიეძალება „საგმირო საქმეთა მაგივრად" - „ცხოვრება არავისთვის არაა სიამოვნება" - ასკვნის იგი.

ესკიზთა და მინიატურათა ციკლი „უიალქნოდ" ერთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ერთი ადრეული ცდაა საზოგადოებასა და გარესამყაროში ადამიანის პიროვნების, როლის და ადგილის ძიებისა, რომელმაც დატოვა უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა და, ამდენად, უშედეგოდ დასრულდა. მწერალი „შესტრფის თვითონ ადამიანს, რომელიც მისთვის ასე ორიგინალური, მორალურად წინააღმდეგობრივი და ოდნავ გამოუცნობი ქმნილებაა“ (გ. კანკავა). მისი ერთ-ერთი პირველი მინიატურები „მომღერალი“ (1908) და „ესეც თქვენ“ ადამიანის სულიერი ტრაგედიის ფსალმუნებია. თუ ჩვენ მწერლის მინიატურებში ხშირად ვხვდებით სასაფლაოს, რომელიც ადამიანის ოცნებების, სიცოცხლისა და მშვენიერების სამარხია, „მომღერალში“ ნამდვილი, ცოცხალი ადამიანებით დასახლებული სასაფლაოა საპყრობილე - „შურისძიების, სიმკაცრის და ამა ცხოვრების ყველა ცდუნების საუკეთესო სასწავლებელი“.

მინიატურებსა და მინიატურათა ციკლებში მწერალი ცდილობს პასუხი გასცეს „უიალქნოში“ დასმულ კითხვაზე „რატომ?“ ძიების შედეგი კი მეტად ორიგინალური და მრავალფეროვანია. მიზეზის ძებნის პირველ ცდას ვხვდებით მინიატურაში „მოირა“. მასში, მსგავსად „უიალქნოსი“, კვლავ გაისმის მწერლის ესთეტიკური მრწამსის გამოძახილი: „მწერალიც მხოლოდ ერთისთვის წერს, თავის გულის ნადებს აცხადებს, მრავალს კი ელაპარაკება. მწერალი თანაც ქურუმია, რომელიც ლალადჰყოფს ათასთა მწუხარებას“. ათასთა მწუხარებაა ის, რაც მინიატურის ლირიკულ გმირებს სჭირთ. აქ კვლავ შემოდის განუხორციელებელი სიყვარულის თემა. ქალი „სხვამ კი წაიყვანა ცოლად. ვაჟს გული ჩასწყდა. ეს ძველი ამბავია.“ მას შემდეგ უსიამოდ და უსარგებლოდ გადის დღეები ორივესათვის. კვლავ ფანტომად გამოჩნდება ქალის მიერ დასმული კითხვა „რატომ?“ ვაჟი კი მეტად სევდიან პასუხს იძლევა: როგორც უსულო, ასევე „სულიერი საგნები ემორჩილებიან რაღაც განუზომელს, შეუსწავლელს, გაუგებარ ძალას“. აქ მწერალი გარკვეულ წილად იზიარებს ჰუგო ფონ ჰოფმანსტალისეულ თეზას „ადამიანური ყოფისა და ქმედების უაზრობის, ბედისწერის ულმობელი ძალაუფლების, და ამასთან ბრმა ინსტინქტებისა და გონების უძლურების“ შესახებ. მაშასადამე, კაცობრიობისა და საერთოდ ადამიანის ბედი, იგივე სპარსული იღბალი და ბერძნული მოირა, არაამქვეყნიურ ძლევამოსილებასა და განგებაზეა დამყარებული. „რატომ?“ იმიტომ, რომ „ზღაპარია მიზეზთა და შედეგთა შორის რაიმე კავშირის პოვნის იმედი“. მართლაც, „ზღვა შრება და მთა ირღვევა“, ადამიანი კი კვლავ მარტოდმარტოდ, უიალქნო გემივით ეძებს ბედნიერებას, სიკეთეს, სიყვარულს და მიზანს არათუ ვერ აღწევს, არამედ სულ უფრო შორდება კიდეც მას.

გერმანელ მეცნიერს იულიუს ბაბს მიაჩნია, რომ „იმპრესიონიზმი არის ადამიანის გარე სამყაროზე დამოკიდებულების გამოხატვა“. სწორედ ემპრესიონისტული აზრის მატარებელია ნ. ლორთქიფანიძისეული „მოირა“.

თუკი მოვლენათა შორის არ არსებობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, ადამიანი „მოირას“ ფატალურ, ამოუცნობ ძალას დაუმონებია, იგი ბუნებამაც სძლია, გააცამტვერა და დაიმორჩილა, რაღა დარჩა თუ არა „დამოუკიდებელი მოლენა თუ ფაქტი, რომელიც მოახდენს (ან არ მოახდენს) გარკვეულ შთაბეჭდილებას“ (ვ.ცისკარიძე). მინიატურის „მოირას“ გმირი ვაჟი ამბობს: „ჩვეულებრივის თვალსაზრისით ვუყურებ საგანს, ჩვეულებრივად ვლაპარაკობ“. მწერალი მინიატურათა ციკლის „სულიერი განწყობილებანის“ ეპიგრაფში აღნიშნავს: „უმთავრეს მიზნათ დასახული მქონდა მკითხველში ერთგვარი სულის განწყობილება გამომეწვია“ მას მოჰყავს ორი წმინდა სახის იმპრესიონისტული მინიატურა „სურათი“ და „ბავშვი“.

გერმანელი ექსპრესიონისტი კაზიმირ ედშმიტი წერდა: „ფაქტები იძენენ მნიშვნელობას იმდენად, რამდენადაც ხელოვანის ხელს შეუძლია მასში დაიჭიროს ის, რაც მის უკანვე იმალება“. მწერალი მხოლოდ მზერას ესვრის მოვლენას და სააშკარაოზე გამოაქვს. მაგალითისათვის გამოდგება „ხელოვანთა ყავახანის“ მინიატურები.

თუკი ადამიანი „მოირას“ რკალშია, ვერ პოულობს პასუხს კითხვაზე „რატომ“, თუკი ბუნებამაც ზურგი შეაქცია მას, დარჩენილი აქვს მხოლოდ სულის გადარჩენისთვის ზრუნვა და სიკვდილზე ფიქრი.

ექსპრესიონისტული მსოფლმხედველობით სისხლიანი აჩრდილებიდან და ღრუბლებიდან ამოიზრდება ადამიანური „მე“, რომელიც გაღვივდება უახლოეს ათასწლეულში დ შექმნის ახალ სულიერ კულტურას. სულიერად ამაღლებული ადამიანი კი თავისი ხელებით შექმნის ედემს. მწერალი „სევდის სურათში“ ამბობს: „სულის დახატვა სხეულის დახატვას არა ჰგავს. სულის დახატვა უფრო ძნელია“. ირგვლივ კი მხოლოდ მოწყენაა და უფერულობა („უფერულობა“): „ვის სურს გაიგოს მივარდნილი სულის მოწყენა?“ ახალგაზრდა უფერულ და სულის შემხუთველ გარემოშია: „დაბალი ჭერი. გაულაქავი იატაკი. ნაცრისფერი კედლები. მიულაგებელი მაგიდა“. მან ვერ მოახერხა თავის მოკვლა, მაგრამ არ ჩანს, რითი დამთავრდება ყოველივე ეს. მეტად საინტერესოა მინიატურა „შვილი“, სადაც მწერალი ცდილობს უპასუხოს შეკითხვას: „სად არის ადამიანის სული?“ პასუხი კი მეტად ორიგინალურია - ადამიანის სული მის წუთიერ და მარადიულ ცნობიერებაში არის ჩაბუდებული და ჩასახლებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ეკა მიხელიძე

# ეროვნული პრობლემატიკა შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში

ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში მრავალგზის აღინიშნა, რომ მეოცე საუკუნის 90-იანი წლების ქართული პოეზიის ძირითადი ტენდენცია და მახასიათებელია ეროვნულობა და ერის პრობლემატიკათა წარმოჩინება. საუკუნის დასასრულს მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურმა მოვლენებმა უპირველესად თანამედროვე პოეზიაში ჰპოვა გამოძახილი. ლექსების ლირიკული ინტონაციები და ედემისებრი ჰარმონიულობა მღელვარე პათოსმა შეცვალა. ლიტერატურულ რემინისცენციებსა და ტრადიციულ თემებს შორის ეროვნულ პრობლემათა მკაცრი ნიაღვარი შეიჭრა და „პოეზია გახდა უფრო მკაცრი, პოლემიკური, პუბლიცისტური და სუსხიანი“ (დ. მჭედლური, „ლიტერატურული საქართველო“, 1995 წ., 9-16/6, №23)

ჩვენი საუკუნის ქართული ლექსის ეროვნული ხასიათის ჩამოყალიბებაში სამოციანელთა თაობამ უდავოდ დიდი როლი შეასრულა, რამეთუ ქართული პოეზიის ბოლო ათწლეულში მოსულ კალმოსნებს მან უწინამძღვრა შემოქმედებით გზაზე. ასე რომ, მეოცე საუკუნესაც თავისი სამოციანელები ჰყავს...

ჩვენი მიზანია, გავეცნოთ ამ თაობის ერთი უდიდესი წარმომადგენლის, შოთა ნიშნიანიძის შემოქმედებას, მის მიერ დანახულ ეროვნულ პრობლემებს, რათა კიდევ ერთხელ ნათელვყოთ საქართველოსთან და ქართულ სულთან პოეტის წილნაყარობა და ამ კონკრეტულ მაგალითზე დაყრდნობით გავაანალიზოთ, რა მონაწილეობა მიიღო მწერლობამ საქართველოს წინაშე მდგარ პრობლემათა გადაჭრაში.

ჩვენი მიზანია, აგრეთვე, შევქმნათ აღნიშნული პერიოდის საქართველოს ნათელი სურათი, გავისიგრძეგანოთ ეროვნულ პრობლემათა თუ მანკიერებათა მომაკვდინებელი ძალა და ნათელ-ვყოთ, თუ როგორი შემართებით აფხიზლებენ ნირვანაში ჩაძირულ, ხოლო შემდეგ კი ილუზიური თავისუფლების მორევში შეტყუებულ სამშობლოს შოთა ნიშნიანიძის გულისხმიერი პოეტური სტრიქონები, იერიქონის საყვირის ხმებად რომ ეფინება მამულს, ხან კი მწარე მათრახად გადასწვდება ქვეგამხედვართა. წერილში ვიმსჯელებთ 1990-95 წლებში გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ ლექსებისა და აგრეთვე შოთა ნიშნიანიძის ლექსთა სრულ კრებულზე და პოეტის „100 ლექსზე“.

პოეტის პიროვნული და შემოქმედებითი პოზიცია უწინარესად მაინც იმ ლექსებში მჟღავნდება, სადაც მამულის სიყვარული და ერთგულებაა გამოხატული, სადაც ეროვნული ტკივილი დაღს ასვამს შემოქმედის სულს და კიდევ უფრო მძაფრად გვაგრძნობინებს ქართველთა ყოფნა-არყოფნის პრობლემას, ჩვენი გადარჩენისათვის საჭირო გზების ძიების აუცილებლობას. ეს მოტივები განსაკუთრებით შესამჩნევი და საგრძნობი გახდა შოთა ნიშნიანიძის ბოლოდროინდელ ლექსებში, კერძოდ 90-იანი წლების პოეზიაში. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, პოეტის შემოქმედება ეროვნული პრობლემატიკის წარმოჩინების თვალსაზრისით ჯერ არ განხილულა, ალბათ, ამაშია ჩვენი ნაშრომის სიახლეც.

შოთა ნიშნიანიძის პოეზია ერთგვარი გასაღებია ქართული სულის გასახსნელად. მის პოეტურ ხურჯინში საქართველოს ლეგენდები, მი-თები და ოდა-ჰიმნებიც დევს. მითოსური სახეებისა თუ ხატების ასე ღრმად განშრევება ხელოვანის შემოქმედებაში, ბუნებრივია, წარმოუდგენელია მშობელი ხალხისა და ქართული მიწის სიყვარულის გარეშე. სიყვარული, სათნოება და მოყვასისადმი თანალმობის უნარი საფუძვლად უდევს პოეტის არა მხოლოდ პატრიოტული ხასიათის ლექსებს, არამედ მთელ მის შემოქმედებას. ამ პოზიციიდან გაიაზრებს იგი ეროვნულ პრობლემასაც.

მისნური ძალითაა აღვსილი პოეტის სიტყვა, ანუ გალობა, რომელმაც სიკეთის მცირე კვირტიდან ყლორტები ამოზარდა, რტო ამოზარდა და სიყვარულის ნაყოფიც უხვად მოაღებინა. ამ სიკეთის, სიყვარულისა და ერთგულების უბერებელ თესლშია დავანებული შოთა ნიშნიანიძის პოეტური მუზა - „ბუმბერაზი მუხა“ - საქართველო და პოეტს სრული უფლება აქვს განაცხადოს: „მე ვარ წერტილი და მე ვარ ყველგან!“

შოთა ნიშნიანიძის ლექსებს ამზევებული ამო-რძალივით ცხენზე შემჯდარი ლამაზი წარსულის კვალი აჩნია, კარგ ყმათა სიჩაუქე და უდრეკელობა წარსულის ექოდ ეხმიანება აწმყოს, კურნავს მის იარებს და აპოხიერებს თანამედროვე ქართველის ხორკლიან სულს.

პოეტის სიტყვა - „აბრეშუმივით ფერადი, აბრეშუმივით ხასხასა, აბრეშუმივით საჭირო“ და ამავე დროს, „სიტყვა ხარივით გამწევი“, რომელსაც მეტაფორა უკვდავ ციხესავით აქვს შემოჯარული, მხოლოდ ეროვნულთან და მშობლიურ ხმებთანაა შეხმატკბილებული - მისი ლექსებიდან „სათოფურების დათხრილ თვალებით იყურებიან საუკუნენი“.

დავუკვირდეთ, პოეტის ლექსებში ჩვენი ეროვნული, სევდანარევი საუნჯე-მწუხარე წარსული როგორ იმზირება აღმოსავლური ქვეყნებიდან. ამ დიდ სევდას ვერ ფარავს ფარჩაგადაკრული ცხენების სილამაზე და მოფარდაგულ ტახტრევანთა ბრწყინვალება. ჩვენი „წიები“, გუშინ რომ ჯოხის ცხენიდან ძალით გადმოსვეს, დღეს მაღალფეხება, მკერდაზიდულ, ამაყ ულაყებზე სხედან ხანუმებივით გადაცმულები. ს. დანელიას სიტყვებით რომ ვთქვათ, ესაა „სენიორიალური რეჟი-მის“ სისასტიკე და ულმობელი ხასიათი, როცა „ყმებს ყიდდნენ, როგორც ღორებს და სამშობლოდან მოწყვეტილი ქართველი ქალები თათრების ჰარამხანებში სევდისგან სჭკნებოდნენ“ (ს. დანელია, „ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი“, ტფილისი, 1927, გვ. 85).

ეროვნული ბიბლიოთეკა



შოთა ნიშნიანიძე ერთ-ერთ უსათაურო ლექსში წერს:

*კაცი ყველაფერს მაშინ გებულობს,*
*სული რომ ხდება თავისუფალი.*

ვფიქრობთ, ეს სიტყვებია პოეტის შემოქმედების კრედო და ამოსავალი წერტილი.

შოთა ნიშნიანიძემ, როგორც პოეტმა და პიროვნებამ, თავის თავს დაანათლა საქართველოს ცოცხალ ძეგლად ყოფნა, მართალი და მშიანი ბილიკებით სვლა, შემოქმედებითი ჯვარცმა ნამუსის ქუდად თავს დაირქვა და ასე სიმართლის ჯაჭვ-თორანში თავეუხიანად ჩამჯდარმა პოეტურად განაცხადა ის, რასაც ადამიანისგან შინაგან ჭირთა ძლევა და საკუთარ თავთან მოგებული ომი ჰქვია:

*შევურიგდები ბევრ განქიქებას,*
*ბევრ დამარცხებას – საშინელს ყოვლად,*
*მაგრამ ვერასდროს შევურიგდები*
*საკუთარ თავთან წაგებულ ბრძოლას*
(„შემოქმედება თურმე ჯვარცმაა“).

შინაგანი ზადისგან სულის განთავისუფლების შედეგია ის, რომ შოთა ნიშნიანიძის პოეტური სამყარო „უსასრულო ღვთის ტაძარია“, სადაც ქრისტეს ზარი სიყვარულის ღუღუზარად რეკს, გუგუნებს და ერს აფხიზლებს, ეს ზარი ქართველი ხალხის გადარჩენილი რწმენის, რელიგიურობისა და ეროვნული თვითდამკვიდრების სიმბოლოა, მაგრამ იგი საქართველოსთვის ოდენ გამოფხიზლებისა და განგაშის ნიშნად კი არ ქღერს, არამედ შეჭირვებაში მყოფი ქვეყნის მფარველობასაც გულისხმობს.

*ღმერთმა ნუ ქნას და ზარი ესე რომც*
*ჩამოვარდეს, –*
*მთელს საქართველოს მუზარადად*
*დაეხურება*
(„ზარი“).

მუზარადის თავს დარქმა და ბრძოლაში დაღვრილი სისხლი „განმწმენდელ არს ცოდეათა მისთა“, შოთა ნიშნიანიძის საქართველო კი საკმარისად ცოდეილია: „ქართველები შევიცვალეთ – ბევრი ეართ ტახტრევანით და კისრით სატარები“, ადამიანებს შორის დაისადგურა მტრობამ, გულგრილობამ, „შინაურ-გარეულნი ერთმანეთს თაკილობენ, ნქარობენ, ერთმანეთი გადათელონ“ და ამ დროს ვედრებასავით გაისმის პოეტის ჭეშმარიტად თანამგრძნობი სიტყვა:

*უფალო, დაიფარე გოდოლი ბაბილონის –*
*ვულკანზე შემდგარი საქართველო*
(„უფალო შეგვიწყალე“)

საკუთარი თავის მოურევლობა ყოველგვარი ეროვნული ტრაგედიის საწყისია. აი, როგორ გამოხატა პოეტმა ქართველთა უსაშინლესი თვისება – გაუტანლობა და არაერთსულოვნება:

*მოალყეების არ გვეშინია*
*ოღონდ შიგნიდან არ გატყდეს ციხე*
(„ციხე“)

ამ ნატვრაში დიდი შიშიც ამოიკითხება, საკუთარი, ეროვნული ზნითა და ხასიათით შეძრწუნება. მტერს არ დანებდება ქართველი. მხოლოდ სიკვდილს ჩაბაბარებს ციხის გასაღებს, თავისივე შინგარეულმა მტერმა თუ არ უღალატა.

და მაინც, როგორი საქართველო წარმოგვიდგინა შოთა ნიშნიანიძემ თავის ბოლოდროინდელ შემოქმედებაში?

პოეტი მეოცე საუკუნის 90-იანი წლების საქართველოს გვიხასიათებს პოემაში „აქა ამბავი აპოლონის ოქროს ჩანგისა, ამირანისა და კიდევ სხვათა“. ნაწარმოები ჩვენი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობას, ლიტერატურული ცხოვრების ძირითად ასპექტებს მიმოიხილავს და თავისუფლებისათვის აშვირთებულ, ყალყზე შემდგარ ქართველ ერს წარმოგვიდგენს.

ნაწარმოების პერსონაჟთა მოქმედება საბერძნეთში ხდება და თანდათან გვახსენებს ქართველი ერის ცხოვრების სხვადასხვა პერიოდებს. კერძოდ, საბჭოური ყოფის მდუმარე წლებს, ანუ დროს ეროვნულ მოძრაობამდე და შემდეგ ერის უეცარ გამოფხიზლებას. მიზნის მისაღწევად პოეტი იშველიებს ამირანის კლდეზე მიჯაჭვისა და მელორის დასჯის ეპიზოდებს, ამირანის ღმერთთან შებმას. პოემაში ყველაფერი ქართველი ხალხის გასაგონადაა თქმული და ამის საბერძნეთის ფონზე წარმოსახვა მხატვრულობისა და მეტი რომანტიკულობის მიღწევის საშუალებად თუ უნდა ვიგულვოთ...

პოემის პროლოგის კითხვისას ისეთი გრძნობა გვეუფლება, თითქოს ედემის ბაღში ფრინავდეს სული და გვახსენდება ტატიანეს ნათქვამი: „სამყარო მშვენიერია და მოწყობილი, მხოლოდ სულელურია მისი პოლიტიკური წყობა“.

პოემის გმირი – ბეოტიელი მელორე სტვირზე დაკვრაში გაიმარჯვებს და სიხარულით გაბრუებული მდაბიურად გადაცმულ აპოლონს შეჯიბრში გამოიწვევს. უცებ ქვეყანა დაბნელდება და, როცა წყვდიადი გაიფანტება, ხალხი დაინახავს ოლიმპოს მწვერვალებისკენ გაწოლილ ღრუბელს – ეს აპოლონის სიმბოლური სახეა. მელორე მთლად გადაირევა სიხარულისგან, ღმერთს ვაჯობეო (გავიხსენოთ, როგორ აშვევდა ქართველი ხალხი ილუზიური თავისუფლებით მოტყუებული და როგორ დაენარცხა შემდეგ მიწაზე) და იმედენს იკუნტრუშებს, რომ წვერცანცარა თხად გადაიქცევა.

ავტორს, სანამ კადნიერ ბეოტიელ მელორეს შეაჩვენებდეს, საკუთარი მოდგმის ცოდვა ახსენდება – ამირანი რომ უფალს გადაუდგა გზაზე და ამბობს:

*ამირანი ზედმეტად თავდაჯერებულია.*
*მისთვის უცხოა სინდისის ქენჯნა, ცოდვის*
*მონანიება,*
*სულიერი თვითგვემა.*
*ყველა ქართველს მინდა ვთხოვო*
*ღრმად ჩაუფიქრდეს ამირანის ბუნებას.*

პოემაში ის საზოგადოებაცაა ნაჩვენები, სიყმაწვილეში ტაშისკრით ხელისგულები რომ გადაეყვლიფათ, ბავშვობიდანვე შეაჩვიეს გლადიატორობასა და მეხოტბეობას. შემდეგ ადამიანები დაიღალნენ აბსურდული ყოფით, გამოფხიზლდნენ, მობეზრდათ მონური ცხოვრება და დაიბადა უშიშარი, სალი თაობა, რომელსაც მოეძალა თავისუფლების სურვილი და... ერთ დღეს ტახტებიდან ჩამოყარეს ტირანები. შეურაცხჰყვეს, გათელეს, დაამცირეს ბრინჯაოს კვარცხლბეკები, წლების წინ რომ სათუთად შესცქეროდა ხალხი, მერე ამ ცარიელი კვარცხლბეკებისგან შექმნილ პაწაწინა სცენებზე ისტორიის დიდი დრამები ჭათამაშდა. საქართველო

ელექტრონული ბიბლიოთეკა

საუკუნის დასასრულს მქუხარე, ისტერიკაში გადაზრდილი ტაშით შეეგებაო,- ასე დაგვიხასიათა ავტორმა თავისუფლებისათვის მებრძოლი, მაგრამ გაუთვითცნობიერებელი იმპულსებით მოქმედი ქართველი ხალხი. ისინი მავანის ხელში მოხვედრილ სათამაშო თოჯინებს ჰგვანან, უხილავი ძაფები რომ აქვთ გამობმული ხელფეხზე (ტვინზეც) და ასე იმართებიან. მათ ჭკუა დაეხშოთ, როცა მოყვასს სახეში სილა გააწნეს. მათში განდიდებამ იმძლავრა, როცა დროშის ტარით ჩაამსხვრიეს თავიანთი მომავალი... გამოსავალი პოეტის შეგონებაშია, იმავდროულად პოემის დედააზრიც რომაა:

*უფრთხილდი, ერო, ნიჭს ჭეშმარიტს, წიგნს*
*სამაგიდოს,*
*ბრბომ ოქროს ჩანგი ზანზალაკად თხას არ*
*დაჰკიდოს.*

შოთა ნიშნიანიძის საქართველო „ზოგიერთი მოღვაწის“ პირველობისა და პირადი განდიდების სენით დაავადებულა.

*გვირგვინი ერთია...*
*თავებია მუდამ ურიცხვი*
*ამ გვირგვინისთვის ერთმანეთს ჭამს*
*ღირსიც, უღირსიც!*

(„ორი პასუხი ძალაუფლების თაობაზე“)

ოდითგანვე ასე იყო... ყოველი ქართველი მეფედ იბადებოდა, გვირგვინი კი ერთი იყო მუდამ და საქართველოში მთელი სიცოცხლე გვირგვინისათვის ბრძოლას უნდებოდნენ. ასეთი ძალთა ჭიდილისა და ქაოსის დროს გამოვა მშვიდი პოეტი და დაყვავებით განაცხადებს:

*ერთ გვირგვინს, ხალხო,*
*ათასებს ნუ ვედავებით,*
*მოდით, უბრალოდ, მოვიშოროთ ზედმეტი*
*თავები!*

ლექსში „პირველობის ქვეყანა“ შოთა ნიშნიანიძე ასახელებს ქართველის ამოცნობის უდავოდ ნაღდ ნიშანს - პირველობის ნატვრას.

*ყველა ქართველს, ღვთით მოვლენილს თუ*
*გაჩენილს დებილად*
*პირველობის სიგიჟე გვჭირს - ყველა*
*პირველები ვართ*

პირველობის სენზე პოეტი სხვაგანაც მიუთითებს. კერძოდ, პოემაში „აქა ამბავი აპოლონის ოქროს ჩანგისა“, სადაც მსჯელობს ბრბოს ფსიქოლოგიაზე და ამბობს, რომ „ქართველობა ბრბოდ ვერ გადაიქცევა, რამეთუ საქართველო პიროვნებათა ქვეყანაა“.

მეოცე საუკუნის 90-იანი წლების საქართველოში უპირველესად კულტურის დაცემისა და ადამიანის სულის გაუხეშების პრობლემა დადგა. როგორც ყოველთვის, ახლაც თბილისი უნდა ყოფილიყო დედაგული ქართველობისა, „ქართლის ნაცვალი“. მას უნდა განესახიერებინა ერის საუკეთესო თვისებები, მასვე ევალებოდა ახალ ვითარებასთან მორგება, საგანგაშო ზარების რეკვა, ამ დროს თბილისის ზოოპარკში კლავენ ცხოველთა სამყაროს უმშვენიერეს არსებას - ირემს.

საოცარი რამ ხდება - გრძნობათა თუ განცდათა ურთიერთგადანაცვლება ცხოველებსა და ადამიანებს შორის. ამ უკანასკნელთ სულიერებისა აღარაფერი შერჩენიათ. სამაგიეროდ, მათი ინსტინქტები ცხოველებშია გადასული:

*მართლა რა ხდება, ღმერთო ჩემო,*
*გადაირევი -*
*გაფიცულები ზოოპარკში წვანან ირმები.*

(„მოჰკლეს ირემი“)

შოთა ნიშნიანიძის ლექსი არ არის მხოლოდ პოეტურად შეფერადებული ესთეტიკურობის მომგვრელი რამ. ზემოთ მოხმობილი სტრიქონები ოდენ პოეტისეული ფანტაზიის ნაყოფი როდი გახლავთ. ეს სიმართლეა, „სიბრძნე სიცრუისა“ ანუ ტყუილი, რომელიც უნდა ირწმუნო და დაიჯერო, რათა ეშველოს ჩვენს შევიწროებულ სულს და გათელილ შეგრძნებებს...

რა საგოდებელია პოეტისათვის, როცა იგი იხილავს ბარიკადებით გამიჯნულ ქართველთ; ეს ბარიკადა არაა ოდენ რკინათა, ხეთა თუ ქვათა რისხვით შეკრულშემტკიცული ბოლმის შლაგბაუმი. ეს ბარიკადები რწმენათა გამიჯვნაა, გონებათა დაბნელებაა. მოძმეზე მიმართული თუ ცაში ატყორცნილი ტყვია რომ უპირველესად ღმერთს ხვდება, ამაზე არავინ ფიქრობს:

*ცაში ისვრიან, რა ბედენაა, რა ერესია...*
*არც კი იციან, ცოდვის შვილნი, ღმერთს რომ*
*ესვრიან*

(„დიალოგი სროლაში“)

(„ლიტერატურული საქართველო“, 1991 წ., №45, გვ. 8).

ყოფნა-არყოფნის პრობლემას ეძღვნება ლექსი „რეკვიემი ძმათა მკვლელობაზე“, რომლის გმირი ჩვიდმეტთვრამეტი წლისა თუ იქნება და ხელი უკვე შეღებილი აქვს ძმის სისხლით.

ამ პატარა ბიჭში მთლიანად ერის სახე იკითხება. ესაა მავანთაგან თვალახშული და ჭკუადახშული ერი, რომელიც თავისი ნამოქმედარის შეფასებასაც ველარ ახდენს, ხელს ვერ იმორჩილებს, ისე აღმართავს ძმის გულის გასაგმირად.

თუ როგორ გამოიყენეს საქართველოს „კეთილისმსურველებმა“ ქართველთა გულზვიადობა და სიფიცხე თავიანთ ბოროტ ზრახვათა აღსრულებისათვის, ამაზე კარგად მეტყველებს ლექსის ფინალი, ანუ გმირის აღსარება:

*ისიც ჩემსავით ქართველი იყო,*
*ისიც ჩემსავით გულფიცხი იყო,*
*ისიც ჩემსავით ღიღღულა იყო,*
*და დიდ გულს ტყვია არ აცდა, დედა.*

„რეკვიემი ძმათა მკვლელობაზე“ პოეტის გულღიად და დაუფარავად გაცხადებული სინანულია ბაზალეთის ტბის კიდევ ერთი მოზრდილი ეპიზოდის გამო. რა მართალია პოეტის ნათქვამი:

*ამ ბიჭს ჰგონია, მკვდარი არის*
*საქართველოსთვის,*
*ო, არა, შვილო!*
*მოკლული ხარ მავანთ ტახტისთვის.*

90-იანი წლების საქართველოს სულიერ კრახს თან დაერთო ეკონომიკური კრიზისიც: შეჭირვებული, მშიერი, გაძვალტყავებული საქართველო ქუჩაში დგას ხელგაშვერილი, წამხდარა ჩვენი ამაყი ჯიში, კეთილშობილური მიმოხრა, პროფილის სიწმინდე... „ძმათა მკვლელობის ქინს მიცემულ“ ქართველობას „თვალებში უდგას შიში, შიმშილი“. მეტად სულგრძელი და ჰუმანურია პოეტის ნაფიქრი, როცა იგი მათხოვრად მდგარ ქალში ღვთისმშობლის სუნთქვასა და მზერას შეიგრძნობს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

*როგორ გაბედო და პურის ფული*
*როგორ ჩაუდო ხელში ღვთისმშობელს.*
(„დედები“)

რაც უნდა ვუწოდოთ ასეთ შედარებას, - მოჩვენება, შედმეტი ემოციები თუ მოჭარბებული სურვილი ესთეტიკურობისა, სათქმელი მხოლოდ ერთია: საქართველო დაეცა, უქართველო გახდა. ჩვენ დავანამცეცეთ ჩვენი სინდისი, რწმენა, სათნოება და ერთგულება.

პოეტი მთელი არსებით განიცდის ომის საშინელებებს: საქართველოს ძირძველი მიწა-წყლის შვილებს უთანხმოება აქვთ, საქართველო-აფხაზეთს შორის მტრობა ჩამოაგდეს.

აფხაზეთის უძველეს მიწას - გულში ამშვენებულ საფიცარ ხატს, ისე ესათუთება შემოქმედის ფიქრი, როგორც საკუთარ შვილს, ამიტომაა ასე მშობლიური ალერსით გამთბარი მისი დარიგება ახლად ფეხშემართული კვიცის მიმართ:

*დედის წინ-წინ ნუ გარბიხარ,*
*მოიტეხავ კინწსო .*
(„სიმღერა კვიცზე“).

ეს ალეგორიული რჩევა, ორაზროვნად რომ გამოისმის პოეტის ბაგეთაგან, ახდენილ რეალობად იქცა დღეს, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ქართველ-აფხაზთა „ისტორიაც და მომავალიც საერთო ბედის გასკვენილია“.

რწმენაა შოთა ნიშნიანიძის პოეტური სამყაროს ღედაბოძი, რომელსაც წინაპართა ნათელმირონი სხივმოსილ დიადემად ადგას თავს და მისი სამშეოდან იცქირება მაღლა ცა და დაბლა ხმელეთი...

შოთა ნიშნიანიძის ფრაზა ხშირად ემსგავსება ფერწერულ ტილოს. მხატვრის ფუნჯს ხომ ძალუძს უფაქიზესი გრძნობების ტილოზე გადატანა. პოეტის ფანტაზიით ნაშობი სიტყვა ყოველი შემოქმედის შთაგონების ძალად შეიძლება იქცეს. აი, ეს ფრაზაც: *„ქალის თმის ხარჭი რატომ გდია ბარიკადაზე?“* თუკი სილამაზემ ვერ იხსნა ქვეყანა, თუკი ხელოვნება უძლური აღმოჩნდა, ყოფითი წვრილმანებისათვის თავი გაერთვა და ქართველი ქალისთვის შეენარჩუნებინა ის სინაზე და სიფაქიზე, რომელსაც ასე აღტაცებით უმღეროდნენ მგოსნები, მაშინ

*ბრალი პალიტრას!*
*ბრალი რითმებს!*
*ბრალი კადანსებს.*
(„მანდილი“)

როცა შოთა ნიშნიანიძის შემოქმედებაში წარმოჩენილი ეროვნული პრობლემატიკის შესახებ ვსაუბრობთ, არ შეიძლება, არ გავიხსენოთ ის ლექსები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება საქართველო-აფხაზეთის ომს და ეძღვნება ამ ომში დაღუპულ ადამიანთა ხსოვნას.

ლექსი „შენს სინდისს თურმე საცრისტოლა თვალები ჰქონდა“ ეძღვნება აფხაზეთის ომში დაღუპულ გმირს, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენის კავალერს - არჩილ მიშველაძეს.

წუთისოფლის წესი ასეთია: ადამიანები ცხოვრებას იწყებენ ფართოდ გახელილი, გაოცებული თვალებით, ამქვეყნად მოსვლას რომ ახლავს თან და, ბედისგან უკვე საკმაოდ გამოცდილნი, ნაჯაფნი სიბერის ჯოხის მიწაზე კაკუნით განესრულებიან. ლექსის გმირი ვერ დაემორჩილა ცხოვრების ასეთ ულმობელ, მრუმე რეჟიმს, მომაყირჭებელ ყოველდღიურობას, მოსაბეზრებელ ლოდინს და გაიპარა სიკვდილში - ომში... ან იქნებ მისთვის ეს გაპარვა იყო ქვეცნობიერად საგმირო ეპოსის პერსონაჟად ქცევა, ურჩხულსა თუ გველეშაპს რომ ერკინება. სინამდვილეში გმირი გაეპარა თავის მომავალს, სანამ ცოდვებს სულზე ტევრებად აისხამდა და სიყალბეს სხვებსავით სარჩულად დაიდებდა. აი, მანამდე გაიპარა უცოდველი და ბავშვურად გულუბრყვილო. გაეპარა ყველას და ყველაფერს - მშობლის ალერსსაც კი და აღარ იყო აღარავის შემბრალე, მაგრამ

*შენს სინდისს, თურმე, საცრისტოლა თვალები*
*ჰქონდა*
*და სინდისს, თურმე, ამიტომაც ვერ გაეპარე*

- ამბობს პოეტი. ერის სინდისი ტკივილიან პრობლემად იქცა 90-იანი წლების საქართველოში და მისი საჭიროება ყველაზე ნათლად წარმოჩნდა ომის დროს.

პოეტი ქაოსისა და დრტვინვა-განგაშის განმრიდებელია. მით უფრო, რომ იგი საკუთარ ერზე განიცდის მის დარტყმას: შოთა ნიშნიანიძე ასე მოძღვრავს ერს:

*არა სიკვდილით - მხოლოდ აკვნებით*
*და დაბადებით უნდა გადარჩე!*
(„ხვალ იქნებ“).

შ. ნიშნიანიძე „ამაყია, როგორც მისი ერი“ და სჯერა, რომ „ბრძენი საქართველო უსათუოდ მოვა“ (რ. მიშველაძე, „მინაწერები სატელეფონო წიგნზე“).

როცა შოთა ნიშნიანიძის შემოქმედებაში ეროვნულ პრობლემატიკაზე ვსაუბრობთ, ისეთი განცდა გვეუფლება, თითქოს პოეტის ნამუსიანი და კეთილშობილური სიტყვები სულ ქართული მიწის სიღრმეებიდან მოდიან და ამოიზრდებიან. თითქოს მიწა ჰკვებავს მის აზრს, გონებას და სულს - უპირველეს ყოვლისა, ის მიწა, რომელმაც უნდა მიიბრუნოს მერე შემოქმედის მშვიდი, მაგრამ შინაგანად მშფოთვარე გული. შოთა ნიშნიანიძის ლექსი პოეტსა და საქართველოს ერთ შეკრულ ბირთვად ამთლიანებს. იგი შუამავალიცაა შემოქმედსა და ქართულ ცას შორის, რათა ღვთისგან შექმნილი სამყარო კვლავ ღმერთსავე მიუბრუნდეს.

მეოცე საუკუნე „აპოკალიფსური ჭიხვინით“ ასრულებს სიცოცხლეს.

*ო, რა ზლვა მასალა ექნებათ ოცდამეერთე*
*საუკუნის ტრაგიკოსებს! მოლიერებსაც!*
(„ყვავები“).

გავა დრო და საქართველოს მეისტორიე მეოცე საუკუნის 90-იანი წლების საქართველოს მხატვრულ განსახოვნებას ასე გადმოსცემს: „იმ წელს საქართველოს ყვავები შემოესია“.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# გიორგი კალანდია

## ცაიშის მონასტრის ფრესკული მხატვრობა

ცაიშის მონასტრის ფრესკული მხატვრობა დღეისათვის სრულიად შეუსწავლელია, არადა ტაძრის შიდა სივრცის შემამკობელი, დიდ ფრაგმენტებად შემორჩენილი ფრესკული მხატვრობა შესრულების თავისებური მანერით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს.

სანამ თავად ფრესკების განხილვაზე გადავიდოდეთ, ჩვენ შევეცდებით არსებულ წყაროთა საშუალებით ტაძრის მოხატვის თარიღის გარკვევას.

პირველი საბუთი, რომელიც ამ საკითხის შესახებ გარკვეულ ცნობებს გვაძლევს, არის ცაიშის დიდი ზომის ხატი ჯვარცმისა, აქ ნათქვამია, რომ „ძემან გურიელისა პატრონის გიორგისმან, პატრონმან მალაქია ჰელვყავ ცაიშის ტაძრისა შემკობად და დავახატვინეთ, ალვასრულეთ გუმბადი ვიდრე საფუძვლამდე და ესრეთ შევამკვეით" (1,10). ჩვენთვის უცნობია თუ რამ გამოიწვია ძეგლის შიდა მოხატვა, შესაძლებელია, რომ ძველი მხატვრობა გაფუჭდა და მალაქიამ მხოლოდ თავიდან ბოლომდე განაახლა იგი. მომხდარი მიწისძვრა იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ მას დაუნგრევია არქიტექტურული ძეგლის მნიშვნელოვანი ნაწილი, ამიტომაც ნაკლებ მოსალოდნელია, რომ მალაქიას დაკვეთით შესრულებული ფრესკული მხატვრობა შემორჩენილიყო.

წარწერიდან ვგებულობთ, რომ მიწისძვრიდან ერთი წლის შემდეგ მალაქია აფხაზეთის კათალიკოსად უკურთხებიათ, რის შემდეგაც მას თავიდან განუახლებია ტაძარი, ჩვენი აზრით, სწორედ ამ განახლების შედეგი უნდა იყოს ცაიშში დღეს შემორჩენილი ფრესკული მხატვრობა. მალაქია აფხაზეთის კათალიკოსად უკურთხებიათ 1616 წელს. სწორედ ამ დროს უნდა დაწყებულიყო ტაძრის მოხატვა, რომელიც, ალბათ, 1619 წლისთვის დასრულდა /როგორც ამას გვამცნობს ცაიშის ჯვარცმის ხატის ქორონიკონი ტზ 1619).

მიწისძვრის შემდგომი ხანის წყაროები თითქმის არ შეიცავენ ცნობებს არქიტექტურული ნაგებობის ისტორიის შესახებ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ეპისკოპოს დავით ჯოლიას ცნობას ტაძარში გაჩენილი ხანძრის შესახებ, (2, 185), ასევე, ვიცით, რომ 1678 წელს ცაიში დაურბევიათ აფხაზთა შეიარაღებულ ჯგუფებს, (13;64;76/, ხოლო 1777 წელს აღუდგენიათ „საეროდ ქმნილი" ცაიშის კათედრა. ამ ფაქტთან დაკავშირებით მიტროპოლიტი გრიგოლ ჩიქოვანი მოგვითხრობს: „ვიხილე ესე ეკლესია ფრიად დაცემული და დარღვეული შინაგან კედელი და გარეგანიცა ........ და აღვაშენე ესე ეკლესია" (2; 175).

ამ წარწერიდან მხოლოდ ერთი ცნაურდება: სახელდობრ ის, რომ ეკლესია იმდენად არ დაზიანებულა, როგორც მალაქიას დროს, არ შემუსვრილა, არამედ შენობის რომელიღაცა ნაწილი თუ კედლის პერანგი ჩამოცვენილა და ეს დანგრეული ნაწილი გრიგოლს აღუდგენია /1,18/. ფაქტია ისიც, რომ გრიგოლ ჩიქოვანს თავიდან არ მოუხატავს და არც განუახლებია ფრესკული მხატვრობა, ამის შესახებ არაფერია ნათქვამი არც კაცია დადიანის 1777 წლის სიგელში და არც გრიგოლ ჩიქოვანის სხვა წარწერებში.

ყოველივე ზემოთქმულს თუ რეზიუმეს გავუკეთებთ, მივიღებთ შემდეგ სურათს -პირველად მალაქია კათალიკოსს 1612 წელს დაუმთავრებია ცაიშის ტაძრის მოხატვა და შემკობა, რაც 1614 წლის მიწისძვრას გაუნადგურებია; 1616 წელს მალაქიას, აწ უკვე აფხაზეთის კათალიკოსს, თავიდან დაუწყია ცაიშის საყდრის აღდგენა და სწორედ ამ პერიოდში მოეხატა უნდა კიდეც იგი, მომდევნო ხანს თავიდან არავის არ მოუხატავს და არც განუახლებია დღემდე შემორჩენილი ცაიშის ფრესკული მხატვრობა.

*საკურთხევლის კონქზე შესრულებულია ღვთისმშობლისა და მიქელ-გაბრიელის გამოსახულება. ღვთისმშობელი ფეხზე დგას, ყრმა იესო უპყრია ხელთ. მარიამის თვალები, სახის ნაკვთები და მდიდრული მოსასხამი ხაზს უსვამს მომხატველის ზომიერებისა და ჰარმონიის გრძნობას. ყრმა იესოს სახეზე კარგად იკვეთება შეწითლებული ლოყები და მოყავისფრო ინტენსიური ჩრდილები.*

*მარიამის გვერდით მდგარი მდიდარ საიმპერატორო ტანისამოსში გამოწყობილი მთავარანგელოზები ხელაპყრობილნი შეჰყურებენ მას; მათ პორტრეტებში*

ეროვნული ბიბლიოთეკა



*განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მდიდრული მოწითალო-მოვარდისფრო ტანისამოსი და ფრთები; ვარდისფერ მოსასხამებზე შესრულებულ სარტყლებზე, საყელოებსა და ომფორებზე გამოსახულია ძვირფასი ქვები, რაც მთლიანად ტანისამოსს მედიდურობასა სძენს; კომპოზიციის ყველა წევრს (მარიამი, ყრმა იესო, მიქელ-გაბრიელი) შარავანდედი ადგას. საკურთხევლის კონქის მოხატულობის ფონი ცისფერი ზეცა და მოწითალო მიწაა, მიწაზე ალაგ-ალაგ მწვანე ბალახია გამოსახული. საკურთხევლის კონქის კამარაზე შესრულებულია მედალიონებში ჩახატული 8 წმინდა მამისა და დედის გამოსახულება, ყოველ მათგანს ხელში ეტრატი უპყრია, ზოგიერთზე ბერძნული წარწერები განირჩევა.*

*ცაიშის მოხატულობის პროგრამა იმითაც განისაზღვრება, რომ ტაძარი ღვთისმშობლის სახელზეა აგებული, ღვთისმშობლის სახეს მთავარი ადგილი უჭირავს, მისი ცხოვრება კი წარმოდგენილია სცენების ვრცელი ციკლით, რომელთა დიდი ნაწილი, სამწუხაროდ, უკვე გაფუჭებულია.*

*ღვთისმშობლის გამოსახულებებიდან მნიშვნელოვან ყურადღებას იპყრობს დასავლეთის მკლავის ცილინდრული კამარის მოხატულება; აქ ცენტრალური ადგილი უკავია სფეროში ჩახატულ ღვთისმშობელს. მარიამის სახე სიმკაცრითა და ძალმოსილებით გამოირჩევა, მისი მუქი მოყავისფრო-მოწითალო სამოსის მკვეთრი ნაკეცები ხაზს უსვამს შესრულების რეალისტურ სტილს. ღვთისმშობელს ორივე ხელი გაპყრობილი აქვს. საგულისხმოა ასევე ყრმა იესოს გამოსახულება, მიუხედავად იმისა, რომ იგი ღვთისმშობლის ფონზეა, მისი ფიგურა მაინც კარგად იკვეთება.*

ხელშემწყობ პირობად მძაფრი კონტურები, თეთრი სამოსი და ოქროს შარავანდედი გვევლინება, აქვე ცილინდრული კამარის კუთხეებში შემორჩენილია მთავარანგელოზების, მიქელისა და გაბრიელის წელსზედა გმოსახულებები, მათ შორის მოთავსებულია ექვსფრთიანი სერაფიმი, მიქელს მარჯვენა ხელში სკიპტრა უპყრია. მთავარანგელოზთა ფართოდ გაშლილი ფრთები, ახალგაზრდული სახეები და ნათელი შარავანდედი მთელს კომპოზიციას განსაკუთრებულ ქღერადობასა და ინდივიდუალობას ანიჭებს

*დასავლეთ კედელზე, კარების თავზე, შესრულებულია დიდი ზომის ჯვარცმის ფრესკა. ჯვრის იმიერ და ამიერ შემორჩენილია მარიამისა და იოანეს გამოსახულებები. მომხატველი ხაზს უსვამს მაცხოვრის მსხვერპლად გაღების იდეას, რომელიც კაცთა მოდგმის გადარჩენისა და საუკუნო ხსნისათვის მოხდა. აქვე ავტორს არ ავიწყდება წარმოაჩინოს მარიამ ღვთისმშობლის მწუხარება, რაც მის ტანჯულ თვალებსა და მკაცრ სახეში იკითხება.*

*შესრულების მაღალი მხატვრული ოსტატობით გამოირჩევა ტაძრის სამხრეთ კედელზე შემორჩენილი წმინდანის, ჩვენი აზრით, იოანე ნათლისმცემლის ფრესკა. ფართო, ბაჯაღლოსფერი შარავანდედის ფონზე გაშლილია წმინდანის მეტად რეალისტური და სათნო სახე, მას ამშვენებს გრძელი, მეწამული თმები და წვერ-ულვაში. დიდი მეტყველი თვალები და სწორი ცხვირი ნაზი ვიწრო მონასმებითაა შესრულებული.*

*დასავლეთის კარის ორ მხარეს მთავარანგელოზთა დიდი ფიგურებია გამოსახული, რომლებიც, ჩვეულებისამებრ, ეკლესიის მცველებად გვევლინებიან.*

*ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე ზედა რეგისტრში შემორჩენილია იესოს გარდამოხსნის ძლიერ დაზიანებული სცენა. კომპოზიციაში ცენტრალური ადგილი მთებს შუა აღმართულ ჯვარს უკავია, მის ძირში კი გაშლილია მთელი სცენა. იესოს თავთან დაჩოქილი ღვთისმშობლის სახე ღრმა ღედობრივი მწუხარებით გამოირჩევა. ოსტატი ყურადღებას ამახვილებს მარიამის შინაგან მდგომარეობაზე. უკან მდგარი დედები თავდახრილები შეპყურებენ ღვთისმშობელს, იესოს ფეხებთან მოჩანს ქალისა და მამაკაცის წელში მოხრილი ფიგურები. სცენა მდიდარია ფერთა შეხამებით, ფრესკის ნათელი ფონი ხელს უწყობს მოქმედების ემოციურ აღქმას, ყურადღებას იქცევს სიმბოლიკა, ჯვრის მარცხენა მკლავთან ცაში გამოსახული ცეცხლოვანი ბურთი.*

*ჩრილოეთის კედლის აბსიდის ზონაში, კერძოდ, ბემაში, გაშლილია ღვთისმშობლის გამოსახულებათა ციკლი,*



სადაც მეტ-ნაკლებად განირჩევა სცენები „შეხვედრა ოქროს კარიბჭესთან“, „მარიამის შობა“ და „ტაძრად მიყვანება“. სცენაში „შეხვედრა ოქროს კარიბჭესთან“ გამოსახულებია მოოქროსფრო კარიბჭესთან მდგომი ანნა და იოაკიმე, რომელთაც ციდან ანგელოზი ევლინებათ. სცენაში „მარიამის შობა“ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შენობას, რომელიც პროპორციებითა და გეომეტრიული აგებით XIV-XV საუკუნეების გოთური ხელოვნების ნიმუშს მოგვაგონებს, მის ფონზე მოთავსებული ანნასა და მომვლელი ქალების ნაზი სახეები ხელს უწყობს სცენის მონუმენტურობის და დინამიკურობის აღქმას.

სამხრეთის კედელზე, შემოსასვლელის დასავლეთით, ქვედა იარუსში, შემორჩენილია წმინდანთა ძლიერ დაზიანებული ორი პორტრეტი. განირჩევა ორივე წმინდანის შარავანდედი, მამაკაცის სახის მოხაზულობა და გვირგვინი, ქალის-თვალები და ცხვირ-პირი. აქვე შემორჩენილია ორი ბერძნული ასო „NH“ „ნე“, რომელიც დატანილია ქალი წმინდანის შარავანდედთან; შემორჩენილი მხატვრობა საშუალებას არ გვაძლევს, ზუსტად დავადგინოთ გამოსახულ წმინდანთა ვინაობა, მაგრამ ვერ გამოვრიცხავთ, რომ ეს წმინდა კონსტანტინეს და წმინდა ელენეს ფრესკული მხატვრობა იყოს. ვარაუდის საშუალებას გვაძლევს შემორჩენილი ბერძნული ასოები „NH“.

შესრულების საუკეთესო რეალისტური სტილით გამოირჩევა აღმოსავლეთ კარიბჭის თაღზე მოთავსებული ჩვენთვის უცნობი სცენა /სამი მამაკაცი მთაში/, რომელიც ყურადღებას იქცევს ადამიანთა ფიგურების და სახეთა გამოსახვის მანერით, ·

ცაიშის ტაძრის აღმოსავლეთ კედელზე, საკურთხევლის მარჯვნივ, სადიაკვნეს კარებთან შემორჩენილია 40 სებასტიანელი მოწამის ძლიერ დაზიანებული სცენა, წმინდანთა მკაცრი, მაგრამ ამასთანავე მორჩილი სახეები ღრმა ემოციური დატვირთვით არის შესრულებული. აქ წარმოდგენილი გულხელდაკრეფილი ახალგაზრდა თუ მოხუცი მოწამენი ერთობ მეტყველი თვალებით შეჰყურებენ ერთმანეთს. ცაში მოჩანს ნახევარსფეროში ჩახატული მაცხოვარი, ბერძნული წარწერით „IC XC“ ეს კომპოზიცია ყურადღებას იპყრობს ნაზად შესრულებული ფერთა შეხამებით, წმინდანთა ნათელი და შთაგონებული სახეები კი შესრულების მაღალი დონით,

ცაიშის ფრესკული მოხატულობიდან განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ქტიტორთა პორტრეტები. სამხრეთ ნავში, ბოძის ქვედა რეგისტრზე, გამოსახულია ორი პიროვნება. პორტრეტები ნაკლებად ფრაგმენტირებულია, წარწერები კი, სამწუხაროდ, სავსებით წაშლილია, გვირგვინოსანი დედოფლის გამოსახულება უფრო მეტად არის შემორჩენილი. დედოფალს მდიდრული სამოსიდან გამოყოფილი მარჯვენა ხელი ოდნავ ზეაღმართული აქვს და თავზე ორნამენტით შემკული გვირგვინი ახურავს. ორი დიდი ნაწნავი თითქმის მთელს სხეულზეა ჩამოშლილი, მაღალი ყელი, ფაქიზი ნაკვთები და დიდრონი თვალები დიდებული ქალის დახვეწილ ტიპს წარმოსახავს, დედოფლის მუქ მინდისფერ საკინძიან სამოსს ამშვენებს ფრაგმენტულად შემორჩენილი ოქროსფერი მდიდრული მოსასხამი, რომლის საყელოზეც საოცრად ნატიფი ორნამენტებია გამოსახული. დედოფლის ფიგურის პროპორციული სისწორე ოდნავ დარღვეულია თვალების, ყურების, თავის რამდენადმე გადიდებით, რაც გამოსახულების აღქმას აძლიერებს. დედოფლის დასავლეთით მოთავსებული მამაკაცის ფიგურა ფრაგმენტულად არის შემორჩენილი, მას აღმოსავლური ტიპის საკმაოდ მაღალი მოყავისფრო ქუდი ახურავს, რომელიც გეომეტრიული უჯრედებით გაუფორმებიათ. ქართული ხელოვნებისათვის ნიშანდობლივი ნუშისმაგვარი თვალები, შავი წარბ-ულვაში, სწორი ცხვირი და კულულები პორტრეტს ლირიკულ გამომეტყველებას სძენს; მას აცვია მუქი წითელი მოკლესახელოიანი აღმოსავლური ყაიდის, წელში გამოყვანილი, წინ ჩაჭრილი კაბა; ქობა და გადაკეცილი საყელო ოქრომკედით ნაქარგი არშიით არის შემკული. წელზე მამაკაცს წვრილი ქამარი აქვს, რომელზეც მარცხენა ხელი უდევს, ხოლო მარჯვენაში ჩვენთვის გაურკვეველი საგანი უკავია.

ტაძრის სამხრეთ კედელზე შემორჩენილია ასევე უცნობ ქტიტორთა მეორე ფრესკული გამოსახულება (ფრესკა გამოჩნდა გაწმენდის შემდეგ). დედოფლის პორტრეტი კარგად არის შენახული. მას თავზე ევროპული ტიპის, მარგალიტებითა და ძვირფასი ქვებით შემკული ოქროსფერი გვირგვინი ახურავს, თეთრი თავსაბურიდან ორი დიდი ნაწნავია ჩამოშლილი, დედოფალს საკინძიანი თეთრი პერანგი და მუქი წითელი კაბა აცვია, მონაცისფრო მოსასხამიდან გამოყოფილი მარჯვენა ხელი ოდნავ ზეაღმართული აქვს, ხოლო მარცხენა ხელი სარტყელზე უდევს.

მისი სახე მკაცრი და მშვიდია, ნაკვთები საუკეთესო პროპორციებითა და სინატიფით გამოირჩევა; როგორც ჩანს, მის გვერდით ვედრებით მდგარა მამაკაცი, რომლის გამოსახულებიდან ერთი ხელიღა შემორჩა. ჩვენთვის ძნელია, დავადგინოთ თუ ვინ არის ფრესკაზე გამოსახული; წარწერის კვალი აღარ შეიმჩნევა ერთი კი ცხადია, აქ, ალბათ, ოდიშის სამთავროს რომელიღაცა დედოფალი უნდა დაეხატათ.

ტაძრის სამხრეთ ნავში, ბოძის ქვედა რეგისტრზე, დასავლეთით, შემორჩენილია მხარბეჭიანი, ახოვანი, მოკლეწვერულვაშიანი ჭაბუკის წელსზედა გამოსახულება. თავს აღმოსავლური ტიპის გვირგვინი უმშვენებს, წითელი საკინძეებიანი კაბა აცვია და წამოსხმული აქვს

ეროვნული
ბიბლიოთეკა



თეთრი ქლამიდა. ფრესკა ძლიერ დაზიანებულია, გადამლილია მარჯვენა თვალი, ცხვირი და გვირგვინის მნიშვნელოვანი ნაწილი. აქაც წარწერები საერთოდ არ შეიმჩნევა.

სამხრეთ შემოსასვლელის კუთხეში შემორჩენილია შუახნის წვერულვაშიანი მამაკაცის ძლიერ დაზიანებული სახე, მას აღმოსავლური ტიპის მაღალი შავი ქუდი ახურავს და კარგად მოუჩანს მარჯვენა შავი დიდი კულული.

ტაძრის ჩრდილოეთ ნავში გუმბათქვეშა ბოძის ჩრდილოეთ კედელზე შემორჩენილია გვირგვინოსანი ქალისა და მამაკაცის გამოსახულება. დედოფლის ნათელ სახეზე ფართო მონასმებით არის შესრულებული წარბები და თვალის გუგები. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ფრესკა სხვა პორტრეტებისაგან გამოირჩევა სახის ნაკვთების განსაკუთრებული სინატიფითა და დახვეწილობით. მისი მდიდრული სამოსი კაბისა და ბისონისაგან შედგება. ვიწრომაჯიანი თეთრი კაბა შემკულია ოქროსფერი საყელოთი და ასეთივე ქამრით.

მეორე პორტრეტზე გამოსახულია ახოვანი, მხარბეჭიანი, უწვერული შუახნის მამაკაცი. მას აცვია ხორბლისფერი, ბიზანტიური ყაიდის წელში გამოყვანილი კაბა. ქობა, კაბის კალთები და გადაკეცილი საყელო ოქრომკედით ნაქარგი არშიით არის შემკული. ასევე მდიდრულია მაღალი დიადემა, რომელიც მარგალიტებითა და ძვირფასი თვლებით არის გაწყობილი. დიდებულს მარჯვენა ხელი ხანჯალზე უდევს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უცნობია ცაიშის ტაძარში გამოსახულ ქტიტორთა ვინაობა, წარწერები კი სავსებით წაშლილია, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო საკითხის გარკვევაში ნაწილობრივ შეიძლება დაგვეხმაროს ტაძრის მოხატვის პერიოდი. ცაიშის კათედრის მოხატვა 1616 წელს უნდა დაწყებულიყო, ამიტომაც გამორიცხული არ არის, რომ აქ იმდროინდელი სამეგრელოს მთავარი ლევან II დადიანი (1611-1657) და მასთან დაახლოებული პირები დაეხატათ.

ფრესკული მხატვრობის ნიმუშებით განსაკუთრებულად მდიდარია პატრონიკე. აქ ტაძრის დანარჩენი სივრცისაგან განსხვავებით ძირითადი ადგილი ეთმობა წმინდა გიორგის ცხოვრების ამსახველ სცენებს. პატრონიკეს დასავლეთ კედელზე შესრულებულია წმინდა გიორგის დიდი ფრესკა, რომელსაც ცენტრალური ადგილი უჭირავს; ეს კომპოზიცია ყურადღებას იპყრობს ფერთა სიუხვითა და სიხასხასით. მისი ფონი ლურჯი, ოქროსფერი და მოყავისფრო-მოწითალო ფერებისგან შედგება. თავად წმინდა გიორგი ტახტზე ზის, ორივე ხელში ქარქაშიდან ნახევრად ამოწვდილი ხმალი უჭირავს, მარცხნივ გადაკიდებული აქვს მშვილდი და ფარი. წმინდანის სხეული მოყავისფრო და ნაცრისფერი აბჯრით არის შემოსილი. ნახევრად ამოღებული მოვერცხლისფრო ხმალი ხაზს უსვამს წმინდანის დიდ ძალას, სახე კი ჭაბუკური ნატიფი ნაკვთებით გამოირჩევა

პატრონიკეში შემორჩენილი მხატვრობიდან გამოვყოფდით წმინდა გიორგის წამების ორ სცენას, პირველზე ასახულია წმინდა გიორგის მახვილით წამება. მწვანე პერანგითა და წითელი მოსასხამით შემოსილი ხელაპყრობილი გიორგი ჭაბუკებს შორის დგას, რომლებიც მას მახვილს სცემენ. წმინდანის ნათელ სახეს შარავანდედი აცისკროვნებს, მოძალადეთა სახეები კი მუქი ფერებით არის შესრულებული. მათი სამოსელი მოყავისფროა. ფერთა ასეთი განაწილება კარგად ასახავს როგორც მოქმედ პირთა ხასიათს, ასევე მთელი სცენის იდეურ შინაარსს.

მეორე სცენაზე ნაჩვენებია წმინდა გიორგის ბორბალზე გაკვრა. აქ ცენტრალური ადგილი უკავია ბორბალს, მის ქვემოთ შუბები და ორლესულებია მოთავსებული; წმინდა გიორგის ფრესკული გამოსახულების საპირისპიროდ, პატრონიკეს აღმოსავლეთ კედელზე მოთავსებულია მაცხოვრის წელსზედა დიდი ზომის ფრესკა. მოხატულობას დინამიკურ იერს ანიჭებს ლურჯ და მუქ ოქროსფერთა მონაცვლეობა. იესოს სახის რბილი მოდელირება შემსრულებლის დახვეწილ ოსტატობაზე მეტყველებს - მაცხოვრის სახის გამომეტყველება მშვიდი და შთაგონებულია.

პატრონიკეს სამხრეთ კედელზე შესრულებულია ლაზარეს აღდგინების სცენა. კლდოვანი მთის ფონზე მაცხოვარი კურთხევით ხელებაღმართული შეჰყურებს აკლდამას, რომელშიც თეთრ სუდარაში გახვეული ფეხზე წამომდგარი ლაზარე მოჩანს. სვანეთში გავრცელებული ტრადიციის მსგავსად, ცაიშის ტაძრის გარკვეული ნაწილი გარედან მოხატული ყოფილა, რასაც ცხადყოფს სამხრეთ ფასადზე შემორჩენილი მხატვრობის ფრაგმენტები; აქ განირჩევა ჯვირილასა და მზის მსგავსი დისკოს ფიგურები, შელესილობაზე ღრმა კვეთით შესრულებულია მონოგრამები.

ამრიგად შესრულების მანერით, იკონოგრაფიული და სტილისტური ნიშნებით ცაიშის ტაძრის მოხატულობას მნიშვნელოვანი ადგილი უნდა მიენიჭოს მეჩვიდმეტე საუკუნის ქართული მონუმენტური ფერწერის ტილოებს შორის. დასანანი იქნება, თუ იგი სულ მალე მხოლოდ მოგონებად იქცევა.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. პ.ზაქარაია. „ცაიშის ხუროთმოძღვრული კომპლექსი" - თბ. 1956.

2. ე. თაყაიშვილი. „არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში" კრებ. „ძველი საქართველო". ტომი III. ტფ. 1913-1914.

3. М. Селезнев. "Руководстес к познанию Кавказа" СПБ 1850.

ეროვნული
ბიბლიოთეკა




# დედის დაზღვევა
# INSURANCE OF MOTHER

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო კომპანია
GEORGIAN STATE INSURANCE COMPANY


## ახალი წიგნები










732/45 K

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 2 ლარი



ნომერში გამოყენებულია ქეთი მაცაბელის ნამუშევართა რეპროდუქციები

